


**ქოზე
საჩაბაძე**

მოგონებანი
მონასტრებზე



სარამაგუ ჟოზე

მოგონებანი მონასტერზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ემღვნება იზაბელს, რამეთუ იგი არაფერს
არ ანადგურებს და არც იმეორებს, არამედ
მხოლოდ ქმნის და აახლებს.

ერთი კაცი სახრჩობელაზე ადიოდა; მეორე შეხვდა და ჰკითხა: რა მოხდა, სენიორ, რატომ
მიდიხართ ამ გზით? სიკვდილმისჯილმა მიუგო: მე კი არ მივდივარ, ამ ხალხს მივყავარ.

პადრე მანუელ ველიო

ვიცი, რომ გაუგებრად ვლაპარაკობ, როდესაც ვამტკიცებ, რომ რეალობა ბუნდოვანი
ცნებაა. სხვა სიტყვებით: ჩვენ გარშემო მყოფ ადამიანებზე მაქსიმალურად ზუსტი
წარმოდგენის შექმნა იმ საგნების შეცნობის ერთ-ერთი გზაა, რომლებიც რეალობის
ჩარჩოებში ვერ თავსდებიან. შეცნობის გზაცაა და მათთან ჩვენი შეხების წერტილიც.

მარგერიტ იურსენარი, ინტერვიუთა კრებული

დონ ჟუანი, ამ სახელის მეხუთე მატარებელი პორტუგალიის მეფეთა ნუსხაში, ამაღამ
თავისი მეუღლის, დონა მარია-ანა-ჟოზეფას საძინებელში მიეშურება. ორ წელიწადზე
მეტია, რაც დედოფალი ავსტრიიდან ჩამობრძანდა, რათა პორტუგალიის სამეფოს
ინფანტები აჩუქოს, მაგრამ ჯერჯერობით არ დაორსულებულა. უკვე ჭორები
ვრცელდება სასახლეშიც და მის ფარგლებს გარეთაც, ლაპარაკობენ, რომ, შესაძლოა,
დედოფლის წიაღი უნაყოფოა, ავი წინასწარმეტყველებათ, მსტოვართა ყურებისა და
ენისათვის როდია გათვალისწინებული, მას მხოლოდ ახლობლებს უზიარებენ. რაღა
თქმა უნდა, მეფე არაა დამნაშავე, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ჯერ ერთი –
უნაყოფობის სენი მამაკაცებს კი არა, ქალებს ემართებათ, ამიტომაც უარყოფენ ცოლებს
ასე ხშირად, მეორეც – თუ საჭირო გახდა, ამის ნივთიერი მტკიცებულებაც არსებობს,
ქვეყანაში მეფის მრავალი უკანონო ნაშიერი ცხოვრობს, რაც მართალია, მართალია.
თანაც მეფე კი არა, დედოფალი ლოცულობს დღე და ღამე, ზეცას შვილს სთხოვს, ამასაც
ორი მიზეზი აქვს: პირველი ის, რომ არც ერთი მეფე, და მით უმეტეს, – პორტუგალიისა,

არ ითხოვს იმას, რისი მიცემაც თავად შეუძლია, და მეორე – რადგანაც ქალი თავისი ბუნებით მიმდები ჭურჭელია, ბუნებამვე დაუწესა მას მთხოვნელის როლი და, ამრიგად, ზენაარს უნდა ევედრებოდეს როგორც მუხლებზე დაჩოქილი, ასევე სხვაგვარადაც, მაგრამ მეფის მცდელობებს შედეგი არ მოაქვს, მიუხედავად იმისა, რომ კვირაში ორჯერ ძალებს არ ზოგავს და მონარქისა და მეუღლის მოვალეობას პირნათლად ასრულებს, მხოლოდ რომელიმე რელიგიური აკრძალვის გამო თუ იკავებს თავს, ან შეუძლოდ ყოფნის ჟამს, არც დედოფლის მოთმინება და ღვთისმოსაობა შველის საქმეს, იგი მარტო ლოცვით კი არ იფარგლება, გაუნძრევლად წევს ხოლმე, როდესაც მეუღლე მის სარეცელს ტოვებს, რათა მათი სითხეები ჯეროვნად შეერთდნენ. მაგრამ დედოფალს ეს სითხე აშკარად აკლია, რადგანაც ჯერ ერთი, სურვილი არ აქვს საკმარისი, ალბათ, ჯერ ასაკიც არ შესრულებია, მეორეც – ქრისტიანული ზნეობის სიჭარბის გამო, მეფეს კი ეს სითხე მოჭარბებულადაც კი აქვს, როგორც იმ მამაკაცს შეჭფერის, ჯერ ოცდაორი წელიც რომ არ შესრულებია. არც ლოცვა, არც მეუღლის მცდელობები არ შველის დონა მარია-ანას, ვერა და ვერ იღო მუცლად. მაგრამ უფალი მოწყალეა.

ღვთის საზომითაც კი უშველებელია წმინდა პეტრეს ტაძარი რომში, რომელსაც მეფე აგებს. ეს ტაძარი თხრილებისა და ფუნდამენტის გარეშე იგება, პირდაპირ მეფის ოთახში, მაგიდის ზედაპირზე, რომელიც შეიძლება არც კი ყოფილიყო ასე მასიური, რომ ამ ტვირთისთვის გაეძლო, მინიატურული ტაძრის ტვირთისათვის, ეს მაკეტი ჯერ ნაწილებადაა დაშლილი, ეს ნაწილები ერთმანეთში იდგმება ძველებური სისტემის მიხედვით, ოთხი მორიგე კარისკაცი მოწიწებით აჩვენებს მათ მეფეს. ზარდახშა, რომელშიც დეტალები ინახება, გუნდრუკის სურნელს აფრქვევს, თითოეული წითელ ხავერდში ცალ-ცალკეა გახვეული, რათა რომელიმე წმინდანის ქანდაკება შემთხვევით რომელიმე პილასტრის წახნაგმა არ დააზიანოს. სამუშაო უკვე დასასრულს უახლოვდება. ყველა კედელი მყარადაა ჩასმული ბუდეებში, სვეტებს მტკიცედ უჭირავთ კარნიზები, მათზე ლათინური ასოების მწკრივებია, ისინი ბორგეუების საგვარეულოს წარმომადგენლის, პავლე V-ის სახელსა და ტიტულს გვამცნობენ, ამ ასოებს მეფე დიდი ხანია ყურადღებას აღარ აქცევს, თუმცა ღია ციფრის ყურება კი სიამოვნებს, იგივეა, რაც მისი საკუთარი. მონარქისთვის თავმდაბლობა ნაკლია. მეფე თავისი ხელით სვამს წმინდანების და წინასწარმეტყველების პატარა ფიგურებს სპეციალურ ღრმულებში, სახურავზე, კარისკაცი წელში იხრება ყოველთვის, როცა ძვირფას ხავერდს შლის და მეფეს ქანდაკებას ხელისგულით აწვდის – წინასწარმეტყველს, რომელიც გულაღმა წევს, ან წმინდანს ფეხებით წინ, მაგრამ ამ უნებლიე უპატივცემულობას არავინ იმჩნევს, მით უმეტეს, რომ მეფე წამში აღადგენს წესრიგსა და საზეიმო განწყობას, ქანდაკებას თავის შესაფერ ადგილას ათავსებს. მაგრამ ისინი თავისი სიმაღლიდან წმინდა პეტრეს მოედანს კი არ ხედავენ, არამედ პორტუგალიის მეფესა და მის კარისკაცებს, აივანს, რომელსაც მეფე სამლოცველოდ იყენებს, ფარდებს, რომლებიც სამეფო კაპელის შესასვლელში

ჰკიდია, ხვალ კი, დილის წირვის ჟამს, თუ ხავერდში გახვეულებს უკან, ზარდახშაში, არ დააბრუნებენ, ნახავენ, როგორ იმეორებს მეფე წმინდა ლიტურგიის სიტყვებს, გარშემო კი ამაღა ახვევია, მასში ის აზნაურები კი აღარ შედიან, რომლებიც ახლა ემსახურებიან, რადგან კვირა თავდება და ხვალიდან სხვებს უწევთ მორიგეობა. ამ აივნის ქვეშ კიდევ ერთია, ისიც ფარდებს იქით მდებარე კაპელას უერთდება, მაგრამ იქ არაფერს არ აგებენ, იქ დედოფალი განმარტოვდება ხოლმე ღვთისმსახურების დროს, მაგრამ ამაოდ – არაფერი შველის. ახლა მარტო მიქელანჯელოს გუმბათი აკლია მაკეტს, ეს განხორციელებული ექსტაზი, თავისი დიდი წონის გამო ცალკე ზარდახშაში რომ ინახება, რადგანაც გუმბათის დადგმით ტაძრის მოდელის აწყობა სრულდება, ეს ქმედება განსაკუთრებული პომპეზურობით მიმდინარეობს. დიდი ხმაურით ჯდება სამაგრები ბუდეებში, და აი – საქმე გაკეთებულია. ხმამ კაპელაში გაიჟღერა, დარბაზები გაიარა, დერეფნებში გააღწია და თავის საძინებელში მყოფ დედოფალს აუწყა, რომ მეუღლე მისკენ მოემართება.

ცოტა უნდა მოიცადოს. მეფე ჯერ დასაწოლად ემზადება. კამერდინერებმა ტანისამოსი გახადეს და ლოგინის შესაფერი და დროების შესაბამისი კოსტიუმი ჩააცვეს. ყოველი ნივთი ფრთხილად გადადის ხელიდან ხელში, ისეთივე სასოებით, როგორც წმინდა რელიქვიები, ეს ყველაფერი მრავალრიცხოვანი მსახურების და პაჟების თანდასწრებით ხდება. ერთი უჯრას ალებს, მეორე ფარდას სწევს, მესამეს სანთელი უჭირავს და ალს ხელისგულს აფარებს, მეოთხე გაუნძრევლად დგას, დანარჩენები რას აკეთებენ, გაუგებარია, საერთოდ რისთვის არიან აქ, ესეც არავინ იცის. ბოლოს და ბოლოს, საერთო ძალისხმევით, მეფე ჩაცმულია, ერთი აზნაური ნაკეცებს უსწორებს ტანსაცმელზე, მეორე ჟაბოს უფუებს, წამიც და – დონ ჟუან V დედოფლის საძინებელში შევა. ჭურჭელი იმის მომლოდინეა, როდის გააბედნიერებს მას წყარო.

აი, შემოდის დონ ნუნო და კუნია, ეპისკოპოსი-ინკვიზიტორი, უკან მოხუცი ფრანცისკანელი ბერი მოჰყვება. მათ შემოსვლასა და ვიზიტის მიზნის მოხსენების მომენტს შორის რთული ცერემონიალია – მისალმება, თავის მოდრეკა, ორივე წელში იხრება, უკან იხვევს. ძველ რიტუალს ასრულებენ, რომლის დეტალებშიც ახლა არ ჩავლრმავდებით, თანაც ეპისკოპოსი აშკარად ჩქარობს, ფრანცისკანელი ბერი კი აღტაცებულია. დონ ჟუან V და ინკვიზიტორი განზე გადგნენ და ამ უკანასკნელმა მოახსენა, რომ ეს ბერი, ძმა ანტონიო დი სან-ჟოზე, მოვიყვანე, მან იცის თქვენი უდიდებულესობის მწუხარების შესახებ დედოფლის უშვილობის გამო, მე ვთხოვე მას, უფლის მიმართ ელოცა, რათა თქვენ მემკვიდრე შეგძენოდათ, მან კი მიპასუხა, რომ თქვენს უდიდებულესობას ძე ეყოლება, თუკი, მეფეო, თქვენი ნება იქნება ამაზე. მაშინ მე შევეკითხე, რას გულისხმობ ამ ბუნდოვან სიტყვებში-მეთქი, ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ მის უდიდებულესობას ძალიან უნდა, რომ შვილი შეეძინოს, ამაზე კი მან გასაგებად და ნათლად მიპასუხა, რომ, თუ თქვენი უდიდებულესობა აღთქმას

დადებს, რომ სოფელ მაფრაში მონასტერს ააშენებს, მაშინ უფალი მემკვიდრეებს აჩუქებსო. ესა თქვა დონ ნუნომ და ბერს ანიშნა, მოგვიახლოვდიო. და მეფემ ჰკითხა მას, მართალია, რაც ახლა გავიგე მისი უწმინდესობისაგან, ესე იგი, თუ აღთქმას დავდებ, რომ მაფრაში მონასტერი აიგება, შვილები მეყოლება? და ბერმა მიუგო, სრული სიმართლეა, ხელმწიფეო, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონასტერი ფრანცისკანული იქნება, და ისევ შეეკითხა მეფე, საიდან იციო, და ძმა ანტონიომ უთხრა, ვიცი, მაგრამ საიდან, თავად ვერ ვხვდებიო, მე მხოლოდ ჭეშმარიტების საყვირი ვარ! და თუ ნამდვილი მორწმუნე ხარ, ამას კითხვაც კი არ უნდა, ააგეთ, თქვენო უდიდებულესობავ, მონასტერი, მაშინ შვილები გეყოლებათ, არ ააგებთ და – ყველაფერი უფლის ხელშია. ხელის ქესტით დაითხოვა იგი ხელმწიფემ და შემდეგ ჰკითხა დონ ნუნო და კუნთას, ზნეკეთილია ეს ბერი თუ არაო, და ეპისკოპოსმა მიუგო, მასზე ზნეკეთილს მთელს მათ ორდენში ვერ იპოვიო. მაშინ დონ ჟუანი, ამ სახელის მეხუთე მფლობელი, დარწმუნდა, რომ ახლავე უნდა მისცეს ეს აღთქმა უფალს, ხმა აღიმადლა, რათა ყველა იქ მყოფს გაეგონა მისი სიტყვები და უკვე დილით ისინი მთელს დედაქალაქსა და სამეფოს სცოდნოდა და თქვა, ვფიცავ, ავაგებ ფრანცისკანულ მონასტერს სოფელ მაფრაში, თუ ამ დღიდან მოყოლებული ერთი წლის განმავლობაში დედოფალი შვილს მაჩუქებს, და ყველამ შესძახა, ღმერთმა უსმინოს თქვენს უდიდებულესობას, მაგრამ ვერავინ ვერ გაიგო, ვის უწყობდნენ გამოცდას, თავად უფალ ღმერთს, მეფის მამაკაცურ ძალას თუ დედოფლის ნაყოფიერებას.

დონა მარია-ანა თავის მთავარ სეფე-ქალს, პორტუგალიელ მარკიზა დე უნიანს ესაუბრება. მათ უკვე განიხილეს დღევანდელი საღვთო საქმეები, გაიხსენეს, როგორ მოინახულეს უმანკო ჩასახვის მონასტერი კარდაისში, რომელშიც ფეხშიშველი კარმელიტი ქალები ცხოვრობენ, ცხრადღიანი ფეხზე დგომაც ახსენეს წმინდა ფრანცისკის პატივსაცემად, რომელიც ხვალ დაიწყება წმინდა როხას ეკლესიაში – მართლაც, დედოფლისა და მარკიზას შესაფერისი საუბარია! სათნო და ცრემლისმომგვრელი, როდესაც წმინდანების სახელებს ახსენებენ, სევდიანი – როდესაც რომელიმე მარტილს ან მონანიების მკაცრ სასჯელს შეეხება, რომელსაც ბერ-მონაზვნებს ადებენ ხოლმე, თუნდაც ეს მხოლოდ მარხვა ან შიშველ ტანზე მოხვეული ჯვარო იყოს. მაგრამ აი, მსახურმა მეფის მოსვლა აუწყა დედოფალს, მონარქი მეუღლისკენ მოეშურება, მისი სული აღმაფრენას განიცდის, ძმა ანტონიო დი სან-ჟოზეს საშუალებით უფლისათვის მიცემული მისტიური აღთქმითა და ხორციელი სურვილითაა აღტკინებული. მეფეს ორი კამერდინერი შემოჰყვა, მათ ზედმეტი ტანისამოსი გააძრეს, მარკიზა კი ამასობაში დედოფალს ეხმარებოდა გახდაში, მას კიდევ ერთი გრაფინია შეეშველა, და კიდევ მეორე სეფე-ქალი, არანაკლები გვარიშვილი ქალბატონი, რომელიც ავსტრიიდან ჩამოჰყვა დედოფალს, სამინებელში მთელი საკრებულოა, მათი უდიდებულესობები ერთმანეთს ესალმებიან, ცერემონიას ბოლო არ

უჩანს, მაგრამ აი, კამერდინერები ერთ კარით გავიდნენ, ქალბატონები — მეორით. კამერდინერები მეფეს შემოსასვლელში დაელოდებიან, რათა მერე თავის აპარტამენტებში გააცილონ, რომლებიც აქამდე მის მამას ეკუთვნოდა, სეფე-ქალები კი დედოფლის საძინებელში შევლენ, დონა მარია-ანას ბუმბულის საბანს დააფარებენ. ეს საბანი მან ავსტრიიდან ჩამოიტანა და ზამთარ-ზაფხულ არ იშორებს. ეს საბანი თებერვლის ცივი ამინდისთვისაც კი ზედმეტად თბილია და სწორედ მის გამო აღარ რჩება ხოლმე მისი უდიდებულესობა დედოფალთან დილამდე, თუმცა თავიდან რჩებოდა, რადგან სიახლის ხიბლი დისკომფორტზე ძლიერი იყო, თანაც არცთუ პატარა დისკომფორტზე, მეფე სულ ოფლში იწურებოდა, თავისაში და დედოფლისაში, დედოფალი კი კისრამდე გაეხვეოდა ხოლმე საბანში და ლამის იხუთებოდა. დონა მარია-ანა არცთუ თბილი ქვეყნიდან ჩამოვიდა, მაგრამ აქაურ კლიმატს ვერ ეგუება. თავით ფეხებამდე იფუთნება ამ უზარმაზარი, აფუებული ბუმბულის საბნით და იმ თხუნელასავით იკუნტება, რომელიც ქვას წააწყდა და ფიქრობს, საით გააგრძელოს მიწისქვეშა გვირაბის თხრა.

მეფესაც და დედოფალსაც გრძელი, იატაკამდე ჩამოშვებული პერანგები აცვიათ, მეფის პერანგის დაქარგული კალთა იატაკს ეხება, დედოფალს კი შლეიფივით დასთრევს, რათა ფეხები არ გამოუჩნდეს, ტერფის წვერი ან ფეხის ცერი – ეს ხომ ურცხვობის ნებისმიერ გამოვლენაზე უარესია. დონ ჟუან V-ს ხელჩაკიდებული მიჰყავს დონა მარია-ანა საწოლისაკენ, როგორც ცეკვის დროს. სანამ სამეფო წყვილი საწოლისაკენ მიმავალ საფეხურებს აივლის, კიდევ ერთი რიტუალია შესასრულებელი. ორივე მუხლს იყრის სარეცლის აქეთ-იქით და ლოცვას კითხულობს. ეს უსაფრთხოების გამო ხდება, რათა სქესობრივი აქტის დროს რომელიმე მოუწანიებლად არ გარდაიცვალოს, და თანაც იმიტომ, რომ მორიგი მცდელობა მაინც დაგვირგვინდეს წარმატებით, ამჯერად დონ ჟუან V-ს ორმაგი იმედი აქვს – უფლისა და საკუთარი ძალისა, და ამიტომაც ორმაგად გულმხურვალედ შესთხოვს ღმერთს, შვილი უბოძოს. დონა მარია-ანას რაც შეეხება, ალბათ, იმასვე ევედრება უზენაესს, თუ, რა თქმა უნდა, რაიმე სხვა ფარული მიზეზი არა აქვს, მაგრამ ეს უკვე აღსარების საიდუმლოა.

აი, ავიდნენ სარეცელზე. ეს ლოგინი ჰოლანდიიდან საგანგებოდ არის ჩამოტანილი დედოფლის ავსტრიიდან ჩამოსვლასთან დაკავშირებით. მეფემ თავად შეუკვეთა იგი, ხუთი ათასი კრუზადონ დაუჯდა, რადგანაც პორტუგალიაში არ ჰყავთ ასეთი კარგი ოსტატები და, რომც ეპოვათ, ამდენს, რა თქმა უნდა, არ გადაუხდიდნენ. გაუწაფავი თვალი ვერც კი გაარჩევს, მართლა ხისგანაა გაკეთებული ეს საოცარი, ბრწყინვალე აბრეშუმგადაკრული, ოქროსფერი ყვავილებითა და ჩახლართული ორნამენტებით დაქარგული ქმნილება თუ არა, ჩარდახის ქსოვილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, თვით რომის პაპის სამოსისათვისაც კი გამოდგება. როდესაც ლოგინი ამ ოთახში დადგეს, მაშინ მასში ჯერ რწყილები არ ცხოვრობდნენ, ბუნებრივიცაა, მაშინ ხომ სულ

ახალთახალი იყო, ახლა კი გაჩნდნენ, სასახლის სხვა სათავსებიდან თუ ქალაქიდან შემოაღწიეს, რას გაიგებ, საიდან მოდიან ეს წყეულები და, რადგანაც ლოგინი ასე ძვირფასი მასალისგანაა გაკეთებული, ასეა მორთული და მოკაზმული, მას ვერ დამდუღრავ, რათა მწერები გამოდევნო, ერთი საშუალება რჩება, თუმცა მთლად საიმედო არაა, წმინდა ალექსის ყოველ წელს ორმოცდაათ რეალს უხდიან, რომ დედოფალიცა და ყველა ჩვენგანი ამ ჭირს და მათი ნაკბენების ტკივილს და ქავილს გადაარჩინოს. ისეთ ღამეებში, როდესაც დედოფალთან მეფე შედის, რწყილები ცოტა მოგვიანებით იწყებენ დედოფლის კბენას, რადგან ამ მწერებს სიმშვიდე და მძინარე ადამიანი უყვართ, მეფე კი ლეიბებს აჯანჯლარებს. სამაგიეროდ, მეფის სარეცელზე სხვა რწყილები ელიან მათთვის განკუთვნილ სისხლს, რომელიც, მათი აზრით, სხვაზე არც მეტია და არც ნაკლები, ისეთივეა, როგორც სხვა ადამიანებისა, ცისფერი იქნება თუ ბუნებრივი ფერის.

დონა მარია-ანამ მეფეს თავისი ოფლიანი და გაყინული ხელი გაუწოდა, რომელიც, ბუმბულის საბნის ქვეშ გამთბარიც კი, წამში უცივდება საძინებლის გრილ და ნესტიან ჰაერზე. მეფემ თავისი ვალი უკვე მოიხადა და იმისი იმედი აქვს, რომ მისი რწმენა, ღვთისმოსაობა და ძალისხმევა ნაყოფს გამოიღებს, ასე რომ, ხელზე კოცნის დედოფალს და მისი მომავალი შვილების დედას – თუ, რა თქმა უნდა, ძმა ანტონიო დი სან-ჟოზე არ ტყუის. დონა მარია-ანა ზარის ზონარს ქაჩავს, ერთი კარიდან კამერდინერები შემოდიან, მეორიდან – სეფე-ქალები, ოთახში ბევრნაირი სუნი ტრიალებს, ერთ-ერთი მათგანი შემოსულთათვის კარგადაა ნაცნობი – უიმისოდ ის სასწაული, რომელსაც დღეს ელიან, შეუძლებელი იქნებოდა, სხვა სასწაული, უმანკო ჩასახვის სასწაული, მხოლოდ ერთხელ მოხდა და მეორედ აღარ განმეორდება, ისიც იმისთვის, რომ ყველას გაეგო – უფალი თუ მოინდომებს, უმამაკაცოდაც შეძლებს ამის გაკეთებას, ქალის თვინიერ კი – შეუძლებელია.

თუმცა დედოფლის მოძღვარი სულ იმას შთააგონებს, რომ მისი სინდისი სუფთაა, დონა მარია-ანა მაინც სულიერ ტკივილს განიცდის ხოლმე. მეფე და კამერდინერები უკვე წავიდნენ, სეფე-ქალებმაც დაიძინეს, დედოფალი კი იმაზე ფიქრობს, რომ ძილისპირის ლოცვა ჯეროვნად ვერ შეასრულა, რადგან ექიმები ამ დროს ადგომას უკრძალავენ, ის გაუნძრევლად უნდა იწვეს, როგორც კრუხი ბუდეში, ჩუმად ჩურჩულებს და კრიალოსანს ათამაშებს, სულ უფრო ნელა, ვიდრე შუა ლოცვაში არ ჩაეძინება: გიხაროდეს, ქალწულო, მაღლით მოსილო. ეჰ, მაგას რა უჭირდა, კურთხეული ხარ ასულთა შორის, კურთხეულია ნაყოფი მუცლისა შენისა – დედოფალი საკუთარი მუცლის ნაყოფზე ფიქრობს, ასეთ სასურველზე – ღმერთო, ოღონდ შვილი მეყოლოს, ოღონდ მეყოლოს. აღსარებისას არასდროს არ აღიარებდა ამ თავის ამპარტავნებას. ეს უნებლიე ცოდვა იმდენად განყენებული იყო, რომ დედოფალს სრულიად გულწრფელად შეეძლო დაეფიცა, რომ მხოლოდ ღვთისმშობელს მიმართავს. ეს მეფური

ქვეცნობიერების რთული ხლართებია, მათ ის სიზმრებიც განეკუთვნება, რომლებსაც დონა მარია-ანა ხშირად ხედავს ხოლმე მეუღლის წასვლის შემდეგ. აბა, სცადოს ვინმემ და ახსნას ასეთი რამ – დედოფალს ესიზმრება, რომ ტერიერო-დო-პასოზენ მიდის, იმ მხარეს, სადაც სასაკლაოებია, კაბის კალთა აიკრიფა და წებოვან ტალახში ფრთხილად ადგამს ფეხებს. ტალახს რაღაც მამაკაცური სუნი ასდის. ამ დროს კი მის გარშემო ოჩოფეხებზე შემდგარი დონ ფრანსისკო, მისი მაზლი ცეკვავს. შავ წეროსა ჰგავს. არც ამ სიზმრის შესახებ უამბუნია აღსარებაზე, ან კი რას ეტყოდა ამაზე მოძღვარი, იმ წიგნში, სადაც წერია, როგორ უნდა თქვა აღსარება, ასეთი რამე ნახსენებიც კი არაა. დაე, მშვიდად იძინოს დონა მარია-ანამ თავისი ბუმბულის მთის ქვეშ, რწყილები კი ამასობაში ხვრელებიდან გამოდიან და საწოლის მაღალი ზურგიდან ძირს ხტებიან.

დონ ჟუან V-მაც ნახა იმ ღამეს სიზმარი. ეზმანა, რომ მისი სხეულიდან იესეს ხე7 ამოვიდა, უზარმაზარი, განტოტვილი, ქრისტეს წინაპრებით დასახლებული. ქრისტეც აქ იყო, ყველა სამეფოს მემკვიდრე, მერე კი ხე გაქრა და მის ადგილას მთელი თავისი ბრწყინვალეობით, სიმძლავრით, მაღალი სვეტებით, სამრეკლოებით, გუმბათებით, კოშკებით ფრანცისკანული მონასტერი წამოიშორა, ძმა ანტონიო დი სან-ჟოზემ ჭიშკარი გააღო. ასეთი ტემპერამენტისანი მეფეები იშვიათობაა, მაგრამ პორტუგალიას მეფეებში ყოველთვის უმართლებდა.

სასწაულებშიც უმართლებდა. ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი, სასწაული ჯერ მწიფდება, თუმცა არც ისე დიდი სასწაულია, უბრალოდ ღვთის საჩუქარია, მოწყალე მზერით გადმოხედა უფალმა პორტუგალიას და ქალის უნაყოფო წიაღს. არა, სჯობს მანამდე უკვე მომხდარ და დადასტურებულ სასწაულებზე ვისაუბროთ, რომლებიც მეფის მიერ მიცემულ აღთქმას სიკეთეს უქადიან და რომლებსაც სადმე კი არა, ფრანცისკანელთა ორდენში ჰქონდათ ადგილი.

აი, მაგალითად, ძმა მიგელ და ანუნსიანის გარდაცვალების ამბავი, რომელიც მამა-პროვინციალად აირჩიეს წმინდა ფრანცისკის მესამე ორდენში და რომლის არჩევამაც, აქვე უნდა ითქვას, დიდი ომი გამოიწვია, ეს ომი წმინდა მარიამ მაგდალინელის ეკლესიის სამღვდელოებამ წამოიწყო მამა მიგელის წინააღმდეგ, მის პროვინციალად დანიშვნას აპროტესტებდნენ, ეს რაღაც გაუგებარი შურის გამო მოხდა, მაგრამ ისე სასტიკად და დაუნდობლად იბრძოდნენ, რომ მამა მიგელს სიკვდილამდე არ ჰქონია მოსვენება მათი საჩივრებისგან. გაუგებარი იყო, რას გადაწყვიტდა სასამართლო ან როდის შეწყდებოდა ეს დავა, იმიტომ, რომ, როგორც კი განაჩენს გამოიტანდნენ, იმ წუთში მისი გასაჩივრება ხდებოდა, ძლივს დასრულდებოდა სასამართლო სხდომები, მაშინვე აპელაციის პროცესი იწყებოდა, ასე გაგრძელდებოდა კიდევ დიდხანს, თავად სიკვდილს რომ არ შეეწყვიტა საქმე. რა თქმა უნდა, ძმა მიგელი დარდს არ გადაჰყოლია, ბოროტმა ციებ-ცხელებამ შეიწირა, მუცლის ტიფი იყო თუ რაიმე სხვა, უცნობი სენი,

არავინ იცის, ჩვეულებრივი აღსასრულია დიდი ქალაქის მცხოვრებისთვის, სადაც სასმელი წყლის ნაკლებობაა და გალისიელი წყლის მზიდავეები უსირცხვილოდ ავსებენ კასრებს ცხენებისთვის განკუთვნილ წყაროებზე, ჰოდა, ამიტომაც იხოცებიან პროვინცილები დროზე ადრე. მაგრამ ძმა მიგელ და ანუნსიანი ისეთი ღვთისნიერი იყო, რომ სიკვდილის შემდეგაც სიკეთით უპასუხა ბოროტებაზე, სიცოცხლეში თუ ბევრი მაღლი უქნია, გარდაცვლილი უკვე ნამდვილ სასწაულებს ახდენდა და პირველი მისი სასწაული ის იყო, რომ უარყო ექიმების აზრი იმის შესახებ, რომ მისი სხეული სწრაფად გაიხრწნება და ამიტომ დამკრძალავი რიტუალი უნდა შემოკლდეს. მისი ნეშტი არათუ არ გაიხრწნა, სამ დღეს სურნელით ავსებდა წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიას, სადაც ესვენა. გვამი არც კი გაშეშებულა, არამედ ცოცხალივით რბილი და თბილი იყო.

ამას ისეთი საოცარი მოვლენა მოჰყვა, რომელიც ნამდვილი სასწაული იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მთელი ქალაქი შეიყარა სანახავად და მოსასმენად, რადგან დამტკიცდა, რომ ხსენებულ ეკლესიაში ბრძებს მხედველობა უბრუნდებათ, საპყრებს – სიარულის უნარი. იმხელა ბრბომ მოიყარა თავი ეკლესიის პორტალთან, რომ ხალხი ჩხუბობდა, მუშტებით იკვლევდა გზას, დანაც დაატრიალეს, რის შედეგადაც რამდენიმე ადამიანი დაიღუპა, ამ უკანასკნელთ სასწაულმა ვეღარ უშველა. თუმცა, შეიძლება, შველოდათ კიდევ, მაგრამ სამი დღის შემდეგ ნეშტი საიდუმლოდ გაიტანეს ეკლესიიდან და საიდუმლოდვე დაკრძალეს. იმედდაკარგულმა საპყრებმა, ბრძებმა და მუნჯებმა (ყოველ შემთხვევაში, მორიგი წმინდანის გამოჩენამდე იმედდაკარგულებმა) დიდი ჩხუბი ატეხეს, ზოგი ყვიროდა და წმინდანებს ლანძღავდა, სანამ სამღვდელოება არ გამოვიდა გარეთ და ყველა არ დალოცა, ამის შემდეგ ხალხი დაიშალა, რადგან სხვა რამის მოლოდინს უკვე აზრი აღარ ჰქონდა.

მაგრამ ჩვენი ქვეყანა, მოდით, სირცხვილი დროებით დავივიწყოთ და გულწრფელად ვაღიაროთ ეს ამბავი, ქურდების ქვეყანაა, როგორც იტყვიან, რაც ცუდად დევს, ყველაფერს იპარავენ. რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს რწმენა, ეკლესიის მმარცველების ურცხვობა და უტიფრობა უფრო ძლიერია, როგორც ეს შარშან გიმარაენსში მოხდა, ისევ და ისევ წმინდა ფრანცისკის ეკლესიაში. ამ წმინდანმა, როგორც ცნობილია, ამქვეყნიური ამოება და სიმდიდრე უარყო, ჰოდა, ეტყობა, იმაზეც ყაბულსაა, რომ მარადისობაშიც წართვან ყველაფერი. წმინდა ანტონიუსს კი არა ჰგავს, ეს უკანასკნელი თავისი მომჭირნეობითა და პრაქტიკულობითაა ცნობილი, თავისი საკურთხევლების და საცავების მარცვას არ მოითმენს, გიმარაენსში იქნება ეს, როგორც უკვე ვთქვით, თუ ლისაბონში, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

საქმე ასე იყო – გიმარაენსში ქურდები ეკლესიაში ფანჯრიდან გადაძვრნენ, ამ დროს კი თვით წმინდა ანტონიუსი გამოეცხადათ. ქურდებს ისე შეეშინდათ, რომ ერთი კიბიდან ჩამოვარდა, მართალია, ძვლები მთელი შერჩა, მაგრამ განძრევის თავი აღარ ჰქონდა,

თითქოს დამბლა დაეცაო, ამხანაგებს მისი წაყვანა უნდოდათ, ქურდებს შორისაც ხომ არიან ერთგული და გულკეთილი ადამიანები – მაგრამ ამაოდ, ძვრაც ვერ უყვეს. მსგავსი შემთხვევა სხვა დროსაც მომხდარა, მაგალითად, ის ამბავი – ინესს, წმინდა კლარას მონაზონს, რომ გადახდა. იმ დროს ჯერ კიდევ წმინდა ფრანცისკი დადიოდა ამქვეყნად, ხუთასი წლის წინათ, დაახლოებით ათას ორას თერთმეტ წელს, მაგრამ მაშინ ქურდობას კი არ ჰქონდა ადგილი, უფრო სწორად, რაღაცის მოპარვა უნდოდათ, მაგრამ ნივთის კი არა, თავად ღვთისმსახური ქალწულის. ეს ჩვენი გიმარაენსელი ქურდი კი ასე დარჩა იატაკზე გამოტოლი, უფლის ხელი აკავებდა თუ სატანასი, გაუგებარია, დილით კი ეკლესიის მსახურებმა იპოვეს, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ასწიეს და საკურთხეველზე დააწვინეს, რათა წმინდანს დამბლისგან განეკურნა. ჰოდა, სასწაულიც მოხდა – წმინდა ანტონიუსის ქანდაკებას ოფლმა დაასხა, ამასობაში სასამართლოს მოხელეები და ნოტარიუსებიც მოვიდნენ, წესისამებრ, დააფიქსირეს სასწაულის ფაქტი, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ ხე ოფლს გამოყოფდა. ქურდიც განიკურნა, როდესაც ამ ოფლში დასველებული პირსახოცით დაზილეს. ასე გადარჩა და თანაც ცოდვებიც მოინანია.

თუმცა ყოველთვის ასე ადვილი როდია ჭეშმარიტების გარკვევა. ლისაბონშიც, მაგალითად, სასწაული მოხდა, მაგრამ ქურდები ვერ იპოვეს. რაღაც ეჭვები კი იყო, მაგრამ არ გამართლდა, რადგანაც საბოლოო ჯამში ბრალდებულებს, თურმე, კეთილი საქმე ჰქონდათ განზრახული. საქმე ისაა, რომ წმინდა ფრანცისკის მონასტერში, შაბრეგასში რომაა, ქურდები შეიპარნენ, ერთი მათგანი გადაძვრა პატარა სარკმლიდან, რომელიც წმინდა ანტონიუსის კაპელას ებჯინება. ჰოდა, მათ (თუ მხოლოდ მან) მთავარ საკურთხეველამდე მიაღწიეს და წამში გააქრეს სამი ლამპარი, რომელიც იქ ეკიდა. კაუჭებიდან ჩამოხსნეს, სრულ სიბნელეში ფანჯრამდე მიათრიეს, არც წაბორძიკებულან, არც წაქცეულან, არც ხმაური აუტეხავთ, ნამდვილი სასწაული იყო. ეს ყველაფერი ნამდვილად რომელიმე გზას აცდენილი წმინდანის მფარველობით მოხდა, თუმცა ამ დროს ეკლესიის ზარმაც მთელი ხმით რეკვა დაიწყო და ბერებს დილის ლოცვაზე უხმო. ალბათ, ამიტომაც გააღწია ქურდმა სამშვიდობოს, რაც არ უნდა ხმაური აეტეხა, მაინც ვერავინ ვერ გაიგონებდა. ცხადია, ქურდმა მონასტრის წესები კარგად იცოდა.

შედიან ბერები ეკლესიაში, იქ კი სიბნელეა, არაფერი ჩანს. ძმა, რომელიც ლამპრებზე აგებდა პასუხს, უკვე შეეგუა იმ აზრს, რომ მკაცრად დაისჯება, შუქი დროზე რომ არ აანთო. ამ დროს კი აღმოაჩინა, რომ აღარც ზეთიუნის ზეთია საკურთხეველზე (იატაკზე დაუქცევიათ, რასაც სუნი მოწმობს), აღარც ლამპრები, არადა, ყველა მათგანი წმინდა ვერცხლისა იყო. ახლახან მოუპარავთ, ჯერ ის ჯაჭვებიც კი ქანაობდა, რომლებზეც ლამპრები ეკიდა. წყნარ, მელოდიურ წვარუნს გამოსცემდა... აი, ასე მოხდა ეს საქმე.

ახლა ბერები ახლო-მახლო გზებზე გავიდნენ ქურდის საძებრად, ჯგუფებად დაიყვნენ. რომ დაეჭირათ, კაცმა არ იცის, რას უზამდნენ, მაგრამ მის კვალსაც კი ვერ მიაგნეს. რაღას იზამდნენ, უკვე შუალამე გადასული იყო და მთვარეც თვალს მოეფარა. აქომინებულები და ხელცარიელები დაბრუნდნენ მონასტერში, ხუმრობაა, მთელი არემარე ჭენებ-ჭენებით მოიარეს. ამასობაში სხვა ბერები ეკლესიაში დაეძებდნენ ქურდს, რატომღაც გადაწყვიტეს, რომ მან ეშმაკობა იხმარა და სადმე ბნელ კუნჭულში დაიმალა. მთელი ეკლესია გადააქოთეს ქოროდან სადიაკვნემდე და, სანამ ამ ამბავში იყვნენ, სკივრებს თავებს ხდიდნენ, სკამების ქვეშ იხედებოდნენ, ერთმანეთს ანაფორის კალთებსა და სანდლებზე აბიჯებდნენ, ერთმა მოხუცმა ბერმა, რომელიც თავისი სათნოებით, ღვთისმოსაობითა და რწმენის სიმყარით იყო ცნობილი, შენიშნა, რომ ქურდის ხელი წმინდა ანტონიუსის საკურთხეველს არ შეხებია, თუმცა იქ დიდძალი ვერცხლეულობა ინახებოდა, თანაც სულ მასიური, ოსტატურად ნაკეთი და მაღალი სინჯისა. გაუკვირდა ღირს მამას, თქვენ რა, არ გაგიკვირდებოდათ, იქ რომ აღმოჩენილიყავით: ქურდი ხომ პატარა სარკმლიდან გადმოძვრა, გვერდითა, მიმდებარე ეკლესიიდან. სრულიად ცხადია, რომ, სანამ ლამპრებს მოიპარავდა, მანამდე წმინდა ანტონიუსის ეკლესიის საკურთხეველს ჩაუარა. მაშინ ბერი აღშფოთდა, წმინდა ანტონიუსის ქანდაკებას მიუბრუნდა და უსაყვედურა, როგორც ადამიანს, რომელმაც თავისი მოვალეობა ცუდად შეასრულა, ნამდვილად ჰქონდა საყვედურის მიზეზი: ეს როგორ, წმინდანო, მარტო საკუთარ ვერცხლეულზე ზრუნავთ, სხვისი ქონება კი – დაე, მოიპარონ? ასეთი საქციელისთვის ავდგებით და თქვენს ნივთებს წავიღებთო. ესა თქვა და საკურთხევილიდან ვერცხლეულის მოხვეტას შეუდგა, ვერცხლის ნივთებს დაფრანაც მიაყოლა, თვით წმინდანის ქანდაკებასაც ჩამოხსნა ძვირფასი ქვებით მორთული შარავანდედი და ჯვრები, კინალამ ჩვილი იესოც მოაძრო, ხელში რომ უჭირავს წმინდა ანტონიუსს, მაგრამ სხვები მოცვივდნენ და გააჩერეს, ეს უკვე ნამეტანია, ჩვილი მაინც დავუტოვოთ საწყალსო. ბერი დაფიქრდა და გადაწყვიტა, არა, მოდი, ჩვილი მაინც ჩვენ გვყავდეს, სანამ ანტონიუსი ლამპრებს არ დაგვიბრუნებსო. ამასობაში ღამის სამი საათი შესრულდა, აი, რა დრო გასულა ქურდების ძებნასა და დამსჯელი ღონისძიების გატარებაში, ამიტომ ძმები დასაძინებლად წავიდნენ, თუმცა ზოგს კი ეშინოდა, რომ წმინდა ანტონიუსი ასეთ შეურაცხყოფას არ აპატიებდათ. მეორე დღეს, ასე თერთმეტ საათზე, მონასტრის ჭიშკარზე ერთმა სტუდენტმა დააკაკუნა. ეს სტუდენტი დიდი ხანია ფრანცისკანელის ანაფორის ჩაცმაზე ოცნებობდა და ხშირად დაიარებოდა მონასტერში. ეს ცნობა იმიტომ მოგვყავს, რომ, ჯერ ერთი, ჭეშმარიტებაა, და ჭეშმარიტება ყოველთვის დასაფასებელია, მეორეც, თუ ვინმე ამ თავსატეხი საქმის გარკვევას დააპირებს, გამოადგება. მოკლედ, სტუდენტმა დააკაკუნა და თქვა, მამა წინამძღვრის ნახვა მინდაო. მიიყვანეს. სტუდენტი მას ხელზე ემთხვია ან, შეიძლება, წელზე შემოხვეულ ბაწარზე, ან ანაფორის კალთაზე, ზუსტად არაა ცნობილი, და მოახსენა, ქალაქში ჭორები დადის, რომ თქვენი ლამპრები კოტოვიაში, ბაირო-ალტო-დი-სან-როკეს უკან, იესოს სამძოს

მონასტერშიაო. წინამძღვარი დაეჭვდა – ჯერ ერთი, მოსული მაინცდამაინც დიდ ნდობას არ იმსახურებდა, ვიღაც სტუდენტია, მართალია, არამზადად არ თვლიან, სულ რომ არაფერი, ფრანცისკანელთა ორდენში მიიღტვის, თუმცა ერთი მეორეს არ გამორიცხავს, მაგრამ ცოტა უცნაური იყო შაბრეგასში მოპარული ნივთების კოტოვიაში გამოჩენა. ეს ორი უბანი ქალაქის სხვადასხვა ბოლოშია. მათ შორის კარგა დიდი მანძილია, ორ ორდენს შორისაც ბევრი არაფერია საერთო, სწორი ხაზით თუ იანგარიშე, მთელი მილია სასიარულო, ერთი ბერები ყავისფერ ანაფორაში დადიან, მეორენი – შავში, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, როგორც იტყვიან, ნაყოფს გემოს ვერ გაუგებ, სანამ არ ჩაკბეჩ. მაგრამ გონიერება ამ ცნობის შემოწმებას მოითხოვდა, ამიტომ ერთი სანდო ბერი ამ სტუდენტთან ერთად კოტოვიაში გაგზავნეს. ისინი ქალაქში წმინდა ჯვრის კარიბჭით შევიდნენ და, თუკი სიზუსტე გნებავთ, წმინდა სტეფანეს მონასტერს გვერდი აუარეს, მერე წმინდა მიხეილის ეკლესიაც გაიარეს, წმინდა პეტრეც უკან ჩამოიტოვეს, მისივე სახელობის კარიბჭეში შევიდნენ, მდინარისკენ დაეშვნენ გრაფ დე ლინიარესის ქუჩით, მარჯვნივ გაუხვიეს, საღვთო კარიბჭით პელოურინიო-ველიოზე გავიდნენ, ყველა ამ ადგილიდან და სახელწოდებიდან ახლა მოგონებებილა დარჩა, გვერდზე მოიტოვეს სავაჭრო ქუჩა იმიტომ, რომ ბერი ძალიან ღვთისმოსავი იყო, ხოლო სავაჭრო ქუჩაზე კი დღემდე მევახშეობას ეწევიან, როსიოც გაიარეს, სან-როკეს გადასასვლელთან გავიდნენ და მონასტრის წინ აღმოჩნდნენ. კარზე დააკაკუნეს და შევიდნენ. მამა წინამძღვართან შეიყვანეს. ბერმა თქვა, ეს სტუდენტი ჩემთან ერთად მოვიდა შაბრეგასიდან და ამბობს, რომ ჩვენი ლამპრები, წუხელ რომ მოიპარეს, თქვენთანაა. წინამძღვარმა უპასუხა, მართლაც ასეა, წუხელ, ასე ღამის ორ საათზე, ვიღაცამ ჭიშკარზე დააბრაზუნა. კარისკაცმა ჰკითხა, რა გინდაო, მან კი უპასუხა, სწრაფად გამიღეთ კარი, პატრონს მისი საკუთრება უნდა დავუბრუნოო. კარისკაცმა მომახსენა ეს უცნაური ამბავი, მეც ჭიშკრის გაღება ვუბრძანე, და იქ ეს ლამპრები დაგვხვდა, ცოტა დასრესილი და ალაგ-ალაგ გატეხილი, აი, ინებეთ, თუ რამე აკლია, ჩვენი ბრალი არაა, ამგვარი ჩავგაბარეს. მომტანი თუ ნახეთო. არა, ნახვით არ გვინახავს, შარავნაზეც კი გავგზავნეთ ბერები, მაგრამ ვერავინ იპოვესო.

ლამპრები შაბრეგასში დააბრუნეს, ვისაც რა უნდა, ის იფიქროს: იქნებ, ეშმაკმა სტუდენტმა ჩაიფიქრა და მოაწყო ეს ამბავი, რომ ფრანცისკანელთა მონასტერში შეეღწია და ნანატრი ანაფორა ჩაეცვა, საბოლოოდ ასეც მოხდა. ამ მიზნით მოიპარა ლამპრები და იეზუიტებს გადასცა, ალბათ, იმის იმედი ჰქონდა, რომ ღვთის სასურველი განზრახვა მის ცუდ საქციელს გაამართლებდა. ან, იქნებ, წმინდა ანტონიუსმა მოახდინა ეს სასწაული, როგორც ადრე მრავალი მოუხდენია. ეს, ალბათ, იმიტომ გამოვიდა, რომ გაბრაზებულმა ბერმა ვერცხლეულობა წაართვა. ეს ბერი დაახლოებით ისე მოიქცა, როგორც მენავეები და მეზღვაურები ტყუილზე: ისინიც ხომ ბრაზობენ, როდესაც რომელიმე წმინდანი მათ თხოვნას არ შეისმენს, და მის გამოსახულებას წყალში

აყურყუმელავებენ. ძალიან ბევრ შემთხვევაში წმინდანი უფრო გამგონი ხდება. სავარაუდოდ იმიტომ კი არა, რომ წმინდანს წყლის ემინია. წმინდანს ისე შეუძლია წყალქვეშ სუნთქვა, როგორც თევზს ლაყურებით, წყალი კი, მოგეხსენებათ, თევზებისთვის ნამდვილი სამოთხეა. არა, წმინდანს რცხენია, რომ თავდაყირა უჭირავთ და მისი ფეხები ყველას დასანახავადაა გამოდგმული. ან სულით ეცემა, როდესაც ვერცხლეულისა და ჩვილი იესოს გარეშე რჩება, ამიტომაც არის წმინდა ანტონიუსი უდიდესი სასწაულმოქმედი, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ნაქურდალის დაბრუნებას ეხება. ასეა თუ ისე, სჯობს, სტუდენტს დავანებოთ თავი ტყუილუბრალო ბრალდებებით. თუ, რა თქმა უნდა, კიდევ რამეს არ ჩაიდენს.

ასეთი პრეცედენტების ფონზე ცხადი ხდება, რომ ფრანცისკანელებს საკმარისი საშუალებები აქვთ, რათა შეცვალონ, შეაბრუნონ ან დააჩქარონ მოვლენათა ბუნებრივი განვითარება. დედოფლის ჯიუტი წიადიც უნდა დამორჩილდეს სასწაულის ძალას, სხვა გზა არა აქვს. მით უმეტეს, რომ მაფრაში მონასტრის აგებას ორდენი 1624 წლიდან ცდილობს, მაშინ მეფე ერთ-ერთი ესპანელი ფილიპე იყო, მას მაინცდამაინც არ ადარდებდა ადგილობრივი ორდენის საქმეები, მთელი ჩვიდმეტწლიანი მეფობის განმავლობაში ვერა და ვერ დასტყუეს მონასტრის აშენების ნებართვა. ამასობაში თვითონ მაფრელი მეცენატებიც ჩაერივნენ საქმეში, მაგრამ, ეტყობა, ფრანცისკანელთა ორდენის არაბიდას პროვინციის განყოფილებას ბედი აღარ სწყალობდა, რადგანაც ჯერ კიდევ გუმინ (თუ ასე შეიძლება ვუწოდოთ ექვსი წლის წინათ, 1705 წელს, მომხდარ ამბავს) უზენაესმა სამეფო სასამართლომ უარით უპასუხა ფრანცისკანელების თხოვნას, თანაც საკმაოდ მკვეთრი ფორმით, მეტიც, უპატივცემულობა გამოიჩინა ეკლესიის ინტერესების მიმართ, რადგანაც დასკვნაში ეწერა, რომ ახალი მონასტრის მშენებლობა სასურველი არაა იმ მიზეზით, რომ სამეფო ისედაც სავსეა მათხოვრული ორდენების მონასტრებით, და კიდევ მრავალი მოსაზრების გამო, რომლებსაც გონიერება გვკარნახობსო. ახლა კი მოუწევთ, ენა მუცელში ჩაიგდონ, რადგანაც ძმა ანტონიო დი სან-ჟოზემ საქვეყნოდ განაცხადა, თუ მონასტერი იქნება, ტახტის მემკვიდრეც იქნებაო. აღთქმა მიცემულია, დედოფალს შვილი ეყოლება, ფრანცისკანელთა ორდენი კი მრავალი ეკლის გვირგვინის შემდეგ გამარჯვების გვირგვინსაც მოიპოვებს. ასწლიანი ლოდინი არც ისე ბევრია იმათთვის, ვინც მარადიულ ცხოვრებაზე ფიქრობს.

ჩვენ ვნახეთ, როგორ მოუხსნეს ბრალდება ლამპრების ქურდობაში ექვმიტანილ სტუდენტს. ის რაღა სალაპარაკოა, რომ ფრანცისკანელებმა დედოფლის ფეხმძიმობის ამბავი თვით მეფეზე ადრე შეიტყვეს (ცხადია, დედოფლის მოძღვარმა აღსარების საიდუმლოება გასცა). არც ისაა სალაპარაკო, რომ დონა მარია-ანამ, როგორც ღვთისმოსავმა და მორწმუნე სენიორამ, დუმილის პირობა დადო, სანამ თავად ორდენის მიერ არჩეული ძმა ანტონიო არ განაცხადებდა ამ ამბავს. ის რაღა სათქმელია, რომ მეფე მთვარის თვეების თვლას დაიწყებს აღთქმის მიცემის დღიდან ინფანტის დაბადებამდე

(წინასწარ გეტყვით, რომ რიცხვები ზუსტად დაემთხვა ერთმანეთს). ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს, ყველაფერი უკვე ისედაც ნათქვამია.

ჰოდა, ფრანცისკანელებსაც მოვუხსნათ ეს ბრალდება, მით უმეტეს, რომ სხვა არაფერში არ არიან შემჩნეულები.

ჩვეულებრივ, ყოველთვის მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ზედმეტი ჭამით კვდებიან. მთელი თავიანთი ცხოვრება მძიმე კერძებს მიირთმევენ, ამ მიზეზის გამო აპოპლექსია ძალზე ხშირია. ზოგჯერ ერთი შეტევაც საკმარისია, რომ ადამიანი სამარეში ჩაიყვანოს, თუ გადარჩა, სხეულის ერთი მხარე პარალიზებული ექნება, პირი მოებრიცება, ხმა ჩაუწყდება, განკურნების იმედი ეკარგება, მარღვის გახსნაც კი არ შველის, თუმცა ამ საშუალებას ხშირად მიმართავენ. მაგრამ ამქვეყნად ისეთი ადამიანებიც არიან, რომლებიც უფრო იოლი სიკვდილით კვდებიან, რადგანაც მთელი ცხოვრების მანძილზე საჭმელი აკლიათ, მწირი რაციონით კმაყოფილდებიან, რომელიც ბრინჯისა და სარდინებისგან შედგება. ამას სალათაც ემატება, რის გამოც პორტუგალიის დედაქალაქის მცხოვრებთ მესალათეებს ეძახიან, ხორცს კი წელიწადში ერთხელ – მისი უდიდებულესობის დაბადების დღეს – ჭამენ. უფლის ნებაა, რომ მდინარე თევზითაა სავსე, მაღლი შევწიროთ ამისთვის მამას, ძესა და სულიწმინდას! უფალს სურს, რომ გლეხებმა ახლომდებარე სოფლებიდან სალათა და სხვა ბოსტნეული ვირებზე დატვირთული სავსე კალათებით ჩამოიტანონ ქალაქში. ამ ხალხს სალოიოს ან სალოიას ეძახიან, სქესს გააჩნია, ამ საქმით ხომ კაცებიც არიან დაკავებული და ქალებიც. კიდევ ღმერთს ისიც სურს, რომ ბრინჯის ნაკლებობა აუტანელი არ გახდეს. მაგრამ ქალაქში მაინც ყოველთვის ასეა, ზოგი ძალიან ზედმეტს ჭამს, ზოგს მუდმივად შია, საშუალო არ არსებობს მსუქან დაბაბსა და გამვალტყავებულ კისერს, აფუებულ დუნდულებსა და ბრტყელ უკანალს, მსუქან ღიძსა და ხერხემალზე აკრულ მუცელს შორის; მაგრამ დიდმარხვა მზესავითაა – თუ ამოვიდა, ყველასათვის ანათებს.

მიწყდა კარნავალის ხმაური ქალაქში, ვისაც საშუალება ჰქონდა, ცხვრის და ქათმის ხორცს მიაძღა, ფუნთუშები და ნამცხვრებიც ბლომად მიირთვა, ბანქოს მოყვარულებმა გული იჯერეს ბნელ კუთხე-კუნჭულებში, ხუმარები გამვლელებს ქამარზე ნაჭრის კუდებს ამაგრებდნენ, ოყნებს წყლით ავსებდნენ და ყველას წუწავდნენ, ლოთები გულისრევამდე გაილეშნენ ღვინით, ყველგან მუსიკის ხმა ისმოდა, აქა-იქ აურზაურიც კი ატყდა, ქოთნებს ამტვრევდნენ. და თუკი ქუჩები და შუკები მიწაზე დაყრილი ხალხით არ იყო სავსე, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ქალაქი წარმოუდგენლად ჭუჭყიანია, გულისრევამდე ბინძურია, სადაც არ გაიხედავ, ყველგან ექსკრემენტები, ქეციანი ძაღლები, ნაგავი, უპატრონო კატები, ჭუჭყიანი გუბეებია, გუბეები მაშინაც კი არ შრება, როდესაც არ წვიმს. კარნავალი დამთავრდა, ახლა აღვირახსნილობისთვის მსხვერპლი ყველამ უნდა გაიღოს, სულმა უნდა მოინანიოს, სხეულმაც უნდა მოინანიოს,

ან თავი მოგვაჩვენოს, რომ ინანიებს – ეს ჯიუტი, მეამბოხე, უდრეკი, შეურაცხყოფილი სხეული, რომელიც ლისაბონად წოდებულ საღორეში ცხოვრობს.

სადაცაა მომნანიეთა პროცესიაც გამოჩნდება. ხორცს მარხვით ვსჯით, ახლა თვითგვემითაც უნდა დავსაჯოთ. უჭმელობა სხეულის ჰუმორებს წმენდს, ტანჯვას სულის ყველაზე ბნელი კუთხე-კუნჭულიდან ნაგავი გამოაქვს. პროცესიას წინ ბერები მოუძღვიან. უკან მომნანიეები მიჰყვებიან – სულ მამაკაცები. ბერებს ქალწული მარიამისა და ჯვარცმის გამოსახულებიანი სეფე-დროშები მიაქვთ. აი, ეპისკოპოსიც გამოჩნდა, მდიდრული ჩარდახის ქვეშ ზის, უკან წმინდანების გამოსახულებები მოაქვთ. სამღვდელოების ურიცხვი არმია მოემართება, სხვადასხვა ორდენისა და სამშობის წევრები, ყველა სულის გადარჩენაზე ფიქრობს, ზოგს ჰგონია, რომ კიდევ აქვს შანსი, მთლად არ წაუწყმედია სული, ზოგი ექვით იტანჯება, ამ ექვს მხოლოდ განკითხვის დღეზე გადაწყვეტენ, ზოგი კი, შესაძლებელია, იდუმალ ფიქრობს, რომ ეს სამყარო იმთავითვე შეშლილია. პროცესია მიდის. გზას მიიკვლევს ხალხის ბრბოში, მისი გამოჩენისთანავე ყველა მუხლს იყრის, ზოგი სახეს იხოკავს, ზოგი თმას იგლეჯს, ზოგი ლოყებზე იცემს ხელს, ეპისკოპოსი კი პირჯვარს სწერს მარჯვნივ და მარცხნივ, დიაკვანი საკმეველს იქნევს. ლისაბონის ქუჩებში საზიზღარი სუნი დგას, მძორის მყრალი სუნი, გუნდრუკის სურნელი კი ამ სუნს აზრს ანიჭებს, სხეული დაავადებულია და ყარს, სული კი სურნელოვანია.

ქალები ფანჯრებიდან იყურებიან. ზოგ მომნანიეს ფეხებზე ბორკილები ადევს, ზოგს მხარზე რკინის ჯოხები უწყვია, ხელები ზედ დაუსვენებია და ჯვარცმულს დამსგავსებია, ზოგი ზურგზე შოლტს ირტყამს – შოლტის ბოლოებზე ცვილის ბურთულებია დამაგრებული, ცვილში კი – შუშის ნატეხები. სწორედ ეს არის ზეიმის პროგრამის მთავარი ნომერი, სწორედ ისინი აჩვენებენ მაყურებელს ნამდვილ სისხლს, რომელიც მათ ზურგზე მოედინება, შეშლილებივით ღრიალებენ, თანაც მხოლოდ ტკივილისაგან კი არა, არამედ აშკარა სიამოვნებისგან, ეს სიამოვნება ჩვენთვის გაუგებარი იქნებოდა, რომ არ ვიცოდეთ – ბევრ მათგანს ფანჯრიდან შეყვარებული ადევნებს თვალ-ყურს, ისინი ამ პროცესიაში იმდენად სულის გადარჩენის გამო კი არ მონაწილეობენ, არამედ ხორციელი ნეტარების გულისთვის – უკვე მოპოვებულის თუ მხოლოდ აღთქმულის.

პროცესიის მონაწილეებს მაღალ ჩაჩებზე ფერად-ფერადი ლენტები უფრიალებთ, ყველას თავისი ფერი აქვს და თუ მისი რჩეული, ახლა ფანჯარასთან რომ დგას და დელავს – ტანჯული საყვარლის საცოდაობით თუ სიამოვნებით, რომელსაც ჩვენ მოგვიანებით სადისტურს დავარქმევთ, შორიდან ვერ გავარჩევს ბრბოს ქაოსში, დროშების ფრიალში, აქეთ-იქით მორბენალ ადამიანებში, ლოცვების ბუტბუტში, ყვირილში, დარხეულ ბალდახინებში, წმინდანთა ქანდაკებებში, ამ მოფრიალე ლენტით

იცნობს – წითლით, მწვანით, ვარდისფრით, ყვითლით თუ იისფრით. აი, მისი მამაკაცი, მისი თაყვანისმცემელი, მას მიუძღვნა შოლტის ეს საშინელი დარტყმა. ადამიანურად ლაპარაკი არ შეუძლია, ამიტომ აწყვეტილი ხარვივით ღრიალებს, მაგრამ, თუ მის რჩეულს ან სხვა მაყურებელ ქალებს მოეჩვენათ, რომ დარტყმა საკმარისად ძლიერი არ იყო, შოლტი ღრმად არ შევიდა ხორცში, მის მიერ დატოვებული ნიშანი შორიდან, ფანჯრებიდან, კარგად არ ჩანს, მაშინ ქალები უკმაყოფილო შემახილებს გამოსცემენ. ისინი ითხოვენ, რომ მომნანიე მეტად გაისარჯოს, მთელი ძალით იქნიოს შოლტი, მათ შოლტის შხუილის ხმის გაგონება, სისხლის ხილვა სურთ, სისხლი ისე უნდა სდიოდეს, როგორც ჯვარცმულს სდიოდა, დაძაბულობა და აგზნება სულ უფრო მატულობს. აი, მომნანიე ქუჩაში, შეყვარებულის ფანჯრის ქვეშ დგას, შეყვარებული ზემოდან უყურებს, გვერდით დედა ან, იქნებ, და, ან მსახური ქალი, ან კეთილი ბებია, ან სასტიკი დეიდა უდგას, ყოველმა მათგანმა მშვენივრად იცის, რაც ხდება – ცოტა ხნის წინანდელი გამოცდილებით თუ შორეული წარსულის მოგონებებიდან – კარგად იციან, ღმერთი აქ არაფერ შუაშია, ეს ურცხვი, ხორციელი სიძვაა, და, სავსებით შესაძლებელია, ქალბატონი და მისი კავალერი ერთდროულად განიცდიან სიამოვნებას: ერთი ქვევით, მუხლებზე დამხობილი, ტკივილისგან რომ კვნესის, მეორე ზევით, პირდაღებული რომ ადევნებს თვალ-ყურს მამრის ტანჯვას, თითქოს მისთვის სისხლის და სხვა ყველაფრის გამოწოვა უნდაო. პროცესია საკმარისად შეყოვნდა იმისათვის, რომ ეს აქტი დასრულებულიყო, ეპისკოპოსმა ყველა აკურთხა, კაცმა გზა გააგრძელა, ქალი ნეტარების ბურანში ჩაძირული დარჩა, კაცი მიდის და ფიქრობს, რა კარგია, ახლა ასეთი ძალით თვითგვემა აღარ დამჭირდება, ახლა სხვა კაცები გაისარჯონ თავიანთი შეყვარებულების საამებლადო.

ასეთი თვითგვემისა და მარხვის ფონზე ხორციელი სურვილები თითქოს უნდა შესუსტდეს, ყოველ შემთხვევაში, აღდგომამდე, ბუნებრივი მოთხოვნილებებიც უნდა შემცირდეს, სანამ დედა ეკლესიის სახება ისევ არ გაცისკროვნდება, რადგანაც ვნების კვირა და წითელი პარასკევი გვიახლოვდება. მაგრამ ფოსფორი, რომლითაც ასე მდიდარია თევზეული, სისხლს აცხელებს, შეიძლება, საქმე ისაა, რომ დიდმარხვის დროს ქალები მარტონი, უმამაკაცოდ დადიან ეკლესიაში – წელიწადის სხვა დღეებისგან განსხვავებით, როდესაც, ძირითადად, სახლებში არიან გამოკეტილი. რა თქმა უნდა, უბრალო ქალებს არ ვგულისხმობთ, მათი სახლის კარი პირდაპირ ქუჩაში გადის, ზოგიერთი კი, შეიძლება ითქვას, ქუჩაში ცხოვრობს. სახლში მხოლოდ კეთილშობილი ქალბატონები სხედან, გარეთ მხოლოდ იმისათვის გამოდიან, რომ ეკლესიაში წავიდნენ, ისიც ცხოვრებაში სამჯერ – მოსანათლავად, ჯვრის დასაწერად და პარაკლისის გადასახდელად. დანარჩენისთვის სახლის კაპელა არსებობს. აი, რა ძნელი გადასატანია დიდი მარხვა, იგი გარდაუვალ სიკვდილზე გვაფიქრებს, ეს ფიქრები სასარგებლოა, ჰოდა, კაცებსაც სჯერათ (ან თავს იკატუნებენ, რომ სჯერათ), რომ ქალები მხოლოდ

სადეთო საქმეებით არიან დაკავებული, როგორც თავად ამტკიცებენ, ამ დროს კი ქალები ერთადერთხელ წლის განმავლობაში თავისუფლდებიან მკაცრი კონტროლისგან და, თუ მარტო არ გადიან გარეთ, მაშინ მსგავსი სურვილებით შეპყრობილ მეგობარს შოულობენ. თუ ერთი ეკლესიიდან მეორეში მიმავალმა ქალმა პაემანზეც მოასწრო მისვლა, მისი მსახური ან ამხანაგიც მისი თანამონაწილე ხდება და, როდესაც ორივენი მორიგ საკურთხეველთან მიდიან, უკვე კარგად იციან, რომ არავითარი დიდმარხვა არ არსებობს, ეს სამყარო კი იმთავითვე შეშლილია. ლისაბონის ქუჩები ქალებითაა სავსე, ყველა ერთნაირადაა ჩაცმული, მანტილიებში არიან გახვეულები, თავზე ზედა კაბის კალთა აქვთ წამოფარებული, მხოლოდ ვიწრო ღრიჭოა დატოვებული, რომ ფარულად მისცენ ნიშანი თვალებით ან ტუჩებით – პირობითი ნიშნები, რომლებითაც აკრძალული გრძნობანი და სიამოვნებანი მეტყველებენ. ლისაბონში ეკლესიები ყოველ ფეხის ნაბიჯზეა, მონასტრები – ყველა უბანში, მის ქუჩებში გაზაფხულის ნიავი დაქრის, ყველას თავბრუს ახვევს, მყუდრო ადგილებში ოხვრა ისმის – აღსარების სათქმელ ადგილებშიც, ისეთ კუთხე-კუნჭულებშიც, რომლებიც სხვა სახის აღსარების სათქმელადაც გამოდგება. აღვირახსნილი ხორცი ბეწვის ხიდზე დადის ჯოჯოხეთსა და ნეტარებას შორის, ნეტარება კი სწორედ ამ დროსაა განსაკუთრებით მიმზიდველი – დიდმარხვის, თვითგვემის, სამკაულშემოდარცული საკურთხევლების, გლოვისა და ყოვლისმომცველი ცოდვის დროს.

დღისით ქმრები ისე აჩვენებენ თავს, თითქოს ვერაფერს ხედავენ, უფრო სწორად, სადილის შემდეგ იძინებენ, საღამოობით კი, როდესაც ქუჩები და მოედნები ხალხითაა სავსე, ხახვისა და ლავანდის სუნი ტრიალებს, ეკლესიების ღია კარებიდან ლოცვის ხმა ისმის, საღამოობით ქმრები შვებით ამოისუნთქავენ ხოლმე, ცოტაც და – გაიჭრიალებს შემოსასვლელი კარი, კიბეზე ნაბიჯები გაისმება, ქალბატონი ფამილიარულად ესაუბრება მსახურს თუ შავ მონა ქალს, აბა, რა, დღეს ერთად მოიარეს მთელი ქალაქი. ღრიჭოებში კანდელაბრის თუ სანათურის შუქის სხივები აღწევს, ქმარმა ვითომ ამწუთში გაიღვიძა, ეკითხება ცოლს, აბა, როგორაა საქმეებო, ისიც, ცხადია, უპასუხებს, დაღლილობით ვკვდები, ფეხები ჩემი აღარაა, მუხლები მეკვეთება, სამაგიეროდ, სულში სიმშვიდე სუფევსო, და შემდეგ საკრალურ ციფრს ასახელებს, შვიდი ეკლესია მოვიარეო, და ამას ისეთი ვნებით ამბობს, რომ ან ძალიან ღვთისმოსავია, ან ძალიან შესცოდა.

მაგრამ დედოფლებისთვის ეს შვებაც არ არსებობს, განსაკუთრებით — ორსულობის დროს, თანაც როდესაც მეუღლის სიახლოვესაც მოკლებული არიან. მეუღლე ცხრა თვის შემდეგ დაუბრუნდება, ეს წესი უბრალო ხალხშიც კია მიღებული, თუმცა ზოგჯერ ირღვევა, რას იზამ, ხდება ხოლმე. დონა მარია-ანას განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს თავისი მანიაკალური მორწმუნეობის გამო, რომელიც ავსტრიულმა აღზრდამ მისცა, და კიდევ იმიტომ, რომ მანაც მიიღო მონაწილეობა ფრანცისკანელთა ოინში, მთელს ქვეყანას აჩვენა, რომ შვილი, რომელსაც მუცლით ატარებს, როგორც

პორტუგალიის მეფის, ასევე უფალი ღმერთის წყალობით ჩაისახა მონასტრის აგების აღთქმის სანაცვლოდ.

დონა მარია-ანა ადრე წავიდა დასაძინებლად, დაწოლის წინ ლოცვები წაიკითხა. მას სეფე-ქალების გუნდი აძლევდა ბანს გაუგებარი ბუტბუტით. შემდეგ, უკვე თავისი ბუმბულის საბნის ქვეშ შემძვრალმა, კიდევ ერთხელ ილოცა, სეფე-ქალებს ძილი მოერიათ, მაგრამ თავს ებრძვიან, როგორც ბრძენი ქალწულები, თუმცა ქალწულები უკვე დიდი ხანია, აღარ არიან. შემდეგ სათითაოდ გადიან ოთახიდან, საძინებელში მხოლოდ ერთი ქალბატონი რჩება, იგი დაბალ ტახტზე წამოწვა. ოთახი ერთი სანთლის ლიცლიცა შუქშია ჩაძირული, ტახტზე მთვლემარე ქალბატონის სიზმრები ჩვენ არ გვაინტერესებს, რაც უნდა, ის იხილოს მისმა გონების თვალმა, ჩვენ ის გვინდა ვიცოდეთ, რას ფიქრობს დედოფალი, რა ეზმანება ძილის ზღურბლზე: დიდ ხუთშაბათს ღვთისმშობლის ეკლესიაში წავა, იქ წმინდა მოსასხამს იხილავს, მონაზონი ქალები მოსასხამს ჯერ მის წინაშე გაშლიან და მხოლოდ ამის შემდეგ აჩვენებენ სხვა მორწმუნეებს. მოსასხამზე ცხადად ჩანს ქრისტეს სხეულის ანაბეჭდი, ეს ერთადერთი ნამდვილი უწმინდესი რელიქვიაა, მთელს ქრისტიანულ სამყაროში მეორე ასეთი არ არსებობს. მაგრამ, ძვირფასო ქალბატონებო და პატივცემულო სენიორებო, სხვებიც ერთადერთი და განუუმეორებელი არიან, ასე რომ არ იყოს, მათ ხომ არ გამოფენდნენ ერთსა და იმავე დროს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ, რაკი ეს პორტუგალიაში იმყოფება, ყველაზე ნამდვილი და ჭეშმარიტად ერთადერთი ესაა. ძილისპირს ეჩვენება დონა მარია-ანას, როგორ ემთხვევა წმინდა ქსოვილს და აი, ჩაეძინა კიდევ და ახლა სხვა სიზმარს ხედავს: ეტლში ზის და სასახლეში ბრუნდება, გარეთ ბნელა, გვიანია, ეტლს მისი ლეიბ-გვარდიელები მიჰყვებიან, უცებ მხედარი გამოჩნდა, იგი ნადირობიდან ბრუნდება ოთხი მსახურის თანხლებით, მსახურები ჯორებზე სხედან, უნაგირებზე ნანადირევი ჰკიდია, მხედარი ეტლს უახლოვდება, ხელში თოფი უჭირავს, ცხენის ფლოქვები ნაპერწკლებს ყრის, ნესტოებიდან ორთქლი გამოსდის. მხედარმა დაცვა გაარღვია, ძლივს შეაჩერა ცხენი ეტლის წინ, ჩირაღდნების შუქმა წამით გაანათა მისი სახე, ეს ინფანტი დონ ფრანსისკოა. ნეტავი ქვეცნობიერების რომელი ბნელი კუნჭულიდან მოვიდა, ან ასე ხშირად რატომ მოდის დედოფალთან სიზმარში? ცხენი დაფრთხა, გასაგებიცაა, ეტლი ისეთი ხმაურით მიგორავს ქვაფენილზე. წინა სიზმართან შედარებით ინფანტი უფრო ახლოს მოვიდა დონა მარია-ანასთან, ნეტავ რა უნდა, ან თვითონ დედოფალს რა სურს?!

დიდმარხვის დროს ზოგი ოცნებობს, ზოგს ძილი უტყდება. აღდგომამაც გაიარა, ქალები ისევ ბნელ ოთახებსა და უსასრულო ქალურ საქმეებს დაუბრუნდნენ. რქიანი ქმრების რიცხვმა იმატა, მაგრამ მათაც შეუძლიათ მოთმინებიდან გამოსვლა! რაკი გაზაფხული დაგვიდგა, და გაზაფხული უჩიტებოდ წარმოუდგენელია, მოდიოთ, იადონებს მივუგდოთ ყური, რომლებიც, სიყვარულით დამთვრალნი, ფერადი ბაფთებით

მორთულ გალიებში, ეკლესიებში ჭიკჭიკებენ, მღვდლები კი ყველაზე წმინდა და სანუკვარ თემებზე ქადაგებენ, მაგალითად: დღეს ამალღებაა, ჩიტების გალობაც ცად მაღლდება, ჩვენი ლოცვები კი ან მისწვდება ზეცას, ან არა, თუ ჩიტების გალობა არ დაგვებმარა, იმედი მცირეა, ასე რომ, შეიძლება, უკეთესიცაა, თუ დავდუმდებით.

ეს ახალგაზრდა, ვაჟკაციური გამოხედვით, მანერებითა და ჩაცმულობით ჯარისკაცს რომ ჰგავს (თუმცა ფეხშიშველი კია), ბალთაზარ მათეუსია, მეტსახელად – შვიდი მზე. არმიიდან გამოუშვესფიზიკური შეუსაბამობის გამო მას შემდეგ, რაც მარცხენა ხელის მტევანი მოჰკვეთეს. ამ ხელში ტყვია მოხვდა ხერეს-დე-ლოს-კავალიეროსთან შარშან, ოქტომბერში, როდესაც ესპანეთის საზღვარი გადავლახეთ და თერთმეტათასიანი არმიით შეტევაზე გადავედით. შედეგად 200 კაცი დავკარგეთ, გადარჩენილები კი თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ, რადგან ესპანელებმა ბადახოსიდან კავალერია გამოიყვანეს. ჯარის ნარჩენებმა ოლივანსაში მოიყარა თავი, გზად ბარკაროტა დავარბიეთ და გავმარცვეთ, მაგრამ დიდი ხეირი ვერ ვნახეთ, რა აზრი აქვს, ათი მილი წინ გაიარო და ათი უკან ოთხით ირბინო, თან ბრძოლის ველზე 200 ვაჟკაცი და ბალთაზარ შვიდი მზის ხელიც დატოვო. ბალთაზარს კიდევ გაუმართლა, ალბათ, მკერდზე რომ ეკიდა, იმ სანაწილემ იხსნა, თორემ ჯარისკაცის ჭრილობას ბევრი არ უნდა, რომ განგრენა დაეწყო. იმაშიც გაუმართლა, რომ მარღვები არ გაუწყდა, ქირურგიც კარგი შეხვდა, მარღვიც არ გაუხდა გადასახერხი, პირდაპირ სახსარში გაუჭრეს, ჭრილობაზე სამკურნალო ბალახები დაადეს და ისეთი ჯანმრთელი იყო ბალთაზარ შვიდი მზე, რომ ორ თვეში სრულიად გამოკეთდა. რადგანაც ხელფასიდან ბევრი არაფერი დარჩა, ევორაში მათხოვრობა დაიწყო, რათა მჭედლის ფული გაესტუმრებინა – ძალიან უნდოდა რკინის კაუჭი ხელზე. ასე გავიდა ზამთარი, რასაც შოულობდა, იქიდან ნახევარს მჭედლისთვის ინახავდა, ცოტას გზისთვის სდებდა, დანარჩენით პურსა და ღვინოს ყიდულობდა. გაზაფხულიც მოვიდა, ბალთაზარ შვიდმა მზემ ანგარიში გაუსწორა მჭედელს და კაუჭი წამოიღო, ბასრი დანის პირიც მიაყოლა, რომელიც აგრეთვე შეკვეთილი ჰქონდა, ასე რომ, ახლა ორი მარცხენა ხელი ჰქონდა. პროთეზი კარგად იყო გაკეთებული, რკინის დეტალები – მყარად დაჭედებული, თასმები გამძლე და მაგარი იყო, ზოგი იდაყვზე მაგრდებოდა, ზოგი მხარზე. შვიდმა მზემ თავისი მოგზაურობა ისეთ დროს წამოიწყო, როდესაც ბეირაში დაბანაკებულმა ჯარმა უარი თქვა ალენტეჟოში წასვლაზე, რადგან ამ პროვინციაში შიმშილი იყო, ბევრად უარესი, ვიდრე სხვაგან, თუმცა ხალხი სხვაგანაც შიმშილობდა. ჯარისკაცები ჩამოძონძილები და ფეხშიშველები იყვნენ, გლეხებს მარცვავენენ, ჯარიდან გარბოდნენ, ბრძოლაში მონაწილეობაზე უარს ამბობდნენ, ზოგი მოწინააღმდეგის ბანაკშიც გადადიოდა, ზოგი საერთოდ სახლში მიდიოდა, ტყეებში იმალებოდნენ, პურის ფულს მარცვა-გლეჯით შოულობდნენ, ქალებს აუპატიურებდნენ, თუ სადმე მარტო მოიხელთებდნენ, მოკლედ, იმათზე იყრიდნენ ჯავრს, ვინც არაფერ შუაში იყო და

თვითონაც იტანჯებოდა. შვიდი მზე ლისაბონისკენ მილასლასებდა, ამ ქვეყანას მისი ვალი ჰქონდა, მარცხენა ხელი დაკარგა, ნახევარი ესპანეთში დარჩა, ნახევარი – პორტუგალიაში, ყველაფერში ომია დამნაშავე. ამ ომს ის საკითხი უნდა გადაეწყვიტა, ვინ დაჯდებოდა ესპანეთის ტახტზე – ავსტრიელი კარლოსი თუ ფრანგი ფილიპე, – პორტუგალიელი კი ნამდვილად არა. აბა, პორტუგალიელისგან რა ხეირია, ცალხელა იქნება თუ ორივე ხელი ადგილზე ექნება, მარტო ერთი რამე იციან – ბრძოლის ველზე კიდურები დატოვონ, რას იზამ, ასეთია ცხოვრება, იმიტომაც ხარ ჯარისკაცი, რომ იომო, მიწაზე გეძინოს, და ასე შემდეგ. შვიდი მზე ევორადან გავიდა, მონტემორს გასცდა, მეგზური ვერ იპოვა, ხელიც ერთი შერჩა...

მიდის თავისთვის, არ ჩქარობს. არც ლისაბონში ელის ვინმე, არც მაფრაში, სოფელში, რომელიც მრავალი წლის წინათ დატოვა, რათა მისი უდიდებულესობის ქვეით ჯარში შესულიყო, იქ დედ-მამა ჰყავს, ნეტავი, რას ფიქრობენ: რომ დაილუპა, რადგან არავითარი ცნობა არ მიუღიათ მისგან, თუ ჰგონიათ, რომ ცოცხალია, რადგან არც სიკვდილის შესახებ ცნობა მისვლიათ. თავის დროზე ყველაფერს გაიგებენ. ახლა კი მზე ანათებს, წვიმა კარგა ხანია არ მოსულა, ბურჩქები აყვავდა, ჩიტები ჭიკჭიკებენ. კაუჭი და დანის პირი ბოხჩაში უდევს. ხანდახან ვერც კი გრძნობს, რომ მარცხენა მტევანი აღარა აქვს და ეს გრძნობა სიამოვნებას ჰგვრის: ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი თავის ადგილზე აქვს, ზუსტად ისევე, როგორც კარლოსსა და ფილიპს, მათაც რა უჭირთ, ყველაფერი კარგად ექნებათ, როდესაც საკუთარ ტახტებზე დასხდებიან, ორივესთვის მოიძებნება რამე ტახტი ომის დამთავრების შემდეგ. ბალთაზარ შვიდ მზეს კი ბედნიერებისთვის ისიც ეყოფა, რომ, თვალეხს როდესაც ხუჭავს, ეჩვენება, ვითომ მარცხენა ცერი ეფხანება და საჩვენებლით იფხანს. ღამე კი, სიზმარში, თავის თავს აუცილებლად ორივე ხელით ნახავს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზის გამო დამალა ბალთაზარმა კაუჭი და დანა. მალევე შენიშნა, რომ, როდესაც კაუჭი უკეთია ან დანა აქვს წელზე ჩამოკიდებული, მოწყალებას არ იმეტებენ მისთვის, შეიძლება, ერთი-ორი მონეტა იშოვოს, მეტი არა. ისე დღეს ყველა იარაღით დადის, ზანგებიც კი, მაგრამ ყველას კი არა აქვს მხედრული იერი და გამომეტყველება. ჰოდა, გადაუდგება მგზავრებს გზაზე და მოწყალებას სთხოვს ჯარისკაცისთვის, რომელმაც ხელი დაკარგა და სიკვდილს სასწაულებრივ გადაურჩა. გადარჩენილ ხელში მონეტებს უყრიან, მაინც გაუმართლა ბალთაზარს, რომ მარჯვენა ხელიც არ მოაჭრეს.

პეგოენსი გაიარა, ფიჭვნარს მიადგა. აქედან უკვე ქვიშები იწყება. ბალთაზარმა ცალი ხელითა და კბილების დახმარებით დანის პირი მიიმაგრა პროთეზზე, საფრთხის ჟამს დაეხმარება, ხანჯლის მაგივრობას გაუწევს, თუმცა ხანჯლის ტარება იმ დროს, როგორც საშიში სასიკვდილო იარაღისა, აკრძალული იყო, მაგრამ ბალთაზარს განსაკუთრებული ნებართვა აქვს და ხმლითა და დანით შეიარაღებული დაადგა ტყის ბილიკს. ფიჭვნარში ერთი ადამიანი მოკლა – ერთ-ერთი იმ ყაჩაღთაგან, რომლებიც თავს დაესხნენ, თუმცა

შვიდი მზე უყვიროდა, ფული არა მაქვსო, მაგრამ, რაკილა ჩვენ ომიდან ვბრუნდებით, სადაც ამდენი ადამიანი დაიღუპა, ამ ამბის დაწვრილებით მოყოლა არ ღირს. მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ბალთაზარ შვიდმა მზემ დანის პირი მოიხსნა და კაუჭი გაიკეთა, გვამის გადათრევა ასე უფრო მოსახერხებელი იყო. ასე გამოიყენა ორივე ინსტრუმენტი. გადარჩენილმა ყაჩაღმა ერთი ნახევარი მილი სდია, ხეების უკან იმალებოდა და წყევლა-კრულვასა და ლანძღვა-გინებას არ აკლებდა, მაგრამ ისეთი ტონით, თითქოს თავადაც არ სჯეროდა, რომ მისი წყევლა ბალთაზარს რამეს ავნებს, ლანძღვა კი გულს ატკენს.

როდესაც შვიდი მზე აღდეგალებამდე მივიდა, მზე უკვე ჩასული იყო. რამდენიმე სარდინი შეჭამა, ერთი ჭიქა ღვინო დააყოლა და, რადგანაც სამიკიტნოში ღამის გასათევად ფული არ ჰქონდა, სულ ცოტა რჩებოდა ხვალინდელი გასავლელისთვის, რომელიღაც ფარდულში, ურმის ქვეშ გაიშხლართა, შინელში გაეხვია, გარეთ მხოლოდ დანიანი მარცხენა ხელი გამოყო და დაიძინა. ღამე მშვიდად გაატარა. ხერეს-დე-ლოს-კავალიეროსის ბრძოლა ესიზმრებოდა, მაგრამ ამჯერად პორტუგალიელებმა გაიმარჯვეს, რადგან მათ არმიას ბალთაზარ შვიდი მზე მეთაურობდა, მარჯვენა ხელში მოკვეთილი მარცხენა ეჭირა და ამ სასწაული იარაღის წინააღმდეგ ესპანელებს არავითარი თავდაცვის საშუალება არ გააჩნდათ. როდესაც ბალთაზარს გაეღვიძა, აღმოსავლეთით ცისკრის ვარსკვლავი ჯერ არ ამოსულიყო, მარცხენა ხელი ძალიან სტკიოდა, რა გასაკვირია, ზედ დანის პირი ჰქონდა მიმაგრებული. ბალთაზარმა თასმები მოუშვა და ისევ წარმოიდგინა, რომ ორივე ხელი ადგილზე აქვს – ასე ძლიერია ადამიანის ფანტაზია, განსაკუთრებით სიბნელეში, ურმის ქვეშ. მარჯვენა ხელი ბოხჩის ქვეშ ამოდო, თავი ბოხჩას მიაყრდნო, შინელში გაეხვია და ისევ დაიძინა. სხვა თუ არაფერი, ომი მაინც დამთავრდა. მთლად მთელი ვერ გადაურჩა, მაგრამ, სამაგიეროდ, ცოცხალია.

მზის პირველ სხივებს დაასწრო. ცა სუფთა, გამჭვირვალე იყო, მკრთალი ვარსკვლავები ჯერ კიდევ ჩანდა. კარგი დარია, სასიამოვნო მოგზაურობა მელის, შეიძლება, ლისაბონში შევჩერდე, ან გზას განვაგრძობ, თანდათან გამოჩნდება, იფიქრა ბალთაზარმა. ხელი ჩანთაში ჩაყო, ჩექმები ამოიღო, რომლებიც მთელი გზა არ ჩაუცვამს, ძლივს ჩაიცვა ცალი ხელით, პროთეზს ჯერ კარგად ვერ ხმარობდა. ფეხებს უნდა გაუფრთხილდეს, თუმცა ჩექმებმა, პირიქით, შეიძლება ტერფები გაუხეხოს, ბალთაზარი ხომ ბავშვობიდან ფეხშიშველა სიარულსაა მიჩვეული – სოფელშიც ეგრე დადიოდა, მოგვიანებით, ჯარშიც, ინტენდანტს სად ჰქონდა ყველა ჯარისკაცის სამყოფი ფეხსაცმელი! არა, ჯარისკაცის ცხოვრებაზე უარესი არ არსებობს!

როდესაც მდინარეს მიადგა, მზე უკვე მალლა იდგა. მენავე გაჰყვიროდა, საცაა გავალ, დაუჩქარეთ, ვის უნდა ლისაბონშიო, ბალთაზარი ნაპირზე სირბილით დაეშვა, ბოხჩაში დანის პირი და კაუჭი უჟღერიალებდა, ვიღაც ხუმარამ მიაძახა, ცალხელას ნალები

ჩანთით მიაქვს, გზაში რომ არ გაუცვდესო. ბალთაზარმა, უნდა ვიფიქროთ, აღმაცერად გადახედა და მარჯვენა ხელი დანას წაატანა, დანის პირს მართლა სისხლი ჰქონდა შემშრალი, თუ ეშმაკმა მოისურვა, რომ ხუმარას ასე მოჩვენებოდა, ყოველ შემთხვევაში, ხუმარამ თვალი აარიდა ცალხელას და წმინდა ქრისტეფორეს მიანდო თავისი ბედი, რომელიც, როგორც ცნობილია, ყველა მგზავრის მფარველია, და ლისაბონამდე ხმა აღარ ამოუღია. ქალმა, რომელიც ბალთაზარის გვერდით დაჯდა, ქმართან ერთად რომ მიდიოდა, ფუთა გახსნა, საჭმელი ამოიღო და ერთ მეზობელს ისე, ცალყბად შესთავაზა, ბალთაზარს კი ისე ეხვეწა, ჭამეო, რომ მანაც უარი ვერ უთხრა. შვიდ მზეს ცოტა ეუხერხულეობდა ცალი ხელით ყველას დასანახად ჭამა, მეორე ხელის დაუხმარებლად მისი მარჯვენა მარცხენასავით მოუხერხებელი გამხდარიყო, პური უცურდებოდა, პურზე რაც იდო, უვარდებოდა, მაგრამ ქალმა დიდი ნაჭერი მოუჭრა, დანარჩენი საჭმელიც მოხერხებულად დაუდო პურზე, კიდევებიდან შორს, ასე რომ, ხან თითების, ხან ჯაყვის დახმარებით ბალთაზარმა წყნარად და წესიერად ისაუბრა. ქალი ასაკით დედამისის ტოლი იქნებოდა, მისი ქმარი – მამამისისა, ასე რომ არანაირ სასიყვარულო ინტრიგაზე ტეჟოს ტალღებში ლაპარაკი არ იყო, უბრალოდ, ერთმა ადამიანმა მეორის მიმართ თანაგრძნობა გამოიჩინა.

შვიპერმა პატარა სამკუთხა აფრის აღმართვა ბრძანა, ზურგის ქარმა დაუბერა, მიქცევაც დაიწყო, მენიჩბეებიც უხმოდ და ძლიერად უსვამდნენ ნიჩბებს, დილის სიომ და ღამით მშვიდმა ძილმა ძალა შეჰმატათ. კონცხს შემოუარეს, ნავი დინებამ და მიქცევამ აიტაცა, გეგონებოდათ, პირდაპირ სამოთხეში მიცურავსო, წყლის ზედაპირი მზემ ოქროსავით ააბრწყვიალა, ორმა თევზმა ზედ ნავის ცხვირთან ამოყვინთა, მუქმა ზურგებმა ჰაერში გაიელვა, თითქოს თევზებს ცაში აფრენა სწადიათო. იქით ნაპირზე ლისაბონია, ერთ-ერთ ბორცვზე ციხესიმაგრე დგას, პატარა სახლების ქაოტური გროვის თავზე სამრეკლოებისა და ეკლესიის შპილები მოჩანს. შვიპერმა თქვა, გუშინ სასაცილო ამბავი მოხდა, თუ გინდათ, მოგიყვებითო, ყველას უნდოდა, აბა რა, დროს მოვკლავთ, წინ ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელიო. გუშინ, დაიწყო მოყოლა შვიპერმა, ინგლისური გემები მოვიდნენ, სანტოსთან ჩაუშვეს ღუზა, ჯარი ჩამოიყვანეს. ეს ჯარი კატალონიაში უნდა წავიდეს საომრად, მაგრამ ფლოტილიაში ერთი გემი ერია, იქ აჯანყებულები ჰყავდათ ოჯახებითურთ, ბარბადოსზე გზავნიან, და კიდევ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებიც იყვნენ, ასე, ორმოცდაათნი, ისინიც იქ მიყავთ, ბარბადოსზე პატოსანი და უპატოსნო ქალი ერთია, მაგრამ იმ გემის კაპიტანმა გადაწყვიტა, ეს ქალები ლისაბონს უფრო მოუხდებო და ზედმეტი ტვირთი მოიშორა, ქალები ნაპირზე გადმოსხა, ისეთები არიან, თითებს ჩაიკვნეტ, ერთი-ორი ვნახე, ინგლისელ ქალებს ნამდვილად არა უშავთ. შვიპერმა გადაიხარხარა, ხელებიც მოიფშვნიტა სიამოვნებით, თითქოსდა უკვე ინგლისის ტერიტორიულ წყლებში შესულიყოს და რომელიღაც გემის აბორდაჟზე აყვანას აპირებდეს, ალგარვეელმა მენიჩბეებმაც ხმამაღლა გაიცინეს, შვიდი მზე

გაიზმორა, როგორც კატა მზეზე. ქალმა, რომელიც საუზმით გაუმასპინძლდა, ისე მოაჩვენა თავი, თითქოს არაფერი გაუგიაო, მის ქმარს ვერ გადაეწყვიტა, გაეცინა თუ სერიოზული სახე მიეღო. ასეთ ამბებს უკვე სერიოზულად ვეღარ აღიქვამდა, ვერც ვერასდროს აღიქვამდა, რადგანაც ძალიან შორს, სოფელ პანკასში, ცხოვრობდა, სადაც დაბადებიდან სიკვდილამდე მხოლოდ ერთი რამე იციან – გუთანი, სადაც მთელი ცხოვრება მიწას ჩასცქერიან. ჰოდა, კაცმა რაღაც აზრებს მოუყარა თავი და რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო ჰკითხა ჯარისკაცს, რამდენი წლისა ხართ, ბატონო? ოცდაექვსისო, – მიუგო ბალთაზარმა.

ლისაბონი უკვე ახლოს იყო, ხელისგულივით მოჩანდა, ახლა სახლები და გალავნები მაღალი ჩანდა. ნავმა რიბეირასკენ აიღო გეზი, შკიპერმა აფრა ჩამოაშვებინა, ნავი ნაპირს მიადგა, ნაპირის მხარეს მჯდომმა მენიჩბებმა შეთანხმებული მოძრაობით აწიეს ნიჩბები ჰაერში, მეორე მხარეს მჯდომებმა ძალა მოიკრიბეს და ნავი ერთ ადგილას გააჩერეს, შკიპერმა ისევ მოჰკიდა ხელი საჭეს. მიქცევის გამო ნაპირი ამალღებულოყო, და ბალთაზარმა იმ კეთილ ქალს ხელი შეაშველა, ხმაგაკმენდილ ხუმარას უცერემონიოდ გაჰკრა გვერდი და მიწაზე გადავიდა.

ნავმისადგომთან უამრავი დიდი და მცირე გემი იდგა, იქიდან თევზი გადმოჰქონდათ, ზედამხედველები ღრიალებდნენ, ილანძლებოდნენ, შავ მტვირთავეებს აჩქარებდნენ (ზოგჯერ მუჯლუგუნის კვრითაც). ზანგები წყვილ-წყვილად მოდიოდნენ, ძონძებიდან წვეთები სცვივოდათ, რადგან თევზით სავსე კალათებს წყალი წურწურით გასდიოდა, სახესა და ხელებზე თევზის ქერცლი მიჰკვროდათ. გეგონებოდა, ბაზრობას მთელი ლისაბონი მოაწყდაო, ბალთაზარ შვიდ მზეს პირზე ნერწყვი მოადგა, თითქოს ომის ოთხი წლის განმავლობაში დაგროვილმა შიმშილმა დისციპლინისა და მოთმინების ჯებირი გაარღვია. მუცელში გვრემა იგრძნო, მექანიკურად დაუწყო თვალეზით ძებნა იმ ქალს, ნეტავ, საით წავიდა თავის მშვიდ ქმართან ერთად, ის ქმარი, ალბათ, ქუჩაში გამვლელ ქალებს უყურებს, ფიქრობს, ინგლისელები ხომ არ არიან, მსუბუქი ყოფაქცევისანი ხომ არ არიანო, რას იზამ, ყველა მამაკაცს აქვს გულში რამე საოცნებო.

ბალთაზარს ძალიან ცოტა ფული ჰქონდა, სულ რამდენიმე სპილენძის გროში, ისინი ბევრად წყნარად წკარუნობდნენ ბოხჩაში, ვიდრე დანის პირი და კაუჭი, ქალაქში მოხვდა, რომელსაც თითქმის არ იცნობდა, ახლა კი უნდა გადაეწყვიტა, საით წასულიყო – მაფრაში, სადაც ცალი ხელით გუთანს ვერ მოერევა, გუთანს ორივე ხელი სჭირდება, თუ სასახლეში, სადაც, შესაძლებელია, დაღვრილი სისხლისთვის მოწყალება გაიღონ. ვიღაცამ უთხრა ამის შესახებ ევორაში, მაგრამ ისიც დასძინა, ძალიან ბევრჯერ მოგიწევს თხოვნა, თანაც ვინმე ძლიერი მფარველი დაგჭირდება, ამავე დროს, კაცმა არ იცის, საქმე რით დამთავრდება, ზოგჯერ მთხოვნელი ისე მომკვდარა, ვერაფერს ვერ ღირსებიაო; მაგრამ დედაქალაქში სასულიერო ორდენები მაინც იყო, იქაც იძლეოდნენ მოწყალებას,

მონასტრებს კი მეკარის ჯიხური ჰქონდათ, სადაც ღარიბებს პურსა და შეჭამანდს ურიგებდნენ. მარცხენა ხელის გარეშე დარჩენილ კაცს ხმა არ ამოეღება საწუწუნოდ, თუ სამათხოვროდ მარჯვენას გაშვერა შეუძლია ან ხმლის მუქარით კუთვნილის მოთხოვნა.

შვიდი მზე თევზის ბაზარს მიუყვებოდა. გამყიდველი ქალები მუშტარს უხმობდნენ, ოქროს სამაჯურებიან ხელებს იქნევდნენ, ყვიროდნენ, იფიცებოდნენ, მუშტებს მკერდში იბაგუნებდნენ, მკერდზე კი მეწკვები, ჯვრები, კულონები უელავდათ, ყველაფერი მაღალი ხარისხის ბრაზილიური ოქროსი იყო, ისევე, როგორც მძიმე საყურეები და გრძელი საკიდები, რომლებიც თავად ქალზე ძვირი ღირდა. ამ ჭუჭყიან ბრბოში გამყიდველი ქალები რაღაც სასწაულით ინარჩუნებდნენ სისუფთავესა და სიკეკლუცეს, თევზის სუნიც კი არ ეკიდებოდათ, მიუხედავად იმისა, რომ შიშველ ხელებს ჰკიდებდნენ. ბალთაზარმა სამი სარდინი იყიდა აღმასის საცავის წინ, სამიკიტნოსთან, ჩვეულებისამებრ, პურის ნაჭერზე დააწყო და ჭამა-ჭამით წავიდა ტერეირო-დო-პასოსკენ. მოედანზე ერთ-ერთ საყასბოში შევიდა, თვალს წყალი დააღვინა, გული იჯერა ხორცის დიდრონი ნაჭრების ცქერით, რომლებიც ჭერში ჩამოკიდებულ კაუჭებზე ეკიდა, საკუთარ თავს შეჰპირდა, რომ ფულს იშოვის და კარგად გამოძლება ხორცი, ჯერ არ იცოდა, რომ ძალიან მალე ამ ხორცის მაღაზიაში დაიწყებდა მუშაობას, თანაც მხოლოდ მფარველის წყალობით კი არა, არამედ იმიტომ, რომ ხელზე კაუჭი ეკეთა, რომლითაც ძალიან მოსახერხებელია ხორცის აღება, ნაწლავების გამოღება, ქონის ფენის აჭრა... მაღაზია საკმაოდ სუფთა იყო, თუმცა ალაგ-ალაგ სისხლის ლაქები ჩანდა, კედლებზე თეთრი ფილები იყო გაკრული და, თუ სასწორთან მდგომი ნოქარი წონაში არ მოგატყუებთ, წაგებაში არ დარჩებით, ხორცი აქ მართლაც ახალთახალი აქვთ.

აი, ის უზარმაზარი ნაგებობა მეფის სასახლეა, მაგრამ ხელმწიფე ამჟამად იქ არ იმყოფება, აზეიტონში ნადირობს ინფანტ დონ ფრანსისკოსა და დანარჩენ მძებთან ერთად, მსახურებიც თან ახლავს და წმინდა მამებიც – იეზუიტები ჟუან სეკო და ლუის გონზაგა. ეს უკანასკნელნი ტყუილად კი არ გაჰყოლიან, ხომ შეიძლება, მეფეს ლათინური ლოცვებისა და მათემატიკის წესების გახსენება მოუხდეს, რომლებსაც ეს იეზუიტები მას ჯერ კიდევ უფლისწულობის დროს ასწავლიდნენ. მისმა უდიდებულესობამ თან ჟუან დი ლარას ნახელავი ახალი თოფიც წაიღო – ეს მისი მთავარი იარაღის ოსტატია, თოფი კი ხელოვნების ნამდვილი ნიმუში გამოვიდა, ოქროთი და ვერცხლით მოვარაყებული სასწაულია, შემთხვევით გზაში თუ დაიკარგა, პატრონს წამში იპოვის, რადგან ლულის მთელ სიგრძეს ლამაზი, რომაული ლიტერებით გაკეთებული წარწერა მიუყვება, ასეთივე ასოები ამშვენებს წმინდა პეტრეს ტაძრის ფრონტონს რომში: ჩვენი ხელმწიფის საკუთრება ვარ, უფალო, დაიფარე დონ ჟუან V. ყოველი ასო მთავრულია. კიდევ იტყვიან, რომ თოფი მხოლოდ ტყვისა და დენტის ენაზე საუბრობსო. ასეთნი უბრალო თოფებია, მაგალითად, ისეთი, როგორიც ბალთაზარ შვიდ მზეს ჰქონდა. ახლა იგი, უკვე უიარაღო, ტერეირო-დო-პასოს მოედანზე დგას და

აქეთ-იქით იყურება: ეტლები, ბერები, პოლიციელები, ვაჭრები... ყველაფერი ერთმანეთში ირევა... ბალთაზარი ნოქრებს უყურებს, რომლებიც ფუთებს და ყუთებს წონიან, გრძნობს, რომომი მოენატრა, თანაც ძალიან, ეს ხელი რომ არა, ამწუთსავე დაადგებოდა ალენტეჟოს გზას, თუნდაც ამ გზის ბოლოს სიკვდილი ელოდეს.

ბალთაზარი როსიოსკენ მიმავალ ფართო ქუჩას გაუყვა. ოლივეირასის ღვთისმშობლის ეკლესიაში შეიარა, ლოცვები მოისმინა, ვიღაც ეულად მდგომ ქალს თვალი ჩაუკრა, ისე აქ ყველა ამ საქმით იყო დაკავებული. ქალები ერთ მხარეს იდგნენ, კაცები – მეორეზე, ვიღაცამ წერილი გადააწოდა, ვიღაცამ ხელით მისცა ნიშანი, ვიღაცამ ცხვირსახოცი ააფრიალა. არა, ცუდი არავის არაფერი ჩაუდენია, თუ, რა თქმა უნდა, წერილის გადაცემა, პაემნის დანიშვნა და სხვა ცოდვად არ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ რადგანაც ბალთაზარი შორიდან ჩამოვიდა, გზაში დაიღალა და არც ფული ჰქონდა მანდილოსნის გასამასპინძლებლად ან ფერადი ბაფთის საყიდლად, ამით დასრულდა მისი ინტრიგა, ეკლესიიდან გავიდა და როსიოსკენ გაემართა. დღეს ბევრი ქალი იყო ქუჩაში, აი, ერთი დუჟინი მაინც გამოჩნდა ქუჩის ბოლოს, ვიწრო შუკიდან გამოუხვიეს, თან შავკანიანი პოლიციელები ახლდნენ, რომლებიც მათ თავიანთი ჯოხებით მოერეკებოდნენ, თითქმის ყველა ქალი ქერა იყო, ღია ფერის თვალები ჰქონდათ – ცისფერი, მწვანე, ნაცრისფერი. ნეტავ, ვინ არიანო, იკითხა შვიდმა მზემ და, სანამ გვერდით მდგომი კაცისგან პასუხს გაიგონებდა, თვითონაც მიხვდა – ინგლისელი ქალები, რომლებიც ეშმაკმა კაპიტანმა ნაპირზე გადასხა. ახლა მათ უკან, გემზე აბრუნებენ, სხვა გზა არაა, მაინც მოუწევთ ბარბადოსზე წასვლა, აქ ვერ დარჩებიან, აქ, პორტუგალიის სტუმართმოყვარე მიწაზე, სადაც ამდენი უცხოელი როსკიპი ცხოვრობს, რადგანაც ამ უძველეს პროფესიას მრავალ სხვადასხვა ენაზე საუბარი ბაბილონის გოდოლივით არ ვნებს, მათთან შეიძლება მუნჯივით შეხვიდე და გამოხვიდე, თუ, რა თქმა უნდა, თავისი სიტყვა უკვე თქვა ოქროს ან ვერცხლის მონეტამ. მაგრამ შვიპერი ამბობდა, ორმოცდაათი ქალი მაინც იყო, აქ კი მხოლოდ თორმეტი. სხვები ნეტავ სად არიან? – იკითხა ბალთაზარმა, და კაცმა უპასუხა – ყველა ვერ დაიჭირესო, ზოგი მიიმალა, ალბათ უკვე გამოცადეს განსხვავება ინგლისელ და პორტუგალიელ კაცს შორის. ბალთაზარმა გზა განაგრძო და გულში წმინდა ბენედიქტეს აღთქმა მისცა, რომ ცვილის გულს შესწირავდა, თუ წმინდანი ოქროსთმიან და მწვანეთვალემა ინგლისელ ქალს შეახვედრებს, მით უმეტეს, თუ ქალი მაღალი და ტანადი იქნება. თუ ხალხი ამ წმინდანის დღესასწაულზე ეკლესიაში მიდის და საკმარის საჭმელს სთხოვს, თუ ქალები მესას უკვეთენ პარასკეობით, რომ კეთილი და მდიდარი ქმარი იშოვონ, რა არის იმაში ცუდი, რომ ჯარისკაცმა წმინდა ბენედიქტეს ინგლისელი ქალი სთხოვოს, ცხოვრებაში ერთხელ, ისიც იმისთვის, რომ უმეცარი არ წავიდეს ამა ქვეყნიდან.

სალამომდე დაეხეტებოდა შვიდი მზე ქუჩებსა და მოედნებზე. წმინდა ფრანცისკის მონასტერში ისაძლია და კარგად გამოიკითხა, რომელი ორდენი უფრო გულუხვია

მოწყალეზაზეო, სამი მათგანი დაიმახსოვრა: ოლივეირას ღვთისმშობლის ეკლესია (აქ უკვე იყო), რომელიც კონდიტერთა ამქარს ეკუთვნოდა; წმინდა ელოის ეკლესია, რომელიც ვერცხლის ოსტატთა გილდიისა იყო, და გზააბნეული ჩვილის ეკლესია. ამ უკანასკნელის სახელწოდებაში ბალთაზარს საკუთარ ბედთან მსგავსება მოეჩვენა, თუმცა თავისი ჩვილობის დროიდან ბევრი არაფერი ახსოვდა, მაგრამ გზააბნეული კი დიახვაც რომ გახლდათ.

მოსაღამოვდა. შვიდმა მზემ ღამის გასათევი ადგილის ძებნა დაიწყო. ამასობაში ერთ ყოფილ ჯარისკაცს დაუამხანაგდა, იგი ბალთაზარზე უფროსიც იყო და გამოცდილიც და სახელად ჟუან ელვასი ერქვა. ჟუან ელვასი ხშირად ქუჩის კახპების ხარჯზე ცხოვრობდა, თბილ ამინდში მიტოვებულ ფარდულში ეძინა, რომელიც იმედის მონასტრის ეზოში იდგა, ზეთისხილის ბაღთან. ჰოდა, ბალთაზარი სტუმრად წავიდა ჟუანთან, ხმის გამცემი მაინც მეყოლებო, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის კაუჭი გაიკეთა. ეს იმით ახსნა, რომ ფუთის ზიდვით დაიღალა და მისი შემსუბუქება უნდა, თუმცა დანის პირი აღარ მიიმაგრა, ჟუანის წყენინება არ უნდოდა, რაც არ უნდა იყოს, მაინც სასიკვდილო იარაღია. თუმცა ფარდულში ექვსი კაცი დახვდა, არავის ცუდი თვალით არ შეუხედავს მისთვის, არც ბალთაზარს უკადრებია მათთვის არაფერი.

სანამ ჩაეძინებოდათ, დანაშაულებზე საუბრობდნენ. იმ დანაშაულებზე კი არა, რომლებიც თავად ჰქონდათ ჩადენილი, თავისი თავის ამბავი ყველამ კარგად იცის, და ღმერთი ყველაფერს ხედავს, არამედ იმ დანაშაულებზე, რომლებსაც წარჩინებული პირები სჩადიან, თან ყოველთვის დაუსჯელები რჩებიან, მაშინაც კი, როდესაც ყველამ კარგად იცის, რომ ეს კაცი დამნაშავეა, თუ არ იციან და არც სასამართლო იტკივებს თავს. წვრილმანის ქურდს წამში უკრავენ თავს ლიმოეიროს ციხეში, დაქირავებულ მკვლელს, რომელიც კაპიკებს იღებს, აგრეთვე, ყოველ შემთხვევაში, თუ მისი გრძელი ენისა არ ეშინიათ, არ ადარდებთ, დამქირავებლის ვინაობას გაამხელს თუ არა, ლიმოეიროში საჭმელს მაინც აჭმევენ. ისე იქ საშინელებაა. აი, ამას წინათ ას ორმოცდაათი კაცი გამოუშვეს, შედარებით მსუბუქი დანაშაულისთვის გასამართლებულები, მაშინ ლიმოეიროში ხუთასზე მეტი პატიმარი იყო, მაგრამ ზოგს ინდოეთში სამუშაოდ წაყვანა დაუპირეს, მერე აღმოჩნდა, რომ ამდენი მუშა არ სჭირდებათ. იმდენი ხალხი დაგროვდა, ისეთი შიმშილი იყო, რომ ეპიდემიაც გავრცელდა, ბევრი დაიხოცა, ზოგიერთი პატიმარი გამოუშვეს – მეც მათ შორის. მეორემ თქვა, ამ ქალაქში იმდენი დამნაშავეა, ვერ მოთვლი, უფრო მეტ ადამიანს კლავენ, ვიდრე ომში, ასე ამბობენ ჯარიდან მობრუნებულები, შენ კი რას იტყვი, შვიდო მზევ? ბალთაზარმა მიუგო, ის კი მინახავს, ომში როგორ იხოცებიან, ხოლო ლისაბონში როგორ იხოცებიან, ჯერ კიდევ არ მინახავს, ამიტომ ვერაფერს გეტყვითო. სჯობს, ჟუან ელვასს ვკითხოთ, სამხედრო სამსახურშიც ყოფილა და ქალაქურ ცხოვრებასაც კარგად იცნობსო. ჟუან ელვასმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

საუბარი ისევ თავდაპირველ თემას დაუბრუნდა, ერთი ოქრომჭედლის ამბავს მოჰყვინენ, რომელმაც ვიღაც ქვრივი მოკლა. მას ამ ქალის ცოლად მოყვანა უნდოდა, მან კი უარი უთხრა, ოქრომჭედელი კი წმინდა სამების მონასტერში წავიდა. კიდევ ერთი უბედური ქალის შესახებაც ისაუბრეს, რომელმაც ქმარი ღალატში ამხილა, მან კი ცხელ გულზე ხმალი გაუყარა. მერე მღვდელზე, რომელიც სამჯერ დაჭრეს სასიყვარულო ინტრიგების გამო. ეს ყველაფერი დიდმარხვის დღეებში მოხდა, როდესაც სისხლი დულს, ეშმაკს კი არ სძინავს. მაგრამ აგვისტოც თარსი თვეა, აგერ შარშან ქალი იპოვეს – თოთხმეტ თუ თხუთმეტ ნაწილად იყო დაჩეხილი, ზუსტად არ ვიცით, რამდენად, მაგრამ ცხადი იყო, რომ ჯერ კარგად გაშოლტეს, დუნდულებსა და მუცელზე ურტყეს. მერე სხეულის რომელიღაც ნაწილი კოტოვიაში იპოვეს, რომელიღაც – გრაფ ტაროუკას სახლის ახლოს, რაღაც – კარდაისში, ყველაფერი პირდაპირ მიწაზე დაყარეს, არც კი დაუმარხავთ, არც ზღვაში გადაუყრიათ, სპეციალურად გამოდეს დასათვალისწინებლად, რომ ხალხს შიში შთაუწერგონ.

მაშინ ჟუან ელვასმაც ამოიღო ხმა და თქვა, ჰო, მაგრად აწამეს ის უბედური, თანაც ალბათ, ჯერ ცოცხალი იყო, აბა მკვდარს ასე არ მოექცეოდნენ, ასეთ საქმეს მხოლოდ საბოლოოდ სულწაწყმედილი თუ იზამდა, მთლად უგულო, ეგეთი რამე ალბათ ომშიც არ გინახავს, ბალთაზარ, თუმცა საიდან უნდა ვიცოდე, რა გინახავს. იმ კაცმა, მოკლულის ამბავს რომ ჰყვებოდა, ჟუანის პაუზით ისარგებლა და განაგრძო, მერე დაკარგული ნაწილებიც იპოვეს, ჟუნკეირაში – თავი და ცალი ხელი, ბოავიშტაში – ფეხი, ხელ-ფეხით თუ ვიმსჯელებთ, მდიდარი ოჯახიდან იყო, მოვლილი, დიდი-დიდი ცხრამეტი-ოცი წლისა, იმავე ტომარაში, რომელშიც თავი იყო, შიგნეულიც ეწყო, მოკვეთილი მკერდიცა და ჩვილიც, ასე სამი-ოთხი თვისა. პატარა აბრემუმის ბაწრით იყო დამხრჩვალნი, ბევრი რამე ახსოვს ლისაბონს, მაგრამ ასეთი რამ ჯერ არავის გაუგია!

ისევ ჟუან ელვასმა გააგრძელა სიტყვა, მანაც დაამატა, რაც იცოდა ამ საქმის შესახებ, ჰო, მეფემ თავად გასცა ბრძანება, რომ მკვლელის მპოვნელს ათასი კრუზადოთი დააჯილდოებენ, მაგრამ უკვე ერთი წელი გავიდა და ვერავინაც ვერ დაიჭირეს, აბა რა, განა ცხადზე ცხადი არაა, რომ ამ საქმეში დიდი ხალხის ხელი ურევია, მეწადეს ან თერძს კი არ ჩაუდენია ეს საშინალებაა. ისინი ტყავსა და ქსოვილს ჭრიან, საცოდავი გოგო კი ისე ოსტატურად იყო დაჩეხილი, რომ, როდესაც ქირურგებმა დაათვალისწინეს, თქვეს, მკვლელმა ანატომია ზედმიწევნით იცოდაო, ალბათ, თავად ქირურგებმა არ იციან ამდენი, მაგრამ ეგ აღარ აღიარესო. მონასტრის კედლის იქით მონაზვნების ხმები ისმოდა. მათ არც კი იცოდნენ, რა საშინელება აიცდინეს თავიდან – ბავშვი გააჩინო და ასე დაისაჯო – და მაშინ იკითხა ბალთაზარმა, მერე, მაინც ვერ გაიგეს, ეს ქალი ვინ იყოო. ვერც მისი ვინაობა დაადგინეს, ვერც მკვლელი იპოვესო და უცებ ერთ-ერთმა, ჭადრაწვერიანმა, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა, თქვა, ისინი ლისაბონელები არ იყვნენ, აქაურები რომ ყოფილიყვნენ, ვინმე შენიშნავდა, რომ ქალი დაიკარგა და ჭორებიც

დაირხეოდა, ალბათ მამამ მოაკვლევინა ქალიშვილი, რომელმაც ოჯახს თავს ლაფი დაასხა, მერე სხეული დააჩეხინა და სხვადასხვა ადგილებში წააღებინა. იქ კი, თავის ქალაქში, ალბათ, ხმა გაავრცელა, ქალიშვილი ყვავილით მომიკვდაო, მის მაგივრად საგვარეულო აკლდამაში ღორი დაამარხვინა, ეჰ, ხალხი რას არ სჩადის, რა არ ხდება ამ ქვეყანაზეო.

ყველა დადუმდა, ბრაზი ახრჩობდათ, მონაზვნების ხმა აღარ ისმოდა და შვიდმა მზემ გამოაცხადა – არა, ომში მეტი დანდობა და შეწყალებაა. და, რადგანაც ამ დასკვნის შემდეგ სათქმელი აღარაფერი დარჩა, ყველამ დაიძინა.

დონა მარია-ანა აუტოდაფეზე არ წავიდა. ძმას, ავსტრიის იმპერატორ იოსებს, გლოვობს. რამდენიმე დღეში მოულო ბოლო ყვავილმა, არადა სულ ოცდაცამეტი წლისა გახლდათ. თუმცაღა მხოლოდ ამის გამო როდი დარჩა დედოფალი თავის პალატებში, სახელმწიფოს საქმეები ცუდად წავა, დედოფლები ასეთი რამის გამო სისუსტეს გამოჩენას თუ დაიწყებენ, ისინი უარეს უბედურებასაც შეჩვეული არიან. თუმცა უკვე მეხუთე თვეშია, მაინც აწუხებს გულისრევა, მაგრამ ესეც არ შეუშლიდა ხელს ღვთისმოსაობის გამოჩენაში, არ დააკლდებოდა საზეიმო ცერემონიას, სადაც ყველაფერი ასე ამალღებულა: პროცესიის ნელი სვლა, განაჩენის გამოტანა, დამნაშავეთა საცოდავი ფიგურები, კვნესა, შემწვარი ხორცის სუნნი, ქონის შიშინი ნაკვერჩხლებზე, რომელიც პატიმრობის შემდეგ ასე ცოტა დარჩა. დონა მარია-ანა აუტოდაფეს ვერ დაესწრება, რადგან უკვე სამჯერ გაუხსნეს ძარღვი და ძალიან სუსტად გრძნობს თავს, გულისრევაც არ ასვენებს. ექიმებმა ცოტა გადაუდეს მორიგი ძარღვის გახსნის დრო, როგორც ძმის სიკვდილი არ შეატყობინეს დროზე, რადგან მის ჯანმრთელობას უფროთხილდებიან; მაგრამ სასახლის ჰაერი ძალიან მავნებელია. აი, ამას წინათ მეფეს ისეთი კუჭის შეკრულობა დაემართა, რომ აღსარებაც კი თქვა. ეგ არაფერი, აღსარება სულს არ ავნებს, მაგრამ საფრთხე გაზვიადებული აღმოჩნდა, მონარქს ოყნა გაუკეთეს და ყველაფერი კარგად დამთავრდა. სასახლემ მოიწყინა, ახლა გლოვაც ზედ დაერთო, მეფემ იმპერატორის გლოვის წესების დაცვა თავისი ოჯახის ყველა წევრს, ყველა თანამდებობის პირსა და ტიტულის მქონეს მოსთხოვა, თვითონაც ერთი კვირაა, თავის ოთახებში გამოიკეტა, ნახევარი წელი სრული სამგლოვიარო ტანსაცმელი უნდა ატაროს, სამი კვირა – გრძელი სამგლოვიარო მოსასხამი და კიდევ სამი თვე – მოკლე, რათა ჯეროვნად გამოხატოს ცოლისძმის გარდაცვალებით გამოწვეული სევდა.

მაგრამ დღეს ზეიმი, რაღაც სიღრმისეული, სულიერი ნეტარების დღე. სახლები დაცარიელდა, მოქალაქეები ქუჩებსა და მოედნებზე გამოვიდნენ, ყველა როსიოსკენ მიისწრაფის, რათა საკუთარი თვალით იხილოს, როგორ გამოუტანენ განაჩენს ებრაელებსა და ახალ ქრისტიანებს, ერეტიკოსებსა და ჯადოქრებს, ასევე უფრო გაუგებარ დანაშაულში ბრალდებულებს: სოდომიტებს, მოლინიზმში მხილებულებს, ქალების

მაცდუნებლებსა და სხვათ. ყველას არ დაწვავენ, ზოგი შეიძლება კოცონს გადაურჩეს და კატორღაზე წავიდეს. დღეს ას ოთხ ადამიანს გამოიყვანენ, უმეტესობა ბრაზილიიდანაა ჩამოსული, იმ დაწყვეტილი წიაღიდან, რომელიც აღმასებსა და ცოდვებს შობს, ორმოცდათერთმეტი კაცი და ორმოცდაცამეტი ქალი. ორს ჯალათს გადასცემენ, როგორც გამოუსწორებლებს, ასე წერია საბრალდებო დასკვნაში, ესე იგი, ერეტიკოსებს, რომლებიც არ ინანიებენ ღვთის გმობას, როგორც რწმენის მოღალატეებს, ესე იგი, მოწმეთა ჩვენებების მიუხედავად, მაინც ჯიუტად თავისას რომ ამტკიცებენ, როგორც მემამბოხეებს, ესე იგი, თავიანთი შეცდომების აღიარება რომ არ სურთ, თავს მართლებად თვლიან, თუმცა მათი სიმაართლე უდროო და უადგილოა. და, რადგანაც ლისაბონში უკანასკნელად ადამიანი კოცონზე ორი წლის წინათ დაწვეს, როსიო ხალხს ვეღარ იტევს, დღეს ორმაგი დღესასწაულია – კვირადღე და აუტოდაფე. დღემდე გაურკვეველი დარჩა, რა უფრო მოსწონთ მოქალაქეებს – კორიდა თუ აუტოდაფე, ეს საკითხი მაშინაც ვერ გაირკვა, როდესაც მხოლოდ კორიდა დარჩა. მოედანზე გამომავალ ფანჯრებში ქალები ჩანან, ლამაზად ჩაცმულები და დავარცხნილები, გერმანულ ყაიდაზე იპრანჭებიან, მის უდიდებულესობა დედოფალს ბაძავენ, ფერუმარული წაუსვამთ ლოყებსა და მკერდზე, ტუჩები მოკუმული აქვთ, რათა პირები პატარა გამოუჩნდეთ, გრიმასებს კერავენ, ქუჩაში იყურებიან, ხელოვნურ ხალებს ისწორებენ, მუწუკებს პუდრით ინიღბავენ, აღიარებული თუ უარყოფილი და ამიტომ სევდიანი თაყვანისმცემელი კი ქვევით, ქუჩაში მიდი-მოდის, ხელში ცხვირსახოცი უჭირავს და მოსასხამს აფრიალებს. ცხელი დღეა, გამაგრებელი სასმელი ნამდვილად არაა ზედმეტი, ამიტომ ზოგი სახელგანთქმულ ლიმონათს სვამს, ზოგი – უბრალო წყალს, ზოგი საზამთროს ნაჭრით გრილდება, უარს ხომ არ იტყვიან სიამოვნებაზე, მერე და რა, რომ ვიღაც სიკვდილით უნდა დასაჯონ, თუ ვინმეს მოშივდა, მოხალული თხილი, ღვეზლები და ფინიკებიც თავზესაყრელია. მეფე ორივე სქესის ინფანტებთან, თავის და-ძმასთან, ერთად აუტოდაფეს დასრულების შემდეგ ინკვიზიციაში ისადილებს. კუჭის შეკრულობამ უკვე გაუარა და ამიტომ ჯეროვნად შეაფასებს დიდი ინკვიზიტორის სუფრას, ეს სუფრა კი სავსე იქნება ჯამებით, ქათმის ბულიონით, ხბოს მკერდით, მწყრებით, ხორცის ღვეზელით, კასტილიური კოსიდოთი²⁰, რომელშიც ყველაფერი იდება, რაც კი შესაძლებელია, დესერტზე კი ბლამანჟე, ხილი და ნამცხვარი მოიწონებს თავს. მაგრამ მეფე ღვინოს არ სვამს და, რადგანაც კარგი მაგალითი საუკეთესო გაკვეთილია, ყველა სარგებლობს, მაგალითით, რა თქმა უნდა, და არა ღვინით.

კიდევ ერთ, სულის მარგებელ მაგალითს მალე მოედანზე გვაჩვენებენ. აი, პროცესიაც გამოჩნდა, მას დომინიკელები მოუძღვიან და დროშაზე დაქარგული თავიანთი მფარველი წმინდანის უზარმაზარი გამოსახულება მოაქვთ, მათ მწკრივში ჩამდგარი ინკვიზიტორები მოჰყვებიან, შემდეგ დამნაშავეები მოდიან – ას ოთხი კაცი, ყველას ხელში სანთელი უჭირავს, აქეთ-იქიდან დაცვა მოჰყვება. ლოცვის ხმა ისმის, ქუდებით

მიხედვები, ვინაა სიკვდილმისჯილი და ვინ გადაურჩა კოცონს, რაკილა ცოდვები მოინანია. ქუდების გარდა კიდევ ერთი სიმბოლური ნიშანი არსებობს – დიდი ჯვარცმა სიკვდილმისჯილი ქალებისაკენ ზურგით შეუბრუნებიათ, პირით კი – მათკენ, ვისაც სიცოცხლეს შეუნარჩუნებენ. დამნაშავეთა ტანისამოსიც განაჩენის შინაარსს გადმოგვცემს – შედარებით მსუბუქად დასჯილებს წმინდა ანდრიას წითელჯვრიანი სანბენიტო აცვიათ, ე. წ. გადაბრუნებული ცეცხლის ენებით მორთული. ასეთი სანბენიტო იმათ აცვიათ, ვინც მოინანია ცოდვები და კოცონს გადაურჩა. ნაცრისფერი, უფრო სწორად, ფერფლისფერი ბალახონები კი, რომელზეც გამოსახულია თავად დამნაშავე ეშმაკებისა და ჯოჯოხეთური ცეცხლის ენების გარემოცვაში, იმის მანიშნებელია, რომ ორ ქალს დღეს კოცონზე დაწვავენ. ძმა ჟუან დოს მარტირესი, მამა-პროვინციალი, არაბიდას ბერების წინამძღვარი, ქადაგებას იწყებს. ეს პრივილეგია მას კანონით ეკუთვნის – ზუსტად არაბიდას ძმობას ეკუთვნოდა ის ბერიც, რომლის წინასწარმეტყველებამ მეფესა და დედოფალს მემკვიდრე აჩუქა. დაე, ძმა ჟუანის ქადაგებამაც ისე არგოს სულს, როგორც ფრანცისკანელთა ორდენს გაუმართლა – მალე ახალი მონასტერიც ექნებათ, ტახტის მომავალი მემკვიდრეც, ალბათ, კეთილგანწყობილი იქნება მათ მიმართ.

კეთილი ხალხი ყვირის, ილანძღება, დამნაშავეებს აგინებს, ქალები ჭყვიან, ფანჯრებიდან ლამის გადმოხტნენ, ბერები ლოცვებს ბუტბუტებენ, პროცესია უზარმაზარ გველს ჰგავს, როსიოს მოედანზე ვერ ეტევა და ამიტომ რგოლებად იკლაკნება. მთელი ქალაქი ხედავს დამნაშავეებს: აი, ის კაცი, სიმეონ დი ოლივეირა-ი-სოუზა, უმუშევარი, თავს წმინდა ინკვიზიციის აგენტად ასაღებდა, სასულიერო პირი არასდროს ყოფილა, მაგრამ მაინც ატარებდა მესას და ქადაგებდა, თანაც ხმამაღლა აცხადებდა, ერეტიკოსი და იუდეველი ვარო, ასეთი აზდაუბდა არავის გაუგონია, კიდევ უარესი – თავის თავს ხან მამა თეოდორ პერეირა-დი-სოუზას, ხან ძმა მანუელ დი კონსეისანს, ხან ძმა მანუელ და გრასას, ხან ბელშიორ კარნეიროს, ხან მანუელ ლანკასტრეს უწოდებდა, მოდი და გაიგე, ვინაა სინამდვილეში, ალბათ, ყველა ეს სახელი ჭეშმარიტია, რადგან ადამიანს იმის უფლება უნდა ჰქონდეს, რომ თავად აირჩიოს სახელი და, როცა მოუნდება, გამოიცვალოს კიდევ. სახელი რაა, ბოლოს და ბოლოს, ცარიელი ბგერა, აი, იმან კი, დომინგოს ალფონსო ლაგარეირომ, პორტელას მკვიდრმა, მოინდომა წმინდანი გამხდარიყო, იტყუებოდა, ვითომ ხილვები ჰქონდა, ასეთი რამე ხშირად მომხდარა ადრეც. პადრე ანტონიო ტეიშეირა-დი-სოუზა, კუნძულ სან-ჟორჟედან, ქალების შეცდენაშია მხილებული, ანუ ჩვეულებრივი ენით რომ ვთქვათ, ქალებს ხელებით ეპოტინებოდა და მათთან სცოდავდა კიდევ, თანაც ეს ყველაფერი აღსარების დროს იწყებოდა და სამკვეთლოში, სიბნელეში სრულდებოდა, ახლა ამ მღვდელს თავისი მიწიერი ცხოვრების დასრულება ანგოლაში მოუწევს, სადაც მალე გადაასახლებენ. ეს კი მე ვარ, სებასტიანა-მარია დი ჟეზუს, ერთ-ერთი ამ ოთხ ახალ

ქრისტიანთაგანი, მეც მქონდა ხილვები, მაგრამ მოსამართლეებმა მითხრეს, ტყუილ, მე კი ცხადად მესმის ზეციური ხმები, მათ კი მითხრეს, ეს სატანის საქმეებიაო. კარგად ვიცი, რომ მეც შემძლია ისეთივე ვიყო, როგორც ჩვენი წმინდანები და მოწამეები არიან, განსხვავებას ვერ ვხედავ ჩემს თავსა და მათ შორის, მაგრამ ამისთვის გამკიცხეს, გამათრიეს, მითხრეს, ეს დანაშაული და ამპარტავნებაა, ღვთის გმობა, ჰოდა, ასე გავხდი წყეული ერეტიკოსი და ღვთისმგმობი, პირი ახვეული მაქვს, რათა ხალხმა ჩემი ნათქვამი არ გაიგონოს და გონება არ მოეშხამოს. საჯაროდ გამოლტვა და რვა წლით ანგოლაში გადასახლება მომისაჯეს და სხვების განაჩენიც კარგად მოვისმინე, მაგრამ ჩემი ქალიშვილის სახელი იქ არ უხსენებიათ. მას ბლიმუნდა ჰქვია, ნეტავი სადა ხარ ახლა, ბლიმუნდა, თუ შენც არ დაგაპატიმრეს ჩემს შემდეგ, მაშინ, ალბათ, სადღაც აქ, ხალხში, ხარ, შეიძლება, დაგინახო კიდეც, ახლა თვალები მხოლოდ იმისთვის მჭირდება, რომ შენ დაგინახო, პირი აკრული მაქვს, მაგრამ თვალები ყველაფერს ხედავენ, მარტო თვალები კი არა, გული გრძნობს, რომ სადღაც აქა ხარ, დედაშენის ამბის გასაგებად მოხვედი. აქა ხარ, ამ ხალხში, რომელიც იფურთხება, ტალახს, საზამთროს ქერქებს გვესვრის, ოჰ, როგორ ცდებიან, ყველას შეუძლია წმინდანი გახდეს, თუ მოინდომებს, მაგრამ აი, გულმა რეჩხი მიყო, ახლა ვნახავ ჩემს გოგოს, აი, ისიც, ბლიმუნდა, ბლიმუნდა, შვილო, აი, დამინახა, მაგრამ არ უნდა შეიმჩნიოს, ვითომ არ მიცნობს, დედამისი ხომ ჯადოქარია, თანაც მონათლული ებრაელების შთამომავალია, მართალია, მესამე თაობაა, მაგრამ მაინც. აი, დამინახა, მამა ბართოლომეუ ლოურენსოს ახლოს დგას, ხმა არ ამოიღო, ბლიმუნდა, მხოლოდ უყურე, რა ხდება მოედანზე, ის მაღალი კაცი ვინაა, ბლიმუნდას გვერდით რომ დგას, ნეტავ, ვინაა, ან სადაურია, ან რა ელით მათ მომავალში, ო, ეს ჩემი წინასწარმეტყველების საიდუმლო უნარია, ტანისამოსით თუ ვიმსჯელებთ, ჯარისკაცი უნდა იყოს, სახის გამომეტყველებით და ხელზე კაუჭის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბევრი რამ გადახდენია თავს, მშვიდობით, ბლიმუნდა, ვედარასდროს ვედარ გნახავ, ალბათ. ბლიმუნდამ კი მღვდელს უთხრა, აი, დედაჩემი მოჰყავთო, მერე მაღალ მამაკაცს მიუბრუნდა და ჰკითხა, რა გქვიათო, და მამაკაცმა დაუფიქრებლად მიუგო, ბალთაზარ მათეუსი მქვია, მეტსახელად შვიდ მზეს მემახიანო.

სებასტიანა-მარია დი ჟეზუსმა უკვე გაიარა, პროცესიამ მოუხვია და უკან წამოვიდა. გასაშოლტები გამოლტეს, ორი ქალი კოცონზე დაწვეს – ერთი ჯერ გაროტათი მოახრჩვეს, რადგან უკანასკნელ წუთს ქრისტიანულ სარწმუნოებას დაუბრუნდა, მეორე ცოცხლად დაწვეს, რადგან ბოლომდე ჯიუტად იდგა თავის ნათქვამზე, ჩამქრალი კოცონის გარშემო ცეკვა დაიწყო, ქალები და კაცები გიჟებივით დახტიან, მეფე უკვე წავიდა, ისადილა და სასახლეში დაბრუნდა, მას ინფანტები გაჰყვნენ ექვსცხენიანი ეტლით, შემდეგ კი – სამეფო გვარდია. მოსაღამოვდა, მაგრამ მაინც ცხელა, გაროტასავით მხუთავი სიცხეა, როსიოს მოედანს კარმელიტების მონასტრის ფართო ჩრდილი ეცემა. დამწვარი გვამები ბოძებიდან ჩამოხსნეს და ნაკვერჩხლებში ჩააგდეს, ღამით ქარი

ფერფლს გაფანტავს, ფერფლის ნაწილაკები განკითხვის დღეს ერთმანეთს ვერ იპოვნენ. ხალხი ნელ-ნელა იშლება, ფეხსაცმლის ძირებზე ჭკარტლი აქვთ აკრული, წებოვანი ფერფლი, დამწვარი ხორცის ნაწილაკები. ყველამ იცის, რომ კვირა უფლის დღეა, თუმცა ყველა დღე უფლისა როდია. ყველა დღეს ვიღაცის სიცოცხლე მიაქვს, თუ მანამდე იმავე უფლის სახელით ცეცხლის ენები არ წაიღებს სიცოცხლეს. ორმაგი ძალადობა, აი, დამწვეს, რადგან საკუთარი ნებით და გონებით უარი ვუთხარი ღმერთს, არ დავანებე არც ხორცი და არც სული. ასეა თუ ისე, ჟამი დადგა სიკვდილისა.

ბლიმუნდას სიტყვები, ალბათ, ცივად და მკაცრად მოეჩვენათ გარშემო შეკრებილთ, აი, დედაჩემი მოდისო, არც ცრემლი ჩამოვარდნია, არც ხმა აკანკალებია, რაც არ უნდა იყოს, დედამისია, თან, ეტყობა, შვილი ძალიან უყვარს, ხედავთ, როგორ უყურებს, შვილმა კი მხოლოდ ეს თქვა, აი, დედაჩემო, და ვიღაც კაცს მიუბრუნდა, რომელიც პირველად ნახა ცხოვრებაში, და სახელი ჰკითხა. თითქოს მისი სახელის ცოდნა ასე მნიშვნელოვანი იყოს, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე დედამისის ტანჯვა გაშოლტვისას, მანამდე კი – ციხეში, შვილმა ხომ კარგად იცის, რომ სებასტიანა-მარია დი ქეზუსი ანგოლაში გადაასახლეს, სახელმაც ვერ უშველა, შეიძლება, მამა ანტონიო ტეიშეირა-დი-სოუზასთან პოვოს სულისა და ხორცის სიმშვიდე. ეგ მასეთი რამეების დიდოსტატია, სულ არაფერს მაინც ეგა სჯობს, ცოტა ამქვეყნად გაიხარონ, თუ იმქვეყნად მაინც ჯოჯოხეთი ელით. მაგრამ ახლა, სახლში, ბლიმუნდას ცრემლები ღვარად ჩამოსდის, კიდევ ერთხელ მაინც თუ ნახავს დედას, ნავსადგურში, გემზე რომ აიყვანენ. ალბათ, შორიდან თუ მოკრავს თვალს, კაპიტნისათვის ბევრად ადვილია მსუბუქი ყოფაქცევის ინგლისელი ქალები გადასახას ნაპირზე, ვიდრე ქალიშვილმა გადასახლებული დედა ჩაიკრას გულში, ვარდისფერი ლოყით მიეკრას დამჭკნარ სახეს. ეჰ, სადა ხარ, დედა, საერთოდ, ვინა ვართ ჩვენ? მამა ბართოლომეუ ლოურენსო ამბობს, ჩვენ არარაობა ვართ უფლის განგების წინაშე, მხოლოდ მან იცის, ვინა ვართ, შევურიგდეთ ბედს, ბლიმუნდა, უფლის განგებაში ნუ ჩავერევით, აქედან ვცეთ თაყვანი, მისი სამკვიდროს საზღვარს ნუ გადავაბიჯებთ, ჩვენ ჩვენს ვენახში ვიშრომოთ და, როდესაც საქმე გაკეთდება, ღმერთი მოგვხედავს, არ მიგვატოვებს, სინამდევით აი, მაშინ შეიქმნება სამყარო. ბალთაზარ მათეუსი, მეტსახელად შვიდი მზე, ხმას არ იღებს, ბლიმუნდას თვალს არ აცილებს, თან მუცელში რაღაც უცნაური გრძნობა აქვს და, რაკი ბლიმუნდამ უკვე დაასწრო კითხვას და დიახო უპასუხა, ცოლ-ქმრად გაცხადებთ. მამა ბართოლომეუ ლოურენსომ ბლიმუნდას ჭამის დამთავრება აცალა, და ყველაფერი დალოცა – ქალიშვილიც, საკვებიც, კოვზიც, ბლიმუნდას წიაღიც, კერიაც, სანთელიც, ფარდაგი იატაკზე, ბალთაზარის მოჭრილი ხელი... მერე ადგა და წავიდა.

მთელი საათი უხმოდ ისხდნენ ბლიმუნდა და ბალთაზარი. ბალთაზარი მხოლოდ ერთხელ წამოდგა, ცეცხლს შეშა შეუკეთა და ისევ დაჯდა. ბლიმუნდამ კი ნაღვენთი მოაცილა სანთელს, ოთახი უცებ განათდა, ბოლოს ბალთაზარმა ამოიღო ხმა და ჰკითხა,

რატომ დაგაინტერესა ჩემმა ვინაობამო. იმიტომ, რომ დედაჩემს უნდოდა შენი სახელის გაგება და მთხოვა, ჰკითხო, უპასუხა ბლიმუნდამ. საიდან იცი, შენ ხომ დედაშენის ხმის გაგონება არ შეგეძლო? ვიცი, და მორჩა, ამას ახსნა არ აქვს, როგორ, მე თვითონ არ გამეგება, მასეთ კითხვებს ნუ მისვამ, მაინც ვერ გიპასუხებ, ისე მოიქეცი, როგორც აქამდე იქცეოდი: ხომ შემოხვედი ჩემს სახლში უკითხავად. ახლა რა ვქნაო? – ჰკითხა ბალთაზარმა. თუ სახლი არ გაქვს, აქ იცხოვრეო, უთხრა ბლიმუნდამ. არა, მაფრაში უნდა დავბრუნდე, იქ ოჯახი მყავს. ცოლი? არა, დედ-მამა და და. ცოტა ხანს დარჩი, წასვლას ყოველთვის მოასწრებ. რატომ გინდა, რომ დავრჩე? ასეა საჭირო. მასეთი სიტყვებით ვერ ამიბნევ თავგზას! კარგი, წადი, თუ გინდა, მე კი არ გიჭერ. არა, არ შემიძლია, ვერ წავალ, შენ ჯადო გამიკეთე ნამდვილად! არაფერიც, თითიც არ დამიკარებია შენთვის, არც არაფერი მითქვამს. შენ ჩემს სულში ჩაიხედე. კარგი, გეფიცები, მეტად არასდროს აღარ ჩავიხედავ შენს სულში. მეფიცები, მაგრამ უკვე გააკეთე ეს! თავადაც არ იცი, რას ლაპარაკობ. შენთან რომ დავრჩე, სად დავიძინებ? ჩემთან.

ჰოდა, დაწვინენ. ბლიმუნდა ქალწული აღმოჩნდა. რამდენი წლისა ხარ? – ჰკითხა ბალთაზარმა. ცხრამეტისო, – უპასუხა ბლიმუნდამ. ამ რამდენიმე წუთში ბევრად უფროსი გახდა. ფარდაგზე ცოტა სისხლმა ჩამოწვეთა, ბლიმუნდამ შუა და საჩვენებელი თითი სისხლში ამოავლო, პირჯვარი გადაიწერა და ბალთაზარსაც გამოუსახა მკერდზე ჯვარი, გულის ადგილას. ორივე შიშველი იყო. ქუჩიდან ფეხის ხმა, შეძახილები, მახვილების ჟღარუნი ისმოდა. მალე ყველაფერი მიჩუმდა. მეტი სისხლი აღარ დაღვრილა.

დილით, როდესაც ბალთაზარმა გაიღვიძა, დაინახა, რომ ბლიმუნდა მის გვერდით წევს და თვალდახუჭული ჭამს პურს. ჭამა რომ დაამთავრა, მხოლოდ მაშინ გაახილა თვალები. ამ დილას თვალები ნაცრისფერი ჰქონდა და თქვა, აღარასოდეს ჩავიხედავ შენს სულშიო.

ძნელი საქმე არ არის პურის ნაჭრის მიტანა პირთან, თანაც შიმშილიც გეხმარება. დიდი მოგება მოაქვს მიწათმოქმედისთვის, კიდევ უფრო მეტი – იმისთვის, ვინც მომკალის ნამგალსა და მყიდველის პირს შორის დგას და მსუქან ქისას კიდევ უფრო მეტად ივსებს. პორტუგალიაში ხორბლის დეფიციტია, პორტუგალიელების მადას რა დააცხრობს, თითქოს მეტი არაფრის ჭამა არ იციანო, ჩვენს ქვეყანაში დასახლებულ უცხოელებს ამის შემყურეთ გული უკვდებათ. ამიტომ სარფიანი საქმე წამოიწყეს – თავიანთი და კიდევ უფრო შორეული ქვეყნებიდან ფლოტილიებით ჩამოაქვთ ხორბალი. აი, ახლაც გემები ტეჟოს აუყვნიენ, ბეთლემის კოშკს შემოუარეს. მის კომენდანტს შესაბამისი სიგელები წარუდგინეს, ოცდაათი ათასი მოიო ირლანდიური ხორბალი ჩამოიტანეს. რა ნეტარებაა, შიმშილი დროებით დაძლეულია. ახლა ნავსადგურისა და კერძო პირთა ბედლები აივსება, გასაქირავებელ საწყობებს დაუწყებენ მებნას, ქალაქის კარიბჭეებზე

განცხადებებს გამოაკრავენ, ცარიელ სათავსოებს ვეძებთ, ნებისმიერ თანხაზე თანახმანი ვართო, პურის შემომტანები თმებს დაიგლეჯენ, რადგან იძულებული გახდებიან, ფასები დაწიონ, მით უმეტეს, რომ ჭორები დაირხა, ვითომ კიდევ უნდა ჩამოვიდნენ გემები ჰოლანდიდანო, მაგრამ მერე ახალი ცნობები გავრცელდა – ჰოლანდიურ გემებს ფრანგულმა ესკადრამ გაუხსნა ცეცხლი. ასე რომ, ფასები ალბათ უცვლელი დარჩება, თუ არა და ერთი-ორი ბელისთვის ცეცხლის წაკიდებას რა უნდა! მერე კი განაცხადებენ, რომ ხორბალი საკმარისი არაა, რადგან ნაწილი დაიწვა, ჩვენ კი გვეგონა, დიდხანს გვეყოფოდაო. აი, ასეთია ვაჭრობის საიდუმლოებანი, უცხოელები გვასწავლიან, ჩვენც ვითვისებთ, თუმცა აქაურები, ჩვეულებრივ, ისეთი ბრიყვები არიან, ვაჭრებს ვგულისხმობ, რომ პირადად არასდროს არ იღებენ მონაწილეობას მოლაპარაკებებში, უცხოურ საქონელს უცხოეთში კი არა, ჩვენში მცხოვრები უცხოელებისგან ყიდულობენ. იმათაც ეგ არ უნდათ, ჩვენს სისულელეზე ფულს აკეთებენ, ზანდუკებს ავსებენ ჩვენს ხარჯზე, რა ფასში იღებენ საქონელს, არ ვიცით, რა ფასში ყიდიან აქ, ეგ კი კარგად ვიცით, რადგან ჩვენი ოფლით, სისხლითა და სიცოცხლით ვუხდით საფასურს.

სიცილიდან ტირილამდე, გართობიდან სევდამდე, უდარდებლობიდან შიშამდე ერთი ნაბიჯია. ეს როგორც ადამიანებთან, ისე სამეფოებთან დაკავშირებითაც შეიძლება ითქვას. აი, ჟუან ელვასი ერთი დიდებული ბრძოლის ამბავს უყვება ბალთაზარ შვიდ მზეს: როგორ მოემზადა დედაქალაქის ფლოტი საომრად, ბელენიდან შაბრეგასამდე მზადყოფნა გამოაცხადეს, ორი დღე-ღამე გამზადებულები იდგნენ, ნაპირზე კი ქვეითი ნაწილები და კავალერია გამოიყვანეს იმიტომ, რომ ხმა გავრცელდა, თითქოს ფრანგული ფლოტი გვიახლოვდება, ჩვენი დაპყრობა სურთ. ვინმე რომ გამოჩენილიყო – აზნაური და უაზნო – ახალი დუარტე პაშეკო ფერეირას როლში, ლისაბონი ნამდვილად დიუდ გადაიქცეოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მოწინააღმდეგეთა ფლოტი სინამდვილეში თევზსაჭერი გამოდგა, და არა სამხედრო, ქაშაყით დატვირთული, რომლის ნაკლებობასაც ძალიან განიცდიდნენ, ამიტომ ისე სწრაფად შეჭამეს, პირდაპირ ბღღვირი აადინეს! მინისტრებმა ეს ამბავი რომ გაიგეს, ცალყბად ჩაიცივნეს, ჯარისკაცებმაც ცალყბა ღიმილით შეალაგეს თოფები საცავებში, სამაგიეროდ, უბრალო ხალხი გულიანად ხარხარებდა, მუცლები სულ ხელით ეჭირათ, ასე თუ ისე, ჯარისკაცების ჯავრი ცოტათი მაინც ამოიყარეს. ბოლოს და ბოლოს, მაინც უკეთესია ფრანგს ელოდო და ქაშაყი მიიღო, ვიდრე ქაშაყს ელოდო და ამ დროს ფრანგი დაგესხას თავს.

შვიდი მზეც ამავე აზრისაა, მაგრამ იმ ჯარისკაცის ადგილასაც წარმოიდგინა თავი, რომელიც ბრძოლისთვის განეწყო: გული მაგრად უცემს, ფიქრობს, ხვალ რა მელის, ცოცხალი გადავრჩები თუ არაო, სულის ცხონებაზეც ზრუნავს, აღსარებას ამბობს, და ამ დროს ეუბნებიან, ქაშაყს რიბერა-ნოვას ნავმისადგომთან ტვირთავენ! ეს რომ ფრანგებს გაეგოთ, სიცილი მაშინ გენახათ! ომი მოენატრა ბალთაზარს, მაგრამ უცებ ბლიმუნდა გაახსენდა, მისი ცვალებადი თვალები: მაინც რა ფერის თვალები აქვს? ხან ერთი ფერი

წარმოუდგა მებსიერებაში, ხან მეორე, ვერ გაიგებ, როგორი თვალეები აქვს, მაშინაც კი, როდესაც პირდაპირ სახეში გიყურებს. სევდა გაეფანტა და ჟუან ელვასს უპასუხა: რამე ისეთი საშუალება უნდა გამოინახოს, რომ სწრაფად გაიგო, ვინ უახლოვდება სანაპიროს, რა ტვირთით და რა მიზნით, არადა, ეგ იმ თოლიებმა იციან, ანძებზე რომ სხდებიან, ჩვენც გვჭირდება ამის ცოდნა. ჟუანმა კი მიუგო, თოლიებს ფრთები აქვთ, ანგელოზებსაც აქვთ, მაგრამ თოლიამ ლაპარაკი არ იცის, ანგელოზები კი ცხოვრებაში არ მინახავსო.

მამა ბართოლომეუ ლოურენსო ტერიერო-დო-პასოზე მიდიოდა, სასახლიდან ბრუნდებოდა, სადაც ბალთაზარ შვიდი მზის თხოვნით მისი პენსიის ამბის გასაგებად იყო მისული. ჟუან ელვასმა ბალთაზარის შესახებ ყველაფერი არ იცოდა და ამიტომ თქვა, აი, მამა ბართოლომეუ ლოურენსო მოდის, მას მფრინავს ეძახიან, მაგრამ ფრთების სიგრძე არ ეყო, ჰოდა ჩვენც ვერ ვიფრენთ და ვერ გავიგებთ, რა ფლოტი გვიახლოვდება, რა გეგმები აქვს ან რა მოაქვსო. შვიდმა მზემ არ უპასუხა, რადგან ამ დროს მღვდელმა ხელი დაუქნია და თავისთან უხმო, ჟუან ელვასი გაოცებული დარჩა, როდესაც ნახა, რომ მის მეგობარს მფარველები უპოვია ეკლესიაშიც და მეფის კარზეც, და ჩაფიქრდა: რა ხერი შეიძლება ნახოს აქედან გამოქცეულმა ჯარისკაცმა? თანაც დროსაც უქმად არ კარგავდა: ხელი გაიშვირა სამათხოვროდ, ჯერ ვიღაც გამვლელ აზნაურს მიადგა, ის აზნაური, ეტყობა, კარგ ხასიათზე იყო და უხვად გაიღო მოწყალება, მაგრამ მერე გზა აებნა და მათხოვრული ორდენის ბერთან მივიდა, რომელიც ხატით დადიოდა და ყველას უწვდიდა საკოცნელად. ჟუან ელვასს ნამოვნი ფულის ორდენისთვის შეწირვა მოუწია, ეშმაკმა დალახვროს, ლანძღვა-გინება დიდი ცოდვას, მაგრამ რა დიდი შვება მოაქვს.

მამა ბართოლომეუ ლოურენსომ ასე უთხრა ბალთაზარ შვიდ მზეს, მოსამართლეს ველაპარაკე, მითხრეს, რომ შენს საქმეს განიხილავენ, ასწონ-დასწონიან ყველაფერს, გადაწყვეტენ, ღირს თუ არა მეფეს თხოვნით მიმართო, და შემატყობინებენ. ეგ როდის იქნება, მამაო? – ჰკითხა ბალთაზარმა. პროვინცილის გულუბრყვილობა, რომელიც ეხლახანს ჩამოვიდა დედაქალაქში და აქაური წესები ჯერ არ იცის! მაგას ვერ გეტყვი, მაგრამ უნდა მოვიცადოთ, ეგებ მოვახერხო მეფესთან გასაუბრება, ხელმწიფე ძალიან მწყალობს. როგორ, თავად მეფეს ესაუბრებით ხოლმე, – გაოცდა ბალთაზარი, თან გულში იფიქრა, გვირგვინოსანს ესაუბრება და, ამავე დროს, ინკვიზიციის მიერ გასამართლებულ ბლიმუნდას დედასაც იცნობს, ეს რანაირი მღვდელიაო. მაგრამ უკანასკნელი სიტყვები, რა თქმა უნდა, ხმამაღლა არ წარმოუთქვამს. ბართოლომეუ ლოურენსომ არაფერი უპასუხა ჯარისკაცს, მხოლოდ თვალეებში შეხედა, მღვდელი ბალთაზარზე ცოტა დაბალი იყო და უფრო ახალგაზრდა ჩანდა, თუმცა ზუსტად ერთი ხნისანი იყვნენ, ორივეს ოცდაექვსი წელი შეუსრულდა, ბალთაზარის ასაკი ხომ ვიცი თუკვე, მაგრამ მათი ცხოვრება ძალიან განსხვავებული იყო: ბალთაზარს – სულ შრომა და ომი, ომი მისთვის უკვე დასრულდა, შრომა კი წინ ელოდა, ბართოლომეუ ლოურენსო კი

ბრაზილიაში დაიბადა და ჭაბუკობაში ჩამოვიდა პორტუგალიაში. ჯერ ისწავლა, იმდენი ისწავლა, რომ უკვე თხუტმეტი წლის ასაკში დიდ იმედებს იძლეოდა, ბევრ დასახულ მიზანს უკვე მიაღწია, ზეპირად იცოდა ვირგილიუსი, ჰორაციუსი, ოვიდიუსი, კვინტუს კურციუსი, სვეტონიუსი, მეცენატი, სენეკა, გინდა თავიდან, გინდა ბოლოდან წაიკითხავდა, გინდა ნებისმიერი ადგილიდან, რომელზეც მიუთითებდი. ყველა იგავ-არაკს ჩამოგითვლიდა, რაც კი ოდესმე დაწერილა, იმასაც გეტყოდა, რა მიზნით დაწერეს ისინი ბერძენმა და რომაელმა წარმართებმა, ყველა ლექსების წიგნის ავტორსაც დაგისახელებდათ – ძველებსაც და თანამედროვეებსაც, ათას ორას წლამდე, და თუ, ვინმე ლექსს წაუკითხავს, იქვე უპასუხებს საკუთარი იმპროვიზაციით, იქვე მოიგონებს ლექსს, ალბათ, მთელი ფილოსოფია და ყველა მისი სირთულეც იცის, არისტოტელეს სისტემასაც ისე აგიხსნის, რომ შენი მოწონებული, მიუხედავად იმისა, რომ ეს სისტემა ისეთი რთული და ჩახლართულია, რომ მეტი არ შეიძლება. წმინდა წერილის ყველა გამოცანაზე პასუხს გაგცემს, ძველი აღთქმის, ახლისაც, ზეპირად იცის ოთხივე სახარება, წმინდა პავლეს ეპისტოლენი და წმინდა იერონიმესიც, ისიც იცის, რამდენი წელი აშორებს ერთ წინასწარმეტყველს მეორესთან, კარგად იცის წმინდა წერილში ნახსენები ყველა მეფის ისტორია, ასევე ფსალმუნი და ქებათაქება, გამოსვლა და მეფეთა წიგნი, ასე გასინჯეთ, არაკანონიკური წიგნებიც იცის, მაგალითად, ორივე ეზრა. მართლაც არცთუ კანონიკურია ეს ეზრა, ისე, ჩვენს შორის დარჩეს და, ზედმეტი პედანტიზმის გარეშე რომ ვთქვათ, ასეთი ჭკუაც არაა მთლად კანონიკური, არც ასეთი ამალღებული გონება, მეხსიერება, ნიჭი, რომელიც ბრაზილიაში აღმოცენდა, ქვეყანაში, რომლისგანაც ჩვენ მხოლოდ ოქრო, ალმასები, თამბაქო, შაქარი, ხე-ტყე გვჭირდება, ეს ხომ სხვა სამყაროა, უკუნითი უკუნისამდე. რა თქმა უნდა, ტაპუიას ტომის ინდიელებშიც უნდა გავავრცელოთ ქრისტეს მცნება, სულის ცხოვნებისთვის მხოლოდ ესეც კმარა.

ამ წუთში მითხრა ჩემმა მეგობარმა ჟუან ელვასმა, რომ თქვენ მფრინავი გიწოდეს მეტსახელად, მამაო, რატომ? ჰკითხა ბალთაზარმა. ბართოლომეუ ლოურენსო სწრაფი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას, ჯარისკაციც გაჰყვა, ორი ნაბიჯით უკან მისდევდა. გაცდნენ არსენალს რიბერა-დას-ნაუსის სანაპიროზე, მეფის სასახლეს და იმ ადგილას, სადაც მოედანი მდინარესკენ ეშვება, მღვდელი ქვაზე ჩამოჯდა და ბალთაზარს ანიშნა, გვერდით მომიჯექიო და ბოლოს და ბოლოს უპასუხა, თითქოს ახლად გაიგონა შეკითხვა: იმიტომ, რომ მიფრენიაო. ბალთაზარმა ექვით უპასუხა, მაპატიეთ, მაგრამ ფრენით მხოლოდ ჩიტები და ანგელოზები დაფრინავენ, ადამიანები კი სიზმარში თუ გაფრინდებიან, მაგრამ სიზმარი კვამლივითაა, წამი და – გამქრალია. ადრე არასდროს გიცხოვრია ლისაბონში? ოთხი წელი ომში ვიყავი, ისე წარმოშობით მაფრადან ვარ. ჰოდა, ორი წლის წინ გავფრინდი, ჯერ ერთი საჰაერო ბურთი გავაკეთე, მაგრამ დამეწვა, მერე მეორე – ის ჭერამდე აფრინდა სასახლეში, მესამე კი ინდოეთის პალატის ფანჯრიდან გაფრინდა და იმის მერე არავის აღარ უნახავს. ესე იგი, თქვენ პირადად კი არა, არამედ

თქვენი ბურთები გაფრინდნენ? ჰო, ბურთები გაფრინდნენ, მაგრამ ეს იგივეა, რომ მე ვიფრინო. ერთია, როდესაც ბურთები დაფრინავენ, მეორე – როდესაც ადამიანი აიჭრება ცაში. არა უშავს, ადამიანი ჯერ დახოხავს, მერე სიარულს სწავლობს, მერე – სირბილს, ოდესმე ფრენასაც ისწავლის, – უპასუხა ბართოლომეუ ლოურენსომ. ამ დროს მუხლის მოყრა მოუწია, რადგან ქუჩაზე ხორცი უფლისა ჩვენისა ჩამოატარეს, ალბათ, ვინმე ავადმყოფი დიდებულისთვის მიჰქონდათ. მღვდელი დახურული პალანკინით ექვს კაცს მიჰყავდა, წინ მიესაყვირებენ მიუძლოდნენ, უკან რომელიღაც ორდენის ბერები მიყვებოდნენ, ყველას წითელი მოსასხამები მოესხათ და ხელში ცვილის მსხვილი სანთლები ეჭირათ, კიდევ ბევრი ნივთი მიჰქონდათ, რომელიც ზიარების მიღებისთვისაა აუცილებელი, ეტყობა, ვიღაცის სული ძალიან დიდი მონდომებით ემზადება გასაფრენად, მხოლოდ იმას ელის, როდის გათავისუფლდება ხორციელი ბორკილისგან, იმ ქარს უნდა გაჰყვეს, რომელიც ვინ იცის, საიდან ქრის – ზღვიდან, თუ სამყაროს შორეული ნაწილებიდან, თუ იმ ქვეყნიდან. შვიდმა მზემაც დაიჩოქა, მიწას დააყრდნო თავისი რკინის კაუჭი, მარჯვენა ხელით კი პირჯვარი გადაიწერა.

მამა ბართოლომეუ ლოურენსო აღარ დაჯდა თავის ქვაზე, არამედ ნელ-ნელა დაეშვა მდინარის ნაპირისკენ, ბალთაზარი უკან გაყვა, ნაპირთან ნავი იდგა. თივით იყო დატვირთული. მტვირთავები უზარმაზარი ტომრებით ზურგზე სასწაულით იკავებდნენ წონასწორობას ტრაპზე, თივას ცლიდნენ, მეორე მხრიდან ორი შავკანიანი მონა ქალი ეხმარებოდა მათ, თივის სუნი იდგა, ბუნებრივი სუნია, და განავლის, ესეც ხომ ბუნებრივი სუნია, და მღვდელმა განაგრძო: მთელი დედაქალაქი დამცინოდა, პოეტები ჩემზე პასკვილებს წერდნენ, ტომას პინტო ბრანდანმა ჩემს გამოგონებას ქარის სათამაშო უწოდა, მეფის მფარველობა რომ არა, არ ვიცი, რა მელოდა, მაგრამ მეფეს ჩემი მანქანა მოეწონა და ნება დამართო, ექსპერიმენტები ჰერცოგ დი ავეირუს მამულში გამეგრძელებინა, სან-სებასტიან-და-პედრეირაში. ახლა კი ხმა ჩაიგდეს ცილისმწამებლებმა, თორემ სულ გავიდნენ თავს, ასე ამბობდნენ, ნეტავ ძვლები დაიმტვიროს, ციხესიმაგრიდან გაფრენას რომ დააპირებსო, მე კი მსგავსი არაფერი დამიპირებია, არაფერი მასეთი არ მითქვამს, ისინი კი გაიძახოდნენ, ეს გამოგონება უფრო უწმინდესი სამსახურის სფეროდანაა, ვიდრე გეომეტრიისო. მამაო ბართოლომეუ, მე მაგ საქმეებისა არაფერი გამეგება, ჯერ გლეხი ვიყავი, მერე ჯარისკაცი გავხდი, არ მჯერა, რომ ადამიანი ფრენას შეძლებს, და ვინც საწინააღმდეგოს ამტკიცებს, უგუნურია და მეტი არაფერი. მაგრამ აი შენ ხელზე კაუჭი გაქვს, თავად ხომ არ გამოიგონე ეს კაუჭი, უბრალოდ საჭიროება წარმოიქმნა და ვიღაცას იდეა მოუვიდა თავში, პირველის გარეშე მეორე არ იბადება, აი, შეერთდა რკინის კაუჭი და ტყავის თასმები, ან აგერ, გემები ამ მდინარეზე – იყო დრო, როდესაც ადამიანმა არ იცოდა, აფრა რა იყო, იყო დროც, როდესაც ნიჩაბი ახალი გამოგონილი იყო, ასევე საჭეც, და აი, ადამიანი, ეს მიწაზე მხოხავი არსება, ზღვაოსანი გახდა, რადგან ამის აუცილებლობა შეიქმნა, თუ დაგვჭირდა,

ფრენასაც ვისწავლით. კი მაგრამ, ის, ვინც აფრას ხმარობს, წყალზეა და წყალზევე რჩება, ფრენა კი მიწას მოწყვეტას ნიშნავს, ჰაერში კი არანაირი საყრდენი არ არის. ჩვენც ფრინველებს მივბადოთ – ისინი ჰაერშიც დაფრინავენ და მიწაზეც ეშვებიან. ესე იგი, ბლიმუნდას დედასაც იმიტომ დაუახლოვდით, რომ ჯადოქრობა ეხერხებოდა? გავიგე, რომ მას ხილვები ჰქონდა, და ამ ხილვებში ქსოვილისგან გაკეთებული ფრთებით მფრინავი ადამიანები ეცხადებოდნენ, ისე, ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის მრავლად იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ, ხილვები მქონდაო, მაგრამ ბლიმუნდას დედის ნაამბობმა ძალიან დამაინტერესა, ავდექი და მოვინახულე, დაველაპარაკე, მერე დავუმეგობრდი. გაიგეთ, რაც გაინტერესებდათ? არა, მივხვდი, რომ მისი ხილვები არაფერს მარგებდა, იმასაც მივხვდი, რომ სხვის დაუხმარებლად უნდა ვიმოქმედო, მგონი, მართაღს ამბობენ ისინი, ვინც თვლის, რომ ფრენა უფრო უწმინდესი სამსახურის სფეროდანაა, ვიდრე გეომეტრიის. თქვენ ადგილას ფრთხილად ვიქნებოდი, ასეთი აზრებისთვის შეიძლება ციხეშიც მოხვდეთ, ან კატორღაზე, ან სულაც კოცონზე, მაგრამ ეს ყველაფერი მღვდელმა უკეთ უნდა იცოდეს, ვიდრე ჯარისკაცმა. ფრთხილად ვარ, მფარველიც ძლიერი მყავს. ვინ იცის, ეგებ, თქვენი ზეიმის დღეც დადგეს.

უკან გამობრუნდნენ და მოედანზე ავიდნენ. შვიდ მზეს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ყოყმანობდა, მღვდელმა შენიშნა ეს და უთხრა, ნამდვილად რაღაცის კითხვა გინდა, ბალთაზარ. იმის გაგება მინდა, რატომ ჭამს ხოლმე ბლიმუნდა დილაობით პურს თვალდახუჭული. ერთად გეძინათ? ჰო, იქ ვცხოვრობ. თქვენ უკანონო კავშირში ხართ, სჯობს, დაქორწინდეთ. ბლიმუნდას არ უნდა, ისე არც მე მინდა, უცებ მშობლიურ სოფელში რომ მომინდეს დაბრუნება, მან კი ლისაბონში დარჩენა გადაწყვიტოს, რაღა აზრი აქვს ჩვენს ქორწინებას, მე რაც გკითხეთ, იმაზე არ მოპასუხებთ? პურს რატომ ჭამს დილაობით თვალდახუჭული? თავად ბლიმუნდას ჰკითხე. მაგრამ თქვენ ხომ იცით? ვიცი. არ მეტყვი? მხოლოდ იმას გეტყვი, რომ ეს დიდი საიდუმლოებაა, ბალთაზარ, ფრენა უფრო ადვილია, ვიდრე ბლიმუნდას საიდუმლოს ამოხსნა.

საუბარში გართულები საჯინბოს მიუახლოვდნენ, სადაც ცხენებსა და ჯორებს აქირავებდნენ. მღვდელმა ჯორი იქირავა და თქვა, სან-სებასტიან-და-პედრეირაში უნდა წავიდე, ჩემს მანქანას მივხედო, თუ გინდა, ჩემთან ერთად წამოდი, ჯორი ორივეს გაგვიძლებს. სიხარულით, მაგრამ ფეხით სიარული მირჩევნია, ხომ იცით, ქვეითი ვიყავი. შენ ნამდვილი ბუნების შვილი ხარ, არც ჯორის ფლოქვები, არც პასაროლას ფრთები არ გჭირდება. ეგრე თქვენ მანქანას ეძახით? – ჰკითხა ბალთაზარმა და მღვდელმა უპასუხა, ხალხმა დაარქვა ესე, დასაცინადო.

წმინდა როხას ბორცვზე ავიდნენ, მერე ტაიპასის ბორცვს შემოუარეს, პრასა-დი-ალეგრია გაიარეს და ვალვერდესკენ დაემშენენ. ბალთაზარი მსუბუქად მიაბიჯებდა, ჯორს ტოლს არ უდებდა, მხოლოდ სწორ გზაზე თუ ჩამორჩებოდა ოდნავ, მაგრამ

აღმართსა და დაღმართზე ადვილად ეწეოდა. თუმცა აგერ უკვე ოთხი თვე, ესე იგი აპრილის მერე, წვიმა არ მოსულა, ვალვერდეს მინდვრები მაინც მწვანედ ხასხასებდა, რადგან ამ მიდამოებში მიწიდან უამრავი წყარო ამოდიოდა. ამიტომ აქ ბოსტნეული მოჰყავდათ, ქალაქის კარიბჭესთან უამრავი ბოსტანი იყო გაშენებული. წმინდა მართასა და წმინდა მეფისწულ იოანას მონასტრებს შორის ზეთისხილის ბაღები იყო, მაგრამ ალაგ-ალაგ აქაც მოჩანდა ბოსტნეულის კვლები. აქ მიწისქვეშა წყაროები არ იყო, წყალი ჭებიდან ამოჰქონდათ წეროების საშუალებით. საითკენაც გაიხედავდი, ყველგან ჩანდა მათი მაღალი კისრები, წყლის საქაჩებზე წრეზე დადიოდნენ ვირები, თვალები ახვეული ჰქონდათ, რათა ჰქონებოდათ, რომ პირდაპირ მიდიან. თუმცა ამ ვირების მსგავსად მათმა პატრონებმაც არ იცოდნენ, რომ სულ პირდაპირ თუ ივლი, ბოლოს და ბოლოს ისევ საწყის წერტილს დაუბრუნდები, რადგანაც ჩვენი სამყაროც ამ წყლის საქაჩს ჰგავს, მას ის ადამიანები აბრუნებენ, რომლებიც მის ზედაპირზე მოძრაობენ. სებასტიანა-მარია დი ჟეზუსის დაუხმარებლადაც კი შეიძლება მიხვდეს კაცი, რომ, თუ ხალხი არ იქნება, სამყარო გაჩერდება.

აი, მიუახლოვდნენ მამულის ჭიშკარს, აქ აღარც ჰერცოგია, აღარც მისი მსახურები, რადგან მამული მეფემ ჩამოართვა, და ახლა კი სასამართლო პროცესები მიდის, ავეირუს სახლს მიწების დაბრუნება უნდა, მაგრამ იუსტიცია არ ჩქარობს, ჰერცოგის ჩამოსვლას ელოდება. ჰერცოგი ახლა ესპანეთშია, კარგა ხანია უკვე იქ ცხოვრობს, იქაც ჰერცოგია – ჰერცოგი დე ბანიოსი. ასე რომ, როგორც იქნა, მიაღწიეს, მღვდელი ჩამოქვეითდა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო და ჭიშკარი გააღო. ჯორი ჩრდილში დააყენა, ცხვირწინ თივითა და მუხუდოს პარკებით სავსე კალათი დაუდგა. ჯორი ისვენებდა, ფუმფულა კუდით ბუზებს იგერიებდა, რომლებიც მას და მის საჭმელს ესეოდნენ.

სასახლის ყველა კარი და ფანჯარა დაგმანული ჩანდა, მინდვრები – მოუვლელი, მიტოვებული. ეზოს ბოლოში საჯინიბო თუ ბეღელი იდგა, მაგრამ ნაგებობა ცარიელი აღმოჩნდა, ვერ გაიგებდი, რა იყო აქ ოდესღაც: თუ ბეღელი, მაშინ სკივრები რატომ არ დგას, თუ საჯინიბო, თავლები სადღაა, თუ ღვინის საწყობი, კასრები აკლია. გაურკვეველი ნაგებობის კარზე ბოქლომი ეკიდა, რომელიც არაბულ ასოსავით უცნაურად გაღუნული გასაღებით იღებოდა. მღვდელმა რაზა გადაწია და კარს ხელი ჰკრა. ბრეზენტის შეკვრები, ფიცრები, მავთულის გორგლები, რკინის ნაჭრები გამოჩნდა, ყველაფერი ლამაზად იყო დაწყობილი იატაკზე, შუაში კი, თავისუფალ ადგილას, რაღაც უზარმაზარი ნიჟარისმაგვარი საგანი მოჩანდა, ყოველი მხრიდან მავთულები იყო ამოჩრილი, დაუმთავრებელ კალათსა ჰგავდა.

ბალთაზარი ინტერესით ათვალთვრებდა იქაურობას, ვერ გაეგო, რა ხდებოდა აქ, რაღაც დიდ ბურთს ან ბელურის უზარმაზარ ფრთებს, ან ბუმბულით სავსე ტომრებს ელოდა. აი, თურმე, როგორი ყოფილაო, თქვა ექვით. მამა ბართოლომეუ ლოურენსომ კი უპასუხა,

ჯერ არა, მაგრამ ოდესმე იქნებაო, რაღაც ზარდახშა გახსნა, ქაღალდის გრაგნილი ამოიღო და გაშალა. ქაღალდზე უცნაური ფრინველი ეხატა, ალბათ, ეს იყო პასაროლა, და, რადგანაც ბალთაზარმა ფრინველი დაინახა, დაიჯერა, რომ აქ შეგროვილ ყველა ნივთს ფრენის უნარი აქვს. უფრო საკუთარი თავის, ვიდრე ბალთაზარის, გასაგონად (ბალთაზარმა ფრინველის გამოსახულება დაინახა და ეს მისთვის უკვე საკმარისი იყო) მღვდელმა ჯერ მშვიდი ტონით, შემდეგ კი სულ უფრო და უფრო აღელვებულმა დაიწყო ლაპარაკი: აი ეს აფრებიან, ქარის ძალისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენებთ, აი – საჭე, მისი დახმარებით გემის მართვა გახდება შესაძლებელი, მესაჭის გონებით და არა ქარის ნებით, ეს კი საჭაერო გემის კორპუსია, ეს – ცხვირი, ეს – უკანა ნაწილი, მას ზღვის ნიჟარის ფორმა აქვს, შიგნით საბერველს მოვათავსებთ, უქარო ამინდში გამოვიყენებთ, ასე ხომ ხშირად ხდება ზღვაშიც, ეს ფრთებია, უამისოდ მფრინავი ნავი წონასწორობას ვერ შეინარჩუნებს, ამ მრგვალი ჭურჭლების შესახებ კი არაფერს გეტყვი, ეს ჩემი საიდუმლოა, ისე მათში ჩასხმული სითხის გარეშე გემი ვერ გაფრინდება, მაგრამ ჯერ ბოლომდე ვერც მე გავერკვიე, მავთულზე, ჭერში, ქარვა უნდა დავკვიდო – ქარვა კარგად შთანთქავს მზის სხივებს, ეს კი ბუსოლია, უამისოდ ვერსად წახვალ, ეს კი აფრების ასაწევ-დასაწევი ბლოკებია, როგორც საზღვაო გემებზე. მღვდელი წუთით დადუმდა, მერე ისევ განაგრძო, ეს ყველაფერი რომ აიწყობა, გავფრინდები. ნახატმა ბალთაზარის ეჭვები გაფანტა. მეტი არგუმენტი არც სჭირდებოდა. მართლაც, არც ჩიტის შინაგანი აგებულება ვიცით, არც ის, თუ როგორ დაფრინავს, მაგრამ ხომ დაფრინავს, იმიტომ, რომ გარეგნულადაც ჩიტია. აი, ასე მარტივადაა საქმე. ჰოდა, ბალთაზარმა მხოლოდ ის იკითხა, როდისო. ჯერ არ ვიცი, მიუგო მღვდელმა, დამხმარე მჭირდება, მარტო მიჭირს, რაღაცებისთვის ძალა არ მყოფნის. პაუზის შემდეგ კი ჰკითხა, ხომ არ გინდა, დამეხმარო. ბალთაზარი ისე გაოცდა, რომ ერთი ნაბიჯითაც კი დაიხია უკან: მაგრამ მე არაფრის კეთება არ ვიცი, ადრე მიწის მუშა ვიყავი, მერე ხალხის ხოცვა მასწავლეს, ახლა კი, ამ ხელით... მაგ ხელით და კაუჭით ყველაფერს გააკეთებ, ზოგჯერ კაუჭი უკეთ მუშაობს, ვიდრე ხელი, კაუჭს არ ეტკინება, როდესაც მავთულს მოჭიმავს ან რკინას ჩაბლუჯავს, ვერც დაიწვავ, ვერც გაიჭრი, მეტსაც გეტყვი, თავად ღმერთიც ცალხელაა, მაგრამ სამყარო შექმნა.

თავზარდაცემულმა ბალთაზარმა უკან დაიხია და სწრაფად გადაიწერა პირჯვარი, თითქოს სატანა დაინახა თვალნათლივ, რას ამბობთ, მამაო ბართოლომეუ, სად წაიკითხეთ, რომ უფალი ცალხელაა. არსად არ წამიკითხავს, ეგეთი რამე არსად არ წერია, მაგრამ გეუბნები, რომ ასეა, არა აქვს უფალს მარცხენა, რადგანაც რჩეულნი მის მარჯვნივ დასხდებიან, მარჯვენა ხელის მხარეს, არსად არაა ნახსენები მისი მარცხენა, არც წმინდა წერილში, არც ეკლესიის მამებთან, არც თეოლოგიის დოქტორებთან, უფლის მარცხნივ არავინ არ დამკვიდრდება, იქ სიცარიელეა, სიბნელეა, ესე იგი, ღმერთი ცალხელაა. მღვდელმა ღრმად ამოიოხრა და დასძინა, მარცხენა ხელი არა აქვს.

შვიდი მზე ყურადღებით უსმენდა. ნახატს დახედა. მერე ირგვლივ დაწყო მასალას, ჯერ უფორმო ნიჟარას, გაიღიმა, კაუჭიანი ხელი აწია და თქვა, თუ უფალი ცალხელაა და სამყარო შექმნა, მაშინ აი ეს ადამიანიც შეძლებს მავთულებისა და აფრების აწყობას, და მანქანა გაფრინდება.

მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ჯერჯერობით, სანამ მამა ბართოლომეუ ლოურენსო მაგნიტების საყიდელ ფულს იშოვის, რომლებმაც, მისი ჩანაფიქრის თანახმად, ჰაერში უნდა ასწიონ პასაროლა, თანაც ეს მაგნიტები უცხოეთიდან უნდა გამოიწეროს, ბალთაზარმა ხორცის მაღაზიაში დაიწყო მუშაობა, ტერეირო-დო-პასოზე. სამსახურში მღვდელმა მოაწყო. ზურგით დაათრევს ხორცს – მეოთხედ ძროხას, გოჭებს – დუჟინობით, ბატკნებს – წყვილად, მისი კაუჭიდან ხორცი ჭერში ჩამოკიდებულ კაუჭებზე გადადის, ბალთაზარის თავსა და ზურგზე გადაფარებულ ჯვალოზე სისხლის ლაქები რჩება, ჭუჭყიანი სამუშაოა, მაგრამ, სამაგიეროდ, ნარჩენები ერგება ხოლმე: ღორის ფეხი, შიგნეულობა. თუ, ღვთის წყალობით, ყასაბი კარგ ხასიათზეა, ზოგჯერ კომბოსტოს ფურცელში გახვეული ნეკნის ან მკერდის ნაჭერიც ხვდება. ამიტომ ბლიმუნდა და ბალთაზარი კარგად იკვებებიან, უკეთესად, ვიდრე ლისაბონელების უმრავლესობა.

აი, დონა მარია-ანას მშობიარობის ვადა მოუვიდა. მუცელი ისე გაეზარდა, რომ მეტი არ შეიძლება, კანი დაჭიმული აქვს, უზარმაზარი ბურთი, პირდაპირ ინდოეთიდან მოსული გემია, ბრაზილიური ფლოტი. დროდადრო მეფე კაცს გზავნის ამბის გასაგებად – როგორ მიდის ინფანტის მოგზაურობა, ხომ არ გამოჩნდა ჰორიზონტზე, ზურგის ქარი უბერავს თუ რაღაც სირთულეებს აწყდება, ჩვენი ესკადრებისა არ იყოს, აი, ახლაც კუნძულებთან ფრანგებმა იგდეს ხელთ ჩვენი გემები – ექვსი სავაჭრო და ერთი სამხედრო. აბა, ჩვენი სარდლობისგან სხვას რას უნდა მოელოდეს კაცი, ყველამ იცის, რა წესრიგით გვაქვს ესკადრებზე, ალბათ ფრანგები უკვე სხვა გემებსაც უსაფრთღებიან პერნამბუკოსა და ბაიასთან, თუ უკვე იქ არ არიან, ფლოტს ელოდებიან, რომელიც რიო-დე-ჟანიეროდან უნდა გამოვიდეს. რამდენი აღმოჩენა გავაკეთეთ დიდი აღმოჩენების ეპოქაში, ახლა კი სხვები გვიფრიალებენ ცხვირწინ მოსასხამს, როგორც სულელ ხარს არენაზე, რომელსაც რქენაც კი არ შეუძლია. დედოფალ დონა მარია-ანას ყურამდე აღწევს ეს ცუდი ამბები, მაგრამ ეუბნებიან, რომ ეს რამდენიმე თვის წინათ მოხდა, როდესაც ინფანტი მის მუცელში სითხის წვეთი იყო, თავკომბალა, ჩანასახი, საოცარია, როგორ გამოდის აქედან ადამიანი, იქ, დედის მუცელში, მათ სულაც არ ანაღვლებთ გარესამყარო, მაგრამ ადრე თუ გვიან ამ გარესამყაროს აუცილებლად შეეჯახებიან, მეფე გამოვა ჩანასახისგან თუ ჯარისკაცი, ბერი თუ კაცისმკვლეელი, ბარბადოსზე გადასახლებული ინგლისელი ქალი თუ პორტუგალიელი ქალი, როსიოზე კოცონზე რომ დაწვეს, ვიღაცა უნდა გახდეს, სულ არავინ ვერ იქნები, რადგანაც, საბოლოო ჯამში, ყველაფერს შეგვიძლია გავექცეთ, საკუთარ თავს კი – არა.

მაგრამ პორტუგალიური გემების ყველა მოგზაურობა როდი თავდება ასეთი კრახით. აი, რამდენიმე დღის წინ მაკაოდან ჩამოვიდა გემი, ოცი თვის წინათ წავიდა, ბალთაზარ შვიდი მზე იმ დროს ჯერ კიდევ ომში იყო, ბედნიერად იმგზავრა, თუმცა მაკაო ძალიან შორსაა, გოაზე შორს, ეს ურიცხვი საუნჯის მიწაა. მაკაო ჩინეთშია, ქვეყანაში, რომელიც ყველას აღმატება სიმდიდრით და სიუხვით, საქონელი ისე იაფია, რომ მეტი არ შეიძლება, კლიმატიც ისეთი რბილი და ჯანსაღია, რომ იქაურებმა არ იციან, რა არის ავადმყოფობა, არც ექიმები ჰყავთ, არც ქირურგები, ხალხი მხოლოდ მოხუცებულობის და უბედური შემთხვევების მიზეზით კვდება, აბა, ბუნება სულ ხომ დაივიწყებს თავის კანონებს. ჩინეთში გემი ძვირფასი ტვირთით დაიტვირთა და ბრაზილიაზე აიღო გეზი, იქ თამბაქო, შაქარი და ოქრო აიღო, ორთვე-ნახევარი იდგა რიოსა და ბაიაში, და შემდეგ სულ რაღაც ორმოცდათექვსმეტ დღეში გადალახა ოკეანე და პორტუგალიაში ჩამოვიდა, და პირდაპირ სასწაულია, რომ ამხელა მოგზაურობაში ეკიპაჟიც ერთი წევრიც კი არ დაუკარგავთ, არც არავინ გამხდარა ავად, ეტყობა, ყოველდღიური მესა შველოდათ, მოწყალე ღვთისმშობელი, სტიგმატებისთვის თანამგრძნობი, დაეხმარათ, მესაჰე არც ერთხელ არ გადასცდენია კურსს, რეები არ ხდება ქვეყანაზე, ტყუილად კი არ ამბობს ხალხი, ჩინეთთან საქმის დაჭერა წარმატების მომტანიაო. მაგრამ ამქვეყნად სრულყოფილება არაა – ამბავი მოვიდა, რომ პერნამბუკოსა და რესიფეს მოსახლეობას შორის შეტაკებები მოხდა, ბრძოლები ეხლაც მიმდინარეობს, თან ძალიან სისხლისმღვრელი, ბევრი პლანტაცია გადაწვეს, თამბაქოს და შაქრის ლერწმის მოსავალი დაიღუპა, მეფემ ზარალი ნახა, თანაც ძალიან დიდო.

ამ ამბებსაც ატყობინებდნენ დონა მარია-ანას, მაგრამ ფეხმძიმობის ბურანში ჩადირული დედოფალი თითქოს ქვეყანას განერიდა, უთხრეს თუ არ უთხრეს, მისთვის სულ ერთია. ის სიხარულიც კი, რომელიც შვილის ყოლის იმედმა მიანიჭა, თანდათან ნახევრად მივიწყებულ მოგონებად გადაიქცა. სიამაყის მსუბუქი განცდა, რომელიც ორსულობის პირველ დღეებში დაეუფლა, როდესაც თავი გემის კიჩოზე მდგომ ქანდაკებად იგრძნო, გაუფერულდა. ყველა ფეხმძიმე ქალს – დედოფალი იქნება ეს თუ გლეხის გოგო – აქვს ცხოვრებაში მომენტი, როდესაც მთელი სამყაროს სიბრძნეს იტევს, მერე რა, რომ ეს სიბრძნე სიტყვებით ყოველთვის ვერ პოვებს გამოხატულებას, მაგრამ შემდეგ, როდესაც მუცელი იზრდება და სხვა ხორციელი სისუსტეები მოეძალებიან, მთელი ფოქრები იმ ერთ დღეს უტრიალებს, იმ დღეს, როდესაც გათავისუფლდება. ეს ფიქრები ყოველთვის მხიარული როდია, ზოგჯერ ცუდი წინათგრძნობა უღრღნის გულს, ამ დროს დაუფასებელია ფრანცისკანელთა ორდენის ღვაწლი, აბა, შეპირებულ მონასტერს ხომ არ დაკარგავენ. არაბიდას პროვინციის კონგრეგაციების ყველა ზარი განუწყვეტლივ რეკავს, მესები, ცხრადღიანი ფეხზე დგომა, წირვები ერთმანეთს მისდევს, ყველა დედოფლისა და მომავალი ინფანტისთვის ლოცულობს, პირდაპირ და ირიბად, ზოგადად და უმცირესი დეტალების გათვალისწინებით: ლოცულობენ, რომ მშობიარობა ადვილი

იყოს, ინფანტი კეთილ ვარსკვლავზე დაიბადოს, არანაირი ხილული თუ უხილავი ნაკლი არ ჰქონდეს. მამრობითი სქესისა იყოს – ამ შემთხვევაში რაიმე თანდაყოლილ ლაქას ან წერტილს არა უშავს, პირიქით, ამაში ღვთის წყალობის, მისი ბეჭდის დანახვაც კი შეიძლება. თანაც მამრობითი სქესის ინფანტი უფრო გაახარებს მეფის გულს.

მაგრამ დონ ჟუან V ქალიშვილს უნდა დასჯერდეს. ყოველთვის ყველაფერი ისე არ გამოდის, როგორც გწადიან. ზოგჯერ არის, ერთს ითხოვ და მეორე გეძლევა, ამიტომაცაა ლოცვები ასე იდუმალი, ჩვენ რაღაც გარკვეული ჩანაფიქრით აღვავლენთ ხოლმე მათ, მაგრამ ისინი თავის გზას ირჩევენ, ყოყმანობენ, სხვა ლოცვებს, უფრო გვიან ნათქვამებს, უთმობენ გზას, ზოგჯერ ერთმანეთსაც კი უკავშირდებიან, და მათგან შერეულსისხლიანი, მულატი ლოცვები იბადებიან, ვერ გაიგებ, ვინ მამა, ვინ დედა, ერთმანეთში ჩხუბობენ, ერთმანეთს გზაში აჩერებენ და საქმეს აცდენენ, ალბათ, ამოტომ დაიბადა გოგონა, თუმცა ბიჭზე ლოცულობდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ჯანმრთელი და ყოჩაღი ბავშვია, ფილტვებიც მაგარი აქვს, ყვირილზე ეტყობა. სამეფოს მაინც უხარია, და არა მარტო იმიტომ, რომ ინფანტა ეყოლათ, არამედ იმიტომაც, რომ ამ ამბავთან დაკავშირებით სამდღიანი ზეიმია გამოცხადებული – ფეიერვერკით, საჯარო მსვლელობებით და სხვა. ყოველთვის უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ლოცვები გარკვეულ გავლენას ახდენს ბუნებაზე, ზოგჯერ ხანგრძლივი გვალვაც ხოლმე, აი, ამასწინათ რომ იყო, რვა თვე გაგრძელდა, მიზეზი კი ერთია – ლოცვები, სხვა არაფერი არ შეიძლება იყოს, ლოცვები დაამთავრეს და წვიმებიც დაიწყო. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ინფანტას დაბადება კეთილის მომასწავებელია – ისეთი წვიმები წამოვიდა, ნამდვილად უფლის ნიშანია, რომ აღარ შევაწუხოთ ლოცვით. მიწათმოქმედებმა მუშაობა დაიწყო, პირდაპირ წვიმის ქვეშ ხნავდნენ, სახნავი ჩვილივით იბადება, მაგრამ, ჩვილისგან განსხვავებით, ტირილი არ შეუძლია, მხოლოდ ოხრავს გუთნის ქვეშ, ბრწყინავს, წყალს ისრუტავს, წვეთებს, რომლებიც ციდან ცვივა, ხან კოკისპირულად, ხან ნელა, წვრილი მტვერივით, რომ მიწაში ჩაყრილი თესლი არ დააზიანოს. აქ მშობიარობა რთული არ არის, მაგრამ თესლის ძალის თვინიერ არაფერი გამოვა, როგორც დედოფლის შემთხვევაში. ამ საქმეში ყველა კაცი მეფეა, ქალი კი – დედოფალი, პრინციბისთვის კი ერთობლივად მუშაობენ.

მაგრამ განსხვავებაც ბევრია, ესეც ნუ გამოგვრჩება მხედველობიდან. პრინცესას ნათლობა მჭიმუნვარე ღვთისმშობლის დღეს იყო დანიშნული, წინააღმდეგობრივი დღეა, რადგან დედოფალმა უკვე მოიცილა სიმსუქნე თავიდან. ცხადია, რომ უფლისწულებშიც კი ყველა თანასწორი არაა, აი, ამ პრინცესას ნათლობასთან დაკავშირებით მთელი სასახლე და კარის ეკლესია ოქროქსოვილი ფარდაგებითაა მორთული, კარისკაცები გამოიპრანჭნენ, ქალბატონებს სახეები აღარ უჩანთ მრავალსართულიან ვარცხნილობაში და ფუშფუშა მაქმანებში. დედოფლის ამაღლა ეკლესიისკენ გაემართა, გაიარა გერმანელთა დარბაზი, ბოლოში ჰერცოგი დი კადავალი მოჰყავთ პალანკინით, გრძელი მოსასხამი

იატაკზე დასთრევს, პალანკინი ყველაზე კეთილშობილ დიდებულებს და უმაღლეს სახელმწიფო მოხელეებს მიაქვთ – ეს უდიდესი პატივია, რადგან ჰერცოგს ხელში პრინცესა უჭირავს – სელში გახვეული, ბაფთებით მორთული, პალანკინს დედოფლის მიერ შერჩეული ძიძა მისდევს – მოხუცი გრაფინია დი სანტა-კრუზი, და ყველა სეფე-ქალი, ლამაზებიც და მახინჯებიც, უკან ნახევარი დიუჟინი მარკიზა და ჰერცოგ დი კადავალის ვაჟი მიჰყვებათ, ზოგს პირსახოცი მოაქვს, ზოგს – სამარილე, ზოგს – მირონი და ასე შემდეგ.

შვიდმა ეპისკოპოსმა მონათლა ინფანტა, შვიდ მზეს ჰგავდნენ – ოქროსას და ვერცხლისას, ნათლობა მთავარი საკურთხევლის კიბეზე მოხდა, ბავშვს მარია-ქსავიერ-ფრანსისკა-ლეონორ-ბარბარა დაარქვეს, რა თქმა უნდა, წინ ტიტული დონა დაუმატეს, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ასეთი ნამცეცაა, ძუძუმწოვარი, დორბლი ჩამოსდის, მაგრამ მაინც დონაა, რომ გაიზრდება, მაშინ რაღა იქნება. ჯერჯერობით კი ბრილიანტის ჯვარი მიიღო, ნათლიის – ბიძამისის, ინფანტ დონ ფრანსისკოს – საჩუქარი. ჯვარი ხუთი ათასი კრუზადო დაჯდა, ამის გარდა დონ ფრანსისკომ დედოფალს ქუდის მოსართავი პლუმაჟი გაუგზავნა, გალანტურობის ნიშნად, რა თქმა უნდა, და ბრილიანტის საყურეები. ეს კი უკვე ნამდვილი საუნჯეა, ოცდახუთი ათასი კრუზადო ღირს, ფრანგული ნახელავია, აი, სამკაულიც ამას ჰქვია!

ამ სასიხარულო მოვლენის ხათრით მეფემაც კი დაივიწყა თავისი დიდება და ძლევამოსილება და ცერემონიას დაესწრო, თანაც თავის გისოსებით შემოსაზღვრულ, განცალკევებულ აივანზე კი არ დაჯდა, არამედ დედოფლის აივანზე – იმ უდიდესი მადლიერების ნიშნად, რომელსაც მეუღლის მიმართ განიცდიდა. ასე რომ, ბედნიერი დედა ბედნიერი მამის გვერდით იჯდა, თუმცა ოდნავ დაბალ სავარძელში. როდესაც ჩამოხელდა, ფეიერვერკი დაიწყო. ბალთაზარ შვიდი მზე და ბლიმუნდაც ჩამოვიდნენ ციხე-სიმაგრის ბორცვიდან ფეიერვერკის და საზეიმოდ მორთული დედაქალაქის სანახავად. ქალაქი ძვირფასი ქსოვილებით იყო მორთული, ყველა გილდიას თავისი თალი დაედგა ქუჩებში. დღეს ბალთაზარი ჩვეულებრივზე მეტად იყო დაღლილი, რადგანაც ინფანტას ნათლობასთან დაკავშირებული საზეიმო სუფრისთვის მოუწია ხორცის ზიდვა. მარცხენა ხელი სტკივა, კაუჭი კი ჩანთაში ისვენებს. ბლიმუნდას ბალთაზარის მარჯვენა ხელი უჭირავს.

დაახლოებით ერთი თვის წინათ გარდაიცვალა ძმა ანტონიო დი სან-ჟოზე. ვედარ შეახსენებს მეფეს მის მიერ მიცემულ აღთქმას. სიზმარში თუ გამოცხადება, მაგრამ ეგ არაფერი. დონ ჟუან V თავის სიტყვას არ გადავა. მონასტერი აუცილებლად იქნება.

ბალთაზარს პირველი ღამიდან დაწყებული ლეიბის მარჯვენა მხარეს სძინავს, რადგან მარჯვენა ხელი მთელი აქვს, და, როდესაც ბლიმუნდასკენ მიბრუნდება, შეუძლია ხელი მოხვიოს, მიიხუტოს, თავიდან წელამდე დაურბინოს თითებით, მოინდომებს – წელს

ქვევითაც, თუკი სურვილი გაეღვიძებათ ძილის ტკბილი ბურანიდან, ან სულაც დაძინებამდე, დაწოლისთანავე. რადგან ეს წყვილი, საკუთარი სურვილის თანახმად რომ უკანონო დარჩა, ეკლესიისგან უკურთხეველი, ნაკლებად ზრუნავს წესების დაცვაზე. შეიძლება, აქ სხვა საიდუმლო ძალებიც მოქმედებს, უფრო იდუმალი, იმ ჯვრის ძალა, რომელიც დარღვეული ქალწულობის სისხლით გამოისახა იმ ჟამს, როდესაც ორივენი შიშვლები იწვნენ სანთლის ყვითელ შუქში. ესეც ხომ წესის დარღვევა იყო. მაშინ ბლიმუნდამ თითი დაისველა ლეიბზე დაღვრილ სისხლში და ასე ეზიარნენ ორივენი, თუმცა, შეიძლება, ამ სიტყვის აქ ხმარება მკრეხელობა და მწვალეობაა, უფრო მეტი მწვალეობა კი ასე მოქცევაა. მრავალი თვე გავიდა მას შემდეგ, მომდევნო წელიც დადგა, სახლის სახურავზე წვიმის წვეთებს რაკუნნი გააქვთ, ქარი მძვინვარებს მდინარეზეც და შესართავშიც და თუმცა განთიადი უკვე ახლოა, ღამე მაინც უკუნი ჩანს. ვინმეს შეიძლება შუაღამე ეგონოს, მაგრამ ბალთაზარს ეს არასოდეს არ ეშლება, ყოველთვის ზუსტად ამ დროს ეღვიძება – ჯარისკაცული ჩვეულებაა, და სიბნელეში თვალბგახელილი წევს, ელოდება, როდის გაიფანტება ბინდი და იმ საოცარ შვებას გრძნობს, რომლისგანაც მკერდი თითქოს ფართოვდება და უფრო თავისუფლად სუნთქავს, ეს სხვა არაფერია, თუ არა ახალი დღის დადგომის სიხარული, რომელიც უკვე იჭყიტება ყველა ღრიჭოში, პირველი სინათლე, ჯერ კიდევ სუსტი და მონაცრისფრო. ბალთაზარი ბლიმუნდას აღვიძებს, ბლიმუნდა თავის პურს ჭამს, შემდეგ თვალებს ახელს და ბალთაზარის მხარს ეკვრის, მარცხენა ხელით მის მარცხენას ეხება, იმ ადგილს, სადაც მოკვეთილი მტევანი უნდა იყოს. ეს სიცოცხლეა, რომელიც შეძლებისდაგვარად ავსებს იმას, რაც სიკვდილმა წაართვა. მაგრამ დღეს ყველაფერი სხვანაირად იქნება. ბალთაზარმა უკვე ბევრჯერ ჰკითხა ბლიმუნდას, რატომ ჭამს ყოველ დილას პირს, სანამ თვალებს გაახელდეს, მამა ბართოლომეუ ლოურენსოსაც ჰკითხა. ბლიმუნდამ ერთხელ უთხრა, რომ ეს ჩვევა ჯერ კიდევ ბავშვობაში შეიძინა, მღვდელმა კი უპასუხა, რომ ეს უდიდესი საიდუმლოა, იმდენად დიდი, რომ მასთან შედარებით ფრენის ხელოვნება არარაობად მოგეჩვენებო. დღეს ბალთაზარი ამ საიდუმლოს შეიტყობს.

გაღვიძებულმა ბლიმუნდამ ხელი გაიშვირა ტომსიკისკენ, რომელშიც პური აქვს შენახული, ტომსიკა სულ საწოლის თავთან ჰკიდია, მაგრამ დღეს იგი სადღაც გაქრა. ბლიმუნდამ ხელით მოსინჯა იატაკი, ლეიბი, ბალიშის ქვეშაც ეძებდა. ამ დროს ბალთაზარის ხმა შემოესმა, ტყუილად ნუ ეძებო. ბლიმუნდამ ხელები აიფარა თვალეებზე და ეხვეწებო, მომეცი პური, ბალთაზარ, ღვთის გულისათვის, მომეცი. ჯერ მითხარი, რა საიდუმლოა ასეთი. არ შემიძლია, შეჰვედრა ბლიმუნდამ და საწოლიდან წამოდგომა სცადა, მაგრამ ბალთაზარმა მარჯვენა ხელი მოხვია წელზე, ქალმა გამწარებულმა გაიბრძოლა, მაგრამ ბალთაზარმა მუხლი დააჭირა მკერდზე და მისი სახიდან ხელების მოცილება სცადა. ბლიმუნდა განწირულივით აყვირდა, არა, არ ქნა ეგ. და ისეთი

სასოწარკვეთა და შიში ისმოდა მის კვიცილში, რომ ბალთაზარმა ხელი გაუშვა. ახლა უკვე ნანობდა თავის საქციელს, კარგი, მაპატიე, არ მინდოდა, შენთვის ტკივილი მომეყენებინა, მხოლოდ მინდა გავიგო, რა გემართება ხოლმე. მომე პური და გეტყვი. დაიფიცე! რა საჭიროა ფიცი, ჩემი სიტყვები არ კმარა? აჰა, ჭამე, და ბალთაზარმა პირის ნაჭერი ამოუღო ტომსიკიდან, რომელიც თავის ბოლჩაში ჰქონდა დამალული.

თვალეზე ხელაფარებულმა ბლიმუნდამ, როგორც იქნა, შეჭამა პური. ნელა ღეჭავდა. ჭამა რომ დაამთავრა, ღრმად ამოისუნთქა და თვალეები გაახილა. ნაცრისფერი განთიადი თითქოს ცისფერი გახდა მისი თვალეების ნათებისგან. ასე იფიქრებდა ბალთაზარი, მსგავსი რამეების გამოთქმა რომ შეძლებოდა, მაგრამ პოეტურ ნიუანსებში გარკვეული არ იყო, ასეთი სიტყვაკაზმული საუბარი დედაქალაქის სალონებისა და ქალთა მონასტრების მისაღებებისთვისაა, მაგას სჯობს, საკუთარი სისხლის მღელვარებას გრძნობდე, როგორც ბალთაზარმა იგრძნო, როდესაც ბლიმუნდა მისკენ მოტრიალდა, ახლა მისი თვალეები მუქი ჩანდა, შემდეგ მათში მწვანე ცეცხლი გაკრთა. ახლა აღარად უღირდა ბალთაზარს საიდუმლოება, სჯობს ისევ ის შეიცნოს, რაც უკვე კარგად იცის – ბლიმუნდას სხეული, საიდუმლო სხვა დროს იყოს. ამ ქალმა თუ სიტყვა მოგცა, შეასრულებს კიდეც, და აი, ამბობს, გახსოვს, პირველ ღამეს, როცა ჩემთან იწექი, შენში რომ ჩავიხედე. მახსოვს. არა, შენ ვერ გაიგე, რა გითხარი მაშინ. ბალთაზარმა ვერ გაიგო, რაში იყო საქმე, და ამ დროს ყველაზე საოცარი რამ მოესმა, მე ადამიანების შიგნით შემოდგომა ჩავიხედო.

შვიდმა მზემ წამოიწია, ეჭვით შეხედა ქალს, დამცინი, თუ რაა, არავის არ შეუძლია ადამიანის შიგნით ჩაიხედოს. მე შემოდგომა. არ მჯერა. ჯერ ვერ მოისვენე, სანამ არ მათქმევინე, ახლა გითხარი და არ მიჯერებ, კარგი, რაც გინდა, ის იფიქრე, მაგრამ პური კი აღარასოდეს აღარ დამიძალო. დაგიჯერებ, თუ მეტყვი, ახლა ჩემში რა ხდება. მე მხოლოდ უზომოზე შემოდგომა ეს, თანაც შეგპირდი, რომ შენში აღარასოდეს აღარ ჩავიხედავ. კიდეც გიმეორებ, დამცინი. მე კიდეც გიმეორებ, რომ სიმართლეს ვამბობ. რითი დამიმტკიცებ? ხვალ დილით არაფერს არ შევჭამ, ქუჩაში გავიდეთ და მოგიყვები, რასაც ვხედავ, მაგრამ შენ არ შემოგხედავ, წინ არ დამიდგე, კარგი? კარგი, უპასუხა ბალთაზარმა, მაგრამ, თუ არ მატყუებ, მითხარი, როგორ ახერხებ ამას, საიდან გაქვს ეს საოცარი უნარი. ხვალ ნახავ, რომ მართალს ვამბობ. მერე ინკვიზიციის არ გეშინია, უფრო ნაკლები ცოდვისათვისაც მოხვედრილა ხალხი კოცონზე. ჩემი ნიჭი ჯადოქრობა არაა, თვალეები ეგრე მაქვს მოწყობილი, ბუნებამ ასე ინება. დედაშენი გაშოლტეს და გადაასახლეს, ალბათ, მისგან ისწავლე ყველაფერი, იმასაც ხილვები ჰქონდა. ეგ სულ სხვაა, მე მხოლოდ იმას ვხედავ, რაც მართლა არის, ამ სამყაროს მიღმა ვერაფერს ვხედავ, ვერც ჯოჯოხეთს, ვერც სამოთხეს, არც შელოცვა შემოდგომა, მხოლოდ ვხედავ. მაგრამ შენ ხომ პირჯვარი გადაიწერე და ჯვარი დამახატე მკერდზე სისხლით, განა ეს ჯადოქრობა არაა? ქალწულობის სისხლი ნაკურთხი წყალივითაა, ამას მაშინვე მივხვდი, და იმასაც

მივხვდი, როგორც უნდა მოვქცეულიყავი. მაინც რას ხედავ? ვხედავ, სხეულის შიგნით რა არის, ზოგჯერ მიწაში დაფლულსაც ვხედავ, კანქვეშ და ტანსაცმლის ქვეშ დაფარულსაც ვხედავ, მაგრამ მხოლოდ უზმოზე, თან ყოველ ახალ მთვარეზე ამ უნარს ვკარგავ, შემდეგ კი ისევ უკან მიბრუნდება, ნეტავი არც არასდროს მქონოდა. რატომ? იმიტომ რომ კანქვეშ ყურება არაა კარგი. სული? სული თუ გინახავს ოდესმე? არა, არასდროს. იქნებ სული სხეულის შიგნით ცხოვრობს? არ ვიცი, არ მინახავს. იქნებ იმიტომ, რომ უხილავია? შეიძლება, ახლა კი ხელი გამიშვი, უნდა ავდგე.

ბალთაზარს მთელი დღე ეჭვები ღრღნიდა. აღარ იცოდა, მართლა ჰქონდა ეს საუბარი ბლიმუნდასთან თუ მხოლოდ დაესიზმრა. უყურებს კაუჭებზე ჩამოკიდებულ ხორცის ნაჭრებს, თვალებს ძაბავს, მაგრამ მხოლოდ ხორცს ხედავს, მეტს არაგერს – გაუმჭვირვალეს, სისხლით შეღებილს, და, როდესაც ყასაბი დახლზე აწყობს ნაჭრებს, წონის და მყიდველს აწვდის, ხვდება ბალთაზარი, რომ ბლიმუნდას ნიჭი უფრო წყევლაა, ვიდრე ჯადო, რადგან ცხოველის შიგნეულობა სულაც არაა სასიამოვნო სანახავი. ალბათ, არც ადამიანის შიგნეულობაა უკეთესი, მაგალიათად, იმ ადამიანებისა, ხორცის საყიდლად რომ მოდიან მაღაზიაში, არც მათი, ვინც ამ ხორცს ჭრის, წონის და ყიდის. თუმცა ომში ბალთაზარს უარესიც უნახავს, დანის, ზარბაზნის ჭურვის, ხმლის, ნაჯახის, ხანჯლის თუ ტყვიის დახმარებით ირღვევა კანი, ეს სიქალწულის აპკის მაგვარი გარსი, თუმცა ბევრად უფრო ტანჯული, და ძვლები და შიგნეულობა მოჩანს. მაგრამ ამ სისხლით არავინ სახავს ჯვარს – სიწმინდის სიმბოლოს, რადგან ეს სისხლი სიცოცხლეს კი არა, სიკვდილს მოასწავებს. აბდაუბდა ფიქრებია, დალაგება, მოწესრიგება სჭირდება. ვინმემ რომ ჰკითხოს, რაზე ფიქრობ, ბალთაზარ, უპასუხებს, არაფერზეო, თავის აზრებს კარგად ვერც აცნობიერებს, არადა საკუთარი ძვლებიც უნახავს, რომლებიც ღია ჭრილობაში ჩანდა. ზურგში რომ მიჰყავდათ, მაშინ ნახა, ისიც ახსოვს, როგორ დაეცა მისი ხელის მტევანი მიწაზე და ქირურგმა ჩექმის წვერით განზე როგორ მიაგდო. შემდეგი შემოიყვანეთო, – თქვა ექიმმა, იმ შემდეგს, საცოდავს, უარესად წაუვიდა საქმე, თუ საერთოდ გადარჩა ცოცხალი, ორივე ფეხი მოკვეთეს. ძალიან უნდა ადამიანს იდუმალს ჩასწვდეს, საკითხავია, რისთვის, ნუთუ ის არ კმარა, რომ დილით იღვიძებ და გრძნობ, რომ შენ გვერდით ქალი წევს. ეს ქალი დრომ მოუტანა, დრომვე, შესაძლოა, წაართვას ხვალ. შეიძლება, ამ ქალს ხვალ სხვა ლოგინში მოუწიოს დაძინება – უბრალო ფარდაგადაფარებულ ტახტზე თუ მდიდრულ, ჩუქურთმიან და ინკრუსტაციებიან საწილში. ამქვეყნად ყველაფერი წარმავალია და ცვალებადი, სიგიჟის ჟამს ან სატანას ჩაგონებით თუ შეიძლება იკითხო, რატომ ჭამ პურს თვალდახუჭული, ბლიმუნდა, არა, ასეთი მხედველობის ქონა ნამდვილად უბედურებაა. იქნებ, ეს მეექვსე გრძნობაა, რომლის შესახებაც ჯერ არაფერი ვიცი. რაზე ფიქრობ, ბალთაზარ? არაფერზე, არაფერზე არ ვფიქრობ და არაფერიც არ ვიცი. აბა, მოიტა ერთი იმ ქონის ნაჭერი!

არც ერთს არ ეძინა. ირიჟრაჟა, ორივე გაუნძრევლად იწვა, მერე ბალთაზარი წამოდგა, ერთი ლუკმა ცივი ხორცი შეჭამა და ჭიქა ღვინო დააყოლა, შემდეგ ისევ დაწვა. ბლიმუნდა არ განძრეულა, თვალდახუჭული იწვა, შიმშილობას იგრძელებდა, თვალები რომ ლანცეტებივით ბასრი გამხდარიყო, როდესაც, ბოლოს და ბოლოს, დღის სინათლეს იხილავს – დღეს ისეთი დღეა, რომ უნდა იხილო, და არა უბრალოდ უყურო, ყურება დიდი საქმე არაა, ეს ყველას შეუძლია, ადამიანების უმეტესობას ხომ თვალები აქვთ, მაგრამ მაინც ბრძელები არიან. დილა გავიდა, შუადღის ჭამის, ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ, სადილის დრო მოვიდა. ახლად წამოდგა ბლიმუნდა ლოგინიდან, მაგრამ თვალებს მაინც არ ახელს, ბალთაზარს არ უყურებს, სახლიდან გადიან ორივენი, ისეთი მშვიდი დღეა, სასწაულებისთვის ნამდვილად შეუფერებელი. ბლიმუნდა წინ მიდის, ბალთაზარი უკან მისდევს, რომ ბლიმუნდას თვალთახედვის არეში არ მოხვდეს.

აი, რას ამბობს ბლიმუნდა: იმ ქალს, ზღურბლზე რომ ზის, ბავშვი ჰყავს მუცელში, ბიჭი, მაგრამ ჭიპლარი ორჯერ აქვს ყელზე შემოხვეული, შეიძლება, ვერ გადარჩეს; აი აქ კი, ჩვენ ფეხებქვეშ, ჯერ წითელი თიხაა, მერე თეთრი ქვიშა, მერე შავი ქვიშა, მერე ხრეში, სულ სიღრმეში კი – გრანიტი, გრანიტში დიდი ღრმულია, ღრმული წყლითაა სავსე, შიგ კი უზარმაზარი თევზის ჩონჩხია, ჩემი სიგრძე, უფრო დიდიც, აი, ის მოხუცი რომ მოლასლასებს, კუჭი ჩემსავით ცარიელი აქვს, შიმშილისგან თვალთ აკლდება, აი ის ახალგაზრდა კაცი კი, მე რომ მიყურებს, ფრანგული სენისგან ლპება და მაინც იღიმება, მამაკაცური სიამაყე აიძულებს, მაინც ქალებს უყუროს, ღმერთმა დაგიფაროს ეგეთი რამისგან, ბალთაზარ, აგერ, ბერი რომ მოდის, ნაწლავებში სოლიტერი ჰყავს და მის გამოსაკვებად სამჯერ მეტი ჭამა უწევს; ხედავ, ქალი და კაცი რომ დგანან მუხლებზე წმინდა კრისპინის ქანდაკებასთან, მკერდში მუშტებს რომ იცემენ, სახეს რომ იხოკავენ მონანიების ნიშნად, მაგრამ მე ხომ ვხედავ ჭიებს მათ შიგნეულობაში, აი იმ კაცს კი ყელში ჩირქგროვა აქვს, ჯერ არ იცის, ხვალ გაიგებს, მაგრამ უკვე გვიანი იქნება. საიდან ვიცი, რომ არ მატყუებ, მე ხომ ვერაფერს ვერ ვხედავ? – ჰკითხა ბალთაზარმა. ბლიმუნდამ მიუგო, ამოთხარე შენი დანის პირით ორმო აი ამ ადგილა, და ვერცხლის მონეტას იპოვი. ბალთაზარმა ამოთხარა ორმო და იპოვა. შეგეშალა, ბლიმუნდა, მონეტა ოქროსია. მით უკეთესი, არ უნდა მეთქვა ასე, ყოველთვის მეშლება ოქრო და ვერცხლი, მაგრამ ხომ გამოვიცანი, რომ აქ იყო, მეტი რაღა გინდა, მოგებაც ნახე და ჩემს სიმართლეშიც დარწმუნდი, აქ რომ დედოფალს გაევილო, გეტყოდი, რომ ისევ ორსულადაა, მაგრამ ჯერ ადრეა, ვერ გაიგებ, ბიჭი ეყოლება თუ გოგო, ტყუილად არ ამბობდა დედა – ქალის წიაღი თუ ერთხელ აივსო, მერე მთელი ცხოვრება აღარ გაჩერდება, ახლა კი აი რას გეტყვი, მთვარე იცვლება, ამიტომ თვალები მეწვის და ყვითელი ჩრდილები მიფარავს მზერას. თითქოს უზარმაზარი მწერები მოხოხავენ, თვალებში მკბენენ, ღვთის გულისთვის, ბალთაზარ, გთხოვ, სახლში წავიდეთ, რამეს შევჭამ, როცა ასე უკან მომყვები, ვერ გხედავ, არც მინდა შიგნიდან დაგინახო, ისეთს

მინდა გხედავდე, როგორც ხარ – შავგვრემანი, წვერიანი, დაღლილი თვალებით, მოწყენილი ტუჩებით – წავიდეთ სახლში, მე უკან გამოგყვები, მაგრამ თვალებდახრილი, ხომ დავიფიცე, რომ შენს შიგნით არასდროს ჩავიხედავ, ასეც იქნება, და ღმერთმა დამსაჯოს, თუ პირობა დავარღვიო.

ახლა კი მოდით, ჩვენც ავიხედოთ უფრო მაღლა, ვნახოთ, როგორ გადმომდგარა ინფანტი დონ ფრანსისკო სასახლის ერთ-ერთ აივანზე და თოფს ესვრის მეზღვაურებს, რომლებიც გემის ანძებზე მიცოცავდნენ. გემები ტყოს ნაპირთან დგანან, დონ ფრანსისკო ისვრის, უბრალოდ იმისთვის, რომ თავისი ოსტატობა დაანახოს ყველას და, როდესაც მიზანში მოახვედრებს, მეზღვაურები გემბანზე ცვივან, სისხლი იღვრება, მოკლულებიც არიან, ზოგი დაჭრილია, ინფანტი ტაშს უკრავს, სიხარულს ვერ იოკებს, ამასობაში მსახურები თოფებს ტენიან, შეიძლება, ეს მსახური აი იმ მეზღვაურის ძმაც, მაგრამ ასეთ მანძილზე სისხლის ყვილი ვერ აღწევს, კიდევ ერთი გასროლა, ისევ ყვირილი ისმის, კიდევ ერთი გვამი დაეცა გემბანზე, ბოცმანი კი ვერ ბედავს, მეზღვაურებს ანძებიდან ჩამოსვლა უბრძანოს, მისი უმაღლესობის რისხვისა ემინია. რას იზამ, სამსახური სამსახურია! როდესაც ვამბობთ, ვერ ბედავსო, გარეშე დამკვირებლისათვის ჩვეულ გულუბრყვილობას ვიჩენთ, ისე კი, ალბათ, არც კი მოსდის თავში უბრალო ადამიანურობით ნაკარნახევი აზრი, ეს ნაბიჭვარი ჩემ მეზღვაურებს ხოცავს, მათ, ვინც ხვალ ზღვაში უნდა გავიდეს, ინდოეთისკენ ჩვენ მიერ გაკვალული გზით უნდა წავიდეს, ან ჩვენს მიერ აღმოჩენილი ბრაზილიისკენ აილოს გეზი, ამის მაგივრად კი გემბანის ხეხვა უბრძანეს და სამიზნედ გახადეს. ეჰ, რა სალაპარაკოა, ბოლოს და ბოლოს, თუ ამ მეზღვაურს ტყოს შესართავის იქით ფრანგი კორსარის ტყვია ელის, მაშინ სჯობს, აქვე დარჩეს, მშობლიურ მიწაზე; რადგანაც ფრანგი კორსარი ვახსენეთ, მოდით, უფრო შორსაც გავიხედოთ, რიო-დე-ჟანეიროსკენ, ჩვენი მტრების გემები ზუსტად ახლა მიუახლოვდნენ ქალაქს, გასროლაც კი არ დასჭირვებიათ, ისე გადასხდნენ ნაპირზე. პორტუგალიელებს ეძინათ, სადილის შემდეგ ისვენებდნენ, ისინიც, ვინ ზღვაზე იყვნენ მეთაურები, და ისინიც, ვინც ხმელეთზე მბრძანებლობდნენ. ფრანგებმა დაუბრკოლებლად ჩაუშვეს ღუზა; როგორც საკუთარ სახლში, ისე იქცეოდნენ. გენერალ-გუბერნატორმა ბრძანება გასცა, სახლებიდან არაფერი არ გამოეტანათ, ალბათ, ჰქონდა საამისო მიზეზი, ან უბრალოდ შეეშინდა, ფრანგებმაც ყველაფერი მიითვისეს, რაც ნახეს, ნაძარცვი გემებზე დატვირთეს, რაც ვერ წაიღეს, იქვე, მოედანზე, გაყიდეს, ბევრმა მოქალაქემ უკანვე შეისყიდა ცოტა ხნის წინ მისთვისვე წართმეული ნივთები, მერე ფრანგებმა საგადასახადო სამმართველოს შენობას ცეცხლი წაუკიდეს და ქალაქგარეთ გაემართნენ, იქ ებრაელების დასმენით დაფლული ოქრო ამოთხარეს, ეს ოქრო ქალაქის ბოძოლებმა გადამალეს. თანაც ფრანგები სულ ორი-სამი ათასი იყვნენ, მეტი არა, ჩვენები კი – ათი ათასი, მაგრამ გუბერნატორი ფრანგებთან იყო შეკრული, მაგაში ეჭვიც არ გვეპარება. პორტუგალიელებში მოღალატეები იშვიათი არაა, თუმცა

მხოლოდ გარეგნული სახით ნუ ვიმსჯელებთ, მაგალითად ბეირის პოლკის ჯარისკაცები ავიღოთ, ადრე ვთქვით, რომ მტერს მიემხრნენ, მაგრამ ეს მთლად ეგრეც არაა, უბრალოდ იქ წავიდნენ, სადაც საჭმელი მაინც ექნებოდათ, ვიღაც-ვიღაცები სახლებშიც გაიქცნენ, აბა, ეს რა ღალატია, ჩვეულებრივი ამბავია, ვინც ჯარისკაცს სასიკვდილოდ გზავნის, საჭმელი მაინც უნდა აჭამოს, სანამ ცოცხალია, და ჩააცვას კიდეც, თორემ უსაქმოდ დალასლასებენ მშვივრები და ფეხშიშველები, დისციპლინა აღარ ახსოვთ, უფრო დიდი სიამოვნებით საკუთარ კაპიტანს ესვრიან, ვიდრე ვიღაც კასტილიელს. ახლა სასაცილო ამბავი თუ გინდათ, მოდით, იმ სამ ათეულ ფრანგულ გემზე გიამბობთ, რომლებიც პენიშესთან გამოჩნდნენ, თუმცა ხალხი ამბობდა, ალგარვესთანაც ვნახეთო. ჩვენი უფროსობა დაშინდა და ტეჟოს გასწვრივ ყველა კოშკზე დაცვა დააყენა, მთელი ფლოტი სანტა-აპოლონიამდე საომრად გაემზადა, თითქოს ფრანგებს ტეჟოს ზემო წელიდან ელოდნენ, სანტარენიდან ან ტანკოსიდან. ისე ფრანგები იმისთანა ხალხია, მაგათგან არაფერი არ გაგიკვირდეთ, ჩვენს ფლოტს კი ცუდად აქვს საქმე, ამიტომაც დახმარებისთვის ინგლისელებს და ჰოლანდიელებს მივმართეთ. მათი გემებიც ხომ ტეჟოს შესართავში დგანან, ჰოდა, საბრძოლველად დაეწყვენ მოწინააღმდეგის მოლოდინში, რომელიც სადღაც ფანტაზიის სფეროში იმყოფებოდა. სულ ცოტა ხნის წინათ იყო ქაშაყთან დაკავშირებული ცნობილი ამბავი, ახლა კი აღმოჩნდა, რომ ღვინით დატვირთული გემები ჩამოვიდნენ პორტოში, ფრანგები კი ინგლისელ ვაჭრები აღმოჩნდნენ, რომლებიც სავაჭრო საქმეებს აწარმოებენ პორტუგალიასთან და ერთობიან კიდეც ჩვენს ხარჯზე. კარგი აღმოჩენა ვართ ყველა უცხოელი ხუმარასთვის! თუმცა ადგილობრივი წარმოშობის ანეკდოტებიც მოგვაპოვება, აი, მაგალითად: ნამდვილი ამბავია, დღისით-მზისით მოხდა, ყველას თვალწინ, ბლიმუნდასნაირი თვალები არ იყო საჭირო. მაშ, ასე, იყო და არა იყო რა, იყო ერთი მღვდელი, ისეთ სახლებში დაიარებოდა, სადაც ქალები ხორციელ ნეტარებას ეძლევიან. ჰოდა, ახარებდა ხორცს სუფრასთანაც და საწოლშიც, მაგრამ წირვას ყოველთვის წესიერად ასრულებდა, თუმცა არც იმას გაუშვებდა ხელიდან, რაც უპატრონოდ იდო – აუცილებლად მიითვისებდა. ჰოდა ერთხელაც ერთი ქალი გაუნაწყენდა – ჩათვალა, რომ იმაზე ნაკლები მიიღო, რაც ეკუთვნოდა. წავიდა და უჩივლა. კორეჟედორის ბრძანებით იმ უბანში პოლიციელები და სასამართლო მოხელეები წავიდნენ, იმ სახლს მიადგნენ, სადაც მღვდელი განცხრომაში იმყოფებოდა, შევიდნენ და ძებნა დაუწყეს. მაგრამ ისეთი ხმაურით აკეთებდნენ ყველაფერს, რომ მღვდელმა გაქცევა მოასწრო, მართალია, ტანსაცმელი იქვე დატოვა, შიშველი ჩაგორდა კიბეზე, მუჯღუგუნებით გაიკაფა გზა შავკანიანი პოლიციელების ბრბოში. ისინიც, როგორც იქნა, გონს მოვიდნენ და გაეკიდნენ, თან ტკივილისგან ოხრავდნენ, მღვდელი კერგი ჯანიანი ვინმე გამოდგა, ლოგინშიც მაგარი იყო და ჩხუბშიც. მოკლედ, მღვდელი ესპინგარდეიროსის ქუჩაზე გარბის, დილის ცხრა საათია, დღე მხიარულად დაიწყო, ხალხი ხარხარებს, უყურებენ, კურდღელივით როგორ მიქრის შიშველი კაცი, უკან კი შავი პოლიციელები მისდევენ, წინ კი ყველაფერი რიგზე აქვს,

დმერთმა უშველოს, ასეთი ღირსებების მქონე ადამიანის ადგილი ნამდვილად ქალის ლოგინშია, და არა საკურთხეველთან. ამ სანახაობამ ძალიან ააღელვა იმ ქუჩის მცხოვრები ქალბატონები, კიდევ უფრო დიდი მოულოდნელობა იმ ქალებს ელოდათ, რომლებიც უმანკო ჩასახვის ძველ ეკლესიაში მივიდნენ სალოცავად და უცებ რას ხედავენ: ეკლესიაში გიჟივით შემოვარდა ადამის კოსტიუმში გამოწყობილი მღვდელი, თანაც იმ ადამისა, სანამ ედემის ბალიდან გამოაგდებდნენ. რა ამბავი ატყდა, ქალები აკივლდნენ, მღვდელმა კი დრო იხელთა და სადიაკვნეში შეძვრა, იქ სხვა მღვდლებმა ტანსაცმელი მისცეს და სახურავით გააპარეს. რა გასაკვირია, შაბრეგასში ფრანცისკანელებს თოკზე მობმული კალათებით აჰყავთ ქალები მონასტრის ფანჯრებში, მერე კელიებში ერთობიან მათთან, ეს მღვდელი კი თავისი ფეხით მიდიოდა ქალებთან, რომლებსაც მისი წმინდა მომსახურება სწყუროდათ. მოკლედ, ყველაფერი ისე იყო, როგორც მიღებულია – შეცოდებიდან მონანიებამდე, ასე ხომ მხოლოდ დიდმარხვის დღეებში არ ხდება, ან პროცესიების დროს, როდესაც შოლტი შხუის და თავში ცოდვილი აზრები ტრიალებს, რომლებიც მერე აღსარებაზე უნდა თქვა. აი, რა გაახსენდათ ქვედა ლისაბონის მცხოვრებ სენიორებს და ძველი ეკლესიის მრევლს, როდესაც ბუნებისგან ასე უხვად დაჯილდოებული მღვდელი იხილეს. უკან პოლიციელები მისდევდნენ, დაიჭი, დაიჭი, არ გაუშვა! მაგას მეც სიამოვნებით დავიჭერდი. ათჯერ მამაო ჩვენო თქვი, ათჯერ დიდება და ათი რეალი შესწირე ჩვენს მფარველს, წმინდა ანტონიუსს, მონანიების ნიშნად ნახევარი საათი მიწაზე გართხმული იყავი, ცოდვილო, ზუგზე თუ დაწვები, ზეციურ ნეტარებას იგრძნობ, ოღონდ მაღლა ფიქრები უნდა აწიო და არა კაბის კალთა, კაბას სხვა დროს წამოიხდი.

ყველა ადამიანი თვალს იმისთვის იყენებს, რომ რაც შეუძლია, ის დაინახოს, ან რისი ნებაც დართეს, ან იმის მცირე ნაწილი მაინც, რაც თავად სურს. მაგრამ ზოგჯერ შემთხვევითაც იხილავ რამეს, როგორც ეს ბალთაზარს მოუვიდა, რომელიც მაღაზიიდან გამოვიდა ტერიერო-დო-პასოზე, სხვა მუშებსა და მტვირთავებთან ერთად კარდინალ ნუნო და კუნიას ნახვა უნდოდა, რომელიც სასახლეში მიემართებოდა, რათა მეფისგან კარდინალის შლაპა მიეღო. კარდინალს პაპის ლეგატი ახლავს თან, ორივე პალანკინში ზის, პალანკინს წითელი ხავერდი აქვს გადაკრული და ოქროს სირმებითაა მორთული, ორივე მხარეს კარდინალის გერბი ამშვენებს, უკან საპატიო ეტლი მისდევს, შიგ არავინ ზის, მხოლოდ პატივი, შემდეგ პირადი მდივანი, კაპელანი, რომელსაც კარდინალის მოსასხამი მოაქვს – იმ შეხვედრებისთვის, რომლებსაც კარდინალი აუცილებლად მოსასხამით უნდა დაესწროს, შემდეგ ორი კასტილიური ეტლი, რომლებიც პაჟებითა და კაპელანებითაა გატენილი, თორმეტი ლაქია მიუძღვის პალანკინს, ამას კიდევ მეეტლეებს და მტვირთავებსაც თუ დავუმატებთ, გამოდის, რომ ერთი კარდინალის სამსახურში მთელი ბრბო დგას, უკაცრავად, მსახური დაგვავიწყდა, რომელიც წინ მიდის და ხელთ ვერცხლის კვერთხი უჭირავს. ბედნიერია ის ერი, რომელსაც შეუძლია,

ასეთი საზეიმო პროცესიებით დატკბეს! ჰოდა, ხალხიც ქუჩაში გამოვიდა, პროცესია ჯერ კარდინალის სახლთან მივიდა, მერე კი სამეფო სასახლისკენ გაემართა, სადაც უკვე ბალთაზარს აღარ შეესვლება, ვერც მისი მზერა შეაღწევს იქ, მაგრამ ბლიმუნდას თვალების საოცარი უნარი რომ გვექონდეს, დავინახავდით, როგორ მიემართება კარდინალი გვარდიელთა მწკრივებს შორის, როგორ ადის კიბეზე, მეფე კი ეგებება. კარდინალი მეფეს პირჯვარს სახავს, მეფე კი მუხლს იყრის ხავერდის ბალიშზე, კარდინალი ოდნავ უკან დგას, ორივე მდიდრულად მორთული საკურთხევლისკენ იბრუნებს პირს, სასახლის კაპელანი წირვას ატარებს, წირვის დასრულებისთანავე პაპის ლეგატი მეფეს ბრევს აწვდის კარდინალის დანიშვნის შესახებ. მეფე წერილს კითხულობს და ისევ ლეგატს უბრუნებს. მანაც უნდა წაიკითხოს ბრევე, ასე წერია პროტოკოლში, თუმცა მეფემაც კარგად იცის ლათინური. შემდეგ ხელმწიფე ლეგატის მოწოდებულ შლაპას იღებს და კარდინალს ადგამს თავზე. კარდინალი პირდაპირ განსახიერებელი ქრისტიანული მორჩილება და თავმდაბლობაა, აბა რა, ადვილი კი არაა უფალ ღმერთთან ასე ახლოს ყოფნა. მაგრამ ცერემონია ამით არ დასრულებულა. კარდინალმა ტანსაცმელი გამოიცვალა და ახლა, წესისამებრ, წითლებშია გამოწყობილი და ისევ მეფეს ესაუბრება. მეფე სავარძელში, ჩარდახქვეშ ზის, კარდინალი ორჯერ იხდის და ისევ იხურავს შლაპას, ასევე იქცევა მეფე, შემდეგ დგება და ზუსტად ოთხ ნაბიჯს ადგამს კარდინალის მიმართულებით, ორივე ჯდება – ერთი ოდნავ მაღლა – და ხანმოკლე საუბრის შემდეგ გამომშვიდობების დროც დგება. ისევ – ქუდი მოიხადე, კვლავ დაიხურე, მერე კარდინალი დედოფლისაკენ მიემართება, რიტუალი იქაც მეორდება, ბოლოს კი სასახლის ეკლესიაში მიდის, სადაც თე დეუმ ლაუდამუს-ს მღერიან. ვადიდოთ უფალი, რომელიც ყველა ამ სისულელეს ითმენს.

სახლში დაბრუნებული ბალთაზარი ბლიმუნდას უყვება, რა ნახა და, რადგანაც გამოცხადებულია, რომ საღამოს ილუმინაცია იქნება, ვახშმის მერე ორივე როსიოზე მიდის, ამჯერად არც ისე ბევრი ჩირალდანი ანთია, ალბათ, ქარმა ჩააქრო. რაც მთავარია, კარდინალმა თავისი შლაპა მიიღო, ძილის წინ სასთუმალთან დაიდებს, რომ მოწმეების დაუსწრებლად დატკბეს მისი ცქერით, შეიძლება ღამეც ადგეს სპეციალურად, რათა კიდევ ერთხელ შეავლოს თვალი და გაიხაროს, ნუ გავკიცხავთ ამისთვის, ყველას გვაქვს ჩვენ-ჩვენი ადამიანური სისუსტეები, ამპარტავნება ყველას გვახასიათებს, შლაპა კი თავად პაპმა გამოგზავნა რომიდან, ზუსტად ზომიანა შეკერილი. გარდა ამისა, ძლიერთა ამა ქვეყნისათა თავმდაბლობაც სჩვევიათ, აი, მაგალითად, ფეხებს ბანენ მათხოვრებს, ამას ყველა კარდინალი აკეთებდა და მომავალშიც გააკეთებს, აგრეთვე ყველა მეფე და დედოფალი. ბალთაზარსაც დახეული ფეხსაცმელი და ჭუჭყიანი ფეხისგულები აქვს – იმის პირველი და აუცილებელი პირობა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მეფემ ან კარდინალმა მის წინაშე მუხლი მოიყაროს, თეთრი სელის პირსახოცი, ვერცხლის ტაშტი და ვარდის ზეთი მოიმარჯვოს, თუ, რა თქმა უნდა, დამატებით კიდევ მეორე და მესამე პირობაც

დააკმაყოფილა: იმაზე უფრო ღარიბი უნდა იყოს, ვიდრე ახლას, და სათნოებით და ღვთისმოსაობით შემკული. ეს სათნოება ყველას უნდა დაანახოს და ამის გამო უნდა აირჩიონ ფეხის დასაბანად. მისი კუთვნილი პენსიის შესახებ კი ჯერ არაფერი ისმის, ჯერჯერობით შედეგი არ გამოიღო მამა ბართოლომეუ ლოურენსოს მეცადინეობამ. მაღაზიიდანაც სადაცაა გამოაგდებენ, მაგრამ, სამაგიეროდ, მონასტრებში უხვად არიგებენ შეჭამანდს, ორდენები მათხოვართა ბრბოებს მოწყალებით ამარცხებენ, ლისაბონში შიმშილით სიკვდილი ადვილი არაა, ხალხი დაეჩვია მცირედით დაკმაყოფილებას. ამასობაში დაიბადა ინფანტი დონ პედრო და რადგანაც იგი პირმშო არაა, მხოლოდ ოთხმა ეპისკოპოსმა მონათლა, მაგრამ მაინც მოგებული დარჩა: მის ნათლობაში კარდინალმა მიიღო მონაწილეობა, რომელიც მისი დაიკოს ნათლობისას ჯერ კიდევ არ იყო კარდინალი, თანაც ამბავი მოვიდა, რომ კამპო მაიორთან ბევრი მტერი დაიხოცა და სულ ცოტა ჩვენიანი. ისე შეიძლება, ხვალ ცნობილი გახდეს, რომ ბევრი პორტუგალიელი დაიღუპა და სულ ცოტა – მოწინააღმდეგის ჯარისკაცი, სიმართლეს მაშინ გავიგებთ, როდესაც განკითხვის დღე მოვა და ზუსტად დავითვლით დანაკარგს, თანაც ორივე მხრიდან. ბალთაზარი ბლიმუნდა ომის ამბებს უყვება, ის კი ისე ჩაფრენია კაუჭში, როგორც ცოცხალ ხელში. ბალთაზარი ზუსტად ასეც გრძნობს, მეხსიერება ეხმარება, ბლიმუნდას ხელის სითბო შეიგრძნოს.

მეფე მაფრაში გაემგზავრა. მომავალი მონასტრისთვის ადგილი უნდა შეარჩიოს. მონასტერი ველას ბორცვზე უნდა გაშენდეს, აქედან ზღვაც მოჩანს, უხვი, ანკარა წყაროც მოედინება ბოსტნების და ხეხილის ბაღებისთვის. აქაური ფრანცისკანელები ალკობასელ ცისტერციანელებს არ ჩამორჩებიან, წმინდა ფრანცისკ ასიზელი ეგებ კიდევ კმაყოფილდებოდა უბრალო კელიით, მაგრამ ეგ როდის იყო, თანაც ფრანცისკი წმინდანი იყო. მოდით, ვილოცოთ!

ბალთაზარ შვიდი მზის აბგაში ახლა კიდევ ერთი მეტალის ნივთია – ჰერცოგ ავეირუს მამულის ჭიშკრის გასაღები. მამა ბართოლომეუ ლოურენსოს უკვე ჩამოუვიდა ხსენებული მაგნიტები და, თუმცა ის სუბსტანცია ჯერ არ აქვს, რომლის შემადგენლობას საიდუმლოდ ინახავს, მაინც შეუძლია განაგრძოს საფრენი მანქანის აწყობა. ასე რომ, შესრულდა პირობა, რომლის თანახმადაც ბალთაზარ შვიდი მზე მფრინავის მარჯვენა ხელი უნდა გამხდარიყო, მარცხენა ხომ თურმე საერთოდ არ ყოფილა საჭირო, რადგან თავად ღმერთსაც კი არ ჰქონია იგი, როგორც ამას მღვდელი ამტკიცებს, მას კი კარგად აქვს შესწავლილი ეს, მხოლოდ რჩეულთათვის მისაწვდომი, მატერიები და იცის, რასაც ამბობს. და რადგანაც კოსტა-დო-კასტელო – უბანი, სადაც ბლიმუნდას სახლი დგას – საკმაოდ შორსაა სან-სებასტიან-და-პედრეირასგან, სადაც ჰერცოგის მამულია განლაგებული, ბლიმუნდამ ბალთაზართან განშორება არ ისურვა და სახლი მიატოვა. დიდი დანაკარგი ნამდვილად არაა, სახურავი და სამი მორყეული კედელი, მეოთხე კედელი ძალიან მყარია, რადგან ხუხულა ძველი ციხე-სიმაგრის გალავანზეა

მიშენებული, ციხე-სიმაგრე უკვე საუკუნეებია, რაც უდერკად დგას და კიდევ მრავალ საუკუნეს გაუძლებს. წელიწადიც არ გავა, რომ ჩამოიშლება ეს სამი კედელი და გახვრეტილი სახურავი – თუ, რა თქმა უნდა, ვინმე გამვლელი არ იტყვის, შეხე, ცარიელი სახლიო, და არ შესახლდება შიგ – და რამდენიმე დამტვრეული აგურიღა დარჩება იმ ადგილას, სადაც სებასტიანა-მარია დი ჟუზუსი ცხოვრობდა და სადაც ბლიმუნდამ პირველად გაახილა თვალები და სამყარო სასწაულებრივ დაინახა, რადგან ახალშობილის ბაგეს ჯერ არ მიეღო საკვები.

ბალთაზარმა და ბლიმუნდამ ერთ გზობაზე გადაიტანეს თავიანთი ხარა-ხურა: ერთი აბგა და ერთიც მოზრდილი შეკვრა, რომელშიც ლოგინი იყო გახვეული. აბგა ბალთაზარმა მოიგდო მხარზე, შეკვრა კი ბლიმუნდამ თავზე შემოდებული წამოიღო. გზად ერთი-ორჯერ შეისვენეს, არც ერთხელ ხმა არ ამოუღიათ, რა საჭიროა სიტყვები, როდესაც ცხოვრებაში ცვლილება დადგა. ტვირთს რაც შეეხება, ასეც უნდა იყოს, დაე, იარონ გზაზე ქალმა და მამაკაცმა და თან ატარონ, რაც აბადიათ, დაე, ეხმარებოდნენ ერთმანეთს მის ზიდვაში და არასდროს არ დაუბრუნდნენ ძველ გზას, რადგან ეს მხოლოდ დროის ფუჭი ფლაგვაა. არც ღირს ამაზე ზედმეტი ლაპარაკი.

ბელის ერთ კუთხეში ფარდაგი გაშალეს, ლეიბი დადეს, გვერდით სკამი მიუდგეს, მოპირდაპირე მხარეს ზანდუკი მოათავსეს და ამით თითქოს თავიანთი საცხოვრებლის საზღვრები მოხაზეს. კედლებს შორის მავთული გაჭიმეს, ზედ ტილო დაჰკიდეს და ნამდვილი სახლი გამოვიდა, თავს მის ბატონ-პატრონებად გრძნობდნენ. ახლა შეუძლია ბლიმუნდას, უსაფრთხოდ იგრძნოს თავი და წყნარად იჯდეს სახლში, როდესაც საჭმელი არ ექნება გასაკეთებელი ან სარეცხი გასარეცხი, ან არ მოინდომებს, ბალთაზარს მიეხმაროს სახელოსნოში – ჩაქუჩი, მავთული, რკინის ღერო მიაწოდოს. თუ წყაროზე არ იქნება წასასვლელი ან გარეთ გეცხლი არ ექნება დასანთები, შეუძლია სახლში დარჩეს, სიმშვიდესა და სიჩუმეში დაისვენოს – ეს სურვილი დროდადრო თავად ყველაზე თავზეხელაღებულ თავგადასავლების მაძიებლებსაც უჩნდებათ ხოლმე. მავთულზე გაჭიმული ტილო აღსარების დროსაც გამოადგებათ, მღვდელი ერთ მხარესაა, აღსარების მთქმელები – მეორეს, ზუსტად იქ, სადაც სცოდავენ კიდევ, რადგან ერთმანეთთან უკანონო კავშირი აქვთ დამყარებული. ასე ამ მდგომარეობის აღსაწერად უარესი სიტყვის მოფიქრებაც შეიძლება, მაგრამ მამა ბართოლომეუ ლოურენსო რატომღაც ძალიან ადვილად შეუნდობს ხოლმე ამ ცოდვას, რადგანაც ძალიან კარგად იცის, რომ თავად უფრო ცოდვილია. ამპარტავნება და პატივმოყვარეობა ღრღნის, ცაში აფრენა გადაუწყვეტია, სადაც აქამდე მხოლოდ იესო, ქალწული მარიამი და რამდენიმე რჩეული წმინდანი ამალღებულა. ამ დაცალკევებული დეტალების, რომლებსაც ახლა ბალთაზარი უკირკიტებს, ცაში აწევა სურს, ამ დროს კი ბლიმუნდა ფარდის იქით ხმამაღლა ამბობს, საკმარისად ხმამაღლა, რომ ბალთაზარმა გაიგონოს, არა, არავითარი ცოდვა არ მიმიძღვის, მამაო!

წირვას რაც შეეხება, ახლომახლო უამრავი ტაძარია, უახლოესი კი – ფეხშიშველი ავგუსტინელების ეკლესიაა, მაგრამ თუ ასე მოხდა, რომ მამა ბართოლომეუ ლოურენსო ქალაქში შეყოვნდა, თუ მისმა წმინდა მოვალეობამ ან მეფის კარის ცერემონიებმა ჩვეულებრივზე მეტი დრო წაიღო, და აღარავინაა, რათა ბალთაზარის და ბლიმუნდას სულებში ქრისტიანული ნაპერწკალი გაადვივოს, ზოგჯერ ორივეს ავიწყდება ღვთის სამსახური: ბალთაზარს თავისი რკინეულობის გამო, ბლიმუნდას – კერასა ან წყაროსთან სამქიანობის დროს, ორივეს ერთად კი – ლოგინში, მხურვალე ალერსში, და არც კი ნანობენ თავიანთი გულმავიწყობას. ამასთან დაკავშირებით ნება მოგვეცით, ეჭვი შევიტანოთ, მართლა ქრისტიანული სული აქვს თუ არა ამ ორს, თუ საერთოდ მოეპოვებათ. ასე ცხოვრობენ თავის ბელელში, გარშემო უზარმაზარი, მიტოვებული მამულია, ხეხილი გაველურებულია, ბილიკები ბალახმა დაფარა, ბოსტანი სარეველებითაა სავსე, მაგრამ ბალთაზარი ნამგლით ჭრის მავნე მცენარეებს, ბლიმუნდა კი ფესვებს ძირკვავს, და მიწა ოდესმე დააჯილდოვებს მათ ასეთი შრომისთვის. მაგრამ თავისუფალი დროც ბევრი აქვთ, ზოგჯერ, როდესაც აუტანელი ხდება, ბალთაზარი კალთაში უდებს თავს ბლიმუნდას, და ისიც მწერების ძებნას იწყებს მის თმაში, ჰო, ნუ გიკვირთ, ეს მწერები არც შეყვარებულებს და არც საპაერო ხომალდის მშენებლებს არ ერიდებიან. ბლიმუნდას კი მშველელი არ ჰყავს – ბალთაზარი ძალიან კი ცდილობს, მაგრამ ცალი ხელით მწერის დაჭერა არ შეუძლია, როგორც კი გადაუწევს მძიმე, მუქი თავლის ფერ თმას, ნადავლი იმწამსვე ქრება. ამქვეყნად ყველას ეყოფა ადგილი.

სამუშაოც ყოველთვის კარგად ვერ მიდის. არ დაუჯეროთ, ვინც ამბობს, რომ მარცხენა ხელი სულაც არაა საჭირო. თუ ღმერთს უამისოდაც შეუძლია, ეს იმიტომ, რომ ღმერთია, ადამიანს კი ორივე სჭირდება, ხელი ხელს ბანსო, ორივე კი პირსაო, ხომ გაგიგონიათ?! ჰოდა რამდენჯერ ჩამოუბანია ბლიმუნდას ბალთაზარის ხელის ზურგზე შემხმარი ჭუჭყი, თავად ბალთაზარს არ შეუძლია ამდენი, აი, ასეთია ომის მძიმე შედეგები, ამაზე უარესიც არსებობს, ბევრი ჯარისკაცი უფეხოდ დარჩა, ზოგს ორივე ხელი მოაჭრეს, ზოგმა თავისი მამაკაცური ორგანოები დაკარგა, არც ბლიმუნდა ჰყავთ, რომ დაეხმაროს, ან ზუსტად ამიტომაც დაკარგეს თავიანთი ბლიმუნდა. კაუჭი კარგია, როცა რკინის ფურცელს უნდა მოეჭიდო, ან ღერო გალუნო, დანის პირით მოსახერხებელია ტილოში ნახვრეტების გაკეთება, მაგრამ საგნები არ გემორჩილებიან, თუ ადამიანის ხელის სითბოს არ გრძნობენ, ჰგონიათ, ადამიანები გაქრნენ და სამყაროში საქმე უკუღმა დატრიალდაო. ამ დროს ბლიმუნდა მოიჩქარის დასახმარებლად და – აჯანყება წამში ჩახშობილია. რა კარგია, რომ მოხვედი, ამბობს ბალთაზარი; ნივთები მართლაც თითქოს გრძნობენ, თუმცა ეს დანამდვილებით ჯერ არაა ცნობილი.

ზოგჯერ ბლიმუნდა ადრე დგება და უჭმელი მიდის სახელოსნოში, კედელ-კედელ მიიპარება, აქეთ-იქით არ იხედება, რომ შემთხვევით ბალთაზარს არ მოჰკრას თვალი. შესრულებული სამუშაოს შესამოწმებლად მიეშურება: უყურებს, კარგადაა თუ არა

შედულებული რკინის დეტალები, მეტალის შიგნით ჰაერის ბუმტულები ხომ არ გაჩნდა, მერე პურს ღეჭავს და ნელ-ნელა სხვა ადამიანებივით ბრმა ხდება, იმ ადამიანებივით, რომლებიც მხოლოდ იმას ხედავენ, რაც ზედაპირზე დევს. როდესაც პირველად აღმოაჩინა წუნი და ბალთაზარმა მამა ბართოლომეუ ლოურენსოს შეატყობინა, ეს ნაწილი არ ვარგა, შიგნით ბზარი აქვსო, და მამა ბართოლომეუ ლოურენსომ ჰკითხა, საიდან იციო, ბალთაზარმა უპასუხა, ბლიმუნდამ ნახაო, მღვდელმა გაუღიმა, მერე ბლიმუნდასაც გადახედა და თქვა, ბალთაზარს შვიდ მზეს ეძახიან, შენ კი ამიერიდან შვიდ მთვარეს დაგარქმევ, რაკილა ბნელშიც ხედავო. ასე რომ, ბლიმუნდა, რომელსაც აქამდე დედასავით დი ქეზუსი ერქვა, ახლა შვიდი მთვარე გახდა, ნათლობა წესისამებრ შედგა, რადგან ეს სახელი თავად მღვდელმა მოიფიქრა, სულელური მეტსახელი კი არ გეგონოთ, რომელსაც, ღმერთმა იცის, ვინ იგონებს. იმ ღამეს მზეს და მთვარეს ჩახუტებულებს ეძინათ.

ზოგჯერ მამა ბართოლომეუ ლოურენსო საკუთარი ქადაგებების კითხვაში ვარჯიშობს – აქ კარგი რეზონანსია, ზომიერი, სიტყვები მკაფიოდ ისმის, ზედმეტი გუგუნის გარეშე, რომელიც მსმენელს ყურადღებას უფანტავს. ალბათ, ასე ჟღერდა წინასწარმეტყველების მრისხანე სიტყვები უდაბნოებსა და ქალაქებში, სადაც კედლები საერთოდ არაა ან მოშორებითაა, და ამიტომაც აკუსტიკის კანონები ძალიან მარტივია, ყველაფერი ორატორზეა დამოკიდებული და არა მსმენელზე ან რეზონანსზე. დღევანდელი მორწმუნეები, მართალია, უფრო დახვეწილ მჭევრმეტყველებას ამჯობინებენ, და ანტურაჟიც მეტი სჭირდებათ – მსუქანი ანგელოზები, ექსტაზში ჩავარდნილი წმინდანები, აფრიალებული სამოსი, რომლის ქვეშ მკლავები და მომრგვალებული თეძოები ჩანს, ტანის მოყვანილობაც გაირჩევა, მკერდი ღელავს, თვალები ზეცასაა მიპყრობილი, ნეტარება ტანჯვის მომგვრელია, უკეთ – ტანჯვა — ნეტარების, ამიტომ, როგორც ყველა გზა რომში მიდის, ასე აქაც ყველაფერი ხორციელი ვნებისკენ მიემართება. მღვდელი ძალიან ცდილობს, მსმენელიც ჰყავს, მაგრამ პასაროლა აბრკოლებს თუ მსმენელები ზედმეტად არიან საკუთარი თავით დაკავებულნი, და გულგრილად ისმენენ მის ნათქვამს, თუ ეკლესიის გარემო აკლია, ასეა თუ ისე, მისი სიტყვები ზეცაში არ მიდის, მჭექარება და ძალა არა აქვთ, ერთმანეთში იბლანდებიან და საჭირო ეფექტს ვერ ახდენენ. გასაკვირია, რატომ გაითქვა მამა ბართოლომეუმ დიდი ორატორის სახელი, მას ხომ თავით მამა ანტონიო ვიერიას ადარებენ, ღმერთმა აცხოვროს მისი სული, სამოთხეში მოხვდეს, როგორც უკვე მოხვდა უწმინდეს სამსახურში. აქვე წაიკითხა ბართოლომეუ ლოურენსომ იმ ქადაგების საცდელი ვარიანტი, რომელიც მერე სალვატერა-დოს-მანგოსში წარმოთქვა თავით მეფის წინაშე, ახლა კი იმ ქადაგებას კითხულობს, რომელიც დომინიკელებმა შეუკვეთეს წმინდა იოსების დაწინდვის დღესასწაულთან დაკავშირებით. როგორცა ჩანს, არც თუ ისე დიდი ზიანი ადგება ჩვენს მღვდელს იმის გამო, რომ უცნაური კაცის და მფრინავის სახელი აქვს გავარდნილი,

თუკი თავად წმინდა დომინიკის ძენი იჭერენ მასთან საქმეს, მეფეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ახალგაზრდაა და გართობა უყვარს, ამიტომაც მფარველობს მამა ბართოლომეუ ლოურენსოს, ამიტომაც ატარებს დროს მონაზვნებთან სხვადასხვა მონასტერში და ხან ერთს აორსულებს, ხან მეორეს. ასე რომ, როდესაც მისი ზეობა დასრულდება, მის უკანონო შვილებს დაითვლიან. საბრალო დედოფალი, რა ეშველებოდა, თავისი მოძღვარი იეზუიტი ანტონ შტიფი რომ არ ჰყოლოდა, რომელიც მუდამ მოთმინებისა და შეწყალებისკენ მოუწოდებს, და კიდევ სიზმრები, რომლებშიც ინფანტი დონ ფრანსისკო ეცხადება, ჯორების უნაგირებიდან კი ახლა ნანადირევის მაგიერ მეზღვაურების გვამებია გადმოკიდებული. ანმამა ბართოლომეუს რა ეშველებოდა, აქ ის დომინიკელები რომ მოსულიყვნენ, ვინც ქადაგება შეუკვეთა: ბელელში პასაროლას, ცალხელა ჯარისკაცსა და კუდიან ქალს აღმოაჩენდნენ, და აგრეთვე მღვდელს, რომელიც სიტყვის თქმაში ვარჯიშობს, მაგრამ თავის აზრებს მალავს, ამ აზრებს ბლიმუნდაც კი ვერ ჩასწვდება, მთელი წელიც რომ იმარხულოს.

მამა ბართოლომეუ ლოურენსომ კითხვა დაასრულა, არც უფიქრია გაეგო, რა ზემოქმედება მოახდინა მსმენელებზე, მხოლოდ დაბნეული სახით იკითხა, როგორ მოგეწინათო, ის ორი კი პასუხს აძლევს, მშვენიერია, სენიორ, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვებია, არაფერი არ მიუთითებს იმაზე, რომ ქადაგება სულში ჩასწვდათ, ასე რომ მთლად ტყუილი თუ არ თქვეს, ყოველ შემთხვევაში, თავი აარიდეს პასუხს, არაფრისმთქმელი სიტყვებით უპასუხეს. ბალთაზარმა ისევ ააკაკუნა ჩაქუჩი, ბლიმუნდამ გარეთ გახვეტა ხის და მავთულის ნარჩენები, ორივე ისეთი გულმოდგინებით შეუდგა მუშაობას, თითქოს გადაუდებელი საქმე ჰქონდათ, მაგრამ მღვდელმა უცებ იმ ადამიანის ტონით წარმოთქვა, რომელიც შეშფოთებას ვეღარ მალავს: ალბათ, ვერასოდეს ვერ გავფრინდები. დალლილი ხმა ჰქონდა, თან ისეთი სასოწარკვეთით ჩაიქნია ხელი, რომ ბალთაზარმა წამით იგრძნო თავისი შრომის უნაყოფობა, ჩაქუჩი დაუშვა, მაგრამ არ უნდოდა, რომ მისი ჟესტი მუშაობაზე უარის თქმის ნიშანი ჰგონებოდა ვინმეს და თქვა, აქ სამჭედლო უნდა მოვაწყოთ, აქვე უნდა გამოვაწროთ რკინის ნაწილები, თორემ პასაროლას სიმძიმეს ვერ გაუძლებსო. მღვდელმა უპასუხა, ჩემთვის სულ ერთია, გაუძლებს თუ არა, მთავარი ისაა, რომ ეთერის გარეშე მაინც ვერ გავფრინდებითო. ეს რაღა? – იკითხა ბლიმუნდამ. ის, რითაც ვარსკვლავებია გაჩერებული. როგორ უნდა მოვიპოვოთ? – ჰკითხა ბალთაზარმა. ალქიმის საშუალებით, მაგრამ მე ალქიმის ბევრი არაფერი გამეგება, ისე თქვენ ეგ არსად არ უნდა წამოგვდეთ. აბა რა უნდა ვქნათ? მალე ჰოლანდიაში გავემგზავრები, იქ ბევრი მეცნიერი მუშაობს ამაზე, მეც ვისწავლი ციური ეთერის მიღებას, ამ მრგვალ ჭურჭლებს ავავსებ, უეთეროდ მანქანა ჰაერში ვერ აიწევა. კი მაგრამ, რა ძალა აქვს ასეთი ამ ეთერს, იკითხა ბლიმუნდამ. იგი ყოვლისმომცველი ძალის ნაწილია, რომელიც ყველა სულიერს და უსულოს მზისკენ გააქანებს, თუკი დედამიწის მიზიდულობის დაძლევს.

ისე მითხარით, რომ გავიგო, მამაო. მანქანა რომ აფრინდეს, ამისთვის მზემ ქარვა უნდა მიიზიდოს, რომელიც მავთულებზე იქნება დამაგრებული, ქარვა, თავის მხრივ, ეთერს მიიზიდავს, რომლითაც ჩვენ ამ ჭურჭლებს ავავსებთ, ეთერი კი მაგნიტებს მიიზიდავს, რომლებიც ქვემოთ იქნება მოთავსებული, ისინი კი რკინის ფირფიტებს მიიზიდავენ, რომლისგანაც კარკასია აწყობილი, და მაშინ ქარის დახმარებით ავფრინდებით, შტილში კი ამ საბერველს გამოვიყენებთ, მაგრამ, ვიმეორებ, სანამ ეთერი არ გვექნება, არაფერი გამოგვივა. მაშინ ბლიმუნდამ თქვა, თუკი მზე ქარვას იზიდავს, ქარვა – ეთერს, ეთერი – მაგნიტს, მაგნიტი – რკინას, მაშინ მანქანა შეუჭერებლივ სულ მზისკენ იფრენს. შემდეგ დადუმდა, ჩაფიქრდა და ისევ იკითხა, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებო, ნეტავი როგორია შიგნიდან მზე, მღვდელმა მიუგო, არა, მზემდე არ ავალთ, ამისთვის აფრები გვაქვს, როცა დაგვჭირდება, მაშინ გავშლით, ასე რომ, იმ სიმაღლეზე გავჭერდებით, რომელიც მოგვინდება. პაუზა გააკეთა, დაფიქრდა და განაგრძო, მზე შიგნიდან როგორია, მაგასაც გავიგებთ, ოღონდაც ავფრინდეთ, და სხვა ყველაფერი იქნება, ყველაფერს შევიტყობთ, თუ მოვინდომებთ, და თუ უფალი ღმერთი ძალიან მკაცრ გამოცდას არ მოგვიწყობს.

მაგრამ დრო ისედაც გვიწყობს გამოცდებს. სულ მალე ქუჩაში წმინდა მონიკას მონასტრის მონაზვნები გამოვლენ, განრისხებულები უარს იტყვიან, მეფის ბრძანებას დამორჩილდნენ: მეფემ ბრძანა, რომ ამიერიდან მონაზვნებს თავიანთ მონასტერში მხოლოდ მშობლებთან, შვილებთან, და-მმასთან და სხვა, მეორე თაობის ნათესავებთან შეხვედრის უფლება აქვთ. ამ მეთოდით მის უდიდებულესობას მონასტრებში გამეფებული აღვირახსნილობის აღკვეთა გადაუწყვეტია, მონაზვნების თაყვანისმცემლები ხომ სულ კელიებში დაძვრებიან და უფრო იოლად აორსულებენ ქრისტეს მხევლებს, ვიდრე ისინი ღვთისმშობელს კითხულობენ. სულ სხვაა, როდესაც ასე თავად დონ ჟუან V იქცევა, მისთვის შეიძლება, და სულ სხვაა, როცა ამას ვიღაც ჟოზე ან ფრანსისკო აკეთებს. საქმეში მამა-პროვინციალი ჩაერია, მონაზვნების დამშვიდება სცადა, სთხოვდა, მონარქის ნებას დამორჩილებოდნენ, ეკლესიიდან განკვეთითაც კი დაემუქრა, მაგრამ სამასი ქალი მაინც აბუნტდა, ჭეშმარიტი კათოლიკური რისხვით აღივსნენ იმის გამო, რომ სამყაროდან საბოლოოდ გარიყვას უპირებენ, მონასტერი არ ეყოფათ, ახლა კიდევ ეს ბრძანება, აი, თუ გინდათ, სანახაობა: ჭიშკარს ქალის სუსტი ხელები ამტვრევს, და აი, გამოდიან მონაზვნები, ქუჩაში მსვლელობას აწყობენ, ჯვრები მალა აუწევიათ, მათ შესახვედრად ბერები გამოდიან და ევედრებიან, ქრისტეს გულისთვის შეწყვიტონ მსვლელობა. აქ დებსა და ძმებს შორის ღვთისმოსავი საუბარი იმართება, ორივე მხარე თავის მოსაზრებას გამოთქვამს, საქმე იქამდე მივიდა, რომ მთავარი კორეჟედორი მეფესთან გავარდა იმის საკითხავად, ბრძანება ხომ არ შეცვალათ. ამ დავი-დარაბაში მთელი დღე გავიდა. აჯანყებული მონაზვნები დილაუთენია გამოცვივდნენ ქუჩაში, სანამ კორეჟედორი წინ და უკან დარბის,

მონაზვნებმა ბანაკი დასცეს ქალაქის შუაგულში, ხნიერები მიწაზე მოეწყვნენ, ახალგაზრდები კი, ბოლო მოსავლიდან, მარდები და ცქვიტები, ერთ ამბავში არიან: აქეთ-იქით დადიან, გამვლელ-გამომვლელებს ათვალეიერებენ, ელეპარაკებიან, ასე რომ კიდევ უფრო გამყარდა კავშირები მათთან, ვისაც, ახალი ბრძანების თანახმად, მონასტერში შესვლა უნდა აეკრძალოს. მათაც ეს ამბავი რომ გაიგეს, აღარ დააყოვნეს და წამში იქ გაჩნდნენ, იცინიან, ოხუნჯობენ, პაემნებს ნიშნავენ, ჟესტებითა და მზერით ესაუბრებიან ქალებს. შუადღემაც მოაწია, მონაზვნებმა იქვე წაიხემსეს, საგზალი თან ჰქონდათ, ნათქვამია, ვინც საომრად მიდის, საგზალიც თან მიაქვსო და ამ დროს სასახლიდან ამბავი მოვიდა, რომ ბრძანება გაუქმებულია. ეს რომ გაიგეს, მონაზვნები ზარ-ზეიმით დაბრუნდნენ მონასტერში, თან ჰიმნებს მღეროდნენ, თანაც მამა-პროვინციალმა ცოდვები მიუტევა. მართალია, პირადად არა, არამედ შიკრიკის საშუალებით, თავად არ მოვიდა, შეეშინდა, შემთხვევით თავში რამე არ მომხდესო, მონაზვნების ბუნტი ხომ ნებისმიერ ბრძოლაზე უარესია. ამ ქალებს ხშირად ძალდატანებით აქცევენ მონაზვნებად, რათა უფრო მოსახერხებელი იყოს მემკვიდრეობის გაყოფა ან მაიორატის შენარჩუნება, მოკლედ, ეს ოჯახის წევრი მამაკაცების სასარგებლოდ ხდება, ახლა კი მოინდომეს, საბრალოებს გარესამყაროსთან უკანასკნელი კავშირი გაუწყვიტონ, აკრძალული ალერსის, საიდუმლო პაემანის სიხარული წაართვან, თუნდაც ამას ჯოჯოხეთი მოყვეს იმქვეყნად. რადგანაც, თუკი მზე ქარვას იზიდავს, ხოლო ამქვეყნიური სიამენი – ცოდვილ ხორცს, ვიღაცამ ხომ უნდა იხიროს ამით, თუნდაც ვერასდროს ვერ შესწვდეს მათ, ვისაც უფლებები დაბადებიდან ეძლევა.

მალე კიდევ ერთ აუტადაფეს ელოდებიან – ეკლესიისთვის დიდი მოგების მომტანი საქმეა – რელიგიური გრძნობები გაძლიერდება. და კიდევ სხვა მიზეზების გამოც. მეფისთვისაც ხეირია, რადგან ამჯერად ბრაზილიელ მდიდრებს ეხება საქმე, მათი ქონება კი მეფეს ერგება. მათთვის კი, ვინც უნდა გაიშოლტოს, ან გადასახლებაში წავიდეს, ან კოცონზე ნახოს სიკვდილი, დიდი ტანჯვაა. დღეს მხოლოდ ერთ ქალს დაწვავენ, წმინდა დომინიკის ეკლესიაში გამოფენილ პორტრეტებს, რომლებზეც ის ერეტიკოსებია გამოსახული, რომელთა ფერფლი დიდი ხანია ქარს გაატანეს, ერთი სურათიც შეემატება. საოცარია, ამდენი ადამიანის მაგალითი რატომ არ გახდა გაკვეთილი სხვებისთვის, ეგებ, ამ ხალხს ტანჯვა სიამოვნებს, და პრინციპულობას საკუთარ უსაფრთხოებაზე მაღლა ამიტომ აყენებენ? ღმერთმა თავად არ უწყოდა, რა შარში გაყო თავი, ადამი და ევა რომ შექმნა. აბა, სხვა რა უნდა თქვა აი, ამ მონაზონზე, რომელიც საბოლოოდ ებრაელი აღმოჩნდა და ამისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, ან იმ ანგოლელ ზანგ ქალზე, – ასეთი რამე საერთოდ პირველად გვესმის, – რიო-დე-ჟანეიროდან რომ ჩამოვიდა და მასაც იუდაიზმში დასდეს ბრალი, ან თუნდაც ამ ალგარველ ვაჭარზე, რომელიც ამბობდა, რომ ყველა გადარჩება, ვინც თავისი

სარწმუნოების ერთგულია, სულ ერთია, ქრისტესი თუ მუჰამედის, სახარება და კაბალა, ტკბილი და მწარე ერთია. ან აი იმ უზარმაზარ მულატზე რაღა ითქმის კაპარიკადან, მანუელ მათეუსი რომ ჰქვია; ბალთაზარ შვიდი მზის ნათესავი არაა, მეტსახელად სარამაგუა. ამას გაუმართლა, ჯადოქრობაში დასდეს ბრალი და მხოლოდ ცოდვების მონანიება დააკისრეს, მასთან ერთად – კიდევ სამ ქალს: საერთოდ, რა უნდა თქვა ამ ას ოცდაათზე მეტ ადამიანზე, რომელიც აუტოდაფეზე მიდის, ბევრი ბლიმუნდას დედას შეუერთდება ანგოლაში, ვინ იცის, ცოცხალია კიდევ თუ არა.

შვიდი მზე და შვიდი მთვარე, რაკი ასეთი ლამაზი სახელი შეარქვეს, ჩვენც ასე მოვიხსენიოთ, არ წავიდნენ როსიოზე აუტოდაფეს საყურებლად, მაგრამ მოქალაქეთა უმეტესობას ეს შემთხვევა ხელიდან არ გაუშვია. თვითმხილველების ნაამბობმა და ზოგიერთმა გადარჩენილმა საარქივო დოკუმენტმა, რომლებიც ყველა ხანძრისა და მიწისძვრის მიუხედავად მაინც აღწევს ხოლმე ჩვენამდე, შემოგვინახა ცნობები ამ აუტოდაფეს შესახებ: ვინ გამოლტეს და ვინ დაწვეს. შემოგვრჩა მოგონებები ანგოლელ ზანგ ქალზე, ებრაელ მონაზონზე, მღვდლებზე, რომლებიც წირვას ასრულებდნენ ხელდასხმის გარეშე, არაიოლასელ მოსამართლეზე, რომელიც ორივე მხრიდან – დედისა და მამის – ახალი ქრისტიანების შთამომავალი იყო, სულ ას ოცდაჩვიდმეტი კაცი, რადგანაც უწმინდესი ინკვიზიცია ბადეს ისვრის და სავსე ამოაქვს, რითაც თავისებურად ახორციელებს ქრისტეს შეგონებას, გახსოვთ, პეტრეს რომ უთხრა, ადამიანების სულთა მებადური უნდა იყო.

ბალთაზარსა და ბლიმუნდას კი ის ადარდებთ, რომ ასეთი ბადე არა აქვთ, თორემ ვარსკვლავებამდე აისროდნენ და ეთერს მოიპოვებდნენ, რომელზეც, მამა ბართოლომეუ ლოურენსოს მტკიცებით, თავად ვარსკვლავებია დამაგრებული. მღვდელი დღე-დღეზე მიემგზავრება, და, როდის დაბრუნდება, არავინ იცის. პასაროლა, რომელიც ადრე მშენებარე ციხე-სიმაგრეს მოგაგონებდათ, ახლა ნახევრად დანგრეულ კომპს დამსგავსებია, ბაბილონის გოდოლს, რომელმაც ვერა და ვერ მიაღწია ცამდე. არეულ-დარეული ყრია თოკები, მავთულები, აფრები, რკინის ნაწილები, გამხნეების უკანასკნელი საშუალება – პასაროლას ნახატებიც კი – აღარ ექნებათ მალე, რადგან მღვდელს ისინი თან მიაქვს, უკვე ჩაილაგა სამგზავრო ჩანთაში, ხვალ მამა ბართოლომეუ ლოურენსო შორეულ გზას გაუდგება, ჯერ ზღვით, სადაც ახლა მხოლოდ სტიქია ემუქრება, რადგან საფრანგეთთან, როგორც იქნა, ზავი დავდეთ, იუსტიციის სამინისტროს მოხელეების საზეიმო სვლას ჰქონდა ადგილი, მათ შეუერთდნენ მოსამართლეები, კორეჟედორები, პოლიციელები, ყველანი მდიდრულად მორთულ ცხენებსა და ჯორებზე ისხდნენ, უკან მებუკეები მოჰყვებოდნენ, მათ შემდეგ – სასახლის კარისკაცები ვერცხლის კვერთხებით, სულ ბოლოს კი, პროცესიის ბოლოში – შვიდი ჰეროლდი, ერთ-ერთს ხელში ქალაღი ეჭირა, რომელიც მშვიდობას იუწყებოდა. ქალაღი ჯერ ტერეირო-დო-პასოზე წაიკითხეს, სასახლის ფანჯრებქვეშ, ფანჯრებთან

მათი უდიდებულესობები და უმაღლესობები იდგნენ, მოედანზე ხალხის ზღვას მოეყარა თავი, მერე – მთავარი ტაძრის საფეხურებზე. როსიოს მოედანზე ჰეროლდები საავადმყოფოს კართან დადგნენ და იქიდან კიდევ ერთხელ წაიკითხეს დოკუმენტი, აი ასე, საფრანგეთთან ზავი დადებულია, ნეტავ სხვა ქვეყნებთანაც მალე დაიდოს. მოჭრილი ხელი მაინც არ დამიბრუნდება, თქვა ბალთაზარმა. მაგაზე ნუ ფიქრობ, ერთობლივად სამი ხელი გვაქვს, – უპასუხა ბლიმუნდამ.

მამა ბართოლომეუ ლოურენსომ დალოცა ჯარისკაცი და ნათელმხილველი, ორივე ხელზე ემთხვია, ბოლოს კი სამივენი ერთმანეთს გადაეხვივნენ, მეგობრობამ მოწოწებაზე გაიმარჯვა, და მღვდელმა თქვა, მშვიდობით, ბლიმუნდა, მშვიდობით, ბალთაზარ, ერთმანეთს და პასაროლას გაუფრთხილდით, ოდესმე აუცილებლად დაგბრუნდები, იმასაც მოვიპოვებ, რისთვისაც მივდივარ, და ეს ოქრო ან ალმასები კი არ იქნება, არამედ ჰაერი, რომელსაც უფალი ისუნთქავს. ეს გასაღები შეინახეთ და თუ მაფრაში გადასახლდებით, ხანდახან მაინც დახედეთ ხოლმე აქაურობას, თავისუფლად შეგიძლიათ აქ იაროთ, მეფემ ეს მამული მე ჩამაბარა, ისიც იცის, აქ რას ვინახავთ. ესა თქვა, ჯორზე შეჯდა და წავიდა.

აი, უკვე ზღვაში მიცურავს მამა ბართოლომეუ ლოურენსო, რას ვიზამთ, გაფრენა გადაიდო, წავიდეთ, კორიდა მაინც ვნახოთ, მაფრაში კორიდა არასდროს მინახავს, – ამბობს ბალთაზარი, მაგრამ ყველა დღესასწაულზე დასასწრებად ფული არ ეყოფათ, ტერეირო-დო-პასოზე წელს ოთხი დღე გაგრძელდება წარმოდგენები, მოედნის ქირაობა ძალიან ძვირი დაჯდა, ეს ფასი, წესისამებრ, აუქციონზე გაირკვა, ამიტომ კორიდაზე დასწრება საკმაოდ ძვირი ღირს. ჩვენ მხოლოდ ბოლო წარმოდგენაზე წავალთ, რომლითაც ზეიმი იხურება, მაყურებლისთვის სკამები მთელი მოედნის გარშემო, მდინარემდე დააწყვეს, ბალთაზარმა და ბლიმუნდამ საუკეთესო ადგილები დაიკავეს. იმიტომ კი არა, რომ სხვებზე ადრე მივიდნენ, არამედ იმიტომ, რომ შვიდი მზის კაუჭი ბრბოში ისევე ადვილად იკაფავს გზას, როგორც კულევრინა, რომელიც ინდოეთიდან ჩამოიტანეს და ახლა წმინდა ჟიანის კომპანია გამოდგმული. როგორც კი ვინმე კაუჭის შეხებას იგრძნობს ზურგზე, უკან იხედება და შეშინებული გვერდზე დგება, თითქოს პისტოლეტის ლულა მიუშვირესო. მოედანს ღობე შემოავლეს, ზედ ალმები, ფერად-ფერადი ლენტები ფრიალებს, საჩიხის შესასვლელში მარმარილოს მსგავსად მოხატული ხის პორტაკი აღუმართავთ, ფრიზები და კარნიზები კი ოქროთია მოვარაყებული. უზარმაზარ ბომზე ოთხი დიდი ქანდაკება დაუმაგრებიათ – ფიგურები სხვადასხვა ფერადაა შეღებილი, ოქროსფერი საღებავიც არ დაუშურებიათ, რკინის დიდი დროშის ერთ მხარეს კი ვერცხლისფერ ფონზე წმინდა ანტონიუსია გამოსახული, ბუნიკზე რკინისავე ბუმბულები ფრიალებს, ისე ოსტატურად გაკეთებული და გაფერადებული, რომ ნამდვილი გეგონება. უამრავი ხალხი ირევა გასასვლელელებში, მათი სამეფო უდიდესულებები, უმაღლესობები და სხვა დიდებულები კი განცალკევებით სხედან –

სასახლის ფანჯრებთან და აივნებზე. მოედანზე ჯერ კიდევ მსახურები დარბიან და მიწას რწყავენ – სულ თვრამეტნი არიან და ყველა მავრიტანულ ტანსაცმელშია გამოწყობილი, მოსასხამებზე ლისაბონის სენატის გერბები აქვთ ამოქარგული. ხალხი მოუთმენლობას ამჟღავნებს, ხარებს ელოდებიან, მოცეკვავეები უკვე გავიდნენ მოედნიდან, მსახურებიც გაიკრიფნენ, არენა სუფთა და დალაგებულია, სველი მიწის სუნი დგას, როგორც სამყაროს შექმნის პირველ დღეს, მოიცადეთ ცოტა, მალე სისხლიც იქნება, შარდიც, ნაკელიცა და ბევრი სხვაც.

აი, პირველი ხარიც გამოჩნდა, მას მეორე, მესამე მოჰყვა, არენაზე თვრამეტი ქვეითი ტორერო გამოვიდა, რომლებიც სენატმა კასტილიაში იქირავა და დიდი ფულიც გადაიხადა. ცხენოსნებიც გამოჩნდნენ, ხარებს შუბები მიუშვირეს, ქვეითებმა კი ფერად-ფერადი ქაღალდებით მორთული მოკლე ისრები დაუშინეს. აი, ერთ-ერთ ცხენოსანს ხარმა მოსასხამი მოაგლიჯა, ცხენოსანმა კი ცხენი მოატრიალა და შელახული თავმოყვარეობის სამაგიეროდ ხმალი ატაკა ხარს. მეოთხე, მეხუთე, მეექვსე ... უკვე ათი ხარი დარბის მოედანზე ... თუ თხუთმეტი ... ოცი ... მთელი არენა სისხლითაა მორწყული, ქალბატონები იცინიან, ჭყვიან, ტაშს უკრავენ, ხარები ერთიმეორის მიყოლებით იხოცებიან და მათ ექვსცხენშებმული დაბალი დროგებით მიათრევენ, ექვსი ცხენის შებმა ეტლში კი მხოლოდ სამეფო საგვარეულოს წევრებისა და ყველაზე არისტოკრატიული ოჯახების წარმომადგენლებისთვისაა ნებადართული, და ეს უკანასკნელი გარემოება თუ ხარების კარგ ჩამომავლობას არ მოასწავებს, იმას მაინც მოწმობს, რომ ისინი საკმაოდ ბევრს იწონიან, ამას ცხენებიც დაგვიდასტურებენ – კარგი, ნაპატივეები, მორთული ცხენები, აღკაზმულობა სულ წითელი ხავერდისა აქვთ, უნაგირები – ვერცხლისფერი ფოჩებით მორთული, ვერცხლისავე სასაფეთქლეები ჰკიდიან, – ხარი კი ბანდერილიებითაა მორთული, შუბის მიერ მიყენებული ჭრილობებითაა დასერილი, ნაწლავები გადმოყრილი აქვს. აგზნებული კაცები ქალებს ხელებს უფათურებენ, ქალებიც ურცხვად ეკვრიან კაცებს, ბლიმუნდაც არაა გამონაკლისი, ან კი რატომ უნდა იყოს, სისხლი თავში უვარდება, როდესაც ხედავს, როგორ მოთქრიალებს სისხლი ხარების ჭრილობებიდან, როგორ მოედინება ნაკადულივით და სიკვდილს მოასწავებს. ჟრუანტელისმომგვრელი ხილვა, რომელიც სულ თვალწინ გიდგას – ხარის თავი დაფჩენილი ხახით, გადმოგდებული ენით, ეს ხარი ველარასდროს ველარ მოსძოვს ბალახს მინდორზე, მხოლოდ იმქვეყნიურ სამოვრებზე თუ გაილაღებს, ვინ იცის, რა ელის, ხარების სამოთხე თუ ხარების ჯოჯოხეთი.

ალბათ, მაინც სამოთხე, თუ ამქვეყნად სადმე სამართალია, ჯოჯოხეთი არ უნდა იყოს გამზადებული ყველა იმ ტანჯვის შემდეგ, რომლებიც ამ ხარებს ხვდათ წილად. ხარებს ეგრეთ წოდებული ცეცხლოვანი მოსასხამები გადააფარეს – რამდენიმე ფენა სქელი ქეჩა, რომლებიც რაკეტებითაა სავსე, მოსასხამს ორი მხრიდან ცეცხლს უკიდებენ, რაკეტები ფეთქდება, მთელ მოედანზე გრიალი ისმის, ცეცხლი და ნაპერწკლები ჰაერში ცვივა,

ხარი ცოცხლად იბრაწება, გიჟივით მიქრის, აქეთ-იქით აწყდება, დონ ჟუან V და ხალხი კი ტაშს უკრავენ და სიკვდილით ტკბებიან. დამწვრის სუნი ტრიალებს, მაგრამ მაყურებლები აუტოდაფეს მიჩვეულები არიან, დიდი ამბავი, ხარი! ადამიანებიც ბევრი უნახავთ კოცონზე.

არენაზე თიხის უზარმაზარი, ათასგვრად შეღებილი ფიგურები შემოიტანეს. ნეტავი, რა იქნება, – კითხულობენ გამოუცდელი მაყურებლები. ალბათ სისხლისღვრისგან დავისვენებთ, ყველაზე უარესი, რაც თიხის ფიგურებს შეიძლება დაემართოს – დაიმტვრეს. ეჰ, გააფუჭეს სანახაობა, ამბობენ სკეპტიკოსები, სისხლისღვრის მოყვარულები კი მოითხოვენ, რომ კიდევ უფრო მეტი ცეცხლოვან მოსასხამიანი ხარი გამოუშვან. მეფესთან ერთად სიცილით ვიჯერებთ გულს, ბოლოს და ბოლოს, ასეთი შანსი ყოველდღე ხომ არ გვეძლევა. ამ დროს მოედანზე ორი ხარი გამოდის, აქეთ-იქით იყურებიან, ადამიანები არ ჩანან, მხოლოდ რაღაც ხელებაპყრობილი, მრგვალმუცლიანი, ეშმაკებივით შეღებილი გოლიათები დგანან გაუნძრევლად, აი, ვისზე ვიყრით ჯავრს. წამიც და – თიხის ფიგურები ათას ნამსხვრევად იქცა და იქიდან ათობით შეშინებული კურდღელი ამოხტა, კურდღლები სხვადასხვა მხარეს გარბიან, მათ კაპეადორები მისდევენ, კაპეადორებს ზოგიერთი მაყურებელიც შეუერთდა, კურდღლებს კომბლებით ხოცავენ, ამისთვის დიდი სიმარდია საჭირო, კურდღელი ჩქარა დარბის, ხარი კი თავჩაღუნული მოსდევს, ხალხი ხარხარებს, ტაშს უკრავს. ამ დროს კიდევ ორი დამსხვრეული ფიგურიდან ცაში მტრედები აიჭრნენ, ზოგ ფრინველს ხმაურმა, ღრინაცელმა და მზის თვალისმომჭრელმა სინათლემ თავგზა აუბნია, ფრენის თავი აღარა აქვთ, პირდაპირ მაყურებლებს უვარდებიან ხელებში, ხალხი ხარბად იშვერს მათკენ ხელებს, მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ მტრედი ჯანსაღი, მსუბუქი და გემრიელი საკვებია, არამედ იმიტომაც, რომ ფრინველებს კისრებზე ფურცლები აქვთ მიმაგრებული, მათზე კი სხვადასხვა გულისამაჩუყებელი წარწერაა, მაგალითად, ასეთი, ვიწრო გალიაში ვიტანჯებოდი, მაგრამ, თუ კეთილი კაცი დამეპატრონება, ბედნიერი გავხდები. ან ასეთი: ცისკენ მინდა ავიჭრა, მაგრამ რაც უფრო მაღლა ავალ, მით უფრო მწარე იქნება მიწაზე დანარცხება და ა. შ. მაგრამ ზოგი მტრედი ამ ორომტრიალს თავს აღწევს, სულ უფრო მაღლა და მაღლა ურტყამს წრეებს, ფრთებს შლის და მზის სხივების შარავანდედში ეხვევა.

მეორე დღეს, უთენია, ბალთაზარმა და ბლიმუნდამ თითო პატარა ბოხჩა გამოკრეს, შიგ ტანსაცმელი და ცოტაოდენი საჭმელი ჩაილაგეს, ლისაბონიდან გავიდნენ და მაფრას გზას გაუდგნენ.

უძღები შვილი დაბრუნდა, ცოლიც მოიყვანა, ხელცარიელი არ მოსულა, ცალი ხელი საერთოდ არა აქვს, ბრძოლაში დაკარგა, მეორეთი კი ბლიმუნდას მკლავი უჭირავს, გამდიდრებულა თუ არა, ამის კითხვაც კი ზედმეტია, რადგან ყველა ადამიანმა კარგად

იცის, რა აბადია, მაგრამ მისი ფასი ყველამ არ იცის. როდესაც ბალთაზარმა კარი გააღო და დედის წინაშე წარდგა, მართა-მარია ჰქვია დედამისს, დედა შვილს გადაეხვია, მაგრად ჩაიკრა გულში, ისე მაგრად, თითქოს მამაკაცის ძალა ჰქონდა, მაგრამ ეს გულისა და გრძნობების ძალა იყო. რა მტკივნეულია შვილის ხელზე კაუჭის დანახვა! მამა სახლში არ იყო, მინდორში მუშაობდა, ბალთაზარის ერთადერთი და კი გათხოვილა, მის ქმარს ალვარო პედრეირო ჰქვია, უკვე ორი შვილი ჰყავთ, ალვარო ქვის მთლელია, გვარიც ხელობის გამო მისცეს, ასეთი რამ ხშირად ხდება, ნეტავი, შვიდი მზე რატომ ან როდის შეარქვეს ბალთაზარის რომელიღაც წინაპარს?! ბლიმუნდა კართან იდგა, უხმოდ ელოდა თავის ჯერს, მოხუცი ქალი ჯერ ვერ ამჩნევდა მას შვილის ზურგს უკან, თანაც ოთახში საკმაოდ ბნელოდა, მერე ბალთაზარი გვერდზე გადას, მართა-მარიამ დაინახა ბუნდოვანი ფიგურა. საბრალო ქალი! გული უკვდება კაუჭის დანახვაზე, უცხო ქალისა კი ერიდება, და აი, ბლიმუნდამ ზღურბლს გადააბიჯა და გარეთ გავიდა, ზურგს უკან კი ქვითინი მოესმა, შვილო, საყვარელო, ვინ გიქნა ეს. უკვე ბინდი მოიპარებოდა, ბალთაზარი სახლიდან გამოვიდა და ბლიმუნდას უხმო, ოთახში სანთელი აანთეს, მართა-მარია ისევ ჩუმად სლუკუნებდა, დედა, ეს ჩემი ცოლია, ბლიმუნდა დი ქეზუსი ჰქვია.

წესით ამით უნდა დაკმაყოფილდე, სახელი გაიგო და მერე მთელი ცხოვრება ელოდო, სანამ ბოლომდე გაიცნობ ადამიანს, თუკი ოდესმე გიწერია მისი გაცნობა, რადგანაც დღევანდელი ადამიანი ერთია, ხვალინდელი – სულ სხვა, დღეს ისეთი არ არის, როგორც გუშინ იყო, მაგრამ ჩვეულებრივ ათას უაზრო კითხვას სვამენ ხოლმე, მაგალითად ვინ იყვნენ შენი მშობლები, რამდენი წლისა ხარ, სად დაიბადე, ხალხს ჰგონია, რომ ასე მეტს შეიტყოფს. სადამოს ბალთაზარის მამაც დაბრუნდა სახლში, სახელად ჟუან-ფრანსისკო ერქვა, მანუელისა და ჟასინტას ძე, მაფრას მკვიდრი, წმინდა ანდრიას ეკლესიისა და ვიკონტის სასახლის მახლობლად მცხოვრები, და, თუკი მასზე უფრო მეტის შეიტყოფა გასურთ, დავამატებთ, რომ შვილივით ტანმადალია, თუმცა წლების სიმძიმეს და შეშას, რომელიც სახლში მოიტანა, ოდნავ წელში მოუხრია. ბალთაზარმა ხელი შეაშველა, მოხუცმა შვილს შეხედა, აბა, გაგიმარჯოსო, უთხრა, მაშინვე შენიშნა დასახიჩრებული ხელი, მაგრამ არ შეიმჩნია, მხოლოდ ეს თქვა, რას იზამ, ომი ომიო, შემდეგ ბლიმუნდას დააკვირდა, მიხვდა, რომ მისი ვაჟის ცოლია, ხელი გაუწოდა საკოცნელად, და ცოტა ხანში რძალ-დედამთილი უკვე ვახშამს აწყობდა, ბალთაზარი კი თავის თავგადასავალს ჰყვებოდა. უამბო იმ ბრძოლის შესახებ, რომელშიც ხელი დაკარგა, ისიც, როგორ გაატარა ეს წლები, მხოლოდ ის აღარ თქვა, რომ ორი წელი ლისაბონში იცხოვრა და მშობლებს თავისი ამბავი არც კი შეატყობინა, პირველი და უკანასკნელი წერილი რამდენიმე კვირის წინ გამოგზავნა, მამა ბართოლომეუ ლოურენსოს დააწერინა. წერილში ეწერა, რომ ბალთაზარ შვიდი მზე ცოცხალია და მალე შინ დაბრუნდება. ოჰ, შვილის გული მაინც რა სასტიკია, ცოცხალია,

მოხუც მშობლებს კი დაღუპული ჰგონიათ. ის კი მაინც არ თქვა, როდის მოიყვანა ცოლად ბლიმუნდა – ჯარში ყოფნისას თუ მოგვიანებით და საერთოდ, კანონიერადაა დაქორწინებული თუ არა, მშობლებსაც დაავიწყდათ ეკითხათ, თუ აღარ ჩაემიენ, ის კი შენიშნეს, რა უჩვეულო გარეგნობა აქვს ახალგაზრდა ქალს: წითური თმა, არა, წითური კი არა, თაფლისფერი. ღია ფერის თვალები, მზეზე მწვანე, ცისფერი ან ნაცრისფერი, ზოგჯერ კი მუქი, ამღვრეული წყლის ფერი, ბინდში კი მთლად შავი ჩანს. ამიტომ მოხუცებს ხმა აღარ ამოუღიათ, ასე რომ, თავად ბლიმუნდამ უამბო საკუთარი თავის შესახებ, მამა არ მახსოვს, ძალიან პატარა ვიყავი, რომ გარდაიცვალა, დედა ანგოლაში გადაასახლეს რვა წლით, ჯერ მხოლოდ ორი წელი გავიდა, ცოცხალია თუ არა, არ ვიცი. მე და ბლიმუნდა მაფრაში დავრჩებით, ხვალვე შევუდგები სახლის ძეგნას, – თქვა ბალთაზარმა. ძეგნა რა საჭიროა, აქ ყველანი დავეტევი, მეტნიც დავტეულვართ. მაინც რატომ გადაასახლეს დედათქვენი? ინკვიზიციაში დააბეზრეს. მამა, ბლიმუნდა არც ებრაელია და არც ახალი ქრისტიანი, დედამისი იმიტომ ჩააგდეს ციხეში და გადაასახლეს რომ, როგორც თვითონ ამბობდა, ხილვები ჰქონდა. ყველა ქალს აქვს ხოლმე ხილვები, ამისთვის არაა აუცილებელი, ჯადოქარი იყო. დედაჩემი ჯადოქარი არ ყოფილა! შენც გაქვს ხოლმე ხილვები? როგორც ნებისმიერ ქალს, დედა. შენ ჩემი შვილი გახდები. ჰო, დედა. დაიფიცე, რომ არც ებრაელი ხარ და არც ახალი ქრისტიანი. ვფიცავ, მამა. თუ ასეა, კეთილი იყოს შენი მობრძანება ჩვენს ოჯახში, შვიდი მზის საგვარეულოში. ბლიმუნდას უკვე შეარქვეს შვიდი მთვარე, მამა. ვინ? მღვდელმა, რომელმაც ჯვარი დაგვწერა. ნუთუ მღვდლებსაც მოსდით თავში ასეთი რამეები? ყველას გაეცინა ამ სიტყვებზე. ბლიმუნდამ ბალთაზარს შეხედა, და ორივემ ერთმანეთის თვალებში ერთი და იგივე მოგონება ამოიკითხა: დაშლილი პასაროლა იატაკზე გდია, მამა ბართოლომეუ ლოურენსო ჯორზე ჯდება და ჰოლანდიაში მიდის. ბოლომდე სიმართლე არ თქვეს, ბლიმუნდას ხომ ახალი ქრისტიანების სისხლიც აქვს, მაგრამ ეს დიდ ცოდვად არ შეიძლება ჩაითვალოს, ჩვენ ხომ ვიცით უკვე, რომ ამ წყვილისთვის ასეთი რამეები ბევრს არაფერს ნიშნავს, უფრო დიდი ჭეშმარიტების გულისთვის მცირე ჭეშმარიტებას მნიშვნელობას არ ანიჭებენ. მამამ თქვა, მიწა გავყიდე, ველაში რომ გვქონდა, არცთუ იაფად, ცამეტი ათას ხუთასი რეალი ავიღე, მაგრამ მაინც იმ მიწის გარეშე გავვიჭირდება. მერე, რატომ გაყიდეთ, მამა? თავად მეფემ მოისურვა მისი ყიდვა. რაში დასჭირდა მეფეს ჩვენი მიწა, მამა? მისი ბრძანებით ველაში მამათა მონასტერი აიგება, განა არ გაგიგია? არა, სენიორ მამა, არ გამიგია. აქაურმა მღვდელმა თქვა, მეფემ აღთქმა დადო, თუ შვილი მეყოლება, მონასტერს ავაშენებო, შენ სიძეს კი გამოუჩნდება ახლა სამუშაო, ქვის მთლელი ბევრი დასჭირდებათ. კაცები ლობიოსა და კომბოსტოს ჭამდნენ, ქალები კი განზე ისხდნენ. ჟუან-ფრანსისკო შვიდი მზე წამოდგა სუფრიდან, სარდაფში ჩავიდა, მოზრდილი ნაჭერი ღორის ქონი ამოიტანა, ოთხ ნაწილად გაყო და ყველას ჩამოურიგა. დაჟინებით მიაშტერდა ბლიმუნდას, მაგრამ ახალგაზრდა ქალმა მშვიდად მოიტეხა პური და ქონთან ერთად ჭამა დაუწყო. ებრაელი არ ყოფილა, –

გაიფიქრა მამამთილმა. მართა-მარიამაც შეხედა ჯერ ახალგაზრდა ქალს, მერე კი ჟუან-ფრანსისკოს, მზერა მკაცრი იყო, თითქოს მოხუცი ქალი ქმარს ეშმაკობისთვის საყვედურობდა. ბლიმუნდამ ჭამა დაამთავრა და გაიღიმა, ჟუან-ფრანსისკო ვერც კი მიხვდა, რომ მისი რძალი ებრაელიც რომ ყოფილიყო, მაინც შეჭამდა იმ ქონს, ეს ის ჭემმარიტება არაა, რომელსაც უნდა უფრთხილდებოდეს.

ბალთაზარმა თქვა, სამუშაო უნდა ვეძებო, ბლიმუნდაც იმუშავებს, მუქთამჭამელები ხომ არ ვიქნებით. ბლიმუნდას რა ეჩქარება, სახლში იყოს, ჩემი ახალი ქალიშვილი უფრო ახლოს მინდა გავიცნო, უპასუხა დედამ. ეგრე იყოს, დედა, მაგრამ მე მაინც მჭირდება სამუშაო. ცალხელას ვინ მიგიღებს, შვილო? კაუჭი ხომ მაქვს, მამა, იცი, რა მოსახერხებელია?! შეიძლება, მაგრამ მაგითი მიწას ვერ მოხნავ, ვერც მომკი, შეშასაც ვერ დააპობ... საქონელს მივხედავ. ეგ შეიძლება. შემიძლია მედროგეც გავხდე, კაუჭით სადავეს დავიჭერ, მარჯვენა თავისუფალი მექნება. როგორ მიხარია, რომ დაბრუნდი, შვილო. ადრეც უნდა დავბრუნებულიყავი, მამა.

იმ ღამეს დაესიზმრა ბალთაზარს, რომ წყვილ ხარშებმული გუთნით ველას ბორცვს ხნავს, უკან ბლიმუნდა მიჰყვება, ხნულში ჩიტის ბუმბულებს არჭობს, ბუმბულები უცებ ამოდრავდა, თითქოს გაფრენას ლამობენო, ამ დროს მამა ბართოლომეუ ლოურენსო გამოჩნდა ნახატიო ხელში, რაღაც შეცდომაზე მიუთითებს, რომელიც ადრე დაუშვებს, ყველაფერი ახლიდან უნდა დაიწყონ. უცებ ხნული გაქრა, ყამირ მიწაზე ბლიმუნდა ზის და ეუბნება, დაწექი ჩემთან, მე უკვე შეეჭამე პური. გაელვიდა, უკუნი ღამე იდგა. ბალთაზარმა ბლიმუნდა მიიზიდა, მისგან რაღაც იდუმალი, ამაღელვებელი სიტბო მოდიოდა, ბლიმუნდამ მისი სახელი წაიჩურჩულა. ისინი სამზარეულოში იწვნენ ერთმანეთზე დაწყობილ საბნებზე და ჩუმად, კედლის მიღმა მძინარე მშობლები რომ არ გაელვიძებინათ, მიეცნენ თავდავიწყებას.

მეორე დღეს ბალთაზარის ჩამოსვლის და რძლის შემოყვანის აღსანიშნავად ბალთაზარის და, ინეს-ანტონია და მისი ქმარი ალვარო-დიოგო, მოვიდნენ. თან ორი ვაჟი მოიყვანეს – ოთხი და ორი წლის, მათჩან მხოლოდ უფროსი შერჩებათ, სამი თვეც არ გაივლის, რომ უმცროსს ყვავილი შეეყრება, მაგრამ უფალი, თუ ვინც არის იქ, ცაში, ვინც ჩვენი ცხოვრების დღეებს განაგებს, უდიდესი სამართლიანობით ანაწილებს მათ მდიდრებსა და ღარიბებს შორის, და თავად სამეფო ოჯახიდანაც კი მიჰყავს ის, ვის ბედსაც სასწოროზე შეაგდებს, და აი, ამ ბავშვის მსგავსად ინფანტი დონ პედროც გარდაიცვალა. ღვთის ნებას ვერაფერი გადავა, თუ სიკვდილი გიწერია, მიზეზი ნებისმიერი შეიძლება გამოდგეს, ინფანტის სიკვდილის მიზეზი კი ის გახდა, რომ დედის მკერდს მოაცილეს. ასეთი რამე მხოლოდ ინფანტებს ემართებათ, რადგან ძალიან სუსტები არიან, ინეს-ანტონიას შვილები დონ პედროს ასაკში უკვე პურსაც ჭამდნენ, და ყველაფერს, რასაც მისცემდნენ. აი, დაკრძალვის ცერემონიალი კი ღმერთს არ

აინტერესებს. ამიტომ მაფრაში პატარა უბრალოდ დასაფლავეს, ლისაბონში კი მდიდრული მსვლელობა მოაწყვეს, ინფანტის კუბო სასახლიდან მინისტრებმა გამოიტანეს, უკან მთელი არისტოკრატია მიჰყვებოდა, მეფეც, მისი მხლებლებიც. ბავშვის მამა ალბათ დანადვლიანებული იყო, მაგრამ თანაც ეტიკეტის დაცვით მიჰყვებოდა პროცესიას, გარდაცვლილი ხომ ტახტის მემკვიდრე იყო. ყველანი ეზოში გავიდნენ, და როდესაც კუბო კატაფალკაზე დადეს, მეფემ ქუდი მოიხადა, ცოტა ხანს თავშიშველი იდგა, მერე ქუდი დაიხურა და სასახლეში შებრუნდა, ასეთია ეტიკეტი. ინფანტმა ობლად განაგრძო გზა სან-ვისენტე-დი-ფორას ეკლესიისკენ, უკან ბრწყინვალე ამალა მიჰყვებოდა, მაგრამ დედა-მამა კი არა. ყველაზე წინ კარდინალი მიდიოდა, უკან – კვერთხის მატარებლები ცხენით, კარიკაცები, მინისტრები, მღვდლები და მგალობელნი. სან-ვისენტეს ეკლესიის სამღვდლოება ანთებული ჩირაღდნებით ეგებებოდა პროცესიას, გზაზე კი ორ მწკრივად გაჭიმულიყვნენ გვარდიელები. კუბიც და კატაფალკიც მეწამული ხავერდით იყო მორთული, უშუალოდ კატაფალკის უკან მოხუცი ჰერცოგი დი კადავალი, დედოფლის მთავარი მაჟორდომი, მოდიოდა. დედოფალი კი ალბათ ცხარე ცრემლით დასტირის შვილს. სიყვარულზე ცრემლები მეტყველებს და არა იმ ხალხის ტიტულები, რომლებიც პროცესიაში იღებენ მონაწილეობას. ყველა ეს ოქროქსოვილი და ცხენების აღკაზმულობაც კი ეკლესიის სამღვდლოებას დარჩება – ასეთია ადათი; ჯორების დასაქირავებლად, რომლებიც აგრეთვე ამ სამღვდლოებას ეკუთვნის, თორემეტი ათასი რეალი გადაიხადეს. აი, მესმის ფასი, რა გასაკვირია, ჯორები ხომ ადამიანებზე ძვირი ღირს! ეს ყველაფერი, ერთად აღებული, მოვლენის მნიშვნელობაზე მეტყველებს – ქუჩები, რომლებითაც სამგლოვიარო კორტეჟი მიემართება, ხალხითაა სავსე. ყველა ორდენის ბერი გარეთ გამოფენილა, რომ აღარაფერი ვთქვათ მათხოვრულ ორდენებზე. სწორედ ისინი არიან იმ ტაძრის პატრონები, სადაც მკერდს მოწყვეტილმა პატარამ უნდა ჰპოვოს მალე უკანასკნელი განსასვენებელი. ასე რომ, მათხოვარმა ბერებმა ნამდვილად დაისმახურეს ეს პრივილეგია ისევე, როგორც ის მონასტერი დაიმსახურეს, რომელიც მაფრაში შენდება, სადაც ცოტა ხნის წინ კიდევ ერთი პატარა დასაფლავეს. ამ უკანასკნელის სახელი უცნობი დარჩა, მაგრამ მის კუბის მთელი ოჯახი მიჰყვებოდა – დედა, მამა, ბებია, ბაბუა, ბიძა, ბიცოლა, და სხვა ნათესავებიც. როდესაც სამოთხეში დონ პედრო ამ ამბავს გაიგებს, გული დასწყდება.

ასეა თუ ისე, მეფემ უკვე ახალი ინფანტის გაკეთება მოასწრო. ეს უკვე ნამდვილად გახდება მეფე და დიდ ამბებსაც დაატრიალებს, მის შესახებ ცნობებით მატიანეები გაივსება. თუ ვინმეს დააინტერესებს, როგორ აწონასწორებს უფალი შობადობას მეფეების და მდაბიოების ოჯახებში, ჩვენი გმირების მაგალითი არ გამოდგება. მამაკაცებს ჯერ ამ მხრივ კარგად არ ვიცნობთ, ქალებს რაც შეეხებათ, ინეს-ანტონია მეტი შვილის ყოლას აღარ მოინდომებს, რომ კვლავ აღარ დასაფლავოს სიმწრით გაჩენილი

ბავშვი. ბლიმუნდას კი ეჭვი აქვს, რომ რაღაც იდუმალი ძალა შვილის ყოლის საშუალებას არ აძლევს. ახალა კი ისევ ბალთაზარ შვიდ მზეს დაგუბრუნდეთ. იგი ახლა დასა და სიძეს უყვება ომის საკუთარ ვერსიას, იმ ეპიზოდსაც, როცა ხელი დაკარგა, რკინის კაუჭის დემონსტრირებას ახდენს, ისევ ისმენს თანაგრძნობის სიტყვებს; ასეა, ღარიბებს მუდამ უბედურება დასდევს თან, ისე კი, სიკვდილი და მტრის ტყვია კაპრალეზსაც და ოფირეზსაც ემუქრება. უფალი, როგორც იტყვიან, სამართლიანია, მაგრამ ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ყველამ მიაჩვია თვალი ბალთაზარის კაუჭს, მარტო ბავშვები უყურებენ შიშისაგან გაფართოებული თვალებით და კანკალებენ, როდესაც ძია ხელში აიტაცებს ხოლმე, სანაცვლოდ პატარა იცინის და ცელქობს, დაე, იხალისოს, სულ სამი თვის სიცოცხლე დარჩენია საბრალოს.

ბალთაზარმა ჩამოსვლის პირველივე დღეებიდან დაიწყო მინდორში სიარული, მამას ეხმარება. მას კიდევ ერთი ნაგლეჯი მიწა აქვს იჯარით აღებული. თავიდან უწევს ყველაფრის სწავლა, გადაეჩვია მიწას. აი, იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ სიზმრები არაფერს ნიშნავს: ძილში მთელი ველას ბორცვი გადახნა, ახლა კი გუთანთან მისვლისთანავე მიხვდა, რამდენს ნიშნავს მარცხენა ხელი, მხოლოდ ერთი პროფესია შეეფერება ახლა – მედროგე, მაგრამ რანაირი მედროგე იქნება, დროგი და ხარები თუ არა მისცეს?! ჩემი ხარები და ურემი წაიყვანე, ხან მე ვიხმარ, ხან – შენ, დღეს-ხვალ სულ შენი არ გახდება?! მე მალე მოვკვდები, შენ კიდევ ცოტა ფულს მოაგროვებ და დროგსაც იყიდი. რას ამბობთ, მამა, ღმერთმა ნუ ქნას!

ბალთაზარი იქაც დადის ხოლმე, სადაც მისი სიძე მუშაობს. ალვარო ახალ კედელს აშენებს დი ვილა-ნოვა-და-სერვეირას ვიკონტების მამულის გარშემო. ეს დი ვილა-ნოვა-და-სერვეირა ვიკონტების საგვარეულო მამულია, სასახლე კი მაფრაში აქვთ. ბალთაზარი ქაფჩას ვერ იჭერს, ერჩივნა, ფეხი დაეკარგა, სულ ერთი არაა, ფეხს დაეყრდნობა თუ ჯობს? ეს აზრი მხოლოდ ახლა მოუვიდა თავში, მაგრამ მერე ბლიმუნდასთან გატარებული დამეები გაახსენდა და იფიქრა: არა, ისევ უხელოობა სჯობს, თანაც გამიმართლა, რომ მარჯვენა არ მომაჭრესო, ალვარო-დიოგო ხარაჩოდან ჩამოდის, პირდაპირ ბალახზე სხდებიან იმის საჭმელად, რაც ინეს-ანტონიამ მოუტანა ქმარს. სიძე ბალთაზარს ეუბნება – ახლა ქვისმთლელებს ბევრი საქმე ექნებათ, მალე მონასტრის მშენებლობა დაიწყება, გარე-გარე აღარ მომიწევს სამუშაოს ძებნა, თორემ წინათ თვეობით ვერ ვხედავდი ცოლ-შვილს. ისე მამაკაცს ზოგჯერ უყვარს აქეთ-იქეთ წანწალი, მაგრამ შენი სახლი მაინც შენი სახლია, თუ ცოლს პატივს სცემ და შვილები გიყვარს, მაშინ ოჯახი პურივითაა: პური შეიძლება ყოველ წუთს არ გინდოდეს, მაგრამ ერთი დღეც თუ ვერ შეჭამე, ცუდადაა საქმე.

ბალთაზარ შვიდი მზე ველას ბორცვზე ავიდა, აქედან მაფრა ხელისგულივით მოჩანს, სოფელი ქვაბულშია განლაგებული. აი, აქ თამაშობდა ხოლმე, როდესაც თავისი

დისწულების ხნისა იყო, მაგრამ დიდხანს როდი დასცალდა, გლეხურ შრომას ბავშვობიდანვე მიაჩვიეს. ზღვა სინამდვილეში შორსაა, მაგრამ ძალიან ახლოს ჩანს, მზეზე მეტალივით ლაპლაპებს, გაშიშვლებულ მახვილსა ჰგავს, ბინდი კი – ქარქაშს; მზე ნელ-ნელა ეშვება ამ ქარქაშში და მალე სულ გაქრება. ეს ერთ-ერთი იმ შედარებათაგანია, რომელსაც ავტორები თავიანთი გმირებისთვის იგონებენ, მაგრამ ბალთაზარს იგი თავში არ მოსვლია, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო მაინც გაახსენდა მშობლის სახლში შენახული ხმალი, ჯერაც არ ამოულია ქარქაშიდან, ნეტავი ხომ არ დაიჟანგა, ხვალ-ზეგ აუცილებლად უნდა გალესოს და გაწმინდოს, რა იცი, რაში დაგჭირდეს?!

ადრე აქ სახნავეები იყო, ახლა კი აქაურობა გაპარტახებულია, სამანები ჯერ კიდევ ეტყობა, მაგრამ ნაკვეთების განმმიჯნავი ღობეები მოშლილია. ახლა ყველაფერი ერთ ადამიანს ეკუთვნის – მეფეს. და მას თუ კიდევ ვინმესი რამე მართებს, არა უშავს, აუცილებლად გადაიხდის. ფული არავის არ დაეკარგება! ჟუან-ფრანსისკოც ელოდება თავის წილს, სამწუხაროდ, ყველა ნაკვეთი მას არ ეკუთვნოდა, თორემ გამდიდრდებოდა, საერთო თანხამ, რომელიც მეფემ მიწასთვის უკვე გადაიხადა, ნასყიდობის სიგელების თანახმად, უკვე მიაღწია სამას ორმოცდათვრამეტ ათას ხუთას რეალს და უახლოეს მომავალში თხუთმეტ მილიონს ასცილდება. ეს ციფრი მდაბიოთა თავში არ ეტევა, რაკილა პატარა თავები აქვთ. ამიტომ ასე ვთქვათ: თხუთმეტი კონტო და თითქმის ასი ათასი რეალი, აუჰ, რა დიდი მონასტერი იქნება, – ეუბნება ბალთაზარი სიძეს. თავიდან ამბობდნენ, ცამეტ ბერზე აშენდებაო, მერე ორმოცამდე ავიდნენ, ახლა კი სულიწმიდას ეკლესიის ფრანცისკანელები ამბობენ, ოთხმოცნი იქნებიანო – მიუგო ალვარო-დიოგომ. მაგრად აუკრეფიათ! – შენიშნა ბალთაზარმა. ეს საუბარი ინეს-ანტონიას წასვლის შემდეგ შედგა, ამიტომ ალვარო-დიოგო თავისუფლად ლაპარაკობდა. ახლა ეს ბერები აქაურ ქალებს დაერევიან, როგორც სჩვევიათ, განსაკუთრებით კი ფრანცისკანელებს, ერთი ჩამივარდეს ხელში რომელიმე, ძვალი მთელი არ შერჩება – და ქვისმთელელმა იმ ქვას დაჰკრა ჩაქუჩი, რომელზეც წელან ინეს-ანტონია იჯდა. მზე ჩაესვენა. მაფრა ჭის ფსკერივით ჩაბნელებული მოჩანდა. ბალთაზარი ბორცვიდან ჩავიდა, თან ქვის ბოძებს ათვალიერებდა, რომლებიც ქვედა მხრიდან ერტყა გარს ვიკონტის მიწებს. თეთრი, სუფთა ქვაა, ახლახან მოიტანეს სამტეხლოდან მზედაუკრავი, ნესტიც არ შეუსრუტავს ჯერ. აქვე ყრია მომავალი მონასტრის საძირკვლისთვის გამზადებული ქვები, რომლებიც ვიღაცამ მეფის ბრძანების თანახმად გამოთალა. პორტუგალიური ქვებია, პორტუგალიელების მიერ დამუშავებული, მილანელები ჯერ არ ჩასდგომიან სათავეში ქვისმთელელებს, რომლებიც მალე აქ მოიყრიან თავს.

ბალთაზარი სახლში შედის, სამზარეულოდან ჩუმი ბუტბუტი ესმის, ბლიმუნდას ხმა, დედამისის ხმა, ხან ერთი ამბობს რაღაცას, ხან – მეორე, ისინი ერთმანეთს თითქმის არ იცნობენ, მაგრამ სათქმელი მაინც ბევრი აქვთ. უსასრულოა ქალური საუბარი. სისულელია, ფიქრობენ კაცები – ის კი არ იციან, რომ სწორედ ამ საუბარს უჭირავს

სამყარო ორბიტაზე, ქალები ერთმანეთს რომ არ ელაპარაკებოდნენ, მამაკაცები სახლისა და პლანეტის შეგრძნებას დაკარგავდნენ. დამლოცეთ, დედა! ღმერთმა დაგლოცოს, შვილო! ბლუმინდას ხმა არ ამოუღია, არც ბალთაზარს უთქვამს მისთვის არაფერი, მხოლოდ შეხედეს ერთმანეთს, ეს მზერაა სწორედ მათი სახლი.

ქალისა და მამაკაცის შეერთების ბევრი საშუალება არსებობს, მაგრამ, რაკი ჩვენი წიგნი მაქანკლების სახელმძღვანელო არაა, მხოლოდ ორ ასეთ საშუალებას აღვიწერთ: პირველი ისაა, რომ ქალი და კაცი გვერდიგვერდ დგანან, არ გიცნობ, არ მიცნობ, არ ვიცი, ვინა ხარ. აუტოდაფეზე არიან, მაყურებელთა რიცხვში, რასაკვირველია, ბრალდებულებს უყურებენ და უცებ ქალი მამაკაცს ეკითხება, რა გქვიათო. ეს კითხვა არც უზენაესმა შთააგონა, არც მისი საკუთარი ნების კარნახი იყო, არამედ დედის მითითებას დაემორჩილა, რომელიც რაღაც იდუმალი, ტელეპათიური გზებით მისწვდა მის გონებას, დედა კი ამ დროს მოედანზე დგას, ქალი, რომელსაც ხილვები ჰქონდა და ზეციური ხმები ჩაესმოდა. ეს ყველაფერი თვალთმაქცობაა, – ასე ამბობს უწმინდესი სამსახური, მაგრამ ამჯერად ის არ თვალთმაქცობს, არა, ნამდვილად ჰქრეტს მომავალს, ხედავს, რომ ეს ცალხელა ჯარიკაცი მისი ქალიშვილის ბედისწერაა და შეაერთა კიდეც ისინი. მეორე საშუალება: კაცი და ქალი შორს ცხოვრობენ ერთმანეთისაგან, არ გიცნობ, არ მიცნობ, ორივე თავის სასახლეშია, ერთი – ვენაში, მეორე – ლისაბონში, დაუსწრებლად დააქორწინეს ელჩებმა. პირველად ერთმანეთი პორტრეტებზე ნახეს, პორტრეტები ცოტა შელამაზებული იყო, კაცი – შავგვრემანი და სიმპათიური, ქალი – ფუნჩულა და ავსტრიულად თეთრი, მოეწონათ თუ არა ერთმანეთი, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ორივე იმისთვისაა დაბადებული, რომ სწორედ ასე დაქორწინდეს და არა სხვანაირად. კაცი მაინც გაიტანს თავისას ამ ცხოვრებაში, საბრალო პატიოსანი ქალი კი სხვა მამაკაცს არც შეხედავს, სიზმრები კი სათვალავში ჩასაგდებიც არაა!

ჟუანმა ომი წამოიწყო, რომელშიც ბალთაზარმა ხელი დაკარგა. ინკვიზიციამ ომი წამოიწყო, რომელშიც ბლიმუნდამ დედა დაკარგა; ჟუანმა ვერაფერი მოიგო, ზავის დადებამდე რაც ჰქონდა, ისევ ის შერჩა, ინკვიზიციაც ხახამშრალი დარჩა – ერთი გადასახლებული და დამწვარი ჯადოქრის მაგიერ ათი ახალი იბადება, ყველა თავის სიაშია მოხვედრილი, ყველას ცხოვრების მისეული აზრი აქვს, დღეებს თავისებურად ატარებს. მკვდრები ერთ გვერდზე წერიან, ფურცლის მეორე მხარეს ცოცხლები ფუსფუსებენ. გადასახადების ამოღების და გადახდის სხვადასხვა მეთოდი არსებობს, არსებობს ფული, რომელიც სისხლის ფასადაა მოპოვებული, არსებობს სისხლი, რომელიც ფულის გულისათვის დაიღვარა. ზოგს კი ყველაფერს ლოცვა ურჩევნია, მათ შორის, დედოფალისაც, ღვთისმოსავ მშობიარეს. იგი მხოლოდ იმისთვის მოევიდნა ამ ქვეყანას, რომ ილოცოს და შვილები აჩინოს, შვილი ექვსი ეყოლება, ლოცვებს კი ვინ მოთვლის, დღეს, მაგალითად, იესოს საზოგადოების ბერებთან მიდის, ხვალ – პავლე მოციქულის ეკლესიაში, ხან წმიდა ფრანცისკის ეკლესიაში ლოცულობს, ხან მოწყალე

ღვთისმშობლის ქანდაკებას სცემს თაყვანს, ხან წმიდა ბენედიქტეს მონასტერს მოინახულებს ლოიოში, ხან – ძე ღვთისას განხორციელების ეკლესიას, ხან – უმანკო ჩასახვის მონასტერში წავა მარვილში, ხან – წმინდა ბენედიქტ მკურნალის მონასტერში, ხან – ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატის მოსალოცად მიემგზავრება, ხან – წმიდა როხას ეკლესიაში, წმიდა სამების ეკლესიაში, წმინდა ქალწულის სამეფო ეკლესიაში, ხან – წმინდა პატრე ალკანტარელის, ხან – ლორეტის ღვთისმშობლის, ხან – ხარების მონასტერში... როდესაც დედოფალი სასახლიდან მიემგზავრება, დოლები და ფლეიტები უკრავენ, რა თქმა უნდა, თვითონ დედოფალი არ უკრავს, ესა აკლია, ჯარისკაცები ორ მწკრივად დგებიან და, რადგან ქუჩებში, ყველა ბრძანების მიუხედავად, მუდამ ტალახი დგას, დედოფლის ეტლის წინ მუშები მიდიან, მხრებზე ფართო ფიცრები აქვთ გადებული. როდესაც დედოფალი ეტლიდან გადმოდის, მუშები ფიცრებს მიწაზე აწყობენ და მისი უდიდებულესობა ამ ფიცარნაგზე მიაბიჯებს. ცოტას რომ გაივლის, მუშები ფიცრებს იღებენ და წინ აგებენ. ასე სუფთად მისეირნობს ჩვენი ქალბატონი, იესო ქრისტეს ჰგავს, რომელმაც წყალზე გაიარა, მუშები კი მუდამ ტალახში დააბოტებენ. ასე მიაბიჯებს დედოფალი წმიდა სამების დედათა ტაძარში, ბერნარდინელების მონასტერში, იესოს ეკლესიაში, წმინდა ალბერტის ტაძარში, მოწყალე ღვთისმშობლის ეკლესიაში, მისი წყალობა ნუ მოგაკლოთ ღმართმა, წმინდა ეკატერინეს მონასტერში, წმიდა პავლეს სამოს მონასტერში, ფეხშიშვილი ავგუსტინელების მონასტერში, კარმელიტების სავანეში, ღვთისმშობლისა და ყველა მოწამის ეკლესიაში, ჩვენ ყველანი ხომ მარტვილები ვართ, წმინდა იოანა მეფისწულის ტაძარში, მაცხოვრის ეკლესიაში, წმინდა მონიკას მონასტერში, რომლის მონაზვნებმაც ცოტა ხნის წინათ ამბოხება მოაწყვეს, მაგრამ ერთ წმინდა ადგილას ვერ ბედავს წასვლას – ოდიველასის მონასტერში, და ყველამ იცის, რატომ.

საბრალო მოტყუებული დედოფალი მხოლოდ ლოცვებში არ ტყუვდება, ამიტომაც ლოცულობს დღე და ღამე: ხან მიზეზი აქვს, ხან უმიზეზოდ, უფალს ავედრებს თვის თავქარიან ქმარს, შორეულ ქვეყანაში დარჩენილ ნათესავებს, ქვეყანას, რომელიც მისთვის უცხო დარჩა, ბავშვებს, ცაში გაფრენილ დონ პედროს, პორტუგალიის იმპერიას, ომში დაღუპულებს, შავი ჭირით დახოცილებს, თავის მულებსა და მაზლებს, ინფანტებს, განსაკუთრებით კი – დონ ფრანსისკოს, ევედრება წმინდა ოჯახს, ინანიებს ხორციელ სურვილებს, სულის გადასარჩენად ლოცულობს, თავის მძიმე ქალურ ხვედრს შესჩივის ქალწულ მარიამს, ლოცულობს, რადგან სიცოცხლე ხანმოკლეა, ლოცულობს, რადგან სიკვდილი ახლოსაა.

ამჯერად დონა მარია-ანას ლოცვას უფრო სერიოზული მიზეზი აქვს – მეფე ავად გახდა, საჭმლის მოუნელებლობა სჭირს, ადრეც აწუხებდა ეს სენი, როგორც უკვე ვიცით, მაგრამ ახლა ძალიან ცუდად გახდა, უგრძობლად წევს და ძლივს სუნთქავს. აი, ქრისტიანული მორჩილების კარგი გაკვეთილი – რა ძლიერია მეფე! ინდოეთის, აფრიკისა და

ბრაზილიის მბრძანებელია, მაგრამ ადამიანი მაინც არარაობაა, თვითონ მიდის და მისი სამფლობელო კი რჩება. ჩვეულებისამებრ, ჩქარობენ და აზიარებენ, – უდიდებულესობა უზიარებელი არ გარდაიცვალოს, როგორც უბრალო ჯარიკაცი ბრძოლის ველზე, სადაც კაპელანები ვერ აღწევენ და არც დიდი სურვილი აქვთ, მიუსწრონ. ისე მეფეც ვარდება ხოლმე უხერხულ მდგომარეობაში, როგორც, მაგალითად, სეტუბალში, როდესაც კორიდას უყურებდა და უეცრად სრულიად უმიზეზოდ გონება დაკარგა. ლეიბ-მედიკოსი მოვარდა, მაჯა გაუსინჯა, ძარღვი გაუხსნა, მღვდელიც მოვიდა, აზიარა, ვინ იცის, რა ჩაიდინა დონ ჟუან V-მ უკანასკნელი ზიარების მერე, იგი სულაც გუშინ რომ ყოფილიყო, მაინც, რამდენჯერ შეიძლება შესცოდო ადამიანმა თუნდაც ფიქრებში! სიტუაციაც უხერხულია – ქვევით, მოედანზე, ხარები იხოცებიან, აქ კი მეფემ გადაატრიალა თვალები, მგონი კვდება, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ხარებივით ჭრილობებით არა, არც იმ ადამიანებივით, რომლებსაც ზოგჯერ ხარები ხოცავენ, როგორც ეს დონ ენრიკე დი ალმეიდას დაემართა, ხარმა იგი ცხენიანად აისროლა ჰაერში და ზუსტად ახლა გაჰყავთ საკაცით. როგორც იქნა, მეფემ თვალები გაახილა, ამჯერად მუხლი ეკეცება, სახე გაფითრებული აქვს, იმ ყოჩად კავალერს აღარ ჰგავს, რომელიც ერთი დარტყმით ძირს სცემს მონაზონ ქალებს. სადაც მონაზვნები, იქაც ერისქალნი, აი, შარშან ერთმა ფრანგმა ქალმა მას ბუმი გაუჩინა. ეჰ, შეგახედათ ახლა თქვენი საყვარლისთვის, მონაზვნებო და თავისუფალო ქალებო. ვეღარც კი იცნობთ ამ ჩამომჰკნარ, გაყვითლებულ კაცუნაში დაუდევარ გვირგვინოსან ულაცს. დონ ჟუან V აზეიტონში გაემგზავრა, იქნებ, იქაურმა ჰაერმა არგოს და მელანქოლიისაგან განკურნოს, – ასე დაარქვეს ექიმებმა მის სენს, რომელიც, სავარაუდოდ, მეფეს დაბინძურებული ჰუმორების გამო განუვითარდა, კუჭის გაუვალობაც ამიტომ ემართება ხოლმე. ყველაფერი ნაღვლის დაგროვების ბრალია, სასქესო ორგანოები კი წესრიგში აქვს, მიუხედავად იმისა, რომ აღვირახსნილ ცხოვრებას ეწევა და დიდი შანსი აქვს ფრანგული სენიც აიკიდოს. ამ შემთხვევაში ასკილის ექსტრაქტით უმკურნალავენ. ასკილი საუკეთესო საშუალებაა პირის ღრუს, ღრძილებისა და სათესლე ჯირკვლების დაავადების წინააღმდეგ.

დონა მარია-ანა ლისაბონში დარჩა, შემდეგ კი სალოცავად ბელენში წავიდა, ამბობენ, ცუდ გუნებაზეაო, რადგან დონ ჟუან V-მ არ ისურვა, მისთვის სახელმწიფოს მართვის სადავეები გადაეხარებინა. არ ვარგა, როდესაც ქმარი ცოლს არ ენდობა, თუმცა ეს სიჯიუტით მოსდის, მომავალში მაინც დედოფალს მისცემს რეგენტობას, სანამ მეფე აზეიტონის დალოცვილ ველზე ისვენებს, გარშემო არაბიდელი ფრანცისკანელები ახვევია, ტალღების დგაფუნი ისმის, როგორც ყოველთვის, ზღვასაც იგივე ფერი აქვს, მისი სუნი იდუმალი და მომხიბლავია, ინფანტი დონ ფრანსისკო კი ლისაბონში დარჩა, დედოფლის კარზე, და უკვე ინტრიგების ქსელს ხლართავს – იმედი აქვს, უფროსი ძმა მალე მოკვდება: თუ ამ მელანქოლიის წამალი არ მოიძებნა და თუ მისი

უდიდებულესობა არ განიკურნა, თუ უფალმა ასე ადრე ინება მისი ამქვეყნიური ცხოვრების დასრულება, რათა მალე შეაბიჯოს ციურ სასუფეველში და მარადიული ცხოვრება დაიმკვიდროს, მე, როგორც მისი მომდევნო ძმა და სამეფო ოჯახის უხუცესი წევრი, როგორც თქვენი უდიდებულესობის მახლი და თქვენი უსაზღვრო სილამაზისა და სათნოების მონა-მორჩილი, გავბედავ და ვიტყვი, რომ შეიძლება მე ავიდე ტახტზე და, ამასთან ერთად, თქვენს სარეცელზეც, დავქორწინდებოდით, როგორც წესია, სიტყვას გაძლევთ, მამაკაცური თვისებებით ჩემს ძმას არ ჩამოვრჩები, ეგლა მაკლია! ეს რა მესმის, რა უღირსი ლაპარაკია, ჩვენ ხომ ნათესავეები ვართ, მეფე ჯერ ცოცხალია, თუ უფალი ჩემს ლოცვებს შეისმენს, არც მოკვდება სამეფოს სადიდებლად, თანაც, როგორც უკვე ითქვა, მე ექვსი შვილი უნდა მეყოლოს მისგან, სამი ჯერ კიდევ მაკლია! მაგრამ თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ, ყოველ ღამე მხედავთ სიზმარში. ქალური სისუსტეა, მეტი არაფერი, რომელსაც გულის სიღრმეში ვმაღავ, აღსარებაზეც კი არ ვამბობ ამას, მაგრამ ეტყობა სიზმრები სახეზე ტოვებს კვალს, რაკი ასე ადვილად ამოიკითხეთ. ესე იგი, თუ ჩემი ძმა მოკვდება, დავქორწინდებით. თუ ეს სამეფოს ინტერესებში იქნება და ჩემს ღირსებას არ შელახავს, დავქორწინდებით. ნეტავ მალე მოკვდეს, მიინდა მეფე გავხდე და თქვენს უდიდებულესობაზე დავქორწინდე, მომბეზრდა ინფანტად ყოფნა. მე კი დედოფლობა მომბეზრდა, მაგრამ სხვა არაფერი შემიძლია, გინდა ის იყოს ჩემი ქმარი, გინდა თქვენ, ამიტომ ჩემი მეუღლის გამოჯანმრთელებისათვის ვილოცებ, თქვენ შეიძლება უარესი აღმოჩნდეთ. ასე ფიქრობთ, თქვენო უდიდებულესობავ? კაცები სანდონი არ არიან, ყველა თავისებურადაა ცუდი, სულ ეს არის და ეს! ამ ბრძნული და სკეპტიკური სენტენციით დასრულდა საუბარი, პირველი იმ მრავალთაგანი, რომლებითაც დონ ფრანსისკო დიდხანს არ ასვენებდა დედოფალს ბელენშიც, სადაც სალოცავად წავიდა, ბელასშიც, სადაც მალე მიემგზავრება, ლისაბონშიც, სადაც ინფანტმა ბოლოს და ბოლოს მიიღო რეგენტობა, სასახლეშიც, ბაღშიც, ყველაგან. ასე რომ, დონა მარია-ანას სიზმრები უკვე ისეთი ამაღელვებელი აღარაა, ახლა ინფანტი მხოლოდ იმისთვის ეცხადება, რომ უთხრას, მეფე მიინდა გავხდეო. ჰოდა, უნდოდეს, ვინ უშლის, ამაზე სიზმრების ნახვაც კი არა ღირს. მეფე ავადაა, დონა მარია-ანას სიზმარი კი გარდაიცვალა, მეფე გამოჯანმრთლდება, დედოფლის ოცნებები კი ვეღარ აღსდგება მკვდრეთით.

მარტო ქალების საუბარს კი არ უჭირავს ეს სამყარო ორბიტაზე, არამედ ღამეულ ოცნებებსაც, სწორედ ისინი ადგამენ სამყაროს მთვარის გვირგვინს, თავად სამოთხე სხვა არაფერია, თუ არა ნათება, რომელიც ადამიანის ფიქრებშია, ადამიანის ფიქრებია ერთადერთი შესაძლებელი და ჭეშმარიტი სამოთხე. ჰოლანდიიდან მამა ბართოლომეუ ლოურენსო დაბრუნდა, ჩამოიტანა თუ არა ეთერის ალქიმიური საიდუმლო, ჯერ არ ვიცით. იქნებ, ამ საიდუმლოს არავითარი კავშირი არა აქვს ძველი დროის ალქიმიასთან, იქნებ ერთი სიტყვაა საკამარისი, რათა საფრენი მანქანის ჭურჭლები აივსოს, აი, უფალს

მხოლოდ ერთი სიტყვა დასჭირდა, რომ ყოველი არსი შეექმნა, ეს ჭეშმარიტება მღვდელს ბეთლემის სემინარიაში ასწავლეს, რომელიც ბრაზილიურ ქალაქ ბაიაში მდებარეობს, შემდეგ კი რთული არგუმენტაციითა და ღრმა შტუდიებით განუმტკიცეს ეს ცოდნა კოიმბრას უნივერსიტეტში ღვთისმეტყველების ფაკულტეტზე ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მისი ბურთები ჰაერში აიჭრნენ, ახლა კი, ჰოლანდიიდან დაბრუნებულმა მღვდელმა ისევ კოიმბრას მიაშურა. კაცი შეიძლება დიდი მფრინავი იყო, მაგრამ ცუდი არაა, ბაკალავრი, ლიცენციატი და დოქტორიც გახდე! მაშინ ყველა პატივს გცემს, თუნდაც ვერასდროს ვერ გაფრინდე.

ბართოლომეუ ლოურენსო სან-სებასტიან-და-პედრეირაში გაემართა, სამი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც მამული მიატოვა, ბელელი გაპარტახებულა, ინსტრუმენტები მიწაზეა მიმოხეული, დალაგება არც კი ღირს, არც კარის ჩაკეტვა – მაინც ვერავინ ვერ გაიგებს, რა ხდება აქ. სახურავზე ბელურები ჟივჯივებდნენ, დამტვრეულ კრამიტებს შორის გაჩენილ ღრიჭოებში დამვრებოდნენ, საცოდავი ჩიტები, ეზოში მდგომი ყველაზე მაღალი ჭადრის წვერზე ზევით ვერასდროს აფრინდებიან, ბელურა მიწასთან ახლოს ატარებს თავის ცხოვრებას. დიდი ვერაფერი ფრინველია – პატარა ფრთები და წვრილი ძვლები აქვს. აი, ჩემი პასაროლა კი მაღლა აფრინდება, ისე მაღლა, რომ თვალს ვერ მიაწვდენ, აბა ერთი კარკასს შეხედეთ, მყარი ნავი იქნება, რკინის დეტალები დაჟანგებულა, ეს ცუდია, რაღაც არ ეტყობა, რომ ბალთაზარი აქაურობას აკითხავდეს, არადა, როგორ ვთხოვე, თუმცა არა. აი, შიშველი ფეხის ნაკვალევი, მარტო იყო, ბლიმუნდა არ ახლდა თან, ხომ არ მოკვდა, ლეიბზეც წოლილა, საბანი გადაგდებულია. მეც დავისვენებ ცოტას, ამ საბანს დავიფარებ, მე, მამა ბართოლომეუ ლოურენსო. ჰოლანდიიდიან დავბრუნდი, სადაც იმის გასაგებად ვიყავი, შეუძლიათ თუ არა ადამიანებს ევროპის სხვა ქვეყნებში ჩემზე წინ წავიდნენ ამ მეცნიერებაში. ზვოლეში, ედუში, და ნიიკერკში მოხუც ალქიმიკოსებთან ვსწავლობდი. მათ მზის შექმნა შეუძლიათ რეტორტაში, მაგრამ მერე უცნაური სიკვდილით იხოცებიან – ისე შრებიან და ჭკნებიან, რომ თივის ბულულს ემსგავსებიან და თივასავით იწვიან, როდესაც სიკვდილის ჟამი მოდის, მათგან ფერფლის მეტი არაფერი რჩება. თავისთავად ეკიდებათ ცეცხლი. შინ საფრენი მანქანა მელოდა, რომელსაც ჯერ ფრენა არ უსწავლია. აი, მრგვალი ჭურჭლებიც, რომლებიც ციური ეთერით უნდა აივსოს, ხალხს ჰგონია, რომ რამე გაეგება ეთერისა, ცას უყურებენ და ამბობენ, აი, ციური ეთერი, მაგრამ მე ხომ ვიცი, ეთერი რაცაა. ეს ისეთივე მარტივი რამა, როგორც უფლის სიტყვა, უფალმა თქვა, იყავნ ნათელი, და განათდა. საქმე ისაა, როგორ იტყვი. ისე ჩამოხეულდა, მოდი, სანთელს ავანთებ, ბლიმუნდას დაუტოვებია, ავანთებ ამ პაწაწინა მზეს, მინდა ავანთებ, მინდა ჩავაქრობ, ვერც ერთი ადამიანი ვერ ისრულებს ყველა სურვილს ამქვეყნად, მხოლოდ სიზმარში თუ შეიძლება წადილთა აღსრულება. დამე მშვიდობისა!

რამდენიმე კვირის შემდეგ მღვდელმა შესაბამისი მოწმობები და სარეკომენდაციო წერილები შეაგროვა და კოიმბრას მიაშურა, სახელგანთქმულ და მეცნიერებით მდიდარ ქალაქს. აქაურ მეცნიერებს აღქიმიკოსობის ნებას რომ დართავდეს ვინმე, ნამდვილად არ ჩამოუვარდებოდნენ ზვოლეს. და აი, მიდის ჩვენი მფრინავი, ჯორით მიჩაქჩაქებს, როგორც მღვდელს შეჭფერის, რომელიც ცხენოსნობაში გაწაფული არაა და არც დიდი შეძლების პატრონია, კოიმბრაში რომ ჩავა, ჯორი უკან სხვა მგზავრს წამოიყვანს, შესაძლოა, ღვთისმეტყველების დოქტორსაც კი, თუმცა ამ უკანასკნელის ღირსებას უფრო პალანკინი შეეფერება. როდესაც პალანკინით მოგზაურობ, თითქოსდა ტალღებზე ირწეოდე! სოფელ მაფრამდე, სადაც მამა ბართოლომეუმ გზად შეიარა, მგზავრობამ უთავგადასავლებოდ ჩაიარა. თუ შეჩერდებოდა მღვდელი, მხოლოდ იმისთვის, რომ შემხვედრი მგზავრები ეკურთხებინა, საერთოდაც სხვა გზით წავიდოდა კომბრაში, მაფრაში რომ არ ჰქონოდა საქმე, სადაც ბალთაზარი შვიდი მზე და ბლიმუნდა შვიდი მთვარე ეგულებოდა. არაა მართალი, რომ ხვალინდელი დღე უფალს ეკუთვნის, არც ისაა მართალი, რომ მხოლოდ ის ვიცით დანამდვილებით, რომ ოდესმე სიკვდილი მოვა, მაგრამ როდის, ეს კი საიდუმლოა, ეს იმ ხალხის გამონათქვამებია, რომლებსაც გამოცხადებები არასდროს ჰქონია. და, თუ ლისაბონის გზაზე მღვდელი გამოჩნდა, რომელიც გამვლელ-გამომვლელს აკურთხებს და მაფრაში მიემართება, ეს იმას ნიშნავს, რომ კურთხევამიღებულის მაფრაში წავა, მონასტრის მშენებლობაზე იმუშავებს და იქვე მოკვდება: ან კედლიდან ჩამოვარდება, ან შავი ჭირი შეეყრება, ან დანას დაარტყამენ, ან წმინდა ბრუნოს ქანდაკება დაეცემა თავში.

მაგრამ ეს უბედურებანი ჯერ წინაა. როდესაც გზამ უკანასკნელად მოუხვია და გაშლილ ველზე დაიწყო დაშვება, მამა ბართოლომეუ ლოურენსოს ხალხის ბრბო შემოხვდა, რამდენიმე ასეული ადამიანი იქნებოდა. მღვდელი ჯერ ვერ მიხვდა, რა მომხდარიყო, რადგან ხალხი მისკენ მორბოდა, საყვირის ხმებიც ისმოდა, ვერ გაიგებდი, საზეიმო მსვლელობა იყო თუ ომი დაიწყო. უცებ საშინლად იგრიალა, ჰაერში მიწისა და ქვების შადრევანი აიჭრა. ისევ ჩაჰბერეს საყვირებში, ხალხი კი აფეთქებულ ადგილს მისცვივდა ნიჩბებითა და ურიკებით, ურიკებს მიწით ავსებდნენ და ბორცვის იმ კალთაზე ყრიდნენ, რომელიც ციცაბოდ ეშვებოდა მაფრასკენ, სხვა მუშები წერაქვებით მხარზე ჩადიოდნენ გამზადებულ თხრილებში. ზემოთ დარჩენილები მათ ცარიელ კალათებს აწვდიდნენ და მიწით სავსეს იღებდნენ. ეს ხალხი ჭიანჭველებს მოგაგონებდათ, რომლებიც ტვირთს ერთი ადგილიდან მეორეზე ეზიდებიან – ერთი დაიღლება, მეორე შეენაცვლება და ბოლოს რაღაც ორმოში გაუჩინარდებიან, ჭიანჭველისთვის ორმო საცხოვრებელია, ადამიანისთვის – სამუდამო განსასვენებელი, როგორც ხედავთ, დიდი განსხვავებაც არაა.

მამა ბართოლომეუ ლოურენსომ ჯორს ქუსლი ჰკრა. სახედარი გამოცდილი აღმოჩნდა, არტილერიისაც კი არ შეეშინდა, აი, რას ნიშნავს შერეული სისხლის ცხოველი, მშიშარა

არაა, ძალიან ამტანია, რა აღარ უნახავს ამქვეყნად, ასეთი შეჯვარება ამ ცხოვრებაში გადარჩენის საუკეთესო საშუალებაა, სხვათა შორის, ადამიანებსაც ვგულისხმობთ. მამა ბართოლომეუ ციცაბო დაღმართს მიადგა, სადაც გზა სულ ატალახებულიყო და იმაზე მეტყველებდა, რომ მიწის სამუშაოების შედეგად წყაროებმა ამოხეთქა და წყალი სხვადასხვა მხარეს ჩქეფს, მანამდე არსებულმა ნაკადულებმა კი კალაპოტი შეიცვალეს და ახლა უსარგებლოდ მიედინებიან, ასე რომ, ბორცვი უწყლოდ დარჩა. მამა ბართოლომეუ ლორენსო სოფელში შევიდა და იქაურ მღვდელთან მივიდა, რათა გაეგო, სად ცხოვრობს შვიდი მზის ოჯახი.

ამ მღვდელმა დიდი ფული გააკეთა მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც ველას ბორცვზე ჰქონდა. დიახ, იმ მიწისთვის უზარმაზარი თანხა მისცეს – 140000 რეალი. მასთან შედარებით 13500, რაც მოხუც ჟუან-ფრანსისკოს გადაუხადეს, სასაცილოა და მეტი არაფერი. მღვდლის მიწა ასეთი ძვირფასი თუ თავადაა ასე დაფასებული, არ ვიცით. მღვდელი ბედნიერია – ეს რამხელა მონასტერი შენდება, ორმოცი ბერი იცხოვრებს აქ. აი, მაშინ მომრავლდება თუ მომრავლდება სოფლად ნათლობები, ჯვრისწერები და სხვა. ეს წმინდა რიტუალები სულისთვისაც სასარგებლოა და ჯიბისთვისაც, რა თქმა უნდა. აბა, რასა ბრძანებთ, მამაო ბართოლომეო ლოურენსო, დიდი პატივია ჩემთვის თქვენი სტუმრობა, შვიდი მზეები აქვე, ახლოს ცხოვრობენ, ველაზე ჰქონდათ პატარა ნაკვეთი, ჩემი მიწების გვერდით, მაგრამ სულ პატარა, ახლა კი მოხუცი და მისი ოჯახი ხუტორის შემოსავლით ცხოვრობს, რომელიც იჯარით აიღეს, უფროსი ვაჟი ბალთაზარი ოთხი წლის წინათ უხელოდ დაბრუნდა ომიდან, ცოლიც მოიყვანა თან, მაგრამ ასე მგონია, ჯვარდაუწერავად ცხოვრობენ, ქალს სახელიც რაღაც არაქრისტიანული ჰქვია. ბლიმუნდა ხომ არა? – იკითხა მამა ბართოლომეუ ლოურენსომ. როგორც ვხედავ, იცნობთ! მე დავწერე ჯვარი. აჰ, ესე იგი, ჯვარდაწერილები ყოფილან. ლისაბონში დავწერე ჯვარი. მფრინავმა მასპინძელ მღვდელს მადლობა გადაუხადა, მართალია, აქ მისი მეტსახელი არავინ იცოდა, მღვდელი უბრალოდ სარეკომენდაციო წერილების შთაბეჭდილებას შეეპყრო, რომელიც მეფის სასახლიდან გამოატანეს მამა ბართოლომეუს. ჩვენი მფრინავი შვიდი მზეების სახლის საძებრად გაემურა, თან უხაროდა, რომ უფლის წინაშე მოიტყუა, მაგრამ უფალს ეს არ ენალვლება, ვინ ვინ და იმან კარგად უწყის, რომ ეს ტყუილი მოყვასის სიყვარულმა ათქმევინა.

კარი ბლიმუნდამ გაუღო. უკვე ბნელოდა, მაგრამ იმწამსვე იცნო მამა ბართოლომეუ ლოურენსო, ოთხი წელი არც ისე ბევრია, ხელზე ემთხვია მღვდელს, ახლომახლო ვიღაც ცნობისმოყვარეები რომ არ ყოფილიყვნენ, სხვანაირად მიესალმებოდა, რადგან ამ ჩვენს სამ გმირს განსაკუთრებული ძაფები აკავშირებს ერთმანეთთან და ამ ოთხი წლის მანძილზე ერთი ღამე მაინც იყო ისეთი, როდესაც სამივეს ერთი და იგივე რამ ეზმანა: L მფრინავი მანქანა ფრთებს აქნევს, მზე სხივებს აფრქვევს, ქარვა ეთერს იზიდავს, ეთერი – მაგნიტს, მაგნიტი – რკინას, ყველაფერი ერთმანეთს იზიდავს, საქმე ისაა, რომ ნივთები

სწორი თანმიმდევრობით დააღაგო და მაშინ ყველაფერი გამოვა. ეს ჩემი დედამთილია, სენიორ მამაო ბართოლომეუ. მართა-მარია ახლოს მოვიდა, ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, რადგან კარგად დაინახა, რომ ბლიმუნდა კარის გასაღებად გაემართა, მაგრამ კაკუნს არ ყოფილა, ახლა კი ზღურბლზე ახალგაზრდა მღვდელი დგას და ბალთაზარს კითხულობს, ასეთი სტუმარი არც ისე ხშირია სოფელ მაფრაში, მაგრამ გამონაკლისები მაინც არსებობს. აი, მღვდელი ჩამოვიდა ლისაბონიდან და ცალხელა ჯარისკაცისა და ქალის ნახვა უნდა, რომელიც ნათელმხილველობის უნართაა დაჯილდოვებული: ეს უკვე მართა-მარიამაც იცის – ერთხელ დაიჩვილა, რომ მუცელში, ალბათ, სიმსივნე მაქვსო. არაო, უთხრა ბლიმუნდამ, არავითარი სიმსივნე არა გაქვთ, სინამდვილეში კი მშვენივრად ხედავდა ამ სიმსივნეს, ეს ორივემ ძალიან კარგად იცოდა. ჭამე პური, ბლიმუნდა, ჭამე!

როდესაც ბალთაზარი მამასთან ერთად სახლში დაბრუნდა, მღვდელი ცეცხლთან იჯდა, რადგან საღამოს საკმაოდ აცივდა, მამა-შვილმა ჯერ ჯორი დაინახა, რომელიც ზეთისხილის ხის ქვეშ ბალახს სძოვდა. ნეტავი, ვინ უნდა იყოსო? – იკითხა ჟუან-ფრანსისკომ, ბალთაზარმა არაფერი უპასუხა, თუმცა მშვენივრად მიხვდა, მღვდელი სტუმრებოდათ – სასულიერო პირების კუთვნილი პირუტყვი განსაკუთრებული სათნოებითა და თავმდაბლობით გამოირჩევა, რაც მკვეთრად განსხვავდება იმ სიჯიუტისაგან, ერისკაცების ჯორებს რომ ახასიათებთ. რადგანაც ჯორმა სასულიერო პირი მოიყვანა, თანაც, როგორც ჩანს, შორიდან და რაკილა ბალთაზარი არც პაპის ლეგატსა და არც ნუნციუსს არ ელოდა, მაშინვე მიხვდა, რომ ეს მამა ბართოლომეუ ლოურენსო იქნებოდა. ასეც აღმოჩნდა. ვისაც გაუკვირდება, რომ ბალთაზარ შვიდმა მზემ ამდენი რამის დანახვა მოახერხა ჩამოწოლილ ბინდში, იმის გასაგონად ვიტყვით, რომ მბრწყინავი შარავანდედი წმინდანების თავზე მისტიკოსების ავადმყოფი ფანტაზიის ნაყოფი სულაც არაა, არც ფერმწერების მიერ გამოგონილი ხერხია, ბალთაზარმა უკვე ძალიან ბევრი ღამე გაატარა ბლიმუნდას გვერდით და მასთან ხორციელი სიახლოვის გზით მისი სულიერი თვისებებიც გადმოედო, თუმცა მისი ორმაგი მზერა ჯერ ძალიან სუსტია, რათა საგანთა არსს ჩასწვდეს, მაგრამ ზემოთაღწერილი დასკვნის გამოსატანად კი საკმარისია, ჟუან-ფრანსისკო ჯორის მისახედავად წავიდა და სწორედ იმ მომენტში შევიდა სახლში, როდესაც მამა ბართოლომეუ ლოურენსო ბალთაზარსა და ბლიმუნდას ეუბნებოდა – არა, გმადლობთ, მღვდელთან წავალ ვახშმად, უკვე დაპატიჟებული ვარ და იქვე გავათევ ღამეს. სწორი გადაწყვეტილება მიუღია, რადგან, ჯერ ერთი, შვიდი მზეების სახლში საკმარისი ადგილი არაა, მეორეც, მთელი მაფრა გაოცებული დარჩებოდა, რომ შორიდან ჩამოსულ სასულიერო პირს ასეთი თავშესაფარი აერჩია, რომელიც უბრალო ფანჩატურზე უკეთ არ იცავს კაცს წვიმისა და ქარისაგან. იტყოდნენ: მღვდლის სახლში ან ვიკონტის სასახლეში არ გაჩერდა, არადა არც მღვდელი და არც ვიკონტი უარს რას იტყოდნენ ასეთ

სტუმარზე –ღვთისმეტყველების მომავალ დოქტორზე. მართა-მარიამ თქვა, თქვენი მობრძანების ამბავი წინასწარ რომ გვცოდნოდა, მამაო, მამალს მაინც დავკლავდით, მეტი არ ვიცი, რითი გაგიმასპინძლდეთ, თქვენი საკადრისი სხვა არაფერი მოგვემეცებო. სიამოვნებით გავსინჯავდი თქვენს ნახელავს, სენიორა, რაც არ უნდა იყოს, მაგრამ ვერც ვახშმად დავრჩები თქვენთან, ვერც ღამის გასათევად, მამალს რაც შეეხება, გაუშვით, იცოცხლოს, რაც არ უნდა გემრიელი იყოს, მისი ყვილი მაინც მეტ სიამოვნებას მოგვანიჭებს, არც ქათმების წყენინება ივარგებს. ჟუან-ფრანსისკოს გულიანად გაეცინა ამ ხუმრობაზე, მართა-მარიას კი სახუმაროდ აღარ ეცალა, ტკივილის შეტევა იგრძნო, ბლიმუნდასაც და ბალათზარსაც გაელიმათ, მათ ხომ კარგად იცოდნენ მამა ბართოლომეუ ლოურენსოს ენაკვიმატობის ამბავი. ხვალ, გარიჟრაჟზე, მომიყვანეთ შეკაზმული ჯორი მღვდლის სახლთან, კოიბრაში გამგზავრებამდე სალაპარაკო მაქვს შენთან, ბალათზარ, სენიორ ჟუან-ფრანსისკო, სენიორა მართა-მარია, უფალმა გაკურთხოთ, თუ მოისურვებს, რადგან ჩვენი მხრიდან დიდი თავხედობაა იმის ფიქრი, რომ მოკვდავის კურთხევას რაიმე სარგებლის მოტანა შეუძლია. ამ სიტყვებით მამა ბართოლომეუ წამოდგა და გარეთ გავიდა. ბალათზარი სანთლით ხელში გაყვა გასაცილებლად, თუმცა სანთელი დიდ შუქს არ იძლეოდა, მაინც თითქოს ღამის წყვიდადს ერკინებოდა და ეუბნებოდა, იყავ ნათელიო. როდესაც ბალათზარი სამზარეულოში დაბრუნდა, ბლიმუნდამ ჰკითხა: – მითხარი, რა უნდოდა მამა ბართოლომეუს? არაფერი არ უთქვამს, ყველაფერს ხვალ გავიგებთ, უპასუხა ბალათზარმა, ჟუან-ფრანსისკო კი ასევე ხითხითებდა, სასაცილოდ ნათქვამი გამოუვიდა მამალზეო. მართა-მარიას რაც შეეხება, კარგად მიხვდა, რომ აქ რაღაც საიდუმლო იმალება, მაგრამ მხოლოდ ეს თქვა, მოდით, ვახშმად დავსხდეთო. მამაკაცები მაგიდას მიუსხდნენ, ქალები მოშორებით დასხდნენ. ასეთი იყო ამ ოჯახის ჩვეულება.

ღამით ყველას მშფოთვარედ ეძინა, ყველა იღუმალ სიზმრებს ხედავდა, სიზმრები ხომ ადამიანებივითაა, შეიძლება ერთმანეთის მსგავსი იყოს, მაგრამ ერთნაირი – არასდროს. არც ერთი არაა ბოლომდე სწორად ნათქვამი, სიზმარში წყლის ნაკადი ვნახე ან ადამიანი ვნახეო; ეს სიტყვები საკმარისი არაა, რადგან არ ვიცით, როგორი ადამიანი იყო, ან რანაირი წყალი. ეს მხოლოდ იმან იცის, ვინც სიზმარი ნახა, არც ის ვიცით, რას ნიშნავს წყალი, თუ არ ვიცით, როგორმა ადამიანმა ნახა იგი, და აი, უაზრო კითხვებს ვსვამთ. ოდესმე მომავალ თაობებს გაეცინებათ, რა მწირი იყო ჩვენი ცოდნა სამყაროს შესახებ, მამაო ფრანსისკო გონსალვეს, – ასე თქვა მამა ბართოლომეო ლოურენსომ, როდესაც მაგიდიდან წამოდგა და დასაძინებლად წასვლა დააპირა, და ფრანსისკო გონსალვესმა მიუგო: ყველაფერი მხოლოდ უფალმა უწყის. ეგ მართალია, უპასუხა მფრინავმა, მაგრამ უფლის სიბრძნე მდინარეს ჰგავს, რომელიც ზღვისაკენ მიექანება, უფალი წყაროა, ადამიანი კი – ოკეანე, წინააღმდეგ შემთხვევაში სამყაროს შექმნაც კი არ ღირდა. ჩვენი აზრით, ამ სიტყვების მერე ვერავინ შეძლებდა მშვიდად ძილს.

დილით ბალთაზარი და ბლიმუნდა მოვიდნენ, თან ჯორი მოიყვანეს. მამა ბართოლომეუ ლოურენსოს დამახეზავ კი არ დასჭირვებია, როგორც კი ფლოქვების ხმა გაიგო, მაშინვე გააღო კარი და გარეთ გამოვიდა, მაგრამ მღვდელს უკვე დაემშვიდობა, თან ბევრი საფიქრალი დაუტოვა, მაგალითად, მართლა წყაროა უფალი თუ არა, ხალხი კი – ოკეანე, და ცოდნის იმ დიდი საერთო საუნჯიდან კიდევ რა უნდა შეითვისოს, რადგან, რაც ადრე უსწავლია, უკვე ყველაფერი გადაავიწყდა, ლიტურგიკული ლათინურის გარდა, რადგან ამ უკანასკნელში ვარჯიში ყოველდღე უწევს, და თავისი სახლის მმართველ ქალთან არშეყოფისა, რომელსაც იმ დამეს სტუმრის რიდის გამო კიბის ქვეშ ეძინა. ბალთაზარს ჯორი სადავით მოჰყავდა, ბლიმუნდა უკან მიჰყვებოდა, თვალები დახრილი ჰქონდა, თავზე მანტილია წამოეფარა. დილა მშვიდობისა! – თქვეს მათ. დილა მშვიდობისა! – მიუგო მღვდელმაც და იკითხა, ბლიმუნდას დღეს ხომ არაფერი უჭამიაო. მუქ მოსასხამში გახვეულმა ბლიმუნდამ უპასუხა, არა, ჯერ არაო. ეტყობა გუშინ მაინც მოასწრეს ბალთაზარმა და მამა ბართოლომეუმ ერთმანეთისათვის რაღაცის თქმა, ბლიმუნდას უთხარი, დილით არაფერი არ ჰჭამოსო; ეს სიტყვები ჩურჩულით გადასცეს ბლიმუნდას, რათა მოხუცებს არ გაეგონათ. საიდუმლო საიდუმლოა.

უკაცრიელი ქუჩებით ავიდნენ ველას ბორცვზე, აქვე სოფელ ჰასისკენ მიმავალი გზა იწყებოდა, რომელიც მაფრადან ჩრდილოეთითაა განლაგებული, თითქოს დასახლებული ადგილებიდან რაც შეიძლება შორს უნდოდათ წასვლა. თუმცა ხალხი ბორცვზეც ცხოვრობს, სახელდახელოდ აგებულ ბარაკებში სძინავთ, აქ ჯერ უმეტესად მიწისმთხრელები არიან – გამოწრობილი და არცთუ განებივრებული ადამიანები, აქაურობას კიდევ ერთხელ რამდენიმე თვეში დავუბრუნდებით, შეიძლება, რამდენიმე წელიწადშიც, იმ დროისთვის აქ მთელი ქალაქი გაშენდება, მაფრაზე დიდი, ჯერჯერობით კი მუშებს ეს თავშესაფარიც ეყოფათ. სულ მალე საყვირი ამღერდება, რადგან აქ, მიწისმთხრელების გარდა, ჯარისკაცებიც მორეკეს, ახლა ისინი ომში კი აღარ იხოცებიან, არამედ მუშების თვალყურის დევნება აქვთ დავალებული. და დახმარებაც, თუ საჭირო გახდა და თუ ამით მუნდირის ღირსება არ დაზარალდება. ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, დაცვა დიდად არ განსხვავდება დასაცავისაგან, ერთნაირი მაწანწალები არიან. ზღვის მხარეს ცა მარგალიტისფერია, აღმოსავლეთით კი ნელ-ნელა ეკიდება წყლით გაზავებული სისხლის ფერი, მალე მზეც ამობრწყინდება, ზეცა ცისფრად და ოქროსფრად აკიაფდება, რადგანაც ბოლო დღეებში კარგი დარი იდგა, ბლიმუნდა კი ვერაფერს ხედავს, თავჩაღუნული მიდის, ჯიბეში პურის ნაჭერი უდევს, ნეტავი, რა უნდათ ჩემგან.

ბლიმუნდასთან საქმე ბალთაზარს კი არა, მღვდელს აქვს. ბალთაზარმაც ბლიმუნდაზე მეტი არ იცის რა, ქვევით ბუნდოვნად მოჩანს თხრილი, იქ მომავალი ბაზილიკის საძირკველი ჩაიყრება, სამშენებლო მოედანი თანდათან ხალხით ივსება, ცეცხლს

ანთებენ, ფუსფუსებენ, ცხელი საუზმე არავის აწყენს, მხოლოდ ბლიმუნდას მოუწევს ცოტა ხანს შიმშილობა. მამა ბართოლომეუ ლოურენსომ თქვა – ამქვეყნად შენ მყავხარ, ბალთაზარ, და შენ, ბლიმუნდა, ბრაზილიაში ჩემი მშობლები ცხოვრობენ, პორტუგალიაში – ძმები, მაგრამ ჩემ მიერ ჩაფიქრებულ საქმეში ნათესავები ვერ დამეხმარებიან, მეგობრები მჭირდება, ახლა კი მოისმინეთ: ჰოლანდიაში გავიგე, რა არის ეთერი, ის არ აღმოჩნდა, რაც ადრე მეგონა და რაც წიგნებში წერია, ალქიმის საშუალებით ვერ მომიპოვებ მას, ზეცაში ჯერჯერობით ვერ ავდივართ, რომ იქ მოვიპოვოთ, ახლა კი ყურადღებით იყავით: ეთერი სანამ მაღლა ავა, სადაც ვარსკვლავებია, მანამდე ადამიანების შიგნით ცხოვრობს. ესე იგი სული ყოფილა, – დაასკვნა ბალთაზარმა. არა, თავიდან მეც აგრე მეგონა, რომ ეთერი სულთა კრებულია, რომლებიც სიკვდილმა გაათავისუფლა ხორციელი ბორკილებისაგან და განკითხვის დღეს ელიან, მაგრამ ასე არ ყოფილა: ყურადღებით მისმინეთ, ეთერი ცოცხალ ადამიანთა ნებაა.

მღვდელმა განაგრძო, ყოველ ჩვენგანში სულიც არის და ნებაც, სული სიკვდილის შემდეგ ტოვებს სხეულს და იქ მიდის, სადაც სხვა სულები უკვე ელიან განკითხვის დღეს, არავინ არ იცის, სახელდობრ, სად არის ეს ადგილი, მაგრამ ნება ადამიანს ზოგჯერ სიცოცხლეშივე ტოვებს, ზოგჯერ კი სულთან ერთად, სწორედ ესაა ეთერი, ესე იგი, სუბსტანცია, რომელზედაც ვარსკვლავებია დამაგრებული, ყველა ადამიანის ნებაა და ეთერი კი ის სუბსტანციაა, რომლითაც უფალი სუნთქავს. მე რა უნდა გავაკეთო? – იკითხა ბლიმუნდამ, თან უკვე ხვდებოდა, რას ითხოვდნენ მისგან. შენ ადამიანის შიგნით ნებას დაინახავ. ნება არასდროს მინახავს, ისევე, როგორც სული. სულს ვერ დაინახავდი, მისი დანახვა შეუძლებელია, ნება კი არ გინახავს, რადგან არც გიძებნია. როგორ გამოიყურება? ღრუბლის მსგავსი ნისლია. ეგ რაღაა? მიხვდები, როგორც კი დაინახავ, აბა სცადე, ბალთაზარს შეხედე. არ შემიძლია, დაფიცებული მაქვს, რომ ბალთაზარის შიგნით არასდროს არ ჩავიხედავ. მაშინ მე შემომხედე.

ბლიმუნდამ თავი აწია და მღვდელს შეხედა, ის დაინახა, რაც უკვე ბევრჯერ ჰქონდა ნანახი. ყველა ადამიანი შიგნიდან ერთნაირია, სხვანაირი მხოლოდ ავადმყოფობის დროს ხდება, ბოლოს თქვა, ვერაფერს ვხედავო. მღვდელს გაეღიმა, – ეტყობა, უკვე აღარ გამაჩნია ნება, აბა, უკეთ დამაკვირდი! ვხედავ, ვხედავ ნისლეულს მკერდსა და მუცელს შორის. მღვდელმა პირჯვარი გადაიწერა: მაღლი უფალს, ესე იგი, გავფრინდები, ბოლჩიდან შუშის ჭურჭელი ამოიღო, რომლის ძირში ყვითელი ქარვის ფირფიტა იდო. ეს ქარვა, ლათინურად ელექტრუმი რომ ჰქვია, ეთერს იზიდავს, ამიერიდან სულ თან ატარებ, ხალხმრავალ ადგილებში ივლი, აუტოდაფეზე ან ამ მშენებლობაზე, ან პროცესიებზე და, როგორც კი დაინახავ, რომ ნების ნისლეული გარეთ მოისწრაფვის, რაც საკმაოდ ხშირად ხდება, ჭურჭელს თავს ახდი, და ნება შიგ ჩავა. და, როდესაც ბოლომდე გაივსება?... ერთი მაინც თუ მოვიპოვეთ, აივსება, მაგრამ ნება საიდუმლო და

ამოუხსნელი სუბსტანციაა, სადაც ერთი დაეტევა, იქ მილიონიც მოთავსდება, ამ შემთხვევაში ერთეული უსასრულობის ტოლია. მანამდე რა უნდა ვაკეთოთ? – იკითხა ბალთაზარმა. მე კოიმბრაში წავალ, იქიდან წერილს გამოგიგზავნით და ორივენი ლისაბონში წახვალთ, შენ, ბალთაზარ, მანქანას ააგებ! შენ, ბლიმუნდა, ნებას შეაგროვებ და გაფრენის დღეს შევხვდებით ერთმანეთს, აბა, გკოცნი, ბლიმუნდა, გეხვევი, ბალთაზარ, მომავალ შეხვედრამდე. მღვდელი ჯორჯე შეჯდა და ბორცვიდან დაეშვა, მზე უკვე ზენიტში იდგა. ჭამე პური! – უთხრა ბალთაზარმა ბლიმუნდას, ბლიმუნდამ კი მიუგო: – ჯერ ადრეა, ჯერ იმ ხალხის ნებას შევხედავ.

წირვიდან დაბრუნდნენ და ახლა საზაფხულო სამზარეულოს ფარდულის ქვეშ სხედან. თბილი წვიმა ცრის, მზე პირს იბანს, შემოდგომა დროზე ადრე მოსულა. ამიტომ ინეს-ანტონია შვილს ეუბნება: – შედი ფარდულში, თორემ დასველდები, მაგრამ ბიჭუნას ისე მოაქვს თავი, თითქოს არაფერი ესმოდეს. იმ დროს უკვე ჰქონდათ ბავშვებს ასეთი ჩვეულება, ინეს-ანტონიაც აღარ აძალებს, უმცროსი ვაჟი სულ სამი თვეა, რაც დამარხა, ამის წვალეა აღარ უნდა, გაუშვი, იცელქოს, გაიხაროს, ტყლაპოში გასტოპოს, ოღონდ დაიფაროს წმინდა ქალწულმა ყვავილისაგან, რომელმაც მისი ძმა იმსხვერპლა. ალვარო-დიოგო ასე ამბობს: – უკვე შემპირდნენ, მონასტრის მშენებლობაზე ამიყვანენო, მაგრამ დედა გარდაცვლილ შვილზე ფიქრობს, ფიქრები ერევა, მართა-მარიაც დაბნეულად ისმენს საუბარს, მწვავე ტკივილი ისე უმსჭვალავს მუცელს, როგორც ხმლები – მჭვმუნვარე ღვთისმშობლის გულს.

ალვარო-დიოგო კმაყოფილია, ძალიან დიდი მონასტერი შენდება, მრავალი წლის სამუშაოა, ყველა ქვისმთლელი დიდხანს იქნება უზრუნველყოფილი ლუკმა-პურით, ჯერჯერობით სამას რეალს იხდიან, დრო მოვა და ხუთასსაც გადაიხდიან. შენ, ბალთაზარ, მაინც ლისაბონში ფიქრობ დაბრუნებას, არადა აქ მალე ბევრი სამუშაო იქნება. უხელოს არავინ არ აიყვანს მშენებლობაზე, ვერ ხედავ, რამდენი მსურველი ჰყავთ. მაგ შენი კაუჭით თითქმის ყველაფრის კეთება შეგიძლია. ეგ მართალია, მაგრამ ლისაბონში საქმეები გვაქვს, არა, ბლიმუნდა?! ბლიმუნდამ, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა, თავი დაუქნია, მოხუცი ჟუან-ფრანსისკო ოდნავ მოშორებით ზის, ტყავის თასმებს წნავს და საუბარს ყურს უგდებს, ხმას არ იღებს, უკვე იცის, რომ მისი ვაჟი სახლიდან მიდის, უახლოეს რამდენიმე კვირაში ლისაბონში მიემგზავრება და უკმაყოფილოა ამით. ისედაც ამდენი წელი ომში გაატარა, ახლა ისევ უნდა მიატოვოს მოხუცი მშობლები, ღირსია, რომ ხელი დაკარგა, სიყვარული ისეთი უცნაური რამაა, რომ ხანდახან ასეთ რამესაც გაფიქრებინებს. ბლიმუნდა წამოდგა, ბალი გაიარა, მინდორში გავიდა, ზეთისხილის ჭალას გასცდა, რომელიც ბორცვის ფერდობზე შეფენილიყო. აქედან უკვე კარგად მოჩანდა პატარა ბოდები, რომლებითაც მომავალი მონასტრის ადგილი იყო

მონიშნული. უხეში საბოები ტალახში ეფლობოდა, მაგრამ სულ ფეხშიშველიც რომ ყოფილიყო და წვეტიან ქვებზე ევლო, მაინც ვერაფერს იგრძნობდა, ვინ აქცევს ყურადღებას ასეთ წვრილმანს, როცა შიშით ცახცახებს იმის გახსენებაზე, რაც დილით მოხდა. დილის ზიარებაზე უზმოზე წავიდა, არაფერი უჭამია, მთელი დილა სახლში თვალეზდახრილი დადიოდა, ვითომ ღვთისმოსაობის გამო. ასე წავიდა ეკლესიაშიც, თითქოს ღვთის სიდიადე თრგუნავსო, თავი არ აუწევია, ისე მოისმინა ქადაგება და ზიარებისთვის მიუახლოვდა მღვდელს, მთელი ეს წლები, რაც საკუთარ თავში ნათელმხილველობის ნიჭი აღმოაჩინა, ბლიმუნდა ყველანაირი წესის დარღვევით, ნაჭამი დადიოდა ზიარებაზე. ამჯერად ბალთაზარისთვისაც კი არაფერი უთქვამს, უზმოზე წავიდა ეკლესიაში, რათა საკუთარი თვალთ ეხილა ღმერთი.

ბლიმუნდა მიწიდან ამოჩრილ ფესვზე ჩამოჯდა, აქედან ზღვა მოჩანდა, შორს, ჰორიზონტზე, წყალი ცას ერწყმოდა, წვიმის წვეთები მის ზედაპირზე ცეკვავდა, ბლიმუნდას თვალეზი ცრემლით აევსო, მხრები აუცახცახდა და ამ დროს ბალთაზარი შეეხო მის თმას. ქალმა ვერც კი შენიშნა, როგორ მიუახლოვდა. რა ნახე დღეს ეკლესიაში? ესე იგი, ბალთაზარი ვერ მოატყუა, აბა როგორ მოატყუებს, მათ ხომ ერთად სძინავთ, აი, უკვე ექვსი წელია ცოლ-ქმარივით ცხოვრობენ. დავინახე ღრუბელივით ნისლეული, – უპასუხა ბლიმუნდამ. ბალთაზარი მიწაზე დაეშვა, იქ, სადაც ჯერ არ გადაუვლია გუთანს და სადაც შემოდგომის სიყვითლეშეპარული ბალახი იზრდებოდა, ბალახი წვიმას დაენამა, მაგრამ უბრალო ხალხი განებივრებული არაა, სადაც გინდა, იქ დაჯდება ან დაწვება, ისე, რა თქმა უნდა, უკეთესია, თუ ქალს კალთაში ჩაუდებს თავს. ვფიქრობ, ასე მოიქცა ის კაციც, როდესაც წარღვნამ უკვე დაიწყო ქვეყნიერების წალეკვა. ბლიმუნდამ თქვა: – იმედი მქონდა, იესოს დავინახავდი – ჯვარცმულს ან აღმდგარს, მაგრამ მხოლოდ ის ნისლეული დავინახე. ნულა ფიქრობ მაგაზე. როგორ არ ვიფიქრო, აბა, რაღაა მაშინ რელიგია, მამა ბართოლომეუც არ არის აქ, თორემ აგვიხსნიდა ყველაფერს. ეგებ ვერ აეხსნა, ეგებ ყველაფრის ახსნა საერთოდ შეუძლებელია. წვიმამ უფრო მაგრად დასცხო, თითქოს ეთანხმებოდა თუ, პირიქით, უარყოფდა ბალთაზარის სიტყვებს. ცა მოიდრუბლა, ხის ქვეშ ქალი და კაცი სხედან, მაგრამ ხელში ჩვილი არ უჭირავთ. სიტუაცია მეორდება, ახლა სხვა დროა, სხვა ადგილია, ხეც სხვაა, მაგრამ მაინც, აი, წვიმა კი ძველებურად მოდის, მიწას ეალერსება. წყალი თავად სიცოცხლეა, მაგრამ როდესაც სიცოცხლე ძალიან ბევრია, მაშინ სიკვდილი მოაქვს, მაგრამ ჩვენ ამას უკვე მივეჩვიეთ სამყაროს დასაბამიდან. სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, – თქვა ბლიმუნდამ, – ღრუბლისმაგვარი ნისლეულია.

როდესაც მამა ბართოლომეუ ლოურენსო კოიმბრაში მოეწყო, მაშინვე მისწერა წერილი ბალთაზარს და ბლიმუნდას, შეატყობინა, რომ თავს კარგად გრძნობს და ყველაფერი რიგზეა. მერე მეორე წერილიც მოვიდა, სადაც ეწერა, რომ დროა ჩვენი გმირები ლისაბონში გაემგზავრონ, რაც მალე, მით უკეთესი. და რომ თავად მღვდელი ხშირად

ჩამოვა ხოლმე მათ სანახავად, როდესაც ლექციებს შორის დროს გამონახავს, თანაც მეფის სასახლეშიც უნდა გამოჩნდეს ხოლმე. ახლა კი მომწერეთ, როგორაა ნების საქმე, ჩვეულებრივი კითხვაა, იფიქრებ, ბალთაზარისა და ბლიმუნდას ნებისყოფის ამბავს კითხულობსო, სინამდვილეში კი სულ სხვა რამ აინტერესებს. იმ ხალხის ნება სჭირდება, რომლებმაც იგი უკვე დაკარგეს. თანაც პასუხს არ ელის, ომში ხდება ხოლმე ასე, სარდალი ბრძანებას იძლევა: წინ! და საყვირის შესაბამისი სიგნალი ისმის, და არავინ უცდის, სანამ ჯარისკაცები ერთმანეთში მოილაპარაკებენ და უპასუხებენ – ჰო, წავალთ, ან არა, არ წავალთ. ასე არ ხდება, ჯარისკაცები დაუყოვნებლივ ემორჩილებიან ბრძანებას, თუ არადა საველე სასამართლო იქვეა. ამ კვირას მივდივართ ლისაბონში, – თქვა ბალთაზარმა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, კიდეც ორი თვე დარჩნენ მაფრაში, რადგან ხმა გავრცელდა, რომ მშენებლობის დასაწყისისთვის მეფე უნდა ჩამოვიდესო და საკუთარი ხელით ჩადოს საძირკველში პირველი ქვა. ეს ხმა მოგვიანებით ამბიონიდანაც დაადასტურა მაფრელმა მღვდელმა. ჯერ თქვეს, რომ მეფე ოქტომბერში ჩამოვაო, მაგრამ იმ დროსათვის საკმარისი სიღრმის ქვაბული ვერ ამოთხარეს, თუმცა ექვსასი კაცი მუშაობდა დღე და ღამე, ესე იგი, ნოემბერში ჩამოვა, თვის შუაში, მეტს ვეღარ გადადებენ. რადგან მერე ამინდები გაფუჭდება და ტალახში ხომ არ არბენინებენ მეფეს. ასე რომ, ჩამოვიდეს მისი უდიდებულესობა, რათა სოფელმა მაფრამ ბედნიერება განიცადოს და მისმა მკვიდრებმა ზეცას მაღლი შესწირონ იმისთვის, რომ მეფის ხილვის ბედნიერება ხვდათ წილად, თავს სამოთხის კარად იგრძნობენ, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ციურ სასუფეველს დაიმკვიდრებენ, უფალმა რაც შეიძლება გვიან მოუვლინოთ სიკვდილი. ზეიმს დავესწროთ და მერე წავიდეთო, – გადაწყვიტა ბალთაზარმა.

ალვარო-დიოგომ უკვე დაიწყო მუშაობა, ჯერ პერო-პინეიროდან მოტანილ უზარმაზარ ლოდებს ამუშავებს. ამ ლოდებს ურმებით ეზიდებიან, ურემში რვა, ზოგჯერ ათი წყვილი ხარია შებმული, სხვა მუშები ამასობაში ნაკლებად ფასეული სახეობის ქვებს ჩაქუჩებითა და წერაქვებით ამტვრევენ – ეს ქვა საძირკვლისათვისაა, ქვაბულის სიღრმე უკვე ექვსი მეტრია. ეს ახლა ვზომავთ მეტრობით, მაშინ კი მტკაველს ხმარობდნენ, ასევე ზომავდნენ მაშინ ადამიანებსაც, მაგალითად, ბალთაზარი შვიდი მზე ჟუან V-ზე მაღალია, მაგრამ მეფე არაა, ალვარო-დიოგოც არაა ტანმორჩილი, მაგრამ ქვისმთლელია – ქვას ამტვრევს, აპრიალებს, ცხოვრებაში მეტსაც მიაღწევს – მარმარილოს ოსტატი გახდება, ისე კედლის სწორად ამოყვანაც არაა ადვილი საქმე, ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ფიცრებით და ლურსმნებით მუშაობა, ანუ დურგლობა. დურგლებიც არ დარჩნენ უსაქმოდ, ხის ეკლესიას აშენებენ, სადაც საზეიმო წირვა გაიმართება, როდესაც მონარქი მობრძანდა. ხსენებული ეკლესიის კარკასი მსხვილი ძელებითაა შეკრული, ისინი ფუნდამენტის ხაზს მიუყვებოდნენ, ესე იგი, მომავალი ბაზილიკის პერიმეტრს, ჭერი ორმაგი იქნება, ზევიდან – ბრეზენტის, ქვევიდან – ტილო, გეგმის მიხედვით ეკლესიას ჯვრის ფორმა აქვს, როგორც წესია. თუმცა ეს ეკლესია დროებითია, მაინც იმ

მომავალი ბაზილიკის მომასწავებელია, რომელიც ქვით აიგება და მის სანახავად მაფრელებმა თავ-თავიანთი საქმე მიატოვეს და ველას ბორცვზე შეიკრიბნენ. ზოგი კი აქ უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო არ მოსულა, მაგალითად, ბალთაზარმა და ბლიმუნდამ დისწული მოიყვანეს, რომ მამა მოინახულოს, სადილობის დროს ინეს-ანტონია მოდის ხოლმე და ქმრისთვის მოთუშული კომპოსტო და ლორი მოაქვს. მთელი ოჯახი შეკრებილა, მხოლოდ მოხუცები აკლიათ. რომ არ გვცოდნოდა, რომ აქ სამეფო მონასტერი შენდება მისი უდიდებულესობის აღთქმის თანახმად, ვიფიქრებდით, რომ ხალხი აქ საკუთარი აღთქმის შესასრულებლად დადის, შვილს მაინც ვერავინ დამიბრუნებს, ფიქრობს ინეს-ანტონია.

რამდენიმე დღის წინათ მაფრაში სასწაული მოხდა. იგი იმაში გამოიხატებოდა, რომ ზღვიდან ძლიერი ქარი მოვარდა და ფიცრული ეკლესია წააქცია. ბოძები, ფიცრები, კოჭები, ტილო ერთმანეთში არეული ეყარა მიწაზე, თითქოს ამიდასტორმა დაჰბერა. იქნებ, ამ დროს ჩვენი რომელიმე გემი ზუსტად გარს უვლიდა ამ კონცხს, რომელმაც ამდენი პრობლემა შეუქმნა მეზღვაურებს, ჰოდა, ამიდასტორმა სამაგიერო გადაგვიხადა და დაჰბერა. თუ ვინმეს გაუკვირდება, რატომ მოვიხსენიებთ ამ უბედურ შემთხვევას სასწაულად, იმაზე დაფიქრდეს, რომ, როდესაც მეფე ჩამობრძანდა მაფრაში და ეს ამბავი შეიტყო, ოქროს მონეტების დარიგებას შეუდგა. ისევე ადვილად არიგებდა მათ, როგორც ჩვენ ვწერთ ამის შესახებ. დურგლებმა კი ორ დღეში აღადგინეს ეკლესია, პირდაპირ სასწაულია, ოქროს მონეტები მრავლდებოდა, როგორც პურები სახარებაში, თანაც მონეტები არა სჯობს პურს? პორტუგალიის მეფე წინდახედული მონარქია, სადაც წავა, ყველგან ოქროთი სავსე ზანდუკი დააქვს ქარიშხლებისა და სხვა უბედურებების გათვალისწინებით.

ბოლოს და ბოლოს, დადგა საძირკვლის ჩაყრის დღე. დონ ჟუან V-მ ვიკონტის სასახლეში გაათია ღამე, შესასვლელს მაფრელი პოლიციელები და მეფის ჯარიკაცები იცავდნენ. ბალთაზარმა გადაწყვიტა, მანსი ხელიდან არ გაეშვა და ჯარისკაცებს გამოლაპარაკებოდა. სულ ტყუილად, ვერც ერთი ნაცნობი ვერ ნახა, არც არავის არ დარჩენია სასიამოვნოდ ომის მოგონებანი. რას დარწობილხარ აქ, კაცო, მალე მისი უდიდებულესობა უნდა გამოვიდესო. ასე რომ, ბალთაზარი ველას ბორცვისაკენ გაეშურა, ბლიმუნდაც თან ახლდა. გაუმართლათ, ეკლესიაში შეაღწიეს. ტადარი შიგნით ისე იყო მორთული, თვალს ვერ მოსწყვეტდი: L ჭერზე მეწამული და ოქროსფერი აბრეშუმის გაეკრათ, კედლებზე – არასული მაუდი, კარებსა და ფანჯრებზე წითელი ფარდები ეკიდა, ოქროსფერი სირმებითა და ფოჩებით. როდესაც მეფე მობრძანდება, ჯერ ფართო ჭიშკარში გამოივლის, სადაც წმინდა პეტრესა და წმიდნა იოანეს უზარმაზარი გამოსახულებები ჰკიდია. ეს გამოსახულებები სასწაულმოქმედეა – ხეიბრებს კურნავს,

რომლებიც აქ, ამ ტაძრის შესასვლელში ითხოვენ მოწყალებას. ტაძარს იერუსალიმი ჰქვია, მომავალი სასწაულების იმედით დაარქვეს ასე. ზევით კიდევ ერთი ტილოზე დაქარგული გამოსახულებაა – წმინდა ანტონიუსი. მეფის აღთქმის თანახმად, ის ამ ბაზილიკის პატრონია, თუ ჯერ კიდევ არ გვითქვამს ამის შესახებ; ასე თუ ისე, ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, ბევრმა წყალმა ჩაიარა, იქნებ დაგვაგვიწყდა კიდეც! როგორც ვთქვით, ეკლესია ძალიან ლამაზია, დაუჯერებელია, რომ ეს მხოლოდ ფიცრები და ბრეზენტია და ორ დღეში ყველაფერს დაშლიან, მთავარი საკურთხველიდან მარცხნივ – ეს საკურთხველი მთავარია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ერთადერთია, ესე იგი, მარცხნივ, თუ პირით დგახარ, ექვსაფეხურიან კვარცხლბეკზე ძვირფასი თეთრი ნაჭრით მორთული ჩარდახი დგას, მის პირდაპირ სამსაფეხურიან კვარცხლბეკზე უფრო მომცრო ჩარდახია, ამ წვრილმანებს იმიტომ აღვწერთ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ვინ ვართ ჩვენ, უბრალო უვიცები, სარწმუნოებისა და მისი მეცნიერების სანაცვლოდ ურწმუნოება და მისი შესაბამისი მეცნიერების დრო მოვიდა. რა ვიცი, ვინ წაიკითხავს ამ წიგნს, ასე რომ, თავს ვიზღვევთ. დიდ ჩარდახში ის ტანისამოსი აწყვია, რომელიც მალე დონ ტომას დი ალმეიდამ, პატრიარქმა უნდა ჩაიცავს და ვერცხლის ნივთები, რომლებიც წმინდა ლიტურგიისათვისაა საჭირო. ასე რომ, ეკლესიაში ყველაფერი რიგზეა, განივი ნავის მარცხენა ნაწილში მაგალობლებისათვის ქოროვია გამართული, ზედ მეწამული ფარჩაა გაკრული, ორგანიც იქვეა, თავის დროზე აჟღერდება, იქვე, საგანგებო მერხზე, სამღვდლოება დაბრძანდება, რომელიც პატრიარქის ამაღლს შეადგენს. მარჯვნივ კი ფიცარნაგია, იქ ჟუან V მოთავსდება ცერემონიის დროს, ჯარისკაცები კი ქვემოთ დაწყობილ სკამებზე დასხდებიან. მიწაზე ბალახი და ლერწამი გაფინეს, ზევიდან მწვანე მაუდი დააგეს, აქედან ჩანს, რომ პორტუგალიელებს მწვანე და წითელი ფერის სიყვარული ოდითგანვე მოსდგამთ. ორივე ეს ფერი ჩვენს რესპუბლიკურ დროშაზეცაა.

პირველ დღეს ჯვარი აკურთხეს, უზარმაზარი, ხუთი მეტრის სიმაღლის, გიგანტ ამიდასტორს უფრო შეეფერება, ან თავად უფალ ღმერთს. ამ ჯვრის წინ ყველა პირქვე დაემხო, მათ შორის მეფეც, თან ღვთისმოსაობის გამო ცრემლიც დაღვრა, ჯვრის თაყვანისცემის ცერემონიალის დასრულების შემდეგ ოთხმა მღვდელმა ჯვარი წამოაყენა და ქვის კვარცხლბეკზე დაამაგრა, რომელიც წინასწარ მოემზადებინათ. ეს ქვა ალვარო-დიოგოს არ დაუმუშავებია. ქვაში ხვრელი იყო გაკეთებული, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ ჯვარი ღვათებრივი სიმბოლოა, ჰაერში მაინც ვერ გაჩერდება. ხალხი სხვა საქმეა, უხვრელოდაც შეუძლია სწორად დგომა, თუ სურვილი იქნა. ორგანი გუგუნებდა, ფლეიტები მღეროდნენ, მათ მაგალობლები ეხმიანებოდნენ, გარეთ ის ხალხი იდგა, რომელმაც ეკლესიაში შეღწევა ვერ მოახერხა ჭყლეტის გამო თუ იმიტომ, რომ ძალიან ჩამოძონძილები იყვნენ. ასე რომ, შორიდან მოსული გლეხები ორგანის და მაგალობლების გამოძახილით დაკმაყოფილდნენ, ასე გავიდა პირველი დღე.

მომდევნო დღე კი დიდი შეშფოთებით დაიწყო. ზღვიდან ისევ მოვარდა ძლიერი ქარი, ხის ნაგებობა ჭრიალებდა, მაგრამ გადარჩა, ქარიც ჩადგა. ეს რა დღე გავვითენდაო, ამბობდა ხალხი, ღვთის წყალობით ათას შვიდას ჩვიდმეტი წლის ჩვიდმეტი ნოემბერი. ამ დღესაც ბევრი საზეიმო ცერემონია შედგა, უკვე დილის შვიდ საათზე, როდესაც სუსხი ჯერ კიდევ ძვალ-რბილში ატანდა, ბორცვზე სამღვდელოება შეიკრიბა, ხალხის დიდმა მასებმა მოიყარა თავი, თუმცა ჩვენს თავზე ვერ ავიღებთ, ვამტკიცოთ, რომ ეს გამონათქვამი, რომელიც მომავალში ასეთი პოპულარული გახდა საგაზეთო სტატიებში, უკვე იმ შორეულ დროში იხმარებოდა. მეფე ცხრის ნახევრისთვის მობრძანდა. დილის ცხელი შოკოლადი უკვე მიირთვა, საუზმეზე პირადად ვიკონტი ემსახურებოდა. მონარქის გამოჩენისთანავე ლიტანიობა დაიწყო, წინ სამოცდაათი არაბიდელი ფრანცისკანელი მიდიოდა, შემდეგ ადგილობრივი სამღვდელოება, მას უკან – პატრიარქის ჯვარი, ექვსი კაცი იასამნისფერ მოსასხამებში, მუსიკოსები, სტიქაროსნები, შემდეგ, ცოტა მოშორებით, რათა პროცესიის ეფექტი გაძლიერებულიყო, თეთრანაფორიანი მღვდლები, ჯარისკაცები, პაჟები და პატრიარქი. მას უძვირფასესი მიტრა ამშვენებდა, რომელიც ბრაზილიური პატიოსანი ქვებით იყო მორთული, პროცესიის ბოლოში კი მეფე მიდიოდა თავისი ამალით, მაფრის მუნიციპალიტეტის და მოსამართლის თანხლებით, აგრეთვე კორეჟედორი და უამრავი სხვადასხვა ხალხი, დაახლოებით სამი ათასი კაცი და ეს ყველაფერი ერთი რაღაც ქვის გულისთვის ხდება, ამ ქვის გულისთვის შეიყარნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი, საყვირისა და ლიტავრების ხმა ისმის, მუსიკა სხეულს სიმხნევებს და სულს სიხარულს ანიჭებს. აი, კავალერია და ქვეითებიც გამოჩნდნენ, მათთან ერთად – გერმანული ლეიბ-გვარდია, სოფელ მაფრას ასეთი თავყრილობა არ ახსოვს, მაგრამ ეკლესია ყველას ვერ დაიტევს, შიგნით მხოლოდ ბატონები შედიან, უბრალო ხალხიდან კი – მხოლოდ ის, ვინც მოახერხებს და შეუმჩნევლად გაძვრება. ჯარიკაცებმა მისალმება შემოსძახეს, ქარიც ჩადგა, ახლა ზღვიდან მხოლოდ მსუბუქი ბრიზი უბერავს, დროშებსა და ქალების კაბებს არხევს, სული აღმაფრენას განიცდის, გული მღერის და წმიდა რწმენითაა ანთებული, თუკი ვინმეს ნება გარეთ გამოსვლას აპირებს, ბლიმუნდა აქაა, ნება ტყუილად არ დაიკარგება და ვარსკვლავებისკენ არ გაფრინდება.

საძირკველი, ქვაკუთხედი და იაშმის ზანდუკი აკურთხეს. ეს ზანდუკი საძირკველში ჩაატანეს, შიგნით იმდროინდელი მონეტები, მედლები და პერგამენტის გრაგნილი იდო. პერგამენტზე მეფის აღთქმა ეწერა. პროცესიამ კიდევ ერთი წრე დაარტყა ეკლესიას, რათა მუხლმოდრეკილი ხალხი კვლავ დამტკბარიყო მისი ხილვით. მუხლის მოყრის მიზეზი კი მრავლად იყო: ხან ჯვარი გამოჩნდებოდა, ხან – პატრიარქი, ხან – მეფე, ხან ეპისკოპოსები, ხალხი აღარ დგებოდა ფეხზე. ბოლოს და ბოლოს მეფე, პატრიარქი და მათი რამდენიმე თანმხლები პირი იმ ადგილს მიუახლოვდნენ, სადაც პირველი ქვა უნდა ჩაედოთ, ოცდაათსაფეხურიანი ხის ფართო კიბით ქვაბულში ჩავიდნენ, ხის

საფეხურების რაოდენობა ოცდაათ ვერცხლს განასახიერებდა, სიგანით კი ორი მეტრი მაინც იქნებოდა. პატრიარქი ქვას მოათრევდა, უკან სამღვდელოება მოჰყვებოდა, სხვებს ზანდუკი მოჰქონდათ, მეფე ბერნარდინელთა ორდენის მეთაურის თანხლებით მოდიოდა, რომელსაც მოწყალეების მთავარი დამრიგებლის თანამდებობა ეჭირა და ამიტომ ფული მუდამ თან დაჰქონდა.

ასე რომ, მეფე ოცდაათ საფეხურზე დაემვა მიწის წიაღში, თითქოს ამქვეყნიურ ცხოვრებას დამშვიდობებოდეს, ან ჯოჯოხეთში ჩასულიყოს საკუთარი ფეხით, თუმცა ეს უკანასკნელი ვარაუდი მართებული არაა, მეფე საიმედოდაა დაცული ამ უბედურებისაგან კურთხევით, ლოცვებითა და მირონით. ქვაბული კედლებიც არ ჩამოიშლება, მშვიდად ბრძანდებოდეთ, თქვენო უდიდებულესობავ, შეხედეთ, რა მსხვილი კოჭები შევუყენეთ, საუკეთესო ხარისხის ბრაზილიური ხისაგან გამოვთალეთ. აი, წითელი ფარჩაგადაფარებული სკამი, ეს ფერი ფართოდ გამოიყენება სახელმწიფოებრივი მასშტაბის საზეიმო ცერემონიებში, დროთა განმავლობაში ეს ფერი თეატრალურ ფარდებზეც გახდება პოპულარული, სკამის გვერდით ნაკურთხი წყლით სავსე ვერცხლის ვედრო დგას და მწვანე ბალახისგან შეკრული ორი პატარა ცოცხი აწყვია, სახელურები აბრეშუმის ბაფთებითა და ვერცხლის ფოჩებითაა მორთული. ერთი მუშა კირს ასხამს ღრმულში და მეფეს ქაფჩას აწვდის, ქაფჩა სუფთა ვერცხლისაა, მეფე ნაკურთხ წყალს ასხამს კირში და კირს ქაფჩით უსვამს ქვას. აი, მზადაა, ახლა მის უდიდებულესობას შეუძლია ზევით ავიდეს, მონასტერს კი მუშები დაასრულებენ, ახლა უკვე სხვა ქვების ჩაწყობაც შეიძლება საძირკველში, ბატონმა დიდებულებმა თორმეტი ქვა ჩაიტანეს ქვაბულში – მოციქულთა დროიდან მოყოლებული, ეს რიცხვი ბედნიერად ითვლება, ქვებთან ერთად ვერცხლის ყუთებში ჩაყრილი კირიც მოაქვთ. ბატონმა ვიკონტმა გადაწყვიტა, თავი გამოეჩინა და მუშების მიბაძვით თავზე შემოიღო ყუთი. ამ ხერხით მან უდიდესი ღვთისმოსაობის მაგალითი მისცა ყველას; დროზე არ დაიბადა, თორემ ნამდვილად იესოს შეეშველებოდა ჯვრის ზიდვაში, აი, კირს აქცევს, ფრთხილად, არ დაიწვიათ, ბატონო ვიკონტ. ისე კი ეს ცერემონიის ღირსეული დაგვირგვინება იქნებოდა, მაგრამ კირი ჩამქრალა, ბატონო, უკვე ჩააქრეს დიდი ხანია, როგორც ზოგიერთი ადამიანის ნება, – იტყოდა ამაზე ბლიმუნდა.

მეორე დღეს, როგორც კი მეფე დედაქალაქში გაემგზავრა, ხის ეკლესია დაინგრა, ქარიც კი არ დასჭირვებია, უბრალოდ წვიმა მოვიდა. ფიცრები და ძელები აკრიფეს, სხვა მიზნებისთვის გამოდგება, მაგალითად, ხარაჩოების შესაკრავად, ან ფიცარნაგის დასაგებად, გემის კაიუტების მოსაპირკეთებლად, ხის საბოების გამოსათლელად, ბრეზენტის, ფარჩა, აბრეშუმი, მაუდი თავის ჩვეულ საქმიანობას დაუბრუნდება, ვერცხლი ხაზინაში დაბრუნდება. აზნაურებმა თავიანთ აზნაურულ საქმიანობას მიხედეს, მუსიკოსებმა და ჯარიკაცებმა – თავიანთს, მხოლოდ არაბიდელი ფრანცისკანელები

დარჩნენ მაფრაში, თვალს არ აცილებენ მშენებლობას, ასევე ადგილზე დარჩა კვარცხლბეკზე აღმართული ხუთმეტრიანი ჯვარი.

ქვაბულში ისევ ჩავიდა ხალხი, რადგან ზოგ ადგილას სიღრმე საკმარისი არ იყო, მისმა უდიდებულესობამ ეს ვერ შეამჩნია, გამგზავრებისას კი თქვა, აბა, ცოტა გაინძერით, სწრაფად დაამთავრეთ ეს საქმე, თორემ აღთქმა ექვსი წლის წინათ დავდე, აღარ შემძლია, ფრანცისკანელებმა გული შემიწუხეს, სულ კუდში დამსდევენ, მეკითხებიან, როდის აშენდება ჩვენი მონასტერიო, ასე რომ, ფულის პრობლემა არ იქნება, დახარჯეთ, რამდენიც დაგჭირდებათ, ოღონდ ამ საქმეს საშველი დააყენეთ. დიახ, ასე თქვა, ოღონდ, რა თქმა უნდა, ცოტა სხვა სიტყვებით. მაგრამ ლისაბონში ხაზინის უფროსმა მოახსენა, იცით, თქვენო სამეფო უდიდებულესობავ, მონასტრის საძირკვლის კურთხევის ცერემონიალზე ზუსტად ორასი ათასი კრუზადო დაიხარჯა. ჩაიწერე ეს ციფრი ხარჯთაღრიცხვაში! – მიუგო მეფემ. ასე იმიტომ თქვა, რომ, როდესაც მშენებლობა დასრულდება, იცოდეს, რა თანხა დაუჯდა ეს მონასტერი, გასაღვლები, ქვითრები, საბუღალტრო წიგნები – ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მსხვერპლსა და დაშავებულებს არავინ დაითვლის, ძალიან იაფია და იმიტომ.

აღწერილი მოვლენებიდან ერთი კვირის თავზე ბალთაზარ შვიდი მზე და ბლიმუნდა შვიდი მთვარე ლისაბონის გზას გაუდგნენ. ამქვეყნად ყველას თავისი მისია აკისრია, ზოგი მაფრაში უნდა დარჩეს და კედლები აშენოს, ჩვენ მფრინავი მანქანის ასაგებად მივეშურებით, და კიდევ ადამიანების ნების შესაგროვებლად, რომ მისი საშუალებით ჰაერში ავიდეთ, რადგანაც ადამიანები იგივე ანგელოზები არიან, ოღონდ უფროდ დაბადებულნი. საქმეც ესაა, უფროდ დაიბადო და მაინც გაფრინდე, ამაშია მთელი სილამაზე, ამისთვის მოგვცა ღმერთმა ჭკუა. თუ ჭკუა მოგვცა, ფრთებიც გვექნება, მშვიდობით, მამა, მშვიდობით, დედა! სინამდვილეში ბალთაზარმა და ბლიმუნდამ მხოლოდ მშვიდობითო, თქვეს, ასეთ ფრაზებს ვერ მოიფიქრებდნენ, და მოხუცებიც ვერ გაიგებდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში მოიძებნება ვინმე, ვინც წარმოიდგენს, რომ ასეთი რამ შეიძლება თქმულიყო და მისი მონაგონი რეალობაზე დამაჯერებელი იქნება. მართალია, ისეთ სიტყვებს ამბობს, მათ მაგიერ ვერაფერს ვერ გამოიგინებ, მშვიდობით, ალბათ, მეტს ვეღარ გიხილავთ. ეს სიტყვები ყველა სიმართლეზე დიდი ჭეშმარიტებაა, რადგან ბაზილიკის კედლები ერთი მეტრითაც ვერ მოასწრებენ გაზრდას, რომ მართა-მარიას დაასაფლავებენ. ჟუან-ფრანსისკო კი თითქოს ერთბაშად დაბერდება და დროის უმეტეს ნაწილს სამზარეულოს ჩარდახქვეშ იჯდება გაუძრევლად. უაზრო, გაჩერებულ მზერას შორეთს მიაპყრობს, ახლაც იქ ზის და უყურებს, როგორ მიდიან სახლიდან მისი ვაჟი ბალთაზარი და ქალიშვილი ბლიმუნდა. ქალიშვილს ეძახის, რძალი მოსაწყენი სიტყვაა, ცოლი ჯერჯერობით მასთანაა, მაგრამ უკვე ამ ქვეყნისა აღარ არის, ერთი ფეხით იმ ნაპირზე დააბიჯა, ხელები მუცელზე უწყვია, მუცლით ადრე სიცოცხლეს ატარებდა, ახლა კი სიკვდილს ატარებს, მისი წიაღიდან ბავშვები გამოდიოდნენ, მათგან

ორი შერჩა ცოცხალი, ახლანდელი ნაყოფი კი აღარ მოევლინება ქვეყანას, ეს მისი სიკვდილია. აღარ ჩანან, შევიდეთ სახლში! – ამბობს ჟუან-ფრანსისკო.

ახლა დეკემბერია, დღეები მოკლეა, ცა ღრუბლებითაა დაფარული, ბინდი ადრე წვება, ამიტომ ბლიმუნდას და ბალთაზარს გზაში გაჩერება მოუწიათ. მორელენში, სათივეში მივიდნენ და პატრონს უთხრეს, მაფრელები ვართ, ლისაბონში მივდივართ. პატრონმა ნახა, რომ წესიერი ხალხია, საბანი მისცა და ღამის გასათევად შეუშვა. კიდევ არიან ამქვეყნად კეთილი ადამიანები. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამ ორს ერთმანეთი უყვარს ხორციით, სულით და ნებით. როდესაც ჩახუტებულები წვანან, ხორცს უხარია, სულიც და ნებაც აღმაფრენას განიცდის, თავის წილ ბედნიერებას ისინიც იღებენ. სათივეში გამაბრუებელი სურნელი ტრიალებს: თივის, ხარების, რომლებიც ბაგაში დგანან; სიცივის, რომელიც ფანჯრიდან შემოდის, და მთვარის, რადგანაც, ცნობილია, რომ ღამეს სხვანაირი არომატი აქვს, ბრმაც კი არჩევს ღამეს დღისაგან – მთვარიანი ღამეო – იტყვის. ხალხი ფიქრობს, ეს წმონდა ლუციამ, ბრმების მფარველმა, მოავლინა სასწაული, სინამდვილეში კი საკმარისია ჰაერი ღრმად შეისუნთქო და მართლაც, რა ღამაში მთვარეა!

დილით, გარიჟრაჟზე, ბლიმუნდამ პური შეჭამა, საბანი აკეცა. ის მხოლოდ და მხოლოდ ქალია, ყოველდღე ერთსა და იმავე მოძრაობებს იმეორებს – აკეცე, დაალაგე, შეინახე. ვერავინ იფიქრებს, რომ ამ ქალს უცნაური ნიჭი აქვს. ამ ღამით მისმა სულმა თითქოს დატოვა სხეული და გარედან აკვირდებოდა საკუთარ თავს და, როდესაც სათივეში პატრონი შემოვა, მადლობის ნიშნად ღამაზად დაკეცილ საბანს ნახავს და ხარებს ხუმრობით ჰკითხავს – აბა, როგორი მესა მოისმინეთ ამდამო? – ხარებს არ გაუკვირდებათ. ამ სიყვარულსა და წმინდა მესას შორის არც არის დიდი განსხვავება.

აი, უკვე ლისაბონის გზაზე გავიდნენ ჩვენი გმირები. ცა მოიღრუბლა, მზე გაუჩინარდა, სამხრეთის ქარმა დაუბერა, და ჭექა-ქუხილის სუნი მოიტანა, ბალთაზარი ამბობს – სადმე თავი უნდა შევაფაროთ, მერე ღრუბლებს ახედა და განაგრძო, – თუ ადამიანის ნება ღრუბელივით ნისლეულია, ვინ იცის, ცაში რამდენი ნება იმალებაო, ბლიმუნდამ კი მიუგო: ის ნისლეული რომ გენახა, რომელიც ადამიანშია, ჩემში ან შენში, მიხვდებოდი, რომ ციური ღრუბლები მასთან შედარებით არაფერია. შენ ხომ არც ჩემი ნისლეული გინახავს, არც შენი საკუთარი. საკუთარ ნებას ვერავინ დაინახავს, შენში კი არასდროს ჩავიხედავ, ხომ გახსოვს, რომ დავიფიცე, მაგრამ დედაჩემი არ შემცდარა შენში, ბალთაზარ, არც მჭირდება შენში ჩახედვა, როდესაც ჩემს გვერდით ხარ, თითქოს ჩემი არსების ნაწილი ხარ. თუ შენზე ადრე მოკვდი, გთხოვ, ჩემს შიგნით ჩაიხედო. რომ მოკვდები, შენი ნება გაფრინდება. ვინ იცის...

წვიმა არ წამოსულა. ღრუბლები ქარმა სამხრეთისკენ გარეკა, ცა თითქოს დაბალი გახდა და ლისაბონის შემოგარენის ბორცვებს შეერწყა. ბუნება ზოგჯერ კეთილია, ღრუბლებმა

გადაილაპარაკეს, აი, გზაზე ქალი და კაცი მოდიან, ნუ დავასველებთო. ბლიმუნდა და ბალთაზარი მამულის ჭიშკარში შევიდნენ, ბელლის კარი გააღეს. ბალთაზარი ხელით შეეხო მფრინავ ნიჟარას, რკინამ და მავთულმა დაიკვნესეს, მაგრამ რისი თქმა უნდოდათ, ვერავინ გაიგო.

რკინა დაჟანგებულა, ტილოს ობი მოჰკიდებია, წნელი გამხმარა. ბალთაზარმა ორჯერ შემოუარა მანქანას და უკმაყოფილოდ გააქნია თავი. კაუჭით სინჯავდა რკინის ნაწილებს, მგონი, უნდა დაიშალოს და თავიდან აიწყოსო, თქვა ბოლოს, მამა ბართოლომეუ ლოურენსოს გარეშე სამუშაოს დაწყებას აზრი არა აქვს, კიდევ დავრჩენილიყავით ცოტა ხანს მაფრაში, არ სჯობდა? რაკი თქვა, ჩამოდითო, ესე იგი, მალე გამოჩნდება.

სანამ მამა ბართოლომეუ ჩამოვა, სამჭედლო მოაწყვე, თქვა ბლიმუნდამ. საბერველი როგორ გავაკეთო? სამჭედლოში წადი და ნახე როგორაა მოწყობილი. ამდენ ხათაბალას სჯობს, ვიყიდოთ, მამა ბართოლომეუმ ხომ ფული დაგვიტოვა. ვინმე ცნობისმოყვარემ რომ იკითხოს, რად უნდა ბალთაზარ შვიდ მზეს საბერველი, მჭედელი ხომ არ არისო? სჯობს თავად გააკეთო.

ბალთაზარი მარტო არ მუშაობდა, თუმცა ამ საქმეში ორმაგი ხედვა აუცილებელი არაა, ბლიმუნდას უფრო მახვილი თვალი აქვს. ხაზსაც უფრო ზუსტად ავლებს, ისე კატასტროფულადაც არ ერევა სხვადასხვა ნაწილის ზომები და მათი ურთიერთმიმართება, სანათურის ზეთით ხატავს კედელზე საბერველს, მილს, საიდანაც ჰაერი გამოდის, ხის ჩარჩოს, კაცილა აკლია, რომელიც ამ საბერველს მოხერხებულად ხმარობს. ბელლის ერთ კუთხეში კვადრატულად ამოიყვანეს დაბალი ხის კედლები. შიგნიდან ქვიშითა და ხრეშით ამოავსეს. ამ მიზეზით ჰერცოგ დი ავირუს მამულის ღობე ალაგ-ალაგ ცოტათი დაზიანდა. რას იზამდნენ, ქვა დასჭირდათ, მართალია, სამეფო მშენებლობისათვის არა, როგორც მაფრაში, მაგრამ ესეც მეფის ნებართვით გაკეთდა, ისე მეფეს, ალბათ, სულაც გადაავიწყდა პასაროლა, არც დაინტერესებულა, კიდევ აქვს მამა ბართოლომეუ ლოურენსოს ცაში გაფრენის იმედი თუ ეს მხოლოდ სამი უცნაური ადამიანის ფუჭი ოცნებაა, და უკეთესი იქნებოდა, მღვდელს ღვთის სიტყვა ექადაგა, ბლიმუნდას მიწისქვეშა წყაროები ეძებნა, ბალთაზარს კი მოწყალება ჩამოეთხოვა. ხომ ნათქვამია, ფრენა მხოლოდ ანგელოზებს და სატანას შეუძლიათო. გახსოვთ, სატანამ იესო ტაძრის სახურავზე რომ აიყვანა, კიბით ხომ არ აუყვანია, ააფრინა და უთხრა, გადახტო, ის კი არ გადახტა. ოდესმე ადამიანებიც გაფრინდებიან, – თქვა მღვდელმა, როდესაც თითქმის დამთავრებული აუზი დაინახა, რომელშიც რკინის ნაწილები უნდა გამოწრთობილიყო.

უკვე ბევრი ნება შეაგროვე, ბლიმინდა? – იკითხა მან იმ საღამოსვე, ვახშმობისას. ოცდაათამდე. ცოტაა, ისე უფრო მეტი რომელია – კაცებისა თუ ქალების? კაცების,

ქალების ნება ასე ადვილად არ ტოვებს სხეულს. ნეტავ, რატომ? ახლა კი მოდით, სერიოზულად მოვილაპარაკოთ! – თქვა მამა ბართოლომეუ ლოურენსომ, ახლა ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული, საბერველს მე გიშოვით, მაგაზე თავს ნუ აიტკივებთ, მაგრამ მანქანისთვის ბევრად დიდი დაგვჭირდება, მე მოგიმზადებთ ნახაზს, თუ ქარი ჩადგება, საბერველი ამუშავდება, შენ კი, ბლიმუნდა, გახსოვდეს, ორი ათასი ნება მაინც მჭირდება, შენი შეგროვილი ოცდაათით ცხენი პეგასიც კი ვერ აფრინდება, აბა, წარმოიდგინეთ, რა უზარმაზარია ჩვენი დედამიწა, ის ძირს გვექაჩება, მზე, რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს, მაინც ვერ იზიდავს თავისკენ დედამიწას, რომ ავფრინდეთ, ყველა ძალა უნდა გავაერთიანოთ – მზის, ქარვის და მაგნიტების მიზიდულობა და ხალხის ნება, ნება აქ მთავარია, ასე რომ, წადი უფლის სხეულის დღესასწაულის საზეიმო პროცესიაზე, პროცესიების დროს, უნდა ითქვას, ნება სუსტდება, ასევე ხდება კორიდაზე და აუტოდაფეს დროსაც, სულს მღელვარება და სიგიჟე ეუფლება, ნისლეული მკვრივდება და იმღვრევა, როგორც ომში, და ადამიანს ბნელეთი ეუფლება.

ბალთაზარმა იკითხა, კი, მაგრამ მე რაღა ვქნა ამასობაშიო? შენი საქმე გააგრძელე, დიდი ჩიტვით მანქანა უნდა გამოვიდეს, აი, ახალი ნახატი, ზომებიც მითითებული მაქვს, ქვემოდან დაიწყე, ვითომ გემს აშენებ, რკინის კარკასს ტირიფის წნელს შემოაწნავ, მე ხშირად ჩამოვალ, რკინა უნდა ვიყიდოთ, ტირიფის წნელს აქვე, ჭალაში, დაჭრი, ყასაბისაგან ტყავებს იყიდი – საბერველისთვის გამოგვადგება, აი, ფულსაც გიტოვებ, ვირიც იყიდეთ, სიმძიმეების გადაზიდვაში მოგეხმარებათ, დიდი კალათებიც უნდა შევიძინოთ, თივის მარაგიც გვჭირდება, თივას კალათებში ჩაწყობილ დეტალებს გადააფარებთ, ცნობისმოყვარეების შეკითხვები არ გვჭირდება, საიდუმლო უნდა შეინახოთ, ერთი სიტყვაც კი არ უნდა დაგცდეთ ნათესავებსა და მეგობრებთან, თუ ვინმე არამკითხე მოვა, უთხარით, რომ მამულს მეფის ბრძანებით სდარაჯობთ, მეფის წინაშე კი მე ვარ პასუხისმგებელი, მე, მამა ბართოლომეუ ლოურენსო დი გუსმანი. როგორ, როგორო? ბალთაზარმა და ბლიმუნდამ, დი გუსმანიო? ჰო, ასე მქვია ამიერიდან, ეს ჩემი აღმზრდელი მღვდლის გვარია, მაგრამ შენთვის და ბალთაზარისთვის ისევ ბართოლომეუ ლოურენსოდ დავრჩები, გუსმანს სასახლესა და აკადემიაში მეძახიან, თეოლოგიის მომავალ დოქტორს შესაფერისი სახელიც სჭირდება. ადამს მხოლოდ ერთი სახელი ჰქონდა, თქვა ბალთაზარმა. უფალს საერთოდ არა აქვს სახელი, მიუგო მღვდელმა, არც შეიძლება ჰქონდეს, სამოთხეში კი მხოლოდ ერთი მამაკაცი იყო და სახელიც ერთი სჭირდებოდა. ევაც უბრალოდ ევა იყო და მორჩა, – ჩაურთო ბლიმუნდამ. ევა დღესაც მხოლოდ ევაა, მე მგონი, ამ ქვეყანაზე მხოლოდ ერთი ქალია, ოღონდ ეგ არის, სხვადასხვა სახით გვევლინება, სხვა სახელი რა საჭიროა, აი შენ, ბლიმუნდა, გჭირდება შენი მეტსახელი დი ჟეზუსი? მე ქრიტიანი ვარ! მერე მაგაში ეჭვი ვის ეპარება?

– მიუგო მღვდელმა, მაგრამ ხომ გესმის, თუ ვინმე ასეთი ხერხით ატარებს თავის რწმენას, ეს ფუჭი სიტყვებია და მეტი არაფერი, გინდა ბლიმუნდა გერქვას, გინდა ევა.

მღვდელი კოიმბრაში დაბრუნდა, ჯერ ბაკალავრი გახდა, მერე ლიცენციატი, მალე დოქტორიც გახდება. ბალთაზარი კი რკინას აწრობს, ბლიმუნდა ტყავებს აშრობს, ორივე ერთად წნელებს ჭრის, ერთმანეთისა უსიტყვოდ ესმით. ასე გავიდა ზამთარი, მერე – გაზაფხული. მღვდელი რამდენიმეჯერ ჩამოვიდა, ზანდუკში ყვითელი ქარვის ბურთები შეინახა. სად იშოვა, ღმერთმა უწყის. მანქანა დაათვალიერა, ნების ამბავი იკითხა, რჩევები მისცა და კოიმბრაში წავიდა, დეკრეტალიებს და მათ კომენტარებს დაუბრუნდა, ახლა უკვე სტუდიოზუსი კი არაა, თავად კითხულობს ლექციებს, Iურის ეცცლესიასტიცი უნივერსი ლიბრი ტრე, ჩოლევტანეა დოცტორუმ ტამ ვეტერამ ქუამ რეცენტიორუმ ინ იუს პონტიფიცუმ უნივერსუმ, ლეპორტორიუმ იუვის ცივილის ეტ ცანონიცი, ეტ ცოეტერა, მაგრამ არც ერთ ტექსტში არ წერია, გავფრინდებითო.

ივნისში ლისაბონში სამწუხარო ამბავი გავრცელდა – წელს უფლის სხეულის ზეიმი არ იქნება: აღარც გიგანტების ფიგურები, აღარც ფერადი ქალაღდის გველები და ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულები, არც სახუმარო ტავრომანხია, არც ცეკვა, ქსილოფონები და სალამურები. აბა, რაღა დღესასწაულია, თუ მასხარები ქუჩებს თავიანთი ზანზალაკების ჩხარუნით არ გააყრუებენ. ფრიელასელ ქალებს შაკონას ცეკვას აუკრძალავენ, არც ხმლებით ცეკვა იქნება, გუდა-სტვირები და ტამბურინები დადუმდებიან, ურმებით ციხე-სიმაგრეთა მოდელებს არ ჩამოატარებენ, არც წმინდა პეტრეს ნავი იქნება, არც ნიმფები და სატირები – უამისოდ რაღა მხიარულება გამოვა?!

ხალხი მაინც იკრიბება ტერეირო-დო-პასოზე, მოედანზე სამოცდაერთსვეტიანი კოლონადა აღუმართავთ, სვეტების სიმაღლე 8 მეტრია, შენობა სიგრძით ექვსასი მეტრია, ოთხი ფასადი აქვს და უთვალავი რელიეფი და მედალიონი. ხალხს მოეწონა ახალი სტილის მორთულობა, სხვა ქუჩებიც მორთულია, ყველგან კარვები და ჩარდახებია, სახლები ოქროქსოვილითა და წითელი აბრეშუმითაა მორთული. ყველგან მოოქროვილი ფარები გამოუფენიათ. მათზე გერბებია ამოტვიფრული: ერთზე – წმინდა სანაწილე, მეორეზე – პატრიარქის ემბლემები, მესამეზე – სენატის პალატის და ა. შ. ფანჯრები ნახე, ფანჯრები! – მათზეც ფერად-ფერადი ფარდები ჩამოუფარებიათ. და ხალხი თითქოს კმაყოფილია, ერთი ზეიმი წაართვეს, სამაგიეროდ, მეორე მიიღეს. თანაც იუველირთა გილდიამ განაცხადა, რომ მთელ ქალაქში ილუმინაციის მოწყობას საკუთარ თავზე იღებს, და ახალი ქუჩის ას ორმოცდაცხრა სვეტს თავიდან ბოლომდე ატლასი და აბრეშუმი შემოაკრეს. ხალხი სეირნობს, თითსაც არ აკარებს მდიდრულ ქსოვილებს, მხოლოდ ცქერით ტკბება, დუქნებიც საზეიმოდაა მორთული, საქონელი ღია დახლებზე გამოუფენიათ, მაგრამ ყოველი მაღაზიის შესასვლელთან შავი მონა დგას, ცალ ხელში კომბალი უჭირავს, მეორეში – დანა, ვინც თავს ზედმეტის უფლებას მისცემს, მაგრად

მოხვდება, პოლიციელებიც აქვე არიან. აბა, მობრძანდით ლიმოეიროში! ამიტომ ასეთი ზეიმების დროს ქურდობა იშვიათია.

ნებასაც არავინ მოიპარავს. სავსე მთვარეა, ამ დროს ბლიმუნდას თვალებს ძალა ეკარგებათ, ამიტომ თავს მშვიდად გრძნობს. ცოტა ხანს მაინც დაისვენებს, უცებ უეცარმა აზრმა შეაშფოთა და ჩუმად გადაულაპარაკა ბალთაზარს: ნეტავ უფლის სხეულში როგორი ნისლეულია, უფლის ხორციელ განსახიერებაშიო. ბალთაზარმა ასევე ჩუმად ჩასჩურჩულა, ალბათ, ისეთი, რომ პასაროლას მარტო აწევდა ჰაერში.

ვაპატიოთ ცალხელასა და ნათელმხილველს ეს საოცარი საუბარი, მათ ხომ ყველაფერი ისე არა აქვთ, როგორც სხვა ადამიანებს, ყველაფერზე საკუთარი წარმოდგენა აქვთ და სულ მალალ მატერიებზე ფიქრობენ ან ლაპარაკობენ, მაშინაც კი, როდესაც ჩამოწოლილ ბინდში ხალხის ბრბოსთან ერთად დასეირნობენ როსიოსა და ტერეირო-დო-პასოს შორის, წითელ ქვიშასა და ბალახზე დააბიჯებენ, რომლითაც ხელისუფლების ბრძანებით მოფინეს ქუჩები, რათა ლისაბონი კოხტად და სუფთად გამოიყურებოდეს, სინადვილეში კი მასზე ჭუჭყიანი ქალაქი ძნელი წარმოსადგენია. ფანჯრებს მიღმა ქალბატონები ვარცხნილობებს იკეთებენ – უზარმაზარ, სარჭებით მორთულ შინიონებს, რათა გამვლელები მათი ყურებით დატკბნენ, როდესაც აივნებზე გამოლაგდებიან. არ ჩქარობენ, არავის არ უნდა, პირველი იყოს, აბა რა, ვიგინდარების ყურადღებას მიიპყრობს, მაგრამ მალე, როდესაც მოპირდაპირე სახლის აივანზე მეზობელი ქალი, მეტოქე გადმოდგება, ეჭვიანობა ახრჩობს, აბა რა, ის მახინჯია, მე კი – ლამაზი, იმას პირი ყურებამდე აქვს, ჩემი კი – ვარდს მიაგავს, ის ფრაზის მოფიქრებას ვერ მოახერხებს, რომელზეც იმპროვიზაცია უნდა აიგოს, მე კი წამში შევთხზავ ფრაზას. ლექსის თქმაში შეჯიბრს რაც შეეხება, სადაც ექპრომტად თხზავენ გლოსებს ქალბატონების მიერ შემოთავაზებულ ფრაზაზე, საუკეთესო პირობებში ის ქალბატონები არიან, რომლებიც ქვედა სართულზე ცხოვრობენ. ზედა სართულიდან ფრაზას რას გააგონებ ქუჩაში შეკრებილ თავყანისმცემლებს, ვინც პირველი მოიფიქრებს გლოსას, მშვენიერი სენიორასგან მაღლობის ნიშანს მიიღებს, მოწინააღმდეგეები კი შურით უყურებენ, ეჭვი აქვთ, რომ ფრაზა და გლოსა წინასწარ იყო მომზადებული, შეთანხმებული, მოკლედ რომ ვთქვათ, და, საფიქრებელია, არც მხოლოდ გლოსის საკითხი.

ცხელა, მუსიკის ხმა ისმის, ბიჭები დარბიან, ერთმანეთს დასდევენ, ცელქობენ. ყოველთვის ასეთები იყვნენ, ქვეყნიერების დასაბამიდან – დაუდგერები, გამოუსწორებლები, ფეხებში გებლანდებიან. ყველა უყვირის, ისინიც იჭყანებიან, ყვირიან, დარბიან... ხან სახუმარო ტავრომახიას აწყობენ, ფიცარზე ორ რქას ამაგრებენ, შუაში ეკლიანი აგავას ტოტს არჭობენ, ერთი ბიჭი ხარს განასახიერებს და ამ ფიცრიანად დარბის, თამაშის სხვა მონაწილეებს თავს ესხმის, ბღავის, ვითომ ტკივილისაგან,

როდესაც აგავას ხის ბანდერილიები ხვდება, მოკლედ, არამზადები ყველანაირად ხელს უშლიან მუსიკოსებს, პოეტებს, მაგალითად, როდესაც თაყვანისმცემელი აღფრთოვანებული კითხულობს, როგორ ბრძანეთ, ქალბატონო, და ისიც ნაზად უპასუხებს, სული ღრუბლისკენ გაფრენას ლამობსო, ან რაიმე ამგვარს. ასე გადის ღამე, ხალხი ქუჩაში ირევა, ერთობა, სახლებში ცხელ შოკოლადს მიირთმევენ და სევდიან რომანსებს მღერიან, გამთენიისას კი ჯარისკაცები ორ მწკრივად ეწყობიან, წმინდა ევქარისტის საიდუმლოების პატივსაცემად ახალი მუნდირები აცვიათ. ამ ღამეს ლისაბონს არ სძინავს, დილით სრულდება პოეტური ტურნირები, ქალები აივნებიდან მიდიან, რათა დაშლილი ვარცხნილობა შეისწორონ, მაგრამ ფერ-უმარილის წყალობით მალე ისევ გამოაჩენენ მომხიბლავ სახეებს. ხალხი –თეთრები, შავები და ყველა ტონალობის მულატები – ქუჩებში იფანტება, ტერეირო-დო-პასოს მოედანს სასახლისა და საპატრიარქო ეკლესიის მხრიდან ალისფერი ედება, ტეჟოს მეორე ნაპირიდან მზის პირველმა სხივებმა ამოანათა. აი, პროცესიაც გამოჩნდა – წინ ქალაქის გილდიების დროშები მოაქვთ, რომლებიც ხელოსნობათა პალატაში არიან გაერთიანებული; დურგლების დროშაზე წმინდა იოსებია გამოსახული, ის ხომ დურგალი გახლდათ. ასეა, ყველას თავ-თავისი მფარველი ამოუქარგავს დროშაზე. მდიდრულ, ოქროთი ნაქარგ ფარჩაზე სირმები და ფოჩები ირხევა. აგერ, წმინდა გიორგის ქანდაკება გამოიტანეს, მას მთელი ამაღლა მოჰყვება – მედროშები, მესაყვირეები, მედოლეები, ცხენოსანი მესაყვირეები, ცხენოსანი მედოლეები. ბალთაზარმა ვერ მიაღწია ტერეირო-დო-პასომდე, შორიდან უგდებს ყურს საყვირების ხმას, ჟრუანტელი უვლის, როგორც ბრძოლის ველზე, როდესაც მოწინააღმდეგე მწყობრში დგას და შეტევისთვის ემზადება. ხელი სტკივა, არარსებული ხელი, თუმცა უკვე დიდი ხანია აღარ ასტკივებია. შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა, ბლიმუნდა, ვინ იქნებოდა ჩემს მარჯვნივ, ვის გადავხვევდი მარცხენა ხელს?! დაე, გვიყუროს ხალხმა, ვიცი, არაა მიღებული საჯაროდ ხელიხელ გადახვეული სიარული, მაგრამ ჩემთვის სულერთია. დროშები წაიღეს, საყვირების და დოლების ხმა მიწყდა, აი, წმინდა გიორგის ჰეროლდი გამოჩნდა, თავით ფეხებამდე რკინითაა მოსილი, მუზარადზე ბუმბულები უფრიალებს, ბრძოლებში წმინდანს საჭურველისმტვირთველი დაჰყვება, მისი დროშა და შუბი დააქვს. წელს ურჩხული არ გამოჩენილა ზეიმზე, ასე არ ვარგა. ასე არ უნდა მოექცე ურჩხულს, არც გველებს, არც გიგანტებს. რა მოსაწყენი ხდება სამყარო, როდესაც ყველაფრის ლაზათს ართმევენ. რაღაც-რაღაცები მაინც დარჩა, პროცესიის რეფორმატორებმა ვერ გაბედეს, ცხენებიც აეკრძალათ, აი, ორმოცდაექვსი შავი და რუხი ულამაზესი ულაყი გამოჩნდა, მდიდრული უნაგირები ადგათ, ბევრ იქ შეკრებილ გლახაკზე მდიდრულად არიან ჩაცმულები, მიუხედავად იმისა, რომ ზეიმისთვის ყველა საუკეთესო ტანისამოსში გამოეწყო, რომ უფლის წინაშე არ შერცხვნენ. თუმცა კი უფალმა შიშველები შეგვქმნა, მასთან მხოლოდ ჩაცმულებს გვიშვებენ. მოდი და გაუგე ასეთ ღმერთსა და ასეთ რელიგიას.

ამყვეყნად ყველაფერი ერთმანეთს აწონასწორებს, როგორც ეს უკვე დაგისაბუთეთ მაფრელი ბიჭუნასა და ინფანტ დონ პედროს გარდაცვალების მაგალითზე, კიდევ ერთ მაგალითს მოგიყვანთ – პაჟი ბიჭუნა შავ ცხენზე ზის, თავზე ბუმბულები უფრიალებს; ყველა დედა, რომელიც ახლა იქ დგას, ამაღამ იოცნებებს, რომ ეს მისი ვაჟია, წმინდა გიორგის მიწაზე ემსახურება და, შესაძლოა, ცაშიც გააგრძელოს მის სამსახური, ამისთვის ნამდვილად ღირს ცხოვრება. ბრწყინვალე ალუმის პირველ ნაწილს ხავერდის კოსტუმებში გამოწყობილი მესაყვირეები და მედოლეები ასრულებენ, მცირე პაუზა და – სამეფო ეკლესიის ჭიშკრიდან რელიგიური საძმობის წევრები გამოდიან, ქალები და კაცები ცალ-ცალკე მოდიან, სხვადასხვა ფერის ტანსაცმელი აცვიათ – წითელი, ლურჯი, თეთრი, შავი, ცისფერი, ყავისფერი, იასამნისფერი, მწვანე, შავი მოსასხამები უფრიალებთ... სამმოს ზოგიერთი წევრი თავადაც შავკანიანია. ცუდი მხოლოდ ისაა, რომ ეს ძმური დამოკიდებულება თეთრებსა და შავებს შორის იესო ქრისტეს საყდართან თავდება, მაგრამ დასაწყისისთვის მაინც არა უშავს რა, შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს უფალმა შავკანიანის სახე მიიღოს, აი, მაშინ ნახე ზედახორა და ჭყლეტა სამოთხის შესასვლელში. ამ მიზეზით სანაპიროები და პლაჟები მომავალში იმათი შიშველი სხეულებით დაიფარება, ვისაც მზეზე გაშავება სურს. ძველად მსგავსი სურვილი სიცილის მეტს არაფერს გამოიწვევდა, ვის მოუნდებოდა გაშავება, ყველა გათეთრებას ლამობს.

პროცესიაში კი ასეთ რამესაც გაიგონებ: რა ჯანდაბად შემოეტენა აქ ის მულატიო, აი, რა ძნელია ძმობისა და თანასწორობის შენარჩუნება, როდესაც კანის ფერი სხვადასხვანაირია, სამაგიეროდ, თავად საძმობი მრავლდება დღითი დღე: ღვთისმშობლის საძმო, იესოსა და მარიამის საძმო, წმინდა ბენედიქტის საძმო, წმიდან კრიალოსნის, წმინდა კრისპინის, სან-სებასტიან-და-პედრეირას გარეუბნის მფარველი ღვთისმშობლის, წმინდა პეტრესა და წმინდა პავლეს, მოწყალე ღვთისმშობლის, ავადმყოფთა მკურნალი ღვთისმშობლის, გზის მაჩვენებელი ღვთისმშობლის, ოლივეირასის ღვთისმშობლის, წმიდა აპოლონიას, წმინდა მართას, ტუსალთა მფარველი ღვთისმშობლის, წმინდა მარიამ ეგვიპტელის საძმო და სხვ. ბალთაზარი რომ ლეიბ-გვარდიელი ყოფილიყო, ამ უკანასკნელში გაწევრიანდებოდა. სამწუხაროა, რომ ცალხელათა საძმო არ არსებობს. ბოლოს წმინდა ევქარისტის გამოსახულებიანი შტანდარტიც გამოჩნდა. ყველაზე წინ იოანე ნათლისმცემლის ქანდაკება მოაქვთ, რადგან ის წინამორბედია, მას ოთხი ანგელოზი მოჰყვება და ყვავილებს აბნევს (რა თქმა უნდა, ანგელოზებად გადაცმული მსახიობები არიან). აბა, სად არის კიდევ ქვეყანა, სადაც ანგელოზები ქუჩებში დასეირნობენ? მართალია, ვერ დაფრინავენ, მაგრამ ფრენის უნარი სულაც არაა მაინცდამაინც ანგელოზის თვისება, აი, მამა ბართოლომეუ ლოურენსო თუ ოდესმე გაფრინდება, ამით ანგელოზი ხომ არ გახდება?! ამისთვის სხვა თავისებურებაა

საჭირო, თუმცა ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, არც პასაროლაა ბოლომდე აწყობილი, არც ხალხის ნება აქვთ საკმარისად დაგროვილი.

პროცესის ნახევარმა უკვე ჩაიარა, მზემ დააცხუნა, ღვთის წყალობით გვიანი დილაა, 1719 წლის რვა ივნისი. ბლიმუნდა ცას უყურებს. ახალი მთვარე ხომ არ დაიბადა, ხომ არ გამოჩნდა კარმელიტების მონასტრის თავზე პატარა, ვიწრო, ბასრი ნამგალი, ფერმკრთალი, მოღუნული მახვილი, რომელიც მის თვალებს ფარდას ახდის. ხალხმა სამხრობა გადაწყვიტა. ცოტა წაიხემსეს ვისაც რა ჰქონდა თან წამოღებული, ზოგს – ნაყიდიც. თან იმაზე ლაპარაკობდნენ, ვის როგორი ტანსაცმელი ეცვა, ვის ოქროთი ნაქარგი ჯვრები ჰქონდა, ვის – მაქმანები, გრძელი სერთუკები, ძვირფასი პლუმაჟები, ბალთებიანი ფეხსაცმელი, ლამაზი კორსაჟები, მხოლოდ ველთა შროშანს არ შეუძლია დართვა და ქსოვა, ამიტომაც შიშველია, უფალს რომ ნდომოდა, რომ ჩვენც შიშველებს გვევლო, ყვავილების მსგავსებს შექმნიდა მამაკაცებს, ქალები, მადლობა ღმერთს, ისედაც ჰგვანან ყვავილებს. ბლიმუნდაც ასეთია, ჩაცმულიც და გახდილიც. ეს რა აზრები მოგდის თავში, ბალთაზარ, არ გრცხვენია?! აი, საპატრიარქო ეკლესიიდან ჯვარი გამოიტანეს, უკან მისიონერთა კონგრეგაცია მოჰყვება. ოჰო, რამდენი ხალხი ზრუნავს ჩვენი სულების გადარჩენაზე! წმინდა იაკობ მახვილოსნის ორდენის 184 წევრიც გამოჩნდა. ჯარისკაცი კი ხარ, ბალთაზარ, მაგრამ ამ ორდენს მაინც არ ეკუთვნი, აგერ ავისის ორდენის 150 წევრი და ამდენივე იესოს სამომოდან. ამ სამშობში მიღება თავად მათი წევრების თანხმობით ხდება, ბალთაზარს იქ მაინც არ მიესვლება, თანაც უფალს თავის საკურთხეველთან ინვალიდები არ სჭირდება. ასე რომ, დარჩი იქ, სადაც ხარ, ბალთაზარ, უყურე პროცესიას. პაჟებს, მომღერლებს, ლეიბგვარდიელებს ახალთახალი მუნდირები აცვიათ, დღესდღეობით ვიტყოდით, საპარადო ფორმააო, კაპელანებს კვერთხებზე დამაგრებული მიხაკები მოაქვთ, მოვა დრო და ამ ყვავილებს თოფების ლულებში ჩადებენ, ბიჭების გუნდი სანტა-მარია-მაიორის ბაზილიკიდან გალობს, ბაზილიკას კიდევ იმ ქოლგებს უწოდებენ, რომლებიც მომღერლებს მზისგან იცავენ. რა იქნებოდა, ერთი ორასი-სამასი წლის შემდეგ ქოლგას ბაზილიკა რომ დარქმეოდა, ასე ვიტყოდით, ჩემი ბაზილიკა მანქანაში დამრჩა, ბაზილიკაზე სახელური გამიტყდა, ხელოსანს უნდა წავუღო. როდის აშენდება ჩემი ბაზილიკა მაფრაში, – ფიქრობს მეფე. იგი პატრიარქის გვერდით მიაბიჯებს და მისი პალანკინის ოთხ სახელურთაგან ერთ-ერთი უჭირავს. პატრიარქს ამაღლა მოჰყვება – ზოგი თეთრ დაღმამტიკაში, ზოგს ომოფორი ამშვენებს, ხალხმა ამდენი სიტყვა არც კი იცის, აი, მიტრა კი იციან, მიტრა სასულიერო პირებსაც ამშვენებს და მამალსაც, რადგან მამლის ბიბილოსაც მიტრას ემახიან.

ეჰ, ცოდვილო ხალხო, ჯიუტებო და გაუტანლებო, მრუმებო, იტყუებით, ზომა არ იცით არც ჭამაში, არც სმაში, საეკლესიო მეთედს არ იხდით. ზიარებას არ ესწრებით, ჯოჯობხეთზე თავხედურად და უტიფრად საუბრობთ. მამაკაცები ეკლესიაშიც კი არ

ერიდებით ქალის უკანალზე ხელის წავლებას, ქალებიც ლამის კისერზე ჩამოეკიდონ მათ. შეხედეთ ერთი, ვინ მოდის, – ეს მე ვარ, პატრიარქი, ხელში წმინდა სანაწილე მიჭირავს, მუხლი მოიყარეთ, საცოდავებო, წესით საკუთარი თავი ახლავე უნდა დაასაჭურისოთ, რომ მეტი აღარ შესცოდოთ, ყბები აიხვიოთ, რათა ბილწსიტყვაობით და მუცელმერთობით სული არ წაიწყმიდოთ და საფულებიც უნდა გადმოაპირქვავოთ. სამოთხეში ფული არაა საჭირო, არც ჯოჯოხეთში გამოგადგებათ, ამქვეყნად კი საჭიროა, ახალი ოქროს სანაწილისთვის, მაგალითად, ამხელა ამაღლის ხელფასის გასასტუმრებლად, ორი ეპისკოპოსისთვის, რომლებსაც ჩემი მანტია უჭირავთ, ორი დიაკვნისთვის, სტიქარი რომ მოაქვთ. აი, ჩემი ძმა გრაფი, უკან მომდევს, თან ორი საჭურვლისმტვირთავი ახლავს. მათ ვერცხლის კვერთხები უჭირავთ, ან დიაკვანი – ნაჭერგადაფარებული მიტრა მოაქვს. მიტრის ხელით შეხება არ შეიძლება, ეს ნამდვილად ქრისტეს შეცდომაა, თვითონ, ეტყობა, არასდროს დაუხურავს მიტრა. რა თქმა უნდა, ძე ღვთისა იყო, მაგრამ ცოტათი მოისულელებდა. ვინ არ იცის, რომ მიტრის, ტიარის ან კუნკულის თვინიერ რელიგია არ არსებობს. რაიმე ეგეთი რომ ჰქონოდა, უზენაესი ქურუმი გახდებოდა, ან მეფისნაცვალი, პილატეს მაგიერ... ეჰ, სად გამაფრინა ფიქრებმა, სამყარო ისეთია, როგორც არის. სხვანაირი რომ იყოს, პატრიარქიც არ ვიქნებოდი, ასე რომ, მიეცით ღმერთს ღვთისა და კეისარს – კეისრისა, ანგარიშებს მერე გავასწორობთ, ფულს მერე გავიყოფთ, ჭეშმარიტად გეტყვით მე თქვენ!

მე კი, მეფეს, თქვენს მბრძანებელს, პორტუგალიის, ალგავრესა და სხვათა მპყრობელს, ღვთისმოსაობის გამოისობით, მოოქროვილი სახელური მიჭირავს. ნახეთ, რა ჯაფა ადგას მონარქს, სულიერ და მიწიერ სფეროებზე თანაბრად ზრუნავს; არად მიღირდა, ჩემს მაგიერ რომელიმე ჰერცოგი ან მარკიზი გამომეგზავნა, მაგრამ საკუთარი ფეხით მოვედი, მლოცველი ჩემი ძმებიცა და ინფანტებიც მოვიყვანე. მუხლი მოიყარეთ ჩემს წინაშე, როგორც უფლის სხეულის წინაშე იყრით. მე ხომ მეფე ვარ და თან სანაშენე ხარი, ხომ იცით. მონაზვნები უფლის სასძლოები არიან, მათი უფალი კი მე ვარ. ამიტომ ჩემთან ოხრავენ და ნეტარებას გამოცდიან და თან კრიალოსანს არ უშვებენ ხელიდან, საბრალო იესო კი ჯვრიდან გადმოგვეყურებს, თავი ჩამოვარდნია, იტანჯება თუ ეჭვიანობს, რომ სარძლო წავართვი, ის ხომ ოდიველასის მონასტრის მშვენიერაა?! აქვე დარჩება, მე კი წავალ, თუ დაორსულდა, რა უშავს, მოვაგვარებთ საქმეს, პირველი ხომ არ არის.

მიწყდა გემების ზარბაზნების ზათქი, ახლა ბასტიონის ზარბაზნებმა გაისროლეს, შემდეგ – კოშკებისა და ფორტების არტილერიამ, პენიშესა და სეტუბალის პოლკებმა სალამი მისცეს. ქალაქ ლისაბონში უფლის სხეული დადის, კრავი, რომელიც მსხვერპლად შესწირეს, ოქროსფერი მზე, კიდობანი, ციური მხედრობის სარდალი, ღვთაება, რომელსაც საკვებად იღებენ. ქალები და კაცები მიწაზე ემხოებიან, თავში იცემენ მუშტებს, ხელებს იწვდიან მუდარით, მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!...

მოსაღამოვდა. ცაში შუქი გაკრთა – მთვარემ პირველი სხივი გამოგზავნა დედამიწაზე. ხვალ ბლიმუნდას ისევ დაუბრუნდება ნათელმხილველობის უნარი.

მამა ბართოლომეუ ლოურენსო კოიმბრადან ჩამოვიდა, ახლა უკვე თეოლოგიის დოქტორია, სრული უფლება აქვს, დი გუსმანის გვარი ატაროს. ნუ გაგვიცხავთ ამპარტავნებისთვის, ხომ აგვიხსნა, რომ ამ გვარზე პრეტენზიის საფუძველი ჰქონდა. ნუ გაგვიცხავთ და საკუთარი ცოდვები მიგვეტევა, ამპარტავნებაც და ბევრი სხვაც, რადგან ყველაზე ცუდი სახელის გამოცვლა კი არა, საკუთარი თავის ღალატია. ბალთაზარისთვის და ბლიმუნდასთვის ის ისევ ბართოლომეუ ლოურენსოა. მიუხედავად იმისა, რომ მეფემ აზნაურობა, კაპელანის თანამდებობა და სამეფო აკადემიის აკადემიკოსის წოდება უბოძა, იგი ყველა ამ ტიტულს ნასესხებ გვართან ერთად ჰერცოგ დი ავეირუს მამულის ღობის მიღმა ტოვებს, იქ როდი მიაქვს, სადაც პასაროლა შენდება. აზნაური, კაპელანი და აკადემიკოსი, ადვილი წარმოსადგენია, რას იზამდნენ პასაროლას დანახვაზე: აზნაური იტყოდა, მექანიკური სამუშაო არისტოკრატის საქმე არ არისო; კაპელანი გაიკვირებდა, ეს სატანის ნამოქმედარიო; აკადემიკოსი კი იქაურობას გაეცლებოდა, რადგან მფრინავი მანქანა მომავალის საქმეა და მხოლოდ მაშინ დაბრუნდებოდა, როდესაც იგი წარსული გახდებოდა.

მღვდელი ტერეირო-დო-პასოზე ცხოვრობს, ერთი ქვრივის ბინას ქირაობს, რომლის ქმარი ჯერ კიდევ პედრო II მეფობისას გარდაიცვალა. ძველი ამბავია, მაგრამ იმიტომ გავიხსენეთ, რომ ქალი მღვდელთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს და მკითხველს უნდა წარვუდგინოთ. სახლი მეფის სასახლიდან ორ ნაბიჯზეა და მღვდელიც დაიარება იქ. ის ხომ სასახლის კაპელანია და მეფეც წყალობის თვალთ უყურებს. თუმცა უკვე თერთმეტი წელი გავიდა, მაინც არ კარგავს იმედს და მონარქს უპასუხებს, ეჭვი ნუ შეგეპარებათ, თქვენი უდიდებულესობავ, ოდესმე აუცილებლად გაფრინდებით. მანამდე ხომ არ მოგკვდები? თქვენს უდიდებულესობას ძველი აღთქმისეული პატრიარქების ჟამთა სიმრავლე არ დასჭირდება, გაფრენას არა მარტო იხილავთ, თავადაც გაფრინდებით. ცოტა არ იყოს, თავხედური პასუხია, მაგრამ მეფე ყურადღებას არ აქცევს, თანაც გაახსენდა, რომ თავის ქალიშვილს, ინფანტა მარია-ბარბარას, მუსიკის გაკვეთილზე დასწრებას შეჰპირდა, წამოდგა და მღვდელიც თან გაიყოლა. ეს დიდი პატივია.

ინფანტა კლავესინს უზის, ჯერ სულ პატარაა, ცხრა წელიც არ შესრულებია, მაგრამ ნორჩი თავი უკვე დამძიმებული აქვს მაღალი მოვალეობით. კლავესინზე დაკვრა უნდა ისწავლოს, და კიდევ ბევრი სხვა რამ. უნდა ახსოვდეს, რომ მაფრაში მონასტერი შენდება. ჭეშმარიტად, მცირე მიზეზებმა დიდი შედეგი გამოიწვია, ლისაბონში ჩვილი დაიბადა, მაფრაში კი ქვის შენობა იგება, ლონდონიდან თავად დომენიკო სკარტლატი გამოიწერეს. გაკვეთილს სამეფო ოჯახის წევრები ესწრებიან, ოცდაათი კაცი მაინც, თანაც ეს სრული

შემადგენლობა არაა. ამას დაუმატეთ სეფე-ქალები და მორიგე კამერგერები, მამა ბართოლომეუ დი გუსმანი და სხვა სასულიერო პირები. მასტრო ინფანტას ხელს უსწორებს. მისი უმაღლესობა ძალიან ცდილობს, ტუჩიც მოიკვნიტა, როგორც ნებისმიერი გოგონა გააკეთებდა მის ადგილზე, დედა მოუთმენლობის დამალვას ამაოდ ცდილობს, მამას მეფურ-მედიდური იერი აქვს. მხოლოდ სეფექალები თანაუგრძნობენ გოგონას, თუმცა ძალიან ცუდად უკრავს. დონა მარია-ანა სასწაულს ხომ არ მოელოდა? ინფანტა ეს ესაა იწყებს სწავლას, ილ შიგნორ სკარლატი სულ რამდენიმე კვირის წინათ ჩამოვიდა ლისაბონში, ნეტავი რატომ აქვთ ამ უცხოელებს ასეთი უცნაური გვარები?! ხომ ცხადია, რომ ამ მუსიკოსს ესკარლატე უნდა ერქვას. მასტრო ნეაპოლში დაიბადა, ოცდათხუთმეტი წლისაა, ამ იტალიელებში რაღაც ნამდვილად არის, რა, არ ვიცი. სოცოცხლის ხალისი, დაო.

გაკვეთილი დასრულდა, საზოგადოება დაიშალა, მეფე თავისი ნახევრისაკენ წავიდა, დედოფალი – თავის აპარტამენტებში, ინფანტა არ ვიცი საით, მაგრამ ეტიკეტი დაცულია, რევერანსები, თავის დაკვრა. ინფანტას მიძები და გუვერნანტებიც წავიდ-წამოვიდნენ, მუსიკალურ სალონში მხოლოდ დომენიკო სკარლატი და მამა ბართოლომეუ დი გუსმანი დარჩნენ. იტალიელმა თითები კლავიატურაზე აათამაშა, თავიდან ვითომ დაბნეული სახით, და უეცრად მუსიკის ტალღამ იქაურობა წაღეკა, ხელები ელვის სისწრაფით დაქრიან. თითქოს აქაფებული მდინარე მოედინება, ისე აიწყვიტეს ჰანგებმა. უფრო სწრაფად, კიდევ უფრო სწრაფად, მერე მინელდნენ, ტბის წყალს დაემსგავსნენ, ან იქნებ ნეაპოლის ცისფერ ყურეს, ან ვენეციის მღვრიე არხს, ამ იქნებ ტეჟოს, რომელიც ელვარე მზის ქვეშ გადაჰიმულა. სენიორ სკარლატი, – მიმართა მღვდელმა, როდესაც იმპროვიზაცია დასრულდა, – ვერ დავიკვებნი, რომ ხელოვნების დიდი მცოდნე ვარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემი მშობლიური მხარის მკვიდრი ინდიელიც კი აღფრთოვანებული იქნებოდა. არა, – უპასუხა მუსიკოსმა – ამისთვის დახვეწილი სმენაა საჭირო, როგორც მზერას უნდა ვარჯიში, რათა ასოთა მოყვანილობა აღიქვას და კითხვა ისწავლოს. მართალი ბრძანდებით, დაუფიქრებლად ვლაპარაკობდი. ეს ადამიანთა უმეტესობის ნაკლია, ბევრად უფრო ადვილია ის თქვა, რასაც, შენი აზრით, თანამოსაუბრე მოელის შენგან, ვიდრე ჭეშმარიტება ილაპარაკო. რა არის ჭეშმარიტება? რომ ილაპარაკო, ჯერ ხომ უნდა იცოდე?! ჭეშმარიტებამდე საკუთარი გამოცდილებით უნდა მიხვიდე.

აქვე ჩავურთოთ, რომ ეს საუბარი იტალიელ მუსიკოსსა და პორტუგალიელ მღვდელს შორის შეიძლება სულაც არ იყოს გამოგონილი, იქნებ, მართლაც საუბრობდა ეს ორი ამ თემაზეც, როგორც ბევრ სხვაზეც, ალბათ, იმ რამდენიმე წლის მანძილზე, როდესაც ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს სასახლის კედლებში და მის გარეთაც. თუ ვინმეს გაუკვირდება, როგორ შეისწავლა ასე მალე სკარლატიმ პორტუგალიური, შევახსნებთ, რომ ჯერ ერთი, მუსიკოსია, მეორეც – რომში შვიდი წელი ჩვენს ელჩს ემსახურებოდა.

მართალს ბრძანებთ, განაგრძო მღვდელმა, – ისე ადამიანი თავისუფალი არაა, ჭეშმარიტება ძნელი მისაწვდომია, გაიხსენეთ პილატე, რომელმაც ჰკითხა იესოს, რა არის ჭეშმარიტებაო, და არც კი დალოდებია პასუხს, მაცხოვარმაც არაფერი უთხრა. ეგებ ორივემ იცოდა ეს, მაშინ გამოდის, რომ პილატე და იესო ერთ დღეში იყვნენ, ეგებ მართლაც ასეა. თუ მუსიკა ასე ავარჯიშებს კაცს არგუმენტაციის ხელოვნებაში, მეც მინდა, მუსიკოსი გავხდე. გმადლობთ კომპლიმენტისათვის, ისე ძალიან მინდა, სენიორ მამაო ბართოლომეუ დი გუსმან, რომ ჩემი მუსიკით ჩემი სათქმელი ვთქვა, როგორც ამას მოქადაგენი აკეთებენ. ეჰ, სენიორ სკარლატი, თუ დაფიქრდებით, ყველაფერი ბუნდოვანია, ჩვენი დასკვნები კი საერთოდ კვამლია და მეტი არაფერი! ამაზე მუსიკოსმა აღარაფერი უპასუხა. მღვდელმა კი თქვა: – ყოველი პატიოსანი მოქადაგე ამას კარგად გრძნობს. იტალიელმა მხრები აიჩეჩა, მუსიკის შემდეგ სიჩუმე ისადგურებს, ქადაგების შემდეგაც ასეა. რამდენიც არ უნდა უკრან მუსიკას ტაში და რამდენიც არ უნდა აქონ ქადაგება, შესაძლოა, მხოლოდ დუმილი იყოს ფასეული. ბართოლომეუ დი გუსმანი და სკარლატი ტერეირო-დო-პასოზე დაშორდნენ ერთმანეთს. მუსიკოსი ქალაქში სახეტილოდ გაემართა, ეგებ, თავში ახალი მელოდიები მომივიდესო, მღვდელი კი შინ დაბრუნდა. ფანჯრიდან ტეჟოს გადახედა, მერე ბარეიეროს ველს, ალმეიდას ბორცვებს, უფრო შორს კაბესა-სეკა-დო-ბუჟიო იწყება, რა ნათელი დღეა, თითქოს სამყაროს შექმნის პირველი დღე იყოს, არა? ღმერთს არ უთქვამს Fიატ, ასე რომ ყოფილიყო, სამყარო ერთ ცნებამდე დავიდოდა. არა, ღმერთი ქმნიდა – ჯერ ზღვას, მერე ხმელეთს, ორივე გაიარა, ზოგი ადგილი – სწრაფად, ზოგან შეყოვნდა, ზოგი შეხედვის ღირსადაც კი არ ჩაუთვლია, აქ კი დაისვენა, და, რადგან ადამიანები არ უთვალთვალეზდნენ, ტეჟოში იბნანავა, ამიტომაც იკრიბებიან აქ თოლიების უზარმაზარი გუნდები, ახსოვთ, ღმერთი როგორ ბანაობდა მდინარეში, ელიან, რომ ისევ მოვა. ამასობაში სახლის პატრონი ქვრივი მოვიდა და უთხრა, სადილი მზადააო. ფანჯრების ქვეშ კი მხედრებმა ჩაიქროლეს, ერთი თოლია თავის მოძმეებს მოსწყდა და სახურავზე დაჯდა. მღვდელმა წაიჩურჩულა, ღმერთმა გაკურთხოს, თოლიავ. მიხვდა, რომ თავადაც ასეთივე სისხლისა და ხორცისაგან იყო შექმნილი და ტანში ჟრუანტელმა დაუარა, თითქოს იგრძნო, რომ ზურგზე ფრთები ამოსდის. თოლია გაფრინდა, მღვდელმა თავი ძალიან მარტოდ იგრძნო. ესე იგი, პილატე და იესო ერთ დღეში იყვნენ, მოაგონდა ახლახან ნათქვამი სიტყვები და დასძინა, ღმერთი ერთია.

მამა ბართოლომეუ ლოურენსომ მთელი დღე თავის ოთახში გაატარა, სადამოს ქვრივმა კარზე მიუკაკუნა და უთხრა, ვახშამი მზადააო, მაგრამ მღვდელმა საჭმელზე უარი განაცხადა, თითქოს მარხულობდა, რათა გონება გახსნოდა, თუმცა ჯერ თავადაც არ ესმოდა, რა უნდა ეკეთებინა მას მერე, რაც თოლიებს ერთღმერთიანობის თეზისი აუწყა. ეს ძალიან თამამი საქციელი იყო, რადგან ერესიარქებიც კი არ უარყოფენ ღვთის განუყოფლობას, მაგრამ მამა ბართოლომეუს ასე ასწავლიდნენ, რომ ღმერთი თავისი

არსითაა განუყოფელი, ოღონდ სამებითაა გაცხადებულიო, მაგრამ ახლა თოლიების წყალობით ეჭვი შეეპარა ამაში. დაბნელდა, ქალაქმა დაიძინა, მხოლოდ შორიდან ისმის დარაჯების გადაძახილი, რომლებიც ფრანგი კორსარების მოსალოდნელი თავდასხმის გამო დააყენეს. დომენიკო სკარლატის ფანჯრები მოუხურავს და კლავესინს უზის, რა ნაზი მელიოდია იღვრება ლისაბონის ღამეში, ყველა ღრიჭოში აღწევს, ესმით იგი პორტუგალიური ლეიბ-გვარდიისა და გერმანული გვარდიის ჯარიკაცებს, ორივესათვის გასაგები და ახლობელია, მეზღვაურებსაც ესმით, რიბიერიელ მაწანწალებსაც. ათასობით მონასტრის ბერებსა და მონაზვნებს. ეს უკანასკნელნი ამბობენ, ანგელოზები მღერიანო. მუსიკა უწმინდესი სამსახურის პატიმარმაც გაიგონა თავის საკანში, ბალთაზარს და ბლიმუნდასაც ესმით, თუმცა ძალიან შორს არიან, და ერთმანეთს ეკითხებიან, ნეტავ, ვინ უკრავსო, მაგრამ ყველაზე ადრე მამა ბართოლომეუ ლოურენსომ გაიგონა, იგი ახლოს ცხოვრობს, ლოგინიდან წამოდგა, სანთელი აანთო და ფანჯრები გამოაღო, მუსიკის ჰანგებთან ერთად ოთახში კოლოები შემოიჭრნენ, მამა ბართოლომეუ კი მაგიდას მიუჯდა, ბატის ფრთა აიღო და დაწერა, Eტ ეგო ინ ილლო. ირიჟრაჟა, მღვდელი კი ისევ მაგიდას უჯდა და მუშაობდა – ეს ახალი ქადაგება იყო.

რამდენიმე დღეში მამა ბართოლომეუ დი გუსმანი სამეფო კაპელაში შეხვდა სკარლატის. დედოფლის აივნის ქვეშ გამავალ გალერეაში შედგა მათი საუბარი. გალერეის კედლები შპალერებით იყო დაფარული, მათზე ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრების სცენები, სარწმუნოების ტრიუმფი და ევქარისტის ზეიმი იყო გამოსახული რუბენსის ნამუშევრების მიხედვით, ტობითის ისტორია – რაფაელის მიხედვით, ტუნისის აღება და მრავალი სხვა. მსუბუქი ტონით, თითქოს უმნიშვნელო რამეზე საუბრობსო, იტალიელმა თქვა: – მეფეს წმინდა პეტრეს ტაძრის მოდელი აქვს, გუმბინ პატივი დამდო და მაჩვენა, საკუთარი ხელით აწყობს მას, მსმენია, რომ მისი უდიდებულესობა ძალიან მფარველობს ხუროთმოძღვრებს, ალბათ, ამიტომაც მოსწონს ეს გასართობი. დიახ, მაფრაში დიდი მშენებლობა მიმდინარეობს, კოლოსალური კომპლექსი იგება, რაოდენ მრავალფეროვანია ადამიანის მოღვაწეობა და მისი ხელის ნამოქმედარი! ხელებს გულისხმობთ? ნამოქმედარს გულისხმობ, ჯერ ამაღლდება და მერე დროის მორევში დაინთქმება. ნამოქმედარს გულისხმობთ? ხელებს ვგულისხმობ, რანი ვიქნებოდით, მეხსიერება და ქაღალდი რომ არ გვქონოდა, რომელზედაც ყველაფერს ვიწერთ.

ეს საუბარი თითქოს მხოლოდ გართობა იყო, ვარჯიში მახვილსიტყვაობაში, როგორც ეს იმ ეპოქაში იყო მიღებული. აზრი ათასნაირი საშუალებით ინიღბება. აი, მაგალითად, მოქადაგე წმინდა ანტონის ქანდაკებას მიმართავს შავკანიანო, ქურდო, ლოთო! გააოცებს, დააინტერესებს, გააღიზიანებს მსმენელს და მერე უხსნის, შავკანიანს იმიტომ ვამბობ, რომ მისი კანი სატანამ დაწვა, მაგრამ სულს ვერაფერი დააკლო; ქურდი-მეთქი, იმიტომ, რომ ქალწულ მარიამს ხელიდან მისი ღვთაებრივი ძე გამოართვა; ლოთი-

მეთქი, იმიტომ, რომ მთელი ცხოვრება ღვთიური მადლით მთვრალმა გაატარა. მე კი ვიტყვი – ფრთხილად, მოქადაგევ, როდესაც ყველაფერს თავდაყირა აყენებ, ძალაუნებურად მწვალეობას უწყობ ხელს. როდესაც ყვირი – წყეულიმც იყოს მამა, მე და სულიწმინდა! და მერე დასძენ ასე გაიძახიან ეშმაკები ჯოჯოხეთში! გგონია, რომ სასჯელს თავიდან აიცილებ, მაგრამ ის, ვინც ყველაფერს ხედავს, შპალერზე გამოსახული ტობითივით ბრმა კი არაა, მან, ვისთვისაც არც სიბნელე არსებობს, არც სიბრმავე, კარგად უწყის, რომ შენ ღრმა ჭეშმარიტება წარმოთქვი და მხოლოდ ერთ-ერთს აირჩევს და არც მე, არც შენ არ ვიცით, რომელია უფლის ჭეშმარიტება, მით უმეტეს, არ ვიცით, თავად უფალი ჭეშმარიტებაა თუ არა.

გავიგე, მამაო ბართოლომეუ დი გუსმან, რომ თქვენ რაღაც მფრინავი მანქანა შეგიქმნიათ. სიმართლე უთქვამთ, მაგრამ, ვინც ნახა, დაბრმავდა და ჭეშმარიტება ვერ იხილა, რომელიც გარეგნული იერის მიღმა იმალებოდა. როგორ მიხდა, უკეთ გავიგო თქვენი ნათქვამი. მას შემდეგ 12 წელი გავიდა. ჩემი აზრით, მხოლოდ მუსიკის ჰანგებს შეუძლიათ ცაში გაფრენა. მაშინ ხვალ წავიდეთ და გაჩვენებთ ჩემს საიდუმლოს. თანამოსაუბრენი იმ შპალერის წინ დგანან, რომელზეც ტობითია გამოსახული – თევზის მწარე ნაღველი მას თვალის ჩინს უბრუნებს. ხედვის უნარის მქონე ადამიანის მზერა ნაღველითაა სავსე, სენიორ დომენიკო სკარლატი. ოდესმე ამაზე მუსიკას შევთხზავ, მამაო ბართოლომეუ დი გუსმან.

მეორე დღეს ორივენი ჯორებზე შესხდნენ და სან-სებასტიანდა-პედრეირასკენ აიღეს გეზი, ეზო სუფთად დახვეტილი დავხდათ, კვლები – მოვლილი, ხეებისთვის შემხმარი ტოტები შეუჭრიათ, წყალსადენებში წყალი მოედინება, იქაურობა აღარა ჰგავს იმ გაპარტახებულ მამულს, რომელიც ათი წლის წინათ დახვდა აქ პირველად მოსულ ბართაზარსა და ბლიმუნდას, მაგრამ მიხდვრები მაინც მიტოვებულია. რას იზამ, მხოლოდ სამი ხელი მუშაობს, ისიც დროის უმეტესი ნაწილი სხვა საქმითა აქვთ დაკავებული. მღვდელმა ბეღელში შეიხედა. ბალთაზარი მარტო იჯდა და რკინის ღერძს აპრიალებდა. სადამო მშვიდობისა! აი, სტუმარი მოვიყვანე, ჩვენი მანქანის ნახვა უნდა. ვინ არის? სასახლიდანაა. მეფე ხომ არაა? მეფეც მოვა აუცილებლად, ამას წინათ გვერდზე გამოყვანა და მკითხა, როდის გაფრინდება მანქანაო? მერედა ჩვენი საიდუმლო, განა ასე მოვილაპარაკეთ? პასაროლა მე მოვიგონე, მევე გადავწყვეტ, ვის ვაჩვენო და ვის არა. სამაგიეროდ ჩვენ ავაწყვეთ და, თუ აღარ გჭირდებით, საერთოდ წავალთ აქედან. ბალთაზარ, ვერ გიხსნი კარგად, მაგრამ ვგრძნობ, რომ ამ ადამიანის ნდობა შეიძლება, თავს დავდებ. ქალია? არა, კაცია, იტალიელი მუსიკოსია, მეფის კაპელმამისტერი, ინფანტას დაკვრას ასწავლის, დომენიკო სკალარტი ჰქვია. ესკარლატე? მთლად ეგრე არა, მაგრამ არა უშავს, ბლიმუნდა სადღაა? ბაღში, მიუგო ბალთაზარმა.

იტალიელი ხის ჩრდილქვეშ იდგა. მშვიდად ათვალეირებდა სასახლის ფანჯრებს, სახურავს, რომელსაც ხავსი მოჰკიდებოდა, წყალსადენის გარშემო მფრინავ მერცხალს. მამა ბართოლომეუ ლოურენსო მიუახლოვდა, ხელში ცხვირსახოცი ეჭირა. საიდუმლო საცავში მხოლოდ თვალახვეული შეიძლება შესვლა, უთხრა მღვდელმა ღიმილით. მუსიკოსმა ასევე ხუმრობის ტონით მიუგო, იქიდან ასევე უნდა გამოვიდე? ფრთხილად, სენიორ სკარლატი, აქ ზღურბლია, სანამ ცხვირსახოცს მოგხსნით, მინდა გითხრათ, რომ აქ ორნი ცხოვრობენ – მამაკაცი, სახელად ბალთაზარ შვიდი მზე, და ქალი, სახელად ბლიმუნდა, რომელსაც მე შვიდი მთვარე შევარქვი, ისინი აგებენ ჩვენს მანქანას, მე ვუხსნი, ეს როგორ უნდა გაკეთდეს, ახლა კი შეგიძლიათ მოიხსნათ ცხვირსახოცი. იტალიელმა აუჩქარებლად მოიხსნა სახვევი.

მის წინაშე უზარმაზარ ფრინველს გაეშალა ფრთები, კუდი მარაოს მიუგავდა, თავი ჯერ დაუმთავრებელი იყო. ამიტომ არ ჩანდა, ვის დაემსგავსებოდა – მიმინოს თუ თოლიას. ესაა საიდუმლო? დიახ, აქამდე სამმა ადამიანმა იცოდა მის შესახებ, ახლა ოთხნი ვართ. იტალიელმა ბალთაზარს მისალმების ნიშნად თავი დაუკრა, მანაც ასეთივე ჟესტით უპასუხა, ოღონდ უფრო უგერგილოდ, რაც უნდა იყოს, მხოლოდ და მხოლოდ მექანიკოსია, ჩამოძენძილი, გაჭვარტლული, კაუჭახელიანი. დომენიკო სკარლატი მანქანას მიუახლოვდა, ხელი კლავიატურასავით ჩამოდო ერთ-ერთ ფრთაზე და აი, საოცრება, ფრინველი თითქმის შეფართხალდა, თუმცა ძალიან მძიმე იყო. თუ ეს ყველაფერი ცაში ავა, ესე იგი, ადამიანისათვის შეუძლებელი არაფერი ყოფილა, ეს ფრთები უძრავია? დიახ, ასეა. მაგრამ არც ერთ ფრინველს არ შეუძლია ფრენა, თუ ფრთები არ იქნია. ამაზე ბალთაზარი გიპასუხებდათ, რომ ფრენისთვის საკმარისია გარეგნულად ჰგავდე ჩიტს, მაგრამ მე აგიხსნით, რაშიცაა საქმე: რენის საიდუმლოება ფრთებში არაა. და მაგ საიდუმლოებას არ გამიმხელთ, არა? ჯერჯერობით მხოლოდ ეს შემძლია გაჩვენოთ, რასაც აქ ხედავთ. ეს საკმარისია იმისთვის, რათა თქვენი მადლიერი დავრჩე, მაგრამ როგორ აპირებთ ამ ფრინველის აქედან გაყვანას, კარი ხომ ძალიან ვიწროა მისთვის?

გაოცებულებმა ბალთაზარმა და მღვდელმა ერთმანეთს გადახედეს, მერე კი კარს მიაშტერდნენ. ზღურბლზე ბლიმუნდა იდგა, ხელში ხილით სავსე კალათი ეჭირა. არის ჟამი შენებისა და ჟამი ნგრევისა, ადამიანებმა ეს კედლები ამოიყვანეს, კრამიტი დაალაგეს, მაგრამ, თუ საჭირო გახდება, სხვა ადამიანები ამ კედლებსაც და ამ სახურავსაც დაანგრევენ, – თქვა მან. ეს ბლიმუნდაა, – გააცნო მისი თავი იტალიელს მღვდელმა. შვიდი მთვარე, – დასძინა მანსტრომ. ბლიმუნდას ყურებზე ალუბლები საყურეებივით ეკიდა, ბალთაზარისთვის მოირთო თავი, ქმარს მიუახლოვდა და კალათა გაუწოდა. ვულკანი და ვენერა, – გაიფიქრა მუსიკოსმა. ვაპატიოთ ეს მითოლოგიური შედარება, ბალთაზარი ახლა სულ გამჭვარტლულია, მაგრამ სინამდვილეში შავი არაა, არც კოჭლი, ცალხელა კია, მაგრამ უფალიც ხომ ცალხელაა, ვენერას კი ბლიმუნდასნაირი

თვალეები რომ ჰქონდეს, რა უჭირდა, შეეყვარებულები გულში ჩაიხედავდა და წიგნივით ამოიკითხავდა ყველაფერს, მაგრამ რაიმე უპირატესობა ხომ მაინც უნდა ჰქონდეთ მოკვდავთ ღმერთების წინაშე, ბალთაზარიც უფრო კარგ მდგომარეობაშია, ვიდრე ღმერთი-მჭედელი. ეს უკანასკნელი ვენერამ მიატოვა, ბლიმუნდა კი ბალთაზარის ერთგულია.

ყველანი კალათას მიუსხდნენ და ალუბლის ჭამა დაიწყეს, სუფრასთან ქცევის წესებს არად დაგიდევდნენ, ერთის გარდა – სხვას ხელი არ გაჰკრან. აი, ბალთაზარის ხელი – ზეთისხილის ხის ქერქივით უხეში, აი, მღვდლის მოვლილი, უშრომელი ხელი, აი, სკარლატის გავარჯიშებული, თავდაჯერებული ხელი, აი, ბლიმუნდას უბრალო, ფრჩხილებჩაშავებული ხელი; კურკებს პირდაპირ მიწაზე ყრიან, აქ რომ მეფე ყოფილიყო, ისიც ასე მოიქცეოდა, სწორედ ასეთ წვრილმანებში მჟღავნდება, რომ ყველა ადამიანი თანასწორია, ალუბლები მსხვილია, მწიფე, ზოგიერთი ჩიტებს დაუკენკავთ. ნეტავი ზეცაშიც თუ არსებობს ბალები? თუ შეძლებს ჩვენი ფრინველი იქ ალუბლის დაკენკვას? თავი თოლიასი ექნება თუ მიმონოსი? თუმცა ანგელოზებსა და წმინდანებს შეუძლიათ წყნარად იყონ – არც თოლია, არც მიმინო მცენარეულ საკვებს არ ეტანება.

მამა ბართოლომეუ ლოურენსომ თქვა, საიდუმლოს ბოლომდე ვერ გაგანდობთ, მაგრამ ერთს გეტყვით, მანქანა მიზიდულობის ძალით იმოდრავებს, რომელიც დედამიწის მიზიდულობის საპირისპირო იქნება, აი, მაგალითად, ალუბლის კურკას ჰაერში ავაგდებ, ის აუცილებლად მიწაზე დაეცემა, ესე იგი, ისეთ ძალას უნდა მივაგნო, რომელიც დედამიწის მიზიდულობას დაძლევს. უკვე მიაგენით? მისი საიდუმლო ამოვხსენი, მაგრამ ეს ძალა ჯერ საკმარისი არ დაგვიგროვებია, ამისთვის ვშრომობთ სამივენი – მამა, მე და სულიწმინდა. მე და ბალთაზარი ტოლები ვართ, ორივენი ოცდათხუთმეტი წლისანი, მამა-შვილად არ ვეკუთვნით ერთმანეთს, უფრო ძმები ვართ, ტყუპები, თუმცა ის მაფრაში დაიბადა, მე კი – ბრაზილიაში, სულიწმინდა კი უფრო ბლიმუნდაა, ის უფრო ახლოსაა რაღაც არამიწიერთან. მეც ოცდათხუთმეტისა ვარ, ნეაპოლში დავიბადე. ეს იგი, სამი ტყუპი ვართ. შენ რამდენისა ხარ, ბლიმუნდა? ოცდარვის და არც და მყავს, არც ძმა, – უპასუხა ბლიმუნდამ და მუსიკოსს თავისი საოცარი თვალეები მიაპყრო. დომენიკო სკარლატის მოეჩვენა, რომ არფის ხმა შემოესმა. ბალთაზარმა კაუჭზე წამოაგო დაცარიელებული კალათა, დემონსტრაციულად აწია და თქვა: – აბა, მუშაობის დროაო.

მამა ბართოლომეუ ლოურენსომ პასაროლას კიბე მიადგა. – სენიორ სკარლატი, ხომ არ გნებავთ, შიგნით შეიხედოთ. ორივე კიბით ავიდა მანქანაში, ფიცარნაგზე გაიარგამოიარეს, რომელიც ძალიან ჰგავდა გემის გემბანს. მღვდელი მუსიკოსს სხვადასხვა ნაწილის დანიშნულებას უხსნიდა, მაგრამ არც მზე უხსენებია, არც ის, თუ მრგვალ ჭურჭლებში რა უნდა ჩაისხას, თუმცა მუსიკოსმა მაინც იკითხა, ქარვას რა ძალა

მიიზიდავსო. შესაძლოა, ღმერთი, – მიუგო მღვდელმა. და ქარვა რა მატერიას მიიზიდავს? აი, ამ ჭურჭლის შიგთავსს. ესაა მთავარი საიდუმლო? დიახ, ესაა. მაგრამ რანაირი მატერიაა, მინერალია, მცენარე თუ ცხოველი? არც ერთი, არც მეორე, არც მესამე, არსებობს სხვა წარმოშობის მატერიაც, მუსიკა, მაგალითად. იმის თქმა გინდათ, რომ ჭურჭლებს მუსიკით აავსებთ? არა, მაგრამ ცუდი იდეაა არაა, შეიძლება, მანქანა მუსიკის ძალითაც აფრინდეს, უნდა დაფიქრდე ამაზე, რამეთუ თქვენს მელოდიებს რომ ვუსმენ, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ცაში ავდიოდე. ეს ხუმრობაა? სულ მთლად არა, სენიორ სკარლატი.

იტალიელი შებინდებისას წავიდა. მამა ბართოლომეუ ლოურენსომ მამულში გადაწყვიტა ღამის გათევა, თან ქადაგებაში წავარჯიშებაც უნდოდა, გამომშვიდობებისას მუსიკოსს უთხრა: – სენიორ სკარლატი, როდესაც სასახლეში მოგწყინდებათ, გაგვიხსენეთ და შემოგვიარეთ! რა თქმა უნდა, ბალთაზარსა და ბლიმუნდას ხელს არ შეეუშლი, აქ კლავესინსაც მოვატანინებ და დავუკრავ, ეგებ, ჩემი მუსიკა ჭურჭლებში ჩავიდეს და თქვენს საიდუმლო ელემენტს მოეხმაროს. სენიორ სკარლატი, ჩაერია ბალთაზარი, როდესაც გნებავთ, მაშინ მობრძანდით, როგორც კი მეტყვიით, კლავესინის მოტანაშიც დაგეხმარებით. თქვენი ძმა ვარ ამიერიდან, თუ მიმიღებთ, – თქვა სკარლატი.

მოსაღამოვდა. მამა ბართოლომეუ ლოურენსომ ბალთაზარსა და ბლიმუნდასთან ერთად ივახშმა, ორი სანთელი მკრთალად ანათებდა იქაურობას, ჩრდილები ტრიალებდა კედელზე. ჩახუთული ღამე იდგა, მღვდელი ბაღში გავიდა, ახედა მოკიაფე გზას, რომელიც ცის კაზადონს კვეთდა, სანტიაგოს გზაა, იქნებ ეს ვარსკვალვები ადრე პილიგრიმების თვალები იყო, ისინი ისე დიდხანს უცქერდნენ ცას, რომ სამუდამოდ იქ დარჩნენ. ღმერთი განუყოფელია არსითაც და განსახიერებითაც! – წამოიძახა უცებ ბართოლომეუ ლოურენსომ. ბალთაზარი და ბლიმუნდა ბაღში გამოვიდნენ, აინტერესებდათ, რას ყვირის მღვდელი, ადრეც გაუგონიათ, როგორ ვარჯიშობდა იგი ორატორულ ხელოვნებაში, მაგრამ ასეთი ემოციური შეძახილები მისგან ჯერ არ სმენიათ. სიჩუმემ დაისადგურა. ჭრიჭინები აჭრიჭინდნენ. და უცებ ისევ გაისმა ხმა: – ღმერთი განუყოფელია თავისი არსებით, მაგრამ სამსახეობაა. ბართოლომეუ ლოურენსო ბალთაზარსა და ბლიმუნდას მოუბრუნდა და თქვა: მე ორი საწინააღმდეგო დებულება წარმოვთქვი, თქვენი აზრით, რომელია ჭეშმარიტი? არ ვიცი, უპასუხა ბალთაზარმა. ჩვენ ეგ არ გვესმის, თქვა ბლიმუნდამაც. მაგრამ ხომ გწამს წმინდა სამების, როგორც ეკლესია გვასწავლის. მწამს. ესე იგი, შენთვის ღმერთი სამსახეობაა. ჰო. მე რომ გითხრა, რომ ღმერთი განუყოფელია განსახიერებაშიც, მარტო იყო, როდესაც სამყაროს ქმნიდა, დამიჯერებ? თუ თქვენ ასე ამბობთ, დაგიჯერებთ. არავის არ უთხრა, ახლა რაზეც გელაპერაკე, შენ რას იტყვი, ბალთაზარ? არ ვიცი, მას მერე, რაც პასაროლას შენება დავიწყე, ეგეთი რამეები აღარ მაინტერესებს, შეიძლება, ღმერთი ერთია, შეიძლება – სამი

ან ოთხი სახე აქვს, ეგებ ერთადერთი მეომარია, რომელიც 100000-იანი ლაშქრიდან გადარჩა, თვითონაა სარდალიც, ოფიცერიც, ჯარიკაციც, თანაც ცალხელაა, როგორც თქვენ მითხარით, აი, მაგისი კი მჯერა. პილატემ იესოს ჰკითხა, რა არის ჭეშმარიტებაო, მაგრამ იესომ არ უპასუხა. ეგებ ჭეშმარიტების შეცნობის დრო ჯერ არ დამდგარა? – თქვა ბლიმუნდამ, ბალთაზარის დასახიჩრებული ხელი მუხლებზე ედო, რათა მისთვის ეს მოურჩენელი ტკივილი შეემსუბუქებინა.

ეტ ეგო ინ ილლო, თქვა მამა ბართოლომეუმ, ის თავის ახალ ქადაგებას კითხულობდა, მაგრამ ამჯერად ორატორული ეფექტების, ხმის კანკალის, გულისამაჩუყებელი პაუზების, მრავალმნიშვნელოვანი ინტონაციების გარეშე, უკვე დაწერილ სიტყვებსაც ამბობდა და ექსპრომტად შეთხზულებსაც. ახალი სიტყვები ძველს უარყოფდნენ ან ახალ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ეტ ეგო ინ ილლო, დიახ, მე, ღმერთი, ადამიანში ვარ, მაგრამ როგორ შეიძლება ადამიანმა ღმერთი დაიტოს, ის ხომ მხოლოდ ერთ-ერთი ქმნილებაა. მაგრამ ღმერთი ადამიანში ზიარების ძალით შედის, გასაგებია, მაგრამ, თუ ასეა, გამოდის, რომ ღმერთი მხოლოდ მაშინ შედის ადამიანში, როცა ადამიანი მოინდომებს, ესე იგი შემოქმედი ადამიანი გამოდის, მაშინ ადამის მიმართ დიდი უსამართლობა ყოფილა ჩადენილი, უფალი მასში არ შევიდა, რადგან მაშინ ექვარისტია არ იყო, ესე იგი, ადამს უფლება ჰქონდა ღვთისათვის ესაყვედურა, ერთადერთი შეცდომის გამო გამომავდე სამოთხიდან, ჩემი შთამომავლები კი წარამარა სცოდავენ, მაგრამ უფალს საკუთარ თავში ატარებენ და არც აკრძალულ ხილზე ეუბნება არავის უარსო. ადამი იმისთვის დასაჯეს, რომ ღვთისათვის უნდოდა მიებაძა. უაზრობაა, მაგრამ მაინც ეტ ეგო ინ ილლო, უფალი ჩემშია ან არ არის ჩემში, ეჰ, როგორ გავიგნო გზა არგუმენტების ამ უღრან ტყეში? მაგრამ რას იზამ, მოდით, შევაჯამოთ – სანამ იესო დაიბადებოდა, ღმერთი ადამიანის გარეთ იყო, შემდეგ ექვარისტის მემშვეობით მასში შევიდა, ესე იგი, ადამიანი თითქმის ღმერთია, დიახ, დიახ, თუ ღმერთი ჩემშია, ესე იგი, მე ვარ ღმერთი, და არა სამსახიანი, არამედ ერთი, განუყოფელი, ღმერთი ვარ, ღმერთი მე ვარ, ის – მე, მე – ის, ძურუს ესტ ჰიც სერმო, ეტ ქუსის პოტესტ ეუმ აუდირე.

აცივდა. ბლიმუნდას ბალთაზარის მხარზე ეძინა, მღვდელი კი ისევ ბაღში იდგა, ცას გასცქეროდა და მაცდურ სიტყვებს ბუტბუტებდა.

რამდენიმე თვის შემდეგ ერთმა ბერმა, ინკვიზაციის ცენზორმა, დასკვნა დაწერა ამ ქადაგებაზე: მეტ ტაშს მოუტანს ავტორს, ვიდრე ხიფათს, და მეტ აღტაცებას, ვიდრე ექვსო. როგორც ჩანს, ძმა მანუელ გილიერმეს ქვეცნობიერად მაინც არ მოეწონა ქადაგება, ვერც მწვალებლური დაინახა მასში რაიმე და ვერც ის შემფოთება დაფარა, რომელიც ამ სასარგებლო საქმიანობის – ქადაგების ტექსტში რწყილების ჭერის – დროს გაუჩნდა; სხვა მღვდელმაც, მაგისტრმა დონ ანტონიო კაეტანო დი სოუზამ, დაადასტურა, რომ

მისთვის წარდგენილი ხელნაწერი რწმენისა და ეკლესიის საწინააღმდეგოს არაფერს შეიცავს, აღარ მოიხსენია ეჭვები, რომლებიც, როგორც ჩანს, უფრო დაბალი რანგის ცენზორს გაუჩნდა და დასძინა, რომ დოქტორი ბართოლომეუ დი გუსმენი ტყუილად არ სარგებლობს სამეფო კარის განსაკუთრებული ნდობით. ამრიგად, მეფის წყალობამ წაშალა ის საჭოჭმანო მომენტები, რომლებიც, შესაძლოა, უფრო ღრმა ჩაძიების ღირსიცაა. საბოლოო სიტყვა საქმეში ძმა ბოავენტურა დი სან-ჟიანს, სამეფო ცენზორს, ეკუთვნოდა. ამ უკანასკნელმა ჯერ საქებარი სიტყვები არ დაიშურა და დასკვნის სახით განაცხადა, რომ ამ ქადაგებაზე მისი აზრის გამოხატვა მხოლოდ მრავლისმეტყველი დუმილით Y თუ შეიძლებოდა, რადგან მას (ცენზორს) აღტაცებისაგან და მოწიწებისაგან სიტყვები დაებნა.

მამა ბართოლომეუ ლოურენსო ორმაგი, არა, სამმაგი, ან შეიძლება ოთხმაგი ცხოვრებით ცხოვრობს, ერთით – სიზმარში, მისი სიზმრები ისე უცნაური და მრავალფეროვანია, რომ გაღვიძებულმა თავადაც აღარ იცის, სიზმარში მღვდელი იყო და ეკლესიაში სწირავდა, თუ აკადემიკოსი და თავად მეფე ინკოგნიტოდ მოდიოდა და ისმენდა მის ლექციებს, თუ მფრინავი მანქანის და კიდევ სხვა ხელსაწყოების გამომგონებელი, მაგალითად, მექანიკური ტუმბოსი, რომლის წყალობით ტრიუმში შემოსული წყლის ხელით ამოხაპვა აღარაა საჭირო, ან იქნებ სულ სხვა ადამიანია, შიშით შეპყრობილი, მრავალსახიანი, მოქადაგე, აკადემიკოსი, კარისკაცი, ვიზიონერი, რომელიც პლებეებთან დაიარება სან-სებასტიან-და-პედრეირაში, მრავალსახიან კაცს სძინავს, იმედი აქვს, რომ თავისი არსის ერთიანობას აღიდგენს, ეს ერთიანობა არამდგრადი და სუსტია. მან დიდი ხანია მიატოვა თეოლოგ სქოლასტებისა და ეკლესიის მამათა ნაშრომების კითხვა, რომლებიც არსისა და განსახიერების უკვე ხსნებულ პრობლემას ეხება და, რადგანაც ადამიანი ერთადერთი ცხოველია, რომელსაც წერა-კითხვა შეუძლია, მამა ბართოლომეუ ლოურენსო ძველ აღთქმას სწავლობს, განსაკუთრებით კი მის პირველ ხუთ წიგნს, ანუ ხუთწიგნს, რომელსაც ებრაელები თორას ეძახიან, და კიდევ ყურანსაც კითხულობს. თუმცა ბლიმუნდა ყველა ადამიანის სხეულში მის შიგნეულობას ხედავს, ფიქრების ამოცნობა არ შეუძლია, ასეთ აზრებს მაინც ვერ გაიგებდა, გაუგებარია, როდესაც აზრი ერთმანეთის საწინააღმდეგო ორ ჭეშმარიტებას შეიცავს, ჭკუიდან შეიძლება გადაცდე.

მუსიკა სულ სხვა საქმეა. დომენიკო სკარლატის ბრძანებით ბელელში კლავესინი მოიტანეს, ორმა მტვირთავმა ძლივს მოათრია თასმების, ჭოკების და რბილი ჭილოფების დამხარებით სავაჭრო ქუჩიდან, მაღაზიიდან, ბალთაზარი გზას უჩვენებდა, მტვირთავებმა კლავესინი მამულის ჭიშკრამდე მოიტანეს, ბელელში კი ბალთაზარმა და ბლიმუნდამ შეათრიეს, იქ უცხოების შემწევა არ შეიძლება. იმ დღეს, საღამოსკენ დომენიკო სკარლატი მოვიდა. ინსტრუმენტს მიუჯდა და ააწყო, ბალთაზარი ამასობაში ტირიფის წნელის კარკასს წნავდა, ბლიმუნდა კი აფრას კერავდა, ხმაურიანი სამუშაო არ იყო და მუსიკოსს ხელს არ უშლიდა. როდესაც ყველა პატარა ჩაქუჩი სწორ

მდგომარეობაში მოიყვანა, სკარლატიმ დაკვრა დაიწყო, ნოტები თითქოს საპრობილედან გამოუშვა, მერე მცირე ჯგუფებად დაალაგა, თითქოს მცდარ და სწორ გადაწყვეტებს შორის ყოყმანებსო, მერე თითქოს მიაგნო იმ ერთადერთ ჭეშმარიტებას, ახალ ენას, ყველასთვის გასაგებს. ბლიმუნდა და ბალთაზარი მუსიკაში ვერ ერკვეოდნენ, ხალხური სიმღერები თუ ჰქონდათ მოსმენილი და ბერების გალობა, მაგრამ კლავესინის ხმა გულში სწვდებოდათ.

ერთ საათში სკარლატიმ დაკვრა შეწყვიტა, ინსტრუმენტს ტოლო გადააფარა, თქვა: თუ ოდესმე მამა ბართოლომეუს პასაროლა გაფრინდება, ძალიან მინდა ჩემი კლავესინით თან გავყვე და ცაში დავუკრა. ბლიმუნდამ მიუგო, მაშინ მთელი ზეცა მუსიკა გახდება, ბალთაზარმა კი დასძინა: თუ ჯოჯოხეთი არ დაგხვდა იქო. ალბათ, ომი გაახსენდა. არც ერთმა წერა-კითხვაც არ იცის, თავში კი იმ დროისათვის წარმოუდგენელი აზრები მოსდით. ნეტავ რითი უნდა აიხსნას ეს სასწაული?! მას შემდეგ ხშირად დადიოდა დომენიკო სკარლატი ჰერცოგ დი ავეირუს მამულში, საათობით უკრავდა ხოლმე, ზოგჯერ იმის მიუხედავად, რომ ბელელში საშინელი ხმაური იდგა: საბერველი ქმენდა, ჩაქუჩი კაკუნობდა, ქვაბში წყალი თუხთუხებდა...

ყოველი ჩვენგანი ნეტარების საკუთარ გზას დაემებს – შეიძლება ეს უბრალო პეიზაჟი იყოს ცის ნაგლეჯით თავზე, ორი, სამი ხე (თუ პეიზაჟი რემბრანდტის დახატულია), შორეული ხმები ან რაიმე სხვა. არასდროს არ ვიცით, სად გათავდება გზა ან სად მიგვიყვანს, აი, მაგალითად, მამა ბართოლომეუმ თავად არ იცის, რა უნდა, რომელი ღმერთი უნდა იწამოს, ანდა ეს მუსიკოსი ავიღოთ – თხზავს საოცარ მუსიკას, მაგრამ იმ დრომდე ვერ მიაღწევს, რომ ადამიანის მიერ შექმნილი პირველი სიმფონია მოისმინოს, რომელსაც შეცდომით მეცხრეს ეძახიან, ან ეს ცალხელა ჯარისკაცი, ბედის ირონიის გამო ფრთებს აწყოფს, თუმცა ადრე ინფანტერაში მსახურობდა. რას გაიგებ, რა გელის მომავალში, ან თუნდაც ეს ქალი ავიღოთ, ზედმეტად გამჭოლი მზერა რომ აქვს, შეუძლია ადამიანში ნება, სიმსივნე, ნაყოფი დაინახოს, ანდა მიწაში ჩაფლული მონეტა. ახლა კი მისი ცხოვრების მთავარი მომენტი დგება, მალე მოვა მამა ბართოლომეუ ლოურენსო სან-სებასტიან-და-პედრეირაში და იტყვის – გაიგე, ბლიმუნდა, ლისაბონში საშინელი სენი გავრცელდა, უამრავი ხალხი იხოცება, მგონი, ეს შემთხვევა ხელიდან არ უნდა გავუშვათ, მომაკვდავთა ნება უნდა შევაგროვოთ, მაგრამ ჩემი მოვალეობაა გაგაფრთხილო – საკმაოდ სარისკო საქმეა, თუ ავადმყოფობის გეშინია, ნუ წახვალ, ვერ დაგავალე, მაგის უფლებაც რომ მქონდეს. რა სენია ასეთი? ამბობენ, ბრაზილიიდან შემოვიდაო, პირველად ერისეირაში გაჩენილა. ერისეირა მაფრადან ორ ნაბიჯზეა, თქვა ბალთაზარმა. მღვდელმა თქვა: მაფრაში ეპიდემიის შესახებ არაფერი მსმენია, თავად სენს რაც შეეხება, ზოგი შავ ჭირს ეძახის, ზოგი ყვითელ ციებას, ხალხი ბუზებივით იხოცება, რას იტყვი, ბლიმუნდა? ბლიმუნდა წამოდგა, ზანდუკს თავსახური ახადა,

შუშის ჭურჭელი ამოიღო და მოკლედ თქვა: – წავალ. ოღონდ მარტო არა, – თქვა ბალაზათარმა.

მეორე დღეს, დილაუთენია, თავსხმა წვიმაში გაუდგნენ გზას, ბლიმუნდა უჭმელი იყო, ბალთაზარს აბგაში საჭმელი ეწყო, რადგან ბლიმუნდას შუადღეს მაინც მოუწევს ერთორი ლუკმის შეჭმა, მანამდე კი ბალთაზარი მის სახეს ვერ იხილავს. ერთი ნაბიჯით უკან ივლის, მხოლოდ ამ ორმა იცის, რა ფასად უჯდებათ, რომ ამდენი ხანი ერთმანეთს ვერ დაინახავენ. დასაწყისისათვის ბლიმუნდამ სასიკვდილო აგონიაში მყოფები მოინახულა. ყველაგან მადლობის სიტყვით ხვდებოდნენ. არ ეკითხებოდნენ, ნათესავია თუ ნაცნობი, ან მეზობელი, და რადგანაც მოწყალების საქმეებს მიჩვეული არიან, არ უკვირთ უცხო ქალის გამოჩენა ისედაც ხალხით სავსე ოთახში. აი, მღვდელიც მოდის, დალაქიც აქ არის, ავადმყოფს ცოტა ხნის წინათ მაჯა გაუხსნა. ვინ აქცევს ყურადღებას ქურდს, რომელსაც მოსასხამის ქვეშ შუშის ჭურჭელი დაუმალავს. შიგ ქარვა დევს, რომლისკენაც გათავისუფლებული ნება ჩიტივით მიისწარფვის, ბლიმუნდამ ოცდათორმეტი სახლი ჩამოიარა და ოცდაოთხი ნისლეული დაიჭირა, ექვს ავადმყოფს ნება არ ჰქონდა, ორი კი ისე მაგრად ებღაუჭებოდა სხეულს, რომ სიკვდილის მეტი ვერაფერი დააშორებდათ, სხვა ხუთ სახლში აღარც ნება დახვდა, აღარც სული, მხოლოდ ცრემლები და ვაივიში.

მთელ ქალაქში როზმარინს წვავდნენ, რათა სენი უკუეგდოთ, ბოლის გამო ჰაერი ლურჯი და არომატული გამხარიყო. ქალაქი აღარ ჰგავდა ჩვეულ, ბინძურ და ნაგვიან ლისაბონს, დიდი პოპულარობით სარგებლობდა ეგრეთ წოდებული წმინდა პავლეს ენები. ასე ეძახის ხალხი მოგრძო ფორმის კენჭებს, რომლებსაც წმინდა პავლეს და ყველა წმინდანის სანაპიროებს შორის ქვიშაში აგროვებენ. ამ კენჭებს სასწაულმოქმედი ძალა აქვთ და ხშირად კურნავენ ადამიანს ბოროტი ციებისაგან – უნდა დაფქვა და ავადმყოფს დააღვენო, სიცხესაც დაუწევს და ოფლსაც მოადენს, ეს ფხვნილი საუკეთესოა მოწამვლის დროსაც, შხამიანი გველის ნაკბენსაც შველის, ალბათ, ამიტომაც ეძახიან მეორენაირად გველის თვალს.

მაგრამ რატომღა იხოცება ამდენი ხალხი, როდესაც ასეთი წამალი არსებობს? ალბათ ძალიან განარისხეს უფალი ლისაბონის მცხოვრებლებმა, სამ თვეში ორი ათასი ადამიანი მიიღვალა. დღეში ორმოცს მაინც ასაფლავებდნენ, სანაპიროს ქვიშაში კენჭი აღარ დარჩა, მკვდრები ვეღარ აგებინებდნენ ცოცხლებს, რომ ეს ფხვნილი არაფერს შველის. თუმცა ყველამ იცის, რა სასწაული შეემთხვა ერთ მონაზონს, დედა ტერეზა და ანუნსიასანს. კანფეტებს აკეთებდა და შაქარი გაუფუჭდა, მორჩილი გაგზავნა სხვა მონასტერში შაქრის მოსატანად, იმათ შემოუთვალეს, მაინცდამაინც კარგი შაქარი არ გვაქვს და ვერ მოგცემთო. ძალიან ეწყინა დედა ტერეზას, იფიქრა, კარამელი ხომ არ გავაკეთოო, უფრო ადვილიაო, ისე ნუ გაგვიგებთ, თითქოსდა დედა ტერეზა ცხოვრებაში ყოველთვის იოლ გზებს ეძებდა, უბრალოდ, შაქარი სულ გაუყვითლდა. ჰოდა, მოუბრუნდა მონაზონი

იესო ქრისტეს ქანდაკებას, თავისი პრობლემები გაუზიარა, საერთოდ, ეს ხერხი შველის ხოლმე, ხომ გახსოვთ, წმინდა ანტონიუსისა და ლამპრების ამბავი... ხომ იცი, უფალო, შაქარი მეტი არა მაქვს, დამეხმარე, ღმერთო, შენთვის ეგ არაფერიაო. მერე დაფიქრდა, გადაწვიტა, მხოლოდ ლოცვა არ კმარაო, იესოს ქამარს პატარა ნაჭერი მოაჭრა და შაქრიან ქვაბში ჩააგდო. და ჰოი, საოცრებავ, ყვითელი შაქარი გათეთრდა, აქაფდა, ამოვიდა და ისეთი კარამელი გამოვიდა, რომ მსგავსი არც ერთ მონასტერში არ ექამათ. თუკი დღეს საკონდიტრო ხელოვნებაში ასეთი სასაწულები არ ხდება, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქამარი სულ ნაკუწ-ნაკუწ აქციეს და იმ მონასტრებში დაარიგეს, სადაც ტკბილეულს აკეთებენ. მოკლედ, ის დრო წავიდა და აღარ დაბრუნდება. დაღლილები დაბრუნდნენ მამულში ბალთაზარი და ბლიმუნდა – შვიდი ჩამქრალი მზე, შვიდი გამკრთალი მთვარე. ბლიმუნდას გული ერევა. თითქოს ბრძოლის ველიდან დაბრუნებულიყოს, სადაც არტილერიამ ათასობით სხეული დაფლითა. ბალთაზარსაც კარგად ესმის, რას გრძნობს ბლიმუნდა, საკმარისია ომი და ხორცის დუქანი გაიხსენოს. დასაძინებლად დაწვნენ, და იმ ღამეს მათ სხეულებს ერთმანეთი არ სწყუროდათ, იმდენად დაღლილობის გამო არა, რამდენადაც იმიტომ, რომ ზედმეტად ცხადად წარმოედგინათ, რა იმალება კანქვეშ. ძნელი ასახსნელია, სხეულები ხომ ერთმანეთს კანით შეიგრძნობენ. ძველი საბნის ქვეშ გაუხდელეებს სძინავთ, ნეტავი ვინ ანდო ასეთი საპასუხისმგებლო საქმე ორ მაწანწალას, ისინი ახლა, როდესაც წლებმა სიყმაწვილის ხიბლი წაშალა, საძირკვლის ორ ქვას დაემსგავსნენ – მიწისგან გამავებულს და შენობის სიმძიმით დაბზარულს. მთვარემ ბელელში შემოანათა, მისი სხივი პასაროლას მისწვდა, ჭურჭელი გაანათა და შიგ დამწყვდეული ნება გამოაჩინა, იმიტომ, რომ არავინ უყურებდა თუ იმიტომ, რომ მთვარის შუქს დაფარულის გამომჟღავნების უნარი აქვს.

მამა ბართოლომეუ ლოურენსო კმაყოფილი დარჩა. თვის ბოლოს ნისლეულის ციფრმა ათასს მიაღწია და მღვდელმა გადაწყვიტა, რომ ეს საკმარისია მხოლოდ საჰაერო ბურთის ასაწევად და ბლიმუნდას მეორე ჭურჭელი გადასცა. ლისაბონში ხალხი უკვე ლაპარაკობდა ამ წყვილზე, უკვირდათ, როგორ არ ეშინოდათ ავადმყოფობის. მერე ხმა გავრცელდა, ასეთი ეპიტიმია დაადეს საკუთარ თავსო. ეს სტრატეგიული სვლა მამა ბართოლომეუმ მოიფიქრა, რათა ზედმეტი ექვები აეცილებინა თავიდან. პატარა დეტალიც კმარა, რომ რეპუტაცია გაიფუჭო.

სიკვდილის შემთხვევები დღითი დღე კლებულობდა. ხალხი უკვე სხვა ავადმყოფობებისაგან კვდებოდა, ჭურჭლებში კი ორი ათასი ნება მოგროვდა. და მაშინ ბლიმუნდა ჩაწვა ლოგინში. არაფერი არ სტკიოდა, არც სიცხე ჰქონდა, უბრალოდ, ძალიან გახდა, კანი თითქმის გამჭვირვალე გაუხდა. თვალდახუჭული, უძრავად იწვა, სახე გატანჯული ჰქონდა, ბალთაზარი წუთითაც არ შორდებოდა. მამა ბართოლომეუ ლოურენსო მოდიოდა, ტაბურეტზე სათობით იჯდა და ხმას არ იღებდა. დიდი ხანია, არც ერთს აღარ აზიარებდა. ერთხელ ბალთაზარმა სიტყვა გადაუკრა, ცოდვანი

დაგვიგროვდაო, მღვდელმა კი მიუგო, ღმერთი პირდაპირ ჩვენს გულებს კითხულობს და შუამავალი არ სჭირდება, მძიმე ცოდვები კი მაინც არ გვეპატიება; თუ უფალმა ინება, სასჯელი მაინც არ აგვცდება, განკითხვის დღეს კი, შეიძლება, ყველაფერი საყოველთაო მიტევებით დასრულდესო. ბლიმუნდას შემყურე მღვდელი ფრჩხილებს იკვნიტდა, თავს ადანაშაულებდა და ადგილს ვერ პოულობდა. როდესაც ღამდამობით ბნელი ბილიკებით ქალაქში ბრუნდებოდა, ნატრობდა, რომ ყაჩაღები დასხმოდნენ თავს, ან თავად ბალთაზარი ჩასაფრებოდა, შური ეძია ბლიმუნდასთვის და ყველაფერი დასრულებულიყო. ამ დროს შვიდი მზე შვიდი მთვარის გვერდით იწვა, ჯანმრთელი ხელი გადაეხვია მისთვის და ყურში მის სახელს ჩასჩურჩულებდა. მისი ხმა იმ უკიდევანო უდაბნოში აღწევდა, რომელშიც მხოლოდ აჩრდილები ცხოვრობდნენ და რომელშიც ახლა ბლიმუნდაც დაეხეტებოდა.

დომენიკო სკარლატიც ხშირად მოდიოდა ხოლმე მამულში. ჯერ მხოლოდ მოიკითხავდა ბლიმუნდას და მალე მიდიოდა, მერე უფრო დიდხანს ესაუბრებოდა ბალთაზარს. ერთხელ კი კლავესინს მიუჯდა და დაკვრა დაიწყო. ნაზი და ნარნარი მელოდია წყნარად სწყდებოდა სიმებს, როგორც დამფრთხალი პეპელა. ეს ხმები თითქოს არც იყვნენ დაკავშირებული თითებთან. ეს კლავიატურას აქვს დასაწყისი და დასასრული, მუსიკა კი უკიდევანოა; იმ სამყაროდან მოვიდა, რომელიც ჩემს მხარმარცხნივსა და იმ სამყაროში წავა, რომელიც მხარმარჯვნივსაა. ბლიმუნდასაც თითქოს ეს წამალი სჭირდებოდა. იმ ღამეს სკარლატი მამულში დარჩა, დილით ბლიმუნდამ თვალები გაახილა, ცრემლები ჩამოუგორდა დაწვებზე, აქ რომ ექიმი ყოფილიყო, იტყოდა: თვალებიდან ცუდი ჰუმორები გამოდის, რომლებიც მძიმე სანახაობის გამო აემღვრაო. მართლაც, ცრემლი არის შვება უბედურისა.

ერთი კვირის განმავლობაში, წვიმის, ქარისა და ატალახებული გზების მიუხედავად, დადიოდა სკარლატი სან-სებასტიან-და-პედრეირაში და ორ-სამ საათს უკრავდა ბლიმუნდასთან, სანამ ავადმყოფმა იმდენად არ მოიკეთა, რომ ლოგინიდან წამოდგა. ბლიმუნდა დღითი დღე ძალას იკრებდა და, თუმცა ჯერ კიდევ ფერმკრთალი იყო, კლავესინის ახლოს ჯდებოდა და მუსიკას უსმენდა. მერე მუსიკოსი გაქრა, აღარ მოდიოდა ხოლმე, შეიძლება ტაქტის გამო, შეიძლება იმიტომ, რომ კარის კაპელმაისტერის მოვალეობანი თავისუფალ დროს აღარ უტოვებდა. მამა ბართოლომეუ ლოურენსოც აღარ ჩანდა, რაც ძალიან აშფოთებდა ბალთაზარს, და აი, ის და ბლიმუნდა ერთ მშვენიერ დილას, როდესაც ძლივს გამოვიდა კარგი ამინდი, ლისაბონში გაემართნენ მისი ამბის გასაგებად. ლისაბონი მშვიდი და იდილიური ჩანდა იმ დღეს, ქუჩის გამყიდველების შეძახილების, ქალების ყვირილის, ზარები რეკვის, საყვირებისა და დოლების ხმების, პორტში ზარბაზნების ზათქის, მათხოვრების ბუტბუტის მიუხედავად.

მამა ბართოლომეუ ლოურენსო სახლში არ დახვდათ, ქვრივმა თქვა, ალბათ, სასახლეშია ან აკადემიაში, თუ გინდათ, გადავცემ, რომ შემოიარეთ. ბალთაზარმა თავი გადააქნია, მოგვიანებით მოვალთ, მანამდე ტერეირო-დო-პოსოზე გავისეირნებთო. მღვდელი შუადღისას გამოჩნდა, ძალიან გამხდარიყო, მაგრამ მას სულ სხვა სენი ღრღნიდა, ანაფორა დაჭმუჭნული ჰქონდა, თითქოს გაუხდელად ეძინაო. როდესაც მისი სახლის წინ ქვის სკამზე ჩამომსხდარი ბალთაზარი და ბლიმუნდა დაინახა, სახეზე ხელები აიფარა და თქვა, ყოველ წუთს იმას ველოდი, რომ ბალთაზარი მოვა და მომკლავს, და ეს ყველაზე სამართლიანი განაჩენი იქნებოდა ჩემთვისო, როგორ მიხარია, რომ გამოჯანმრთელი, ბლიმუნდა! სენიორ ესკარლატემ ხომ იცოდა, რომ უკეთ ვარ? ის არ მინახავს, თავს ვარიდებდი მასთან შეხვედრას, ჩემს ბედს ველოდი. ჰო, ბედს ვერ წაუხვალ, – თქვა ბალთაზარმა, მაგრამ ბლიმუნდა ცოცხალია, ესე იგი, ღმერთმა სამივენი შეგვიწყალა, ახლა რა უნდა ვქნათ, ნება შევაგროვეთ, მანქანა მზადაა, ახლა რა გველის, მამაო ბართოლომეუ. მღვდელი უარესად გაფითრდა. გარშემო მიმოიხედა, თითქოს ამოწმებს, ვინმე ხომ არ გვიგდებს ყურსო და თქვა: მეფეს მოვახსენებ, რომ პასაროლა მზადაა, მაგრამ ჯერ ჩვენ უნდა გამოვცადოთ, მასხრად არ ამიგდონ, როგორც თხუთმეტი წლის წინათ. ახლა მამულში დაბრუნდით, მეც მალე მოვალ. ავად ხომ არ ხართ, მამაო? – ჰკითხა ბლიმუნდამ. მან უკვე რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და უეცრად მოტრიალდა – არც კი გაგხარებიათ. გამიხარდა, ბლიმუნდა, მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ნახევარია, გადამწყვეტი კი ხვალინდელი დღე იქნება. დაგვლოცეთ, მამაო! არ შემიდლია, თავად არ ვიცი, მაქვს თუ არა ამის უფლება, თქვენ თვითონ დალოცეთ ერთმანეთი, ეს სრულიად საკმარისია.

ამბობენ, ჩვენი სამეფო ცუდად იმართება და არც მართლმსაჯულებაა სათანადო დონეზეო, იმას კი აღარ ითვალისწინებენ, რომ ჩვენი მართლმსაჯულება ზუსტად ისეთია, როგორიც უნდა იყოს – თვალეები ახვეული აქვს, ცალ ხელში ხმალი უჭირავს, მეორეში – სასწორი. არაფერი გამოეპარება უწმინდეს სამსახურს, სასწორის მაგიერ – ზეთისხილის ტოტი, მახვილიც თემიდას ხმალზე ბევრად ბასრი აქვს. ხალხს ჰგონია, ეს ტოტი მშვიდობის სიმბოლოა, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი წნელია მომავალი შემის გროვაში, რომელზეც დამნაშავეს დასწავენ. ეჭვიანობის ნიადაგზე ცოლის მკვლელი უფრო დაიძვრენს თავს, ვიდრე წმინდანების მიმართ სულ მცირე უპატივცემულობაში ეჭვიმტანილი. მთავარია ნაცნობი გვყავდეს სასამართლოში და ათასი კრუზადოც გიჩხრიალებდეს, რათა თემიდას სასწორის პინაზე დააგდო. აბა, ტყუილად ხომ არ უჭირავს სასწორი ქალღმერთს. მხოლოდ შავკანიანებს და უბრალო ხალხს სჯიან, სამაგიეროდ, წესიერ ხალხს პატივს სცემენ, პროცესის გაჭიანურებას რაღა უნდა?! აპელაციები, საჩივრები, განცხადებები, სანამ საქმე მიდის, ძროხის წველასაც არავინ გიშლის, ყველა ხეირობს – ადვოკატიც, მოსამართლეც, რწმუნებულებიც, გამომძიებელიც, მოწმეც, თუ ვინმე არ ვახსენეთ, მამა ანტონიო ვიერას ბრალია, ალბათ, გამორჩა.

ასეთია მიწიერი მართლმსაჯულება, ხილული, უხილავს რაც შეეხება, ფრთხილად უნდა ვიყოთ, მაგრამ ზოგჯერ ისიც მოიკოჭლებს. აი, მაგალითად, ის შემთხვევა გავიხსნოთ, როდესაც ნავი გადაბრუნდა. ამ ნავით ინფანტი დონ ფრანსისკო და ინფანტი დონ მიგელი ტეჟოს მეორე ნაპირისკენ სანადიროდ მიემართებოდნენ, უცებ ძლიერი ქარი ამოვარდა, აფრა მოსწყვიტა, დონ მიგელი დაიხრჩო, დონ ფრანსისკო კი გადარჩა. სამართლიანობა კი პირუკუ მოითხოვდა, ხომ გახსოვთ, რამდენ ბოროტ საქმეს სჩადიოდა დონ ფრანსისკო: დედოფალს აცდუნებდა, ძმის ტახტს უმიზნებდა, მეზღვაურებს ხოცავდა, დონ მიგელი კი ასეთ რამეებში შემჩნეული არ იყო, თუმცა ვინ იცის, ეგებ დონ ფრანსისკომ ცოდვები მოინანია, მისმა უმცროსმა ძმამ კი მენავის ცოლი ან ქალიშვილი შეაცდინა, სამეფო ოჯახის წევრისაგან ასეთი რამე გასაკვირი სულაც არაა.

ამასობაში კი გამოირკვა, რომ მეფემ სასამართლო პროცესი წააგო, რომელსაც მრავალი წელი აწარმოებდა, რა თქმა უნდა, პირადად არა, ჰერცოგ დი ავეირიუს წინააღმდეგ. უკვე 80 წელია სამეფო და საჰერცოგო სახლები ამ შარში იყვნენ გახვეული, მიზეზი რაიმე წვრილმანი კი არ იყო – წყარო, ან მიჯნა – 200 000 კრუზადოს შემოსავალზე იყო დავა. ხომ წარმოგიდგენიათ: ეს თანხა სამჯერ მეტია იმ მოგებაზე, რომელიც მეფისთვის შავი მონებით ვაჭრობას მოაქვს ბრაზილიაში, ესე იგი, მაინც არის სამართალი ამქვეყნად. ახლა მეფეს მამულის დაბრუნება მოუწევს. ჰერცოგის ამბავი ნაკლებად გვაღელვებს, არც ბაღი, სასახლე, მინდვრები გვაინტერესებს, საქმე ისაა, რომ ამ ჩამონათვალში ბედელიც შედის. კიდევ კარგი, რომ პასაროლა უკვე მზადაა, უკვე შეიძლება მეფეს ამის შესახებ მოახსენონ, ის ხომ ამდენი წელია მოთმინებით ელოდა საქმის გასრულებას. წყალობას არ აკლებდა ჩვენს მღვდელს, მღვდელი კი ახლა იმ ოდითგანვე ცნობილ სიტუაციაშია, როდესაც მეოცნებე თავის ოცნებას ვერღა ელევა, შემოქმედი – თავის ქმნილებას, თუ მანქანა გაფრინდა, მერე რაღა ვქნაო?! არადა, გამოგონების მეტი რაა – შაქრის წარმოების ახალი მეთოდი და ლერწმის მჭრელი მანქანა, ნახშირის დამზადება ხისა და შლამისაგან და სხვ.

ბალთაზარი და ბლიმუნდაც ღელავენ. რა უნდა ქნან, როდესაც ჰერცოგ დი ავეირუს ხალხი მოვა?! სჯობს, მაფრაში დავბრუნდეთ, – ამბობს ბალთაზარი, მღვდელი კი უპასუხებს, – ცოტა მოიცადეთ, მეფეს მოვახსნებ ყველაფერს, დიდებაც გვექნება, ფულიცა და თაყვანისცემაც, მთელი მსოფლიო პორტუგალიაში მოხდარ სასწაულზე ილაპარაკებს, მაგრამ მღვდელი აშკარად ღელავს, საკუთარი სიტყვებისა თავადაც არ სჯერა და იმიტომ. ბლიმუნდა წყნარად ეკითხება: – რისი გეშინიათ, მამაო ბართოლომეუ? ასე ჯიქურ დასმული კითხვის გაგონებაზე მღვდელი შეკრთა, წამოდგა, ბელის კართან მივიდა, თვალი მოავლო სიბნელეში ჩაძირულ ბაღს და ჩურჩულით უპასუხა: – უწმინდესი სამსახურის. ბალთაზარმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ბლიმუნდას და თქვა: – რამდენადაც ვიცი, ფრენის სურვილი ცოდვად არ შეიძლება ჩაითვალოს, არც მწვალებლობად, თხუთმეტი წლის წინათ ხომ გაფრინდა თქვენი

ბურთი? ბურთი არაფერია, – მოუგო მღდელმა, – აი, პასაროლა კი სერიოზული საქმეა, ინკვიზიცია იტყვის, დემონური ძალით აფრინდა ჰაერშიო და, როდესაც კარგად ჩაეძიებინ და ნისლეულის ამბავს გაიგებენ, ცუდად იქნება ჩვენი საქმე, ინკვიზიცია ნების არსებობას არ ცნობს, იტყვიან, რომ ჩვენ ქრისტიანთა სულები დავაპატიმრეთ და სამოთხეში არ ვუშვებთ, მერე ხომ წარმოგიდგენიათ, რაც იქნება – წამება, სატუსალო და შეიძლება კოცონიც... მაგრამ მეფე ხომ ჩვენს მხარეზეა, ინკვიზიცია მეფის წინააღმდეგ ხომ არ წავა? თუ საქმე საქმეზე მიდგა, მეფეც უწმინდეს სამსახურს დაემორჩილება.

მაშინ ბლომუნდამ კიდევ დაუსვა ერთი კითხვა: – უფრო რისი გეშინიათო, მამაო, მომავლის თუ უკვე მომხდარის? რას გულისხმობ? ეგებ უწმინდესმა სამსახურმა უკვე მოაღწია თქვენამდე, დედაჩემის ამბავი კარგად მახსოვს, რაღაც ენით გამოუთქმელი, ნისლივით ხელშეუხებელი ეხვევა იმ ადამიანს, ვისზეც ინკვიზიციამ ეჭვი მიიტანა, ჯერ თავადაც არ იცინა, რაში ადანაშაულებენ, მაგრამ თავს მაინც დამნაშავედ გრძნობენ. მე კარგად ვიცი, რასაც მაბრალეებენ და, როდესაც დრო მოვა, იტყვიან, რომ იუდეველი ვარ და ჯადოქარი, ახლა მე თქვენს ხელთა ვარ, თუ დამაბეზლებთ, დავიღუპები. მეორე ხელიც მომჭრან, თუ დაგაბეზლოთ, – თქვა ბალთხარმა. თვალი ვერ მოვხუჭო ცხოვრებაში, თუ მასე მოვიქცე, სულ ასე ვხედავდე, როგორც უზმოზე, – თქვა ბლიმუნდამაც.

ავვისტო დამთავრდა, სექტემბერი დაიწყო, ობობებმა ბრჭყვიალა ქსელები გააბეს პასაროლაზე, სენიორ ესკარლატეს კლავესინი დუმს, სან-სებასტიან-და-პედრეირაზე სევდიანი ადგილი, ალბათ, მთელ მსოფლიოში არ არის. აცივდა, მზე სულ უფრო და უფრო დიდი ხნით იმალება ღრუბლებში, არადა, პასაროლას მზე სჭირდება, მეფის წინაშე არ შევრცხვეთ, ჰოი, თავისმოჭრა თუ გინდა, შავად გადაიღებე მერე სახე ზანგივით. ბოლოს და ბოლოს, მღვდელი გამოჩნდა, ჭიშკართან ჯორის ჩლიქების პაკუნთა გაისმა, ნეტავ მეფეც ხომ არ მოჰყავს, ალბათ, არა, მეფე ჯერ მსახურებს გამოგზავნიდა, რომ სისუფთავესა და წესრიგზე ეზრუნათ, დროშა გამოეკიდათ და სხვა, მართლაც, მამა ბართოლომეუ ლოურენსოს ფერი არ ედო სახეზე. საფლავიდან წამომდგარსა ჰგავდა: – უნდა გავიქცეთ, ინკვიზიცია მეძებს, ჭურჭლები სადაა? ბლიმუნდამ ზანდუკი გახსნა, რაღაც ჩვრები გადაქექა, მღდელმა იყვირა: – უნდა გავიქცეთ, სასწრაფოდ. სად? არ ვიცი სად, მთავარია, აქაურობას გავეცალოთ!

დღის ორი საათია, სამუშაო ძალიან ბევრია, კრამიტი უნდა აიყაროს, კოჭები მოიხნას, აფრები უნდა დაამაგრონ, რათა მზის სხივები დროზე ადრე არ მოხვდეს მანქანას. ორ ჭურჭელში უნდა გაანაწილონ ორი ათასი ნება, თანაბრად, პასაროლამ წონასწორობა რომ არ დაკარგოს, ბალთხარის სახურავზეა და კრამიტებს ძირს ყრის, საშინელი ხმაური დგას, მამა ბართოლომეუც ცოტათი გონს მოეგო, ბლიმუნდა კი ისე მშვიდად ამოწმებს აფრებს, თითქოს მთელი ცხოვრება ამის მეტი არაფერი უკეთებია.

შენ რაღას აპირებ, მფარველო ანგელოზო, რაც მაგ თანამდებობაზე დაგნიშნეს, ასეთი საპასუხისმგებლო მომენტი ჯერ არ გქონია. ეს სამი ახლა იქ უნდა ავიდეს, სადაც ადამიანი ჯერ არ ყოფილა, დახმარება სჭირდებათ, რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს, საკუთარი სიმამაცე, მყარი მატერია და უხილავი ემანაცია შეაერთეს, უკვე მზად არიან, ახლა თუ არ დაეხმარე, მაშ, ანგელოზი არ ყოფილხარ. მათ რომ საქმეს ხელი მოჰკიდეს, ის გეომეტრიისა და არითმეტიკის ცოდნას მოითხოვს, შენც ხომ ძლიერი ხარ ამ მეცნიერებაში, ცამეტი ჯადოსნური სიტყვა იცი, ჰოდა, დაიწყე თავიდან: ერთი სიტყვაა სახლი იერუსალიმში. ამ ქალაქში იესო ქრისტე ეწამა ჩვენ გამო, ორი სიტყვა – მოსეს ორი ფიქალი, რომლებზეც იესო დადგა, სამი სიტყვა – წმინდა სამების სამი სახე, ოთხი სიტყვა – ოთხი მახარებელი, იოანე, ლუკა, მარკოზი, და მათე, ხუთი სიტყვა – იესო ქრისტეს ხუთი სტიგმატი, ექვსი სიტყვა – ექვსი სანთელი, რომელიც მისი დაბადებისას აინთო, შვიდი სიტყვა – შვიდი საიდუმლო, რომლებსაც ეკლესია აღიარებს, რვა სიტყვა – რვა ნეტარება, რომლებიც იესომ ქადაგებაში ჩამოთვალა, ცხრა სიტყვა – ცხრა თვე, რომელის განმავლობაში მარიამმა იესო მუცლით ატარა, ათი სიტყვა, – ათი მცნება, თერთმეტი სიტყვა – თერთმეტი ათასი ქალწული, თორმეტი სიტყვა – თორმეტი მოციქული. ეს რიცხვი ოდითგანვე ბედნიერად ითვლება, ცამეტი სიტყვა კი მთვარის ცამეტი სხივია. ბლიმუნდას შუშის ჭურჭელი უჭირავს ხელში, მიხედვე, მფარველო ანგელოზო, რომ არ გაუვარდეს და გაუტყდეს, თორემ გაფრენა არ შედეგება, მღვდელი თავის მდევრებს ვეღარ დაუსხლტება ხელიდან, იმ კაცსაც დაეხმარე, სახურავზე, ცალხელაა, მაგაშიც შენ მიგიძღვის ბრალი, სად იყავი ბრძოლის დროს?

ახლა დილის ოთხი საათია, ბელლიდან მხოლოდ კედლებილა დარჩა. შუაში პასაროლა დგას. პატარა სამჭდლო ჩრდილშია ჩადირული, მის პირდაპირ ლეიბი დევს, რომელზეც ექვსი წლის განმავლობაში ეძინათ ბალთაზარსა და ბლიმუნდას, ზანდუკი უკვე მანქანაში ჩადეს. აბგებიც შეკრეს, ცოტა საჭმელიც დასჭირდებათ, კლავესინს რაღა ეშველება, აქ უნდა დარჩეს, რას იზამ, ახლა მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ. ვაპატიოთ, ძალიან აღელვებული არიან, არც ერთს არ გახსენებია, რომ, თუ სასულიერო ან საერო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ნახეს კლავესინი, აუცილებლად დაინტერესდებიან, საიდან გაჩნდა ეს აქაურობისთვის სრულიად შეუფერებელი ინსტრუმენტი. თუ სახურავი ქარიშხალმა ახადა, ეს ნაზი ინსტრუმენტი როგორღა გადარჩაო?! ვერ დაუკრავს სენიორ ესკარლატე ცაში, – თქვა ბლიმუნდამ.

ახლა კი დროა. მამა ბართოლომეუ ცაში იყურება, ცა მოიწმინდა, მზე ოქროს ბარძიმივითაა. უფალს მივანდოთ ჩვენი ბედი, – თქვა ჩუმად და დასძინა, – მოხსენი თოკი, ბალთაზარ! ბალთაზრმა უცებ ვერ მოახერხა თოკის მოხსნა, მაშინ ბლიმუნდა მოუახლოვდა, ხელისგულები მის ხელს დაადო და ერთიანი მოძრაობით მოქაჩეს, აფრა გვერდზე გადაიხარა, მზემ ქარვას სტყორცნა სხივები, მანქანა შეირყა, წნელებმა დაიკვნესეს, და უცებ, თითქოს სინათლის მორევმა ჩაითრიაო, პასაროლა ორჯერ

დატრიალდა თავისი ღერძის გარშემო და მაღლა აიჭრა. მკვეთრი მოძრაობისაგან ბალთაზარმა და ბლიმუნდამ წონასწორობა დაკარგეს და ფიცარნაგზე დაეცნენ. მამა ბართოლომეუ ლოურენსო კი ერთ-ერთ ანძას ჩაებლაუჭა და დაინახა, რა საოცარი სისწრაფით შორდებოდა მიწა. აი, მამული თვალს მოეფარა, ბორცვებს შორის ჩაიკარგა. აი, ლისაბონიც გამოჩნდა, მდინარეც. აი, ზღვაც, ნეტავი მხედავდეს ახლა მეფე ან ის ტომას პინტო ბრანდანი, თავის ლექსებში რომ დამცინოდა, ან ინკვიზიტორები მიყურებდნენ. ყველა დარწმუნდებოდა, რომ მე ვარ უფლის საყვარელი შვილი. დიახ, მე! აი, ცაში მივდივარ, მე მოვახდინე ეს სასწაული, ჩემმა გონებამ და კიდევ ბლიმუნდას თვალებმა და ბალთაზარის მარჯვენამ, მასაც ღმერთივით ცალი ხელი აქვს. ეჰეი, ბლიმუნდა, ბალთაზარ! მღვდელი იცინოდა, რაღაცას ყვიროდა, უკვე აღარ ებლაუჭებოდა ანძას. ფეხზე წამოდგნენ სინათლისა და ქარისგან გაბრუებული ბალთაზარი და ბლიმუნდაც, გამოგვივიდა! გამოგვივიდა, აჰ, როგორც იქნა! მღვდელი მიეჭრა და ორივეს მოეხვია, და ამ დროს ბლიმუნდამ თქვა, აფრას თუ არ გავასწორებთ, სულ მაღლა და მაღლა წავალთ, და ბოლოს მზეზე აღმოვჩნდებითო. თუ უცებ ავწევთ აფრას, ქვასავით დავენარცხებით მიწაზე, – თქვა მღვდელმა და საკუთარი ხელით დაიწყო თოკის მოშვება, აფრა ნელ-ნელა სწორდება, მისი ჩრდილი ქარვის ბურთებს ეცემა. მანქანის სიჩქარე იკლებს, თურმე რა ადვილია ჰაერში იყო პილოტი! ახლა შეგვიძლია ახალი ინდოეთის საძებრად გავფრინდეთ!

მანქანამ სიმაღლის აკრეფა შეწყვიტა, ახლა მსუბუქად დასრიალებდა ჰაერში, ფრინველივით ფრთაგაშლილი, ნისკარტი ჩრდილოეთისაკენ ჰქონდა მიმართული, თუ მოძრაობდა, ძალიან ნელა. მღვდელმა აფრა დაამაგრა, ქარვის ბურთების სამი მეოთხედი ჩრდილში მოექცა. მანქანამ ნელ-ნელა დაიწყო დაშვება, ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ნავით ტბის წყნარ ზედაპირზე მიცურავ, მიწა ახლოვდება. ლისაბონი უკვე კარგად ჩანს. აი, ტერიერო-დო-პასოს მოედნის არასწორი ოთხკუთხედი, ქუჩებისა და შუკების ლაბირინთი, სახლი, რომელშიც მღვდელი ცხოვრობდა და სადაც ახლა ინკვიზიტორები შედიან მის დასაპატიმრებლად. მაგრამ დააგვიანდათ, ეს ხალხი ზეციური ინტერსების სამსახურშია, მაგრამ რატომღაც თავში არ მოსდით, ხანდახან მაღლა აიხედონ. ისე, ამ სიმაღლეზე პასაროლა, ალბათ, წერტილივით მოჩანს, თანაც აგენტებს მაგისტრის როდი სცხელათ. შიშით უყურებნენ ბიბლიას, საიდანაც ხუთწიგნი ამოუგლეჯიათ, და დაფლეთილ ყურანს, აი, გადიან სახლიდან, როსიოსკენ მიემართებიან, ელჩთა სასახლეში, რათა მოახსენონ, რომ ექვმიტენილი მღვდელი მიიმალა, ის კი არ იციან, რომ ლტოლვილი ცის კაბადონმა მიიღო, სადაც ინკვიზიტორები ფეხს ვერასდროს დადგამენ. ჭეშმარიტად, უფალი თავის საყვარელ შვილებს გიჟებსა და ხეიბრებში არჩევს, მაგრამ ინკვიზიტორებში – არასდროს. პასაროლა კიდევ უფრო დაბლა დაეშვა, უკვე ჰერცოგ და ავეირუს სასახლის გარჩევაც შეიძლება, რა თქმა უნდა, ჩვენი ავიატორები ჯერ ახალბედები არიან, გამოცდილება არ ჰყოფნით, რომ სწრაფად ამოიციონ მიდამო,

რელიეფის ნიშნები, მდინარეები, სოფლები, ტბები, რომლებიც თანავარსკვლავედების მსგავსად გაბნეულა მიწაზე. აი, მათი ბელლის კედლები, მათი ასაფრენი მოედანი, მამა ბართოლომეუ ლოურენსოს გაახსენდა, რომ ჭოგრიტი აქვს, ამოიღო და ნათლად დაინახა კუთხეში მიგდებული ლეიბი, პატარა სამჭედლო, მხოლოდ კლავესინი არ ჩანს. ნეტავი, სად გაქრა?! ჩვენ ვიცით და თქვენც გაიმბობთ: დომენიკო სკარლატი მამულში წავიდა და სულ ახლოს იყო, როდესაც დაინახა, როგორც აფრინდა პასაროლა. ბელელში რომ შევიდა, ნახა დაშლილი სახურავი, მიწაზე მიმოფანტული ფიცრები, ამაზე სევდიანი სანახაობა არ არსებობს – თვითმფრინავი ასაფრენ ბილიკზე გარბის, წამიც და – უკვე ჰაერშია, გაქრა. გულში კი ნალველი დარჩა. ამიტომაც სკარლატი კლავესინს მიუჯდა, ცოტა დაუკრა, მერე მიხვდა, რომ ინსტრუმენტის აქ დატოვება ძალიან საშიშია. სადაცაა ინკვიზიციის აგენტები მოვლენ, ძლივძლივობით გამოათრია კლავესინი ბელლიდან, ჭამდე მიაგორა, თან სიმების საცოდავი კვნესას უსმენდა, კიდევ კარგი, ჭის მოაჯირი მაღალი არაა – და წყალში ჩააგდო. ვინ მიხვდება უფლის განგებას, ვინ წარმოადგენდა, რომ ეს ტკბილხმიანი ინსტრუმენტი ტალახში დაასრულებდა თავის არსებობას, სკარლატიც აღარ ჩანს, ალბათ უკვე ფარული ბილიკებით გარბის, შეიძლება ცაში იყურება, შლაპა მოიხადა და დაუქნია, ერთხელ, მხოლოდ ერთხელ. სჯობს, ექვის საფუძველი არავის მისცეს. ვინც იცის, ოდესმე ისევ ნახავს თავის მეგობრებს?

მსუბუქი ბრიზი უბერავს სამხრეთიდან, ოდნავ არხევს ბლიმუნდას თმას, ასეთი ქარის პირობებში შორს ვერ წახვალ, ამიტომ ბალთაზარმა თქვა, საბერველი უნდა ავამუშავოო. რას იზამ, თუ ღმერთი არ დაგეხმარა, შენ თვითონ უნდა გაანძრიო ხელი. მამა ბართოლომეუ ლოურენსო თითქოს გაშეშდა, ხმას არ იღებს. ადგილიდან არ იძვრის, მხოლოდ ქვევით იყურება, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სამყარო და ადამიანები გაქრნენ. ყოვლისმომცველმა სიჩუმემ დაისადგურა, ნიავეც ჩადგა, ბლიმუნდას თმის ერთი ღეროც კი აღარ ირხევა. მიდი, ბალთაზარ, – ხმა გაიღო მღვდელმა.

საბერველი ორგანის საბერველის მსგავსადაა მოწყობილი, ფეხის პედალიც აქვს და ძელიც, რომლითაც შპანგოუტზე მაგრდება ადამიანის მკერდის დონეზე. ეს მამა ბართოლომეუს გამოგონება არაა, სპეციალურად წავიდა საპატრიარქო ეკლესიაში და იქ ჩაიხატა ორგანის მოწყობილობა, განსხვავება ისაა, რომ მუსიკა არ ისმის, მხოლოდ ჰაერის ნაკადი მიექანება და მანქანა მოძრაობს. მაგრამ ნელა, ძალიან ნელა მიიწევს წინ, გული მოგიკვდება, ერთი გასროლის მანძილიც არ გაუვლია, ბალთაზარს კი უკვე ხვითქი გადასდის, ძალიან დაიღალა, არა, ასე შორის ვერ გავფრინდებით, მღვდელს სახეზე ტანჯვა აღებეჭდა. მიხვდა, რომ მისი გამოგონება სრულყოფილი არაა, შტილის დროს ცუდადაა საქმე, ნიჩბებს ჰაერში ვერ იხმარ. გეყო, ნულარ იკლავ თავს, – ამბობს იგი, და დაღლილი ბალთაზარი მოცელილივით დაეშვა ფიცარნაგზე.

სამივე სასოწარკვეთილებამ მოიცვა, მხოლოდ აფრენა და დაშვება შეუძლიათ, გადაადგილება კი – არა. მზე ტეჟოს შესართავისკენ გადაიხარა. ჩრდილები დაგრძელდა და უცებ მამა ბართოლომეუ ლოურენსომ შენიშნა, რომ მიწაზე ერთ ადგილას ტყეში ცეცხლი ანთია. ეტყობა, მენახშირეები ხეს წვავენ, და ბოლი ჩრდილოეთისაკენ მიცურავს. ეტყობა, დაბლა, მიწის ზედაპირთან ახლოს, ქარი უბერავს. მღვდელმა ცოტა კიდევ გაშალა აფრა, ქარვის ბურთების კიდევ ერთი რიგი მოაქცია ჩრდილში და მანქანამ უფრო მკვეთრად იწყო დაშვება, სამივეს კინალამ გული ამოუვარდა, ყურებში წივილი ესმით, ქარმა აიტაცა პასაროლა და მძლავრად გასტყორცნა ჩრდილოეთისკენ, ისე ძლიერად, რომ, ლისაბონი უკან დარჩა და რამდენიმე წამში ჰორიზონტს მოეფარა. ისეთი გრძნობაა, რომ როგორც იქნა, გამოხვედი ყურედან და ახლა შენს წინ უკიდევანო ოკეანე გადაიშალა, სადაც გზა უნდა გაიკვლიო და წარმოდგენაც კი არა გაქვს, რა გელის – ამიდასტორები თუ წმინდა ელმის ცეცხლინძი, თუ ქარბორბალა და ტაიფუნი. საით მივფრინავთ?! – იკითხა ბლიმუნდამ, მღვდელმა კი უპასუხა, – იქ, სადაც ინკვიზიციის ხელი ვეღარ მოგვწდება, თუკი არის ამქვეყნად სადმე ასეთი ადგილი.

ჩვენი ხალხი ზევით იშვიათად იყურება, მიუხედავად იმისა, რომ ზეცის დიდი იმედი აქვს, ზეცა კი, როგორც ამბობენ, მაღლა მდებარეობს. ზოგი მინდორში მუშაობს, ზოგი – ბოსტანში, ზოგი – სახლში. არავინ აქცევს ყურადღებას პასაროლას. მარტო ერთმა ქალმა, რომელიც თივაზე კაცთან ერთად იწვა, იფიქრა, ნეტავი, რამ გადაიფრინა ცაზეო? მხოლოდ უკვირთ, ერთმანეთს ეკითხებიან, ეს რაღაა, ნუთუ ფრინველთა მესიააო, პასაროლასთან შედარებით, თავად არწივი რაღაც იოანე ნათლისმცემლის მაგვარია, თანაც საფრენი აპარატის ამბავი ამით როდი თავდება.

ქარმა მიმართულება შეიცვალა, ახლა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაუბერა. მიწა სწრაფად მიქრის, მინდვრები, ტყეები, სოფლები, მწვანე, ყვითელი, ყავისფერი, თეთრი, აგურისფერი ლაქები... მიწა მდინარესავით მიედინება, რომელსაც ყველაფერი სამუდამოდ თან მიაქვს.

სამი ავიატორი მანქანის ცხვირზე დგას, მამა ბართოლომეუ ლოურენსო სულ უფრო და უფრო ღელავს. აი, უკვე გულისხეთქვაშია, მზე წუთი-წუთზე ჩავა. მანქანა დაბლა ჩამოვარდება. კატასტროფა გარდუვალია, დაიმტვრევიან, დაილუპებიან... აგერ, მაფრაა, – იყვირა ბალთაზრმა იმ მეზღვაურივით, რომელიც შორეული მიწის გამოჩენას დაძაბული ელოდება. კარგი შედარებაა, ესეც ხომ მიწაა, ბალთაზარის მიწა, იმწამსვე იცნო. თუმცა ზემოდან არასდროს უნახავს, მაგრამ ყოველი ჩვენგანის გონებაში ხომ სამუდამოდაა აღბეჭდილი მშობლიური რელიეფი, ბალთაზარმაც იცნო ეს მიწა, როგორც საყვარელი ქალის სხეულს იცნობდა. პასაროლამ მშენებარე მონასტერს გადაუფრინა. ამჯერად ხალხმა იგი შენიშნა, ქვევიდან ყვირილი ისმის, ზოგი მუშა მიწაზე ემხობა და

ლოცულობს, ზოგი ქვებს ისვრის ჰაერში, ზოგი შემინებული გარბის, მანქანა კი მზისკენ წავიდა და მის სხივებში გაუჩინარდა.

რამდენიმე წუთში მიაღწია პასაროლამ ზღვის ნაპირს, გეგონება, მზე მაგნიტივით იზიდავს და ქვეყნიერების დასალიერისკენ მიაქანებსო, მამა ბართოლომეო ლოურენსო მიხვდა, რომ წუთიც და ზღვაში ჩაცვივდებიან, გამწარებული ეცა თოკს და მთელი ძალით მოქაჩა, აფრა გვერდზე გადაიხარა, პასაროლა საშინელი სისწრაფით აიჭრა ზევით, მაგრამ უკვე გვიანია – აღმოსავლეთიდან ბინდი მოიპარება, ღამეს ვერსად გაექცევი. მანქანა ისევ ძირს ეშვება, ახლა უკვე ქარი აღარ იგძნობა, არამედ მხოლოდ საშინელი ძალის ვერტიკალური ნაკადი, რომელიც დაშვებისას წარმოიქმნება. მზე ჰორიზონტს იქით ეშვება, როგორც ფორთოხალი ხელისგულზე ან გავარვარებული ლითონის დისკო, რომელიც წყალში უნდა გაცივდეს, მისი სხივები თვალს აღარ აღიზიანებს, თითქოს ასე ამბობს, მშვიდობით, დედამიწავ, ხვალამდეო! ვინ იცის, გაუთენდებათ ხვალინდელი დღე ჩვენს მოგზაურებს? მანქანა დაჭრილი ფრინველივით მიექანება მიწისაკენ, მამა ბართოლომეუ უაზრო თვალებით იყურება აქეთ-იქით, თითქოს უკვე გადააბიჯა ამ ქვეყნის ზღვარს, და უცებ ბლიმუნდა ბალთაზარს ხელიდან დაუსხლტა და მრგვალ ჭურჭელს ეცა. მკლავები მოხვია და მთელი სხეულით მიეკრა. თითქოს შიგ გამომწყვდეულ ნებას უნდა შეუერთდესო, მანქანა შეჩერდა, შეირხა, როგორც ცხენი, როდესაც მხედარი მაგრად მოქაჩავს სადავეს, წამით შეეყოვნდა და მერე ისევ დაიწყო ვარდნა. ბლიმუნდამ შეჰყვირა, – ბალთაზარ, ბალთაზარ! მესამედ დამახება აღარ დაჭირვებია, ბალთაზარი მიხვდა, რასაც სთხოვდა ბლიმუნდა და მეორე ჭურჭელს მოხვია ხელები. საკუთარი ნისლეულების ძალით ძირს ვარდნა შეაჩერეს შვიდმა მზემ და შვიდმა მთვარემ, ის ახლა ნარნარი რხევით ნელ-ნელა ძირს ეშვებოდა, ოდნავ დაიჭრიალა და ისე დაჯდა მიწაზე, თუმცა ძალიან გადაიხარა გვერდზე, რაკილა საყრდენები არ ჰქონდა. ყველაფერი იდეალურად არასდროს არ გამოდის. სამივენი – დასუსტებულები, ნაბეგვები – ბურთებივით გადმოცვივდნენ პასაროლადან და მიწაზე დაგორდნენ; როდესაც გონს მოეგნენ, აღმოჩნდა, რომ სერიოზულად არავინ დაშავებულა, ჭემმარიტად, სასწაულებიც ხდება ამ ქვეყანაზე, წმინდა ქრისტეფორეს ხვეწნაც კი არ დასჭირდა, საკუთარი ინიციატივით მიაშველა ხელი მანქანას და კატასტროფას გადაარჩინა. ამ სარბიელზე მოხდენილი პირველი სასწაულისათვის ეს სულაც არაა ცოტა.

ბინდი ჩამოწვა. ცაზე პირველი ვარსკვლავები გამოჩნდა, ჩვენმა მგზავრებმა, მართალია, ვარსკვლავებს ვერ მიაღწიეს, არც ისე დიდი ნახტომი გამოუვიდათ – ლისაბონის შემოგარენიდან აფრინდნენ და მაფრას სიახლოვეს დასვეს მანქანა, თანაც კინაღამ ზღვაში ჩაცვივდნენ. ნეტავი სად ვართო, – იკითხა ბლიმუნდამ და დაიკვნესა, ხელ-ფეხი სტკიოდა, კუჭი ეწვოდა. ბალთაზარიც იმავეს გრძნობდა – დაჭრილი ხარვივით ბარბაცებდა, თუმცა, ხარისგან განსხვავებით, გაუმართლა: ამ რამდენიმე წუთის წინათ

სრულიად განწირული, ახლა სიცოცხლეს უბრუნდებოდა. არ ვიცი, ამ ადგილს პირველად ვხედავ, მთებში ვართ, თქვენ რას იტყვით, მამაო ბართოლომეუ?! მღვდელიც წამოდგა, ხელ-ფეხი არა, მაგრამ თავი საშინლად სტკიოდა, თითქოს ერთი საფეთქლიდან მეორემდე რკინის ბურღით გაუხვრიტესო. მან თქვა: – საშიშროება ისევ დიდია, გუშინ თუ ვერ დაგვიჭირეს, დღეს ან ხვალ მოგვძებნიან. მაგრამ რა ჰქვია ამ ადგილს? ნებისმიერი ადგილი ჯოჯოხეთის კარიბჭეა, ზოგი ჯოჯოხეთში სიკვდილის შემდეგ ხვდება, ზოგი კი სოცოცხლეშივე, ჯერ ცოცხლები ვართ, ხვალ აღარ ვიქნებით...

ბლიმუნდა მიუახლოვდა და უთხრა: – ასეთ დიდ ხიფათს დავაღწიეთ თავი და სხვასაც გავუმკლავდებით, ოღონდ გვითხარით, საით უნდა წავიდეთ. არ ვიცი, არა უშავს, გათენდება და გავიგებთ, მოდით, რომელიმე ბორცვზე ავიდეთ, იქიდან უკეთ გამოჩნდება ყველაფერი, მზე ამოვა და გზასაც გავაგნებთ. ბალთაზარმა კი დაამატა: – მანქანას მივხედოთ, ახლა ხომ უკვე ვიცი, როგორ უნდა მოვიქცეთ, ხვალ დილით თუ ქარმა ხელი შეგვიწყო, გავფრინდეთ და მზის ჩასვლამდე ისე შორს ვიქნებით, რომ ვერანაირი ინკვიზიცია ვერ გვიპოვის. მღვდელმა ხმა არ გასცა. თავზე ხელები წაივლო და ისეთ ჟესტებს აკეთებდა, თითქოს ვიღაც უხილავს ესაუბრებო. აცივდა. რა გასაკვირია, უკვე სექტემბრის ბოლოა, უკვე დღისითაც აღარ ცხელა. ბალთაზარი მანქანის გვერდს მოეფარა, და იმ ადგილას, სადაც ქარი არ სცემდა, პატარა კოცონი დაანთო. იმდენად გასათბობად არა, რადგანაც იმისათვის, რომ ასე ეულად არ ეგრძნოთ თავი ღამეში. ბლიმუნდაც ცეცხლს მიუჯდა, აბგა გახსნა, საჭმელი ამოალაგა და მღვდელს უხმო, მაგრამ იგი არც განძრეულა, სიბნელეში ჩანდა მისი ფიგურა, მაღლა, ვარსკვლავებისაკენ იყურებოდა და თითქოს არაფერი არ ესმოდა.

ბლიმუნდამ და ბალთაზარმა საჭმელი მოათავეს, იქვე, მიწაზე, წამოწვნენ, ბალთაზარის ფარაჯა და ზანდუკიდან ამოდებული ტილოც წაიხურეს და მაშინ ბლიმუნდამ წაიჩურჩულა, – მამა ბართოლომეუ ავადაა, თავის თავს აღარა ჰგავს. ეგ დიდი ხანია ეგრეა, რას იზამ. ჩვენ რა უნდა ვქნათ? რა ვიცი, ხვალ მოვიფიქრებთ. ძილბურანში კიდევ ესმოდათ მღვდლის ნაბიჯები, ტოტების შრიალი, გაურკვეველი ბუტბუტი და ცოტათი დამშვიდდნენ, რადგან ყველაზე შემამფოთებელი ნიშანი მაინც სიჩუმეა. ცოტა ხანში, სიცივისა და მოუხერხებელი საწოლის მიუხედავად, ჩაეძინათ. ბლიმუნდას დაესიზმრა, რომ ფრთიან ცხენებზე მული ეტლით მიფრინავს ცაში. ბალთაზარმა კი ნახა, რომ ხარზე ზის, რომელსაც ცეცხლოვანი ჭილოფი აფარია და ისე მიფრინავს, უცებ სადავეს ცეცხლი მოეკიდა, რაკეტები აფეთქდა და ცაში აიჭრა. შემინებულს გამოეღვიძა კიდევ. მართლაც, გარშემო ცეცხლი ენთო, მღვდელს ხელში აღმოდებული ტოტი ეჭირა და მანქანას ცეცხლს უკიდებდა, წნელები უკვე იწვოდა, ბალთაზარი ერთი ნახტომით მიეჭრა მღვდელს, წელზე ხელი მოხვია, გვერდზე გაათრია, მიწაზე დააგდო და აალებული ტოტი ფეხებით ჩააქრო, ბლიმუნდა ამასობაში ტილოს ნაჭრით ებრძოდა ცეცხლს, რომელიც ბუჩქებსაც მოსდებოდა. ბალთაზარმა მანქანას მიწა მიაყარა და, როგორც იქნა,

ხანძარი ჩააქრეს. სიბნელეში ერთმანეთს თითქმის ვეღარ ხედავდნენ, ბლიმუნდამ გულგრილად, თითქოს უკვე წინასწარ სცოდნოდეს პასუხი, იკითხა: – რატომ ჰქენით ეს? და მღვდელმა უპასუხა, – თუ კოცონზე სიკვდილი მიწერია, ეს კოცონი მირჩვენიაო, მერე გატრიალდა და ბუჩქებში შევიდა, რომლებსაც ბორცვის ფერდობი დაეფარათ. ერთხანს ისმოდა ტოტების ლაწალუწი, მერე ხმა მიწყდა, დიდხანს ელოდნენ, მაგრამ მღვდელი არ დაბრუნებულა. ბალთაზარი მის სამებრად წავიდა, ხმამაღლა ეძახდა, მაგრამ ამაოდ. მთვარემ გამოანათა, ბუჩქები ჩრდილებითა და აჩრდილებით აივსო, ბალთაზარი ბლიმუნდასთან დაბრუნდა და თქვა: – არსად ჩანს, ბლიმუნდამ კი უპასუხა: – ალბათ, ვერასდროს ვერც ვნახავთ.

იმ ღამეს თითქმის არ ეძინათ, მღვდელი არ დაბრუნებულა. დილით ბლიმუნდამ თქვა: – თუ კარგად არ გადავაფარებთ ქარვის ბურთებს აფრას, მანქანა თავისით აფრინდება, თუმცა ეგებ ეგრე სჯობდეს კიდევ, იქნებ სადმე – მიწაზე თუ ზეცაში – მამა ბართოლომეუ იპოვოს, ბალთაზარმა კი გაბრაზებულმა იყვირა: – ან ჯოჯიხეთში! არა, მანქანა სადაც არის, იქ დარჩებაო და ფისით გაჟღენთილი აფრა გადააფარა, მაგრამ მაინც უკმაყოფილო დარჩა – აფრა არ გაიხეს, ან ქარმა არ მოგლიჯოს, ამიტომ თავისი დანით ბუჩქებს ტოტები დააჭრა, მანქანას მიაცარა და ერთ საათში ისეთი გროვა დადგა, რომ უცხო თვალი მინდორში ბუჩქნარის მეტს ვერაფერს გაარჩევდა. ბალთაზარმა წუხანდელი ვახშიმიდან მორჩენილი პურით ისაუბრა, ბლიმუნდამ უფრო ადრე წაიხემსა. ის ყოველთვის პირველი ჭამს თვალდახუჭული. მორჩა, აქ მეტი არაფერი გვაქვს გასაკეთებელი. მაშინ წავიდეთ. მოდი, აქეთ წავიდეთ, ეგებ მამა ბართოლომეუ ლოურენსოს კვალს მივაგნოთ. უცნობი მთებისა და ბორცვების კალთებზე დაემზენენ, მაგრამ მღვდელს თითქოს მიწამ უყო პირობა, ვერავითარი კვალი ვერ იპოვეს. ბოლოს ბლიმუნდამ თქვა: – მზე აქ არ არის, ზღვა მარჯვნივაა, ახლა სულ პირდაპირ ვიაროთ, ეგებ ხალხს გადავაწყდეთ. ცოტა ხანში მართლაც შეხვდათ მწყემსი, ასე აუხსნა მათ: – ამ მთებს ბარეგუდო ჰქვია, აი იმას, ყველაზე მაღალს – მონტე-ჟუნტო.

ორი დღის შემდეგ მაფრაში მივიდნენ, თან დიდი წრე დაარტყეს, ვითომ ლისაბონიდან მოდიან. მაფრას მთავარ ქუჩაზე პროცესია მოდიოდა, უფალს მაღლს სწირავდნენ სასწაულის მოხდენისთვის – მშენებარე ბაზილიკას სულიწმინდამ გადაუფრინაო.

ჩვენს დროში ნებისმიერ მონაზონს შეუძლია თქვას, რომ საკუთარი თვალთ იხილა იესო, ან ქოროზე შემომჯდარი ანგელოზი ქნარით ხელში და ეს სრულიად ბუნებრივად ითვლება, ზოგჯერ უფრო ხელშესახები რაღაცეებიც ხდება. დემონები ესევიან ავეჯს, ადგილს უნაცვლებენ ტანსაცმელს, კაცთ არ ასვენებენ და ყველაფერი ამისა ხალხს სჯერა. მაგრამ ბალთაზარ შვიდმა მზემ რომ განაცხადოს, ლისაბონიდან მონტე-ჟუნტოში გავფრინდით, გიჟად შერაცხავენ, ეგ კიდევ საუკეთესო შემთხვევაში, რადგან უწმინდეს სამსახურს გიჟები არ აინტერესებს, გიჟების მეტი ჩვენში რაა. აქამდე ბალთაზარი და

ბლიმუნდა მამა ბართოლომეუ ლოურენსოს მიცემული ფულით ცხოვრობდნენ. ბოსტანში კომბოსტო, მწვანილი, ლობიო მოჰყავდათ, ბევრი არ სჭირდებოდათ, მაგრამ ახლა რა ეშველებათ, შვიდ მზეს მედროგედაც კი აღარ შეუძლია მუშაობა, რადგან არც ხარები ჰყავს, არც ფორანი აქვს. რა ვქნა, ძმაო? – ჰკითხა ბალთაზარმა ალვარო-დიოგოს, თავის სიძეს, იმ საღამოს, როდესაც მაფრაში ჩავიდა. ახლა ყველა ერთად ცხოვრობს მამისეულ სახლში, ერთად უსხედან მაგიდას, ინეს-ანტონია კი ჰყვება, როგორ ნახა სულიწმინდა საკუთარი თვალით: – აი, ამ ცოდვილი თვალებით ვნახე, დაო, ალვარომაც ნახა, ასე არაა, ალვარო. ალვარო-დიოგომ ნაკვერჩხლებს სული შეუბერა და უპასუხა, – ჰო, რაღაც დაფრინავდა, მაგრამ რა, არ ვიცი. სულიწმინდა იყო, ბერები ასე ამბობდნენ, – უმტკიცებდა ინეს-ანტონია, – ვერ ხედავ, პროცესიაც კი მოაწყვეს? ბალთაზარმა მომღიმარ ბლიმუნდას გადახედა და თქვა, – ცაში ბევრი ისეთი რამეა, რის შესახებაც ჩვენ წარმოდგენაც კი არა გვაქვს. კუთხეში მოხუცი ჟუან-ფრანსისკო თვლიდა, აღარ აქვს აღარც მიწა, აღარც ფორანი, აღარც მართა-მარია ჰყავს, აღარც ხარები, თითქოს არც საუბარს უგდებდა ყურს, მაგრამ აი, თვალი გაახილა და თქვა, – ამქვეყნად მხოლოდ სიკვდილი და სიცოცხლეა. ყველა გაჩუმდა, გაგრძელებას ელოდა, მაგრამ მოხუცმა აღარ გააგრძელა. ყოველთვის ასეა: მოხუცები ჩუმდებიან და ახალგაზრდებს თავად უწევთ გამოცდილების შეძენა. ამ სახლში ერთი ყმაწვილია, ახლა სძინავს და საუბარში მონაწილეობას არ იღებს, რომც ეღვიძოს, მაინც ვერ გაბედავდა სიტყვის ჩართვას. ჯერ მხოლოდ თორმეტი წლისაა. ეს ინეს-ანტონიას ვაჟია, საღამოობით მკვდარივით დაღლილი ბრუნდება ხოლმე სახლში, რადგან უკვე მშენებლობაზე მუშაობს შეგირდად. ხარაჩოებზე დილიდან შებინდებამდე დაძვრება. სამუშაო მოიძებნება, – ამბობს ალვარო დიოგო, – ურიკის თრევას ხომ შეძლებ, კაუჭი ხელს არ შეგიშლის. ვინ მისწვდება უფლის განგებას, კაცი ჯერ ომში მიდის, ხელს კარგავს, მერე საიდუმლოდ მფრინავ მანქანას აშენებს და ავიატორი ხდება, ბოლოს კი ლუკმაპურისათვის, ხედავთ, რას სთავაზობენ – ურიკა უნდა ათრიო!

სახლიდან დილაუთენია გავიდნენ ალვარო-დიოგო და ბალთაზარი, ბიჭუნაც თან ახლდათ, შვიდი მზეების სახლი, როგორც უკვე ვთქვით, წმინდა ანდრიას ეკლესიისა და ვიკონტის სასახლის მახლობლადაა. ეს სოფლის უძველესი ნაწილია. აქ გალავნის ნანგრევებიც შემორჩა, რომლებიც ჯერ კიდევ მავრებმა ააშენეს; მშენებლობისკენ გაემართნენ, გზად უამრავი ნაცნობი ხვდებოდათ, ყველა მონასტრისკენ მიიჩქაროდა, იქ სამუშაო ელოდებათ. ალბათ, ამიტომაცაა ასე მიტოვებული და გაპარტახებული მინდვრები. ქალები ამდენ სამუშაოს ვერ აუდიან და თანაც აქაურობა სამშენებლო ნაგვითაა სავსე, რომელიც განუწყვეტლივ ცვივა ველას ბორცვიდან. ბაზილიკის კედლები არც ისე მაღალზეა ამოყვანილი, ყოველ შემთხვევაში, ბაბილონის გოდოლს არ გვპირდებიან, უკვე შვიდი წელი გავიდა და, თუ ასე გაგრძელდა, განკითხვის დღემდე ვერ ააშენებენ, – ამბობს ბალთაზარი. არა, დიდი საქმე აქვთ წამოწყებული, – ამბობს

ალვარო-დიოგო. მართლაც, როგორც კი სამშენებლო მოედანს მიუხლოვდნენ, ბალთაზარმა ხუმრობა შეწყვიტა და გაცეცხლებული დარჩა, რამდენი ადამიანი ფუსფუსებს, იქაურობა ჭიანჭველების ბუდეს ჰგავს. ბიჭუნა უკვე ჩამორჩა მამას და ბიძას და სადღაც გაქრა – კირიანი ქვაბები აქვს საზიდავი. ბალთაზარი და ალვარო-დიოგო კი კანტორაში წავიდნენ. იქ ალვარო-დიოგომ საქმეთა მმართველს უთხრა, – ეს ჩემი ცოლისძმავა, აქაურია, მაგრამ მრავალი წელი ლისაბონში იცხოვრა, ახლა კი სამუშაოს ეძებს. მართალია, ვიღაც ქვის მთელელის რეკომენდაცია დიდი ამბავი არაა, მაგრამ ალვარო-დიოგო, რაც არ უნდა იყოს, მშენებლობის პირველი დღიდან მუშაობს აქ, წესიერი, გამჯე ხელოსანია. მისი სიტყვა რაღაცას ნიშნავს, ბალთაზარი კი პირდაღებული იყურება აქეთ-იქეთ, სოფლის მერე ქალაქში ამოყო თავი. ლისაბონი რომ ასეთია, გასაგებია, დედაქალაქია, იმიტომაცაა ასე უზარმაზარი და ქაოტური, მთავარი ქალაქია არა მარტო ალგავრესი, არამედ მთელი სამეფოსი – ბრაზილიის, აფრიკის, ინდოეთის და სხვა პორტუგალიური პროვინციების, რომლებიც მთელ ქვეყანაზეა მიმოფანტული, მაგრამ რაც აქ ხდება, წარმოუდგენელია – სხვადასხვა დანიშნულების შენობების უმეტესობა აქაა თავმოყრილი, სამი დღის წინათ გადაუფრინა ბალთაზარ შვიდმა მზემ ამ მიდამოს და ვერც კი წარმოედგინა, რომ მშენებლობას ასეთი მასშტაბი შეეძინა, ზევიდან ეს ყველაფერი ისე პატარა ჩანდა. თუკი ღმერთიც ასევე ცუდად ხედავს ზემოდან, როგორც მე, მაშინ სჯობს, მიწაზე ჩამოვიდეს, მაშინ შუამავლები აღარ დასჭირდებოდა, შუამავლების ნდობა სულაც არ შეიძლება, ზოგჯერ საკუთარ თვალებსაც ვერ ენდობი, მაგრამ თუ ღმერთს მამა ბართოლომეუ ლოურენსოსავით ჭოგრიტი აქვს, მაშინ სხვა საქმეა, რა კარგი იქნება, ახლა რომ მიყურებდეს, ნამდვილად მომცემდნენ სამუშაოს.

ალვარო-დიოგო უკვე წავიდა, საქმეს უნდა მიხედოს, თორემ დღიური ხელფასიდან მეოთხედს გამოუქვეთენ, ახლა ბალთაზარი მარტო დარჩა დამქირავებელთან და არწმუნებს, რომ კაუჭი ხელს არ შეუშლის, პირიქით, უკეთესიც კია, დამქირავებელი ყოყმანობს, ჯერ უფროსს უნდა დავეკითხოთო, რა სამწუხაროა, რომ ბალთაზარი საბუთებს ვერ აჩვენებს, რომლებშიც წერია, რომ ის ავიაკონსტრუქტორია, არც იმას აქვს ფასი, რომ ხელი ომში დაკარგა, ეს ხომ თოთხმეტი წლის წინ იყო, ვიღას აინტერესებს ახლა ომი, მადლობა ღმერთს, მშვიდობაა. დამქირავებელი დაბრუნდა, მხიარული ჩანდა, რა თქვი, რა გქვიაო? დაჯდა, ბატის ფრთა აიღო ხელში, მელანში ჩააწო და წერა დაიწყო.

ე. ი. ალვარო-დიოგოს რეკომენდაციამ გაჭრა, ან იმან, რომ ბალთაზარი ჯერ ახალგაზრდაა და კარგად გამოიყურება, ჯერ მხოლოდ ოცდაცხრამეტი წლისაა, ცოტა ჭადრა კი შეერია, მაგრამ ეგ არაფერი. ან, იქნებ, საქმე ისაა, რომ რამდენიმე დღის წინ აქაურობას სულიწმინდამ გადაუფრინა, ღმერთი განრისხდება, თუ მთხოვნელს უარით გაისტუმრებენ. ესე იგი, შენი სახელი? ბალთაზარ მათეუსი, მეტსახელად – შვიდი მზე. შეგიძლია ორშაბათიდან დაიწყო მუშაობა. ბალთაზარმა მადლობა გადაუხადა და კმაყოფილი გავიდა კანცელარიიდან, თუმცა გულში მაინც ნალველი ჩარჩენოდა –

მამაკაცს პურის ფულის შოვნა უნდა შეეძლოს, მაგრამ თუ ეს პური მხოლოდ ხორციელ შიმშილს კლავს, მაგრამ სულიერს არა, სული მაინც ვერ ისვენებს.

ბალთაზარმა უკვე იცის, რომ ამ ადგილს, სადაც ახლა იმყოფება, კუნძული მადეირა შეარქვეს. მართლაც, აქ ყველა სახლი ხისაა, გარშემო ბევრი სამჭედლოა, მალე სხვა სახელოსნოებიც გაჩნდება – რკინის, მინის სამღებროები და სხვა. სახლების უმეტესობა ორსართულიანია – პირველ სართულზე ვირები, ჯორები და ცხენები ცხოვრობენ, მეორეზე – ადამიანები, თანამდებობის პირები: ზედამხედველები, დამქირავებლები, კანტორის მუშაკები, ოფიცრები, რომლებსაც აქ მყოფი ჯარისკაცები ემორჩილებიან. სწორედ ამ დროს ქვეითთა ოცეულმა გაიარა. ალბათ ერისეირაში მიდიოდნენ მანევრებზე ან ფრანგ პირატებთან საბრძოლველად, რამდენჯერ სცადეს ფრანგებმა ჩვენს სანაპიროზე გადმოსვლა. ერთხელაც მოახერხებენ და აქამდეც მოაღწევენ, როგორც მრავალი წლის შემდეგ შემოვა მაფრაში მარშალი ჟუნო. მონასტერში იმ დროისათვის ორი ათეული გადაღრმუებული ბერიღა დარჩა, ჟუნომ მათთან პოლკოვნიკი დელაგარდი გაგზავნა, თუ მაშინ კაპიტანი იყო, მოკლედ, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, დელაგარდმა ძმა ფელიქს დი სანტა-მარია-დალ-არაბიდა იხმო, მონასტრის გასაღებები მას ებარა, მაგრამ ახლა საწყალი ხელცარიელი იყო დარჩენილი, სამეფო ოჯახმა ყველა გასაღები ჩამოართვა და გაიქცა, და ამ დროს ვერაგმა დელაგარდმა (ვერაგს მას ჩვენი ისტორიკოსი უწოდებს) მოხუც ბერს სილა გააწნა, მან კი მეორე ლოყა მიუშვირა – ჰოი, ქრისტიანულო სათნოებავ! წარმოგიდგენიათ, ბალთაზარიც რომ ასე მოქცეულიყო ბრძოლაში, ხერეს-დე-ლოს-კავალიეროსთან, სადაც მარცხენა ხელი დაკარგა, მარჯვენაც რომ გაეშვირა მტრისთვის, ახლა ურიკას ნამდვილად ვერ მოერეოდა. კავალიერო რადგან ვახსენეთ, ქვეითების შემდეგ კავალერისტებიც გამოჩნდნენ, მუშებს უნდა უდარაჯონ, ახლა ყველაფერი გასაგებია.

ზოგიერთ შენობაში მუშები ათევენ ღამეს, თითოში – ორას კაცზე მეტი, და ბალთაზარი აქედან ვერც კი ითვლის ამ ყაზარმისმაგვარ ნაგებობებს – ორმოცდაჩვიდმეტია თუ მეტი, თავადაც იქ მოუწევდა ღამის გათევა, მაფრაში სახლი რომ არ ჰქონოდა. ეჰ, საცოდავები, ვინც შორეული პროვინციებიდან ჩამოსულა აქ ბედის სამებრად, მამაკაცი, როგორც იტყვიან, ქვისა ხომ არაა, მაგრამ მაფრაში იმდენი ქვრივი სადაა, რომ ყველას ეყოს! ბალთაზარმა გზა განაგრძო და სამხედრო ბანაკს მიადგა. გულმა ძლიერად დაუწყო ცემა, თითქოს წარსულში დაბრუნდაო, შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ზოგჯერ ჯარისკაცს ომი ენატრება, ბალთაზარს უკვე მერამდენედ ემართება ასეთი რამ. ალვარო-დიოგომ უკვე უამბო, რომ მშენებლობაზე უამრავი ჯარიკაცია – ზოგი ამფეთქებლად მუშაობს, ზოგი მუშებს ზედამხედველობს, წესრიგს იცავს, კარვების რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბანაკში რამდენიმე ათასი ჯარიკაცია. ბალთაზარი ცოტა არ იყოს, შეცბა – აი, თურმე, როგორი ყოფილა ახალი მაფრა. სოფელში, ქვევით, ხუთი ათეული სახლია. აქ, ზევით, კი – ხუთი ასეული, სასადილოებიც აუშენებიათ, შუადღისას უზარმაზარი

ქვაბები იდგმება ცეცხლზე, მალე საყვირის სიგნალი გაიჟღერებს, მუშები უწვეტი ნაკადით დაიწყებენ დენას, ყველას თავისი ადგილი აქვს – კალატოზები ცალკე სხდებიან, ქვისმთლელები – ცალკე, მიწის მუშები ცალკე, წვრილფეხა შავი მუშები და შეგირდები – მაგიდის ბოლოს (სასადილოებში უზარმაზარი, გრძელი მაგიდები დგას). ბალთაზარი კი სახლში წავა სადილად, ურიკისა ჯერ არაფერი გაეგება, სამაგიეროდ, ავიაციამში მის მეტს აქ არავის არაფერი გაეგება. ასე რომ, არ იცის, ვისთან დაჯდეს.

რაც არ უნდა ილაპარაკოს ალვარო-დიოგომ, მონასტრის მშენებლობა მაინც ძალიან ნელი ტემპით მიდის. ბალთაზარმა ნელ-ნელა შემოუარა სამშენებლო მოედანს – ხალხი ურიკებს მიაგორებს, ხარაჩოებზე დამკრება, კირიან ქვაბებს დაათრევს, თოკებით ააქვთ ქვები დამრეცად დალაგებულ ფიცრებზე, ზედამხედველები კი ყველაფერს ამას ფხიზლად ადევნებენ თვალს. კედლები სამი კაცის სიმაღლეზეა ამოყვანილი, თანაც ბაზილიკის მთელ პერიმეტრზე არა, ისეთი სქელია, როგორც ციხესიმაგრის გალავანი, მაგრამ ციხის კედლები ამსისქე ნამდვილად არაა, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო, მაშინ არტილერია არ არსებობდა.

ბალთაზარი იმავე ბილიკით დაეშვა სახლისკენ, რომლითაც დილით ბორცვზე ამოვიდა, თვალს მიეფარა მონასტერიც და კუნძული მადეირაც, სამშენებლო ნაგავი რომ არა, ვერ იფიქრებ, რომ აქ ოდესმე ბაზილიკა და მონასტერი იქნება. ბალთაზარის თვალწინ ისევ ძველი მაფრაა, ისეთივე პატარა, როგორც ოდითგანვე იყო, დიდად არ გაზრდილა რომაელების დროიდან. სწორედ მათ დააარსეს ეს დასახლება, არც მავრების მერე გარზდილა, რომლებიც აქ მრავალი საუკუნის შემდეგ გამოჩნდნენ, ბალები და ბოსტნებიც გააშენეს, მათგანაც ბევრი არაფერი შემორჩა, ჩვენ კი ქრისტიანები გავხდით იმის ნებით, ვინც გვმართავდა, თუკი დაეხეტებოდა იესო ამქვეყნად, ჩვენს ქვეყანამდე არ მოუღწევია, რომ მოედწია, მისთვის გოლგოთა ველას ბორცი გახდებოდა, იქ ახლა მონასტერი შენდება, ეგებ ეს ერთი და იგივეც კია. ძალიან მაღალ მატერიებს შეეპოტინა ბალთაზარის გონება, თან მამა ბართოლომეუ ლოურენსო ახსენდება და გული სტკივა, სინდისი ქენჯნის, რომ ასე უხეშად მოექცა მაშინ, მთებში. ისეთი გრძნობა აქვს, თითქოსდა თავისი ავადმყოფი ძმა გაელახოს, ჩვენ ხომ ტოლები ვართ და ერთ საქმეს ვაკეთებდით, – ეუბნება საკუთარ თავს. იმწამსვე პირობა დადო, რომ, როგორც კი საშუალება ექნება, წავა იქ, სადაც ბარეგულოს ქედი და მონტე-ჟუნტოა და მანქანას მიხედავს. იქნებ მღვდელი უკვე დაბრუნდა კიდეც და მარტო გაფრინდა შორეულ მხარეში, სადაც გამომგონებლებს უფრო მეტად აფასებენ. ჰოლანდიაში, მაგალითად, ქვეყანაში, რომელშიც საუკეთესო პირობებია შექმნილი საჰაერო მიმოსვლებისათვის, გავიხსენოთ თუნდაც ვინმე ჰანს პფაალის ისტორია, რომელიც დღემდე იძულებულია, მთვარეზე იცხოვროს, რა თქმა უნდა, ბალთაზარმა ეს არ იცოდა, უფრო სარწმუნოა იმ ორი ადამიანის ამბავი, რომლებიც მთვარეზე გადასხდნენ. ჩვენ ისინი საკუთარი

თვალთ ვნახეთ, ისინი იქ ჰანს ჰაასს არ შეხვედრიან, თუმცა, ეგებ, არც უძებნიათ, ან ცუდად ეძებეს, მთვარეზე ერთობ ძნელად სავალი გზებია.

აქ, მაფრაში, გზას ადვილად გააგნებ. ბალთაზარი სხვა მუშებთან ერთად ურიკებს ქვითა და ქვიშით ავსებს, შვიდი მზე კაუჭით იჭერს ნიჩბის ტარს, მარჯვენა ხელის პრობლემა კი არა აქვს – თხუთმეტი წლის მანძილზე შეეჩვია, რომ ორმაგი მოხერხებულობა მართებს და შემდეგ ჩორპუს ჰომინი-ს უსასრულო პროცესია იწყება, სამშენებლო ნაგავი ქვევით იყრება – მხოლოდ ბუჩქნარზე კი არა, დამუშავებულ მინდვრებზეც, ბოსტნებზეც, რომლებიც მავრების დროიდან არსებობს. ათასწლობით აძლევდა ეს ბოსტანი ხალხს კომბოსტოს, სალათას, მწვანილს, ახლა კი გათავდა, აღარასოდეს აღარ ირბენს წყალი არხებში, აღარ მოვა გლეხი და აღარ გამარგლავს კვალს, ვინ იცის, ეგებ ეს მუშა, რომელმაც ქვებით სავსე ურიკა გადმოაპირქვავა, სწორედ ის გლეხია, რომელიც წინათ ბოსტანს უვლიდა.

დღეები, კვირები გადის, კედლები კი თითქმის არ იზრდება, ჯარისკაცები უმყარეს კლდეს აფეთქებენ, მაგრამ ასეთი ტანჯვით დაშლილი ლოდები საშენ მასალად არ ვარგა. მალე იფარება ბზარებით და იფშვნება. ამიტომ მას ურიკებით და ფორნებით სანაგვეზე ეზიდებიან. ბოლო დროს სულ წვიმიანი ამინდი დაიჭირა, ჯორები და ხარები ტალახში ეფლობიან, მედროგეები უწყალოდ უტყამენ შოლტებს საბრალო ცხოველებს, ნეტავი ღმერთი რას აკეთებს, თუმცა ეს ყველაფერი ხომ მის სადიდებლად ხდება. ალბათ, იმიტომ ხუჭავს თვალებს ამდენ უსამართლობაზე. ურიკები ისე მძიმე არაა და ამიტომ ტალახში ღრმად არ ეფლობა, თანაც ძველი ფიცრებისაგან ალაგ-ალაგ ფიცარნაგი დაუგიათ, მაგრამ ფიცარი ყველას არ ჰყოფნის და ამიტომ ნამდვილი ომი ჩაღდება, ვინ ვის დაასწრებს, მუშები ერთმანეთს წიხლებით და მუშტებით იგერიებენ, ამ დროს პატრულიც არ დააყოვნებს და, თუ მხოლოდ მისი გამოჩენა არ იკმარებს, ჯარისკაცები მოჩხუბრების გასაშველებლად შოლტებსაც გააზუზუნებენ.

წვიმს, მაგრამ ისე ძლიერად არა, რომ სამუშაოები შეწყდეს. მხოლოდ კედლების ამოყვანა შეაჩერეს, რადგან წყალი დულაბს აფუჭებს და ქვებს შორის დგება, ქვისმთლელები კი ჩარდახქვეშ ირჯებიან – ქვებს ამუშავებენ, ორნამენტებს ჭრიან, აკანთის ფოთლები, კანელურები, ფესტონები, პალმეტები, გირლანდები გამოყავთ. როდესაც ქვა მზადაა, მზიდავები მოდიან და საწყობში მიაქვთ, დრო მოვა და მშენებლობაზე წაიღებენ. თუ ძალიან მძიმე აღმოჩნდება, ასაწევი ხარაჩოებით აიტანენ კედელზე, ქვისმთლელებს სამუშაო ყოველთვის ექნებათ, ამინდისაგან დამოუკიდებლად, დილიდან ღამემდე აკაკუნებენ თავიანთ ჩაქურებს, სულ მარმარილოს მტვერში არიან ამოგანგლული თავიდან ფეხებამდე, როგორც აზნაურები, რომლებიც პარიკებს იპუდრავენ.

აი, ზღვიდან კიდევ უფრო მუქი, თავსხმის მაუწყებელი ღრუბელი მოდის, მუშებმა ურიკები დაყარეს, ბრძანებას აღარ დაელოდნენ, მაგრამ, სანამ ფარდულეებამდე მიიღბინეს, მთლიანად დასველდნენ. წვიმა მალე გადაიღებს, ხალხი ისევ გარეთ გამოვა და ისევ თავიდან დაიწყება ყველაფერი – დატვირთე, დაცალე, აიტანე, გადაათრე. დღეს აფეთქებები არ მიმდინარეობს, წვიმს. თანაც, ეტყობა, მალე არ გადაიღებს, ამიტომ ქვისმთელეთა გარდა, ყველა მუშა გაუშვეს.

ბალთაზარი სოფლისკენ ატალახებული ბილიკით დაეშვა, მის წინ მიმავალ ვიღაც კაცს ფეხი დაუსრიალდა და ბრაგვანი მოადინა, ყველა ახარხარდა და კიდევ ერთი წაიქცა, ამჯერად სიცილისაგან, აი, ასე ერთობიან აქ, მაფრამში არც სცენაა, არც მსახიობები, რომ კომედიები წარმოადგინონ, არც ოპერა. ოპერა მარტო ლისაბონშია, კინოს კი ორასი წლის მერე გამოიგონებენ, როდესაც პასაროლებს მოტორებით აღჭურვავენ. ბალთაზარის სიძე და დისწული უკვე სახლში არიან, კერიასთან თბებიან. ამაზე უკეთესი რა შეიძლება იყოს, ალბათ, ერთადერთი რამ – ქალი ლოგინში, განსაკუთრებით – საყვარელი ქალი. აი, გზად ბლიმუნდა ეგებება ბალთაზარს, გარეთ გამოვიდა, რათა წვიმა და სიცივე გაიზიაროს მასთან, ერთ-ერთი ქვედა კაბის კალთა გადააფარა თავზე. ბალთაზარი ნაცნობ სუნს გრძნობს და თვალზე ცრემლი ადგება. დაიღალე? – ეკითხება ბლიმუნდა და ეს საკმარისია, რომ ცხოვრება ისევ ასატანი გახდეს.

ლისაბონის მიწისძვრის შესახებ ხმამ მაფრამდეც მიაღწია. ძლიერი არ გამოდგა, მხოლოდ კარნიზები და რიკულები დააზიანა, ზოგიერთი კედელი დაიზარა, სამაგიეროდ, მესანთლებმა დიდი მოგება ნახეს – ეკლესიაში აუარება სანთელი დაანთეს, განსაკუთრებით, – წმინდა ქრისტეფორეს ქანდაკების წინ, მიწისძვრების, ეპიდემიების, ხანძრებისა და წყალდიდობების დროს მას მხოლოდ წმინდა ბარბარე თუ შეედრება. წმიდანებიც ადამიანები არიან, ზოგან ანგრევენ, ზოგან – აშენებენ. ამიტომ მადლობა ღმერთს, რომ ძალიან მაგრად არ შეგვანჯღრია, მაგრამ ვერ მოასწრო ხალხმა ეკლესიაში წირვების გადახდა, რომ ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, რომლის მსგავსი დიდი ხანია არ ყოფილა. პორტში მდგომ გემებს კაკლის ნაჭუჭებივით ათამაშებდა, ღუზებს გლეჯდა, გემებს ღია ზღვაში იტაცებდა, ერთმანეთს ახეთქებდა, ბევრი ჩაიძირა, განწირული მეზღვაურები ყვიროდნენ, არავინ უწყის, რომელ წმინდანს მიმართავდნენ. მდინარის ნაპირები ჩამოიშალა. ქვები და მიწის ბელტები ზარბაზნის ჭურვებივით დაფრინავდა ჰაერში, სუსტი სქესის წარმომადგენლები – ქალბატონები, მოსამსახურეები, მონა ქალები – მუხლებზე დაემხნენ, ყველა ლოცულობს, – ღვთისმშობელო, დედაო, შეგვიწყალე! კაცებიც ფერწასულები ათამაშებენ კრიალოსანს, ხმალი უსარგებლოა, არც მავრები მოდიან, არც ინდიელები, კაცებიც ბუტბუტებენ, – მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა, განა კი სხვას ვის უნდა მიმართო დახმარებისთვის, თუ არა დედასა და მამას.

აქ, ბოავიშტაში, ტალღები ისეთი ძალით ეხეთქება ნაპირს, რომ შხეფები ბერნარდინელთა მონასტრის კედლებს აღწევს, სამყარო რომ ნოეს კიდობანი იყოს და ზღვაში მიცურავდეს, ნამდვილად ჩაიძირებოდა, წარღვნა არც ნოეს დაინდობდა და არც მტრედს. სანაპირო ფუნდისინიდან ბელენამდე – თითქმის ორი მილის სიგრძეზე – დამტვრეული ფიცრებითა და გემების ნამტვრევებითაა მოფენილი, უამრავი ძვირფასი ტვირთი გაფუჭდა ან ჩაიძირა პატრონისა და მეფის საზარალოდ, ვერ მოთვლი, რამდენი ბარკასი, ნავი, სათევზაო გემი გამორიყა ტალღამ ნაპირზე, სხვა გემებს ანძები მოხსნეს და ისე გადაარჩინეს, სამი სამხედრო გემი კი პლაჟზე მიაგდო და იქ ჩაეფლო ქვიშაში, ას ოცი დიდი გემი მეჩერზე აღმოჩნდა, ადამიანის მსხვერპლს კი ვეღარ ითვლიან – ვინ იცის, რამდენი გაიტაცა ღია ზღვაში, ნაპირზე კი ას სამოცი გვამი აღმოაჩინეს. მკვდრებს იქ მარხავდნენ, სადაც მოხვდებოდათ – ზოგის ვინაობა ვერც გაარკვიეს, ზოგის ახლობლები შორს ცხოვრობენ.

უკვე ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ბალთაზარი და ბლიმუნდა მაფრაში ჩავიდნენ და იქ დასახლდნენ, ერთ-ერთ კვირადღეს ბალთაზარმა მონტე-ჟუნტოს მიაღწია, პასაროლა ძველ ადგილას დახვდა, ტოტები, რომლებიც ბალთაზარმა გადააფარა, გამხმარიყო. აფრა ქარვის ბურთებს ფარავდა. კორპუსი ოდნავ გადმოხრილიყო, ამიტომ წვიმის წყალი მანქანაში არ გუბდებოდა, იმის საშიშროება, რომ აფრები და წნელები დალპებოდა, არ იყო. მიწა გარშემო ახალგაზრდა ბუჩქნარს დაეფარა, თითქოს პასაროლა დაცვის საკუთარ ხერხებს მიმართავსო, ასეთი მანქანისაგან არაფერი არაა გასაკვირი. მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის, ბალთაზარიც მიეხმარა – ახალი ტოტები დაჭრა, კარგად გადააფარა. ყოველი მხრიდან დაათვალიერა. თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო. გემბანზე, ერთ-ერთ ფიცარზე დანის წვერით მზისა და მთვარის გამოსახულება ამოკაწრა, ნიშანი იმ შემთხვევისათვის, რომ მამა ბართოლომეუ ლოურენსო დაბრუნდებოდა და ამ ხელმოწერას დაინახავდა, მიხვდებოდა, რომ იგი მეგობრებმა დაუტოვეს. ამის შემდგომ სახლის გზას გაუდგა, ათი მილი მაინც ჰქონდა გასავლელი.

დეკემბრის შუა რიცხვებში, როდესაც ბალთაზარი სამუშაოდან ბრუნდებოდა, ბლიმუნდა, როგორც ყოველთვის, გზაზე შეეგება, მაგრამ უჩვეულოდ აღელვებული ჩანდა. ვინც ბლიმუნდას კარგად არ იცნობს, არ იცის, რომ იგი ისე ცხოვრობს ამქვეყნად, ვითომც უკვე ყველაფერი იცოდეს წინა ცხოვრებიდან, ამიტომ ასეთი აღელვება მისთვის უჩვეული იყო. მამა გახდა ცუდად? არა, მიუგო ბლიმუნდამ, ხმას დაუწია და განაგრძო, ვიკონტთან სენიორ ესკალატე ჩამოვიდა, ახლახანს ვნახე. ნეტავი, რისთვის მოსულა, დარწმუნებული ხარ? საკუთარი თვალთ ვნახე, ნამდვილად ისაა, მე ადამიანი არ შემეშლება. ორივე სახლში შევიდა, ივახშმეს, დაწვნენ, ყველამ დაიძინა, მხოლოდ მოხუცებულ ჟუან-ფრანსისკოს სტანჯავს უძილობა, და ამიტომ მხოლოდ მან გაიგონა ღამით წყნარი მუსიკა, რომელმაც სახურავსა და კარ-ფანჯრებზე გაჩენილ ღრიჭობებში შემოაღწია. სიჩუქმე ჩამოწოლილა სოფელში, ალბათ ამიტომაც ესმის მოხუცს ეს მუსიკა,

თუმცა უკვე ყურთ აკლია, კლავესინი კი ვიკონტის სასახლეში ჟღერს, სადაც ყველა ფანჯარა მაგრადაა დაკეტილი, იმ ღამით საკმაოდ ციოდა, ბლიმუნდას და ბალთაზარს რომ გაეგონათ, აუცილებლად იტყოდნენ, ეს სენიორ ესკარლატე უკრავსო, მეორე დილით მოხუცმა თქვა, წუხელ მუსიკის ხმები მესმოდაო, ინეს-ანტონიამ და ალვარო-დიოგომ ამას ყურადღება არ მიაქციეს, არც შვილიშვილი დაინტერესებულა ჰაპის ნათქვამით, ბალთაზარსა და ბლიმუნდას კი ეჭვიანობისაგან ხასიათი გაუფუჭდათ – მხოლოდ მათ უნდოდათ ამ მუსიკის გაგონება, სხვას კი არა. ბალთაზარი სამუშაოდ წავიდა, ბლიმუნდა კი მთელი დღე სასახლის გარშემო ტრიალებდა.

დომენიკო სკარლატიმ მეფეს მაფრაში წასვლის ნებართვა გამოთხოვა, მშენებარე მონასტრის ნახვა მინდაო. ვიკონტმა სასახლეში მოიწვია მუსიკოსი. ოღონდ იმიტომ კი არა, რომ მისი შემოქმედების თაყვანისმცემელი იყო, არამედ იმიტომ, რომ სკარლატი სამეფო კარის კაპელმასტერი და ინფანტას მასწავლებელი, და, აქედან გამომდინარე, მეფის გარემოცვის წარმომადგენელი იყო. ასე რომ, სკარლატი ვიკონტის აშლილ კლავესინზე უკრავდა, ვიკონტესა ყურადღებით უსმენდა, მუხლებზე თავისი პატარა ქალიშვილი, სამი წლის მანუელა-ქსავიერი ესვა. სასტუმრო ოთახში შეკრებილთ შორის სკარლატის ყველაზე დიდი გულისყურით ეს ბავშვი უსმენდა, თან თითებსაც ათამშებდა მუსიკოსის მიბაძვით, ბოლოს დედას ეს მობერზდა და გოგონა მიძას მიაჩეჩა. ამ პატარის ცხოვრებაში არც ისე ბევრი მუსიკა იქნება. სადამოს, როდესაც სკარლატი კიდეც ერთხელ დაუკრავს, ის უკვე ლოგინში იწვება, ათი წლის შემდეგ კი მოკვდება და წმინდა ანდრიას ეკლესიაში დამარხავენ, სადაც დღემდე განისვენებს. თუკი ხდება ამქვეყნად სასწაული, ალბათ, მის სმენას ის ჰანგები მისწვდება, რომელსაც წყალში ჩაგდებული კლავისინი გამოსცემს სან-სებასტიან-და-პედრეირას ჭაში. მუსიკოსი მონასტრის სანახავად წავიდა და ბლიმუნდას შეხვდა, ისე მოაჩვენეს გარშემომყოფთ თავი, თითქოს ერთმანეთს არ იცნობდნენ, რადგან ეს ნაცნობობა ძალიან გასაკვირი იქნებოდა მაფრელებისათვის და ეჭვის საფუძველი გახდებოდა – საიდან უნდა იცნობდეს ბალთაზარ შვიდი მზის ცოლი ვიკონტის სტუმარს? იმისათვის ჩამოვედი, რომ შეგატყობინოთ, – მალულად ჩასჩურჩულა მუსიკოსმა ბლიმუნდას, – მამა ბარტოლომეუ მოკვდა, ესპანეთში, ტოლედოში გარდაიცვალა, იქ გაიქცა და, როგორც ამბობენ, გაგიჟდა; აქ კი თქვენი ამბის გასაგებად ჩამოვედი. იმ ღამით, როდესაც მანქანა მთებში ჩამოვარდა, მამა ბარტოლომეუ წავიდა და მას მერე აღარ გვინახავს. მანქანა სადაა? ისევ იქ, არ ვიცით, რა ვუყოთ. გაუფრთხილდით, ეგებ, ოდესმე კიდეც გაფრინდეს. როდის გარდაიცვალა მამა ბარტოლომეუ? ამბობენ, 19 ნოემბერსო, იმ დღეს, როდესაც ლისაბონს საშინელი ქარიშხალი დაატყდა თავს, ნეტავი ღვთის ნიშანი ხომ არა იყო? ვინ იცის...

მეორე დღეს სკარლატი ლისაბონში გაემგზავრა. მოსახვევის იქით, სოფლიდან მოშორებით, ბალთაზარი და ბლიმუნდა ელოდებოდნენ, ბალთაზარმა დღიური

ხელფასის მეოთხედი დაკარგა, რათა მუსიკოსთან გამომშვიდობების საშუალება ჰქონოდა, სკარლატიმ ეტლი გააჩერებინა: – მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!

ტახტზე, ვარსკვლავთ სფეროს ბრწყინვალეობაში, მანტიით, რომელიც ღამისა და მარტოობისაგანაა შეკერილი, ზის იგი, ხელში სკიპტრასავით უპყრია დედამიწის ბურთი – აი, ასეთია დონ ენრიკე, როგორც მას პოეტი ასხამს ხოტბას, მაგრამ დონ ენრიკე, ყველაფრის მიუხედავად, მაინც ვერ შეედრება დონ ჟუან V-ეს – ეს უკანასკნელი წითელი ხის სავარძელში ზის, მოხერხებულად მოკალთებულა და ხაზინადრს უსმენს, ხაზინადრს შემოსავლების სიაში შეაქვს სხვადასხვა პუნქტები: მაკაოდან ჩამოტანილი აბრეშუმი, ფაიფური, ჩაი, წიწაკა, სპილენძი, ოქრო; გოადან – ალმასები, ლალი, მარგალიტი, ისევ წიწაკა და სხვა სანებლები; დიუდან – ხალიჩები, ინკრუსტირებული ავეჯი, დაქარგული გადასაფარებლები; მელინდედან – სპილოს ძვალი; მოზამბიკიდან – ზანგები; ანგოლადან – ისევ ზანგები და სპილოს ძვალი – აქაური ზანგები მოზამბიკელებს ჩამოუვარდებიან, სამაგიეროდ, სპილოს ძვალი საუკეთესოა მთელ დასავლეთ აფრიკაში; სან-ტომედან – ხე-ტყე, მანიოკა, ბანანი, ბატატი, ინდიგო, შაქარი; კაბო-ვერდედან – ზანგები, ტყავები, ცვილი; აზორის კუნძულებიდან და მადეირადან – მაუდი, ხორბალი, ლიქიორები, ღვინო, არაყი, ხილი; ბრაზილიიდან – შაქარი, თამბაქო, ბაზმა, ინდიგო, ხე-ტყე, კაკაო, ალმასები, ზურმუხტები, ვერცხლი, ოქრო. მარტო ოქრო ყოველ წელს 12-15 ათასი კრუზადოს ღირებულებისა შემოდის, სხვას თუ არაფერს ჩავთვლით, და კიდევ იმასაც, რაც ზღვის ფსკერზე აღმოჩნდება და რასაც პირატები გაიტაცებენ. ეს სიმდიდრე მთლიანად მეფის საკუთრებაა, ნაწილი ცეცხლგამძლე ყუთებში ინახება და ხაზინის ხელშეუხებელ ფონდში იდება, ამ ფონდში დაახლოებით 16 მილიონი კრუზადოს ღირებულების საუნჯეა. მხოლოდ გადასახადები, რომლებსაც მეფეს მინას-ჟერაისის მდენარეებზე ნაოსნობის ნებართვისთვის უხდიან, წელიწადში 30 ათას კრუზადოს შეადგენს. უფალმა ამდენი იშრომა, რათა ამ წყალუხვი მდინარეების კალაპოტები გაეჭრა, პორტუგალიის მეფე კი მოვიდა და თვალის დახამხამებაში მიითვისა.

ბევრი იფიქრა დონ ჟუანმა, რა ვუყო ამხელა სიმდიდრესო, დასკვნა ერთია: პირველ ყოვლისა ადამიანმა სულზე უნდა იზრუნო. ასე რომ, ბერი და მონაზონი ყველაფერს მიიღებენ, რაც საჭიროა და იმაზე მეტსაც, ბერმა ჩემთვის ილოცოს, მონაზონმა კი სარეცელზე მიმიღოს, რომს ისედაც კარგ ფულს ვუხდით, მაგრამ ცოტა კიდევ დავუმატოთ, პაპი მეტ სიგელებს, ელჩებსა და საჩუქრებს გამოგვიგზავნის და, რაკი ამ წერა-კითხვის უცოდინარი, გაუთლელი ხალხით დასახლებულ მიწაზე წესიერი ხელოსანი არ მოიძებნება, ევროპის სხვა ქვეყნებიდან გამოვიწეროთ ოსტატები მაფრას მონასტერზე სამუშაოდ, როგორც მომავალში ერთმა ისტორიკოსმა თქვა, ჩამოსულ ოსტატებს ფული ერგოთ, ჩვენ კი – აღტაცება მათი ხელოვნების გამოო. პორტუგალიისაგან კი ქვა, აგური და ხე-ტყე გვინდა, პორტუგალიელებისგან –

მუშახელი და მინიმალური კვალიფიკაცია. თუკი არქიტექტორი გერმანელია, მარმარილოს ოსტატები და მეჩუქურთმეები – იტალიელები, ნეგოციანტები – ინგლისელები, ფრანგები, ჰოლანდიელები, რაღა გასაკვირია, რომ რომიდან, ვენეციიდან, მილანიდან, გენუიდან, ლიეჟიდან, ანტვერპენიდან ჩამოგვდის ზარები, ლამპრები, შანდლები, ბრინჯაოს კანდელაბრები, ოქროს ბარძიმები, წმინდანთა ქანდაკებები, სტიქარები, მანტიები, ბალდახინები, მაქმანი, კაკლის ხის ფიცრები ქორობზე დასადგამი სკამებისა და ზანდუკებისათვის, რადგანაც წმინდა კარლო ბორომეოს კაკალი ყველაზე შესაფერის მასალად მიაჩნდა. ამიტომ მოაქვთ ჩრდილოეთიდან საშენი ხის მასალა, ბრაზილიიდან კი იმ ხით დატვირთული გემები მოცურავენ, რომელსაც ლათინურად ანდირა ჰქვია. ამ უკანასკნელს კარ-ფანჯრის და კელია-სტრაპეზოების იატაკებისთვის გამოიყენებენ, რადგან ანდირა-ს ხე არასდროს არ ლპება, ალბათ, რწყილების დასახოც ოთახშიც ანდირა-ს დააგებენ. ბრაზილიური ხე ჩვენ ფიჭვს კი არა ჰგავს. ფიჭვი შეშად თუ გამოდგება, ან სკამებზე გაიხარჯება მცირეწონიანი და ჯიბეთხელი ხალხისათვის. რაც მაფრაში პირველი ქვა ჩადეს – მადლობა ღმერთს, პორტუგალიური, პერო-პინეიროს ქვის სამტეხლოდან – მთელი ევროპა მოგებას ითვლის, აურება ფული გააკეთეს ოქრომჭედლებმა, ზარების ოსტატებმა, მოქანდაკეებმა, მემაქმანეებმა, თერძებმა, მქარგავებმა, მესაათეებმა, ზეინკლებმა, ხალიჩის მქსოველებმა, გემების პატრონებმა და კაპიტნებმა და სხვებმა, ვინც არ დაიზარა და საფუძველიანად მოწველა პორტუგალიური ძროხა. ძროხის მფლობელებს კი მალე რძის სესხება მუწევთ, თუ თავიანთი ნაციონალური კერძების გაკეთება მოუნდებათ, მაგალითად, კვერცხის გულის კრემისა, ან ანგელოზის ყელისა – ნამცხვარს ჰქვია ასე.

ჭაინჭველები თავლსა და შაქარს ესევიან, ზოგიერთი ზღვის ფრინველიც ერთ ადგილას იყრის თავს და მზეს სცემს თავყანს, ოცი ათასი ადამიანი – ჭაინჭველა კი მაფრაში მოსულა, მათ შორის ქალი ძალიან ცოტაა, ისიც გასაგებია, როგორები არიან. წირვის დროს უკანა რიგებში დგანან ძველი ადათის თანახმად. ესე იგი, როგორც ვთქვით, წირვა მიმდინარეობს. მონასტერსა და კუნძულ მადეირას შორის კარგა მოზრდილ თავისუფალი ადგილია, მუშების ფეხებითა და ურიკებით დატკეპნილი ნაგვით სავსე, მასზე ბალახიც კი არ იზრდება, მაგრამ, საბედნიეროდ, არც ტალახია, რადგან უკვე ზაფხულის პირია და მშრალი ამინდები დაიჭირა, მალე მრევლი აქ მუხლის მოყრასაც შეძლებს, თუმცა ეს ხალხი სისუფთავეს მაინცდამაიანც დიდ ყურალებას არ აქცევს. იქვე ხის პატარა სამლოცველო დგას. ამდენ ხალხს ნამდვილად ვერ დაიტევს, ჭურჭელში ორი ათასი ნების მოგროვება ან პურით და თევზით სასწაულის მოხდენა ბევრად ადვილი იქნება. აი, ჭრიალი გაისმა, თითქოს უხილავი ბორბლები დატრიალდა, ცის და ჯოჯოხეთის კარიბჭე იხსნება, ღვთის საუფლოში შესასვლელი ბროლისაა, სატანის საუფლოში – ბრინჯაოსი, აქ, მოედანზე, ხის ფიცრების ხმაა, სალოცავის წინა ფარდაგი ნელ-ნელა იწევა ზევით, გვერდითა კედლებიც იხსნება. ისეთი შთაბეჭდილებაა,

თითქოს უხილავმა ხელმა ტაძრის ბჭენი განახვნაო, ხუთმა ათასმა კაცმა გაოცებისაგან ამოიოხრა, ყველა დროში უკვირდა ხალხს ასეთი სიახლეები, მაგრამ მალე ეჩვეოდნენ, აი, გამოჩნდა საკურთხეველი, მღვდელიც, საოცარია, მაგრამ მაფრელებს სულ გადაავიწყდათ სულიწმინდა, ამას წინათ თავზე რომ გადაუფრინათ. სულ სხვანაირია წირვები, რომლებიც ბრძოლების წინ ტარდება, ყველა ჩქარობს ეზიაროს, ვინ იცის, ხვალ რა იქნება, ჰოდა, გრძელი რიგები დგება საკურთხეველთან, თუ, რა თქმა უნდა, მტერი ამ დროს შეტევაზე არ გადმოვა – ეტყობა, წირვა უფრო ადრე დაამთავრეს, ან ისეთი რელიგიის მიმდევრები არიან, რომელიც წირვას არა აღიარებს.

მღვდელი ქადაგებით მიმართავს ხალხის ზღვას. ეს ზღვა რომ ნამდვილი ყოფილიყო, თევზებით დასახლებული, იმ მშვენიერი ქადაგებას გაიმეორებდა, მარტივს, გასგებს და გონივრულს, მაგრამ რადგან აქ ხალხი იყო, და არა თევზები, ქადაგებაც ისეთი იყო, როგორც ადამიანებმა დაიმსახურეს, თანაც მხოლოდ იმათ ესმოდათ, ვინც წინა რიგებში იდგა. საოცარია, მაგრამ წირვის დასრულებისას აღმოჩნდა: არავინ არ დანარცხებულა მიწაზე, არც მზის სხივებს მოუკლავთ არავინ, ჭემმარიტად, სხვა დროა ახლა, ისე ზუსტად ის სეზონია, როდესაც ბეთ-შემეშელები ხორბალს მკიდნენ, უფლის კიდობანი იხილეს და 57 ათასი კაცი მკვდარი დაეცა ძირს. ჩვენი რელიგია ძალიან ბევრი თავისუფალ დროს გვიტოვებს, განსაკუთრებით, როდესაც ამდენი მორწუნე ერთად იყრის თავს, ყველა ვერ ასწრებს ზიარებას, ჰოდა, დაყიალობენ უსაქმოდ, ქალებს ხელებს უფათურებენ, კინკლაობენ და ასე დაუსრულებლივ.

ბალთაზარიც მოედანზე დაეხეტება, მამაკაცები ბანქოს თამაშობდნენ ან სახესა და ჯვარს – ეს მონეტის აგდებაა – მაგრამ, თუ კორეჟედორმა წაუსწრო, შავი დღე დაადგებათ, დათქმულ ადგილას ბლიმუნდა და ინეს-ანტონია ელიან, იქვე დგანან ალვარო-დიოგო და ბიჭუნა. ხუთივენი ერთად მიდიან სახლში, სადაც მოხუცი მამა ელით. მას შორის სიარული უჭირს და ამიტომ წმინდა ანდრიას ძველ ეკლესიაში დადის. ერთად ისადილეს, ალვარო-დიოგო დასადინებლად წამოწვა, ბიჭუნა სადღაც გავარდა, ქალები კერავენ, მართლია, დღესაწაულია, უქმეა და მუშაობა არ ეგების, მაგრამ გახეულ ადგილს საკერებელი დღესვე რომ არ დაადონ, ხვალ გვიანი იქნება, თუმცა ამ საქმის ბევრი არაფერი გამეგება. საკვირველია როდესაც ღმერთმა ადამი და ევა შექმნა, ორივემ ერთი და იმავე საქმეების კეთება იცოდა და როდესაც სამოთხიდან გამოაძევეს, არავის მიუცია მათთვის კაცისა და ქალის საკეთებელი საქმეების სია, ქალს მხოლოდ ეს უთხრეს, ტანჯვით შობ შვილებსო. ბალთაზარმა სახლში დატოვა კაუჭი, დაისვენოს, თან ეგებ არარსებული ხელის ტკივილიც იგრძნოს, რომელიც, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო იშვიათად უბრუნდება ისევე, როგორც გრძნობა, რომ თითქოს ცერი ეფხანება, ნურც ეცდებით შეაგნებინოთ, რომ ეს მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია. ამ დროს ის გიპასუხებთ, რომ თითები ფანტაზიებში არ არსებობსო, მაგრამ თქვენ ხომ აღარ გაქვთ

ხელი, ბალთაზარ. მაგამი ვერავინ იქნება დარწმუნებული. მოდი და ეკამათე ასეთ ხალხს.

ახლა ბალთაზარი დასაღვეად წავა, მაგრამ როდი დათვრება. ცოტა-ცოტას წრუპავს მას მერე, რაც მამა ბართოლომეუ ლოურენსოს სიკვდილის ამბავი შეიტყო. ეს დიდი დარტყმა იყო მისთვის. ამ დარტყმამ თითქოს შეარყია, როგორც მიწისძვრა არყევს შენობის საძირკველს – კედლები სწორად დგას, მაგრამ ძირი გამოთხრილია. სვამს, რადგან გონებიდან ვერა და ვერ ამოიგდო პასაროლა, რომელიც იქ, ბარეგუდოს მთებში, დარჩა, იქნებ, მწყემსებმა ან კონტრაბანდისტებმა იპოვეს. ეს აზრი სტანჯავს, მოსვენებას არ აძლავს, მაგრამ სუფრასთან ჯდომისას აუცილებლად დგება მომენტი, როდესაც ბალთაზარი ბლიმუნდას ხელს გრძნობს მხარზე, მორჩა, ეს საკმარისია, და ჭიქას მაგიდაზე დგამს. ხმის ამოუღებლად იჯდება, თითქოს ვერაფერს ვერ ხედავს გარშემო და ღვინით მოგვრილი ბურანი ნელ-ნელა გაიფანტება, მერე ისევ დაიწყებს თანამეინახეთა უსასრულო ამბების მოსმენას, მე ფრანსისკო მარკესი ვარ, შელეიროსიდან, მაფრადან ორ ნაბიჯზეა, ცოლი და სამი შვილი მყავს, მთელი ცხოვრება წელებზე ფეხებს ვიდგამდი, მაგრამ სილატაკეს თავი ვერ დავაღწიე, ჰოდა აქ გადავწყვიტე ჩამოსვლა, ის ბერიც, მეფეს ამ მონასტრის აშენება რომ ჩააგონა, ჩვენებური იყო, იმ დროს პატარა ბიჭი ვიყავი, აი, შენი დისშვილის კბილა, ისე რა მიჭირს, შელეიროსი აქვია, ხანდახან ცოლ-შვილის სანახავად ჩავდივარ; რას იზამ, ბუნება თავისას მოითხოვს, ჰოდა ცოლი ისევ ფეხმძიმედაა, მთელ ფულს სახლში ვტოვებ, ხომ იცით მუშის ამბავი, ინდოეთიდან და ბრაზილიიდან არაფერი ჩამოგვდის, ყველაფერი საყიდელია. მე პატარა ჟოზე მქვია, არც დედ-მამა მყავს, არც ცოლი, არც შვილი, არც საყვარელი, ჩემი ნამდვილი სახელიც კი არა ვიცი, ტორეს-ვედროსთან, სოფელში, მიპოვეს, იქაურმა მღვდელმა მომიწათლა და ჟოზე დამარქვა, პატარა მერე შემარქვეს, სიმალის და კუზის გამო, ამ კუზის გადამკიდე არც ერთი ქალი არ მეკარება, თუ ვინმე შემიშვებს, ორმაგს თხოულობს. მე ჟოაკინ და როშა ვარ, პამბადეში დავიბადე, ჩემი ოჯახი იქ დარჩა, უფრო სწორად, – ცოლი, ოთხივე შვილი მომიკვდა, ორი – შავი ყვავილით, ორიც – სისუსტიით; მიწის ნაკვეთს ვქირაობდი, მაგრამ შემოსავალი საჭმლისთვისაც არ გვყოფნიდა, ჰოდა, ცოლს ვუთხარი, წავალ მაფრაში, იქნებ, ბედმა გამიღიმოს-მეთქი, ახლა რაც იქნება იქნება, შეიძლება სახლში აღარც დავბრუნდე, სხვა ქალს ვნახავ. ჩემი ცოლი, ეტყობა, ცუდი ჯიშის ყოფილა. მე მანუელ მილიო ვარ, სანტანიდან, გლეხი ვარ, ჩვენს სოფელში დამქირავებლები მოვიდნენ და კარგ ჯამაგირს დამპირდნენ, ჩვენი სოფლიდან რამდენიმე კაცი ჩამოვიდა მაფრაში; ორი უკვე მოკვდა, არ მომწონს აქაურობა, ხრიოკია, მაგრამ რას იზამ. მე ჟუან ანესი მქვია, პორტოდან ჩამოვედი, კასრების ოსტატი ვარ, მონასტერს ხომ კასრები და ვარცლებიც სჭირდება, აი, ჩემს ვარცლებში მუშები კირს ხსნიან, პირუტყვიც ჩემი ვარცლებიდან სვამს; ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ვიტრაბახო, ისე ჩემნაირი ხელობა მეორე არა არის ამქვეყნად, ამას

უფალი დამიმოწმებს, ღმერთიც ეგ არ იყო, აბა, ზღვას შეხედე, რამელა ვარცლია, კარგად რომ არ იყოს გაკეთებული, განა ამდენს ხანს წყალს შეინახავდა? არა, კიდევ ერთი წარღვნა იქნებოდა, პორტოში კი ცოლი მყავს, ორი წელია არ მინახავს, ხშირად მესიზმრება ხოლმე, როგორ ვწევარ მასთან. მე ჟულიან მაუ-ტემპო ვარ, ალენტეჟოელი, იქ ახლა შიმშილია, არ ვიცი, რა ეშველება, ხალხი ბალახს და რკოს ჭამს, არადა იმდენი დაუმუშავებელი მიწაა, თვალს ვერ გააწვდენ, მაგრამ სოფლები ცოტაა, თან სულ ბრძოლებია, წარამარა ესპანელები დაგვაცხრებიან თავზე, როცა მშვიდობაა, ტყეებში მეფე და აზნაურები ნადირობენ, სულ ნაკრძალებია, მაგრამ აბა სცადე ერთი კურდღლის მოკვლა – მოკვლა რაა, მკვდარი რომ იპოვო და ხელი მოჰკიდო, ცუდადაა საქმე; რატომ წამოვედი მაფრაში? – ჩვენებური მღვდელი ქადაგებდა, წადიო მონასტრის მშენებლობაზე, იქ მუშებს კარგად აჭამევენ, ხელფასიც კარგია, ტანსაცმელსაც მოგვცემენო, მოკლედ, სამოთხეში ცხოვრობენო, არა, უკეთესადაც, რადგან ადამი მაძლარი კი იყო, მაგრამ შიშველი დადიოდა; ისე ეს ყველაფერი ტყუილი გამოდგა, – სამოთხეზე კი არ ვამბობ, – ეგ არ ვიცი, არ მინახავს, მაფრაზე ვამბობ, კინაღამ შიმშილით მოვკვდი, რა ძონძებიც მეცვა, ისეთივე მაცვია, ეჰ, შვილები მაინც მენახა ხოლმე, ხომ იცით, ბავშვების ყურებით მაინც გაძლები, აი შვილები კი მხოლოდ მამის ყურებით ნამდვილად ვერ გაძლებიან. მე ბალთაზარ მათეუსი ვარ, მეტსახელად შვიდ მზეს მეძახიან, პატარა ჟოზემ იცის, რატომ შეარქვეს პატარა, მე კი არ ვიცი, როდის და რატომ მიაკერეს ჩემს წინაპარს ეს მეტსახელი; შვიდივე რომ იმ ერთადერთ მზეზე ძლიერები ვიყოთ, მსოფლიოზე ვიბატონებდით; ამას ისე ვამბობ, სერიოზულად ნუ მიიღებთ, ეს უბრალოდ იმ ადამიანის ხუმრობაა, მზესთან ახლოს რომ მიაღწია, დღეს კი ცოტა ზედმეტი დავლიე, აქ დავიბადე ორმოცი წლის წინათ, თუ სწორად ვითვლი; დედაჩემი, მართა-მარია, გარდაიცვალა, მამა ძლივს დაათრევს ფეხებს, აქ მიწა გქონდა, ჟოაკინ და როშასი არ იყოს, მაგრამ აქაურობა ისე დათხარეს, აღარც მახსოვს, სად, ალბათ, ჩემი ხელით გავიტანე ჩემივე მიწა ურიკით ნაგავთან ერთად, ბაბუაჩემს ეს რომ ენახა, გაგიჟდებოდა, ახლა იმ ადგილას კომკს წამოჭიმავენ, აი, ასეთია ეს ცხოვრება, მეც ბევრი სიმწარე ვიგემე ამ ქვეყნად; სანამ ახალგაზრდა ვიყავი, სხვის მიწაზე ვმუშაობდი, ჩვენი ხომ ძალიან ცოტა გვქონდა, ძალიან არ გვმოიდა, მაგრამ მაინც გვიჭირდა, მერე ჯარიკაცად წავედი, ომში, მარცხენა ხელი იქ დავტოვე, და გვიან გავიგე, რომ თურმე ამით თავად უფალს გავუტოლდი, მაგრამ ჯარისკაცად აღარ გამოვდგებოდი; ამიტომ მაფრაში დავბრუნდი, მანამდე კი ლისაბონში ვიცხოვრე რამდენიმე წელი, აი, ასე იყო ჩემი საქმე. ლისაბონში რას აკეთებდი, ჰკითხა ჟუან ანესმა. საყასბოში ვმუშაობდა ტერეირო-დო-პოასოზე მტვირთავად. მზესთან ახლოს როდის მოასწარი ყოფნა? – დაინტერესდა მანუელ მილიო. ერთხელ მაღალ მთაზე ავედი, ისეთ მაღალზე, რომ მზეს ხელით მიწვდებოდი, იქნებ ხელი ბრძოლაში კი არა დავკარგე, არამედ მზემ დამიწვა? რა მთაა ასეთი, მაფრაში მთები არაა, არც ალენტეჟოშია ამ სიმაღლე მთა, ალენტეჟოს კი ხუთი თითივით ვიცნობ, – თქვა ჟულიან მაუ-ტემპომ. იქნებ, იმ დღეს იყო ასე მაღალი

და მერე დადაბლდა? თუ აქაური ბორცვების გასასწორებლად ამდენი აფეთქებაა საჭირო, მთის დასადაბლებლად მთელი მსოფლიოს დენთი იქნება საჭირო, – მიუგო ფრანსისკო მარკესმა, მანუელ მილიო კი თავისას არ იშლიდა, – მზესთან ახლოს მარტო მაშინ მოხვდები, თუცა ცაში აფრინდები ჩიტვით, ჩვენსას, დაბლობში, ხშირად მინახავს, ქორები როგორ ადიან სულ უფრო მაღლა და მაღლა და მერე თვალს ეფარებიან, ალბათ, მზისკენ მიფრინავენ, ადამიანს ასე არ შეუძლია, ფრთები არა აქვს. ჯადოქარი ხომ არა ხარ, – ჰკითხა პატარა ჟოზემ, – ერთი ჩვენებური ქალი რაღაც მაღამოს ისვამდა ტანზე, ცოცხზე ჯდებოდა და ღამდამობით დაფრინავდა, ასე ამბობდნენ, თორემ მე არ მინახავს. არა, ჯადოქარი არა ვარ, მეტი ილაქლაქეთ, და უწმინდესი სამსახურიც მომადგება. შენ თვითონ არ გვითხარი, მზეს მივუახლოვდიო? ისიც თქვი, უფალს გავუტოლდიო, ინკვიზიტორებმა რომ გაგიგონ, ვერ გადარჩები. ყველანი გადავრჩებით, თუ უფალს გავუტოლდებით, – თქვა მანუელ მილიომ, – ღმერთს რომ გავუტოლდეთ, პასუხს მოვთხოვდით იმისთვის, რომ თანასწორობა დროულად არ დაამკვირდა. ბალთაზარმა შვება იგრძნო – საუბარი ფრენის თემას გასცილდა – და თქვა, – ღმერთს მარცხენა ხელი არ აქვს, რადგანაც რჩეულთ მარჯვნივ მოისვამს, მარცხნით კი არავინ არ ეყოლება, მაშ, რად უნდა მარცხენა ხელი, თუ მაინც არ ხმარობს? ესე იგი, არც აქვს, მე კი მარცხნას იმიტომ არ ვხმარობ, რომ არ მაქვს, ეს არის და ეს. იქნებ ღვთის მარჯვნივ სხვა ღმერთი ზის, თვითონ კი სხვა ღმერთის მარჯვნივაა. იქნებ ჩვენ ყველანი, ვინც აქ ვსხედვართ, ღმერთები ვართ, თავად არ ვიცი, ასეთი რამეები როგორ მომდის თავში, – უპასუხა მანუელ მილიომ. ბალთაზარმა კი დაასკვნა: – ესე იგი, მე მაგ მწკრივში ბოლო ვარ, ჩემს მარცხნივ ვერავინ ვეღარ დაჯდება, სამყარო ჩემით თავდება. არც ერთმა მათგანმა, ჟუან ანესის გარდა, წერა-კითხვა არ იცის, საიდან აქვთ ასეთი აზრები, ვერ გაიგებ.

დაბლობიდან წმიდნა ანდრიას ეკლესიის ზარის ხმა გაისმა და კუნძულს მადეირას, ქუჩებს, მოედნებს, ტავერნებს, ყაზარმებს მოედო, შორიდან მას ზღვის ხმაური ბანს აძლევდა.

მიწა, რიყის ქვა, ნაშალი ქანი, რომელიც წერაქვმა ან დენტმა მოაცილა კლდეს არც ისე მსუბუქი ტვირთია, თუმცა მათი გადატანა ურიკითაც შეიძლება. უფრო დიდი ზომის და მძიმე ტვირთისთვის უზარმაზარ, რკინით მოჭედილ ურმებს ხმარობდნენ, მათში ხარებს ან ჯორებს აბამდნენ. ხალხი ქვებს ხარაჩოებზე ეზიდება, სპეციალურ თასმებს იმაგრებენ თავზე, ქვას ზურგზე მოიგდებენ, დაილოცოს, ვინც შინგისო გამოიგონა, – ესაა ბალიში, რომელსაც ტვირთის ქვეშ, ზურგზე იდებენ, ალბათ, იმან მოიგონა, ვისაც ზურგი ძალიან ეტკინა. რა თქმა უნდა, ადვილია ისევ და ისევ აღწერო ის სამუშაოები, რომლებიც მშენებლობაზე მიმდინარეობს – მათ შესასრულებლად დიდი ოსტატობა არაა საჭირო, მხოლოდ უხეში ძალა, მაგრამ ბევრად მეტს დავინახავდით, თუ სიმაღლიდან შევხედავდით მიდამოს, მაგალითად, საფრენი აპარატიდან, აი, აგერ, ჩემო ბატონო, მაფრას ბორცვები, მკითხველისათვის უკვე ნაცნობი დაბლობი. კუნძული მადეირა,

რომლის ხის ნაგებობები მზისა და წვიმისაგან გაშავებულა, ზოგიერთი ძელი კი უკვე დაღპა, ლიერიას ფიჭვის ტყე, სადაც ხის მასალას ამზადებენ, ლისაბონი და სოფელი, სახელად ტორეს-ვედრასი, სადაც დღე და ღამე კირის საამქროები და აგურის გამოსაწვავი ღუმელები ბოლავს, გემები, რომლებსაც ისევ აგური ჩამოაქვთ ალგარვედან და ენტრე-დოურო-ი-მინიოდან – გემები ტეჟოს არხში შედიან და სან-ანტონიო-დო-ტოჟალთან დგებიან, ზევიდან იმ ურმებსაც დავინახავთ, რომელთაც მონტე-აშიკედან და პინეირო-დი-ლოურესიდან ქვები მოაქვთ მისი უდიდებულესობის მონასტრისათვის. არა, ჩვენს სათვალთვალო პუნქტზე უკეთესს ვერ იპოვი, ვერასდროს ვერ წარმოვიდგენდით მონასტრის დიდებულებას ასე ცხადად, მამა ბართოლომეუ ლოურენსოს პასაროლა რომ არ გამოეგონებინა, ბლიმუნდას კი ნება რომ არ შეეგროვებინა. იქ, ქვევით, ხალხი ფუსფუსებს, ყველას თავისი ენა აქვს, მიწაზე კი მიზიდულობის ძალითა და ყოველდღიური საქმეებით არიან მიჯაჭვულნი, მათ დასათვალეირებლად უფრო ქვევით მოგვიწევს ჩასვლა.

მრავალი თვეა, რაც ბალთაზარი თავის ურიკას მიაგორებს, ბოლოს და ბოლოს, მობეზრდა ეს ვირული სამუშაო და რადგანაც თავისი სიბეჯითე ზოგიერთ თანამდებობის პირს დაუმტკიცა, ურემზე გადაიყვანეს, რომელსაც წყვილი ხარი უბია. ამ საქმეში პატარა ჟოზეც წახმარა – ბევრი ეხვეწა საქმეთა მმართველს, ცალხელაც ხარების მიმხედვად გადმოიყვანეთო. მართლაც, თუკი კუზიანი ახერხებს ურმის მართვას, ცალხელასაც არ გაუჭირდება ხარების მოვლა. ბალთაზარმა კარგად იცოდა, კაუჭი მართლაც არ უშლიდა ხელს, მარჯვენათიც მარჯვედ ხმარობდა შოლტს. იმ საღამოს შინ კმაყოფილი დაბრუნდა, ისეთივე, როგორც ბავშვობაში, როდესაც პირველად იპოვა შაშვის ბუდეში კვერცხი, და ჭაბუკობაში, როდესაც პირველად შეიცნო ქალი ან პირველად გაიგონა საბრძოლო ნაღარის ხმა, ღამით კი დაესიზმრა, რომ ურემს მართავს, მარცხენა ხელი ადგილზე აქვს, ერთ-ერთ ხარზე კი ბლიმუნდა შემომჯდარა, როგორც გინდათ, ისე ახსენით ეს სიზმარი.

ახალი დაწყებული ჰქონდა ბალთაზარს ურემზე მუშაობა, რომ ხმა გავრცელდა – პერო-პინეიროდან ერთი განსაკუთრებით დიდი ლოდი უნდა ჩამოიტანონ ეკლესიის პორტიკის თავზე ჩაფიქრებული გალერეისთვისო. როგორც გამოითვალეს, მის ჩამოსატანად 200 წყვილი ხარი დასჭირდებათ და ძალიან ბევრი მუშახელი. პერო-პინეიროში დიდ პლატფორმას ააგებენ, ქვას ზედ დადებენ და ისიც გაცურდება, როგორც გემი ინდოეთში, ოღონდ ბორბლების მეოხებით. ასე რომ, ერთ დილას ოთხასი და ოცზე მეტი ხარი და უამრავი ურემი დაიძრა პერო-პინეიროსკენ, ურემებზე თოკები, ჩაქუჩები, რკინის ფურცლები, ბერკეტები, სათადარიგო ბორბლები, ძელები და, რა თქმა უნდა, საკვებია ხალხისთვის და ცხოველებისთვის. პერო-პინეირომდე სულ სამი მილია, მართალია, გზა არ ვარგა, მაგრამ ხალხიც და ხარებიც უკვე მიჩვეულები არიან, იმდენჯერ გაიარეს ეს გზა წინ და უკან. ჩვენი ნაცნობებიდან პატარა ჟოზე და

ბალთაზარი მიდიან პერო-პინეიროში, დანარჩენები ურმებით მიდიან, შელეიროსელი ფანსისკო მარკესი და მანუელ მილიო, რომელსაც ძალიან უცნაური აზრები მოსდის თავში, ფეხით მოდიან. სხვა ხოსეები, მანუელები და ფრანსისკოებიც მიდიან, ბალთაზარი უფრო ცოტაა, ჟუანებს, ჟუაკინებსა და ალვაროებს რაც შეეხება, ხომ უამრავი არიან, ასევე პედროები და ვისენტეები. სხვადასხვა სახელს ატარებენ, სხვადასხვა ცხოვრება აქვთ გავლილი, მეტწილად მძიმე და სევდიანი. არის მათ შორის ერთი წითური ბრასიც, კამოენსივით ცალთვალა. მოკლედ, ინვალიდები საკმარისად არიან, ვიღაცა იტყვის, ფერებს ვამუქებთ, ეს რა ხეიბრების კრებული გამოგყავს, ზოგი ცალხელა, ზოგი ცალთვალა, ზოგი კუზიანი, გმირები ხომ თვალადები და ტანადები უნდა იყვნენო... ეჰ, ეგ ჩვენც კი გვინდა, მაგრამ ჭეშმარიტება მთავარია. მაღლობა გვითხარით, რომ არ ჩავრთეთ ჩვენს მოთხრობაში ენაბლუები, კოჭლები, ეპილეფსიით დაავადებულნი, დაბრეცილფეხებიანები, ქეციანები, დებილები და გიჟები. აი, მაშინ კი მართლა გამოვიდოდა იმ დილით სოფელ მაფრადან მონსტრების პროცესია!

მზე ამოვიდა, დაცხა, რა გასაკვირია, ივლისის თვეა, მაგრამ ამ ხალხისთვის სამი მილის ფეხით გავლა ჩვეული ამბავია. ხარებიც მსუბუქად მიაბიჯებენ, ჯერ დატვირთული არ არიან, ალბათ, უკვირთ, რას უნდა ნიშნავდეს ეს წყალობა? ხალხიც არ ჩქარობს, ლაპარაკ-ლაპარაკით მისეირნობენ. მხოლოდ ერთი გარბის გიჟივით – როგორც კი მაფრადან გავიდა, შელეიროსში გავარდა. დიახ, ეს ფრანსისკო მარკესია. ისარგებლა შემთხვევით და ცოლ-შვილი მოინახულა. უკვე მიდიხარ? რას იზამ, უნდა გავიქცე, მაგრამ უკან დაბრუნებისას ღამის გასათევად შევჩერდებით და დილამდე დავრჩები შენთან.

როდესაც აქოშინებულმა ფრანსისკო მარკესმა პერო-პინეიროს მიაღწია, ბანაკი უკვე დასცეს. მართალია, არც კარგები, არც ხის ნაგებობები არ დაუდგამთ, ჯარისკაცებიდანაც მხოლოდ მცველები ჩანან, აქაურობა უფრო პირუტყვის ბაზრობასა ჰგავს. მზე მაგრად აცხუნებდა, მიწა მარმარილოს ფხვნილით იყო მოფენილი და ქვის სამტეხლოს ფერდობზე უზარმაზარი ფილა იდო, თავის საათს ელოდებოდა, როდის წაიღებდნენ მაფრაში. ეს საათი აუცილებლად დადგება, ოღონდ დღეს არა!

ხალხი გზის განაპირას შეჯგუფებულიყო და წინ მდგომების თავების ზემოთ რაღაცის გარჩევას ღამობდა, ფრანსისკო მარკესიც შეერია ბრბოს და, ნეტავ რას უყურებენო, იკითხა. ვიღაც წითურმა უპასუხა, იმ ქვასო, ვიღაცამ კი დასძინა, ამხელა ჩემს ცხოვრებაში არ მინახავსო და გაოცებულმა თავი გადააქნია. ამ დროს ჯარისკაცები მოცვივდნენ და ბრბო დაშალეს – გადით, გაიარეთ, ამხელა ხალხი ხართ და ბავშვებივით პირები დაგიღიათო. ხალხმა უკან დაიხია და ქვაც უკეთ გამოჩნდა.

ეს კოლოსალური, ოთხკუთხა ფილა იყო, ხორკლიანი მარმარილოს უზარმაზარი მასა, რომელიც ფიჭვის ძელებზე ესვენა, ფიჭვს ცრემლივით სცვიოდა ფისის წვეთები. ხალხს გაოცების შეძახილი აღმოხდა, როდესაც ეს გიგანტი თავის მეფურ დიდებულებით

იხილა. კანტორის მთავარი მოხელე მივიდა და ხელი დაადო ქვას, თითქოს მისი უდიდებულესობის სახელით საკუთრების უფლებას ამტკიცებდა მასზე. მაგრამ ეს ხალხი და ეს ხარები თუ არ გაისარჯა, მეფის მთელი ძალაუფლება ამაოებად იქცევა. არადა ფაქტია, ისინი გაირჯებინ. სწორედ ამისთვის მიატოვეს ჩვეული სამუშაო და მოვიდნენ პერო-პინეიროში, უჭირთ, მაგრამ მაინც.

ქვის სამტეხლოდან მუშები მოვიდნენ, პატარა ბორცვის დამრეც კალთას ასწორებენ. ეს კალთა ფილის ყველაზე ვიწრო მხრიდანაა და საყრდენი კედლის მოვალეობა უნდა შეასრულოს – მასთან მოაგორებენ იმ გემს, რომელმაც ინდოეთისკენ უნდა აიღოს გეზი, მაგრამ მანამდე მაფრელებმა გზამდე უნდა გაჭრან დაღმართი, ამ დაღმართზე პლატფორმა რბილად ჩამოცურდება და მოგზაურობაც დაიწყება. მაფრელებმა წერაქვები და ნიჩბები მოიმარჯვეს, მანუელ მილიომ კი ქვა შეაფასა და ასე თქვა, ყველა ქვის დედააო. დედაო თქვა და არა მამა, ალბათ, იმიტომ, რომ ქვა მიწის წიაღში დაიბადა და ჯერაც ზედ ატყვია თიხის კვალი.

აბა, დათვალეთ, სიგრძით ოცდათხუთმეტი მტკაველია, სიგანით – თხუთმეტი, სიმაღლით – ოთხი, მართალია, მაფრაში კიდევ უნდა დაამუშავონ და გააპრილონ, ცოტა დაპატარავდება და, როდესაც კაცობრიობა წყრთებს, ფუტებს და მტკაველებს დაივიწყებს და მეტრობით გაზომავს ყველაფერს, აღმოჩნდება, რომ 7 მეტრი სიგრძისა და 3 მეტრი სიგანისაა, ხოლოა სიმაღლე სამოცდაოთხი სანტიმეტრია. რადგანაც წონის ძველებური ერთეულებიც უკვალოდ გაქრა, როდი ვიტყვით, რომ ქვის წონა 112 არობაა, არამედ – მაფრას მონასტრის ასამბლეის გალერიეს ფილა 31 121 კილოგრამს იწონის, ანუ ოცდათერთმეტ ტონას, თუ დავამრგვალებთ, პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო, ახლა კი ტურისტებს ვთხოვთ, მომდევნო დარბაზში შემობრძანდნენ.

მთელი დღე მიწას თხრიდნენ. ბალთაზარი ურიკას დააგორებდა, არ ღირს მძიმე სამუშაოს გადაეჩვიოს კაცი, რა იცი, რა გელის, წარმოიდგინეთ, რომ ხვალ ყველას გადაავიწყდა, რა არის ბერკეტი. რას იზამ, უნდა გავიჭიროვოთ, სანამ ახალი არქიმედე არ დაიბადება და არ იტყვის, მომეცით საყრდენი წერტილი და დედამიწას გადავაბრუნებ. ხვალისათვის დაღმართი გასწორებული უნდა იყოს. მოსალამოვდა, ხალხმა ივახშმა და აქეთ-იქეთ მიმოიფანტა, ღამის გასათევ ადგილს ეძებდა, კლდეები მთვარის შუქზე თოვლივით ქათქათებდა, დადგა ცხელი და ჩახუთული ღამე.

რიჟრაჟზე საყვირის ხმა გაისმა, ხალხი ნელ-ნელა წამოდგა, საბნები დაკეცეს, ზოგი ხარების შესაბამელად გაეშურა, ზოგი ქვის სამტეხლოსკენ წავიდა. თოვლები გადმოიღვს ურმებიდან, ხარები ორმწკვრივად დააყენეს გზაზე, მაგრამ ინდოეთში გასამგზავრებელი გემი ჯერ ადგილზე არაა. ეს სქელი ფიცრებისაგან შეკრული პლატფორმა ექვს უზარმაზარ ბორბალზე დგას და ზომით ფილაზე ოდნავ დიდია. ხალხი მას საშინელი ყვირით მოათრევს, ისინიც ყვირიან, ვისგანაც ძალების უკიდურეს დამაბვას

– ფილის გარშემო ფიცრებს ბურღავენ, შიგ რკინის ღერძებს ამაგრებენ. სხვები კი ამასობაში ჩრდილში ისვენებენ. მალე სადილობის დროც მოვიდა. სანამ ხალხი ჭამდა, ჯარისკაცებმა ფილას უამრავი თოკი შემოახვიეს და რკინის ღერძებზე დაამაგრეს. ეს საქმე ჯარიკაცებს, ალბათ, იმიტომ დაავალეს, რომ მსგავსი სამუშაო ხშირად შეუსრულებიათ – ზარბაზანიც ხომ პლატფორმაზე მაგრდება. შორიდან პლატფორმა რაღაც უცნაურ არსებას, კუსა თუ ჯავშნოსანს, ჰგავს, სულ თიხითაა მოსვრილი და გეგონება, ახლახანს ამოძვრა მიწის წიაღიდანო. ახლა ხალხი ისვენებს, ზოგი სადილის შემდეგ თვლემს კიდეც. ამქვეყნად ასეთი ბედნიერი წუთები რომ არ იყოს, მონასტრების აშენებაც არაფრად ეღირებოდა.

მაგრამ ამქვეყნად ყველაფერი თავდება, უბედურებებიც კი, სასიამოვნო წუთები ხომ მით უმეტეს, აი, საყვირიც ამღერდა, იოსაფატის ველზე რომ ვიყოთ, მკვდრები გაიღვიძებდნენ, რას იზამ, ცოცხლებმა მით უმეტეს უნდა აითრიონ წელი.

ურმებზე ხარახურას ტვირთავენ, სხვა გზა არაა, ინტენდანტს ხომ უნდა ჩააბარონ ანგარიში, კიდეც ერთხელ ამოწმებენ ნასკვებს, ე-ე-ე-ე-ე-ე-ე-ე, ხარები ადგილიდან დაიძრნენ, შოლტები ატყლაშუნდა, პლატფორმა ნელ-ნელა მიიწევს წინ, ბორბლები მარმარილოს ნატეხებს სრესს და იქაურობას თეთრი ფხვნილით ავსებს. უფროსობა ჯორებს მოაჯდა, მუშები ფეხით მოფრატუნობენ. პლატფორმა საშინელი ჭრიალით მიგორავს, რას იზამ, ღერძები ხისტი აქვს, ბორბლები – მთლიანი, პრელატის ან გრაფის ეტლს კი არა ჰგავს, არც ძვირფასი ალკაზმულობა აქვს, არც ლივრეებში გამოწყობილი მსახურები აცილებენ, არა, ტრიუმფალური სვლისთვის როდი გამოდგება, მხოლოდ ლოდი მიაქვს მაფრაში, იმ გალერეის ქვა, რომლიდანაც მრავალ წელს გაუგზავნის პატრიარქი ხალხს ლოცვა-კურთხევას.

წინ ძნელი სავალია, მართალია, მეფემ გზების დაგება ბრძანა, მაგრამ უამრავი აღმართი და დაღმართია, ოთხასი ხარი და ექვსასი ადამიანი კუს ნაბიჯით მიიწევს წინ. პეროპენეიროს მოსახლეობა გზაზე გამოეფინა, პირდაღებული უყურებენ გიგანტურ ქვას, ზოგი დანადვლიანდა, რომ ასეთი დიდი ქვა მიაქვთ მათი მიწიდან. ჯორზე ამხედრებულმა საქმეთა მმართველმა ჩაიარა, როგორც სარდალმა არმიის თავში, უკან ადიუტანტები, შიკრიკები, შტაბის წევრები მიჰყვებიან, მიდამოს რეკოგნოსცირებას ახდენენ, მოსახვევის კუთხეს ზომავენ, გაჩერებისთვის ადგილს ეძებენ, საღამომდე მხოლოდ ხუთასი ნაბიჯი გაიარეს, წარამარა ჩერდებიან – ხან ბორბალი ეჩხირება ქვებს შორის, ხან ხარებს აღმართზე ასვლა უჭირთ და ეს ჯერ კიდეც გზის უიოლესი მონაკვეთია.

იმ ღამეს ხარები გზაზევე დააბეს, ხალხი პირდაპირ მიწაზე დაწვა. ზოგიერთს არ ეძინა და მთვარეს უყურებდა – ღამის მნათობზე ცხადად ჩანდა კაცუნა, რომელიც კვირადღეს ფიჩხის შესაგროვებლად წავიდა და ღმერთმა ამისთვის დასაჯა და ახლა იძულებულია

უსასრულოდ ზიდოს ფიჩხის შეკვრა. აი, ასე დარჩა სამუდამოდ ღვთის რისხვის განსახიერებად, ყველა ცოდვილის ჭკუის სასწავლებლად. ბალთაზარი, პატარა ჟოზე და ფრანსისკო მარკესი კოცონს შემოუსხდნენ, მოგვიანებით მანუელ მილიოც შემოურეთდათ და აი, რა მოუყვა: ოდესღაც ერთი დედოფალი ცხოვრობდა. მას და მეფეს ორი შვილი ჰყავდათ – ციციქა გოგო და ბიჭი. მეფეს ძალიან მოსწონდა მეფედ ყოფნა. დედოფალს კი – ისე რა, მას ხომ სხვა ცხოვრება არ ენახა. მოკლედ, სხვა მეფე-დედოფლებს არ ჰგავდნენ. იმ სამეფოში ერთი განდეგილი ცხოვრობდა, ადრე ბევრი თავგადასავალი გადახდენია თავს, მერე კი ერთ გამოქვებულში დასახლდა, უღრან ტყეში. ისეთი განდეგილი კი არ იყო, სულ რომ ლოცულობენ და მარხულობენ, არა, განდეგილი იმიტომ დაარქვეს, რომ განმარტოებით ცხოვრობდა, ჭამითაც ცოტას ჭამდა, თუ რამეს მისცემდნენ, შეჭამდა, ისე არასდროს არაფერს თხოულობდა; ჰოდა, ერთხელ დედოფალი ამალით წავიდა ტყეში სასეირნოდ და თავის გამდეღს ეუბნება, განდეგილს უნდა დაველაპარაკო. გამდეღმა მიუგო, თქვენო უდიდებულესობავ, ეგ კაცი წმინდანი კი არაა, უბრალო ადამიანია. დედოფალმა კი მაინც დაიჟინა, საეკლესიო საკითხებზე კი არ მინდა ვისაუბრო. მივიდნენ გამოქვაბულთან, განდეგილი შესასვლელში დგას, უკვე ხნიერი კაცია, მაგრამ მუხასავით მაგარი და სტუმარს ეკითხება, ვინ ბრძანდებითო. მისი უდიდებულესობა დედოფალიო, – მორჩა, საკმარისია დღეისათვის, ახლა დავიძინოთ. მსმენელებმა ყვირილი ატეხეს, მაგრამ მანუელ მილიო არ გატყდა. ხვალამდე მოიცადეთო! რას იზამდნენ, გადაბრუნდნენ და დაძინება სცადეს, ყველა ზღაპრის დასასრულის წარმოდგენას ცდილობდა. პატარა ჟოზე, მაგალითად, ასე ფიქრობდა, ალბათ, მეფე ვერ აკმაყოფილებს დედოფალს, მაგრამ განდეგილი თუ ხნიერია, მაშინ არც ასე არ გამოვა რაო. ბალთაზარმა წარმოიდგინა, რომ დედოფალი ბლიმუნდაა, განდეგილი კი თავადაა, თუმცა მისი და ბლიმუნდას ამბავი სულ სხვანაირია. ფრანსისკო მარკესი ფიქრობდა, კარგად მესმის რითაც დამთავრდება ეს ამბავი, დამაცათ, შელეიროსამდე ჩავალწიოთ, მერე მე ვიციო. მთვარე გადავიდა. მისი შუქი თვალს აღარ ჭრის, სამაგიეროდ, ეკლები ესობათ, გეგონება, ქრისტემ ის ეკლის გვირგვინი გაგვიხსენა, მას რომ დაადგეს თავზე.

მეორე დღემ ახალი სირთულეები მოიტანა, მართალია, გზა უფრო განიერი გახდა, მაგრამ პლატფორმას თავისი ზომისა და სიხისტის გამო მოხვევა უჭირდა, ბორბლები ქვებში ეჩხირებოდა, აღმართზე ხარებს ხალხი ეხმარებოდა. მაგრამ ყველაფერი ეს სასიამოვნო გასეირნება იყო დაღმართთან შედარებით – აქ ხომ პლატფორმა უმართავი ხდებოდა, წამში ძელების შეყენება უნდა მოესწროთ, ხარებს უღელს ხსნიდნენ, მხოლოდ 3-3 წყვილს ტოვებდნენ აქეთ-იქეთ, ხალხი პლატფორმის უკანა მხარეს მობმულ თოკებს ეკიდებოდა, რათა უზარმაზარი მასა შეეჩერებინა, საქმეთა მმართველი ყვირილით დარბოდა აქეთ-იქეთ, ბრძანებებს იძლეოდა, სახე ყველას აჭარხალებოდა, გაოფლიანებოდა, მხოლოდ უღლიდან მოშვევებული ხარები იდგნენ თვინიერად, ბალახს

დეჭავდნენ და ამ ფუსფუსს ირონიულად ადევნებდნენ თვალს. ვიღაცას თავში აზრი მოუვიდა, ხარები პლატფორმას უკნიდან შევაბათო, მაგრამ ამ იდეაზე უარის თქმა მოუწევდათ: ხარს ვერ გააგებინებ არითმეტიკას – ერთი ნაბიჯი წინ, ორი უკან.

იმ დღეს მზის ჩასვლამდე ათას ხუთასი ნაბიჯი გაიარეს, ანუ ნახევარი მილი, თავად ფილის სიგრძეზე ასჯერ მეტი მანძილი. ამდენი შრომა და ასეთი მიზეზული შედეგი! წყეულიმც იყავ შენც და ისიც, ვინც მიწიდან ამოგთხარა. ხალხი მოცელილივით ეცემა ძირს, ადამიანები მძიმედ სუნთქავენ და ცაში იყურებიან – ცა ნელ-ნელა ხუნდება, თითქოს გამჭვირვალე ხდება. მალე გამჭვირვალეა მუქი ხავერდოვანი ფერით იცვლება. ხალხმა კოცონები დაანთო და ვახშმის თაღარიგი დაიჭირა, მიწა ახლა ცას ეჯიბრება მოციმციმე სანთლების რაოდენობაში, ალბათ, პირველყოფილი ადამიანებიც ასე ისხდნენ კოცონთან, ასევე დაათრევდნენ ლოდებს, ასეთივე კოჭრიანი ხელები და აჯაგრული წვერი ჰქონდათ. ამ დროს ბალთაზარს მანუელ მილიოს ზღაპარი გაახსენდა და თქვა, აბა, მანუელ, რა ჰკითხა დედოფალმა განდეგილსო, პატარა ჟოზემ კი ვარაუდი გამოთქვა: ალბათ, თავისი პაჟები და სეფე-ქალები შინ გაუშვაო. მანუელ მილიომ მოყოლა დაიწყო: დედოფალმა ჰკითხა, რა უნდა ქნან მეფემ და დედოფალმა, თავი მამაკაცად და ქალად რომ იგრძნონ და არა მარტო გვირგვინოსან პერსონებადო, განდეგილმა კი კითხვითვე უპასუხა: თუ ადამიანი განდეგილია, რა უნდა ქნას, რომ მამაკაცად იგრძნოს თავიო, დედოფალი დაფიქრდა, და უთხრა: ალბათ, უნდა მიატოვოს თავისი გამოქვაბული, მეფემ და დედოფალმაც უნდა მიატოვონ სასახლე, მაგრამ მაშინ ვინლა იქნება ის ქალი, ან ის კაცი, რომელიც ადრე განდეგილი იყო? განდეგილმა კი მიუგო: შენ ის უნდა იყო, რაც ხარ, სხვანაირად არ შეიძლება, არ არსებობს მამაკაცი ან ქალი, ისინი ის არიან, რაც არიან და რის წინააღმდეგაც ჯანყდებიან. დედოფალმა კი მიუგო: მე ავჯანყდი იმის წინააღმდეგ, რაც ვარ, შენ? განდეგილობა არარაობას ნიშნავს, – უპასუხა განდეგილმა, – ასე ისინი ფიქრობენ, ვინც სასახლეებში ცხოვრობს, მაგრამ სჯობს განდეგილი იყო, ვიდრე არარაობა; თუ შენ მართლა ქალი გინდა გახდე, უარი თქვი მეფურ დიდებაზე, მერე შენი საქმისა შენ იცი. ჰოდა, დედოფალი გატრიალდა და წავიდა, ამაღაც უკან გაჰყვა, მორჩა, სხვა დროს განვაგრძობ, ახლა უკვე გვიანაა. ძალიანაც სწორად მოიქცა მანუელ მილიო, რადგან აუდიტორიის უმეტესობა – პატარა ჟოზე და ფრანსისკო მარკესი – უკვე ხვრინავდა. ბალთაზარმა კი შეხედა და უთხრა, – აბდაუბდაა შენი ამბავი, არა ჰგავს ჩვენებურ ზღაპრებს, მაგალითად დედოფალზე, რომელიც ბატებს მწყემსავდა, გოგონაზე, ვარსკვლავი რომ ჰქონდა შუბლზე გამოსახული, ხის მჭრელსა და მის ქალიშვილზე, ალფუსკერიელ ემმაკზე, შვიდთავა ურჩხულზე. მანუელ მილიომ კი მიუგო, – ზედმეტად ეჭვიანი ხარ იმ ადამიანისთვის, რომელიც უფალს გაუტოლდა და გაფრინდა. ბალთაზარი გაშრა. გადაბრუნდა, ღამე მშვიდობისაო, წაიბურტყუნა და მალე ჩაეძინა კიდევ. მანუელ მილიო კი ერთხანს

ფიქრობდა, რა დასასრული მოეგონებინა ამ ჩახლართული ამბისათვის: განდეგილი მეფე უნდა გამხდარიყო, თუ დედოფალი – განდეგილი.

ამ უსასრულო დღის განმავლობაში ხალხი ისე გაიტანჯა, ყველა ამბობდა, მასზე უარესი ხომ აღარ იქნებო, მაგრამ მეორე დღეს სწორედ უარესი ელოდათ. შელეიროსის ველისკენ გზა მკვეთრად ეშვებოდა ქვევით და უამრავ მოსახვევს აკეთებდა. ყველა საგონებელში იყო ჩავარდნილი, თანაც ისეთი ცხელი დღე დადგა, მიწა მყალივით წვავდა ფეხისგულებს, მზე თავსა და ზურგში ხანჯალივით ესობოდა, წყლის მზიდავები წელში გაწყდნენ, წყარო და ჭები დაბლა, შელეიროსთან იყო, ციცაბო ბილიკებზე მოუხდებათ სირბილი, რა აუვა ამდენი ხალხისა და ცხოველის საკმარის წყალს, შუადღისას იმ ბორცვს მიაღწიეს, საიდანაც შელეიროსი ხელისგულივით მოჩანს. აქ ფრანსისკო მარკესი გამხიარულდა, ასე ამბობდა, სადამომდე ჩავალწევთ თუ არა, არ მაინტერესებს, ამაღამ ცოლთან მძინავს, ამ ღამეს ვერავინ წამართმევსო. გზა წინასწარ დაზვერეს, ყველაზე საშიში ციცაბო მონაკვეთები მონიშნეს, ბოლოს და ბოლოს, ხარები აუშვეს და შორს გარეკეს, რომ მოხვევის მომენტში პლატფორმისთვის ხელი არ შეეშალათ. მოკლედ, მისი ჩაგორება ხელით მოუწევთ, სხვა გზა არაა, სანამ ხარებს განზე ერეკებოდნენ, ხალხი მცხუნვარი მზის ქვეშ იდგა და სევდიანად გაჰყურებდა ჩრდილიან ველს, იქ გაშენებულ ბაღებსა და ბოსტნებს, სახლებს, რომლებიც სიმშვიდითა და სიგრილით იზიდავდა გამვლელს.

600 კაცი სასოწარკვეთილი ჩააფრინდა თორმეტ თოკს, რომელიც პლატფორმის უკანა ნაწილს ჩააბეს, 600 კაცი, რომელიც კუნთებში საშინელ დადლილობას გრძნობდა, რომელიც ექვსასჯერ გამმაფრებულად აღიქვამდა ყოფიერების შიშს. არა, მანუელ მილიოს ზღაპარი, მართლაც, სისულელია, ადამიანი მაშინ არსებობს, როდესაც ყველაფერი მის ძალაზეა დამოკიდებული, ხოლო მაშინ, როდესაც ეშინია, რომ ეს ძალა არ ეყოფა, ვერ გააჩერებს დაგორებულ ქვას. და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ განსაკუთრებით დიდი ფილით უნდა გააკეთონ გალერეა, ვითომ უფრო პატარა ქვებით ვერ აიგებოდეს, და მერე მის უდიდებულესობას მოახსენონ, ერთიანი ფილით ავაგეთ ეს გალერეაო და ტურისტებს სიხარულით აუწყონ, ეს ფილა მთლიანია, ოცდაათ ტონას იწონისო. სწორედ ასეთი სულელური ამპარტავნების გამო ყვავის ამქვეყნად სიცრუე, თავისი ნაციონალური და სპეციფიური გამოვლინებით. ამგვარია, მაგალითად, ისტორიის სახელმძღვანელოსა და სოლიდურ სამეცნიერო გამოკვლევებში ნათქვამი სიცრუე: მაფრის მონასტრის აშენება მეფე ჟუან V დამსახურებაა, რომელმაც მისი აგების აღთქმა დადო, თუ შვილი ეყოლებოდაო, ჰოდა, წვალობს 600 კაცი, მათ არ გაუკეთებიათ ის ბავშვი, მაგრამ რატომღაც მეფის აღთქმა მათ კისერზე გადადის, რატომღაც ისინი აღმოჩნდნენ ყურებამდე ნეხვში. თუმცაღა ეს ანაქრონიზმია. მაშინ ასე როდი იტყოდნენ!

დადმართი სწორი რომ იყოს და არა მიხვეულ-მოხვეული, საქმე მარტივად იქნებოდა – გაუშვებდნენ ხელს და ქვა წამში თავისით აღმოჩნდებოდა დაბლობზე, ცოტათი თოკებს დაჭიმავდნენ, რომ დიდი სიჩქარე არ აეკრიფა და მორჩა. მაგრამ მოსახვევი ძალიან ბევრია, სწორ გზაზე მოსახვევებში ხარებს იყენებდნენ, ახლა კი მოსახვევისა და დადმართის ჯოჯოხეთური შეხამება ხალხს წელში წყვეტს. როგორც კი პლატფორმის წინა ბორბლები მოსახვევს მიუახლოვდება, ხევიდან რაც შეიძლება შორს აჩოჩებენ და ხის მორებს უდებენ ბორბლების წინ, თანაც მორი არც ისე დიდი არ უნდა იყოს, რომ პლატფორმა გააჩეროს და არც ისეთი პატარა და სუსტი, რომ გაიჭყლიტოს, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს იოლი საქმეა, ეტყობა, პერო-პინეიროდან ლოდები არ უთრევია. პლატფორმას ცოტათი დაამუხრუჭებენ, შვებით ამოისუნთქავენ და ზოგჯერ ახალი თავსატეხი ჩნდება – ტვირთი ადგილიდან აღარ იძვრის, თითქოს მიწას შეეზარდაო, ძალიან იშვიათად ხდება, რომ სწორი მონაკვეთი დახვდეთ და ბორბლები ნელ-ნელა მიგორავდეს წინ. უმეტესად უდიდესი ძალისხმევას საჭირო, რომ პლატფორმა საშინელი სისწრაფით არ დაეშვას დადმართზე. ხალხი ხან ბერკეტებით აჩერებს უკანა ბორბლებს, ხან პირიქით – მათ დაძვრას ცდილობს, ზოგი თოკს ექაჩება, ზოგი მიწაზე ეცემა და ქვევით მიგორავს, თუმცა სერიოზულად არავინ დაშავებულა, ზემოთ კი, მიწაყრილზე, სატანა შემომჯდარა და საკუთარი გულუბრყვილობისა უკვირს – ასეთი სატანჯველი ნამდვილად არ მოსვლია თავში, ნამდვილად გამოადგება ჯოჯოხეთში.

წინა ბორბლებთან ფრანსისკო მარკესი დგას და ბერკეტი უჭირავს. ძალიან ხელმარჯვე აღმოჩნდა, ალბათ, ცოლზე არ ფიქრობს ამ წუთში, მთელი ყურადღება ბორბალზე აქვს კონცენტრირებული, სხვა მუშები უკნიდან აწვებიან პლატფორმას, მაგრამ ეს ისე უნდა გაკეთდეს, რომ ბორბალი ძალიან სწრაფად არ ამოდრავდეს და ძელები არ ამოგლიჯოს. როგორ მოხდა ეს, ალბათ, წამით შეყოვნდა ფრანსისკო მარკესი, იქნება, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, იქნებ, მშობლიურ შელეიროსზე ან ცოლზე ფიქრობდა, ასეა თუ ისე, ბერკეტი ხელიდან გაუსხლტდა, პლატფორმა დაგორდა, ხალხი რომ გონს მოეგო, იგი უკვე პლატფორმის ქვეშ იყო მოყოლილი, მარტოდენ ლოდი ორ ათას არობაზე მეტს იწონის. ამბობენ, უბედურება მარტო არ დადისო, მაგრამ ამჯერად არსთა გამრიგემ იფიქრა, რომ ერთი სიკვდილიც საკმარისია.

ფრანსისკო მარკესი პლატფორმის ქვეშიდან გამოათრიეს, ბორბალმა მუცელზე გადაუარა, ფეხები თითქმის მოსწყვიტა და ისიც, რაც მათ შორის იყო და რაც ესოდენ არ ასვენებდა მთელი ცხოვრება. ცხედარი საკაცეზე დაასვენეს, ზედ რაღაც გადააფარეს. ოთხმა წაიღო შელეიროსში. მათ მოუწევთ ქვრივს შეატყობინონ, რომ მისი ქმარი გარდაიცვალა. ახლა ის ქალი, ალბათ, ბავშვებს ასე ახალისებს, ამაღამ მამათქვენი მოვაო.

როდესაც დაბლობში ჩავიდნენ, პლატფორმას ისევ ხარები ჩააბეს, ალბათ, არსთა გამრიგემ ინანა თავისი ადრინდელი გულმოწყალება და ახლა ორი ხარი გადაიჩეხა

ხევში. ეს ამბავი მთელ შელეიროსს მოედო, აქაურებმა მოირბინეს და წამში გაატყავეს ხარები, ხორცი დაინაწილეს, ჯარისკაცებმა ბევრი სცადეს, მაგრამ ხალხის ბრბო ვერ გარეკეს. ასე რომ, მსვლელობა ისევე შეყოვნდა. ამასობაში დაღამდა კიდეც, მუშებმა ბანაკი დასცეს, უფროსობამ კი სახლებში გაათია ღამე.

ბალთაზარი, პატარა ჟოზე და სხვებიც, ვინც გარდაცვლილთან მეგობრობდა, ქვრივთან წავიდნენ მისასამძიმრებლად. ხვალ, გარიჟრაჟზე, ლოდი თავის მოგზაურობას განაგრძობს, შელეიროსში კი ერთი ცხედარი რჩება და კიდეც ორი გადაჩეხილი ხარის ხორცი.

ამ სამის არყოფნა კორჟეტს დიდად არ შეტყობია. პლატფორმა ნელ-ნელა მიიწევს აღმართზე, უფალი რომ უფრო მოწყალე ყოფილიყო, მიწას ხელისგულივით ბრტყელს შექმნიდა და ლოდის ადგილზე მიტანაც გაადვილდებოდა. მეხუთე დღეა, რაც ქვა გზაშია, ხალხი გამოიფიტა, ყველას კუნთები სტკივა, მაგრამ არავინ ჩივის. ხარებიც არ ჩივიან. მხოლოდ ზარმაცობენ – ვითომ ექაჩებიან, სინამდვილეში კი არაფერსაც არ აკეთებენ. ერთი გამოსავალია რჩება – უნდა დაასვენო, სხვა გზა არ არის. ასე რომ, ძალების გადაადგილება ხდება, ხალხი ზოგი აქეთ ინაცვლებს, ზოგი – იქით, აბა, ცოცხლად, ე-ე-ე-ე-ე-ე, ტა-ტა-ტა-ტა-რა – მღერის საყვირი, ნამდვილი ბრძოლის ველია, ახლა უკვე დაღუპულებიც ჰყავთ, დაჭრილებიც.

სადილის შემდეგ წვიმამ დასცხო. ჩამობნელებამდე გადაუღებლად წვიმდა, მაგრამ არც ახლა დაუჩივლია ვინმეს. ამინდის ცვალებადობის მიმართ ყველაზე ბრძნული დამოკიდებულება ისაა, როდესაც მას არავითარ ყურადღებას არ აქცევ, დაე, აცხუნოს მზემ ან ასხას წვიმამ. წარღვნის დროსაც კი ვიღაც გადარჩა! არც ისეთი გვალვა ყოფილა, რომლის შემდეგ რაიმე ბალახი ან მისი პოვნის იმედი არ გადარჩენილიყოს. მალე ღრუბლებიც გადაიყარა, ღრუბლებსაც სწყინთ, ყურადღებას რომ არ აქცევენ. კოცონები ამჯერად უფრო დიდი დაანთეს, ტანსაცმელი გასაშრობად გადაკიდეს, შიშვლები სხედან, ნამდვილი წარმართები გეგონებათ, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი კათოლიკური საქმისთვის მოუკიდიათ ხელი. ამაზე უსასრულოდ შეიძლება ფიქრი, მაგრამ ამ დროს მანუელ მილიომ თავისი ზღაპარი განაგრძო, დედოფალმა სასახლე მიატოვა და ხმები დაირხა, რომ გამოქვაბულში შემდგარი საუბარი სულაც არ იყო უბიწო. მეფე ეჭვიანობით კინაღამ ჭკუიდან შეიშალა. გამოქვაბულისკენ გაიჭრა, წარმოიდგენა, რომ მისი ღირსება შელახეს. რას იზამ, ყველა მეფე ერთნაირია, ფიქრობენ, ღირსება მეტი აქვთ, ვიდრე დანარჩენ კაცობრიობას, რა თქმა უნდა, გამოქვაბულში არავინ არ დახვედრია; უარესად გაცოფდა, იფიქრა, ერთად გაიქცნენო და მათ მოსამებნად ჯარი გაგზავნა, ეძებენ, ეძებენ, ჰოდა, სანამ მოძებნიან, მოდით, დავიძინოთ. პატარა ჟოზე აღშფოთდა, სად გაგონილა, ამბავი ასე ნაკუწ-ნაკუწ მოეყოლოთო, მაგრამ მანუელი არ დაბნეულა, განა ყოველი დღე ისტორიის ნაკუწი

არააო. ბალთაზარმა კი იფიქრა, მამა ბართოლომეუ ლოურენსოს დიახაც მოეწონებოდა ჩვენი მანუელიო.

მეორე დღეს, კვირას, წირვა გადაიხადეს, ბერი პლატფორმაზე შედგა და იქიდან წაიკითხა ქადაგება, ისეთი ამაყი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ამბიონიდან ქადაგებდესო, ის კი არ იცოდა უგუნურმა, რომ სამსხვერპლოს დაადგა ფეხი, სამსხვერპლო იყო ეს ლოდი, აბა რა? ფრანსისკო მარკესის სისხლით უკვე დაინამა, იმის სისხლითაც, ვინც უფეხოდ დარჩა მოგზაურობის დაწყების პირველსავე დღეს. ხარებსაც ნუ დაივიწყებთ! ბერი ამბობს, საყვარელნო შვილნო, ზეციდან დაგყურებთ წმინდა ქალწული და მისი ღვთაებრივი ძე, აგრეთვე მამა ჩვენი წმიდა ანტონიუსი, მათი ხათრით უნდა მიიტანოთ ეს ქვა მაფრამდე, მძიმეა ეს ტვირთი, მაგრამ ჩვენი ცოდვების ტვირთი ბევრად უფრო მძიმეა, ამიტომ ეს შრომა მონანიებად მიიღეთ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯამაგირის გარდა, ცოდვების მიტევებასაც გამოჰკრავთ ხელს. ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ ამ ლოდის მაფრაში ჩატანა ისეთივე წმინდა საქმეა, როგორც, მაგალითად, ჯვაროსნული ლაშქრობა, რადგანაც, ვინც წმინდა მიწაზე შეხვდა სიკვდილს, მარადიული ცხოვრება მოიპოვა და ახლა ღვთის სახეხას ჭკრეტს. ასევეა თქვენი მეგობარი, გუშინ რომ დაიღუპა. მართალია, უზიარებლად მოკვდა, მაგრამ, რაკი ამ ჯვაროსნულ ლაშქრობაში იღებდა მონაწილეობას, გადარჩება. ასევე მოუვა ყველას, ვინც მაფრის ლაზარეთში მოკვდა ან კედლიდან გადმოვარდა. იმდენად დიდია უფლის გულმოწყალება, რომ ისინიც კი გადარჩებიან, ვინც დანით ჩხუბში დაიღუპა, რომელსაც წარამარა წამოიწყებთ ხოლმე, ასე რომ, ღმერთმა მოგცეთ მოთმინება, მეფეს კი – ფული, რათა მონასტერი რაც შეიძლება მალე აშენდეს, რადგანაც მონასტერი აუცილებელია წესრიგის დასამყარებლად და სარწმუნოების საუკუნო ზეობისთვის, ამინ. ქადაგება დამთავრდა და რადგანაც კვირადღე იყო, ხალხი ეზიარა და დასასვენებლად წავიდ-წამოვიდა. საღამოთი კი ამ ჯვაროსნული ლაშქრობის ხუთ მონაწილეს შორის ჩხუბი ატყდა, მაგრამ ცხვირიდან წამსკდარი სისხლისა და მუჯლუგუნების იქით საქმე არ წასულა. არადა, ვინმე რომ მომკვდარიყო, პირდაპირ სამოთხეში მოხვდებოდა.

იმ საღამოს მანუელ მილიომ თავისი ამბავი დაამთავრა: – ჯარისკაცებმა ვერც განდეგილი იპოვეს, ვერც დედოფალი, მთელი სამეფო გადააქოთეს, მაგრამ ამაოდ. მაშინ პატარა ჟოზემ თქვა: – აი, მესმის ამბავი, განალა ერთი კვირის მოსაყოლი რა იყო აქ? განდეგილმა განდეგილობა მიატოვა, დედოფალმა – სასახლე, მაგრამ მოახერხეს და გახდნენ მამაკაცი და ქალი თუ არა, ეგ არავინ არ იცის. ჩემი აზრით, მაგის თავი არც ერთს არ ჰქონდა, – მიუგო მანუელ მილიომ, პატარა ჟოზემ გაუპარსავი ნიკაპი მოიფხანა და იკითხა, – მამაკაცი როგორ უნდა გახდეს მეხრე? არ ვიცი, – უპასუხა მანუელ მილიომ, ბალთაზარმა კი თქვა, – ეგებ ფრენა უნდა ისწავლოსო.

კიდევ ერთი ღამე გაატარეს ღია ცის ქვეშ. უკვე ერთი კვირაა, რაც გზაში არიან. როდესაც მაფრაში შევიდნენ, გეგონებოდა, ომიდან დაბრუნდნენ, თანაც დამარცხებულები – ჩამოძენილები, ჭუჭყიანები, არაფრისმქონენი. ხალხი გაცეცხლებული უყურებდა ფილას, რამხელააო, ბალთაზარმა კი ბაზილიკას შეხედა და თქვა, რა პატარააო.

რაც საფრენი მანქანა მონტე-ჟუნტოში დაჯდა, ბალთაზარმა ექვსჯერ თუ შვიდჯერ მოინახულა, უკანასკნელად შვიდმა მზემ შენიშნა, რომ რკინის დეტალებს ჟანგი ეკიდებოდა და კარგად დაზეთა. როგორც ყოველთვის, ტოტები დაჭრა და გადააფარა, ტირიფის წნელებიც მოიტანა და კარკასში გამოხეული ნაწილები შეაკეთა. ეს დაზიანება ყოველთვის დროის დინების ბრალი როდი იყო. ერთხელ ბალთაზარმა პასაროლაში ბუნაგი აღმოაჩინა. შიგ მელიის ექვსი ლეკვი იჯდა, ექვსივე დახოცა და შორს მოისროლა, დედ-მამა სისხლის სუნს იგრძნობს და ამ მიდამოს ახლოსაც აღარ გაეკარება. საქმე სხვანაირად დატრიალდებოდა, მელიას კი არა, მგელს რომ გაეკეთებინა აქ სორო, ამიტომაც ბალთაზარს ამ შემთხვევის მერე ხმალი დაჰქონდა ხოლმე თან.

ერთ დღეს კი, პირველად ამ სამი წლის განმავლობაში, ბლიმუნდამ უთხრა, მეც წამოვალ შენთან ერთადო. ბალთაზარს გაუკვირდა, – პასაროლამდე ახლო არაა, დაიღლები. არა უშავს, გზა მინდა ვიცოდე, ხომ შეიძლება, უშენოდ მომიწიოს წასვლა. არა, რაც არ უნდა მოხდეს, მარტო არასდროს არ წახვიდე, უკაცრიელი ადგილია, მხეცები დარბიან. ბლიმუნდამ კი მიუგო, – არასდროს არ თქვა, რაც არ უნდა მოხდეს, რა იცი, რა გელის, შეიძლება ისეთი რამე, რასაც ვერასდროს ვერ წარმოიდგენ. მართალი ხარ, ნამდვილი მანუელ მილიოსავით ლაპარაკობ. ეგ ვინდაა? ერთად ვმუშაობდით, მერე მშობლიურ სოფელში გადაწყვიტა დაბრუნება, ასე თქვა, სჯობს, ტეჟოში დავიხრჩო, ვიდრე მაფრაში ლოდმა გამჭყლიტოსო, ამბობენ, ყოველგვარი სიკვდილი ერთია, მაგრამ, მთლად ასეც არააო და სამშობლოში წავიდა, იქ ქვეები პატარაა, წყლები კი – დიდი.

ბალთაზარმა ვირი იქირავა, ზედ ბლიმუნდა შესვა და ასე გაუდგნენ მონტე-ჟუნტოს გზას. ინეს-ანტონიას და სიძის შეკითხვები უპასუხოდ დატოვეს. ინეს-ანტონია შეწუხებული ეკითხებოდა, უბედურება რომ მოხდეს, სად გეძებოთო. უბედურებაში ჟუან-ფრანსისკოს სიკვდილს გულისხმობდა, არც იციან დამ და სიძემ, რომ ბალთაზარმა უკვე უთხრა მამას, მამა, მონტე-ჟუნტოს მთებში მივდივართ, ჩვენს მფრინავ მანქანას უნდა მივხედოთ, ამ მანქანით ჩავფრინდით იქ ლისაბონიდან. გახსოვს, აქ, მაფრაში, ამბობდნენ, სულიწმიდამ გადაგვიფრინაო, არავითარი სულიწმინდა ეგ არ იყო, ეს ჩვენ ვიყავით, ჩვენ და მამა ბართოლომეუ ლოურენსო. გახსოვთ, ის მღვდელი, ჩვენთან რომ მოვიდა ერთხელ, მაშინ დედა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მამლის დაკვლა უნდოდა, მან კი არ დაანება. ჟუან-ფრანსისკომ ყურადღებით მოისმინა შვილის სიტყვები და თქვა, – ყველაფერი მახსოვს, წადი და ნუ ღელავ, კარგად ვიქნები, როდესაც ჩემი საათი

დაჰკრავს, შენთან ვიქნები, სადაც არ უნდა გადაგადღოს ბედმა. მაგრამ ხომ გჯერათ, რომ გავფრინდი? ჰო, შვილო, მჯერა.

ტუკ-ტუკ-ტუკ – მიკაკუნებენ ვირის ჩლიქები, ყოჩაღად მიდის, არც ისე მძიმე ტვირთი აქვს აკიდებული, მართალია, ბლიმუნდა ისეთი ჰაეროვანი და ტანწერწეტი აღარაა, რას იზამ, თექვსმეტი წელი გადავიდა მას შემდეგ, რაც პირველად შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ ბევრი გაუთხოვარ გოგონას შემურდება, ახლაც ისე გამოყურება, ალბათ, საიდუმლოს შენახვის აუცილებლობა ინახავს ასე. როგორც იქნა, ჭაობს მიაღწიეს, ბალთაზარმა ტირიფის წნელები დაჭრა, ბლიმუნდამ კი დუმფარები დაკრიფა, გვირგვინი დაწნა და ვირს ჩამოაცვა ყურებზე, ნამდვილი არკადიაა: მწყემსი, რა მოხდა მერე, რომ ცალხელაა, მწყემსი ქალი, რომელიც ადამიანების ნებას დარაჯობს, ვირიც აქვია, მართალია, დაქირავებულია. ბალთაზარმა კარგა დიდი კონა შეკრა; ბლიმუნდა ჩამოქვეითდა და ვირს ახლა ტირიფის წნელების ზიდვა მოუწევს.

გაზაფხული იდგა, მინდვრები თეთრი უკვდავთი იყო გადაპენტილი, ყვავილის თავები ფეხებზე უხიციანებს ბალთაზარსა და ბლიმუნდას, ორივეს აქვს ფეხსაცმელი, მაგრამ ჯერჯერობით აბგაში უდევთ, ინახავენ, სანამ გზა ქვიანი არ გახდება, ოდნავ მომწარო სუნი დგას. ეს უკვდავს სუნია, ეს სამყაროს შექმნის პირველი დღის არომატია, როდესაც უფალს ჯერ ვარდი არ ჰქონდა გამოგონებული. მშვენიერი დღეა, ასეთ დღეს კარგია ფრენა, მალლა-მალლა ასვლა, ღრუბლებში – ამ ჰაეროვან ციხესიმაგრეებში – შესვლა, მერე კიდევ უფრო მალლა, ღრუბლებს ზევით, წმიდა ლაჟვარდში შეფრიალება, მშვენიერი დედამიწის მალლიდან ხილვა და თქმა: მიწავ, ნახე, რა ლამაზია ბლიმუნდა, მაგრამ ბლიმუნდა ისეთი ლამაზი აღარაა, როგორც ოდესღაც, დუმფარებიც დაჭკნა და ვირს თავიდან ჩამოუვარდა. მოდი შევისვენოთ, ცოტა ხმელი პური ვჭამოთ, რომელსაც მოვიპოვეთ ამქვეყნად დიდი შრომით. ბლიმუნდა გზას იმახსოვრებს – აი, პატარა კორომი, აი, ექვსი ბორცვი, ბუჩქნარი, ველები. აი, მონტე-ჟუნტოც გამოჩნდა.

როგორც ძველებურ ზღაპრებშია ნათქვამი, ჯადოსნური სიტყვა უნდა წარმოთქვა და შენ წინაშე მუხნარი წამოიმართება, მისი გავლა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც მეორე ჯადოსნური სიტყვა იცის; შემდეგ მდინარეს მიადგები, წყალზე კი ნავი გელის. თუ კოცონზე სიკვდილი მიწერია, ეს კოცონი მირჩვენიაო, თქვა ოდესღაც მამა ბართოლომეუ ლოურენსომ. ვირს უნაგირი მოხსენეს და მინდორში საბალახოდ გაუშვეს, ბალთაზარი კი ბუჩქნარში მახვილით იკაფავს გზას პასაროლამდე. ყოველ მოსვლაზე ასე იქცევა, მაგრამ ერთ ნაბიჯს გაივლის თუ არა, მის უკან ახალი ყლორტები ამოხეთქავს, ერთმანეთში იხლართება. ბევრი იწვალა ბალთაზარმა, და როდესაც გზა გაიწმინდა, ბლიმუნდას დაუმახა, ორივე მომწვანო ბინდში გაძვრა და პასაროლას მიუახლოვდა. მანქანას აფრა ჰქონდა გადაფარებული, ზევიდან ბუჩქებს გადაეხლართათ მწვანე ტოტები, მომწვანო შუქი იდგა, რადგან სხივები ახალგაზრდა ფოთლებში ატანდა, უფრო

ზევით კი – მდუმარების გუმბათი, კიდევ უფრო ზევით – ცისფერი კაბადონი. ერთ-ერთ ფიცარზე მზე და მთვარე იყო ამოკაწრული, სხვა ნიშანი არსად ჩანდა, ფიცარგანი ალაგ-ალაგ დამპალიყო. ისევ მოუწევს ბალთაზარს ფიცრების ჩამოტანა მაფრადან, კიდევ კარგი, სამშენებლო ნაგავში უამრავი დამტვრეული ფიცარი ყრია, აფრის ქვეშ, ბინდ-ბუნდში მკრთალად ელავდა ქარვის ბურთები, როგორც ძილბურანში ჩაძირული ადამიანის მოხუჭული თვალები. გუბეებში ხმელი ფოთლები ყრია, ბალთაზარი რომ არა, პასაროლა საერთოდ დაიშლებოდა.

მხოლოდ მრგვალი ჭურჭლები ბზინავს ახალივით, ძნელი დასაჯერებელია, რომ უკვე ოთხი წელია ღია ცის ქვეშ არიან. ბლიმუნდამ ერთ-ერთ მათგანს ხელი დაადო, ჭურჭელი ცოცხალივით იყო. ალბათ, ნება ჯერ კიდევ შიგნითაა, თქვა მან. ბალთაზარმა მიუგო: – თუ ნება გაფრინდა, ეს მანქანა აღარაფრის მაქსნისია, აქ სიარულს აზრიც არა აქვსო. ხვალ გავიგებთ, – დასძინა ბლიმუნდამ.

დაბნელებამდე ორივემ მუხლჩაუხრელად იმუშავა, ბლიმუნდამ ტოტებისაგან ცოცხი შეკრა და იქაურობა დაგავა, ბალთაზარმა კი გამხმარი წნელები გამოცვალა, რკინის ღერძები დაზეთა. მერე შიგნიდანაც შეამოწმეს პასაროლა, გემბანზე გამავალ ხვრელში გაძვრნენ, ანუ თვითმფრინავის ლიუკში. ამ სიტყვებს მომავალში მოიგონებენ. შიგნით არც ერთი ცოცხალი არსება არ დახვედრიათ – არც გველი, არც ხვლიკი, არც ობობა. ქინქლი რაა, ერთი ქინქლიც კი არსად ჩანდა, თითქმის კვერცხის შიგნით აღმოჩნდნენ, რომლის ნაჭუჭი გარემომცველი მდუმარებაა. იქვე მიწვნენ ხმელი ფოთლების გროვაზე და მათმა სხეულებმა სიბნელეში ერთმანეთი იპოვეს, თითქოს მიწას მოსწყდნენ, მანქანაც თითქოს მოსწყდა მიწას და მალლა-მალლა დაფრინავს, ღრუბლებში და აი, ისევ მიწაზე აღმოჩნდნენ, ზეცაში ავიდნენ და ისევე დედამიწას დაუბრუნდნენ.

როდესაც ტოტებში აისის პირველმა სხივებმა გამოაღწია, ბლიმუნდა როგორც იყო შიშველი ისე წამოდგა ფეხზე. დილის სუსხისაგან მთელ ტანზე ხორკლები დააყარა, ან იქნებ სუსხისაგან კი არა, არამედ სამყაროს ახლებური ხილვისაგან: სამყარო თითქოს გამჭვირვალე ფენებისაგან შედგებოდა – მანქანის გემბანს იქით ბუჩქები და ხეებია თითქოს გადარეცხილი სილუეტებით, შემდეგ – ბორცვი, ეს ბორცვი რომ არა, შორეული ზღვა და თევზები გამოჩნდებოდა. ბლიმუნდამ ერთ-ერთ ჭურჭელში ჩაიხედა. შიგ თითქოს ჩრდილი დარიალებდა, პატარა ქარბორბალას ჰგავდა. მეორე ჭურჭელშიც ასეთივე ჩრდილი ჩანდა, ბლიმუნდა ფოთლების გროვასთან დაბრუნდა, ხელის ფათურით მოძებნა თავისი სამოსი და პურის ნატეხი, დაწვა და ცოტა ხანში ისევ ჩაეძინა. უკვე დღე იყო, როდესაც ბალთაზარის შეხებამ გამოაღვიძა, თვალდახუჭლმა თქვა, უკვე შეიძლება, პური უკვე შევჭამეო და ბალთაზარიც გულდამშვიდებული დაეუფლა. როდესაც პასაროლადან გამოვიდნენ, ბალთაზარმა ჰკითხა, – ნახე, ჭურჭლებში რა ხდებაო. ყველაფერი რიგზეა. ზოგჯერ ვფიქრობ, უკეთესი ხომ არ იქნება, გაგვეშვა. თუ

გავუშვებთ, გამოვა, რომ თითქოს არაფერიც არ ყოფილა, თითქოს არც ჩვენ, არც მამა ბართოლომეუ ვყოფილვართ ოდესმე ამქვეყნად, ისევ ღრუბლიან ნისლეულს ჰგვანან? ჰო, ნისლეულს ჰგვანან.

შუადღემდე დარჩენილი სამუშაოც მოათავეს, პასაროლა ახალთ-ახალს დაემსგავსა, ისეთივეს, როგორიც იყო გაფრენის წინა დღეს, იმიტომ კი არა, რომ მცოდნე ხალხის ხელში იყო, არამედ იმიტომ, რომ ეს ადამიანები ცოლ-ქმარი არიან, ბალთაზარმა ლიუკი ტოტებით დაფარა. მართლაც ჯადოსნური ზღაპარია – გამოქვაბულის წინ მუხნარია, მერე – მდინარე, ზედ – ნავი. მხოლოდ ზემოდან თუ გაარჩევ ფისით გაჟღენთილ აფრას, ზემოდან, პასაროლას ფრენის სიმაღლიდან, მაგრამ მსოფლიოში მხოლოდ ერთი პასაროლაა და ისიც აქაა, ჩიტებს კი ამ საქმისა არაფერი გაეგებათ. ვირსაც არაფერი გაეგება, სადაც უბრძანებენ, იქით მიდის, რასაც აპკიდებენ, იმას მიათრევს, მისთვის ყველა გზა და მიმართულება ერთია, მაგრამ ეს მოგზაურობა მაინც მოსწონს, ნახევარზე მეტი მანძილი საერთოდ უტვირთოდ იარა. რას იზამ, ვირის ცხოვრებაშიც უნდა იყოს ზოგჯერ ასეთი ბედნიერი დღეები.

მთიდან დაემზენენ, სიფრთხილის გამო სხვა გზით წამოვიდნენ – ლაპადუსოსისა და ვალე-ბერფეიტოს გავლით, სულ დაბლა და დაბლა ჩამოდიან, უკვე ხალხმრავალ ადგილებს მიაღწიეს, ტორეს-ვედრასთან გადაუხვიეს, მერე სამხრეთისკენ აიღეს გეზი, რა სჯობს გზაში შესვენებას! აი, ბლიმუნდა წყაროში იბანს ფეხებს, კაბა აუწევია, ნამდვილი ნიმფაა და როდესაც ნიმფები ბანაობენ, აუცილებლად ფავნი უთვალთვალებთ. ფავნიც არ აყოვნებს და მისდევს, ბლიმუნდა სიცილით გარბის, ბალთაზარი იჭერს და ორივე მიწაზე ეცემა – რაღაც სხვა დროიდან და სხვა სამყაროდან მოსულებს ჰგვანან.

ისევ შესვა ბალთაზარმა ბლიმუნდა ვირზე, ვირი მხიარულად მიაკაკუნებს ჩლიქებს, ყველაფერი წესრიგშია, სამყარო და ბალთაზარი სრულ თანხმობაში არიან, ასევე სამყარო და ბლიმუნდა. მაფრაში გვიან ღამით ჩავიდნენ, ველას ბორცვზე ცეცხლი ენთო და მის შუქზე ბაზილიკას უხეში კედლები, სარკმლების ღიობები, ნიშები, ხარაჩოები მოჩანდა. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ მონასტერი კი არ შენდება, არამედ ინგრევა. ყოველთვის ასეა, როდესაც სამშენებლო მოედანზე სამუშაოები წყდება. დაღლილ მუშებს ხის შენობებში დადგმულ ხის ტახტზე სძინავთ. მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე გადაუფარებიათ ფარდაგი, თითქმის ყველანი გაუხდელად წვანან. იქაურობა ტილებითა და რწყილებითაა სავსე. მამაკაცური საწყისიც არ აძლევთ მოსვენებას. მეზობელ საწოლზე ვიდაცა ისე მძიმედ სუნთქავს, რომ ღამის გული ამოუვარდეს, რას იზამ, ქალები არ არიან. უფრო სწორად, არიან, მაგრამ საკმარისი არაა. ვინც ადრე ჩამოვიდა, გაუმართლა – ქვრივები ან მიტოვებული ცოლები მონახეს, მაგრამ მაფრა პატარა სოფელია, თავისუფალი ქალები აღარ დარჩა, მაფრელი კაცების მთავარი საზრუნავი

ახლა ღამის ქურდებისგან ბაღების დაცვაა. უკვე დანებით ჩხუბის ბევრი შემთხვევა იყო, პოლიციელები მიცვივდებიან ხოლმე, თუ ვინმე მოკლეს, დამნაშავე ციხეში მიჰყავთ.

ქუჩებში ტალახი არასდროს არ შრება, რადგან ჭუჭყიან წყალს პირდაპირ ფანჯრებიდან ასხამენ. ერთ ბნელ შუკაში საროსკიპოც გახსნეს – იქნებ, საქმეთა მმართველის ინიციატივითაც. ქალებს აქირავებენ, ისევე როგორც ბალთაზარმა იქირავა ვირი, თუმცა იმ ვირს უფრო გაუმართლა, თავზე დუმფარების გვირგვინი დაადგეს. ამ ქალებისთვის ყვავილები არავის მოაქვს, მამაკაცებს კი ხშირად მიაქვთ იქიდან რაღაც – ძირითადად, ფრანგული დაავადება. ჰოდა, იკვნესოს ახლა, ცოცხლად დალპეს, ასეთი სენით დაავადებულს ლაზარეთში არ უშვებენ, ერთადერთი წამალი არსებობს – ასკილის, ამ სასწაულმოქმედი მცენარის, წვენი, ბევრი ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ყმაწვილი, სამი-ოთხი წლის წინათ რომ ჩამოვიდა მაფრაში, ახლა ძვლებამდე დასულ ჩირქიან წყლულებს ვედარ იცილებს. ბევრ პრიალაკანიან ლამაზმანს ორი წელიც ვერ გაუძლია აქ – გარდაცვლილა და რაც შეიძლება ღრმად ჩაუფლავთ მიწაში, რათა სიმყრალეს არემარე არ მოეწამლა. დამარხვის მეორე დღესვე საროსკიპოში მის ლეიბზე, მისსავე ჩვრებზე ადგილს ახალი გოგო იკავებს.

დროდადრო სამშენებლო მოედანზე ბერები მოდიან, ღვთისმოსავი სახეები აქვთ, მაგრამ მათი კონგრეგაცია უკვე მრავალი საუკუნეა იმითაა ცნობილი, რომ ხორცის გვემას ხორციელ სიტკბოებას უნაცვლებს, თვალდახრილები მოდიან, კრიალოსნებს ატრიალებენ ხელში, წელზე და ფეხებს შორის კი ქამრები, ზოგჯერ კი – ეკლიანი ჯვალო აქვთ შემოჭერილი, მაგრამ ხშირად ამ ქამრებს იხსნიან და მერე... მაფრაში ისინი ლაზარეთში მოთავსებული ავადმყოფების მოსავლელად ჩამოდიან, ცოცხლებს შეჭამანდს უხარშავენ, მომაკვდავებს აზიარებენ, ზოგჯერ დღეში სამი ან ოთხი კაცი კვდება. ვერაფერს შევლიან საავადმყოფოს წმინდანები – კოზმა და დამიანე, რომლებიც ექიმებს მფარველობენ, ვერც წმინდა ანტონიუსი, რომელიც ძვლებს წამში ახორცებს, ვერც წმინდა ფრანცისკი – სტიგმატების დიდი მცოდნე, ვერც წმინდა იოსები-დურგალი, რომელიც ყავარჯნების კეთებაში ეხმარება ხალხს, ვერც წმინდა სებასტიანი, რომელიც ასე დიდხანს უმკლავდებოდა. სიკვდილს, ვერც წმინდა ფრანსისკო ხავიერი, რომელიც ასე კარგად ერკვევა აღმოსავლურ მედიცინაში, ვერც იესო, მარიამი, ანა და მთელი წმინდა ოჯახი. ოფიცრებს და კეთილშობილი წარმომობის ადამიანებს ცალკე საავადმყოფოები აქვთ და ასეთი უთანასწორობის პირობებში შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა დიდი განსხვავებაა იქ ყველაფერში, მოვლაში და ზიარებაშიც კი, მაგრამ პირველი ქვა იმან ესროლოს პატივცემულ ძმებს, ვინც არასდროს არ ჩავარდნილა ასეთ ცდუნებაში. თავად იესო გამოარჩევდა პეტრესა და იოანეს თავის მოწაფეებში. ალბათ, ოდესმე გამოირკვევა, რომ იუდამ ლალატი ეჭვიანობის გამო ჩაიდინა.

გარდაიცვალა ჟუან-ფრანსისკო შვიდი მზე. ერთ საღამოს სამუშაოდან მობრუნებულმა ბალთაზარმა უთხრა: დამლოცეთ, მამაო. იმ დღეს თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, ყველა შეიკრიბა, მხოლოდ ბიჭუნა აკლდათ. იგი ყოველთვის გვიან ბრუნდებოდა სახლში, ჩუმი და დამკრებოდა იმ ქუჩებში, სადაც კახპები ცხოვრობენ, ნეტავი, ფულს სად შოულობს, თავის ჯამაგირს ხომ მთლიანად მამას აბარებს. ჰოდა, ალვარო-დიოგომ იკითხა, გაბრიელი ხომ არ მოსულაო, ამდენი ხანია ვიცნობთ ამ ბიჭს და აქამდე მისი სახელი არ ვიცოდით, ინეს-ანტონიამ კი უპასუხა – სადაცაა, მოვა, მოკლედ, ჩვეულებრივი საღამოა, არაფრით არ განსხვავდება სხვა საღამოებისგან, მაგრამ ვერავინ ამჩნევს, როგორ შეეცვალა სახე ჟუან-ფრანსისკოს. მოხუცი კერიას მიჯდომია, თუმცა ძალიან ცხელა. ბალთაზარმაც მექანიკურად სთხოვა მამას კურთხევა, როდესაც ერთსა და იმავე სიტყვებს მრავალი წლის მანძილზე იმეორებ, ყურადღებას აღარ აქცევ პასუხს. მოხუცმა ნელა აწია ხელი, თითქოს ამ მოძრაობისათვის უკანასკნელი ძალა მოიკრიბაო, მაგრამ მოძრაობა დაუსრულებელი დარჩა, ხელი ჩამოუვარდა, თავი კედელს მიეჯახა, ბალთაზარი შემოტრიალდა და ჰკითხა, – რა იყო მამა, ცუდად ხომ არ ხართ? უცნაური კითხვაა, წარმოდგინეთ, რა იქნებოდა, მოხუცს რომ ეპასუხა, მოგკვდიო, თუმცა ეს სიტყვები ურყევი ჭეშმარიტება იქნებოდა.

სუფთა გულით დაიტირეს მოხუცი, გაბრიელიც კი დანადვლიანებული იდგა, თუმცა სამოთხიდან დაბრუნდა, ოღონდ ფრანგული სენის ჯოჯოხეთით არ მოუხდეს ნეტარების საფასურის გადახდა.

ჟუან-ფრანსისკო მათეუსმა შვილებს ბაღი და სახლი დაუტოვა. მიწის ნაკვეთიც ჰქონდა ველას ბორცვზე, წლების მანძილზე წმენდა მას ქვებისგან, ბოლოს მოხნა რბილი მიწა, მაგრამ ამაოდ – ამ ადგილას ისევ ქვების გორები დგას, ნეტავი, რისთვის მოდის ადამიანი ამქვეყნად?

ამ ბოლო დროს წმინდა პეტრეს ტაძრის მოდელი სულ ზანდუკში დევს. საქმე ისაა, რომ, ცრუ წარმოდგენების მიუხედავად, მეფენიც ადამიანები არიან: იზრდებიან, მოწიფულობაში შედიან და მათი ჩვევები და გემოვნებაც იცვლება, ზოგჯერ საგანგებოდ მალავენ თავიანთ მისწრაფებებს, – საზოგადოებრივ აზრს უწევენ ანგარიშს და იმ თვისებების წარმოჩენას ცდილობენ, რომლებიც მათი ბუნებისათვის უცხოა. გარდა ამისა, როგორც ცხოვრებისეული გამოცდილება გვასწავლის, მრავალჯერ გამეორება მობეზრებას იწვევს: წმინდა პეტრეს ბაზილიკა ააწყოს და დაშალოს, თუმცა, რამდენიც გინდა დაშალე და ააწყვე, ეს ტაძარი მაინც ხის მაკეტად, სათამაშო იმიტაციად დარჩება, რომელშიც ვერასდროს ვერ გადაიხდიან წირვას, თუმცა უფალი ყველგან სუფევს.

მაინც კარგია, როდესაც ადამიანი თავის შთამომავლობაში განაგრძობს ცხოვრებას და უხარია, როდესაც შვილები მის საქმეს აგრძელებენ. ამით ხომ ყოველი მისი ნამოქმედარი ახალ აზრს იძენს. ასე რომ, დონ ჟუან V-ს შეიძლება ძველებურად აღარ

ეხალისება თავისი მაკეტით თამაში, მაგრამ დასახმარებლად თავის შვილებს – დონ ჟოზე და დონა მარია-ბარბარას – იხმობს ხოლმე. საბრალო ინფანტა ძალიან დაამახინჯა ყვავილმა, მაგრამ, პრინცესებს გაუთხოვრად დარჩენა არ ემუქრებათ, სენიორ მამიკო იზრუნებს ამაზე. მეფისწულების გართობის საყურებლად კარისკაცების და სეფე-ქალების ნახევარი იყრის თავს, მათი უდიდებულესობები სავარძლებში სხედან, პრელატებსა და აზნაურებს შემთხვევის შესაფერი სახეები მიუღიათ – ერთდროულად ინფანტების მიმართ მოწიწებას, მათი უმანკოების გამო გულაჩუყებას და ღვთისმოსაობას გამოხატავენ. როდესაც დონა მარია-ბარბარას საკუთარი ხელით მოაქვს ქანდაკება და კარნიზზე ამაგრებს, ყველა ტაშს უკრავს, როდესაც დონ ჟოზე ჯვარს აღმართავს გუმბათზე, იქ მყოფნი მუხლს იყრიან. დონ ჟოზე ხომ ტახტის მემკვიდრეა. მათი უდიდებულესობები ილიმებიან. შემდეგ დონ ჟუანი შვილებს უხმობს, აქებს და ლოცავს. სამყარო ჰარმონიაშია, ყოველ შემთხვევაში, ეს დარბაზი ზეციური სრულყოფილების ანარეკლს მოგვაგონებს. ყოველი მოქმედება კეთილშობილებითაა აღსავსე, სიტყვებს აუჩქარებლად წარმოთქვამენ, გამოზომილად, ღირსეულად უჭირავთ თავი, ასე ზეცის ბინადარნი იქცევიან, როდესაც უზენაესთან მის ოქროს სასახლეში სააუდიენციოდ მიდიან, რათა მისი ძის ხილვით დატკბნენ, თვალი ადევნონ, როგორ აწყობს და შლის, და ისევ აწყობს ხის ჯვარს.

დონ ჟუან V-ს ბრძანების თანახმად, მაკეტი არ დაშალეს, აწყობილი დატოვეს მაგიდაზე. კარისკაცები, ინფანტები, დედოფალი წავიდ-წამოვიდნენ, ბერებიც თან გაჰყვნენ, მხოლოდ ხელმწიფის ამაღა დარჩა – მეფე ჩაფიქრებული შესცქერის ტაძარს, მისი აზნაურები კი ჭკვიანური სახეებით დგანან, ეს ყველაზე მომგებიანი გამომეტყველებაა, ნუ ჩავეძიებით, ვინ რაზე ფიქრობს. ზოგს ფეხი აწუხებს, ზოგს – წელი, ზოგი გოადან მოსულ ამანათებს იხსენებს, ზოგი საყვარელ მწევარზე დარდობს – უკვე გააჩინა ლეკვები თუ არა; ზოგი ქალთა მონასტრის გისოსებს მიღმა დაღანდულ ლამაზ სახეს იხსენებს, ზოგს მოშივდა, ზოგს პარიკის ქვეშ თავი ეფხანება, მაგრამ უავგუსტესის თავში მოსულ ამალღებულ აზრებს ვერავინ სწვდება, მინდა რომ ჩემს დედაქალაქში ზუსტად ასეთი ტაძარი იყოს, ფიქრობს დონ ჟუან V.

მეორე დღეს მეფემ მაფრას მონასტრის არქიტექტორი, ვინმე ჟუან ფრედერიკო ლუდოვისე დაიბარა, გერმანელი, რომელმაც პორტუგალიურ ყაიდაზე გადაიკეთა გვარი და სახელი და უთხრა: – მინდა, რომ ლისაბონში წმინდა პეტრეს ტაძრისნაირი ტაძარი ავაგო, და მკაცრად გადახედა ხუროთმოძღვარს. როგორც ცნობილია, მეფეებს არას მოსმენა არ უყვართ და ეს ლუდოვისემაც, რომელსაც იტალიაში ლუდოვიზის ეძახდნენ, კარგად იცის, ისიც იცის: ვისაც ამქვეყნად მშვიდად ცხოვრება სურს, მეფეს არ უნდა შეეწინააღმდეგოს. მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი, მეფემ თავადაც არ იცის, რას ითხოვს, სულელი და უვიცია, თუ ფიქრობს, რომ ბრძანებას, თუნდაც მეფისას, შეუძლია ახალი ბრამანტე შობოს, ან ახალი რაფაელი, ან ახალი სანგალო, პერუცი, ბუონაროტი,

ფონტანა, დელა პორტა, მადერნა. უჭკუოა, თუ ჰგონია, რომ, თუ ამ ლუდვიგს, ანუ ლუდოვისეს, უბრძანებს, წმინდა პეტრეს ტაძარი მინდაო, ტაძარიც აშენდება, და ეს მაშინ, როდესაც მაფრას მონასტერიც ვერ დაუშთავრებათ. მე, მართალია, მხატვარი ვარ, არც პატივმოყვარეობაა ჩემთვის უცხო, მაგრამ ჩემი შესაძლებლობები კარგად ვიცი, ამ ქვეყნის ამბავიც კარგად ვუწყვი – ბევრი ხმაური, ცოტა საქმე, ასე რომ, ფრთხილი პასუხი უნდა მოვიფიქრო, ღმერთო, რა დავაშავე. თქვენი უდიდებულესობის სურვილი ჭეშმარიტად უდიდესი მონარქის სურვილია, მაგრამ ადამიანის სიცოცხლე ხანმოკლეა; იმ დღიდან, რაც წმინდა პეტრეს ტაძრის საძირკვლის პირველი ქვა ჩაიდო მის კურთხევამდე 120 წელი გავიდა და აურაცხელი სიმდიდრე დაიხარჯა. თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ, არასდროს არ ყოფილხართ რომში და ამ ასაწყობი სათამაშოთი საზღვრავთ. ჩვენთან ასეთ სამუშაოს ორას ორმოცი წელს მაინც მოუხდებიან, ვერც თქვენი უდიდებულესობა, ვერც მისი შვილები, ვერც შვილიშვილები, ვერც შვილთაშვილები ვერ მოესწრებიან მის კურთხევას. ჰოდა, მოწიწებით გეკითხებით, ეგებ არ ღირდეს იმ საქმის წამოწყება, რომელიც დაახლოებით 2000 წელს დამთავრდება, თუ იმ დროისათვის ჩვენი სამყარო ისევ იარსებებს. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველაფერი თქვენი გადასაწყვეტია, თქვენო უდიდებულესობავ. რა, სამყარო იარსებებს თუ არა? არა, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენი გადასაწყვეტია, ავაშენოთ თუ არა წმინდა პეტრეს ტაძარი ლისაბონში. ესე იგი, ჩემს სურვილს ასრულება არ უწერია? თქვენო უდიდებულესობა მარად იცოცხლებს ქვეშევრდომთა ხსოვნაში და მარადიულ ცხოვრებას დაიმკვიდრებს სამოთხეშიც, მაგრამ ხსოვნაზე საძირკველს ვერ ჩაყრი, ზეცა კი მთლიანად ტაძარია, ამასთან შედარებით რომის წმინდა პეტრეც კი ქვიშის მარცვალაია. მაშინ რაღატომ ვაშენებთ მიწაზე ეკლესიებსა და მონასტრებს? რადგანაც არ გვესმის, რომ მიწა უკვე ეკლესიაცაა და მონასტერიც. ეგ რაღაც ვერ გავიგე. ბოლომდე არც მე მესმის, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ მიწიერ ამბებს დავუბრუნდეთ – თუ გნებავთ, რომ მაფრას მონასტრის კედელი სულ ერთი გოჯით გაიზარდოს და თქვენს ცხოვრებაშივე დასრულდეს, ახლავე უნდა გაცეთ შესაბამისი განკარგულებები, თორემ საძირკველს ვერ ავცდებით, რას იზამ, ცხოვრება ხანმოკლეა, საქმე კი – გრძელი.

დონ ჟუან V-ს არ უყვარდა, როდესაც ეწინააღმდეგებოდნენ, ამიტომ მელანქოლიაში ჩავარდა. წარმოსახვა საკუთარ დაკრძალვას უხატავდა, შემდეგ კი – მისი შთამომავლების გრძელ მწკრივს, ყველა ერთი გზით მიდის და ვერც ერთი ვერ ეღირსება ტაძრის ხილვას. ლიუდოვისე კმაყოფილებას ვერ მალავს – უკვე მიხვდა, რომ ლისაბონში არავითარი წმინდა პეტრეს ტაძარი არ აშენდება. მას კი მაფრას მონასტერიც ეყოფა. ან ევორას მთავარი კათედრალის სამრეკლო, ან სან-ვისენტე-დე-ფორას რეკონსტრუქცია – ეს სამუშაოები პორტუგალიის მასშტაბს სავსებით შეეფერება. შთამომავლობა ვერც ვერასდროს შეიტყობდა, რომ დონ ჟუან V-მ წმინდა პეტრეს ტაძრის აგება მოინდომა ედუარდ VII-ს პარკში, ლუდოვისეს რომ არ წამოსცდენოდა, მან ეს

ამბავი თავის ვაჟს უამბო, ვაჟმა – საიდუმლოდ გაანდო თავის მეგობარ მონაზონს, მონაზონმა – აღსარებაზე თქვა, მღვდელმა ორდენის მეთაურს მოახსენა, ამ უკანასკნელმა – პატრიარქს, პატრიარქმა კი მეფეს ჰკითხა, – მართალია ეს ჭორები თუ არაო. მეფემ მიუგო, ვინც კიდევ ერთხელ დამელაპარაკება ამ საკითხზე, ჩემი რისხვა არ ასცდებიაო. რა თქმა უნდა, ყველამ ენა გადაყლაპა, მაგრამ ჭეშმარიტება ყოველთვის იკვლევს გზას ისტორიაში, მხოლოდ დრო უნდა, და ერთ მშვენიერ დღეს გამოგვეცხადება და გვაუწყებს, – აი, მოვედი, შიშველი წარმოგვიდგება თვალწინ, ჭიდან ამოდის, როგორც სკარლატის მუსიკა, რომელიც ჯერ კიდევ ლისაბონში ცხოვრობს.

ამ დროს მეფემ შუბლში იტკიცა ხელი: რა იქნება, მაფრას მონასტერი რომ გავაფართოვო? ორასის მაგივრად ხუთასი ბერი დავასახლოთ, ან ათასი! ეს არანაკლებ საგმირო საქმე იქნება, ვიდრე წმინდა პეტრეს ტაძრის აგება. ხუროთმოძღვარმა ისევ ცივი წყალი გადაასხა, – ათასი ნამეტანია, მაშინ რომის ბაზილიკისხელა მაინც უნდა ავაშენოთ. აბა, რამდენი? ვთქვათ, სამასი, ასეთი რაოდენობისათვისაც კი მოგვიწევს ეკლესიის გაფართოება. იყოს სამასი, ახლა კი – გვეყო კამათი, მე ასე მსურს. თქვენი სურვილი შესრულდება, თქვენო უდიდებულესობავ, თუ შესაბამის განკარგულებებს გასცემთ.

ჰოდა, გასცა კიდევ. უწინარეს ყოვლისა, არაბიდას პროვინციის ფრანცისკანელთა მეთაური მამა-პროვინციალი დაიბარა, მერე თავისი ხაზინადარი და ისევ არქიტექტორები. ლუდოვისემ ესკიზები მოიტანა, აი ეს ეკლესია, ეს გალერეა, კოშკები, უკან – სატრაპეზოები, კელიები, აქ კი ახალი შენობები უნდა აიგოს, და რადგან მაგარი ქანებია, მათი აფეთქება ბევრ დროს წაიღებს. მამა-პროვინციალმა რომ გაიგო, მეფე მონასტრის გაფართოებას აპირებსო, მუხლებზე დაემხო, მეფეს ხელზე ემთხვია და შესძახა, მეფეო, ექვციც არ შეგეპაროთ, ამ წუთში მამაზეციერი საუკეთესო ადგილს გიმზადებთ სამოთხეში და უხარია, რომ მიწაზე მის სადიდებლად ქვის უზარმაზარი ნაგებობა იზრდება დღითი-დღე, ყოველი ქვისთვის, ყოველი აგურისთვის ასმაგად მოგეზღვებათ, თქვენო უდიდებულესობავ, როდესაც უფლის წინაშე წარსდგებით, ზეცას ვთხოვთ, რომ ეს რაც შეიძლება გვიან მოხდეს, თქვენი ქვეშევრდომების გასახარად. ხაზინადარმა მალულად ცრემლები მოიწმინდა, მამა-პროვინციალი ზევით იყურება, სადაც, მისი ფიქრით, ემპირეუმი მდებარეობს, ლუდოვისემ კი თითიც არ გადაანაცვლა ნახაზზე, ისევ იმ მთაზე მიუთითებს, რომელიც ერთობ ძნელი ასაფეთქებელი იქნება.

თათბირი დასრულდა. ლუდოვისე ნახაზების გასაკეთებლად წავიდა, მამა-პროვინციალი – თავის რეზიდენციაში, ხაზინადარი კი დარჩა, საბუღალტრო წიგნები გადაშალა და ანგარიშის ჩასაბარებლად მოემზადა. აბა, – ეკითხება მეფე, – როგორაა დებეტისა და კრედიტის საქმე. ნახეთ, თქვენო უდიდებულესობავ, ნადი ფული იმაზე ცოტა გვაქვს, ვიდრე მოველოდით, დებეტი კი, ანუ დავალიანება, დიდი გვაქვს. წინა

თვეშიც მაგას ამბობდი. მომავალ თვეშიც იმავეს გავიმეორებ, თქვენო უდიდებულესობავ, თუ ასე გაგრძელდა, მალე ზანდულების ძირი გამოჩნდება. ჩვენი ზანდუკები შორსაა – ერთი ბრაზილიაში, მეორე – ინდოეთში და, სანამ საბოლოოდ დავცლით, ბევრი წყალი ჩაივლის. მაპატიოს თქვენმა უდიდებულესობამ თავხედური სიტყვები, მაგრამ, მგონი, ეგ დრო უკვე დადგა. რატომ, ფული ხომ ბევრი გვაქვს? ასეა, მაგრამ ჩემი გამოცდილება მეუბნება, რომ პორტუგალია გახვრეტილ ტომარასავითაა: რასაც პირში ვაყრით, უკანალიდან ცვივა, მაპატიოს თქვენმა უდიდებულესობამ... ჰა-ჰა-ჰა, – გადაიხარხარა მეფემ – ესე იგი, ნეხვი ფულია. არა, ფულია ნეხვი, მაგის მეტი რა ვიცი. ეს დიალოგი წმინდა ფანტაზიაა, თანაც – საკმაოდ ამორალური, მეფე და ხაზინადარი სამიკიტნოს მსახურებივით ლაპარაკობენ, მაგრამ ეს მარადიული პორტუგალიური ჭეშმარიტების მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე თარგმანია.

ჟუან-ფრედერიკო ლუდოვისეს ჯერ მონასტრის რეკონსტრუქციის პროექტი არ დაუსრულებია, მაგრამ მაფრაში უკვე მიქრის შიკრიკი და ახალი ბრძანება მიაქვს: დაუყოვნებლივ შეუდგენენ აფეთქებას, რათა დრო მოიგონ. შიკრიკი მთავარ კანტორაში შედის, კითხულობს, სად არის ლეანდრო დი მელო – ეს საქმეთა მმართველია. აქ ვარ. სასწრაფო დეკრეტს მიაქვს მისი უდიდებულესობისაგან – ინებეთ, აი, აქ მოაწერეთ ხელი, ბეჭედიც დასვით. შიკრიკი დედაქალაქში დაბრუნდა, საქმეთა მმართველი კი მეფის ბეჭედს ემხვია, წერილი გახსნა, წაიკითხა და გაფითრდა. მისმა მოადგილემ გადაწყვიტა, ნამდვილად თანამდებობიდან მოხსნესო და გაუხარდა, მაგრამ სულსწრაფობა ტყუილად გამოიჩინა. ლეანდრო დი მელომ თქვა, საქმეს უნდა მივხედოთო. რამდენიმე წუთში უკვე კანტორაში თათბირობდნენ ხაზინადარი, კალატოზების, ქვისმთლელებისა და დურგლების უფროსები, სამთო ინჟინერი და არმიის კაპიტანი, მოკლედ, მთელი უფროსობა. საქმეთა მმართველმა თქვა: – ბატონებო, მისმა უდიდებულესობამ თავისი ღვთისმოსაობისა და სიბრძნის წყალობით მონასტრის გაზრდა გადაწყვიტა, ამიტომ სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ მთის აფეთქება აღმოსავლეთის მხარეს, იქ კიდევ ერთი შენობა უნდა დაიდგეს, ასე რომ, წადით და შესაბამისი ბრძანებები გაეცით. ხაზინადარმა თქვა, – ხარჯები რითი დავფაროთო? დურგლების უფროსმა დაუმატა: – ჩემი საქმე ფიცრებიაო. კალატოზების უფროსმა, – მე კედლების ამოყვანა მევალებათ, ქვისმთლელების უფროსმა, – მე ქვების დამუშავება ვიცი, აფეთქება კი არაო. ასე რომ, საქმეთა მმართველმა კაპიტანი და ერთი ესპანელი ინჟინერი გაიყოლა და ადგილის დასათვალიერებლად წავიდა.

ამ მთის ერთ ფერდობზე მომავალი მონასტრის მეზალემ უკვე გააშენა ხეხილის ბაღი, რამდენიმე პატარა ბოსტანი და ყვავილების კვლებიც მოაწყო, ეს ყველაფერი ძირფესვიანად ამოიძირკვება. ცნობა, რომ მონასტერი კიდევ უფრო გაიზრდება, ელვის სისწრაფით მოედო იქაურობას. საოცარია პირდაპირ, ბრძანება მხოლოდ ხელმძღვანელობის გასაგონად გაიცა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ დეკრეტამდე

ჟუან V-მ წერილი გაუგზავნა ბალთაზარ შვიდ მზეს ან პატარა ჟოზეს: ასეთი აზრი მომივიდა თავში, მონასტერში 300 ბერი დავასახლო, ერთი მხრივ, თქვენც იხიერებთ – სამუშაო არ გამოგელევათო; ხაზინადარმა – სანდო კაცია – ამ დღეებში მითხრა, რომ ფული არ შემოგვაკლდება, ჩვენ ხომ უმდიდრესი ნაცია ვართ ევროპაში – არავის ვალი არ გვაქვს. ამით ვასრულებთ წერილს, საქმეს რომ არ მოგაცდინოთ, მოკითხვა ჩემს ძვირფას პორტუგალიელებს, ოცდაათივე ათასს, მუხლჩაუხრელად რომ ირჯებიან ჩემს საამებლად და იმ ნეტარ საათს გვიახლოებენ, როდესაც საუკეთესო და უდიდესი ძეგლი დასრულდება. წმინდა პეტრეს ტაძარი ჩვენს მონასტერთან შედარებით სოფლის ეკლესიად გამოჩნდება. მოკითხვა ბლიმუნდას, მამა ბართოლომეუ ლოურენსოს. პასაროლაზე მას მერე არაფერი მსმენია, არადა, რამდენი ფული დავახარჯე, რას იზამ, ასეთია ცხოვრება, აბა, მშვიდობით.

ლევანდრო დი მელო მთის დანახვაზე მთლად მოტყდა. უზარმაზარი კლდოვანი მასაა და რადგან თვითონ განათლებით იურისტი გახლდათ – ტორეს-ვედრასელი კორეჟედორი – იმედით სავსე თვალებით შეხედა სამთო ინჟინერს. ის კი, რადგან წარმოშობით ანდალუსიელია და ამიტომ გადაჭარბებანი უყვარს, ამბობს, – თავად სიერა-მორენა რომც იყოს, საკუთარი ხელით ამოვძირკვავ და ზღვაში მოვისვრი, მენდეთ, ცოტა ხანში აქ ისეთი სწორი ადგილი იქნება, ლისაბონის როსიოსაც კი შეშურდება. უკანასკნელი თერთმეტი წლის მანძილზე მაფრა არაერთხელ შეუზანზარებია აფეთქების ხმას, ამ ბოლოს დროს სიწყნარეა, მაგრამ არავინ არ იცის, როდის დამთავრდება ომი. იტყვი, აბა, მორჩაო, და მერე აღმოჩნდება, რომ ჯერ არ მორჩენილა, სულ ახალ-ახალ ყაიდაზე განახლდება ხოლმე. გუშინ ხმლებით ომობდნენ, დღეს უკვე ზარბაზნების ზათქი ისმის; გუშინ გალავნებს ანგრევდნენ, დღეს ერთბაშად მთელ ქალაქებს; ჯერ კიდევ გუშინ ერთი ადამიანის სიკვდილი უკვე ტრაგედია იყო, დღეს კი ეს ჩვეულებრივი ამბავია; მილიონები შეიძლება ერთ წამში აქციო ფერფლად. იმედია, მაფრაში ასეთი რამ არ მოხდება, მაგრამ როდესაც ხალხი გრუხუნს ეჩვევა, ჰგონია, რომ განკითხვის დღე დადგა.

ბალთაზარ შვიდ მზეს ჯერ არ მოუწერია პასუხი მეფისთვის, თვითონ წერა არ იცის, სხვისი შეწუხება კი ერიდება, მაგრამ, ალბათ, პასუხი ასეთი იქნებოდა: ძვირფასო მეფევ, მივიღე თქვენი წერილი, შევიტყვე, რისი თქმაც გინდოდათ, სამუშაო ბლომად გვაქვს, მარტო მაშინ ვჩერდებით, როცა წვიმს, ან თუ ქვებს არ მოგვაწვდიან დროზე, ან თუ აგურის პარტია უვარგისი აღმოჩნდა, სიმართლე რომ გითხარათ, საგონებელში ჩავცივდით: ახლა აქ ყველა გიჟივით დარბის აქეთ-იქეთ. თქვენ, ჩვენო ძვირფასო მეფევ, ვერც კი წარმოგიდგენიათ, რამხელაა ეს მთა, რამდენი მუშა დასჭირდება მის აფეთქებასა და ნაშალის გატანას: ყველა სხვა სამშენებლო სამუშაოს შეჩერება მოგვიწევს. მე ისედაც დღე და ღამე ქვებს ვეზიდები, მაგრამ ყველაზე მეტად ლიმონისა და ატმის ნერგებზე დამწყდა გული, სულ ერთიანად ამოძირკვეს. ყვავილებიც მოსპეს, მაგრამ, რაკი თქვენ

ამბობთ, არავისი არაფერი არ გვმართებსო, ეგეც სასიამოვნო ამბავია. აი, ცხონებული დედაჩემიც ასე იტყოდა ხოლმე, ვალებს ნუ დაიდებ, შვილოო, გარდაიცვალა საწყალი, ვეღარ ეღირსა საუკეთესო და უდიადესი ძეგლის, როგორც თქვენ ბრძანეთ, ხილვას. ბლიმუნდა კარგად არის, დიდი მადლობა მოკითხვისთვის. მართალია, ისეთი ლამაზი აღარაა, როგორც ადრე, მაგრამ ბევრ გაუთხოვარს მაინც სჯობს. პატარა ჟოზემ შემოგიტვალათ, ინფანტ დონ ჟოზეს ქორწილი არ გამომაპართო, საჩუქარი მაქვს ჩემის სეხნიასათვის მომზადებულიო, ოცდაათი ათასი პორტუგალიელი კი მადლობას გიხდით ყურადღებისათვის. ჯანმრთელობა ისე რა აქვთ, რამდენიმე დღის წინათ ყველას საშინელი ფაღარათი გვექონდა, რაღაც შევჭამეთ ალბათ, რას იზამ, ჩვენ პურში ნაგავი მეტია, ვიდრე ფქვილი, ლორში კი მატლები ბინადრობენ, ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, პასაროლაზე მეც აღარაფერი მსმენია მას შემდეგ. ალბათ მამა ბართოლომეუმ ესპანეთში წაიღო და იქაურ მეფეს მისცა, რომელიც, როგორც ამბობენ, თქვენი ნათესავია, ასე რომ, ფხიზლად იყავით! დედოფალს მოკითხვა! მშვიდობით!

ეს წერილი საბოლოოდ მაინც არ დაწერილა, მაგრამ ადამიანის სულები ერთმანეთს გაუგებარი საშუალებებით ესაუბრებიან და ზოგიერთი სიტყვა მეფეს მწარედ მოხვდა გულზე, იმ საბედისწერო ცეცხლოვანი წარწერისა არ იყოს, ბელშაცარმა რომ იხილა კედელზე: მენე, თეკელ, უფარსინ. ბალთაზარი კი არა, ბელშეცარი იგულისხმება, ბაბილონის მეფე, რომელმაც იერუსალიმის ტაძრის წმინდა ჭურჭლები შეურაცხყო, და ამისთვის დაისაჯა – კიროსის ხელით მოკვდა. კიროსი კი იმისთვის მოვიდა ამქვეყნად, რომ უფლის ნება აღესრულებინა. დონ ჟუან V-ის ცოდვები სხვაგვარია, ჭურჭლები თუშ შეურაცხყო, მხოლოდ მონაზვნების სახით, თანაც მათივე სურვილით, უფალს ეგ ნაკლებად ადარდებს, ეგ არაფერი – მეფე განსაკუთრებით წერილის იმ მონაკვეთმა შეაშფოთა, სადაც ბალთაზარი სინანულით ამბობს, დედაჩემი ვერ მოესწრო ამ მშვენიერი მონასტრის ხილვასო. მეფემ უცებ გააცნობიერა, რომ ადამიანის სიცოცხლე ძალზე ხანმოკლეა, რომ უამრავი ადამიანი ისე მოკვდა და მომავალშიც მოკვდება, რომ მონასტრის ვერ იხილავს; გაახსენდა, როგორ თქვა უარი ლისაბონში წმინდა პეტრეს ტაძრის მშენებლობაზე, როგორ დაარწმუნა ლუდოვისემ, რომ მის კურთხევას ვერც თავად, ვერც მისი შვილიშვილები ვერ მოესწრებიან; მშენებლობამ უკვე თერთმეტი წელი შთანთქა, ფულზე აღარაფერს ვამბობთ. ვინ მომცემს გარანტიას, რომ კურთხევის დღეს ცოცხალი ვიქნები, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ვიყავი სიკვდილის პირას, აი, მაგალითად, ბალთაზარ შვიდი მზის დედა ხომ ვერ მოესწრო მონასტრის დასრულებას?

დონ ჟუან V-ის სასტუმრო ოთახის ფანჯრები ტეჟოს გადაჰყურებს. მეფემ კამერჰერები, მდივანი, ბერები, მომღერალი დაითხოვა და მარტო დარჩა, სახეზე მონარქისთვის სამარცხვინო გრძნობა – სიკვდილის შიში – ეხატება. აი, გემო მიცურავს – ვინ იცის, მიაღწევს ნავთსაყუდელს? აი, ღრუბელი გამოჩნდა, მოვესწრებით კი მისგან

გადმოდინებულ წვიმას? ამაოება ამაოებათა, ამბობს სოლომონი, დონ ჟუანი კი იმეორებს, ყველაფერი ამაოებაა.

მაგრამ ამაოების დაძლევის საშუალება თავმდაბლობა და თვინიერება კი არაა, კიდევ უფრო დიდი ამაოება. ეს ფიქრები იმით კი არ დასრულებულა, რომ მეფემ ბერის სამოსი ჩაიცვა. მოსანანიებლად კი არ წავიდა, არამედ კამერჰერები, მდივნები, ბერები დაიბარა და ჰკითხა: მართალია, რომ ეკლესიების კურთხევა მხოლოდ კვირაობით ხდება ხოლმე? დიახ, ასეთია წესი. ჩემი დაბადების დღე, 22 ოქტომბერი, როდის იქნება კვირადღეს? მდივანმა კალენდარში ჩაიხედა და მიუგო: – ორი წლის შემდეგ, 1730 წელს. ჰოდა, სწორედ ამ დღეს ვაკურთხებთ მაფრას მონასტერს, ასეთია ჩემი ნება. კამერჰერები მიცვივდნენ და ხელზე ემთხვივნენ.

მაგრამ ეს ენთუზიაზმი, მართალია, ძალიან ფრთხილად და მოწიწებით ლუდოვისემ და მაფრადან სასწრაფოდ გამოძახებულმა ლენდრო დი მელომ ჩააქრეს. ორივემ ერთხმად განაცხადა, რომ რეალური მდგომარეობა ასეთი ოპტიმისტური პროგნოზების გაკეთების საშუალებას არ იძლევა – ლოდების დაწყობაში სისწრაფე არ ვარგა. ეს მეფეს ყველაზე უკეთ მოეხსენება, რადგან მონარქი იმ ნაწილთა წონასწორობას, ერთიანობასა და ჰარმონიას უზრუნველყოფს, რომლებისგანაც ნაცია იქმნება. დონ ჟუანი V-მ წარბი შეკრა, მაგრამ თავი შეიკავა და მდივანს ჰკითხა: – 1730 წლის შემდეგ როდის დაემთხვევა ჩემი დაბადების დღე კვირას? მანაც მიუგო, ათი წლის შემდეგ, 1740 წელს. ყველა იქ მყოფმა ისე საზეიმოდ დააქნია თავი, თითქმის თავად ჰალეისგან მოესმინოთ ლექცია კომეტის გამოჩენის პერიოდულობის შესახებ. დონ ჟუანი V ისევ მწუხარე აზრებმა შეიპყრო. თითებზე გადათვალა წლები, 1740 წელს უკვე ორმოცდათერთმეტი წლის ვიქნები, და წარმოთქვა: კი, თუ მანამდე ვიცოცხლეო. რამდენიმე წამი მეფემ ელეონის მთაზე დაჰყო და შიშითა და სასოწარკვეთით იტანჯებოდა, ყველაფერთან ერთად შურითაც აღივსო: წარმოიდგინა, რომ მისი ძე უკვე მეფე გახდა და ახალგაზრდა დედოფალთან ერთად, რომელიც ძალიან ძალე ჩამოვა ესპანეთიდან, მაფრის მონასტრის კურთხევის ცერემონიაზე მიდის, თავად ჟუანი V კი ამ დროს სან-ვისენტე-დე-ფორას ეკლესიის აკლდამაში ღებება, ინფანტ დონ პედროს გვერდით. ყველა სუნთქვაშეკრული უყურებდა ხელმწიფეს და მის გადაწყვეტილებას ელოდა. მეფე ფიქრებიდან გამოერკვა და წარმოთქვა – მაფრას ბაზილიკის კურთხევა 1730 წლის 22 ოქტომბერს შედგება, არ მაინტერესებს, საკმარისია ეს ვადა თუ არა. ეს ბრძანება უკვე მერამდენედ გაიცა, თუმცა ამჯერად ტონი ძალიან მკაცრი იყო, ეს სიტყვები ისტორიაში უნდა შევიდეს, როგორც, მაგალითად, ეს სიტყვები: მამაო, შენს ხელთ ვაბარებ ჩემს სულს. სიტყვამ მოიტანა, და ხელთო, ნათქვამია, ხელსო კი არა. ესე იგი ღმერთი სულაც არაა ცალხელა, ტყუილად აცდუნებდა ბალთაზარს მამა ბართოლომეუ ლოურენსო, შვილისთვის ეკითხა, შვილმა მამას ამბავი უკეთ არ იცის?! მოკლედ, მეფემ ბრძანა, სამეფოს ყველა კორეჟედორმა მოაგროვოს დურგლები, ქვისმთლელები, კალატოზები ან შავი მუშები, თუ საჭირო

იქნება – ძალითაც, და მაფრაში გაგზავნოს სამუშაოდ. არავითარი მიზეზით არ გაათავისუფლონ ამ სავალდებულო სამსახურიდან – არც ოჯახური მდგომარეობის, არც უკვე აღებული შეკვეთის ან დავალიანების გამო, რადგან მეფის ნება ყველაფერზე მაღლა დგას, მასზე მაღლა მხოლოდ უფლის ნებაა, ამ შემთხვევაში ორივე ერთმანეთს ემთხვევა, მორჩა, წერტილი. ლუდოვისემ სერიოზული სახით დააქნია თავი, მდივნებმა მონარქის ბრძანება ჩაიწერეს, კამერჰერებს გაეღიმათ, ლეანდრო დი მელოს კი კინალამ გული შეუწუხდა.

მაფრაში ახალი მუშახელის ნაკადმა იწყო დენა, ზოგი ნებაყოფლობით მოდიოდა, ზოგს ძალით მოერეკებოდნენ, მეფის ბრძანებას ქალაქებისა და სოფლების მოედნებზე ხმამაღლა კითხულობდნენ და, რადგანაც მოხალისეები ცოტა მოგროვდა, კორეჟედორი და პოლიციელები ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ, პირდაპირ იჭრებოდნენ სახლებში და ახალგაზრდა მამაკაცები ძალით გამოჰყავდათ. მოაგროვებდნენ 30-40 კაცს, ხელ-ფეხს შეუკრავდნენ, როგორც მონებს ან კატორღელებს, და მაფრაში გზავნიდნენ. ზოგიერთი კორეჟედორი ასაკსაც არ უყურებდა – მოხუცსა და ახალგაზრდას ერთიანად მიერეკებოდა. თავიდან ყველა თავის დამძვრენას ცდილობდა – ოჯახური პირობებით, ფეხმძიმე ცოლით, ისაო, ესაო, მოხუცი, ავადმყოფი დედაო, წვრილშვილიო, სახურავი შესაკეთებელიაო, მიწა – დასამუშევრელიო, მაგრამ პოლიციელები ასეთ ჯიუტს ერთ-ორს წაუთაქებდნენ, ასე რომ, მაფრაში ბევრი დასისხლიანებული წაიყვანეს.

კატორღელების მწკრივს წივილ-კივილით მისდევენ ქალები, ბავშვები ღნავიან, გეგონება, რეკრუტებს მიერეკებიან არმიაში ან ინდოეთში გასაგზავნად, ასეთი მდგომარეობაა ყველგან, სადაც კი ვრცელდება მისი უდიდებულესობის იურისდიქცია: ქალები კორეჟედორს ეხვეწებიან, პოლიციელების მოსყიდვას ცდილობენ – ქათამს, კვერცხს ან სხვა რაიმე საცოდავ ქრთამს სთავაზობენ. სულ ტყუილადა! პორტუგალიის მეფე სხვა სახით კრეფს ხარკს: ოქროს, ალმასებს, ზურმუხტს, სპილოს ძვალს, თამბაქოს, შაქარს, სანელებლებს. ცრემლი არაფრად უღირს, და, თუ პოლიციელებს დრო აქვთ, სხვანაირად იყენებენ პატიმრების ცოლებს, რადგან საბრალო ქალები არაფერზე უკან არ იხევენ, ოღონდ მარჩენალი დაიბრუნონ, მერე კი ნაღვლიანად უყურებენ, როგორ მიჰყავთ მათი ქმრები, პოლიციელები კი სიცილით იჭაჭებიან, წყეულიმც იყავ უკუნითი უკუნსამდე, კეთრმა შეგჭამოს თავიდან ფეხებამდე, საროსკიპოში გენახოს დედაშენიც, ცოლიც, წყეულიმც იყავ! სოფლიდან ქალები გამორბიან წივილ-კივილით, ერთი თავშიშველი ყვირის: – ჩემო საყვარელო მეუღლე, მეორე – შვილო, სად მიდიხარ, ახლომდებარე მთები კი ექოთი ეხმაურებიან.

რა დიდებულია ჩვენი მეფე! ტახტზე ზის, ბუნებრივ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს – მათი ხასიათის და მიხედვით, ხან ღამის ქოთანს იყენებს, ხან მონაზვნებსა და ყოველთვის სახელმწიფოს ინტერესებს იცავს და, საერთოდ, სახელმწიფო ისაა თავად,

მონასტრის ასაშენებლად რეკრუტებს გზავნის. ამ მონასტერს ფრანცისკელთა ორდენი 1624 წლიდან ითხოვს, თანაც მეფის ქალიშვილის დაბადების აღსანიშნავად, რომელიც, სიმართლე რომ ვთქვათ, პორტუგალიის კი არა, ესპანეთის დედოფალი გახდება. ასე რომ, ხალხი მაფრასაკენ მიემართება იმ გზებით, რომლებსაც სამეფოს უწოდებენ. ზოგჯერ – ჯერ კიდევ რომაელთა მიერ გაყვანილი გზებით; თავზე აწვით, მზე აცხუნებთ, სახლში ცოლ-შვილი დარჩათ, სამაგიეროდ, მეფე კმაყოფილია, ზოგი, განსაკუთრებით ჯიუტები, ბორკილგაყრილები მიჰყავთ, უფრო წყნარები კი ბედს დამორჩილდნენ და ნებით მიდიან, პორტუგალიის სხვადასხვა კუთხიდან მოდიან – ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან, პენელადან, პორტო-დე-მოსიდან, სანტარენიდან, ლეირიიდან, სეტუბალიდან, ევორადან, ვილა-რეალიდან და მორანდადან. ღამეს სათივეებსა და მონასტრების ეზოებში ათევენ, უფრო ხშირად კი – ღია ცის ქვეშ. მაფრაში შესვლის წინ ბორკილებსა და თოკებს ხსნიან, რათა ჩამოძენილი, ჭუჭყიანი მონების მწკრივმა ცუდი შთაბეჭდილება არ მოახდინოს მოსახლეობაზე. მშენებარე ბაზილიკის დანახვაზე არავინ ყვირის, იერუსალიმ, იერუსალიმ, ესე იგი, ტყუილი თქვა იმ ბერმა, ჯვაროსნები ხართო, რისი ჯვაროსნები, თუ თავადაც არ იციან, რომ ჯვაროსნები არიან. მცველებს ბორცვზე აჰყავთ მუშები, რათა კარგად დაათვალიერონ იქაურობა: მარჯვნივ ზღვაა, მასზე ჩვენი გემები მოჩანს, წყლის სტიქიის მბრძანებლები, სამხრეთით – სინტრას მთაგრეხილი, ჩვენი ნაციონალური სიამაყე და უცხოელების შურის ობიექტი, ქვევით კი მაფრაა, ბრძენი ხალხი იოლად აგვიხსნის, რას ნიშნავს ეს სიტყვა.

სამშენებლო მოედანზე მისასვლელად სოფელი უნდა გაიარო – ვიკონტის სასახლე, შვიდი მზეების სახლის წინ მდებარე პატარა მოედანი. ბლიმუნდამ ფანჯარა გამოაღო და გარეთ გაიხედა, არ გაჰკვირვებია, ასეთი ქარავანი უკვე ბევრი უნახავს, საღამოს ბალთაზარს უთხრა, ერთი ორასი კაცი მაინც გაატარეს დღესო, ბალთაზარმა კი მიუგო, მე კი მითხრეს, ხუთასი ახალი მუშა მოიყვანესო.

ახლები ნელ-ნელა ეწყობიან ყაზარმებში, დასაძინებლად ემზადებიან. ხვალ ყველაზე ძლიერებს გადაარჩევენ და მშენებლობაზე წაიყვანენ, ზოგს კი უკან გააბრუნებენ – შენ არ გამოდგები, შინ წადიო. ეს ხალხიც წავა, იმ გზებზე იხეტილებს, რომლებსაც საერთოდ არ იცნობს, უმრავლესობა მაწანწალა გახდება, ბევრი ვერ მიაღწევს სახლამდე, ზოგიც გზად აღესრულება, ზოგი ქურდი გახდება, მხოლოდ ძალიან ცოტა მიაგნებს მშობლიურ სოფელს.

მაგრამ ამქვეყნად ბედნიერი ოჯახებიც არსებობს. ერთ-ერთი მათგანი ესპანეთის სამეფო ოჯახია, მეორე – პორტუგალიისა, ისინი შვილების დაქორწინებას აპირებენ. იმათი მხრიდან პატარძალი პრინცესა მარიანა-ვიტორიაა, ჩვენი მხრიდან – მარია-ბარბარა, ჩვენი მხრიდან სიძე დონ ჟოზეა, იმათი მხრიდან – დონ ფერნანდო, ჯვარედინი

ქორწილი გაიმართა. გარიგება 1725 წელს შედგა, ხანგრძლივი მოლაპარაკება გაიმართა. დიდძალი ელჩობა გაიგზავნა, მრავალი კონტრაქტი დაიდო, ბევრი ივაჭრეს მზითევის თაობაზე და მხოლოდ ხუთი წლის თავზე, როგორც იქნა, პრინცესების გაცვლა გადაწყვიტეს.

მარია-ბარბარას 17 წელი შეუსრულდა. სავსე მთვარესავით მრგვალი სახე აქვს და ჩოფურაა. ისე ძალიან კარგი გოგოა, მუსიკალურიცაა – დომენიკო სკარლატის გაკვეთილებს უქმად არ ჩაუვლია. მუსიკოსი თავის აღსაზრდელთან ერთად წავა ესპანეთში და უკან აღარ დაბრუნდება. ინფანტას საქმრო, დონ ფერნანდო, ორი წლით უმცროსია მასზე, იგი მეექვსე ფერნანდო იქნება ესპანელ მეფეთა სიაში, თუმცა მეფისა ბევრი არაფერი სცხია, ამას ისე ვამბობ, სიტყვაზე, ვინმე არ დაგვაბრალონ, რომ მეზობელი ქვეყნის შინაგან საქმეებში ვერვით, ქვეყნისა, საიდანაც მომავალ დედოფალს ველით – თერთმეტი წლის მარიანა-ვიტორიას. ამ გოგონას, ასაკის მიუხედავად, უკვე აქვს მწარე ცხოვრებისეული გამოცდილება: საკმარისია ითქვას, რომ იგი საფრანგეთის მეფის, ლუი XV-ის, საცოლე უნდა გამხდარიყო, მაგრამ მან რატომღაც უარყო. ულამაზოდ გამოუვიდა – ოთხი წლის პატარა მარიანა-ვიტორია საფრანგეთში გაგზავნეს, რათა თავისი მომავალი მდგომარეობის შესაფერისი აღზრდა მიეღო, მაგრამ ორ წელიწადში უკან გამოისტუმრეს, რადგან ლუის მცისვე დასჭირდა მემკვიდრეები, რასაც საბრალო პატარა ჯერ ვერ უზრუნველყოფდა. გოგონა სასწრაფოდ გაგზავნეს ესპანეთს, ვითომ მშობლების მოსანახულებლად, და იქვე დატოვეს. რამდენიმე წელიწადში კი მას ახალი საქმრო გამოუჩნდა – დონ ჟოზე, რომელსაც მალე თხუთმეტი წელიშეუსრულდება. მარიანა-ვიტორიაზე რა შეიძლება ვთქვათ – კანფეტებზე გიჟდება, თოჯინებით თამაშობს, რომ გაიზრდება, წიგნები და მუსიკა შეუყვარდება, ერთი სიტყვით, მასზე უვიცი დედოფლებიც მოიძებნება.

ამ საქორწილო ორომტრიალში ბევრი ისეთი ადამიანიცაა ჩართული, რომლებიც ზეიმზე არ დაპატიჟეს. ნათქვამია, ქორწილსა და ნათლობაზე დაუპატიჟებელი ნუ მიხვალო, რა თქმა უნდა, არავის მოუწვევია ჟუან ელვასი, რომელსაც ბალთაზარ შვიდი მზე ლისაბონში ყოფნისას დაუმეგობრდა, როდესაც ჯერ ბლიმუნდას არ იცნობდა, და მასთან ერთად გაათია ღამე სათივეში. ჟუან ელვასი უკვე ხნიერია, სამოცი შეუსრულდა, და ამ სიბერის ჟამს უცებ თავისი მშობლიური ქალაქის ნახვა მოუნდა, რომლის სახელწოდებაც გვარად გაიკეთა. ასეთი წადილი, ჩვეულებრივ, მაშინ უჩნდება ხოლმე ადამიანს, როდესაც სიკვდილის მოახლოებას გრძნობს და სხვა სურვილები აღარ აწუხებს. წასვლა უნდოდა, მაგრამ ყოყმანობდა – გზად უკაცრიელი ალენტეჟო უნდა გაევილო. ისე არავინ არ იცის, რა ელის წინ, ვინ იფიქრებდა, რომ მაწანწალა ჟუან ელვასი მდინარე კაიასთან მიმავალ პორტუგალიის მეფეს დაემგზავრებოდა, რომელიც ერთი ინფანტას წამოსაყვანად და მეორეს პატრონისთვის ჩასაბარებლად მიდის. რა თქმა უნდა, ჟუან ელვასი ცხენით ან ეტლით არ მოგზაურობდა. ფეხები მაგარი ჰქონდა და მხნედ

მიაბიჯებდა, მეფის კორტეჟს კუდში აეკიდა, ასე რომ, მისი თანამგზავრები მხოლოდ მეფე, პრინცები, პრინცესები და აზნაურები იყვნენ, სენიორებმა არც კი იციან, რომ ესკორტით მაწანწალას მიაცილებენ და მის საკუთრებასა და სიცოცხლეს იცავენ. მაგრამ ეს სიცოცხლე დროზე ადრე რომ არ შეწყდეს, ჟუან ელვასს მაინც სიფრთხილე მართებს – შიგ კორტეჟში არ უნდა შერგოს თავი, ხომ ცნობილია, ჯარიკაცებს მძიმე ხელი აქვთ.

ჟუან ელვასმა ლისაბონი 1729 წლის იანვრის პირველ რიცხვებში დატოვა. ალდეგალეგაში ჩავიდა. იქ რამდენიმე დღე დაჰყო. კორტეჟის ეტლებისა და ცხენების მომზადებას და აღკაზმვას ადევნებდა თვალს, მეჯინიბებს ელაპარაკებოდა, მოკლედ, ყველა გაიცნო და, როდესაც დონ ჟუან V-მ მდინარე გადალახა – ეს რვა იანვარს მოხდა, უკან კი 200 ეტლი მიჰყვებოდა, მათ შორის ღია და დახურული ეკიპაჟები, პორტმეზები, პარიზიდან გამოწერილი ორთვალეებიც იყო – ჟუან ელვასიც უკან აედევნა. ალენტეჟოში უკეთეს ესკორტს ვერც ინატრებ: უთვალავი მსახურია, მხოლოდ მზარეულია 222, 200 ჯარიკაცა, 103 მეზუფეტე, ათასზე მეტი მეჯინიბე და მათი შეგირდები, შავი ფერის ყველა ტონალობის მონა ხომ უამრავი. ყველა ჯვრისწერაზე მიიჩქარის.

ალდეგალეგაში მეფე ინფანტ დონ ჟოზესა და ინფანტ დონ ანტონიოს თანხლებით ჩამოვიდა, მათთან ერთად იყვნენ მარკიზი დი კადავალი, მარკიზი დი მარიალვა, მაკიზი დი ალეგრეტე და სხვა აზნაურები, ჟუან ელვასი ბრბოს შეუერთდა, რომელიც გაჰყვიროდა, გაუმარჯოს დონ ჟუან V-ს, პორტუგალიის მეფეს! ხელმწიფე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მდივნის სასახლეში შევიდა, ჟუან ელვასმა კი იმედგაცრუება განიცადა – მეფის კორტეჟს აკიდებული მათხოვარი და მაწანწალა, რომელიც მოწყალეობას გამოელის, სხვაც ბევრი ყოფილა.

დილაუთენია კორტეჟმა ვენდას-ნოვასისისკენ აიღო გეზი, მაგრამ ჟუან ელვასი მათზე ადრე გავიდა ქალაქიდან – უნდოდა დალაგებული ენახა კორტეჟი და არა გამგზავრების აურზაური, როდესაც ცერემონიებისტერები ეკიპაჟებს მწკრივში აწყობენ, ფორეიტორები და მეეტლები კი ყვირიან და ილანძღებიან. ეს ხალხი კი, როგორც ცნობილია, მაგარ გამოთქმებს არ ერიდება, ჟუან ელვასმა ჯერ არ იცოდა, რომ მეფემ გამგზავრებამდე ატალაიას ღვთისმშობლის ეკლესიაში შეიარა, ამიტომ, როდესაც მზე ამოიწვერა და კორტეჟი ჯერ კიდევ არსად ჩანდა, მოხუც ჯარიკაცს გაუკვირდა: სად ეშმაკში გადაიკარგნენო, და აგავას ჩრდილქვეშ ჩამოჯდა, ამასობაში ცა მოიღრუბლა და აცივდა, ჟუანმა მჭიდროდ მოიხვია ტანზე მოსასხამი.

აი, საზეიმო პროცესიაც გამოჩნდა: ჯერ ლიტავრებისა და საყვირების ხმა გაისმა და მოხუცს ძარღვებში სისხლი აუჩქეფდა, დიდი ხნის წინათ მივიწყებული გრძნობა დაეუფლა: ასე ხდება, როდესაც ქუჩაში ქალს დაინახავ, გაგიცინებს ან კაბის კალთას აიკრეფს, ან ვარცხნილობიდან ჩამოვარდნილ კულულს შეისწორებს, თითქოს ბევრი არაფერი, მაგრამ სისხლი უფრო სწრაფად იწყებს დენას ძარღვებში, ძვალი თითქოს

რბილი ხდება, ასეთივე შეგრძნებაა, როდესაც სამხედრო მუსიკას ისმენ. აი, კორტეჟიც – ცხენები, ეტლები, ჯარიკაცები. ჟუან ელვასის გვერდით ახლა ვინმე გამოცდილი კარიკაცი რომ ჩამომჯდარიყო, ასეთ კომენტარებს გააკეთებდა: ხედავ, ჟუან, ლიტავრისტებსა და მესაყვირებს – ამათ შენც იცნობ – კარის კვარტირმისტერი მოსდევთ, მისი მოვალეობა ღამისთევაზე ზრუნვაა. შემდეგ ექვსი ცხენოსანი კურიერი მოდის, რომლებსაც მეფის დეპეშები და ბრძანებები მიაქვთ-მოაქვთ, შემდეგ ეტლში მეფის და ინფანტების მოძღვარი ზის, შემდეგ – მეფის გარდერობმისტერები, რა გაგიკვირდა, მეფე ვიღაც მაწანწალა კი არაა, ტანზე რაც აცვია, იმის მეტი არაფერი რომ არ ახადია, მაგალითად, შენ! კიდევ ორი ეტლი მამა-იეზუიტებითაა სავსე. იესოს სამოდან არიან, იოანას სამმოც არსებობს, ორივე მეუფეა, ოღონდ სხვადასხვა რანგის. რანგებზე თუ წავიდა საქმე, აგერ, მეორე შტალმისტერის ეტლი, მას სამი კორეჟედორი მოჰყვება, მერე – პირველი შტალმისტერი და ინფანტების კამერჰერები, ახლა კი ყურადღებით, ეს ცარიელი ეტლები იმ პატივს განასახიერებენ, რომელსაც უავგუსტეს პირებს მიაგებენ, ახლა კი, როგორც იქნა, მუხლი მოიყარე, ჟუან ელვას, მეფის, ტახტის მემკვიდრის და მეორე ინფანტის ეტლი გამოჩნდება, შეხე, რა მედიდური იერი აქვთ. ნამდვილი ღვთაებები არიან, ღმერთმა დღეგრძელობა მოგცეს, ჟუან ელვას, და მთელი ცხოვრება გახსოვდეს დღევანდელი დღე, როდესაც მუხლმოყრილი იდექი აგავებს შორის და გზაზე მეფემ გაიარა, ბედნიერი კაცი ხარ, ახლა კი შეგიძლია ადგე, მეფის ეტლი უკვე თვალს მოეფარა, ეს მისი მრჩევლები მოდიან, მერე – ლეიბ-მედიკოსი, აბა რა, რამდენი კაცი ზრუნავს მის სულზე, სხეულზეც ხომ უნდა იზრუნოს ვინმემ, ექვსი სათადარიგო ეტლი, ცხენოსანი ლეიბ-გვარდია, კიდევ ოცდახუთი ეტლი – პარიკმახერები, ოფიციატები, მზარეულები, თერძები, მრეცხავები, ორი ფორანი მეფისა და ინფანტების გარდერობით და ოცდაექვსი ცხენი, აბა, რას იტყვი, ჟუან ელვას, გინახავს ოდესმე ასეთი კორტეჟი? კუდში მოჩანჩალე მათხოვრების ბრბოც არ დაგავიწყდეს!

ჟუან ელვასიც ამ მათხოვრებს შეუერთდა, სამეფო კარის იერარქიაში ახლა ყველაზე უკეთ ერკვეოდა, მაგრამ მაინცდამაინც გულთბილად როდი მიიღეს, მოწყალეობაში ზედმეტი მეწილე არავის უნდოდა, მაგრამ მძიმე ჯოხის შემყურეთ, რომელიც ჟუანს შუბივით გაედო მხარზე, ხმა არ ამოუღიათ. პეგოენსში მეფე სასაუზმოდ შეჩერდა, მსუბუქად წაიხემსეს – მწყერი კომშით, ღვეზელი, ჩაშუმული ხორცი და ბოსტნეული მავრიტანულად, მოკლედ, სალაპარაკოდაც არა ღირს. ამასობაში ცხენები გამოცვალეს, მათხოვრებმა კი საველე სამზარეულოსთან მოიყარეს თავი და ერთხმად შემოსძახეს მამაო ჩვენო და ღვთისმშობელო, იმდენი იყვირეს, რომ ბოლოს და ბოლოს ქვაბი გამოუდგეს. ზოგიერთი სულელი ისე გაძღა, იქვე დარჩა, პეგოენსში, თითქოს ხვალ აღარ მოშივდებოდა, უფრო ჭკვიანები კი კორტეჟს არ ჩამორჩნენ და მასთან ერთად გააგრძელეს გზა.

ვენდას-ნოვასში მეფე ოთხი საათისთვის ჩავიდა, ჟუან ელვასი – ხუთისთვის და, როდესაც ვახშმის დროს ისევ დაიწყეს საჭმლის დარიგება, მოხუცმა ჯარიკაცმა ერთი-ორი ნაჭერი აბგაში შეინახა, რომ სადმე განმარტოებით წყნარად შეეჭამა და სათივეც მოძებნა დასასვენებლად.'

თივის შარი-შურმა გამოაღვიძა. ატლასის პანტალონები, აბრეშუმის წინდები და ბაფთიანი ფეხსაცმელები უახლოვდებოდა. აქედან გამომდინარე, ჟუან ელვასმა დაასკვნა, რომ ვიღაც აზნაური მოდიოდა და ცოტა ხანში თავისი გიდი იცნო, რომელმაც ასე საინტერესო ლექცია ჩაუტარა აგავას ძირში. კეთილშობილი პიროვნება ხვნეშით დაეშვა თივაზე, – უჰ, როგორ დავიღალე, მთელი ვენდას-ნოვასი შემოვირბინე, შენ გემბდი, სადაა ჟუან ელვასი, ვინმეს ხომ არ გინახავთ-მეთქი, არავინ არაფერი არ იცოდა, ძლივს გიპოვე, ახლა სასახლე უნდა აღვიწერო, რომელიც აქ მეფის ბრძანებით ააგეს. ცხრა თვე აშენებდნენ, დღე და ღამე მუშაობდნენ, ღამით 10000 ჩირაღდანი ენთო ხოლმე, 2000 კაცი მაინც მუშაობდა – მჭედლები, კალატოზები, ინკრუსტატორები, შავი მუშები, ქვა სამი მილის მოშორებით მდებარე სამტეხლოდან მოჰქონდათ, 500 ფორანი მაინც დასჭირდათ. ქვის გარდა ხომ ძელები, აგურები, კრამიტი, რკინის ნაწილები იყო ჩამოსატანი. ამაზე დიდი მასშტაბის მშენებლობა მხოლოდ მაფრაშია, ხომ გსმენია, რა ფული ჩაიყარა იმ მონასტერში, ისე, არავისთან არ დაგცდეს, და აქაური სასახლე მილიონი კრუზადო დაჯდა. წარმოგიდგენია, მილიონი! თუმცა შენ მაგას ვერ გაიგებ, ღარიბები ფულის ხარჯვის ხელოვნებას ვერ ფლობენ, სულ სხვა საქმეა მდიდრები, რა მდიდრული ოთახებია ამ სასახლეში, რა აბრეშუმით მორთული, განსაკუთრებით მეფისა და პატრიარქის აპარტამენტები, დონ ჟოზეს საძინებელი ხომ პირდაპირ სასწაულია, დედოფლის ფლიგელიც, დონა მარია-ბარბარას ოთახებიც, თუმცა არც შენ გაკლია ფართი, შენი საძინებელი მთელი დედამიწაა, რაღა გიჭირს, ისე არ დაგავიწყდეს, მეფე სამ საათზე მონტემორში მიემგზავრება, არ ჩაგეძინოს.

მაგრამ ჟუან ელვასს მაინც დაეძინა, თვალი რომ გაახილა, უკვე ექვსი საათი იყო, წვიმდა, ცის ფერის მიხედვით მოხუცი ჯარიკაცი უცებ მიხვდა, რომ დაავციანდა, დონ ჟუან V უკვე მონტემორის გზაზეა, უამრავი დაბრკოლება აქვს გადასალახავი: გუბეები, ტალახი, გადარეცხილი გზა. დედოფალიც უკვე გამოემგზავრა ალდეგალეგადან ინფანტა მარია-ბარბარასა და ინფანტ დონ პედრო მეორის თანხლებით, პირველი დონ პედრო ხომ პატარაობისას გარდაიცვალა.

ის დღე ჟუან ელვასმა ტავერნებში გაატარა, მეფის ბოძებულ მოწყალებას – პურს – ღვინით ასველებდა, მათხოვრების უმეტესობა წვიმის გამო კორტეჟს ვერ გაჰყვა, ვენდას-ნოვასში დარჩა, მაგრამ წვიმა გადაღებას არ აპირებდა. საღამოს, როდესაც დონა მარია-ანას კორტეჟის პირველი ეტლები გამოჩნდა, ნამდვილი თავსხმა დაიწყო, კორტეჟი უფრო გაქცეულ არმიას მოგაგონებდათ – ცხენები ძლივს მოათრევდნენ ეტლებს, ზოგი

პირდაპირ გზაზე ეცემოდა, მსახურები და მეეტლები ჩირაღდნებს იქნევდნენ, ისეთი ღრიანცელი იდგა, რომ მეორედ მოსვლა გეგონებოდა. მომზადებული ბინები ყველას არ ეყო და ამიტომ ამაღლის უმეტესობა პეგონსში გაბრუნდა. ღამით საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, ათობოთ ცხენი თხრილში გადავარდა, ქალებს გული უწუხდათ შიშისაგან. დედოფალს ევორაში სურდა გამგზავრება, მაგრამ გადააფიქრებინეს: გზები, თქვენო უდიდებულესობავ, საშინელ მდგომარეობაშია, მაგრამ მონტემორის მერი უკვე კრებს ხალხს, რომლებსაც გზების შეკეთებას დაავალებენ – ორმოებს ამოავსებენ, ზოგ ადგილას ფიცარნაგს დააგებენ, აქ კი, ვენდას-ნოვასში, კომფორტული სასახლეა, შეგიძლიათ პრინცესასთან ერთად მოისვენოთ და უკანასკნელად მისცეთ დედობრივი რჩევები: იცოდეთ, ჩემო გოგონა, მამაკაცები ნამდვილი ცხოველები არიან, ცხოველივით იქცევიან პირველ ღამეს. სხვა ღამეებიც საშინელებაა, მაგრამ პირველი მაინც ყველაზე უარესია, თავიდან კი ამბობენ, ფრთხილად ვიმოქმედებ, ნუ გეშინიაო, მაგრამ მერე, ღმერთმანი, არ ვიცი, რა ემართებათ; კვენსიან, ძალღებავით იღრინებიან, ღმერთო, მაპატიე, ჩვენ კი ერთი რამ დაგვრჩენია, – მოთმინება. ზოგჯერ შეიძლება არც არაფერი გამოუვიდეთ, მაგრამ ეს არ უნდა აგრძნობინო, ეს მათთვის უდიდესი შეურაცხყოფაა, ძალიან სწყინთ. ახლა კი მოდი, სენიორ სკარლატის ვუხმოთ, ვთხოვოთ, თავისი მუსიკით ცხოვრებისეული სიმწარე დაგვაღვიწყოს, მუსიკა დიდი შვებაა, შვილო, ისეთივე, როგორც ლოცვა.

სანამ დედოფალი ინფანტას ჭკუას არიგებდა, სკარლატი კლავესინზე უკრავდა. ამასობაში ჟუან ელვასი გზის შესაკეთებლად წაიყვანეს. ასეც ხდება ხოლმე, კაცი ერთი სახლის ჩარდახიდან მეორისაკენ გადარბის, რათა წვიმას შეაფაროს თავი და ამ დროს პოლიციელი უყვირის, სდექ! ჟუან ელვასმა ვერც კი მოასწრო დავრდომილ მოხუცად მოეჩვენებინა თავი. მართალია, პოლიციელმა ცოტა იყოყმანა, ჭაღარა კაცი რომ შერჩა ხელთ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჟუან ელვასის ბედი იმ სისწრაფემ გადაწყვიტა, რომლითაც წვიმას გაურბოდა, პოლიციელმა იფიქრა, თუ ასეთი მარდია, ნიჩბის ხმარებასაც შეძლებსო. სხვებთან ერთად, ჟუანიც იმ ადგილას მიიყვანეს, სადაც გზა განსაკუთრებით დაზიანებული იყო და მთელი დღე არხები ათხრევინეს და მიწა ატკეპნინეს. კიდევ კარგი, საღამოსკენ წვიმამ გადაიღო, დონა მარია-ანას მშვიდად ეძინა თავისი ბუმბულის საბნის ქვეშ, მუშებს კი ზოგს ღრმად ეძინათ, ზოგს – არა, ისე მშვიერი არც ერთიარ დარჩენილა. მისმა უდიდებულესობამ საჭმელი გულუხვად გასცა.

როგორც იქნა, დილით დედოფალი ვენდას-ნოვასისკენ დაიძრა, თუმცა ბევრი ეტლი დააკლდა, უმეტესობა შესაკეთებელი იყო. ასე რომ, კორტჟი საკმაოდ საცოდავი გამოვიდა, ეტლები დასველდა, ოქროსფერი საღებავი გახუნდა, მზემ თუ არ გამოანათა, ქორწილის ცერემონიალიც ასეთივე მოსაწყენი იქნება. საკმაოდ ციოდა, სუსხიხელებს წვავდა და კანს აშრობდა. ამიტომ, თუ ქალბატონებზეა ლაპარაკი, ხელჯაგში უნდა დამალონ ხელები. გაფითრებული და გათოშილები ძალიან საცოდავი შესახედავი არიან.

კორტეჟის თავში გზის შემკეთებელი რაზმი მიდის, ხარებშებმული ურმებით მიაქვთ სხვადასხვა ინსტრუმენტი, ქვიშიანი ტომრები, ფიცრები და თუ ძალიან დატბორილი მონაკვეთი შეხვდათ, ჩერდებიან და მუშაობას იწყებენ. ახლომდებარე სოფლებიდან უამრავი ხარი მორეკეს, თუ რომელიმე ეტლი ტალახში ჩაეფლო, ხარებს შეაბამენ და ისე ამოჰყავთ. ერთმა მუშამ თავისთვის ჩაილაპარაკა, – ზუსტად ასე მოვათრევი იმ უზარმაზარ ქვას მაფრაშიო. ჟუნ ელვასმა გაიგონა ეს ნათქვამი და ყურები ცქვიტა, – რა ქვაზე ლაპარაკობ? აი, იმ უზარმაზარ ლოდზე, რომელიც პერო-პინეიროდან წამოვიღეთ. დიდი იყო? ყველა ქვის დედა იყო, ასე თქვა ერთმა ჩემმა მეგობარმა, მერე კი სამშობლოში დაბრუნდა, მეც წამოვედი მაფრადან, იქ გაძლება აღარ შემეძლო. ხარებმა ერთი ეტლი ამოათრიეს ტალახიდან და მყარ გრუნტზე გაიყვანეს. ეს დედოფლის ეტლი იყო, თავად დონა მარია-ანა ფანჯრიდან იყურება და იღიმება, პატარა ინფანტ დონ პედროს კი აშკარად სიამოვნებით გატოპავდა გუბებში.

ასე იარეს მონტემორამდე, ხუთ მილს რვა საათი მოანდომეს. საბრალო მარია-ბარბარა გაიტანჯა, ისედაც იმდენი საზრუნავი აქვს, ღმერთო ჩემო, რა დავიდარაბა ატყდა და ეს ყველაფერი იმისთვის, რომ ერთი გოგო გაათხოვონ, მერე რა, რომ ინფანტაა.

ამასობაში კი ჟუნ ელვასი ისევ იმ მუშას ესაუბრება, ასე ეუბნება, – მეც მყავს ერთი მეგობარი მაფრაში, კარგი ხანია, არ მინახავს, მაშინ ლისაბონში ცხოვრობდა, მერე სადღაც გადაიკარგა, ალბათ, მაფრაში დაბრუნდა. თუ ასეა, ალბათ, ვიცნობ. – ბალთაზარი ჰქვია, მეტსახელად შვიდი მზე, ცალხელაა, მარცხენა ხელი ბრძოლაში დაკარგა. როგორ არა, ძალიან კარგადაც ვიცნობ, ერთად ვმუშაობდით! ხედავ, რა პატარაა სამაყარო, აი, საერთო მეგობარიც გყვოლია. შვიდი მზე ძალიან კარგი კაცი იყო! ხომ არ მომკვდარა? არ ვიცი, არა მგონია, რა მოკლავს მაგისნაირი ცოლის პატრონს, ბლიმუნდა ჰქვია, ისეთი თვალეები აქვს, ვერც კი გეტყვი, რა ფერის, ცვალებადი, უცნაური, ჰოდა, იმას ვამბობდი, კაცს როდესაც ასეთი ცოლი ჰყავს, სიცოცხლეს ებღაუჭება, თუნდაც ცალი ხელით. მე რომ ვიცნობდი, მაშინ ცოლი არ ჰყავდა. ისე ცოტა უცნაური კაცია, ხანდახან ისეთ რამეს წამოაყრანტალებს, გაგიჟდები, ერთხელ თქვა, მზესთან ახლოს ვიყავიო. მთვრალი იქნებოდა... არა, ბევრს არ სვამს, ასე მგონია, გადაკვრით იმის თქმა უნდოდა, რომ უფრენია. ბალთაზარ შვიდ მზეს უფრენია?! საოცარია, პირველად მესმის.

მაგრამ ამ დროს საუბარში წყალუხვი, აქაფებული კაია ჩაერია, მეორე ნაპირზე მონტემოროს მცხოვრებნი შეკრებილიყვნენ, ისინი დედოფლის შესახვედრად გამოსულიყვნენ ქალაქიდან. და ერთ საათში კორტაჟი უკვე ისვენებდა და საუზმობდა. ჟუნ ელვასიც ილუკმებოდაა და თან ამბობდა: – ახლა მახსენდება, შვიდი მზე ლისაბონში ერთ მღვდელთან მეგობრობდა, ამ მღვდლეს მფრინავს ეხმახდნენ. ეგ ვილაა? მღვდელი იყო, ბალთოლომეუ ლოურენსო ერქვა, ესპანეთში მოკვდა ამ ოთხი წლის წინ,

ბევრი ჭორი დადიოდა მასზე, ინკვიზიციაც კი დაინტერესდა. მართალია მფრინავი იყო? რა ვიცი, ზოგი რას ამბობს, ზოგი რას, აქ ნამდვილად ძალიან დიდი საიდუმლოა. მართალი ხარ, რაღაც საიდუმლო არის ამაში, – დაასკვნა კაცი, რომელიც ქვის ამბავს მოყვა.

ღრუბლები გადაიყარა, წვიმამაც გადაიღო, მუშები სახლებში გაუშვეს, გასამრჯელოც გადაუხადეს დედოფლის წყალობით. ჟუან ელვასი ახლა უფრო დიდი კომფორტით განაგრძობს გზას. თითქმის ყველა ფორეიტორი და მეეტლე გაიცნო, ზოგჯერ ფორანზეც სვამენ, იჯექი შენთვის და აქნე ფეხები, კაცი, რომელიც ქვის ამბავს ყვებოდა, გზის პირას დგას და ცისფერ თვალებს მოხუცს არ აშორებს. მეტს ველარასოდეს ნახავენ ერთმანეთს და, როდესაც ფორანი დაიძრა, ჟუან ელვასმა დაუძახა: – თუ ბალთაზარ შვიდ მზეს ნახავ, უთხარი, ჟუან ელვასს ველაპარაკე-თქო, ალბათ, ვახსოვარ, და მოკითხვა გადაეცი, შენ თვითონ კი რა გქვია? ჟულიან მაუ ტემპოს მეძახიან, მშვიდობით! მშვიდობით!

ისევ დაუშვა წვიმამ, ისევ გადარეცხა გზა, მშვიდად ჩაძინებულ ინფანტა მარია-ბარბარას გამოეღვიძა და გააჟრჟოლა. ინფანტამ ეტლის ფანჯრიდან გაიხედა და გზის პირას თხუთმეტი ერთმანეთზე მიჯაჭვული კაცი დაინახა, მათმა საცოდაობამ გული მოუკლა, ეტლის მახლობლად მომავალ ოფიცერს მოუხმო და პატიმრების ამბის გასაგებად გაგზავნა. ოფიცერი ხალისით გაეშურა ბრძანების შესასრულებლად, რადგან ძალიან მოსწონდა ეს პრინცესა. მართალია, შესახედავად დიდი ვერაფერია, მაგრამ ძალიან საყვარელია. გულდასაწყვეტია, რომ შორეულ ქვეყანაში, ესპანეთში, მიჰყავთ სამუდამოდ. მოკლედ, ოფიცერმა უპატაკა: თქვენო უმაღლესობავ, ეს ხალხი მაფრაში მონასტრის მშენებლობაზე მიჰყავთ, ევორელი ხელოსნები არიან, ბორკილები კი იმიტომ ადევთ, რომ არ გაიქცნენ. პრინცესამ მაღლობა გადაუხადა, ჩაფიქრდა და ეტლის საზურგეს მიეყრდნო, ოფიცერი კი წავიდა, თან სამუდამოდ ჩაიბეჭდა გულში ეს დიალოგი, გავა წლები, დაბერდება, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე ემახსოვრება უკანაკნელად ნათქვამი მაღლობის სიტყვები.

პრინცესა კი ისევ იმ საბარალო ხალხზე ფიქრობს, გაახსენდა, რომ მონასტერი მის პატივსაცემად შენდებოდა, მას კი იგი თვალითაც არ უნახავს, არც მისი მშენებლებს იცნობს, ნუგეშის ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს მათთვის. ეჰ, რა მძიმე ცოდვა აწევს მარია-ბარბარას, თავისი დაბადებით რამდენ ხალხს მოუტანა ტანჯვა, მარტო ეს ბორკილდადებული თხუთმეტი კაცი რადა ღირს! სენიორა დედავ, ესპანეთში მივემგზავრები, ალბათ, ვერასდროს ველარ დავბრუნდები, მაფრას მონასტერი კი თვალითაც არ მინახავს. შვილო ჩემო და მომავალო დედოფალო, ტყუილად ნუ კარგავ დროს, სჯობს, ილოცო, მონასტერიც მამაშენის უავგუსტოესი ნებით შენდება, შენც მისი ნებით თხოვდები, მეფის ნებას უნდა დავემორჩილოთ, სხვა არაფერი! ეს იგი, არც მე,

ინფანტა, არ წარმოვადგენ არაფერს, არც ეს ხალხი, არ ეს ოფიცერი? ასეა, შვილო, და, რაც უფრო მოგემატება წლები, მით უფრო ცხადად დაინახავ ამას.

მოგზაურობის დროს ფილოსოფიურ საუბარს რა სჯობს! ინფანტ დონ პედროს სძინავს, თავი დედის კალთაში უდევს. იდილიური სურათია, პრინცესამ კი მალულად მოიწმინდა ცრემლი. ევორაში დაბნელებისას შევიდნენ, ჩირაღდნების შუქზე.

დედოფლის კორტეჟს მეფე და ინფანტები შეეგებნენ. ხალხი ვივატს გაჰყვიროდა, ზარბაზნებმა ზალპი მისცეს, ჟუან ელვასი კი ფორნიდან ჩამოხტა, მისი ნაცნობი აზნაური მას მერე აღარ გამოჩენილა, არადა ახლა ბევრი რამ ექნებოდა მოსაყოლი – ქეიფების, მონასტრებში მსვლელობების, ტიტულების დარიგების შესახებ. მეორე დღეს მოხუცმა ჯარისკაცმა ცოტა იყოყმანა, ვის კორტეჟს გაჰყოლოდა, მეფისას თუ დედოფლისას? ბოლოს მეფე აირჩია, რომელიც პირველი გაუდგა გზას ელვასისკენ, სწორადაც მოიქცა – დონა მარია-ანა მეორე დღეს თოვლში მოჰყვა, ისე ბარდნიდა, დედოფლის სამშობლო, ავსტრია გეგონებოდა.

მეფის კორტეჟის გამოჩენისთანავე გზები მათხოვრებით ივსებოდა, ყველა მოწყალეობას ითხოვდა. წვრილი ფული სავსე ზანდუკი მეფეს ფეხებთან ედგა და მონეტებს მუჭებით ისროდა ფანჯრიდან, ხალხი ყვიროდა, ყოველი მონეტისთვის ჩხუბობდა, ტალახში ეცემოდა, მონარქი კი გზას განაგრძობდა, მკაცრი, მედიდური სახე მიელო, არაფრის დიდებით არ გაიღიმებდა, ალბათ, იმიტომ, რომ ღმერთიც არ იღიმებოდა, ხოლო მიზეზი თავად იცოდა, ალბათ, იმიტომ, რომ მისი ხელთქმნილი სამყაროსი რცხვენოდა.

სალამოს ექვს საათზე პროცესიამ ელვასს მიაღწია. ზარბაზნებმა სალამი მისცეს მეფეს, საზღვრის მეორე მხარესაც სალუტის ზალპი გაისმა – ეს ესპანეთის მეფე შევიდა ბადახოსში. გაუთვითცნობიერებელი კაცი იფიქრებდა, ომი დაიწყო, ჟუან V ჩამოქვეითდა და წვრილი, ნემსებივით მჩხვლეტი თოვლის ფიფქებქვეშ ფეხით გაუყვა ელვასის ქუჩებს, წინ ადგილობრივი კაპიტული მიუყვებოდა, ეპისკოპოსმა დიდი ჯვარი მოაგება, მეფემ დაიჩოქა, ჯვარს ემთხვია, მაგრამ აღარ გაჰყვა, ბოლომდე აღარ გაიარა V-ის ცრუცის საკუთარი ფეხით.

რაც გინდათ, ისა თქვით და უფალს მაინც ძალიან უყვარს თავისი ქმნილებები, ამდენი განსაცდელის მერე – წვიმა, უგზობა, სიცივე, – წყალობაც გაიმეტა: ატმოსფერულმა წნევამ მოიმატა, ცა მოიწმინდა, მზემ გამოაჰყიტა. ამასობაში ელჩებმა მოლაპარაკება გამართეს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მიმართონ ერთმანეთს მონარქებმა. ერთობ საჩოთირო საქმეა, მოლაპარაკებას სამი დღე დასჭირდა, ყოველი ნაბიჯი, ყოველი მოძრაობა შეათანხმეს და აი, 19 იანვარს ჟუან V ელვასიდან გავიდა და მდინარე კაიას მიუახლოვდა, თან ყველა ინფანტი და ინფანტა ახლდა. მშვენიერი დარი იდგა, მზეზე ათასფრად ელავდა ცხენების აღკაზმულობა, ოქროს ძაფები, საყვირები, ლიტავრები,

პლუმაჟები, გვარდიელების მუნდირები, სეფე-დროშები, შტანდარტები, ძვირფასი ქვები. რა მოსაწყენი ჩანდა ეს ყველაფერი თოვლსა და წვიმაში. არა, რაც არ უნდა იყოს, მზეზე უკეთესი არაფერია ამქვეყნად!

ელვასისა და ახლომდებარე სოფლების მოსახლეობამ ღამითვე დაიკავა ადგილები მდინარის ნაპირას. მოპირდაპირე ნაპირზე ასევე მოიქცნენ ესპანელები. ყველა ვაშას ყვირის, ვერც კი იფიქრებ, რომ ეს ხალხი ერთმანეთის მიმართ საუკუნეების მანძილზე საომარ მდგომაროებაში იყო, ეგებ, აქამდეც მოგვეფიქრებინა და მარჯვენა ნაპირის მკვიდრები მარცხენა ნაპირის მკვიდრებზე დაგვექორწინებინა? ნამდვილად აჯობებდა: ომების მაგიერ მხოლოდ ოჯახური შეხლა-შემოხლა იქნებოდა ხოლმე, ჟუან ელვასმა საუკეთესო ადგილი შეარჩია თავისთვის, უცნაურია, მაგრამ მოხუცმა რატომღაც არ მოინდომა თავის მშობლიურ ქალაქში შესვლა, თუმცა ამხელა გზა გადმოლახა, მერე შევალ, როდესაც ყველაფერი დაწყნარდება, და უცხოები წავლენ, იფიქრა მან. ამიტომ ჟუან ელვასი მტერთავად დადგა იმ სახლში, სადაც მეფეების შეხვედრა უნდა შემდგარიყო. ეს იყო მდინარის ნაპირზე, ქვის ხიდის თავში, ამ სახლს სამი დიდი დარბაზი აქვს, შუა დარბაზში პრინცესებს გაცვლიან – ბარბარას მისცემენ, მარიანას წამოიყვანენ. ამ დარბაზების მორთულობა ჟუან ელვას არ აჩვენეს. ის შავ სამუშაოზე დააყენეს ეზოში, მაგრამ ამ დროს მისი ნაცნობი აზნაური გამოჩდა:– როგორც მორთეს დარბაზები, ნეტავი, განახა: სულ გობელენებითა და მეწამული შტოფით, ფარდები ოქრომკედით ნაქარგი ფარჩისაა, ჩვენს ნაწილში განივი ორნამენტიანი ფარდაგებია, კასტილიურ ნაწილში – თეთრ-მწვანე, დარბაზის შუაში წითელი ხის მაგიდა დგას, პორტუგალიის მხრიდან 7 სავარძელი დადგეს, ესპანეთის მხრიდან – 6, ჩვენს სავარძლებს ოქროთი დაქარგული ნაჭერი აქვს გადაკრული, იმათსას – ვერცხლით ნაქარგი, მეტი მეც ვერ დავიმახსოვრე, მხოლოდ ერთხელ შევიჭყიტე, ასე რომ, ჩემი ნუ შეგშურდება, იქ შესვლა მეც აკრძალული მაქვს.

შეხვედრა ერთობ გულისამაჩუყებელი გამოდგა – დედები და ქალიშვილები ტიროდნენ, მამებმა წარბი შეკრეს და ასე ნიღბავდნენ თავიანთ გრძნობებს, საქმროები მალულად ათვალიერებდნენ საცოლეებს, გარეთ შეკრებილი ხალხი ამას ვერ ხედავს, მაგრამ, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე ცხადად წარმოუდგენიათ მაჭანკლები, საქმროს და მმაკაცების ხუმრობები, თავდახრილი, ვითომ მორცხვი პატარძალი, რა განსხვავებაა, გინდ მეფე, გინდ მენახირე, – ცოლისგან ორივეს ერთი და იგივე უნდა! უნდა ითქვას, რომ ჩვენ ხალხს საკმაოდ უხეში სკაბრეზულობა სჩვევია.

უეცრად სასახლიდან მშვენიერი, წყნარი, ნაზი მუსიკის ხმა გაისმა, თითქოს ვერცხლის ზარები რეკენო, რა არის ეს, იკითხა ვიღაც ქალმა, ჟუან ელვასმა კი მიუგო: – არ ვიცი, ჩემი ნაცნობი აზნაურიც არსად არ ჩანს. ვერასდროს ვერ შეიტყობს ჟუან ელვასი, რომ ეს დომენიკო სკარლატია. იგი თავის კლავესინზე უკრავს.

მხედრობას წინ ყველაზე ახოვანი დიდმოწამეები – წმიდნა სებასტიანი და წმიდნა ვისენტე – მიუძღოდნენ. პირველი ისრებითაა დაცხრილული, მეორის მარტივილობის სიმბოლო პალმის რტოა, ტანთ კი დიაკვნის სამოსი აცვია, შემდეგ სამი ქალბატონი, სამი გრაცია მობრძანდება: ყველაზე ლამაზი წმინდა ელისაბედა, უნგრეთის დედოფალი, კიდევ ორი – წმინდა კლარა და წმინდა ტერეზა – ვნებით სავსე, საკუთარი სულის ცეცხლით დამწვარი ქალები; წმინდა კლარას წმინდა ფრანცისკ ასიზელი მოჰყვება, რა გასაკვირია, რომ მისი საზოგადოება ურჩევნია, ძველი ნაცნობები არიან, ჯერ კიდევ ასიზიდან. ყველა წმინდანს შორის მკვეთრად გამოირჩევა ფრანცისკ კეთილი, ნათელი ბუნებით და რბილი სათნო ხასიათით, სამაგიეროდ, იგნაციუს ლიოლა და წმიდა დომინიკი მისგან რადიკალურად განსხვავდებიან. ორივე იბერიული წარმოშობისა და მკაცრი, სატანური ბუნებისაა, არა, სატანას ნუ შევადარებთ, ეწყინება, მხოლოდ წმინდანებს შეეძლოთ ინკვიზიციისა და სულთა დამუშავების გამოგონება, ვინც ოდნავ მაინც იცნობს ამ ორ პოლიციურ დაწესებულებას – ინკვიზიციასა და იეზიუტათ ორდენს – იმისთვის ცხადია, რომ წმინდა ფრანცისკი პირველი კატეგორიის ეჭვმიტანილია.

ყველანაირ წმიდანებს ნახავთ აქ: მწიგნობარი წმინდა ბენედიქტი, ასკეტი წმინდა ბრუნო, ჯვაროსანი წმიდნა ბერნარი და მრავალი სხვა. ამ კამპანიაში ერთადერთი პორტუგალიელია – ჟუან ღვთისა, დანარჩენი ყველა იტალიიდან გამოვიწერეთ, სან-ანტონიო-დო-ტოჟალში ჩამოტვირთეს და ახლა მაფრაში მოაქვთ.

ჟუან ღვთისას მონასტერი მეფე ჟუან V-მ მოინახულა ამ წლინახევრის წინათ, როდესაც ინფანტა მიჰყავდა საზღვარზე. ეს მოვლენა გამოგვრჩა, გამოგვეპარა ჩვენი ეროვნული დიდება, შეგვინდოს ჟუან ღვთისამ, მას ოდნავ უფრო ნაკლები რანგის წმინდანები მოყვებიან: ჟან დე მატა, ფრანჩესკო და პაოლა, გაეტან და ტიენა, ფელიქს დე ვალუა, პიერ ნოლასკი, ფილოპე ნერი – ნაკლები რანგისა კი არიან, მაგრამ მაინც დიდის პატივით მოჰყავთ, ყველა საკუთარი ურმით, თივაში ან ნახერხში ჩადებულები, ხომ იცით, მარამარილო მტვრევადი მასალაა, თუმცა გარეგნულად მაგარი ჩანს, გახსოვთ, ვენერა უხელოდ რომ დარჩა.

დიახ, 18 ქანდაკება 18 ურმით მოაქვთ, პინტეუსი გაიარეს, ფანიოენსას მიუახლოდნენ, ხალხი გარეთ გამოეფინა და თაყვანს სცემს წმინდა გამოსახულებებს, დასანანია მხოლოდ, რომ დაწოლილები მოჰყავთ, რამდენად ეფექტური იქნებოდა ფეხზე მდგომი წმინდანების მსვლელობა, ნამდვილი ჰერკულესებია! ფანიოენსაში მსვლელობა შეჩერდა – ხალხს დეტალურად უნდოდა გამოერკვია წმინდანების სახელები. ცოტა ხნის წინათ ამავე გზით მაფრას მონასტრის ზარებმა გაიარეს, ასზე მეტი ზარი იგუგუნებს მაფრას მონასტრის სამრეკლოზე! ხალხმა ადგილობრივ მღვდელს მოუხმო ახსნა-განმარტებისთვის, საცოდავი დაიბნა, რადგან ყველა პიედესტალზე როდი იყო

ამოტვიფრული წმინდანის სახელი, კიდევ კარგი, ზოგიერთი პირველივე შეხედვით იცნო, მაგალითად, წმინდა სებასტიანი. კარგი იქნებოდა, ერთი ამოსუნთქვით ეთქვა: – ძვირფასო შვილნო, ეს ფელიქს დე ვალუაა, წმინდა ბერნარ კლერვოელის მოწაფე, აი, თავად ისიც, ესეც წმინდა ჟან დე მატა, ტრინიტარიების ორდენის დამაარსებელი, ეს ორდენი იმ ტყვეების გამოსასყიდს აგროვებდა, რომლებიც ურჯულოების საპატიმროებში იტანჯებოდნენო, მაგრამ მღვდელს საამისოდ განათლება არ ჰყოფნის, და როცა ეს ფაქტი გააცნობიერა, ქარავნის უფროსთან წავიდა და მოსთხოვა, საბუთები გამაცანითო. ვირეშმაკობას მიმართა, იფიქრა, ამ ხერხით მრევლის ნდობას დავიბრუნებო, ასე რომ, ხალხს წმინდანების სახელები ურმების თანამიმდევრობის მიხედვით იტალიიდან გამოტანებული საბუთებიდან გააცნო. პროცესიამ გზა განაგრძო და მშვიდობით მიაღწია მაფრას.

მაგრამ რიბამარის იოსების მონასტრის ბერების მსვლელობა ასეთო იოლი როდი გამოდგა: ისინი ფეხით მიემართებოდნენ მაფრაში, ამის მიზეზი კი მამა-პროვინციალის ამპარტავნობა და სხვისი, თავისი კი არა, ხორცის გვემის სურვილი იყო, მონასტრის კურთხევის დღე ახლოვდებოდა, და ამასთან ერთად ის დღეც, როდესაც უნდა გაეხსნათ ლისაზინიდან გამოზგავნილი ზანდუკები, – მათში ძვირფასი საეკლესიო ნივთები ინახება, მამა-პროვინციალის ბრძანებით, რობამარელი ბერების ნაწილი მაფრაში უნდა გადასახლებულიყო. როდესაც ხელმწიფემ ეს ამბავი გაიგო, გული აუჩუყდა და სამეფო ეტლების გაგზავნაც კი დააპირა კეთილი ძმებისთვის, რადგან გზა რიბამარიდან მაფრამდე საკმაოდ გრძელი და მომქანცველია, მაგრამ მამა-პროვინციალი წინააღმდეგი წავიდა, რას ბრძანებთ, თქვენი უდიდებულესობავ, გათავხედდებიან, განაზღებებიან, ღმერთმა დამიფაროს ასეთი სურათის ხილვისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემს წოდებაზე უარს ვამბობ, არა, რასა ბრძანებთ, ფეხით წავიდნენ, ყველასათვის სამაგალითოდ, უფალი ჩვენი იესო ქრისტეც კი ფეხით დადიოდა, მხოლოდ ერთხელ იმგზავრა ვირით.

ამ არგუმენტების შემდეგ ჟუან V-მ ეტლების გაგზავნა გადაიფიქრა, ასე რომ, 30 ბერი ფეხით გაუდგა მაფრას გზას. ოცდაათივე გამოუცდელი ყმაწვილი იყო და მათ მძა მანუელ და კრუსი ხელმძღვანელობდა. ის თავისი ტირანული ხასითით იყო განთქმული და პატარა შეცდომებისთვისაც კი როზგებს არ იშურებდა, სულ მალე საბრალო ბიჭებს ზურგზე ტყავი გადაადრო, თანაც ფეხშიშველი ატარა ისეთ ქვალორდიან გზაზე, რომელთან შედარებით გზა, რომელზეც ღვთისმშობელი და წმინდა იოსები მიდიოდნენ ეგვიპტეში, აბრეშუმის ფიანდაზად მოგვჩვენებოდათ. პროცესიამ ცოტა ხანს შეისვენა მორელენში, ფეხები მოიშუშეს იქაურ ლაზარეთში და ისევ დაიდრნენ მაფრასკენ, გზა პერო-პინეიროზე გადიოდა – ეს გზის ყველაზე მძიმე მონაკვეთი იყო, რადგან იქაურობა სულ მარმარილოს ნატეხებით იყო მოფენილი. ქვის სამტეხლოს იქით შელეიროსის დაღმართი იწყებოდა, ბერებმა გზაზე აღმართული ხის ჯვარი დაინახეს. ასეთ ჯვრებს

მგზავრების სიკვდილის ადგილას დგამენ ხოლმე, ეს საბრალო კაცი შეიძლება ყაჩაღებმა მოკლეს შეიძლება უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა, ბერებმა ლოცვა წაიკითხეს და გზა განაგრძეს, ხიდი გაიარეს, დაბლობში ჩავიდნენ და შელერიოსიც უკან მოიტოვეს, სოფლის ბოლოს ვიდაც ქალი შეხვდა. ქალმა პროცესიას თვალი გააყოლა და კბილებს შორის გამოცრა, წყეულიმც იყავით. ბედის განგებით პირველივე გზაჯვარედინზე იმ ურმებს გადაეყარნენ, რომლებსაც ქანდაკებები მიჰქონდათ მაფრაში. ბერები ამ ქარავანს შეუერთდნენ და ასე საზიემოდ შეაბიჯეს სოფელში, სადაც ტრიუმფალური დახვედრა მოუწყვეს. დაღლილ, დამშეულ ბერებზე მოწყალების ორდენის ძმები იზუნებენ, ქანდაკებების გადმოტვირთვას კი ინჟინერებმა და მზიდავეებმა მოჰკიდეს ხელი – ბლოკები, თოკები, ქვის საზიდავი ტომრები, ჩაქუჩები მოიტენეს. ყოველი მოძრაობა სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის. ამიტომაც თქვა იმ ქალმა შელერიოსში, წყეულიმც იყავითო. მუშებმა ოხვრა-კვნესით გადმოიტანეს ქანდაკებები ურმებიდან და ფეხზე დააყენეს. წმინდა სებასტიანსა და ვისენტეს შორის ელისაბედი, კლარა და ტერეზა დააყენეს, ეს უკანასკნელები სებასტიანთან და ვისენტესთან შედარებით ჯუჯებივით გამოიყურებიან, მაგრამ ქალებს მეტრობით როდი ზომავენ, თუნდაც წმინდანებს.

ბალთაზარ შვიდი მზე სახლისკენ მიემართება, შორიდან დაბრუნდა, სან-ანტონიო-დო-ტოჟალიდან. ამიტომ დასვენება დაიმსახურა. წვერში ვერცხლისფერი ძაფები უელავს, შუბლი დანაოჭებია, მხრებშიც ოდნავ მოხრილა, როგორ შეცვლილა, დაბერებულა, მაგრამ ალბათ ეს ჩვენი უსუსური თვალების ბრალია, თორემ, აგერ, ქალი მოდის, რომელიც ისევე ახალზგარდა ჯარისკაცს ხედავს, რომელსაც ოდესღაც ჰკითხა, რა გქვიაო. ამ კაცს მეტსახელად შვიდ მზეს ეძახიან, ამ ქალისთვის კი იგი მართლაც ამომავალი მზეა, რომელიც მარად ბრწყინავს და არასდროს ჩადის, არც ღრუბლებს ეფარება. ქალი კისერზე ჩამოეკიდა ბალთაზარს, ვაი სირცხვილო! სოფელ მაფრას სირცხვილი! ორივენი შუა მოედანზე გამოხეტებულან, ეხუტებიან ერთმანეთს, თანაც ამ ხნის ხალხი!

ვახშმობისას ალვარო-დიოგომ თქვა: ქანდაკებებს ჯერ მონასტრის ეზოში დატოვებენ, ნიშებში მოთავსებას ვეღარ ასწრებენ, კვირას უკვე კურთხევაა დანიშნულიო. მანამდე კი ბევრი რამეა გასაკეთებელი, რომ ბაზილიკამ დასრულებული სახე მიიღოს – გაუღესაც თაღებს ტილოს ააფარებენ, ასევე თაბაშირიანი ტილოთი დაფარავენ გუმბათის ზედა ნაწილს. ალვარო-დიოგომ ბევრი ასეთი ეშმაკობა იცის, გამოცდილი ოსტატია, ჩინოვნიკები ძალიან აფასებენ. ოქროს ხელები აქვს და სიტყვა-პასუხიც დარბასლური იცის გაუთლელი სოფლელების უმრავლესობისგან განსხვავებით. მისი ტანისამოსი, თმა და წვერი თითქოს სამუდამოდ გაჯერდა მარმაროლოს მტვრით, ასე იქნება მთელი სიცოცხლე, სიკვდილამდე კი ბევრი არ დარჩენია, მალე ჩამოვარდება კედლიდან, რომელზეც სულ ტყუილად აიჭრა, რათა რომელიღაც ქვა გაესწორებინა. 30 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდება და ინეს-ანტონია, რომელიც ახლა ასე ამაყოფს იმით, რომ მის

ქმარს უფროსები წყალობის თავალით უყურებენ, თავისი შვილის ბედის გამო მარად დადარდიანებულ ქვრივად გადაიქცევა.

როდესაც ყველა დასაძინებლად წავიდა, ბალთაზარმა ბლიმუნდას ჰკითხა, – გინდა, ქანდაკებები ნახო, მგონი, მთვარეც ამოვიდა. მინდა, – მიუგო ბლიმუნდამ.

ღამე ცივი, მაგრამ უღრუბლო იყო. როგორც კი ბორცვს მიაღწიეს, ცაზე უზარმაზარი, სავსე, მოწითალო მთვარე ამოცურდა და სამრეკლოების, ბაზილიკის, გალავნის სილუეტი გამოაჩინა. ბალთაზარმა თქვა, – ხვალ მონტე-ჟუნტოში წავალ, ვნახავ, რა ხდება. მეც წამოგყვები. არ გინდა, ადრინადა გავუდგები გზას და დაღამებამდე ჩამოვალ, უნდა ვიჩქარო, მერე თუ წვიმები დაიწყო, გზა სულ ატალახდება. ფრთილად იყავი! ნუ გეშინია, ყაჩაღებს ჩემთან საქმე არა აქვთ, მგლებიც არ შემჭამენ. ეგ არ მიგულისხმია, მანქანაზე გეუბნები. ნუ გეშინია, ჩემო კარგო, მაგაზე არ იდარდო, ჩემი დრო ჯერ არ მოსულა!

ეკლესიის წინ ფართო მოედანზე გავიდნენ. ცამეტი წელი მიდიოდა მშენებლობა და ბევრი რამე ჯერ კიდევ დაუმთავრებელია – ფლიგელი მხოლოდ მეორე სართულამდეა ამოყვანილი, 300 კელიიდან სულ ორმოცია მზად, ჭიანჭველა კალოდან პურის მარცვალს მიათრევს, ჭიანჭველის ბუდედმდე ადამიანის ათი ნაბიჯი აქვს გასავლელი, მაგრამ ეს მანძილი მისთვის უზარმაზარია, ის ხომ ჭიანჭველაა, აქაც ასეა: მონასტერს ადამიანები აშენებენ და არა გოლიათები, ახლაც, როგორც ბევრჯერ წარსულში, იმის დამტკიცება სურთ, რომ ადამიანს გოლიათური საქმეები ხელეწიფება. ამიტომ დრო ბევრია საჭირო, ყველაფერს თავისი ზომა და შესაბამისობა აქვს – ადამიანს, ჭიანჭველას, პურის მარცვალს, მონასტერს, ქვის ფილას.

ბლიმუნდა და ბალთაზარი ქანდაკებების წრეში შევიდნენ, მთვარის შუქზე თეთრ მარმარილოს ქათქათი გააქვს, ზოგს ერთი შეხედვით ცნობენ, ზოგს დიდხანს აკვირდებიან, წერა-კითხვა ხომ არც ერთმა არ იცის. ასე რომ პიედესტალზე ამოკვეთილი ასოები არაფერს ეუბნება მათ. მუნჯი ქვა კი თავის შესახებ ვერაფერს ეტყვის. ზღვის მხრიდან ღრუბელი მოვიდა, ერთადერთი ნაგლეჯი, და მთვარეს გადაეფარა, ქანდაკებები ღია ფერის, გადარეცხილ ლაქებად გადაიქცნენ, წმინდანები გაქრნენ, თითქოს თავიანთ პირველსახეს დაუბრუნდნენ. ასევე სიბნელეში ჩაიკარგა იმ ქალისა და კაცის სილუეტები, მათ წინ რომ დგანან. შორს კუნძულ მადეირას მოციმციმე სანათლები მოჩანს, ღრუბელი გაქრა, შორეული მთის უკან გადაიკარგა, წავედით სახლში, ბლიმუნდა!

ისევ მთვარით განათებულ ბილიკს გაუყვნენ, ბლიმუნდამ უკან მოიხედა, ქანდაკებები მარილისებრ ელავდა ბნელში, თუ კარგად მიუგდებ ყურს, მათ საუბარსაც გაიგონებ: კამათობენ, თუ რალაცაზე თათბირობენ, ერთმანეთს იტალიიდან მოგზაურობის

შთაბეჭდილებებს უზიარებენ, ცოტა ხანში მათ ცალ-ცალკე ნიშებში მოათავსებენ და საუბრის საშუალება აღარ ექნებათ, ბლუმუნდამ თქვა: ალბათ, წმიდანები ძალიან უბედურები არიან, როგორებიც გააკეთეს, ისეთებად უნდა დარჩნენ სამუდამოდ, ეს ხომ მხოლოდ ქანდაკებებია, მე კი მინდა, რომ კვარცხულებიდან ჩამოვიდნენ და ადამიანებზე ილაპარაკონ, იმოდროს. ეგებ ლაპარაკობენ კიდევაც ერთმანეთში, როდესაც მარტო რჩებიან? თანაც წმინდანები ჩვენში გადარჩენისთვის არიან საჭირო. მაგრამ თვითონ რომ არ გადარჩნენ? ეგ ვინ გითხრა? არავინ, შიგნიდან ვგრძნობ, რომ გადარჩენა საერთოდ არ არსებობს. ეგრე ფიქრი ცოდვია. არც ცოდვა არ არსებობს, მხოლოდ სიკვდილი და სიცოცხლე არსებობს, მეტი არაფერი. ჯერ სიცოცხლე, მერე სიკვდილი. არა, სცდები, ბალთაზარ, ჯერ სიკვდილია, მერე კი სიცოცხლე, რაც ვიყავით, ის კვდება, და ის იზადება, რაც მართლა ვართ, ამიტომ ერთბაშად არ ვკვდებით. მოიცა, როდესაც მოკვდებით, როდესაც მიწას მიგვყრიათ, როცა ფრანსისკო მარკესი ფილის ქვეშ მოყვება, განა ეს საბოლოოდ სიკვდილი არ არის? არა, ალბათ, ფრანსისკო ახლა თავიდან იზადება. საიდან იცი ეგ ყველაფერი, ბლიმუნდა? დედის მუცელში გახეილილი თვალებით ვიწექი და ყველაფერს ვხედავდი.

ეზოში შევიდნენ, სახლის გვერდით ფარდული იდგა, ოდესღაც, კარგ დროს, აქ ვირი ცხოვრობდა, შინაურ ენაზე ამ ფარდულს ვირის სახლს ეძახდნენ. თუმცა მისი პატრონი იმდენად დიდი ხნის წინათ მოკვდა, რომ თავად ბალთაზარსაც კი აღარ ასხოვდა, მართლა მოესწრო მას პატარაობას თუ მხოლოდ გადმოცემით იცნობდა. ამ ფარდულში შევიდნენ, როგორც ადრეც ხშირად შესულან, როდესაც ალვარო-დიოგოს და ინეს-ანტონიასი, განსაკუთრებით კი – გაბრიელისა ერიდებოდათ, თივის ზვინზე ორი დაკეცილი საბანი იდო, ყველამ იცოდა, რისთვისაც ინახავდნენ მათ ბალთაზარი და ბლიმუნდა, მაგრამ თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოსდა არაფერი იცოდნენ, მალე ამ ფარდულში გაბრიელი დაიწყებს გოგონების მოყვანას, სულ მალე, როდესაც ამ სახლის ცხოვრებაში ბევრი რამე შეიცვლება.

გარიჟრაჟზე ბალთაზარმა თქვა, მონტე-ჟუნტოში მივდივარო, და ბლიმუნდაც სამზარეულოში ჩუმად შევიდა, საგზალი გაუმზადა. მერე კი სოფლის ბოლომდე გააცილა. დიდი ხის ქვეშ გამოემშვდობნენ ერთმანეთს, ბალთაზარმა ცოლი მაგრად ჩაიკრა გულში, ირგვლივ შემოდგომის ოქროსფერი ფოთლები ეყარა, მალე მიწას შეერევიან და მერე ისე მწვანედ მოგვევლინებიან, ორიანა კი არ დაემშვიდობა ამადისს, ან რომეო – ჯულიეტას, არამედ ბალთაზარი მიდის მონტე-ჟუნტოში, დიდხანს არ დარჩე იქ, მალევე წამოდი, შენ ფარდულში დაიძინე, ალბათ, ღამით დავბრუნდები, მაგრამ თუ ძალიან ბევრი საქმე დამხვდა გასაკეთებელი, ხვალ ჩამოვალ, მშვიდობით! მშვიდობით!

ბალთაზარმა გზა თავისი ხუთი თითივით იცის (მარჯვენა ხელის თითები იგულისხმება, ბუნებრივია). იმ მდინარის პირას შეისვენა, სადაც ბლიმუნდასთან ერთად

ცელქობდა ყვავილების გაფურჩქვნის ჟამს და მაფრაში მიმავალ აურაცხელ პილიგრიმს უყურებდა. მაფრაში სასწაულის იმედით ხეიბრების მთელი ბრბოები მიდიოდა – იფიქრებდი, ღმერთმა სამედიცინო პრაქტიკას მოჰკიდა ხელიო.

დღის მეორე ნახევარში მონტე-ჟუნტოს მწვერვალზე გამოჩნდა, მზის სხივებით იყო განათებული, მის ფერდობებზე უზარმაზარი რუხი მხეცების მსგავსი ჩრდილები გაწოლილიყო, ასეთ რამეებს მხოლოდ ის ამჩნევს, ვინც თავისთვის მიდის, გულზე დარდი არ აწევს, თან ფიქრობს, აი, ღრუბელი ცაში, მზეც დასავლეთისკენ გადაიწვერა, ნიავმა დაუბერა, ფოთლები აშრიალდა, და ვის შეუძლია ასეთი ღრმა ჭვრეტა, ვიღაც ყოფილ ჯარისკაცს, რომელმაც შებრალება არ იცოდა ომში, რომელსაც მკვლევლობაც აქვს სინდისზე, თუმცა, ალბათ, მას შემდეგ მთელი თავისი ცხოვრებით გამოისყიდა ეს ცოდვები, ან შეიძლება იმითაც, რომ მკერდზე სისხლის ჯვარი აქვს გამოსახული, და რომ მიწა ზევიდან დაინახა, ვინმე იფიქრებს, დიდი საქმეაო, მაგრამ ეტყობა, საკმარისია.

ბალთაზარი პასაროლას უახლოვდება. ამ ადგილას ყოველთვის გული ეკუმშება, ემინია, ვინმემ ხომ არ მიაგნო მანქანას, ხომ არ დაამტვრია და ყოველთვის უკვირს, როდესაც ხელუხლებელს ხედავს ბუჩქების და ხვიარა მცენარეების ბუდეში, ბალთაზარმა აბგა მოიხსნა, მიწაზე დაჯდა, შეისვენა და შიმშილიც მოიკლა, მერე მანქანასთან მივიდა, კაშკაშა მზე ანათებდა, ჰაერი ძალიან გათბა. ბალთაზარი ლიუკში გამგრა და გემბანზე ავიდა, გზადაგზა დამპალ ფიცრებს ეძებდა, რომ მერე გამოეცვალა, იქნებ სულაც ნაწილებად დაშალოს მანქანა, ნელ-ნელა გადაიტანოს მაფრაში, ფარდულში, თივაში დამალოს, ყველაზე სანდო მეგობრებს მოელაპარაკოს და კარგად შეაკეთოს? აქამდე რატომ არ მოსვლია თავში ეს აზრი? უცებ ორმა დამპალმა ფიცარმა მის ფეხქვეშ ჭახანი გაადინა, ბალთაზარმა ხელები აიქნია, წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობდა, კაუჭი მეტალის ღერძს გამოსდო, რომელზედაც აფრა იყო დამაგრებული და წამით მთელი სიმძიმით დაეკიდა მას. აფრა მოცურდა, გვერდზე გადავარდა და მზის სხივებმა მანქანა წალეკა, ქარვის ბურთები ოქროსავით აელვარდა, პასაროლა ორჯერ შეირხა, ტოტების ხლართი გაარღვია და ცად აიჭრა, ცა მოწმენდილი იყო, ერთი ღრუბელიც კი არსად ჩანდა.

ბლიმუნდას მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. თავიდან სადასოს ელოდა ქმარს და სოფლის შარაგზაზეც გავიდა მის შესახვედრად, დადამებამდე იჯდა გზის პირას, გზაზე პილიგრიმების ნაკადი არ წყდებოდა, მარტო მჯდომი ქალის დანახვაზე ზოგიერთი ოინბაზი უხამსი ხუმრობსი ხასიათზეც დგებოდა, მაგრამ მისი გაქვავებული სახის დანახვისთანავე ენა მუცელში უვარდებოდათ, ერთი, განსაკუთრებით მამაცი კი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, როდესაც ბლიმუნდამ უთხრა, წადი, გულზე გომბემო გაწევსო. ღამით ბლიმუნდა შინ დაბრუნდა და მულთან ერთად ივახშმა, რომელიც აგრეთვე წუხდა ბალთაზარის დაგვინების გამო. ბიჭუნა პარმაღზე იჯდა, ხმას არ

იღებდა, მაგრამ გულში ფიქრობდა, ტყუილად ეჩრება დედა ბიძას და ბიცოლას ცხოვრებაში, კაცობრიობის ნახევარს ხომ მეტი არა უნდა, ოღონდ სხვის საქმეში ჩაყოს ცხვირიო. უყურეთ ერთი გაბრიელს, ჯერ სულ ბავშვია და რანაირი აზრები მოსდის თავში! როდესაც ყველამ დაიძინა, ბლიმუნდა ეზოში გავიდა, წარმოიდგინა, რომ ამ წუთებში ბალთაზარი მდინარე პედრეგულიოსის ნაპირზე მოდის, მთვარე გზას უნათებს, მისი ნაბიჯების ხმა მკვეთრად იჭრება ღამის სიჩუმეში, აი, ახლა გააღებს ჭიშკარს, ბლიმუნდა კი კისერზე ჩამოეკიდება.

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. სათივეში იწვა და ცას უყურებდა. როდესაც ინათა, წამოდგა და სამზარეულოში შევიდა, რომ ჩვეულებისამებრ რაიმე ეჭამა, რატომ ღელავ, ბალთაზარმა ხომ თქვა, შეიძლება ერთი დღეც დავრჩე იქო. ალბათ, ბევრი რამე დახვდა შესაკეთებელი, იმხნევებდა თავს. ამ დღეს მაფრაში მეფეს, ინფანტ დონ ჟოზესა და ინფანტ დონ ანტონიოს ელიან, მაგრამ გვეყო მეფის კორტეჟების ცქერა, დიდად არ განსხავდებიან ერთმანეთისაგან, იმ ქალს გავყვით, რომელიც შარაგზაზე მიდის და ყველა შემხვედრს ეკითხება, ასეთი და ასეთი კაცი ხომ არ შეგხვედრიათ, არა, არა, არა. მთელი დღე არ გაჩერებულა ბლიმუნდა, მონტე-ჟუნტო კი ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ გზა ნაცნობია, მალე მივა, აი, ამ ადგილას მას და ბალთაზარს მწყემსი შეხვდათ, აი, ამ ველზე წინა წამოსვლაზე უკვდავა ყვაოდა.

სულ ცოტალა დარჩა. ბლიმუნდამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და აღმართს აუყვა, ორ ჯუჯა მუხას შორის გაიარა და იყვირა: – ბალთაზარ! წესით, უნდა გაიგონოს, თუ იქაა და მუშაობს.

აი, ისიც, უზარმაზარი ბუდე, საიდანაც ჩიტი გაფრენილა. ბლიმუნდას წამში შეაშრა ცრემლი, რომელიც მთელი აღმართი არშორდებოდა. კარგად დაათვალიერა იქაურობა – ნახა ამოძირკვეული ბუჩქები, მიწაზე დაგდებული აბგა და ფეხის ნაკვალევი, ცაში აიხედა და პირველად ცხოვრებაში სამყაროს, სივრცის სიცარიელე იგრძნო. იქ არაფერი არაა, – თქვა ხმამაღლა, თუმცა სულ სხვა რამის დაჯერება უნდოდა, იმის, რომ იქ, ზემოთ, ბალთაზარი მიფრინავს, აფრებს ებრძვის, პასაროლას დასმას ცდილობს, უცბად მოისაზრა, რომ თუშ მანქანა გუშინ აფრინდა, ღამით აუცილებლად დაემშვებოდა. ამიტომ ბალთაზარი ახლა ცაში კი არა, მიწაზეა, შეიძლება მკვდარი, შეიძლება ცოცხალი, მაგრამ დაშავებული.

ბალთაზარის აბგა ზურგზე მოიგდო და მიდამოს დასაზვერავად წავიდა. აქ მეტი აღარაფერი ესაქმებოდა, სადმე ამაღლებულ ადგილზე უნდოდა ასვლა, რათა კარგად დაეზვერა გარშემო ყველაფერი, ეკლებმა კაბა დაუხია, ფეხები დაუკაწრა, უკვე მიხვდა, რომ მონტე-ჟუნტოს მწვერვალზე უნდა ასულიყო, სადაც არც მას, არც ბალთაზარს ჯერ ფეხი არ დაუდგამთ.

ბევრი წვალეების შემდეგ, როგორც იქნა, ბილიკს მიაგნო და ჰოი საკვირველებავ, ბილიკმა ცოტა ხანში კარგად დატკეპნილ გზაზე გაიყვინა. უცებ ადგილზევე გაქვავდა – მოსახვევში ბერი გამოჩნდა, სამოსის მიხედვით – დომინიკელი. დეო ჩრატას, – მიმართა ბერმა, – აქ რას აკეთებ? ბლიმუნდამ მიუგო: – ქმარს დავეძებ, – მეტი ვედარაფერი თქვა, როგორ აუხსნას, სად გაქრა მისი ქმარი, ხომ ვერ უამბობს პასაროლაზე, ღრუბლის მაგვარ ნისლეულზე, გიჟი ეგონება. მაინც დასძინა, – მაფრელები ვართ, ჩემი ქმარი აქ იმიტომ მოვიდა, რომ გავიგეთ – ამ მიდამოში უზარმაზარი ფრინველი დაბუდებულა, მეშინია, ხომ არ გაიტაცა. პირველად მესმის ასეთი რამე! აქ სადმე ახლო-მახლოს მონასტერია? დიახ. ესე იგი, აქ ცალხელა კაცი არ გინახავთ? არც არავინ არ შემხვედრია. არც ცაში დაგინახავთ უზარმაზარი ფრინველი? არა. დამლოცეთ, მამაო! მალე წადი სახლში, ახლა სადაცაა დაბნელდება, ტყეში კი მგლები დაძრწიან, ალბათ, ვერც მოასწრებ დაბლობში ჩასვალს, მოდი, მონასტერში წამოდი, ღამეს გაათევ, დილას კი ისევ შენი ქმრის საძებნელად წახვალ. არა, სახლში წავალ. შენი საქმისა შენ იცი, – ამოიოხრა ბერმა და გზა განაგრძო.

ბლიმუნდამ ირგვლივ მიმოიხედა: ცა მოიღრუბლა, ქარი ამოვარდა, თან წვიმის სუნი მოიტანა, უცებ საშინელი დაღლილობა იგრძნო, ბალთაზარი თითქმის გადაავიწყდა, აბგაში ჩაყო ხელი და ბალთაზარის მიერ მომაგებული გამხმარი სარდინი ამოიღო, ამ წუთში ვინმეს რომ დაენახა, ალქაჯი ეგონებოდა, რომელიც მარტოდმარტო დამდგარა უკაცრიელ გზაზე და გამვლელს უდარაჯებს.

ბლიმუნდას ცრემლი წასკდა, აქ, მთებში, საოცრად მარტოდ იგრძნო თავი. სიბნელე თანდათან ივსებოდა ჟრუანტელისმომგვრელი ხმებით: ჭოტის კვილი, ფოთლების სევდინი შრიალი, თუ სმენა არ ატყუებს, სადღაც შორიდან მგლის ყმუილიც ისმის. ბლიმუნდას სუნთვა შეეკრა, რაღაც გაურკვეველმა ჩრდილმა სულ ახლოს ჩაუქროლა, მეტის გამღება აღარ შეეძლო, ადგილს მოსწყდა და ზევით გაიქცა, იქით, სადაც ბერი წავიდა, ისე გარბოდა, თითქოს ეშმაკები მისდევდნენ. უეცრად მონასტერი დაინახა – დაბალი, უხეში, ულაზათო ნაგებობების კრებული. ეკლესიის ვიწრო ფანჯრებში შუქი ბჟუტავდა, იქიდან გალობის ხმა გამოდიოდა. ბლიმუნდა ისევ აქვითინდა, წარმოიდგინა, რომ ბერების ლოცვა ციდან ჩამოიყვანს ბალთაზარს, საოცარი ლათინური სიტყვები კი ჭრილობებს გაუმთელებს და წყნარ გალობას თავისი ხმაც შეუერთა.

მონასტრის უკან რაღაც ნახევრები მოჩანდა – კედლები, ნახევრად ჩამოქცეული თაღები, აქ სიცივისა და მგლებისაგან შეიძლებოდა თავის შეფარება. ბლიმუნდა ხელის ცეცებით შევიდა რაღაც ნახევრად დანგრეულ ეკლესიაში, ნელ-ნელა თვალი მიაჩვია სიბნელეს, მიწა ბალახით იყო დაფარული, კუთხეში საბანი გაიშალა და დაწვა. ისევ მოადგა თვალზე ცრემლი და ტირილში ჩაეძინა კიდევ, მაგრამ მალე მთვარე ამოვიდა და მისმა შუქმა გამოაღვიძა. მოეჩვენა, თითქოს მთვარის შუქმა ჩუმად შეანჯღრია და ამან

გაუფრთო ძილი, მაგრამ მალე მის ყურს რაღაც ფაჩუნიც მისწვდა. ნაბიჯების ხმა იყო, რაღაცამ გაირბინა. მთვარის შუქზე მოუქნელი სილუეტი და გროტესკული პროფილი გამოჩნდა. ბლიმუნდამ წამში იცნო ბერი, რომელსაც გზაზე შეხვდა. უახლოვდებოდა, აი, ფანჯრის იქით ჩრდილმა გაიელვა. იმის გასაგებად მოდიოდა, მიიღო ქალმა მისი წინადადება და მონასტერში გადაწვიტა ღამის გათევა თუ არა, მაგრამ ამას ქრისტიანული გულმოწყალების გამო როდი აკეთებდა. ქალმა სუნთქვა შეიკრა. იმედი ჰქონდა, რომ ბერი სიბნელეში ვერ დაინახავდა, ან დაინახავდა და ეტყოდა, კარგი გიქნია, აქ რომ მოსულხარ, დაისვენეო, მაგრამ ჰეშმარიტება სულ სხვაგვარია. ბერი ამისთვის არ მოიპარება. მისმა მსხვილმა ფიგურამ მთვარის შუქს გადაულობა გზა. მაღალი, ძლიერი კაცია და მძიმედ სუნთქავს. ბლიმუნდამ აბგაში შეაცურა ხელი და მახვილი მოსინჯა, რომელიც ოდესღაც კაუჭთან ერთად გაუმზადა ბალთაზარს ევორელმა მჭედელმა. ბერი მუხლებზე დადგა, ფრთხილად მოსინჯა ბლიმუნდას ფეხი, კაბა აუწია, ქალი წინააღმდეგობას არ უწევს, მისი ხელები ზურგზეც კი შემოეხვია, რა კარგია, დომინიკელის ცხოვრებშიც დგება დღესასწაული, ბლიმუნდამ ორივე ხელით ჩაარჭო იარაღი მსუქან ზურგში, მახვილი ღმად ჩავიდა და გულს მისწვდა, კიდევ უფრო ღრმად, კიდევ... 20 წელიწადი ელოდებოდა ეს მახვილი ახალ მსხვერპლს. ბერი ახროტინდა და მთელი სიმძიმით დააწვა ბლიმუნდას, მთვარის შუქზე კარგად ჩანდა ანაფორაზე გამოსული წითელი ლაქა. ბლიმუნდამ ორივე ხელითა და ფეხით ძლივს გადააგორა გვერდზე დამძიმებული სხეული, ადგა, საბანი და აბგა წამოკრიფა, გვერდზე გადადო. მერე გვამს მიუახლოვდა და მკვეთრი მოძრაობით მახვილი ამოაძრო ზურგიდან, ჭრილობიდან სისხლმა შადრევანივით ამოხეთქა. ბლიმუნდამ მახვილი გაწმინდა, აბგაში ჩადო, აბგა მხარზე მოიგდო, უცებ რაღაც გაახსენდა, მობრუნდა და გვამს სანდლები გახადა. მკვდარს აღარ დასჭირდება, ფეხშიშველიც იოლად წავა იქ, სადაც უფალი დაუწყებს.

მონასტრის ეზოს გადაკვეთას მოერიდა – ვინ იცის, ეგებ ამ ბერმა რომელიმე თვის ძმაკაცს უთხრა, სად და რისთვის მიდიოდა, ისიც ფანჯრიდან იყურება და ხითხითებს, წყეულიმც იყავით, ჩაიჩურჩულა ბლიმუნდამ. ახლა უკვე აღარაფრის აღარ ეშინოდა – არც მგლის, არ სიბნელის, არც ღამის იდუმალი ხმების, პირდაპირ ბუჩქნარში შევიდა, თავისი დამტვრეული ხის ქოშები გაიძრო, გადაყარა და ბერის სანდლები ჩაიცვა, დიდი მოუვიდა, მაგრამ ტყავის თასმები მაგრად შემოიჭირა და წავიდა, გუმანით მიიკვლევდა გზას დაბლობისკენ, მთელი ღამე შეუსვენებლად იარა, რაც შეიძლება, შორს უნდა ყოფილიყო იმ მონენტისთვის, როდესაც ბერები მონასტერში დილის ლოცვად შეიკრიბებოდნენ, დაკარგულს აუცილებლად ძებნას დაუწყებენ – ბაღში, ბიბლიოთეკაში, კელიებში, გაქცეულად გამოაცხადებენ; მისი ძმაკაცი კი შურით გასკდება: ალბათ, მაგარი ქალი შეხვდა და მასთან ერთად გაიქცაო. მაგრამ მალე გვამს

აღმოაჩინენ და მომურნე ჩუმად გადაიწერს პირჯავარს, კიდევ კარგი, მეც არ გავყევი, რას იზამ, ყველაფერი ღვთის ხელშია.

დილით ბლიმუნდამ პედროგულიოსის ნაპირს მიაღწია. ბერის სანდლები ბუჩქებში გადაყარა. ასე სჯობს, ეშმაკს, ხომ იცით, არ სძინავს. ტანსაცმელი დაათვალიერა, სისხლის ლაქა ხომ არ შერჩენიაო, ცოტა შეისვენა და უცებ ელვასავით გაურბინა აზრმა: ალბათ, ბალთაზარი უკვე სახლშია, ალბათ, გზაში ასცდნენ ერთმანეთს, ახლა კი ბლიმუნდას ელის და შიშით გული უსკდება.

გიჟივით მირბის ბლიმუნდა გზაზე, მაფრა სულ ახლოსაა, მთელი სხეული სტკივა, ორი ღამის უძინარია, ორი ღამე ბრძოლაშია, მაგრამ სულს მაინც უხარია, იმედი ფრთებს ასხამს. უამრავი ხალხი მიდის მონასტრის კურთხევაზე, შორიდან მოჩანს ველას ბორცვი და მოფრიალე შტანდარტები. არავინ არ მუშაობს, ყველა იმითაა დაკავებული, რომ სოფელს ზეიმისთვის რთავს. ვიკონტის სასახლის წინ ლეიბ-გვარდიის ჯარიკაცები დგანან, ქუჩა ეტლებითაა სავსე, აქ ხომ თავად მეფე გაჩერდა. ბლიმუნდამ თავის ჭიშკართან მიიბრინა, გამოაღო და იყვირა, ბალთაზარ. არავინ რომ არ გამოეხმაურა, იქვე, კიბის საფეხურზე დაჯდა და ატირდა. სასოწარკვეთილებამ მოიცვა, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ ბალთაზარის აბგა სადმე უნდა დაემალა, შინაურებისთვის კი ეთქვა, რომ მის სამეზნელად იყო წასული და ვერ იპოვა. ძლივს მილასლასდა ფარდულამდე, აბგა თივაში დამალა, იქვე დაეგდო და მკვდარივით ჩაემინა, არც ლისაბონის პატრიარქის შემოსვლა გაუგია მაფრაში, არც საპატრიარქო ჯვრის, რომელიც კრუციფერარიუსმა შემოიტანა, ინეს-ანტონია და ალვარ-დიოგო პირდაღებულები იყურებდნენ ბრწყინვალე კორტეჟს, არც ის უნახავს ბლიმუნდას, როგორ ჩამოვიდა 300 ფრანცისკანელი მონასტერში დასასახლებლად.

სადამოს ალვარო-დიოგო ცოლთან ერთად სახლში დაბრუნდა, სრულიად შემთხვევით შეიხედეს ფარდულში, თორემ კიდევ კარგა ხანს ვერ გაიგებდნენ ბლიმუნდას დაბრუნების ამბავს. ბლიმუნდა ძილში ისე საშინლად ბორგავდა, რომ ინეს-ანტონიამ ფრთხილად შეანჯღრია და გააღვიძა. ბალთაზარი ვერ მოვიდა, ტურსიფალში დარჩება ცოტა ხანი, იქ რაღაც სამუშაოს სთავაზობენ, – უთხრა ბლიმუნდამ. ნებისმიერი ტყუილი გამოდგება, თუკი ადამიანს იმედს აძლევს.

ვახშმობისას ალვარო-დიოგო ზეიმის ამბებს ჰყვებოდა: მეფე და ინფანტები აქ არიან, დედოფალი და ტახტის მემკვიდრის მეუღლე მარიანა-ვიტორია ბელასში დარჩნენ, ძალიან ეამაყებოდა ალვარო-დიოგოს, რომ, ასე ვთქვათ, იმავე ჰაერით სუნთქავს, რომლითაც მეფე, ტახტის მემკვიდრე დონ ჟოზე და ინფანტი დონ ანტონიო სუნთქავენ, ისინი ხომ ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ვიკონტის სასახლეში გაჩერდნენ. მაფრაში ასევე კარდინალები კუნია და მოტა, ლეირისა და პორტალეგრეს ეპისკოპოსები ჩამოვიდნენ და აგრეთვე უფრო შორეული ქალაქების ეპისკოპოსებიც – პარასა და ნანკინის. ღმერთმა

ქნას, რომ ბალთაზარმა კვირამდე მოასწროს ჩამოსვლა და ცერემონია იხილოსო, ამბობს ინეს-ანტონია.

იმ ღამეს ბლიმუნდას სახლში ეძინა, დილით თავისი პურის შეჭმა დაავიწყდა და სამზარეულოში შევიდა. იქ ორი აჩრდილი დაინახა, – თეთრი ნეკნების გორგლები, შიგნეულობა, ცხოვრების მთელი საშინელება – და კინალამ გული აერია, ინეს-ანტონიამ კი ღიმილით უთხრა, – ფეხმძიმედ ხომ არა ხარ ამდენი წლის შემდეგ, დაო? ეს სიტყვები ისარივით მოხვდა გულში ბლიმუნდას, ახლა აღარაფერი იქნებო, იფიქრა.

ბოლოს და ბოლოს, დადგა ეს დიდებული დღე, დაუვიწყარი თარიღი, 1730 წლის 22 ოქტომბერი, ამ დღეს ჟუან V 41 წელი შეუსრულდა, და, როგორც იქნა, ეღირსა ამ საოცარი მონუმენტის, პორტუგალიის ერთ-ერთი უდიადესი ქმნილების ხილვას, მართალია, მონასტერი ჯერ დაუმთავრებელია, მაგრამ, რას იზამ, როგორც პორტუგალიელები იტყვიან, ცუდ ოსტატს ნივთიც მობრეცილი გამოსდისო. ბრწყინვალე ცერემონიებს ხომ ადამიანის ენა ვერ აღწერს, თუმცა ბლიმუნდას ისინი თითქოს არც დაუნახავს – წასვლით კი წავიდა, რათა ახლობლების ცნობისმოყვარეობა ზედმეტად არ აღედრა, მაგრამ თითქოს ბურანში იყო, გარშემო ვერაფერს ვერ აღიქვამდა. დილის ხუთ საათზე მაფრას მოედანზე გვარდიელები დაეწყვნენ, მზე რომ ამოვიდა, ყველა მიხვდა, რომ იმ დღეს კარგი ამინდი იქნებოდა, მოედანზე პატრიარქის ტახტი იდგა, გარშემო მიწა ხალიჩებით მიეფინათ, გვერდით, ღია ცის ქვეშ, საკურთხეველი გაემართათ. უკვე დაეწყო საზეიმო პროცესია, რომელიც მონასტრისკენ აიღებს გეზს და ეკლესიას შემოუვლის გარშემო – წინ მეფე და ინფანტები, უკან აზნაურები და პრელატები რანგის მიხედვით, მაგრამ დღევანდელი ზეიმის მთავარი მოქმედი პირი პატრიარქია. მან უნდა აკურთხოს წყალი, მერე ეკლესიის კედლებს აკუროს, აი, დაიდრა პროცესია, პატრიარქმა ეკლესიის ჭიშკარს სამჯერ დაარტყა კვერთი, ჭიშკარი გაიღო, ყველა ეზოში შევიდა, ეკლესიას გარშემო შემოუარეს, პატრიარქმა ეკლესიაში შეაბიჯა და იატაკზე დაყრილი ფერფლის გროვებზე იმავე კვერთხით ბერძნული და ლათინური ასოები მოხაზა. ეს ყველაფერი ჯადოქრობას უფრო გავს, ვიდრე კანონიკურ რიტუალს, მერეც სულ მასონური წესებია: ოქრო, საკმეველი, ფერფლი, მარილი, ღვინო, ლანგარზე დაყრილი მარმარილოს ფხვნილი და კირი, ვერცხლის ქაფჩა, ოქროს შტანგელი და კიდევ მრავალი სხვა. ასე გაგრძელდა ხუთ საათამდე, მანამდე კი მონასტერში თორმეტი მოციქულის რელიქვიები გადმოიტანეს, დიახ, თორმეტივესი, ხუთ საათზე კი პატრიარქმა საზეიმო წირვა გადაიხადა. გარეთ, მოედანზე, 70000 კაცი შეკრებილიყო, შეიძლება, ოთხმოცი ათასიც. ყველამ მუხლი მოიყარა, როდესაც პატრიარქი ტომას დი აღმეიდა გარეთ გამოვიდა და კურთხევა გვიწყალობა. ეს წამი ცხოვრებაში არ დაგვაავიწყდება, მართალია, სიტყვები არ ისმოდა, ამ დროს ჯერ მიკროფონები არ არსებობდა, ჩვენს დროში კი ელექტრული ხმა მთელ ქვეყანას მოსდებდა ამ ამბავს, ურბი ეტ ორბის, იელოვას ხმის მსგავსად, რომელსაც ათასობით წელი ელის კაცობრიობა.

სამაგიეროდ ყველა ხედავს გალერეაზე გადმომდგარი პატრიარქის ხელის მოძრაობას, მკირფასი ქვების ბრწყინვალეობას, წითელ ფარჩას, თვალისმომჭრელ თეთრ ბატისტს, ხედავენ, როგორ დაჰკრა პატრიარქმა კვერთხი პერო-პინერიდან ჩამოტანილ ფილას და, ჰოი, საოცრებავ, ფილიდან სისხლმა გამოჟონა, ეს ფრანსისკო მარკესის სისხლია.

ბლიმუნდამ მულს ჩასჩურჩულა, ახლავე მოვალო, ბილიკით დაეშვა დაცარიელებულ სოფელში, ფარდულში შევიდა, საბანი და აბგა აიღო, სამზარეულოდან ხის ჯამი, კოვზი, ოთახიდან თავისი ტანსაცმელი გამოიტანა და წავიდა, უკვე ღამდებოდა, მაგრამ ბლიმუნდას არ ეშინოდა. მის სულში უფრო ბნელი ღამე სუფევდა.

ცხრა წელი ეძებდა ბლიმუნდა ბალთაზარს. ყველა გზა მოიარა, ქვიანი, ტალახიანი, ქვიშიანი, მტვრიანი, ორჯერ ქარბუქში მოჰყვა, მზე წვავდა, მაგრამ არ მომკვდარა, რადგან ჯერ არ ეწადა სიკვდილი, კანი ისე გაურუჯდა, ვეღარ იცნობდი, სახე დაეღარა, საფრთხობელასავით დაეხეტებოდა მინდვრებში და სოფლებს შიშის ზარს სცემდა თავისი შესახედაობით, ყველა შემხვედრს ეკითხებოდა, ცალხელა კაცი ხომ არ გინახავთო, მაღალია, შავი წვერი აქვს, ოდნავ ჭადარა აქვს შერეული, ისეთი სახე აქვს, არასდროს დაგავიწყდება, აი, მე ვერ ვივიწყებ, შეიძლება ჩიტვით ციდან ჩამოფრინდა, მანქანაზე ზის, მანქანას აფრები, ქარვის ბურთები და მეტალის ორი მრგვალი ჭურჭელი აქვს. იმ ჭურჭელში სამყაროს უდიდესი საიდუმლო იმალება, და თუ მანქანა დაიმტვრა, ხოლო ის ადამიანი კი ფერფლად იქცა, იმ ადგილზე მაინც მიმიყვენეთო, ხალხს გიჟი ეგონა, მალე სახელი გაუვარდა, მფრინავი შეარქვეს იმ საოცარი ამბის გამო, რომელსაც ყველას უყვებოა, ზოგჯერ სოფლის მოედანზე ჩამოჯდებოდა ხოლმე და ქალებს ესაუბრებოდა, და როდესაც წავიდოდა, იმ მიდამოში ყველფერი იცვლებოდა, ქმრები ცოლებს ვეღარ ცნობდნენ, ცოლებიც სხვა თვალთ უყურებდნენ ქმრებს, თითქოს გული სწყდებოდათ, რომ მათი ქმრები არ დაკარგულან და მათ სამებრად წასვლა არაა საჭირო; ხშირად ხედავდნენ ტყეში ან მინდორში, ან კიდეც მდინარეში მობანავეს. ბევრმა მღვდელმა სცადა მისი ზიარება, მისი საიდუმლოს გაგება, მაგრამ ბლიმუნდა საზიარებლად არც ერთხელ არ მოსულა, ამბობდა, აღთქმა მივეცი, მხოლოდ ამას შემდეგ ვეზიარები, როდესაც ცოდვილად ვიგრძნობ თავსო.

ზოგჯერ ისიც ხდებოდა, რომ ლანძღავდნენ, ქვებსაც კი უშენდნენ. და ერთ სოფელში, სადაც ასე ცუდად მოექცნენ, ბლიმუნდამ სასწაული მოახდინა: იმხანად საშინელი გვალვა იყო, ჭები ამოშრა, წყაროები გაქრა, სოფლიდან გამოგდებულმა ბელმუნდამ კი ბევრი იარა მონდორში, მეორე დღეს სოფელში დაბრუნდა და დაიყვირა: ამა და ამ ადგილას, ამა და ამ სიღრმეზე წყაროა, ჩემი თვალთ ვნახეო. იმ წყაროს ოლიოს-დე-აგუა, წყლის თვალეები, დაარქვეს, იმ თვალეების პატივსაცემად, რომლებმაც აღმოაჩინეს. ხშირად, როგორც კი გაიგებდნენ, რომ ბლიმუნდა მაფრადანაა, იქით ეკითხებოდნენ, ასეთი და ასეთი კაცი ხომ არ გინახავს, ძმავ ჩემი, ქმარი, მამა, შვილი, მონასტრის

მშენებლობაზე წაიყვენეს, მას მერე არ მინახავსო, ზოგჯერ ასეთი რამეც ესმის ბლიმუნდას, ჯანდაბამდე გზა ჰქონია, ახლა ახალი ქმარი მყავსო. ერთხელ მაფრაშიც შეიარა ბლიმუნდამ და ალვარო-დიოგოს სიკვდილის ამბავი შეიტყო.

ცხრა წელი ეძებდა ქმარს, ჯერ წლებს ითვლიდა, მერე თავი დაანება, თვლა აერია, თავიდან გავლილ მანძილსაც ითვლიდა, მერე ამასაც მოეშვა. რამდენჯერ წარმოედგინა, რომ სადმე სოფლის მოედანზე დგას, მოწყალებას ითხოვს, უცებ კაცი მიდის მასთან, ხელზე რკინის კაუჭი აქვს, ამ კაუჭს აჩვენებს, ბლიმუნდა კი აბგიდან მახვილს ამოიღებს – ერთგულების სიმბოლოს, რომელიც იმ კაუჭთან ერთად გამოჰყდა მჭედელმა მრავალი წლის წინათ. აი, შევხვდით ერთმანეთს, ბლიმუნდა, სად დაეხეტებოდი ამ წლების მანძილზე? შენ სადღა იყავი? და ეს საუბარი ქვეყნიერების დასასრულამდე გაგრძელდება.

ათასი მილი გაიარა ბლიმუნდამ თითქმის სულ ფეხშიშველმა. ფეხის გულები დაუსკდა, გაუხეშდა, მუხის ქერქივით გაუხდა, მთელი პორტუგალია მოიარა, რამდენჯერმე ესპანეთის საზღვარიც გადაკვეთა, ოკეანის სანპიროდან მაღლა ქედებამდე იარა და აღმოაჩინა, რომ ეს ქვეყანა ძალიან პატარაა, უკან ნაცნობი ადგილები, ნაცნობი სახეები ხვდებოდა: რა ქენი, იპოვე ქმარი? ვერა, ვერ ვიპოვე. ვაი შე, საბრალოვ! აქ ხომ არ გამოჩენილა მას მერე? არა. რას იზამ, წავალ, ისევ განვაგრძობ გზას. ბედნიერად! გმადლობთ, არაფერს დავემებ, ოღონდ ვიპოვო!

და იპოვა კიდეც. მეშვიდეჯერ ჩავიდა ლისაბონში, ამჯერად სამხრეთიდან – პეგონსის მხრიდან. მთელი დღის უჭმელი იყო, რადგან, როგორც კი პურის ნაჭერს მიიტანდა პირთან, თითქოს ვიღაცის ხელი აჩერებდა და ვიღაცის ხმა ეუბნებოდა: არ ჭამო, ჯერ ადრეაო. მდინარის წყალში თევზებს ხედავდა, სახლების კედლებში შუქი ატანდა, რუა-ნოვა-დოს-ფეროსის ქუჩა გაიარა, ოლივეირასის ღვთისმშობლის ეკლესიასთან მარჯვნივ გაუხვია და როსიოზე გავიდა, იგივე გზა გაიარა, რაც ამ რვა წლის წინათ. აჩრდილებს შორის დაეხეტებოდა, ხალხი აჩრდილებად ეჩვენებოდა, ქალაქის სამყარალებში, რომელშიც ათასი სუნი შედიოდა, დამწვრის სუნიც იგრძნობოდა. სან-დომინგოს მოედანზე ხალხის ბრბო ღელავდა, ჩირაღდნები ენთო, უზარმაზარ კოცონს ბოლი ასდიოდა, ბრბო გაარღვია და წინა რიგებში გავიდა, ვიღაც ბავშვიან ქალს ჰკითხა, რა ხდებოდა? მე მარტო სამ მათგანს ვიცნობო: აი, ესენი მამა-შვილი არიან, იუდეველობაში დასდეს ბრალი, აი ის, წვეტიანი ჩაჩით, მარიონეტების თეატრისთვის წერდა პიესებს, ანტონიო ჟოზე და სილვა ჰქვია, სხვებს არ ვიცნობო.

ბრალდებულები თერთმეტნი იყვნენ. სულ განაპირას ცალხელა კაცი იწვოდა. წვერი სულ გაშავებოდა, ამიტომ ასაკით უფრო ახალგაზრდა გეგონებოდა, ვიდრე იყო. სხეულში კი ღრუბლისმაგვარი ნისლეული მოუჩანდა. მაშინ ბლიმუნდამ თქვა: – მოდი!

განმორდა ბალთაზარ შვიდი ძვის ნება მის სხეულს, მაგრამ ვარსკვლავებისკენ არ გაფრენილა, რაკილა მიწასა და ბლიმუნდას ეკუთვნოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE